114
1964/ბ

ალმანახი

1964

114/3

47

ცისფერი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 41-ე № 11 ნოემბერი 1964 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

9408

შინაარსი

რევაზ მარგიანი — ლირიკული ლექსებიდან 3
ივანე თარბა — ცნობილი კაცი. რომანი. გაგრძელება. თარგმანი მამია ასათიანისა 5
რეზო ჭეიშვილი — ორი მოთხრობა 49
რეი ბრედბერი — ფანტასტიკური მოთხრობები. თარგმანი ედიშერ ყიფიანისა 64
ნანული ქებურია — ლექსები 77
რევაზ ჯაფარიძე — ბუხენვალდის სამრეკლო. დასასრული 78

ორი დიდი თარიღის წინ

ვლ. სიფრაშვილი — ვ. ი. ლენინი — დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების ორგანიზატორი 112

კრიტიკა

ვანო წულუკიძე — კორჩაგინის ცეცხლზე წრთობილნი 120
ბესარიონ ჟღენტი — კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზა. დასასრული . 124
ოთარ ბაქანიძე — მიხეილ კოციუბინსკი 174

წიგნების მიმოხილვა

ალ. სანადირაძე — იწერებოდა სისხლით 186
მიხეილ კეკელიძე — სულხან საბა ორბელიანის III ტომი 188
პ. რატიანი — საინტერესო მოგონებები 193
ახალი წიგნები 198

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ე. მალრაძე, ბ. ულენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XI-64 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 12106, ტირაჟი 6.100, შეკვეთა 2743.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანი

ლირიკული ლექსებიდან

დიდხანს თუ გასტანს...

სიცოცხლე ჩემი ახლა იწყება,
აღსრულდა ის, რაც უნდა მენახა,
თავდავიწყება,
თავდავიწყება
და სიჭაბუკე მელის ხელახლა.

დიდი ხანია მოვრჩი მაჭრობას,
დავდუღდი, დამდგარ ღვინოდ
ვიქეცი,
სადღაც შორს დარჩა ჩემი ბავშვობა
და სიჭაბუკე უსასტიკესი.

სადღაც შორს დარჩით... მაგრამ ამ
დილით
მოულოდნელად რისთვის გამოჩნდით,
რად გამიჩაღეთ ცეცხლი ნამდვილი
ჩემს მიყუჩებულ კარმიდამოში!

ვგრძნობ ცეცხლის ალში ვარ
გახვეული,
საამოდ გააქვს გულს ბაგა-ბუგი,
დამძიმებული ჩემი სხეული
დაფრინავს, როგორც როსტომ
— ჭაბუკი.

ო, ვიცი, ვიცი, ბედი მიცოდებს
და გულშიც ცეცხლი მისთვის არ
ცხრება...
ნეტავ ვიცოდე,
ნეტავ ვიცოდე,
დიდხანს თუ გასტანს ეს აღტაცება?!

ჭ ა ღ ა რ ა

ჭაღარა! — შენ ეს სიტყვაც გაშინებს
და ჩემი გული სევდამ დაღარა,
შიში ვიგრძენი თითქოს მაშინვე,
როცა გამიჩნდა თმაში ჭაღარა.

თანდათანობით თეთრმა იმატა,
ვაკვირდებოდი ყოველ დილ-დილა,
ჯერ საფეთქელი გადამინათა,
შემდეგ ქოჩორი გადამითრთვილა.

გრუზა, შავი თმა ელვამ დამიწვა,
თუ შენთა თვალთა
გამობრწყინებამ —
და ნუთუ მართლა ღმერთი გამიწყრა,
ფერისცვალება რისთვის ინება?

რა ვქნა, ძვირფასო, ესეც ბედია,
რომ სინანულით თვალში ჩამცქერი,
ჩანჩქერისათვის შეგიხედია,
ხომ თეთრი არის მუდამ ჩანჩქერი.

მაგრამ სიბერე ვინ სთქვა იმისი,
დაბერებულა განა მთის წყარო,
და ჩემს ჭაღარას შენ და თბილისი
ეჭვით ნუ უმზერთ, დაუვიწყარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლი

ამბობენ, ცრემლი არის ორგვარი:
სიხარულის და სევდა-ვარამის.
ბედმა ორივე ერთად მომგვარა,
დანამა ჩემი საწერ-კალამი.

ცრემლი ისე სჭრის, როგორც ალმასი,
შეუბრალებლად ლოყას დაღარავს,
მაგრამ ყველაზე უფრო ლამაზად
შვენის დიდების დაფს და ნაღარას.

ეს სიხარულის წმინდა ცრემლია,
დღემდე ჩვენს თვალზე რომ არ გამშრალა,
დღესაც აჩნია, რაც გვიღელვია,
კვამლით გამურულ, დაღლილ შაშხანას.

თუმცა დარდს ძნელად შემოევლების,
მას, რაც გაწუხებს, გწვავს და გაწვალებს,
ო, ის ცრემლები, სიმწრის ცრემლები.
'მერჩა თუ არა შენს ფრთხილ წამწამებს...

დრო მიდის, გულო, მიდის შენი დროც.
წავალ დაღლილი შენი ფარეშიც,
ჭირთმანელებელ ცრემლებს შევიშრობ
და ისე ჩავალ ცივ სამარეში.

გუშინ არ ვიყავ...

გუშინ არ ვიყავ დედიშობილა,
ბიჭი პატარა, ნუკრის თვალება?
...თურმე სიცოცხლე მოკლე ყოფილა,
წამწამის ერთი დახამხამება!

გუშინ არ იყო?
მაღლა ვფრინავდი,
რომ ვარსკვლავებთან სიმი გამება?
ცის სამყაროში ვერ დავბინავდი
ჩემივე სულის დასაამებლად!

გუშინ არ იყო?
ძალა მერჩოდა,
გულს წარმართივით მზეს რომ ვწირავდი,
ავფრინდი მარად მწვანე ბეჩოდან
უშბის დამეხილ უნაგირამდე!

გუშინ არ ვიყავ სატრფოს მძებნელი?
ქინქლილიანი მწველი მაშხალა? —
როცა შემეხო სამართებელი
და ჩემი ყრმობის კვალიც წაშალა!

გუშინ არ ვიყავ დედიშობილა,
ბიჭი პატარა, ნუკრის თვალება?
...თურმე სიცოცხლე მოკლე ყოფილა,
წამწამის ერთი დახამხამება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე თარბა

ცნობილი კაცი

რომანი

* * *

საღამოს ჩრდილოეთიდან, კავკასიონის მაღალ მთებიდან ღრუბლები წამოვიდა. სიცხე და ბუღი შენელდა. მთის გრიგალი თანდათან ახლოვდებოდა მრისხანე ღმუილით. იგი ისე ბრუნავდა თითქოს დაჭრილი დათვი აპირებდა მაღალ კლდეებიდან გადმოხტომას.

— წვიმა აღარ იქნება, — გახედეს შეშმუხვნილ ცას მოხუცებმა.

უკვე კარგად შებინდდა. ადამიანები უკვე წამოვიდნენ ყანებიდან და პლანტაციებიდან. ადიცა ციცას შეეხმიანა.

— წავიდეთ, ციცა, წავიდეთ.

ციცამ ჩააბარა ჩაის ფოთლები მწონავს, დაუჩქარა და ადიცას წამოეწია. გზაზე ქალიშვილი რომ გაეთამამებია, გაემხიარულებია, ადიცა მას სასაცილო ამბებს უყვებოდა. ჭარმაგი, ჭირნანახი ქალი კარგად ხედავდა მის დარდს და ფიქრობდა ამით შეემსუბუქებია მისი ნაღველი. ციცასაც ძალიან გულით უნდოდა ნაღველი ჩაეხშო, დაემალა, მაგრამ არნოუს დედას ვერავინ გამოაპარებდა ასეთ რამეს.

— ღმერთო, ბედნიერება არ ააცილო ამ წმინდა ქალწულს, ჩურჩულებდა თავისთვის ადიცა.

ჯერ კიდევ შორს იყო მათი ეზო-სახლი, როცა ზურგიდან მანქანის სინათლე დაეწიათ, ქალებმა გზა უტიეს ძირს დაფენილ ბრიალა სხივთა კონებს. მანქანა გაუსწორდა თუ არა მათ, მძღოლმა დაამუხრუჭა.

— ადიცა, თქვენ ბრძანდებით,—თავი გამოყო ხუტამ.

— კი, ეს მე ვარ შვილო, მარტო მოხვედი.

— მარტო რად მოვიდოდი, არნოუც აქ არის.

არნოუმ მანქანიდან გადმოაბიჯა.

— დედა, შენა ხარ, ამ შუა გზაზე გაბოგირებული.

— მე ვარ, შვილო. ციცას მიესალმე, განა ვერ ხედავ, ვინ მახლავს?

არნოუმ ნელა, უგემურად გაუწია მარჯვენა ქალიშვილს. ციცამაც წყნარად, მაგრამ მაინც ჩამოართვა ხელი. არნოუს არც კი უცდია მასთან გამოლაპარაკება. მან შორიდან დაინახა თუ არა ორი ქალის ლანდი, იმ წუთშივე მიხვდა მათ ვინაობას. დედისა მოერიდა და მანქანაც მიტომ გააჩერა. გულში კი ბრაზობდა: რა ეშმაკი უნდა დედაჩემს რომ აკიდებია ეს გოგო, ერთი მითხარით, რა საერთო აქვთ ერთმანეთთან. ალბათ, გულისმოსაოხებლად მოსდევს თან, იქნებ ჩემი ორპირობის შესახებაც დაროშა რამე? კი, ნამდვილად ასეა.

— დასხედით, ერთად წავიდეთ. — მიიპატიჟა ორივე, არნოუმ.

ადიცა თავის სახლთან გადმოვიდა მანქანიდან. ციცაც იმ წამსვე ჩამოხტა.

— მოიცა, გოგო, არნოუ მიგაცილებს შენს სახლამდე. — დედამ განზრახ ახსენა არნოუს სახელი, მაგრამ არნოუმ მძღოლს უბრძანა გაეცილებია ციცა და თვითონაც მანქანიდან გადმოვიდა. ციცას არავისი არ ესმოდა ახლა, სწრაფი ნაბიჯით გაშორდა დედაშვილს. ამან გააბრაზა არნოუ. ერთი-

---

* გაგრძელება იხ. „მნათობი" № 10.

ორჯერ გასძახა ციცას დაბრუნებულიყო. ქალიშვილმა კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს, ახლა იგი უკვე მირბოდა. ადიცა ადგილზე გაშეშებული გასძახოდა: „დაბრუნდი ციცა, დაბრუნდი, დაბრუნდი გენაცვალე“ ქალიშვილს აღარაფერი ესმოდა. მართალი რომ სთქვას კაცმა, ციცას არ უნდოდა, მათი ხმა გაეგონა.

— ეს რა ჩაიდინე, შვილო, ნუთუ არ შეგეძლო სახლამდე მიცილება?

— თავმჯდომარემ თუ კოლმეურნეობის ყველა ქალიშვილი გააცილა, მალე ღობეზე გადასაკიდებელი გახდება, დედაჩემო, მაინც არ მესმის, რატომ სწუხარ ციცასთვის ასე?

— მე ის როდი გითხარი, სოფლის ყველა ქალიშვილი შენ გააცილე მეთქი. სკოლის ამხანაგის გაცილება კი სავალდებულოა კარგი ვაჟკაცისათვის. შენი ქცევით მის გულსა ჰკოდავ, ნუთუ ვერ ხედავ, როგორ ჩაიმძაღა და გახდა ეს გოგო.

— მე რა შუაში ვარ, დედაჩემო, თუ ის ასეთია? გაიოცა არნოუმ.

— დედის პატივისცემა თუ გაქვს, მეორეთ ასე უხეშად არ მოექცე ციცას. მოეფერა შვილს ადიცა.

არნოუ გაყუჩდა. ხმა არ გასცა დედას ისე შეაბიჯა ეზოში. ხელ-პირი დაიბანა თუ არა, კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. მთის გრილი ნიავი სცემდა მის ღია შუბლს. ადიცა სწრაფად საქმობდა. დღეს მას დიდი ხნის ნატვრა შეუსრულდა. არნოუ სახლში, მასთან ვახშობდა. მისი პირმშო დღეს მის გვერდით იქნებოდა.

— შემოდი ნან, შემოდი, ვახშამი ვჭამოთ, — გამოსძახა ადიცამ სამზარეულოს აივნიდან.

* * *

ანტიცა გაოგნებული დადიოდა. ვერ შიმხვდარიყო თუ რა ხდებოდა მის გარშემო. არნოუ მასთან შეხვედრას გაურბოდა. გრძნობდა ანტიცა, რომ თავმჯდომარე განზრახ თავს არიდებდა მას. — თუ ქალი ვარ, ყველაფერს გავიგებ.

—ჩაიჩურჩულა მან და მშიერი მგელივით ფეხაკრეფით დაიწყო არნოუს სახლის ახლო ტრიალი. სახლში არავინ ჩანდა. ყველაფერი მიჩუმებული და დაყრუებული იყო. სავაჭროსკენ გამობრუნდა. ფარდულის ყველა კარები ისე გააღო თითქოს ანიავებდა. იქედან ჭვრეტდა არნოუს სახლს. არავინ არ ჩანდა. მისი თვალები ნაღველისა და მოუთმენელი სურვილებისაგან ბრწყინავდა.

დუქანს სამი უცნობი მიუახლოვდა. ანტიცამ ისინი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა. ვერც ერთი ვერ იცნო და ფარდულში შებრუნდა. ისინიც იქეთ გაემართნენ, თვითონაც იქ შეყვნენ.

— დილა მშვიდობის! — მიესალმენ ანტიცას.

— მშვიდობა და სიკეთე არ მოგაკლოთ ღმერთმა, — უპასუხა ანტიცამ. საყიდელი ხომ არაფერი გნებავთ?

— ჩვენ მყიდველები როდი ვართ. დავალებით ვართ ჩამოსული.

— დავალებით? — გაცრა ტანში ანტიცას. — რა დავალება გაქვთ ასეთი.

— თქვენი მუშაობა უნდა შევამოწმოთ,—თქვა ერთმა და თან ქაღალდი გაუწოდა მას.

ამ სიტყვებმა მეხი დასცა ანტიცას. დაიბნა, წაკითხვას ვინღა დაეძებდა, ქაღალდი ხელიდან ვეღარ გამოართვა უცნობს, კანკალმა აიტანა. ასეთი თრთოლვა მოულოდნელი რევიზიის დროს ემართებათ არც თუ ისე პატიოსან ადამიანებს.

— ფარდულში ვაჭრობა შეწყვიტეთ, გასინჯვამდე უნდა დაიხუროს. — თქვა უფროსმა რევიზორმა.

ანტიცა ისევ გაოგნებული და გამოლენჩებული იდგა. ხელში ის ქაღალდი ეჭირა, რომელიც წეღან მას მიაჩეჩეს.

— აბა დავიწყოთ მუშაობა, — გაიგონა ანტიცამ.

რევიზორებმა თავიანთი ქაღალდები დახლზე დააწყეს და ანტიცას განმეორებით მოსთხოვეს, რათა მას განცხადება გაეკრა ვაჭრობის შეწყვეტის შე-

სახებ. იგი ოდნავ გამოფხიზლდა და დახლს მიაშურა.

რევიზორებმა გასინჯვა დაიწყეს.

ანტიცა ახლა ადგილზე ვერ ჩერდებოდა. იგი დახლის ერთი კუთხიდან მეორეს ასკდებოდა, არ იცოდა, რისთვის მოეკიდა ხელი. უმიზეზოდ გადაქონდა ერთი ნივთი მეორე ადგილას. ხანდახან თავს ისე მოაჩვენებდა, ვითომ არაფერი არ აწუხებდა, თითქოს დიდი კმაყოფილი იყო მათი მოსვლით. რომ ისინი უსათუოდ დააფასებენ კიდეც მის უანგარო, უმწიკვლო შრომას. მაგრამ შიში მაინც თავისას შვრებოდა, თანდათან იჯაბნიდა, მის ტვინსა და სულს შეუბრალებლად ეუფლებოდა.

შუადღემდე რევიზორები შეუსვენებლივ მუშაობდნენ. ანტიცა ფიქრობდა ვინმე შემოვა, იქნებ ვისმე საჭირო სიტყვა მივაწვდინო, თავი გადავირჩინო ამ უბედურებისაგანო. თითქოს განგებ მის ბედზე არავინ შემოდიოდა. რა ექნა, აღარ იცოდა. ფიქრებმა თავი გაუხურა.

ბოლოს გამოსავალი მონახა.

— შიმშილით დავიხოცებით. დრო არის წაისაუზმოთ, — ნელა, ხუმრობით შეაპარა ანტიცამ მოსულებს.

— წინააღმდეგი ვინ არის, მაგრამ თქვენ სოფელში სასაუზმე რომ არ არის? — ერთბაშად უპასუხეს სამივემ, რომლებიც, ეტყობოდათ, დიდი ხანია საუზმეზე ფიქრობდნენ.

ანტიცა მიხვდა: ისინი სახლში არ წაყვებოდნენ.

— აქვე ერთი სახლი მეგულება, იქ შეიძლება საუზმის მირთმევა.

ანტიცამ სასწრაფოდ დახურა ფარდული, და რევიზორებს გაუძღვა. იღბალზე წინ გაჩი შემოეფეთა. მისმა შეხედვამ სიცოცხლე დაუბრუნა ანტიცას.

— გაიცანით, ჩვენი კლუბის გამგეა: გაჩი ხიცბა. ესენი კი სავაჭრო ზემდგომი ორგანოების წარმომადგენლები არიან.

— არ ვიცოდი, თუ ჩვენ სოფელს ასეთი საპატივცემულო სტუმრები ყავდა. — თაფლივით ტკბილი სიტყვა მოუქცია გაჩიმ.

ანტიცას აფორიაქებულმა ... ერებელი თვალებით მიხვდა გაჩი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. გაჩიმ იმ წუთშივე თავის სახლში მიიპატიჟა მოსულნი. ანტიცამ თვითონ დაასწრო რევიზორებს, პირიც კი არ გააღებია უარის სათქმელად და თანხმობა ისე ვამოუცხადა მის მთქმელს.

ეზოშივე შემოეგება გაჩის დედა მოსულებს.

— ჩვენი სტუმრები დიდად საპატიო საქმისთვის არიან ჩამობრძანებულნი, თუ რაიმე გაქვს, მალე დაგვაპურე, დედი. — ეს ისე თქვა გაჩიმ, რომ მოსულებსაც გაეგონათ.

სტუმრები დასვა თუ არა სასტუმრო ოთახში, გაჩი დედასთან გაიქცა სამზარეულოში. ანტიცა აფორიაქებული იყო. ხან სტუმრებს მოსაფერებელ სიტყვას ეტყოდა, ხან სამზარეულოში გავარდებოდა, თითქოს გაჩის დედას ეხმარებოდა რამეში. სინამდვილეში კი დაიმარტოხელებდა თუ არა გაჩის, საიდუმლოდ რაღაცას ეჩურჩულებოდა. გაჩი გულწრფელად ამშვიდებდა.

— არაფერია, — ამბობდა იგი, — ამ წუთს მოვნახავ არნოუს და ყველაფერს, როგორც შენ გინდა, ისე დავქსელავ, საშიში აქ არაფერია. არნოუ ყველაფრის შემძლეა.

— ჩემო გაჩი, ისინი რაღაც საეჭვოდ არიან ჩამოსული. ხომ იცი, ბევრი რამ მაკლია. ჩემი თავი ჯანდაბას, არნოუსი მეშინია, ისიც გაისვრება და სოფელს თავი მოეჭრება. ხომ იცი, რამდენჯერ გამიგზავნია შენი ხელით ღვინოები და საჩუქრები მისი სტუმრებისათვის. არნოუს ჯერ კიდევ არ მოუცია მათი ღირებულება. ახლა რა წყალში გადავარდე მე უბედური? კვნესოდა ანტიცა.

— ნუ შიშობ, გოგო, — ამშვიდებდა გაჩი ანტიცას. არნოუს მალე მოვნახავ. არნოუ განა ისეთი კაცია, რომ ასეთ დროს მიატოვოს ანტიცა?!

სტუმრები დააპურეს. ბევრი ეცადა

ანტიცა, მაგრამ სახარჯო ღვინოსაც კი პირი არ დააკარეს. ტყუილა ეხვეწა ანტიცა: ამისგან დამთვრალი კაცი ვის გაუგონიაო.

ისაუზმეს თუ არა, სტუმრებმა სწრაფად ფარდულისკენ გასწიეს. ანტიცას გული დაწყდა, ცოტა დროც კი ვერ მოიგო. რა ექნა, ისიც, მათ გაყვა. გაჩიმ არ დააყოვნა, ფრთები გამოისხა და არნოუს საძებნად გაფრინდა.

გაჩი მისაღებ ოთახში ჩვეულებრივად ადგუას თავბრუდამსხმელ ღიმილს შეეჩეხებოდა ყოველთვის. მართალია, კლუბის გამგე ანტიცას განსაკუთრებულ დავალებას ასრულებდა, მაგრამ ადგუას ღიმილმა ყველაფერი დაჩრდილა და დაავიწყა.

— გამარჯობა ადგუა, ხომ კარგად ხარ, მშვენიერო.

— კარგად იყავი, გაჩი, სად გადაიკარგე ამდენხანს?

— საქმე მაქვს ადგუა, საქმე.

—რა საქმე გაქვს, გაჩი, გენაცვალე!

გაჩის გაახსენდა, რომ ეს საქმე ანტიცას კი არა არნოუს უფრო ეხებოდა და ადგუას შეეკითხა:

— არნოუ აქ არის, გოგო?

— კი, აქ არის, შებრძანდი! — ეწყინა საიდუმლო რომ არ გაუმხილეს მას და გულმოსულმა კარი გაუღო გაჩის.

კლუბის გამგე მეტად მხატვრულად უყვებოდა არნოუს ანტიცას შიშის და აფორიაქების შესახებ. შიგდაშიგ უადგილოთ თავის გვარსაც ჩაურთავდა, თითქოს თვითონაც რაიმე სასჯელი ელოდა ასე უცაბედი რევიზიის გამო.

— ნებართვაც კი არ უნდა ქონდეთ ფარდულის გასინჯვისა, — ტყუოდა გაჩი. ვიღაც უცნობმა, იდუმალებით მოსილმა მტერმა განზრახ გამოუგზავნა ისინი, რომ სოფელს და არნოუს სახელი გაუტეხონ. ხომ იცის არნოუმ, თუ რამდენი მოწინააღმდეგე და მტერი ყავს ჩვენს დიდებით მოსილ კოლმეურნეობას. განა ცოტაა ისეთები, რომლებსაც მისი სახელის გაფუჭება უნდათ.

გაჩი ტყუილად ცდილობდა ამბის შეფერადებით არნოუს გაჯავრებას. იგი პირველი მისი სიტყვისთანავე გახელდა. გუნება აემღვრა, მხრები აუკანკალდა. საწერი მავიდის შუშას მუჯი დაათხლიშა და იქეთ-აქეთ დაიწყო აღელვებით სიარული. ის უფრო და უფრო გაცეცხლდა, როცა მიხვდა, რომ გაგონილი ამბავი მას ეხებოდა, მის სახელს და დიდებას ფათერაკი ელოდა.

— სისულელეა, მე მათ ვაჩვენებ სეირს.

მან ტელეფონის მილაკი აიღო და ყურზე მიიდო. არნოუ რაიკავშირის თავმჯდომარეს უხმობდა.

— არ ველოდი, პატივცემულო ამხანაგო ბაზალა, ასეთ ამბავს. არ დავიჯერებ, რომ შენმა რევიზორებმა ყველა სოფლის მაღაზიების გასინჯვა მოათავეს და ახლა ჩვენი სოფლის ფარდულით ამთავრებენ რაიონის რევიზიას. ნუ თუ სხვა საქმე აღარ დარჩათ ამხელა რაიონში.

—ბოდიში, არნოუ, ეს სისულელეა, ალბათ, ჩემი მოადგილის ბრალია. რა საჭირო იყო, ვერ გამიგია. უფროს რევიზორს სთხოვე, დამელაპარაკოს. გადაეცი, ახლავე შეწყვიტოს გასინჯვა. ისე როგორ ბრძანდებით, არნოუ, ჯანზე ხომ კარგად ხართ, საქმეები კარგად მიდის, ალბათ.

არნოუ ერთი ორი სიტყვით შეეპასუხა და გაჩი იმ წუთშივე რევიზორებთან გაგზავნა. ისინი ანტიცას თანხლებით შემოვიდნენ კაბინეტში. არნოუს აფხაზური ზრდილობაც კი დაივიწყა, არ წამოდგა, სალამიც არ აკადრა სტუმრებს. ანტიცა უმანკო თვალებით მიეყუდა კარებს, თითქოს შემოსვლისაც კი ერიდებოდა.

— რისთვის მოსულხართ არსაულაში, ნუ თუ ქვეყნის ვაჭრობის ფუძე ჩვენ სოფელშია და უკუღმა მიდის მისი საქმე? — შუბლშეჭმუხვნით კითხა რევიზორებს არნოუმ.

— ჩვენ დავალება გვაქვს გავსინჯოთ, ბატონო...

— სისულელეა, დავალება, დავალება, შეგიძლიათ უკანვე დაბრუნდეთ გუ-

დოუში. ჩვენ უთქვენოდაც მოვუვლით ჩვენი სოფლის საქმეებს. აბა, თქვენ თავისუფალი ბრძანდებით!

— ჩვენ რაიკავშირის თავმჯდომარის დავალებას ვასრულებთ...

— მე უკვე მოგახსენეთ, თქვენ ვაჭრობა შეაჩერეთ, ხელი შეუშალეთ, და მეტი არაფერი. ანტიცა, ახლავე გახსენი ფარდული. — უბრძანა მან ფარდულის გამგეს.

— გისმენთ, პატივცემულო არნოუ, — მოკლედ დაეთანხმა ანტიცა. იგი მგზნებარე თვალებით მიჩერებოდა მის მხსნელს.

— განა ჩვენი ნებით მოვედით?! — შეეცადა ახსნას რევიზორი.

— მე უკვე ვესაუბრე თქვენს აქ გამომგზავნელს. ეს სისულელეა, სისულელე.

ნირწამხდარი რევიზორები გარეთ გამოვიდნენ. ისინი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყვნენ, თუ რა მოხდა. ანტიცა მხრებს იჩეჩდა და ისე მიაცილებდა მათ, თითქოს გულდაწყვეტილი ყოფილიყო, რომ რევიზია არ ჩატარდებოდა, თორემ ისინი დარწმუნდებოდნენ მის პატიოსნებასა და საქმის სიყვარულში.

გაჩი კი ფიქრობდა, რომ უფრო გაეხელებინა ისედაც გონს გადასული არნოუ.

— მე ახუცაში ვიყავი და ჩემი ყურით გავიგონე, როგორ ილანძღებოდნენ იასონი და ასტანა. არ შემიძლია დაგიმალო, რაც კი გავიგონე. — ახლა ჩურჩულით ეუბნებოდა გაჩი არნოუს. — ეს რომ ჩავიდინო, მიწაზე სიარულის ღირსიც კი არ ვიქნები. შენი ცუდი გავიგონო და იგი შენ დაგიმალო? არ იფიქრო, ისინი რაიმე კარგს ამბობდნენ ჩვენი კოლმეურნეობის შესახებ. მე თვითონ მესმოდა, თუ როგორი სიტყვებით გამკობდნენ შენ. „ამაყი კაცია, — ამბობდნენ ისინი, — არავის არაფრად არ აგდებს, მას მხოლოდ თავისი თავი აინტერესებს და უყვარს, მხოლოდ თავის დიდებაზე ფიქრობს. ჩვენ არც ხელს გვიშლის, მაგრამ არც გვეხმარებაო“... მე ხომ არ შემიძლია ყველაფერი მათი ნათქვამი დავიმახსოვრო. ერთი კი — ნათელია, ორივენი გლანძღავდნენ და გთათხავდნენ.

არნოუს სახე მარტის დღესავით იცვლებოდა. ხან თოვლივით თეთრდებოდა ხან ცეცხლი ეკიდებოდა. გაჩი აკვირდებოდა მას და არ იშურებდა გულის-მომწამვლელ და შხამით აღსავსე სიტყვებს. არნოუს გულზე მთელი ქვეყნის ალი შემონთებოდა.

* * *

იმ დილით სამსონ ლოლუამ რაიაღმასკომშიაც არ შეიარა, ისე გაემგზავრა არსაულაში. გზადაგზა იგი ხანდახან ორიოდე ნაბიჯით თუ მოშორდებოდა მანქანას და ისე გადახედავდა ჩაის ყლორტებით მწვანედ დაყურსულ მწკრივებს. ახარებდა კარგად მოვლილი, დოვლათიანი ბუჩქები და გუნებაში არნოუს ქება-დიდებას ასხამდა. სიმინდის ყანები ღელავდა. აქაიქ ამ დალოცვილს თავიც კი ეყარა. სამსონმა მძღოლს უბრძანა ნელა ევლო. მანქანის დახურულ სარკმლიდან ათვალიერებდა ყანებსა და ჩაის ბუჩქებს და ღერი ბალახიც არ ჩანდა, ისე გამოეთოხნათ არსაულელებს.

„რძიარძია ბალახიც კი არ დაუტოვებიათ ძროხებისათვის ამ დალოცვილებს“, გაიფიქრა მან.

სამსონი თვითონ არსაულადან იყო. უყვარდა ეს ზურმუხტისფერი ყანა-ბაღები, ეს მინდორ-ველები, ხეებზე შეტოტებული მაღლარი ვაზის მტევნები. ჯერ კიდევ როცა პირველდაწყებით სკოლაში სწავლობდა, ფეხშიშველს ათასჯერ დასერილი ჰქონდა არსაულის სიგრძე და განი, მისი აღმოსავლეთი და დასავლეთი. შემდეგ მან საშუალო სკოლა გუდოუში დაასრულა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში თბილისში ხუთი წელი დაჰყო. სწავლობდა ბეჯითად, არავის ტოლს არ უდებდა. მოწინავე სტუდენტებს ეტოლებოდა. დამთავრა თუ არა, ერთი წელი იმუშავა

აგრონომად და უცებ ადმინისტრაციულ კიბეზე შედგა ფეხი. ეს იყო და ეს. სწრაფად წავიდა წინ. სულ მალე რაიაღმასკომის თავმჯდომარე გახდა. მართალი რომ თქვას კაცმა, არსაულაში იშვიათი სტუმარი როდი იყო. ხშირად ჩაკითხავდა ხოლმე თავის სოფელს. მხოლოდ ერთი ჭირი სჭირდა, სოფლელები იშვიათად თუ ნახულობდნენ რაიაღმასკომის თავმჯდომარეს: იგი ჩვეულებრივ კოლმეურნეობის გამგეობაში მიაყენებდა მანქანას. არც იქ უყვარდა დიდი ხნით გაჩერება. რამდენიმე გაცვეთილ შეკითხვას დასვამდა, პასუხს მიიღებდა, არნოუს ორიოდე სიტყვით დაარიგებდა და ისევ უკან გააქროლებდა მანქანას. ამ დილითაც „კერაზის“ რკინის ჭიშკართან მიაგელვა მძღოლმა თავმჯდომარე. არნოუ ნაურბამ იმ წუთშივე იცნო მანქანის ხმა და სამსონს კარებში გამოეგება. კაბინეტის ღია კარიდან ადგუა მოკრძალებით და პატივისცემით შეეგება სტუმარს. სამსონი ოდნავ თავდახრით მიესალმა ქალიშვილს და არნოუსთან ერთად შიგ შევიდა.

არნოუმ მშრალი, მოსაწყენი ციფრებით როდი დაუწყო რაიაღმასკომის თავმჯდომარეს თავისი სათქმელის მოყოლა. რაც აწუხებდა, მოუთმენლად გადმოულაგა:

— ჩვენ სოფელში, ჩვენ კოლმეურნეობაში თანდათან ისეთი ადამიანები გაჩნდნენ, რომლებიც მუშაობაში ხელს მიშლიან. მერე იცი, ვინ მეთაურობს მათ? სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იასონი და ასტანა-ბრიგადირი! სოფელში ჭორებს თხზავენ და ხალხს გულს უყრიან მუშაობაზე.

არნოუმ მთელი ბოლმა გადმოანთხია, გაჩის მოყოლილს თავისი გამოგონებული და გაგონილი დაუმატა. იასონი და ასტანა სოფლის ცხოვრების მყუდროების ამრევად დახატა.

სამსონი სდუმდა. იგი ფანჯრიდან კაჰყურებდა სოფლის საბჭოს შენობას, რომელიც აქედან კარგად მოჩანდა, და მაგიდის შუშას თითებს რიტმულად უკაკუნებდა.

— როგორც ვხედავ, შენ სიდარბაისლე და თავდაჭერა დაგეკარგავს. მინდა გაგახსენო: განა ყოველთვის, რასაც ქუხს, ისეთი წვიმა მოდის?! რასაკვირველია, არა. მოთმინება, მოთმინება, არნოუ ჩემო. ყველაფერს შევისწავლით და მოვუვლით.

— სისულელეა, — გაცხარდა არნოუ, — მე არც მოთმინება დამიკარგავს და არც სიდარბაისლე დამვიწყებია. იმათ შური უდევთ გულში და ის ალაპარაკებთ. შურს კი უსამართლობაც შეუძლია გამოიწვიოს და ერთმანეთში ფუჭი შეხლაშემოხლაც.

— მდივანს დაუძახე! — ბრძანა სამსონმა.

ადგუა იმ წუთშივე შემოვიდა.

— გისმენთ, ბატონო სამსონ!

— სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს დამიძახე, ერთი, შენ გაზრდას.

რაიაღმასკომის თავმჯდომარე განსაკუთრებული ღიმილით შეეგება იასონს. აგრძნობინა, რომ გახარებული იყო მასთან შეხვედრით. იასონმა ხელი არნოუსაც გაუწოდა. ორივემ ერთიმეორეს მოთენთილად ჩამოართვეს ხელი. სამსონმა, წინასწარი განზრახვით, წყნარად დაუწყო გამოკითხვა იასონს სოფლის საბჭოს საქმიანობაზე, მის შემოსავალზე, სოფლის ცხოვრებაზე, იასონი დინჯად და მტკიცე ხმით სიზუსტით პასუხობდა. როცა იმ საკითხებზე მივიდნენ, რომლებიც სოფლის საბჭოს ჰქონდა განსახილველად, იასონმა, არნოუს ოანდასწრებით, გულღიად განაცხადა: დეპუტატი არნოუ ნაურბა თავის სადეპუტატო მოვალეობას გაურბის, არ ასრულებს, სოფლის საბჭოს სხდომებსაც არ ესწრებაო.

— აბა, დაუკვირდით თქვენ თვითონ, ამხანაგო თავმჯდომარევ, განა შეიძლება მეცხოველეობის საკითხი ირჩეოდეს და არნოუ არ ესწრებოდეს?

— წყნარად ილაპარაკე, შე კაცო. თქვენ სადაო და საკამათო არაფერი გაქვთ. — უმალ შეეცადა მათ შერიგებას ლოლუა. — განა კარგია, ასეთი წვრილმანისათვის ერთიმეორეს შეურა-

ცხოფას რომ აყენებთ. ამგვარი საქციელისათვის თავზე ხელს არავინ გადაგისვამთ. კამათით, ჩემო ძმაო, უნდა იკამათოთ, ეს საჭიროა და აუცილებელიც. მაგრამ სიდინჯე, სიდარბაისლე არ დაგავიწყდეთ. თქვენ ხალხი გიყურებთ. მაგალითი თქვენგან გადააქვთ. ბოლოს და ბოლოს, მეცხოველეობის საკითხი საბჭოს ერთი სხდომიდან მეორეზე შეიძლება გადაიტანოთ. შეთანხმდით, მოილაპარაკეთ და გადაწყვიტეთ კიდეც.

სამსონი მიხვდა, საით უხრიდა ამბავს სიმართლისმოყვარული იასონი, მაგრამ ისე მიიღო, ვითომ ვერაფერი გაიგო. მას არ შეეძლო სოფლის საბჭოს თავმჯდომარისთვის იმ კაცის წინააღმდეგ დაეჭირა მხარი, რომლის სახელი სოფლის მშვენიერება და რაიონის დიდება იყო.

— იასონ ჩემო, წინათ შენ ასეთი ფიცხი კაცი რომ არ იყავი, რა დაგემართა, არ ვიცი, ველარც კი გცნობილობ. არ ვარგა ასე კაცის გაბრაზება. შენ სოფლის თავკაცი ხარ და არასდროს არ უნდა გაუგონო მყვირალა ადამიანებს და ჭორის მთესველთ. არნოუს შეიძლება უკმაყოფილონი ჰყავდეს. ხომ იცი, სოფელში ყველას თავზე ხელს ვერ დაუსვამ, იმათ კი არ უნდა აყვე. ვალდებული ხარ არნოუს პატივი სცე, მისი სახელი არ შეურაცხყო.

იასონს ბრაზისგან სახე პილპილივით გაუწითლდა მიხვდა, რომ სამსონი ისე ლაპარაკობდა თითქოს, თვითონ არაფერ შუაში იყოს. რომ ის მშვიდობისმოყვარე კაცის როლში გამოდიოდა.

— მართალი გითხრა, იასონ, შენგან ასეთ რასმე არ ველოდი. ვიღაც შემოჩენილი გყავს, უნდა შეგაცდინოს და გზას აგაცდინოს, ჰე, ჩემო ძმაო, შენისთანა კაცს განა ასეთი რამ გეკადრება?!

— თუ გინდათ გაიგოთ გზას ნამდვილად ვინ ასცდა, მაშინ მე გეტყვით მის სახელსა და გვარს. — უკვე ველარ მოითმინა იასონმა:

— სისულელეა, — წამოიყვირა ახლა არნოუმ, — ჩემი სახელი გინდა დაასახელო ხომ?! მერედა რა დანაშაული ჩავიდინე ასეთი? იცი რა გითხრა იასონ, ყველაფერში ჩემი მუშაობა და თანამდებობაა დამნაშავე...

— თანამდებობა, არნოუ ნაურბა, სუფრაზე არავის უჩუქებია ჩვენთვის, ჩვენ ხელმძღვანელებად მივაჩნივართ, სანამ ამის ძალღონე შეგვწევს. ცდები, თუ ფიქრობ, რომ, როცა ხალხი შეგნიშნავს სხვა, უცხო გზით სიარულს, იგი რასმე გაპატიებს. არც ის იფიქრო, არნოუ, ხელისდამფარებელმა გიშველოს? ვერავინ ვერ გიშველის, ხალხმა თუ არ ინდომა, ჩემო ძმაო.—სწრაფად და მტკიცედ თქვა იასონმა. უკანასკნელმა სიტყვებმა სამსონს ხასიათი გაუფუჭა. მიხვდა, რომ იასონი მასაც მისწვდა.

— იასონ! იასონ! — ხმამაღლა შესძახა ახლა თავიდან ფეხებამდე გაწითლებულმა სამსონ ლოლუამ.

— კარგი, სამსონ, გეყოფა, შე კაცო. შენც დამნაშავე ხარ. შენ თვითონ ხელს უწყობდი, რომ არნოუ ნაურბა ასეთი მიუკარებელი კაცი გამხდარიყო. ამას ისე გეუბნები, როგორც კომუნისტმა კომუნისტს უნდა უთხრას, თუ გინდა გეწყინოს კიდეც. ჩემს ნათქვამს არ ვინანებ და არც უარს ვიტყვი.

სამსონმა პირველად მართლაც ვერ გაიგო მისახვედრი. მან ჩვეულებრივად გაოგნებული ადამიანის სახე მიიღო.

— ერთი მითხარი, თუ ძმა ხარ, რა დავაშავე მე, სამსონ ლოლუამ, არ მოგეხათროს, ყველაფერი პირდაპირ მითხარი. — იგი ახლა დაცინვით შეყურებდა იასონს.

— არ დავმალავ და გეტყვი. — ისევ განაგრძო იასონმა სათქმელი. — შენ ფიქრობ, რომ არსაულაში მარტო შენი და არნოუს მოყვარე-ნათესავები ცხოვრობენ, რომ სხვებს არც აზრის გამოთქმის უნარი აქვთ და არც რაიმე აწუხებთ. ყველაფერს ძმაკაცურად და ნათესავურად სწყვეტთ. ცდებით, ძალიან ცდებით. თქვენი მოქმედებით იმ ფილთაქვას ახურებთ, რომელიც უსათუოდ გასკდება. იმის გახეთქვა კი ვიღაცის დაშავებას, ცხვირის გატეხვას მოასწავებს.

ისეთ ადგილას داابიჯა ფეხი იასონ-მაგრამ სამსონს ტანში შიში ჩაუდგა. იგი უცებ გალხვა და გაფუჭდა. ულონოდ ჩაჯდა სავარძელში. ლოლუა არ ელოდა ასეთ გულწრფელ და ვაჟკაცურ შემოტევას. ამას ვერც კი იფიქრებდა, ვერ მოისაზრებდა. მან داბნეულმა გადმოკაკლა თვალები და აქეთ-იქეთ داიწყო მზერა.

— ერთი, არნოუმ ბრძანოს, რა داაშავა ასტანა ბგანბამ, რა შესცოდა მსოუსტ საკანიამ? რისთვის გადაიყვანეს ასტანა ახუცაში. განა არ შეიძლებოდა, იქვე, ადგილობრივ მონახულიყო ადამიანი ბრიგადის ხელმძღვანელად? თქვი, არნოუ, თქვი! შენ ის თავიდან მოიშორე, განზრახ გადااგდე იქეთ, რომ ახლოს არ გყოლოდა სწორი და სიმართლის მთქმელი კაცი. ის პირში გეუბნებოდა, არნოუ, რომ ახუცას داახმარება უნდა, რომ რქოსანი ოთხფეხის گداშენების გზაზეა სოფელი داამდგარი. აბა, თქვი, არნოუ, რაც მე გითხარი, ტყუილია? კარგი. ვთქვათ, ასტანა ახუცას იმიტომ გაგზავნე, რომ ის კუთხე گااماგრე. მსოუსტმა რა گაგიფუჭათ? ის ხომ პარტორგანიზაციის შესანიშნავი, ჭკვიანი ხელმძღვანელი گახლდათ. ასეთი მდივანი ხომ სანატრელია სოფლისთვის. თქვენ داიინებით მოითხოვდით, სამსონ, მის گათავისუფლებას. თქვენ კი რაიკომის ბიუროს წევრი ბრძანდებით. თქვენვე წამოაყენეთ პარტორგანიზაციის მდივნად გერა گუბაზი. მართალი თქვი, ის ხომ შენი ახლო ნათესავია, შენი دეიداშვილია. მერე რა گამოვიდა. گუბაზი ლანდივით داسدევს არნოუ ნაურბას და ეშინია მის ჩრდილს ფეხი არ داابიჯოს. უიმისოდ ვერც რასმე იტყვის და ვერც رასმე گااკეთებს. گულზე ხელი داიდევით და თქვით, განა ასეთი პარტორგანიზაციის მდივანი სოფელს არگებს? رასაკვირველია, თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ ეს არ ვარگა, رომ სოფელს ეს ბევრ رასმე აკლებს და უფუჭებს. داიდ, თქვენ ყველაფერი ჩემზე უკეთ იცით და سدუმხართ... -- იასონი მოულოდნელად گاჩერდა. მიხვდა, رომ داიელდა და შორს შესტოპა. არნოუს უხارოდ. იასონმა گასცა თავის თავი, მან თითქმის ყველაფერი گადმოალაგა. ახლა სამსონს არ შეეძლო უკან داახევა.

— აი, სამსონ, ხომ ხედავ, არ گინდოდა, მაგრამ შენი ყურით მოისმინე ყველაფერი. — მიუხედავად იმისა, رომ არნოუ სიبრაზისگან کანკალებდა, მაინც ცივად, თავداჭერილად და ბოლმით სთქვა. — მე უკეთესად ვერც کი گადმოگცემდი, ვინემ თვითონ იასონმა گითხრა, — گესლით داابოლოვა მან.

— მოითმინე, არნოუ, — შეეჭმუხნა ლოლუა, — თქვი იასონ, თქვი. ყველაფერი گადმოალაგე, داასრულე.

სამსონმა کარگად იცოდა, رომ იასონი ყველაფერს گულმართლად და گადაუმეტებლად ამბობდა. მან იცოდა, رომ არნოუ არ იყო მართალი. იმასაც گრძნობდა, رომ ის, სამსონ ლოლუა, საბჭოს رაიაღმასკომის თავმჯდომარე არ იქცეოდა სწორად, روცა იასონს უშლიდა არნოუს შეცდომების گამომჟღავნებას. ამით აშავებდა, ამიტომ ახლა იმაზე داიწყო ფიქრი, თუ روგორ მოქცეულიყო, رა ეთქვა, رა ემოქმედა. ვაი თუ رაიკომის მდივანს მიმართოს იასონმა. მაშინ رა მოხდება? სამსონმა کარگად იცოდა رაიკომის მდივნის ლეიბას ხასიათი. ის არნოუს ყოფაქცევას სულ სხვანაირად შეაფასებდა. სამსონი არ ეჭვობდა იმას, رომ ლეიბა არავის داაატიებდა ასეთ ამბებს. პირველად თავის ცხოვრებაში, ახლა داიფიქრდა სამსონი ამაზე. ძალიან შორს ხომ არ წავიდა მისი და არნოუს მეგობრობა? ნუთუ ამას შეიძლება ცუდი შედეგი მოყვეს?! ეს უცებ کი گაიფიქრა, მაგრამ იქვე ხელი ჩაიქნია. სამსონ ლოლუამ იმ წუთშივე თავიდან ამოიგდო ასეთი ავი და گულისშემწუხებელი აზრი.

* * *

მანქანა گუდოუსკენ მიქროდა. არნოუ ნახევრადმთვლემარე მიწოლილიყო და ფიქრებს წაეღო. მაინც گასაკვირია, იასონი ასე گააფთრებით رომ ებრძვის მას.

ერთი რამ მაინც სადღაც ახარებდა არნოუ ნაურბას. ის მარტო არ იყო. იასონმა სამსონსაც ძლიერ შეუტია. მასაც საკმაო წყენა შეხვდა.

— სისულელეა. ბედია, რომ იასონმა სამსონის თანდასწრებით წამოროშა ყველაფერი. დე ლოლუამ გაიგოს თუ ვინ დგას ჩვენ საერთო გზაზე საძტროდ. ახლა ლეიბა?! განა არ მესმის, რომ იგი დროს უცდის, ყველაფერს სწავლობს და თითზე იხვევს. ის ყოველ ჩემს ნაბიჯს უგდებს ყურს. სწონის, მითვალთვალებს. ჰე, დაე, მითვალთვალოს, მას ხომ არ გონია რომ უთვისტომო, უნათესაო და უმეგობრო კაცი ვარ. შეიძლება ლეიბა ფიქრობს, რომ ძლიერი ადამიანები არ უდგას გვერდში არნოუ ნაურბას. განა საოლქო კომიტეტის სიყვარული და ძმაკაცობა მარტო რათა ღირს! არა ძმაო არც თუ ისე სწორი კუთხიდან იწყებს ამხანაგი ლეიბა თავის მოღვაწეობას ჩვენს რაიონში! მანქანამ ალბათ ქვას გადაუარა და მანქანა ძალუმად შეინჯღრა. არნოუმ თვალები გაახილა. მან ძძღოლს შეხედა. ხუტა ჩვეულებრივი გამომეტყველებით იჯდა საჭესთან და ისე, მიაქროლებდა მანქანას. ეტყობოდა მას გზის გარდა არაფერი არ აინტერესებდა. არნოუ მაინც დააშტერდა მძღოლს. უცებ ისიც კი იფიქრა, მიმიხვდა რასაც ვფიქრობდიო და უსიამოვნოდ გააჟრჟოლა. არა, ხუტა თავისთვის წყნარად ზის და საჭეს მართავს. არნოუ უფრო მოხერხებულად მიაწვა მანქანის დასაჯდომს და ისევ მითვლიმა.

„წელს ძლიერ უნდა ვიძუშაო და მოსავალი ბევრი მოვიყვანოთ. სხვებს უნდა ვაჯობო, უკან მოვიტოვო ისინი ყველაფერში. ვერც ერთმა კოლმეურნეობამ ვერ უნდა დამჯაბნოს. ყველას უხდა შევიჯიბრო და გამარჯვებული გამოვიდე. მერმე კი მე ვიცი. მერმე მშვიდობით ჩემო ლამაზო არსაულა. არ მეყოფა ამდენხანს იმ სოფელში წვალება და ტანჯვა. საკმარისია ძმაო, საკმარისი, დრო არის არნოუ ნაურბა ქალაქში ცხოვრობდეს, ქალაქის სუნთქვით სუნთქავდეს. ჯერჯერობით ჩემ ცოდნა-განათლება მეყოფა. დაუსწრებლად ხომ ვსწავლობ, მალე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსაც დავამთავრებ და მერმე მე ვიცი. დე, არსაულა ასტანას და იასონს დარჩეს. როგორც უნდა ისე გაშალონ ფრთები, ისე იმუშაონ და იშრომონ. სოფელი სოფლად რჩება, იქ ცხოვრება წვალებაა და მეტი არაფერი. იასონი და ასტანა სოფელში უნდა მოკვდნენ. მე ამას ვერ ვიხამ. იასონს უნდა სოფლის გამდიდრება და მისი ცხოვრების ამაღლება. ღმერთმა ხელი მოუმართოთ, ვინ უშლის. სისულელეა. სოფლის კულტურა და ქალაქის ერთია? ისინი ფიქრობენ ქალაქს გაუტოლდენ. დე იოცნებონ. არნოუსათვის გეგმების შესრულება ქალაქისკენ წასასვლელი შარა-გზაა. იასონს უნდა საავადმყოფო ააშენოს სოფელში. სისულელეა, ხა-ხა-ხა. განა თუ ვინმე ავად გახდება ქალაქში ცოტაა საავადმყოფოები? ყოველ ეზოში საპირფარეშოების აშენებას აპირებს. ეს ხომ ჩვენი ზნეჩვეულების, მამაპაპათა წესების დარღვევაა. საპირფარეშოების აშენება ახლა მთავარიაო იძახის, ხა-ხა-ხა, გადაიხარხარა ისევ არნოუმ. არნოუ იცინოდა, მაგრამ თითონვე გრძნობდა, რომ მისი დასკვნები არც ისე ძლიერი და მართალი იყო, ისიც იცოდა არნოუმ, რომ იასონი წვრილმანი ფიქრის და აზრის კაცი როდი იყო. არნოუმ კარგად იცოდა, რომ იასონს სოფელი წმინდა და ნამდვილი სიყვარულით უყვარდა. არნოუს ამის ჭკუაც ყოფნიდა და მიხვედრაც. ის ნამდვილად გრძნობდა, რომ სადღაც სტყუოდა, იქ, სადაც კომუნისტი უსათუოდ მართალი უნდა იყოს. იცოდა ეს არნოუ ნაურბამ და ამიტომ უმალავდა თავისთავს ამ ფიქრებს. რა ექნა, იგი ადამიანი იყო.

* * *

გუდოუში ძლიერი სიცხე იცის. მთის ფერდობებზე, ზემოდ, კავკასიონისკენ ყოველთვის უფრო გრილა. არნოუმ

დღეს უფრო იგრძნო მზის ეს მცხუნვარება. დამსვენებლებს სულ დაეფარათ ზღვის პირი. ბანაობის შემდეგ, ზოგი სილაზე გაწოლილიყო და შრებოდა, ზოგი ნაპირიდან დაშორებით ხრეშზე გაშხლართულიყო და მზეზე თევზივით ირუჯებოდა. ზღვა კი თაკარა სიცხისგან თითქოს უფრო დამძიმებულიყო ისე წყნარად და მალულად სუნთქავდა ვეებერთელა უბეში, მხოლოდ ხანდახან როგორც დაღლილი კამეჩი ისე გაიზმორებოდა და თეთრ მღელვარე ქაფს ნაპირს შეატბორებდა. ეს თეთრი ქაფი სილაზე და ხრეშზე როგორც საცერში წყალი ისე გაუჩინარდებოდა. შორს, ზღვის სიღრმეში მეთევზეთა ნავების თეთრი პატარა იალქნები თოლიებივით ფარფატებდნენ.

სამსონ ლოლუა ზედ ზღვისპირას ცხოვრობდა. მის სახლს მზის ალმურისა და ზღვის ქარებისაგან მშვენიერი ბაღი იცავდა. შუა ეზოში მეტად ლამაზი, ფართეაივნიანი ორსართულიანი სახლი იდგა. აივანი ვეება შუშებით იყო ჩაჭიქული. ეს მას ზღაპრულ, ჰაეროვან ელფერს აძლევდა. შორიდან ბროლის კოშკი გეგონებოდათ ისე გამჭვირვალედ მოჩანდა მისი კედლები. სახლს გარს ერტყა მიწამდე ტოტებდახრილი, დახუნძული ათასნაირი ხეხილის ნარგავები. „ახარდანი"-ს ჯიშის ვენახი ხეებზე და სახლის გარშემო შემორაგულ მისთვის განკუთვნილ რკინის ბოძებზე იყო შეტოტებული. შუშაბანდის სარკეებში ელავდა შეთვლილი მტევნების ლალისფერები. ხეებს შუა ფერადი საღებავებით შეღებილი სკამლოგინები და ობობას ქსელივით მსუბუქი საქანელები მოსჩანდა. მთის წყაროს თვალი მილებით გამოეყვანათ და აუზში ჩაეშვათ. აუზში მრავალნაირი თევზები ელავდნენ. სამსონი და არნოუ ბაღიდან გამოვიდნენ თუ არა ზედ ზღვის ნაპირზე მოხვდნენ. ტანთ გაიხადეს და ზღვის ტალღებისგან გარეცხილ ხრეშზე ჩაიმუხლეს.

— მზე ყველაფერს სწვავს,—სთქვა სამსონმა. — სანამ ჩვენც არ შეუხრაკივართ ზღვის სიღრმეში, დავემალოთ მის მცხუნვარებას — ლოლუა წამოდგა, არნოუმაც მას მიბაძა.

— მოდი შევეჯიბროთ, ვინ მეტ ხანს გაძლებს წყალში. — ისევ სამსონის სიტყვა გაისმა.

— შენი ნება იყოს, შევეჯიბროთ.— უგულოდ უპასუხა არნოუმ.

არნოუმ განზრახ, ვითომ ფილტვებმა ვერ გაუძლო, ფართქუნით ამოყო თავი წყლის ზემოდ, ეს სამსონს ასიამოვნა ნაურბამ. სამსონმა კი კარგა ხნის შემდეგ ამოყო ზღვის ნაპირიდან შორს თავი და იგრძნო რა გამარჯვება, სიამაყით გადმოხედა არნოუს, არნოუ ვითომ გაჭირვებით ცურავდა ისე მისდევდა რაიალმასკომის თავმჯდომარეს მხარულით. სამსონი უკან შემობრუნდა და გახარებული სიცილით იჭაჭებოდა. ამ სიცილის დროს მან რამდენჯერმე უცაბედათ გადაყლაპა ზღვის მარილიანი წყალი და მართლაც კინაღამ გაიგუდა. უკან შემობრუნდნენ. ლოლუა ახლა ზღვიდან შემოსქცეროდა თავის ეზოგარემოს და სიამოვნებისგან სტკბებოდა. იგი ხედავდა მის სახლს, ასე რომ ელვარებდა მზის სხივების ოქროსფერ ნიაღვარში, ზურმოხტოვან ბაღს და მაღალ მესერს. ხედავდა და სულში საოცარი სითბო ეღვრებოდა. იგი შორიდანვე ამჩნევდა ხებს შუა მოფუსფუსე ქალებს, რომლებიც მათთვის ამზადებდნენ სუფრას.

—ქალები დიდი მონდომებით გვიმზადებენ სადილს, ჩაილაპარაკა არნოუმ — ყოველ კარგ დიასახლისს ყოველთვის მზად აქვს ყველაფერი. ცაბუ ხომ შეუდარებელი ხელის პატრონია, ალბათ, დღესაც ბედნიერებას მოგვანიჭებს უგემრიელესი კერძებითა და საწებლებით.

— კერძის გემოს მაგიდაზე რომ დავსხდებით, მაშინ შევაფასებთ, — ჩაილაპარაკა არნოუს სიტყვებით გაამაყებულმა სამსონმა.

ისევ ქვიშაზე წამოწვნენ. წყლის წვეთები სცვიოდა ორივეს და სუფთა ზღვის კენჭებს ასველებდა. არნოუმ

მაინც ვერ მოითმინა და სათქმელი, რომელიც სულს უწუხებდა, თითქოს თავისთვის ჩაიბურდღუნა:

—ნეტავი, ჩვენ სტუმარს მანამ არ წაიყვანდნენ, სანამ ჩვენ თვითონ არ მოვიფიქრებთ გარეული ბატივით მისი კისერის მოგრეხას?

სამსონი ვერ მიხვდა აკრულ-ჩაკრულს და გულუბრყვილო ღიმილით თქვა:

— ვეცადოთ მაგიდაზე დიდხანს დავიტოვოთ, ბევრი ღვინო შევასვათ, რომ დაითროს.

— მე დღევანდელ დღეზე კი არა, სამსონ, სხვა რამეზე გეუბნები. მე მწამს ჩვენი რაიონის ხელმძღვანელად ის კაცი არ გამოდგება.

— ამბობენ, რაც წყალს მოაქვს, უკან ქარს მიაქვსო, — ანდაზით უპასუხა სამსონმა, რადგან არ უნდოდა ასე პირდაპირ ელაპარაკა.

— მართალი ხარ, ძმაო, მართალი. აკვანში როცა ბავშვი არ ეტევა, ამბობენ, გასაზრდელი არ არისო. ხომ ხედავ, როგორი კაცია ლეიბა? მეც ანდაზით გეტყვი: „გარეულმა მამალმა შინაური გააგდო თავის ეზოდანო“. იმის მოსვლამდე ჩვენ საკმაოდ ვიშრომეთ, ხალხიც პატივსა გვცემს, თუ მან კიდევ თავისი დაიჟინა და არ გაგვიგონა, აი, ასე უნდა ვუყოთ. — არნოუმ მარჯვენა ფეხი ისე მოიქნია თითქოს მოედანზე ბურთს ურტყამდა. ამით აჩვენა სამსონს, მოედანიდან გავაგდებთო. — ჩვენს რაიონს ასეთი ბიჭები უნახავს? —განაგრძო მან ისევ. — მერე ვინ აპირებს ჭკუა გვასწავლოს? უთვისტომო ბიჭი, უდედმამო, უსახლკარო და უოჯახო. ამბობენ, ნაბუშარიაო.

ასეთ კაცს თავი რაიონის ბატონ-პატრონად მოაქვს. შენ როგორ ფიქრობ, მას თავისი ნამდვილი გვარი აქვს? არნოუ არ მოგიკვდეს. არავინ არ იცის მისი ნამდვილი სახელი და გვარი. ლეიბამ არც კი იცის ვინ იყო მისი მამა. აბა, თქვი კაცო, ადამიანი რომ მამის ოჯახში არ გაზრდილა, კერიაზე პური არ გაუტეხია, ის საქმეს გააკეთებს და ამოდენა რაიონს გაუძღვება? სისულელეა, პირდაპირ გეტყვი, ის ამის ლირსი არ არის, სამსონ, ნამდვილად არ არის!

— ნეტავ მაინც სად უნდა იყოს გაზრდილი? — იკითხა სამსონმა, რომელიც არ ფიქრობდა არნოუს ცხელ გულს აყოლოდა.

— ამბობენ, გაგრის ბავშვთა სახლში აღუზრდიათ, საშუალო სკოლაშიც იქვე სწავლობდა თურმე, მერე მოსკოვში ტიმირიაზევის სახელობის აკადემია დაუმთავრებია. ცოტა ხანს რომელიღაც უცხო რაიონში უმუშავნია. ახლა კი, როგორც ხედავ, ჩვენ გამოგვიგზავნეს, გადმოგვილოცეს რაღა! ერთი რამ მაკვირვებს მაინც, მოსვლისთანავე ეჭვიანად, უნდობლად დაგვიწყო ყურება. ხალხის წინაშე ჩვენი გაშავება მოინდომა, ყოველდღე იმას ცდილობს, ჩვენი სახელი ლაფში ამოსვაროს. შესძლებს კი? მე მგონია, გაუჭირდება. ვერ მოგვერევა ლეიბა, ვერ მოგვერევა. მამაჩემს აქვს ცხონება, წყნარად და პატიოსნად ევლო თავის გზაზე უფრო მოიგებდა.

— არნოუ, ერთი რამე უნდა გკითხო? მაინც ვერ მივხვდი, რა შენიშნე ცუდი ლეიბას, ვფიქრობ და ვერ მიმხვდარვარ, ვცდილობ და მაინც ვერ გამიგია.

— რა ვერ გაგიგია, სამსონ?!

ხომ არ ვცდებით მე და შენ, არნოუ!

— შეცდომას ბავშვობის ასაკში უშვებენ. ახლა რაღა დროს ჩემი შეცდომებია, შე კაცო. ჩემს ასაკში კი არ ცდებიან, რწმუნდებიან, ძმაო, რწმუნდებიან. მე როგორც შევხედე, იმ წუთშივე მივხვდი, რა კაციც არის ჩვენი რაიკომის მდივანი. მას უნდა პირველად შენი მდგომარეობა შეარყიოს, მერმე მეც ხელი მკრას და მომიცილოს. ხომ გახსოვს, შენ რომ ჩემი ეზუგბას კოლმეურნეობაზე მიმაგრება მოითხოვე, როგორ აშკარად, დაუფარავად წავიდა ჩემს წინააღმდეგ? ხომ გახსოვს, ხომ არ დაგვიწყებია, სამსონ. იასონი, ასტანა? ნუ გგონია იმათ არაფერი ესმით და არ ხედავენ. იმათ იმ წუთშივე იგრძნეს რაიკომის ახალი მდივნის ჩვენდამი

ასეთი ცუდი განწყობილება. მიხვდნენ მის ჩანაფიქრს და ამიტომაა ტყავიდან რომ ძვრებიან. დარწმუნებული ვარ, ისინი ლეიბასთან იყვნენ და მოილაპარაკეს კიდეც. ამის გარეშე იასონი ასეთ სიტყვებს გაკადრებდა შენ, სამსონ ლოლუას? ნუთუ ეს არ გესმის, სამსონ?

— მესმის, მაგრამ...

— კიდევ „მაგრამ"...

— ხანდახან იასონიც მართალს ამბობს, არნოუ!

— რომელ სიმართლეზე ამბობ, სამსონ, შენ!

სამსონს არ უნდოდა ყველაფერი ბოლომდე ეთქვა, ახლა არნოუ მისი სტუმარი იყო და ასეთი რამ უხერხულად ჩათვალა.

— დაგვიანდა, ძმაო, მზე, ხომ ხედავ, სად გადასულა. საცაა სტუმრებიც მოვლენ. — ბანზე აუგდო სიტყვა არნოუს და ჩაიოდგა.

— საჭარელი რა გაქვს, სამსონ, ცაბუმ იცის სტუმრების საპატიოდ შეხვედრა.

სამსონმა მაინც იჩქარა.

ეზოში ცაბუ და მეზობლის ქალები უკვე სუფრას შლიდნენ. მამაკაცებმა ძლივს მოასწრეს ბაღში სკამზე ჩაძოჯდომა, რომ უკვე დაიძახეს: სტუმრები მოდიანო.

მართლაც, ჭიშკარი გაიღო და მწვანე კოინდარზე რაიკომის მდივანი ადგურ ლეიბა და მისი მეუღლე აიდა გამოჩნდნენ. ცაბუ გაოცდა. არ ელოდა ლოლუას ქალი აიდა თუ ჩვეულებრივი ჩითის კაბით ესტუმრებოდა მის ოჯახს და ადგურიც ასეთი უბრალო ტანსაცმლით მოვიდოდა მათთან.

აიდა, არც თუ მაღალი, შავგვრემანი, გრძელი შავი ნაწნავებით, ფართო თვალებით და უბრალო მიხვრა-მოხვრით მნახველს ატყვევებდა. აიდა არ იმჩნევდა, მაგრამ გუნებაში გაკვირვებული იყო რაიაღმასკომის თავმჯდომარის მეუღლის მეტად შეუფერებელი ჭრელ-ჭრული ტანსაცმლით, რომელიც სულ არ შვენოდა ცაბუს.

სტუმრები მაგიდას მიუსხდნენ. ცაბუ ეფერებოდა აიდას და თან ფიქრობდა: „როგორი შავი ქალი ყოფილა, თითქოს ბუხრიდან ახლა ამომძვრალა". მამაკაცები აშკარად და მოურიდებლად აძალებდნენ ადგურს ღვინოს. აიდა უხერხულობას გრძნობდა. ხედავდა როგორ ევლებოდა ცაბუ თავზე, როგორი სიამოვნებით მოქონდა სხვადასხვა კერძი, თითქოს ეუბნებოდა: „აი, ნახე, რაიკომის მდივნის მეუღლევ, რანაირი სუფრა იცის ლოლუას ოჯახმა, უბრალო ხალხი არ გეგონოთო". აიდა კარგად ხედავდა ამას და ცაბუს მაგივრად ცხვენოდა, წითლდებოდა. იგი დარბაისლურად ამბობდა უარს მირთმეულ კერძებზე.

—ვინ შეჭამს ამდენს, ცაბუ ჩემო? — ეუბნებოდა კრძალვით აიდა.

ცაბუ მაინც არ ცხრებოდა. ახლა საცივი მოართვა ღრმა საინით. აიდამ ჩანგლით აიღო ქათმის ფრთა. ცაბუ ცას მისწვდა. მან სათითაოდ მოავლო სუფრაზე მსხდომ ქალებს თვალი. „აი, შეხედეთ, რაიკომის მდივნის მეუღლემ ჭამაც კი არ იცის, ჩანგლით აიღო საცივში ჩაბუჟბუჟებული ქათმის ფრთა. ეს ვინ გაიგონაო", ამბობდა მისი გამოხედვა.

სამსონი არ აურჩევიათ, მაგრამ, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, თვითონ დაიწყო სადღეგრძელოები. სტუმრების შექების შემდეგ მან მოზრდილი ყანწი გამოსცალა და არნოუს გადააწოდა. არნოუ დიდი მონდომებით და კეთილი სურვილებით შეუდგა ადგურის და აიდას შექებას. ახლა მის სიტყვებში საყვედურის ნატამალიც არ ჩანდა. კაცი იფიქრებდა, რომ იგი მზად იყო რაიკომის მდივნისათვის საჭიროების დროს სიცოცხლეც კი გაეწირა.

ადგურის რიგმა მოაღწია, მან უარი არ თქვა ჩვეულებაზე, რქას ხელი მოკიდა. სადღეგრძელო დაიწყო.

— ვალდებული ვართ ეს სასმისი ყველამ შევსვათ, მაგრამ ამდენი თუ

დავლიეთ, ძალზე დავთვრებით, დროსაც ბევრს დავკარგავთ... სამსონმა შეატყო საით ხრიდა სიტყვას ადგური და აღშფოთდა.

— როგორ გეკადრებათ, ადგურ ბატონო, მაპატიეთ, მაგრამ აფხაზურ სუფრაზე სავალდებულოა ჩვენი ჩვეულება დავიცვათ. ეს ღვინო ულაპარაკოდ უნდა დაილიოს.

ადგურმა ხმა არ ამოიღო ისე გამოცალა ყანწი.

სამსონმა და არნოუმ ერთიმეორეს შეხედეს და მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმეს. რაიაღმასკომის თავმჯდომარე ცნობილი იყო თავისი თამადობით. მის ნათქვამს ვერც მიუმატებდით და ვერც რამეს გამოაკლებდით. ამაში სამსონს, მართლაც, ტოლი არ ჰყავდა რაიონში. მალმერთებელიც ბევრი მოეპოებოდა. მათ ვერც კი წარმოედგინათ უიმისოდ აფხაზური სუფრა. ისიც იფერებდა და ისეთ ცეცხლს გააჩენდა სუფრაზე, რომ დაულეველი კაცი არ დარჩებოდა.

არნოუ სხვების შესახედავად მოკრძალებით იჯდა სუფრაზე. ხანდახან ჩაურთავდა ალისმომკიდებელ სიტყვებს, მისი მიზანი იყო მოპაექრეები წაეკიდებინა, ერთმანეთისთვის შეეჯახებინა. დღეს ეს არ გამოუდიოდა არნოუს. ადგური მის მკენწლავ სიტყვებს უბრალო, გამანადგურებელი, წყნარი ღიმილით პასუხობდა.

აიდას არ მოსწონდა ასე გადაჭარბებით მონდომებული მასპინძლობა. ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითი იყო, რომ ცაბუ და სამსონი განზრახ ამაღლებდნენ მათ სტუმრობას. აიდა გრძნობდა ამას, მაგრამ რა ექნა, სტუმარი ვალდებული იყო პატივისცემით მოპყრობოდა ყველას. ღვინომ სტუმრები შეახურა.

* * *

არნოუს მანქანა რაიონის ცენტრალურ ქუჩაზე სწრაფად მიქროდა. ქალაქის ბაღთან მან მძღოლს უბრძანა სიჩქარე შეენელებია.

მძღოლმა ნელა წაიყვანა მანქანა.

არნოუმ მანქანიდან დაიწყო ბაღში მყოფი ადამიანების თვალიერება. იგი ყოველ კაცს განსაკუთრებულად აკვირდებოდა.

ბაღის შესასვლელთან მძღოლს შეუყვირა:

— აბა, გააჩერე!

ხუტამ მანქანა ძლიერად დაამუხრუჭა.

— აი, ეს კი, ნამდვილად ის არის,— გაიფიქრა არნოუმ.

— ბაღს გააშორე მანქანა და სადმე მოხვეულში დამიცადე! — უბრძანა ხუტას.

არნოუ სწრაფად გაემართა ბაღისკენ, „ვაი თუ თვითონ დამინახა, იქნება სირმა დამემალა კიდეც? კი, შეიძლება ასეც მოხდა. ვერ იქნა და ვერ შევიგუე, თავს მარიდებს, მიფრთხის, მაგრამ სანამ უნდა მემალოს?

— „მწყერი მიმინოს უნდა წამოუფრინო, დანარჩენი მისმა კლანჭებმა და ნისკარტმა იცის“. — ასე გადაუდიოდა ერთი ფიქრი მეორეზე არნოუს, ღვინის ეშხი ფრთებს ასხამდა და სირმას ნახვის სურვილს უასკეცებდა. ამაღამ თუ სირმა არ მონახა, არნოუ ღამეს ვეღარ გაათენებს. ცეცხლი ენთება გულმკერდში არნოუ ნაურბას. ალმასხანის ქალიშვილი სირმა, ახალგაზრდა ინჟინერია, გუდოუშია და, აი, ეს სწვავს არნოუს, ეს დაგავს. სირმა მისთვის ამქამად ყველაფერია: ვნებაც, სიცოცხლეც და სიყვარულიც. სულ ორიოდე წუთის წინ დალანდა იგი, ახლა კი აღარსად ჩანს.

„სად გაქრა, თვალსა და ხელშუა გამეპარა, ნუთუ ვეღარ ვნახავ“.

ბოლმა მოეკიდა არნოუს.

ალმასხანის ქალიშვილი კი ამ დროს ზღვის ნაპირზე ასტანა ბღანბას მოყვებოდა მხარდამხარ. სწორედ ამ სირმას დარდი კლავდა არნოუს. ამიტომ იყო, რომ ასე ეფერებოდა „კერაზ[illegible] მჯდომარე ალმასხანს. ამ[illegible] რომ ყველა მის თხოვნას [illegible] უპასუხოდ ვერ სტოვებდ[illegible]

* * *

სტუმრებს როცა გაისტუმრებენ, მასპინძლები ჩვეულებრივად მაშინ მიუჯდებიან ხოლმე სუფრას. ცაბუ სიამოვნებით სვამდა ახლა ლიმონიან ჩაის. მთელი დღის ფაცაფუცის და სუფრის მოვლით დაღლილს ახლა შეეძლო თავისთავისთვის მიეხედნა. სამსონი ლოგინში ჩაწვა, მაგრამ ძილი არ ეკარებოდა.

„ყველაზე მართალს გული გიგრძნობს ადამიანს. — ფიქრობდა იგი. — ყური რასაც მოისმენს, განა ყველაფერი მართალია? აი, მე ყურით მოვისმინე, ჩემი გული კი არ უჯერებს მოსმენილს. მაშ რა საჭიროა ადამიანისთვის ყურები, თუ რასაც მოისმენ, არ დაუჯერებ? რამდენი ხანია ჩასჩიჩინებს არნოუ ნაურბა რაიკომის მდივნის ცუდკაცობას. სამსონს და მის გულს კი არ სჯერა, ვერ შეიძულა ლოლუამ ადგურ ლეიბა. არნოუს სძულს ლეიბა. ის ფიქრობს, რაიკომის მდივანს გზიდან ჩვენი ჩამოშორება უნდა. ვითომ მართალია არნოუ? სადღაც არ მჯერა, რომ ადგურს ასე უმიზეზოდ ადამიანების სიძულვილი და მტრობა შეეძლოს? ძნელია მისი სახისა და ყოფაქცევის კაცს ასეთი შავი გული ჰქონდეს. არნოუ კი გადაეკიდა და სულ ცუდს ფიქრობს მასზე. მეც ვისმენ და ვისმენ მის ლანძღვა-გინებას! შეიძლება ნაურბას სხვისი ხელებით ნაცვერცხლების გამოღება სურს გავარვარებულ ბუხრიდან? თუ ეს ასეა, მე რათ ვუსმენ მას.

სამსონი ააფორიაქა ასეთმა ფიქრებმა. იგი კედლისკენ ოხვრით გადაბრუნდა. მოსამსახურე გოგო უკვე სუფრას ალაგებდა. ცაბუმ ჩაიც დალია და ივახშმა კიდეც. მან დაღლილობა მოიმიზეზა და თვითონაც მიწვა.

— გძინავს, სამსონ! — შეეხმიანა ქმარს ცაბუ.

სამსონმა ხმა არ გასცა. იგი წყნარად სუნთქავდა.

სძინავს. — გადაწყვიტა ცაბუმ. მას ძალიან უნდოდა ქმართან გაეჭორა დღევანდელი სტუმრები. ეთქვა, — რომ აიდა ძალზე უსახო და ართვალი ქალია. რომ ადგურმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. რატომ ხდება, რომ ადგურ ლეიბასანა ადამიანებს რაიონის ხელმძღვანელად ნიშნავენ ხოლმე? ყველაფერს სიამოვნებით ეტყოდა ახლა ცაბუ თავის ქმარს, მაგრამ მძინარე კაცის გაღვიძება ვერ გაბედა რაიაღმასკომის თავმჯდომარის ცოლმა.

სამსონს კი არ ეძინა. მას თავისი ბოღმა და დარდი აწუხებდა; „არნოუსგან კარგის მეტი არაფერი მახსოვს. ისევ განაგრძობდა ფიქრს სამსონი. საფუძველი რომ არ ჰქონდეს, რატომ დაუწყებდა თავის კეთილ ძმაკაცს, სამსონს გაფრთხილებას. არნოუ ხალხშია. შიგ მის გულში ტრიალებს. ალბათ, გაიგონა და ამიტომ წინასწარ ეუბნება მეგობარს სათქმელს. აბა, ხომ არ უნდა დამიმალოს ჩემი უბედურება? მაგრამ მე რომ არაფერი მესმის! ნუთუ დავყრუვდი და გამოვლენჩდი? სამსონმა თვალები გაახილა. ოთახში ერთიანი სიბნელე ჩამოწოლილიყო. ფანჯრიდანაც კი არ შემოდიოდა შუქის ნატამალი. მან ისევ დახუჭა თვალები. არც ცაბუს ეძინა. დელბების ასე უჩვეულო, სულ სხვანაირი ყოფაქცევა მისთვის გაუგებარი იყო. ასეთი რაიკომის მდივანი მას არასდროს არ ენახა.

მანქანაში არც კი ჩაჯდა, ცოლთან ერთად ფეხით გავლა ამჯობინა. როცა სამსონი და არნოუ სადღეგრძელოში აქებდნენ, მას სახე ისე ეჭმუხნებოდა, აშკარად ეტყობოდა, წუხდა. არ მოსწონდა ეს ქება-დიდება. არა, ასეთი რაიკომის მდივანი, მართლაც, პირველად ნახა ცაბუმ.

— რა თქვი, გენაცვალე! — წამოსწია თავი ცაბუმ.

— არა, მომეჩვენა, სძინავს, ალბათ, ცუდი რამე ესიზმრება და წუხს. — გადაწყვიტა ცაბუმ, გადაბრუნდა და ჩაიძინა.

* * *

აიდა მშობლების სახლში ათევდა ღამეს. სოფელ ამხიდიდან, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ, უფრო ადვილი იყო ახლო-მახლო კოლმეურნეობებში სიარული. იმ დღეს მისი უმცროსი ბიჭი ბესლანი ესტუმრათ და მონატრებულმა დედაშვილმა დიდხანს ვერ ჩაიძინეს. დილით, ჩვეულებისამებრ, აიდა ადრე წამოდგა. მას დღეს ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი. იგი „რაიაბრეშუმის“ აგრონომად ახლად დანიშნული იყო და გუდოუს რაიონის მეაბრეშუმეობას ახლოს უნდა გაცნობოდა. ადგური გადმოიყვანეს თუ არა ამ რაიონში, ისიც ქმარს გადმოყვა და თავისი სპეციალობის მიხედვით შეუდგა მუშაობას. ერთი სოფლიდან მეორეში დადიოდა, აბრეშუმის ჭიის მოვლის თავისებურ პირობებს ეცნობოდა. აიდა გააცა აქაური მეაბრეშუმე ქალების ცოდნამ და შრომის უნარმა.

ბესლანი არ გააღვიძა. ფრთხილად გამოაპარა მის მკლავზე მწოლარე ბიჭს ხელი და საწოლიდან გამოცურდა. ბავშვმა იგრძნო დედის მოშორება და თვალებგაუღებლად დაუწყო ხელების ფათური საწოლს. ცოტა ხანს აფათურა პატარა ხელები და მერმე მაინც ძილმა დასძლია. მკლავები ისე გადაშალა, თითქოს წყალში ნახტომისთვის ემზადებოდა და ისევ ჩაიძინა. დიდხანს დასცქეროდა აიდა შვილს. მერე ღიმილით მოშორდა საწოლს, ხელ-პირი დაიბანა, ისაუზმა და ისევ ოთახში შებრუნდა. ბიჭს ისევ მკლავგაშლილს ეძინა. აიდამ ფეხისწვერ გაიგონა და კარებისკენ შემობრუნდა. ზღურბლზე მისი დედ-მამა იდგნენ.

— მე უნდა წავიდე, საქმეს მოვრჩები და შემოგივლით, — წყნარად ჩაილაპარაკა აიდამ.

მოხუცებმა სიტყვა არა თქვეს, მადლიერი და კეთილი თვალებით გააცილეს ქალიშვილი.

აიდა ფეხით გაყვა შარაგზას. მოკირწყლული, ფართო შარაგზა თითქოს დასალიერში თავდებოდა. უცებ ზურგს უკან მანქანის მუხრუჭების ხიჭვალი მოესმა. მოიხედა. ორიოდე წამიჯზე აღმასკომის თავმჯდომარის მანქანა დაინახა. შიგ ცაბუ იჯდა.

— დილა მშვიდობისა, აიდა, ასე ადრე სად ბრძანებულხართ?

— ამხიდაში ვიყავი მშობლებთან. საჩქარო საქმეები მაქვს და ადრე წამოვედი, — უპასუხა გაოცებულმა აიდამ. მას თავის მხრივ აკვირვებდა, რომ ცაბუ ასე ადრიანად ნახა სოფლის შარაგზაზე.

— ასე უთენია რა საქმეები უნდა გქონდეთ, აიდა! — იკითხა გაოგნებულმა ცაბუმ. აიდამ ახლა კარგად შეამჩნია, ცაბუს უძილობისგან თვალები ეხუჭებოდა.

— მოსავლის აღების დროა, მთელი ხალხი ამ გაგანია სიცხეში შრომობს და ძალღონეს არ იშურებს...

— ეს რამ გათქმევინა, შე ქალო, ისინი მთელი ცხოვრება ასე მუშაობენ. მერე შენ რა! განა საკადრისია ასეთი კულტურული ქალი მარტოდმარტო გამოსულხარ შარაზე ასე უთენია? რას იტყვის ხალხი!

— დილ-დილობით ფეხით სიარული, ჩემო ცაბუ, ჯანღონეს უმატებს ადამიანს.

— აიდა, შენ გავიწყდება, რომ რაიკომის მდივნის მეუღლე ბრძანდები. პატივისცემა უნდა გქონდეს, ავტორიტეტი არ უნდა შეუბღალო ქმარს. მე მგონია, ასეთი რამ შენ არ შეგეფერება.

— ცაბუ, გენაცვალე, მე ჩემი სახელი და გვარი მაქვს. ამასთან ჩემი პროფესიაც და პატივმოყვარეობაც ასე მიკარნახებს. რაიკომის მდივნის ცოლობა თანამდებობა როდია. — ახლა მკვახედ უპასუხა აიდამ. მისმა კილომ ცაბუ მიახვედრა, რომ აიდას აწყენინა. იგი დაიბნა, რაღაც უაზროდ ჩაილაპარაკა, ჩერ ჩეტი ადამიანის მდგომარეობაში ჩავარდა. არ იცოდა რა ექნა. ბოლოს მაინც სცადა სხვა რამეზე გადაეტანა საუბარი.

— ჩვენ კი... ღმერთმანი ვიტანჯებით. ყველგან ჩვენ გვეძახიან და გვეპატიჟებიან. ხან ქორწილში ამოგვდის სული და ხან ქელეხში. უბრალო სტუმრობას არ იკითხავ?! ნათლობა, დღესასწაულები, უარს იტყვი თუ?! ძალღონე გამოგველია, სიკვდილის პირას ვართ ორივე ცოლ-ქმარი მისული. — ეს სიტყვები, ასე თუ ისე, გულწრფელად იყო ნათქვამი.

— ასე ადრე მაინც საიდან მობრძანდებით! — ახლა ხმა დაურბილდა აიდას.

— ჩემმა ძმისშვილმა ცოლი შეირთო, ხომ მიყურებ, რას ვგავარ... ყველაფერი ჩვენს კისერზეა, ყველაფერი ჩვენ უნდა გადავიტანოთ, — გულიდან ამოსკდა ახლა ცაბუს.

აიდამ თავი ველარ შეიკავა და ოდნავ გაიღიმა.

— ქორწინება, მართლაც, დიდი ბედნიერებაა, ჩემო ცაბუ, მაგრამ თუ ასე იღლებით და იტანჯებით, მაშინ ამდენი ძალღონე არ უნდა შეალიოთ.

— ჰოი, რა კარგი ხარ, აიდა. თითქოს ჩემი უხმო გულისთქმისთვის დაგეყურადებინოს. შენ გგონია, მე სხვანაირად ვფიქრობ? არა, მაგრამ ამ ჩვენ ჩვეულებებს ვინ გადააბიჯებს, ვინ გადაახტება მის კანონებს?

— არა სჯობია, ცოტაზე ფეხით გავიაროთ? ამ დილით სურნელოვან მინდვრების პირზე სეირნობას ნუ დაიწუნებ ცაბუ!

— უკეთესია, სადაც გნებავს, იქამდე მე თვითონ მიგაცილებ მანქანით.

— სჯობია არ დაგაყოვნოთ.

— გაგაცილო მინდა. ისე დაღლილი ვარ, რომ...

— კარგი, შენი ნება იყოს. — შეეცოდა აიდას ცაბუ.

აიდამ შორიდან, ფრთხილად დაუწყო ლაპარაკი ცაბუს, გამოკითხა მოწაფეობის დროს სად სწავლობდა, მუშაობდა თუ არა წინათ და უყვარდა თუ არა თავისი პროფესია.

ცაბუს მოეჩვენა, რომ აიდა თავისი შეკითხვებით თითქმის ექადებოდა კიდეც და უძილობით გაყვითლებული ქალი სულ მთლად გათეთრდა.

— წინათ ექთანად ვმუშაობდი, სამსონი როცა რაიალმოსკომის თავმჯდომარედ დანიშნეს, ქალის ხელი უფრო საჭირო შეიქნა მისთვის და გაზრდილი ოჯახისთვის. სახლს უფრო მეტი დოვლათი დააკლდა, ვინემ ჩემი ხელფასი...

— კი მაგრამ ,შენი საქმე ხომ დაგავიწყდება, ნუთუ არ მოგესურვება ხოლმე ექთანად მუშაობა?

— სურვილი ერთია, ღირს თუ არა ის სამუშაო, ეს კი მეორეა... — ენა დაება ცაბუს. იგი მოიღუშა და თან გაიფიქრა „უყურეთ ერთი, ეს შავი ვირთხა ჭკუის სწავლებას მიწყებს, ჭკუას მასწავლის, შური ახრჩობს, მე რომ ისე ვცხოვრობ, როგორც ეს ხელმძღვანელი მუშაკის ცოლს შეეფერება“.

აიდამ სახეზე წყენა შეამჩნია ცაბუს და უფრო სიფრთხილით შეუდგა თავისი აზრების მტკიცებას. ცაბუ უკვე აღარ უსმენდა მას. ესეც კარგად შენიშნა აიდამ. მან იცოდა, რომ არც თუ იოლი საქმეა ასეთი ადამიანებისთვის რაიმეს დამტკიცება, ადამიანებისთვის, რომლებიც მუდმივად ასეთ საზეიმომდიდრულ ცხოვრებას მიეჩვევნენ. თვითონვე უჩივიან ასეთ ცხოვრებას, მაგრამ თავს მაინც არ ანებებენ.

ცაბუ ძლივს იჭერდა თავს. უნდოდა ისეთი მწვავე სიტყვა ეთქვა ამ მეტიჩარა „შავტუხა გოგოსთვის“, რომ ჭკუის მასწავლებლის მადა დაეკარგა მისთვის, მაგრამ ერთი რამ აკავებდა, აიდა რაიკომის მდივნის ცოლი იყო და მასთან ჩხუბი სხვა ქალებთან ჩხუბს როდი უდრიდა. როგორც იქნა მივიდნენ იმ ადგილამდე, სადაც უნდა დაშორებულიყვნენ. ერთი თავისი გზით, მეაბრეშუმე ქალებისკენ უნდა წასულიყო კოლმეურნეობაში, მეორეც ქმრის სამსახურის მანქანით თავისივე სახლში გამოსაძინებლად. მართლაც ასე მოხდა, ცაბუმ ქალაქს მიაშურა, აიდამ კი

სოფლის ორღობეში შეაბიჯა. მას უკვე ელანდებოდა წვრილი წკნელისგან დაწნული ჩელტები, ზემოდან დამშეული აბრეშუმის ჭიის ათასეულები რომ მისეოდა. აიდას თითქმის ყურში ესმოდა თუთის ნორჩი ფოთლების შრიალი.

მოიარა თუ არა რამდენიმე მეაბრეშუმის ოჯახი, აიდა სოფლის საბჭოში შევიდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! სწრაფად წამოდგა იასონი და შეეგება მას. აიდამ ქალური კრძალვით ჩამოართვა ხელი სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს და მიწოდებულ სკამზე დაჯდა.

— რამ შეგაწუხათ, არსაულაში რომ მობრძანებულხართ? — შეეკითხა იასონი აიდას.

— ამხიდიდან მოვდივარ, იასონ. ჩემი პროფესიაც ასეთია. სანამ ვისმე ვკითხავდე როგორ ბრძანდებით-მეთქი, პირველად იმას ვიკითხავ — როგორ არის თქვენი აბრეშუმის ჭია-თქო. — გაიღიმა აიდამ.

— წელს მგონი პარკის ცუდი მოსავალი არ უნდა გვექნეს.

— უკვე მოვიარე ოჯახები და მეც ასე ვფიქრობ, იასონ, მინდოდა თქვენც გამოგევლოთ ჩემთან ერთად.

— რასაკვირველია, წამოვალ, უჩემოდ არც კი გქონდათ უფლება ჩემს მრევლში გევლოთ, — იხუმრა იასონმა.

საბჭოდან გამოვიდნენ და ნელა გაუდგნენ სოფლის გზას. მზეს უკვე ჩაეტანებია სოფლის ორღობეებში გამხმარ შუკა-გზებზე ეზოებიდან გადმოტოტებული ლეღვის ფოთლები ნიავისგან დაირეზივით ირხეოდნენ.

მზე ჯერ კიდევ მალავდა თავის ბრიალა სხივებს დასალიერში. ადგურ ლეიბამ მანქანა გზის პირას დატოვა და თითონ „აბზანხარას“ ჩაის პლანტაციებში გადავიდა. დილა იწყებოდა; ჯერ კიდევ კარგად არც კი იყო შეთენებული, მაგრამ თეთრი თავსაფრები, ნაწნავებს ზემოთ რომ შემოეხვიათ ქალებს, უკვე ფრიალებდნენ ჩაის ბუჩქებს მწკრივებში. ნორჩი და ხუჭუჭი ყლორტები დილის ცვარში ბანაობდნენ და ბრწყინავდნენ. თვალს ახარებდა ხვავიანად წამოზრდილი საკრეფი ფოთლები. წელს კოლმეურნეობა „აბზანხარაში“ დიდ მოსავალს ელოდნენ.

ეზიგუ ეზიგუბამ, რაიკომის ბიუროს მითითების შემდეგ, მართლაც რომ ქარიშხალი დაატრიალა კოლმეურნეობაში.

— სოფელს სირცხვილი უნდა მოვაშოროთ, მეზობლებო, — ეხვეწებოდა ის კოლმეურნეებს და მართლაც, ბეჯითმა შრომამ თავისი გაიტანა. ახლა, როცა ეზიგუ მტკიცედ გრძნობდა თავს, მოთმინების ფიალა ევსებოდა:

— რაიკომიდან უნდა მოვიწვიო ვინმე, დე, შეხედონ ჩვენს შრომას და გამარჯვებას, ნახონ ჩვენი სოფლის სიკეთე, დაინახონ ხალხის შრომის უხვი ნაყოფი.

ადგურ ლეიბას მოწვევა როდი დასჭირდა. იგი თვითონ მოვიდა დაუპატიჟებლად.

რაიკომის მდივანი ყურადღებით ათვალიერებდა ჩაის ლამაზად მოვლილ ბუჩქებს და მთელ სხეულში მოზღვავებულ სიხარულს გრძნობდა. განა სხვა გრძნობა შეიძლება დაებადოს იმ დროს ადამიანს, როცა იცი, შენი ამხანაგები ასე ამაღლდნენ. ასეთი დოვლათი შეიძინეს? ადგურმა იცოდა, რომ ამ სოფელს, რომელიც წლევანდლამდე ჩამორჩენილი და ღარიბი იყო, ისეთი გასაღები ეკავა ხელში, რომელიც სიმდიდრისკენ მიაქანებდა.

ადგურმა ისიც იცოდა, ამ გასაღების მონახვაში მასაც წილი ედო. შეიძლება ეს იყო ის, რის გამოც იგი სიხარულთან ერთად სიამაყესაც გრძნობდა. „ვაქკაცურად გიშრომიათ, ბიჭებო!“ — ეს სიტყვები უნდოდა დაეყვირა ახლა ხმამაღლა ადგურ ლეიბას.

მან თვალი გააყოლა ჩაის ბუჩქების მწკრივებს და შეკრთა.

იქიდან, საიდანაც მზე აბრეშუმის ოქროსფერ შოლოებად აყრიდა პლანტაციას სხივებს, ქალი მოდიოდა. მისი ტანის რხევა და სიარული მეტად ნაცნობი ეჩვენა ლეიბას. ადგურმა მზე მარჯვენა ხელით მოიჩრდილა და დაკვირვებით მიიხედა იქითკენ. ქალმა ნაბიჯს აუჩქარა. ლეიბაც უნებლიეთ მისკენ წავიდა. იგი უცებ მეხდაკრულივით შეჩერდა და პლანტაციას გადახედა.

— ღმერთმა ნუ ქნას, ვინმემ დაინახოს იგი ახლა. ვინ იცის, შეიძლება ისიც იფიქრონ, რომ ადგურ ლეიბამ საკუთარ ცოლს აქ დაუნიშნა პაემანი! ეს ფუჭი ვარაუდი როდი იყო. სოფელს ათიათასი ფიქრი აქვს და ასიათასი გამკილავი თვალით იხედება. მით უმეტეს, აქაური ხალხი აზიზია, ამ შემთხვევაში ცოტა რამესაც არ გაპატიებს. არ დაგინდობს, თუ ჩვეული ზრდილობის, სიდარბაისლის ნორმებს არღვევ და ფეხქვეშ თელავ, ვაი შენ ტყავს! მით უარესი, თუ ხელმძღვანელი კაცი ხარ. ამიტომ იყო, რომ ადგური უცებ შეკრთა და შეჩერდა. რაიკომის მდივანმა კარგად იცოდა, რომ აფხაზი კაცი უადგილო ადგილას გამქღავნებულ ცოლქმრულ სიყვარულს არ გაპატიებს.

აიდა ხვნეშით მიუახლოვდა ქმარს. ადგურს გულით უნდოდა მოხვევოდა მეუღლეს, გულში ჩაეკრა იგი. მთელი კვირა არ ენახა მას აიდა, მაგრამ თავი შეიკავა. რა უნდა ექნა? ასეთია მისი ხალხის ურყევი ჩვეები, მით უმეტეს ძნელია მისი დარღვევა, როცა რაიკომის მდივანი ხარ!

ისინი ოფიციალური ნაბიჯით გაემგზავრნენ სოფლისკენ.

— ასეთ უთენია სად იყავი, აიდა? — ახლა უკვე ჩვეული ხმით შეეკითხა ადგური.

— მეაბრეშუმე ქალებს დავხედე.

— მე კი ამ სოფლის წინსვლას მივაყურადე. ჭეშმარიტად სასიხარულო მოვლენაა.

— საღამოს სახლში შემოივლი?

— აბა როგორ, სხვაგან სად წავალ?

— მეც დავბრუნდები. თბილად და მოფერებით თქვა აიდამ.

— ბესლანი უჩვენოდ, ალბათ, მოწყენილია.

— ბიჭი მართლაც ძალზე მოწყენილი ჩანს. ჩაფიქრებით თქვა აიდამ.

ორივენი კოლმეურნეობის გამგეობის შენობისკენ გაემართნენ.

ადგური ყოველთვის ერიდებოდა ცოლთან ერთად საკოლმეურნეო დაწესებულებებში სიარულს. არ მოსწონდა, როცა რომელიმე ხელმძღვანელი, ცოლთან ერთად, ბატონკაცურად შემოივლიდა ხოლმე სოფლებს. მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ იყო. თან აიდაც ოფიციალური პირი იყო.

სოფელი უკვე გაღვიძებული ჩანდა. გორაკებიდან და მინდვრებიდან ორთქლად ქცეული ცვარნამი გუფთაგუფთად იწევდა ღრუბლებისკენ. ძროხები საბალახოსკენ მიიჩქაროდა.

გზაზე აიდა უყვებოდა ადგურს:

— ...მარტო იმაზეა გადაყოლილი თუ რომელი ნათესავის ქორწილზე წავიდეს, რაიალმასკომის მანქანით თავის დობილებს ასეირნებს, სტუმრებს თავიანთ სახლებამდე სახელმწიფო მანქანით აცილებს... საოცარია, მშვენიერი სპეციალობის ქალია. თვითონ მისთვისაა საჭირო მუშაობის დაწყება. ასე შეიძლება ობი მოგეკიდოს და სულ დამძაღდე ადამიანი...

— მართალი ხარ, აიდა, ცაბუს დახმარება ესაჭიროება, ის შენ უნდა დააჯერო მუშაობის დაწყების აუცილებლობაში.

ადგურმა ჭიშკარი გააღო და ცოლი წინ გაუშვა.

* * *

ამ დილით ლეიბამ არსაულაში შეიარა და შემდეგ ახუცაში ფეხით ავიდა. გადახნული მინდვრები გადაიარა და თამბაქოს ნათესებამდე მიაღწია. სწორედ იქ შემოხვდა ასტანა.

— თქვენი სიცოცხლე, ამხანაგო ადგურ! — მიესალმა ხმამაღლა და მხიარულად ბრიგადირი ლეიბას.

— გამარჯობა, ასტან! აბა, კარგი რამე მითხარი, ბრიგადირო. თუ რამე ცუდია, ისიც არ დამიმალო. — ადგურს მოეწონა ბრიგადირის სიცოცხლით და მხიარულებით სავსე კილო.

— ცუდი ცოტა გვაქვს, კარგი უფრო ბევრია, — ისევ მხიარულად შეხედა ლეიბას თვალებში ასტანამ.

— სასიხარულოა, თუ მართლაც ცუდი არაფერია. — მტკიცედ თქვა რაიკომის მდივანმა.

ასტანამ ლეიბას ხმას და კილოს დაყურადა, დამცინავად ხომ არაფერი მითხრაო.

— არა, მის ხმაში მართალი კილო ელერს. — დაასკვნა ბრიგადირმა.

შუადღემდე იარეს ერთად ასტანამ და ლეიბამ, ნათესები ნახეს, ბაღები და პლანტაციები მოიარეს, ფარდულებში თამბაქოს უკვე გამხმარი ფოთლების შეფუთვას დაესწრნენ და ტყის ნაპირას საფუტკრეში შეიარეს. მზე ძალზე აცხუნებდა. ასწლოვან მუხის ჩრდილში ჩაიმუხლეს. ისინი უცებ შენიშნა გაჩიმ. კლუბის გამგე შეკრთა და შეჩქვიფდა. მერმე ვითომ ძალზე ეჩქარებოდა, მათ გვერდი აუარა და სოფლისკენ თავქვე დაეშვა.

— ვფიქრობ, საფუტკრე უნდა გამრავლოთ. — შორიდან დაიწყო ადგურმა საუბარი.

— უიმისოდ არ შეიძლება, — დეთანხმა ასტანა,

— ახუცა მთის ყვავილებით არის სავსე, ქარიც არ იცის, ეს კი საფუტკრე მეურნეობის განძია, განძი.

ასტანა ოდნავ შეიჭმუხნა. გაახსენდა თუ როგორ აუქშია არნოუმ, როცა მან საფუტკრის გამდიდრების შესახებ ჩამოუგდო საუბარი.

— სისულელეა, — თქვა ნაურბამ ჩვეულებისამებრ, — როცა დრო მოვა, მე თვითონ ვიცი, რა გავაკეთო.

— ფუტკრის გამრავლება კოლმეურნეობას გაამდიდრებს. — დაჟინებით სთხოვდა ასტანა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

— ეს შენი საქმე არ არის, შენ, რაც დაგავალეს, ამხანაგო, ის შეასრულე! — ბრძანა მაშინ არნოუმ.

ამიტომ იყო, რომ ბრიგადის საფუტკრე ისევ პირველყოფილ მდგომარეობაში დარჩა. ახლა სიტყვას მოყვა და ასტანამ არ დაუმალა ლეიბას. ადგურმა მეცხოველეობაზე ჩამოუგდო საუბარი ბრიგადირს.

— მდიდარი მუხნარის პატრონები ხართ, განა არ შეიძლება ღორები აბალახოთ ამ შესანიშნავ ფერდობებზე. რკოც თავსაყრელად გაქვთ და რძიანი ბალახიც. მაშ რა გიშლით ხელს?

— ისეთ საკითხს შეეხეთ, რომელიც დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევს, მაგრამ...

— რა მაგრამ...

— ნუთუ თქვენ არ იცით ამ საქმის ისტორია. — გაიკვირვა ასტანამ. იგი ცოტა ხანს გაჩუმდა, ჩაფიქრდა. თითქოს დაღონდა კიდეც. მერმე თავი ასწია და რაიკომის მდივანს თვალებში პირდაპირ შეხედა.

— თქვენ არ შეიძლება არ იცოდეთ ჩვენი ერთი დიდი ნაკლის შესახებ. ჩემსა და არნოუს შორის ვერ არის მეგობრული დამოკიდებულება. მე მგონია, თქვენ ეს გეცოდინებათ.

— მე ყველაფერი არც ვიცი და ამისი არც ძალღონე შემწევს... — ისეთი კილოთი თქვა ლეიბამ, რომ ასტანას აგრძნობინა „განაგრძე დაწყებულიო“.

ბრიგადირი წყნარად, გულდამშვიდებით მოუყვა არნოუს შესახებ. ასტანას არც ის დაუმალავს, რომ მას სწამს, თავმჯდომარის ისეთი ქცევა კოლმეურნეობას სწორ გზას ააცდენს და უკან დასწევს. თავისი პირადი შეურაცხყოფის შესახებ იგი გაჩუმდა, არაფერი თქვა.

— ყველაფერი ეს კარგად მოყევი, ასტან, მაგრამ სად არის მიზეზი არნოუს

ასეთი ყოფაქცევისა, რა უბიძგებს მას ასეთ გზაზე იაროს?

— ძნელი სიტყვაა ადგურ, ძნელი. ანდაზა ხომ გაგიგონია: ღორი რომ გასუქდება ტყეში გაიქცევა მგლების შესაჭმელადო.

— ანდაზა ანდაზაა, შენ ის მითხარი, რა მიზეზია, რომ არნოუ თავის შეცდომებს ვერ ამჩნევს. თუ შენ გგონია, ამბანაგო, ეს მიზეზები მაინცდამაინც რაიკომის მდივანმა უნდა დაინახოს! ხომ გიფიქრია მის შესახებ, უთუოდ მიმხვდარი ხარ ამ საიდუმლოებას. მაშ რატომ არ იტყვი სიმართლეს, განა აუცილებლად მე უნდა გიკარნახო. კაბინეტიდან უფრო ძნელია ასეთი რამეების დანახვა. შენ კი მასთან აღამებ და ათენებ. მასთან შრომობ, მისი ავკარგიც.

ასტანა მიხვდა, რომ ვალდებულია არაფერი დაუმალოს მას. განა კომუნისტმა ასეთი რამე უნდა მიჩქმალოს და არ გაუმხილოს რაიკომის მდივანს?! არა, ეს აუცილებლად უნდა თქვას მან.

— მე მგონია, არნოუს თავბრუ დაეხვა, ქებამ და დიდებამ იგი არასწორ გზაზე დააყენა. ეტყობა, ცხოვრებაში ზოგისათვის საქები სიტყვა ხანჯლის წვერზე უფრო მახვილად მოქმედებს. პატარაობიდანვე ამაყი ბიჭი იყო არნოუ, მაგრამ ჭკვიან კაცს ხელმძღვანელ სამუშაოზე ყოფნა ცუდ საქციელს შეაცვლევინებს. პირველად მას თავი კარგად ეჭირა. სიდარბაისლე და ხალხის პატივისცემა როდი აკლდა. არც დიდ მცოდნედ და უცოდველად მოქონდა თავი. ხალხს ყურადღებით უსმენდა, კეთილშობილად ექცეოდა. ერთი სიტყვით, ცუდი კომუნისტი არ იყო. ახლა, როგორც მე ვფიქრობ, ზედმეტმა ქებამ გააფუჭა, გააამაყა. გადააჩვია ხალხზე ფიქრსა და მათთან ლაპარაკს. არავისი არ ესმის, არავისი არა სჯერა.

ასტანა წამოდგა. მისთვის ძნელი იყო ამ კაცზე საუბარი. მან კარგად იცოდა, რომ არნოუ ახალგაზრდა, ჭკვიანი და ენერგიული მეურნე იყო. დარწმუნებული იყო მის ნიჭსა და უნარში.

— მიძნელდება ასეთ კაცის შესახებ ამგვარ რამეებზე ლაპარაკი, მით უმეტეს, იგი რაიკომის ბიუროს წევრიც არის...

— ეჰ, რა ითქმის, ასტან ჩემო, თანამდებობით ხალხს თავს ვერ შეაყვარებ და ვერც მათ შორის ამაღლდები. ხალხის პატივისცემა და სიმართლე ადიდებს ყოველ ადამიანს. ხალხს ის უყვარს, ვინც მის ფიქრსა და ძალღონეს ეფერება, ვინც მის ხვალინდელ დღეს შუქს უმატებს, ვინც მის პატიოსნებას და სიამაყეს არ შეურაცხყოფს. იგი გაჩუმდა და ჩაფიქრდა. ლეიბა მიხვდა, რომ არნოუმ არ გაამართლა არსაულლების იმედი. იგი სოფლის მეთაურის მაგივრად მმართველად გადაიქცა. კოლმეურნეები ასეთ ადამიანებს ვერ მოითმენენ, ვერ დაუჯერებენ, შეიძულებენ. ეს კი ყველაზე ცუდია კოლმეურნეობისათვის. ასეთ დროს ხალხის შემოქმედებითი ძალღონე დუნდება, კვდება. მართალი ხალხი ძველი ბიძგით კიდევ შრომობს და მუშაობს, მაგრამ მოვა დრო და მაშინ კი...

ლეიბა მიხვდა, რომ უკვე საჭირო იყო ჭკვიანი გადაწყვეტილების მიღება.

— ნახვამდის, — დაემშვიდობა იგი ბრიგადირს.

— ხომ არ გაგაცილოთ, ადგურ!

— რატომ წუხდები. თვითონ იოლად ჩავალ ქვემოთ. მინდა სხვა ბრიგადებშიც შევიარო. ისედაც ბევრი სამუშაო გაქვს. — გაიღიმა ადგურმა და გულწრფელად მაგრად ჩამოართვა ხელი ბრიგადირს. „კარგი ვაჟია," ფიქრობდა იგი, როცა ხელს ართმევდა ასტანას.

— გზა მშვიდობისა, — გამოეთხოვა ასტანა რაიკომის მდივანს.

კიდევ დიდხანს უყურებდა მიმავალ ადგურს ასტანა. ახლა ის სულ სხვანაირად ფიქრობდა. ყველაფერი სხვაგვარად ეჩვენებოდა. ახლა იგი არნოუს მიმართ უფრო დამნაშავედ გრძნობდა თავს, ვინემ მისგან შეურაცხყოფილად

* * *

გაჩიმ უკვე მოასწრო არნოუს ყურში შხამის ჩაწვეთება.

— ჩემი თვალით ვნახე, — უყვებოდა იგი თავმჯდომარეს, — დიდ მუხის ძირში რაიკომის მდივანი როგორ ეჩურჩულებოდა ასტანას.

არნოუს წელში გასცრა, სახე მოეღუშა.

„ალბათ, ასტანამ მიიწვია ადგური ახუცაში. ალბათ, კი არა, ასე იქნება. განა ამის გარეშე რაიკომის მდივანი იმ მთიან ადგილებში აბობღდებოდა. რომელი რაიკომის მდივანი იყო ლეიბამდე, რომ იმ ზემო ბრიგადის სამუშაოებზე ასულიყო? ასტანამ იეშმაკა და მიიპატიჟა ადგური. იქ მას თავისუფლად შეუძლია უმოწმოდ ილაპარაკოს ჩვენს ნაკლზე, ჩემს შესახებ რაც უნდა, ის უთხრას ადგურს. კი, ნამდვილად ასეა. ალბათ, ადგურ ლეიბაც ამას ელოდა. მას ხომ ასე სძულს არნოუ ნაურბა. თუ მას, მართლაც, უნდოდა ახუცაში ასვლა, მე რათ არ მითხრა, ვინ გაიგონა, რაიკომის მდივანი კოლმეურნეობის თავმჯდომარის შეუტყობლად დაიარებოდეს სოფელში. არა, ვერ მომატყუებთ, ბიძია, ვერა. სულელი არ გეგონოთ, ყველაფერს ვგრძნობ და ვხვდები. სწორედ ამიტომ ვეჭვობდი, ამიტომ გავუცხადე სამსონ ლოლუას. ჩემი მტრები ჩემს გარშემო მახეებს აგებენ. უნდათ გამაბან და დამლუპონ, ეს უეჭველად ასეა, რა ქნას ახლა ნაურბამ? ავიდეს იქ, ახუცაში! არ ვარგა ასე. სჯობია აქ მოუცადოს. ერთი კი საშიშია, შეიძლება ადგურს გზაზე კიდევ ვინმე დახვდეს ჩემი მტერთაგანი და კიდევ უფრო მეტი უთხრას?! განა მათ ენას გასაღებით დაკეტავს კაცი?“

არნოუს ეჭვი და მერყეობა ჩაუდგა ტანში. არა, ისევ სჯობია შეეგებოს და ჭორიკანებს შხამის გადმონთხევის საშუალება არ მისცეს. ის სულ არ ელოდა თუ ადგურ ლეიბა სამი დღე-ღამე დარჩებოდა არსაულაში და ყველაფერს თავის თვალს დაადგამდა. ლეიბა დაუზარებლად დაყვებოდა ბრიგადებს, ეკითხებოდა მათ ათას რამეს, დადიოდა ოჯახებში, ეცნობოდა მათ წუხილს და სიხარულს, მათ ფიქრსა და ოცნებებს. მთავარი ის იყო, რომ ხშირად ეს არნოუს გარეშე ხდებოდა. მის დაუსწრებლად მიმდინარეობდა, ის კი არა, ადგურს ერთხელაც არ უკითხავს რაიმე არნოუსათვის კოლმეურნეობაზე.

ლეიბას არსაულაში ჩამოსვლამ არნოუს სიამაყე და სიმტკიცე დაუკარგა. მის სახეზე ღიმილი გაქრა, ჭმუნვა დაეუფლა. ღამე აღარ ეძინა, თვალები დაუწითლდა, ლოყებზე სიყვითლე შეეპარა.

— მინდა ერთი რამ გკითხო, არნოუ, — როგორც იქნა გამოსცრა კბილებიდან ლეიბამ.

— გისმენთ, — უგულოდ უპასუხა არნოუმ.

— მართალი მითხარი, არნოუ ნაურბა, ნუ თუ არ იცი, რაზე წუხან არსაულელები?

— როგორ არ ვიცი, ყველაფერი ვიცი.

— იცი რა აწუხებთ მათ?

— ბევრს აქვს ჩემი შური, ამხანაგო ადგურ, თუ გახსოვს, ერთხელ გითხარი კიდეც ამის შესახებ.

— აი, სწორედ ეს შური და მტრობა ვერ აღმოვაჩინე მათ წუხილში, არნოუ, გულწრფელად უნდა გითხრა, შენ ადამიანების ცნობას გადაეჩვიე. მათი აღარა გწამს და გჯერა.

— ამას მე მეუბნები, ადგურ! მერე მე ვინა ვარ?! მე ხომ ის კაცი ვარ, რომელმაც ამ სოფელს სახელი გაუთქვა და დიდება მიანიჭა...

—დიდება და სიამაყე არსაულას ხალხის შრომამ მიანიჭა, ამხანაგო ნაურბა. ეს იცი, როდის მოხდა? როცა შენ მათი თანხმობით, მათი დიდი მომაკლის სურვილით მუშაობდი. ახლა კი შეხსა და მათ შორის უფსკრული იხსნება, შენ მათ ერიდები. ფეხით სიარულსაც კი აღარ კადრულობ, მანქანიდან არ გადმოდიხარ. აქაც, აი, ამ კაბინეტშიც ვერ გეუბნებიან ისინი სიმართლეს, გერიდებიან, თანდათან გშორდებიან, უცხონი ხდებიან შენთვის.

ადგურმა კაბინეტში იქეთ-აქეთ დაიწყო სიარული და ისევ განაგრძო:

— მაინც საოცარია, საიდან ჩაგიფრინდა თავში ასეთი უჩვეულო აზრები. მე არც ერთი კოლმეურნე არ მინახავს არსაულაში, რომ შენი შრომა არ დაეფასებინოს. განა ისინი უარყოფენ, რომ შენ დიდად შეუწყე ხელი სოფლის გამდიდრებასა და დიდებას? მათ ყველაფერი კარგად იციან და ამისათვის დიდ პატივს გცემენ კიდეც. მაგრამ შენ, როგორც კი მიაღწიე წარმატებას, ერთ ადგილზე შეჩერდი, წინსვლის სურვილი დაკარგე, მოპოვებულით დაკმაყოფილდი. მე ვიტყოდი, გამაძღარი ცხვარივით ერთ ადგილზე მიწევი და ბალახს ტკეპნი. თუ ვინმემ ეს გითხრა, იმ წუთშივე შურსა და მტრობას აბრალებ ყველაფერს. ჭორიკანების მოჩმახულად ასაღებ ამას. შეიძლება მართლაც გყავდეს სოფელში მტრები და მოშურნენი. ეს მოსალოდნელია და ასეც ხდება ცხოვრებაში. თუნდაც ასე იყოს, მერე რა, განა ეს გაძლევს უფლებას ასე დაიბნე და დაიშალო? მოდი და ძმურად თქვი, შეიძლება კომუნისტმა ისეთი ცხოვრებით იცხოვროს, როგორც შენ ახლა ცხოვრობ?! ხომ იცი, ხალხს არაფერი არ გამოეპარება. არნოუ ნაურბა, მართლა ღმერთი კი არ იხედება ყველგან, ხალხი იხედება, ხალხი. ხომ მიხვდი რაზე გეუბნები... შენ პირად ცხოვრებაზე, შენ პირად ნაკლზე გეუბნები.

არნოუს უნდოდა ერთი სიტყვით მოეჭრა ლეიბასათვის ყველაფერი. დე, გაიგოს რაიკომის მდივანმა, რომ მისი პირადი საქმე სხვას არ ეხება, ეს მხოლოდ მისი საქმეა და მეტი არაფერი. ბოლოსდაბოლოს, ისიც ხომ რაიკომის ბიუროს წევრია. არც ისე მაღლა დგას მასზე ადგურ ლეიბა. ვინ მისცა უფლება ჩხრიკოს მისი პირადი სულიერი სამყარო? უნდოდა ეთქვა, მაგრამ სიტყვაც კი ვერ დასძრა. პირი გაუშრა, ენა ჩაუვარდა, ბავშვივით დაიბნა ამოდენა ვაჟკაცი.

ორივენი გაჩუმდნენ. ახლა თითოეული მათგანი ცდილობდა თავი შეეკავებინა და ზედმეტი არაფერი წამოსცდენოდა.

— ერთი რამ გახსოვდეს, არნოუ, უნდა დაფიქრდე, ღრმად ჩაუკვირდე შენ ყოფაქცევას, — წყნარად, ხმადაბლა, თქვა ადგურმა, მერე ტელეფონის მილი აიღო და ლოლუას დაურეკა.

— თუ ძალიან დაკავებული არ ხარ, სამსონ, ამ საღამოს რაიკომში დამხვდი. მე არსაულაში ვარ და საღამოს მანდ ვიქნები.

— რა მოხდა, ასეთი საჩქარო რა არის?!— მოისმა ტელეფონიდან სამსონის შემკრთალი ხმა.

— ისეთი არაფერია. შენთან შეხვედრა მინდა დღესვე.

— აბა, მე წავედი, არნოუ, იცოდე შენი იმედი მაქვს. — გამოემშვიდობა ადგური ნაურბას.

რაიკომის მდივნის დაძახებამ სამსონი ცუდ გუნებაზე დააყენა. სამი დღე არ ენახა მას ლეიბა და ასეთმა მიპატიჟებამ ცუდი წინაგრძნობა დაუბადა. ვერ მოისვენა, უგუნებოდ გახდა.

— დაბრძანდით, — შემოეგება ლეიბა სამსონს. ეს დღეები არსაულაში ვიყავი. მინდა შენც გაიარო და ერთი სამი დღე იქ დაჰყო. გახსოვს, შენ უკვე გითხარი „კერაზის“ შესახებ, მაგრამ სჯობია თვითონ დახედო, ახლოს გაეცნო ვითარებას. ხომ იცი, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო. არ მეგონა, ასე ცუდად თუ იყო იქ საქმეები. ბევრი რამ გამოგვრჩენია მხედველობიდან.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა ზედ გულზე დაუბაგუნეს ლოლუას. მას წყენა დაეტყო.

— „როგორც ჩანს, რაიკომის მდივანი ჩემს შესამოწმებლად ჩავიდა არსაულაში. განა სამი დღე იყო საჭირო, რომ არსაულას კოლმეურნეობას გაცნობოდა მდივანი? რა უნდა მომხდარიყო იმ სოფელში ისეთი, რომ მე ვერ გამეგო. ეტყობა, არნოუ მართალი ყოფილა. ლეიბას ნამდვილად ჩემი გაფუჭება სდო-

მებია. მას უნდა დაამტკიცოს, რომ მე სხვის ცოდვებს ვჩქმალავ და არ ვამხელ. მაშინ არნოუს არ დავუჯერე! მას თურმე ჩემთვის კარგი უნდოდა, მე კი არ ვენდე, ეჭვი შემეპარა მის მეგობრობაში. რა უნდა ვქნა ახლა, როგორ შევხედო არნოუს თვალებში?

ადგურმა შეამჩნია, სამსონი ძალზე ღელავდა, მაგრამ იფიქრა, რომ ახლა მოფერების დრო არ იყო.

არსაულელები შენი უკმაყოფილონი არიან, სამსონ...

ეს კი ლოლუამ ვერ მოითმინა. ვერ დაიმაგრა აღელვებული სისხლი.

— კარგად მესმის, ამხანაგო ლეიბა, მართალია, გვიან მივხვდი, მაგრამ მაინც მესმის. ადგურ, პირდაპირ გეტყვი ყველაფერს. ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა მითხრა, რისთვის მეპყრობი ასე უდიერად, რა გინდა ჩემგან. ტყუილა არ მაფრთხილებდა არნოუ ნაურბა, მაშინ არ დავუჯერე. ახლა კი ნათელი მოეფინა ყველაფერს. ვაი, რომ მაშინ არ დავუჯერე მას?

ლეიბა ელოდა და არც ელოდა მის ასეთ აფეთქებას. იგი მაინც არ აყვა ვნებებს, თავი შეიმაგრა და გაიღიმა კიდეც.

სამსონი ამ ღიმილმა კიდევ მეტად გააცეცხლა.

— ადგურ, ჩემს ნაკვალევზე ცუდი ამბების ძებნა დაგიწყია. ტყუილად გარჯილხარ, იქ ისეთს ვერაფერს იპოვნი. მე მერდინში გაცრილი ფქვილი ვარ. ხალხი კარგად მიცნობს. პარტია მენდობა. იცოდე, შენს აქ ჩამოსვლამდე ღომი არ მოგვშივებია და ჩვენს შრომასაც არც თუ ცუდად პატივსა სცემდნენ.

— ტყუილა გაცხარდი ასე უცებ, სამსონ ჩემო, სათქმელიც არ დამასრულებინე. შე კაცო, ისე გაჯავრდი.

— განა გასაჯავრებელი ცოტაა? ჩემი სოფელი ყოველთვის მენდობოდა, პატივს მცემდა, ვუყვარდი. ახლა ვიცი, ვინ მიფუჭებს სახელს, ვინ მებრძვის. ისიც ვიცი, თუ რატომ არ უყვართ არნოუ ნაურბა და რისთვის მტრობენ მას, იასონი, ასტანა, მსოუსტი. იმის იმედით, რომ რაიკომის ახალი მდივანი მათ მხარს დაუჭერს. შენი არსაულაში ჩასვლა ნაკვერცხლებზე ნავთის დასხმა იყო. ცეცხლთან თამაში კი სახიფათოა. ხშირად ის იწვის ცეცხლში, ვინც ის გააღვივა. ვინძლო თვითონ არ გაეხვიო იმ ხანძარში, რომელიც ასე გულმოდგინედ დაანთე.

სამსონმა სულ დაკარგა თავდაჭერის უნარი. იგი უკვე კანკალებდა და ისე ყვიროდა, თითქო ქურდობაში დაეჭიროს ვისმე. სამსონი გამწარდა იმიტომ, რომ იფიქრა: თუ არნოუს ნიღაბს ჩამოგლეჯენ, მისი სახეც, როგორც ნაურბას მეგობრის და მფარველის სახე, როდი იქნებოდა სახარბიელო შესახედავი.

— დაწყნარდი, სამსონ, ჯერ თავი და ბოლო არ იცი, შენ კი შუა ცეცხლში ვარდები პირდაპირ, ზურგიდან დარტყმა რა ვაჟკაცობაა! ნუ ჩქარობ სატევრის მოქნევას, თუ ჯერ მტერი არც კი დაგინახავს, შე კაი კაცო!

— თუ ძმა ხარ, ჭკუას ნუ მასწავლი. მე მოსწავლე ბიჭი როდი ვარ. ნურც კუკუდამალობიას მეთამაშები. არც ერთი არა ვართ ბავშვი — ისევ ღელავდა სამსონი.

— მართალი ხარ, სამსონ ჩემო. ჩვენ ბავშვები მართლაც არა ვართ. ჩვენ უფრო ღრმად, ჭკვიანად უნდა შევხედოთ ჩვენს საქმეს. განა არ ვიცი, რომ გუდოუში არ დავბადებულვარ? განა არ ვიცი, რომ სხვა რაიონიდან ვარ? სამწუხაროდ ამას ზოგიერთი ამხანაგის თვალში ჯერ კიდევ მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მე აქ საზღვარგარეთიდან როდი ვარ ჩამოსული. მეც ხომ აფხაზი ვარ. მეც ხომ პარტიამ გამომგზავნა ამ საქმეზე? ამის დავიწყება არ შეიძლება, სამსონ ლოლუა. ჩვენ ორივემ ერთი აზრით და ფიქრით უნდა ვუხელმძღვანელოთ მონდობილ საქმეს პატიოსნად. სხვანაირად არც შეიძლება. ჩვენ ტაკიმასხარები როდი ვართ, საქმეს ყურადღებით არ მოვეპყრათ.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა სამსონი დააბნია. მან ჯერ კიდევ ვერ დასძლია აღელვება და გაბზარული ხმით უთხრა:

— შენი ვერაფერი გამიგია. ასე იტყვი და ისე კი აკეთებ. ამბობ, რომ მე მართალი კაცი ვარ, ნდობით კი არ მენდობი, ეჭვით მიყურებ, ნამდვილად ველარაფერი გამიგია შენი, ლეიბა, ველარაფერი?!

— თუ გინდა გაიგო, უნდა მაცალო, ჩემო ძმაო, უნდა მომისმინო. ჯერ გაერკვიე, რატომ დავრჩი ამდენი ხანი არსაულაში, რამ მაიძულა იქ ამდენი დღე დამეყო. ეს ორივეს დანაშაულია, ჩემიც და შენიც. მე შენ გენდე, შენ კი არ-ნოუს დაეყრდენი. მერე რა გამოირკვა? ორივენი მოგვატყუეს, გაგვაცურეს, პირში ჩალა გამოგვავლეს. შენ გგონია, ჩემი სურვილით წავედი არსაულაში. საოლქო კომიტეტის დავალებით გამგზავნეს, ჩემდა სამწუხაროდ.

სამსონმა გაოცებით შეაფეთა თვალები ადგურს. სიტყვა გაუშრა, ენა დაება. დიად, მისი ასე ბავშვივით გაცეცხლება ახლა მეტად სასაცილოდ მოჩანდა. ადგური კი შეუჩერებლივ ყვებოდა არსაულაში ნახულს და გაგონილს. არნოუს ორპირობა სამსონის თვალწინ ლეიბას ძუნწი, მაგრამ ნათელი სიტყვებით იხატებოდა და იძერწებოდა. სამსონს ეჩვენებოდა, რომ არნოუ ნაურბასთან ერთად მისი სახეც თანდათან ტალახში ისვრებოდა და ითხვრებოდა. ლეიბა მიხვდა, ახლა სამსონი მზად იყო ამ სასირცხო მდგომარეობიდან თვითგაროზგვაზე გადასულიყო. იგი გულწრფელად დაღონებული ჩანდა, კრიჭა შეკვროდა.

მართლაც, რამდენჯერ მოუსმენია ყველაფერი ეს სამსონ ლოლუას თავისი ყურით, რამდენჯერ გაუგონია და არ კი დაუჯერებია. ყველაფერი ეს მეტად ერცხვინებოდა ახლა სამსონს და თვალი ვერ გაემართა ადგურ ლეიბასთვის.

* * *

მოხუცები მთაში ჩვეულებრივად დილით ადრე დგებიან ხოლმე. წამოდგებიან თუ არა, ეზოს მიაშურებენ. მზის გამოხედვამდე თვალს გადაავლებენ ეზო-გარემოს.

აბდა ხაგბასაც ასეთი ჩვევა ჰქონდა. უთენია წამოდგა, ცხვირმოკუმებული წალდი აიღო და ეზოში გავიდა. სახლის უკან სასიმიდე და ნალია უდგას, ეზოს ბოლოზე კი ორი ვეება თხმელის გატოტილი ხე არის. რა მოხდა. ორად-ორი ხე დგას. აბდა იმათ უმზერს მის სიცოცხლეში, უცქერის და იცის, რომ ისინი მთელი მისი ცხოვრების უთქმელი მოწმენი არიან. განა მარტო მისი ცხოვრების მოწმეა ეს ორი ხე. იმათ კარგად ახსოვთ აბდას მამა-პაპაც კი. მათ მძლავრად გაუდგამთ თავიანთი, ჯერ კიდევ ჯანიერი ფესვები მიწაში და ტოტები ცისკენ აუზიდავთ.

აბდამ საქათმისკენ გასწია. საქათმე წნელით იყო მოღობილი და მეჩხერ, თხელ კედლებში გარედანაც ჩანდა ქათმები. ქათმებმა იცნეს პატრონი და აკრიახდნენ. პირველად ვარიები გამოფრინდნენ გაღებული კარებიდან, სულ ბოლოს მამალმა გადმოაბიჯა კეკლუცად. მისი ფარშავანგივით ლამაზი და აბრიალებული ბოლო ჯერ კიდევ გაუნათებელ დილას სხივსა და ლაზათს მატებდა. სიდარბაისლე რომ არ დაეკარგა, მამალმა ჯერ მაღლიდან გადმოხედა ეზოგარემოს, ბოხი ხმით ჩაიქურქულა და მერმე გადმოფრინდა ქათმებში სააშიყოდ. მამალს მამლაყინწა მიჰყვა, მას კიდევ ვარიები და მოჩოთები გაეჯიბრნენ. ქათმებმა ნახეს, რომ დილის საუზმე არ მოართვეს, მინდორს შეესივნენ და კენკა დაიწყეს.

მოუსვენარმა აბდამ ბოსელს მიაშურა. სახბორის კარი გამოაღო, გაიგეს თუ არა კარის გაღება, ხბორები იმ წუთშივე წამოდგნენ, აბდა ყოველ მათგანს მოეფერა, თავზე ხელი გადაუსვა და თან პაოი სახელები ხმამაღლა გაიმეორა.

იქიდან მოხუცმა სამზარეულოში შეიარა, ხელები დაიბანა, საწველი ქოთანი გადმოიღო და ბოსელში ძროხებთან შევიდა. ჯერ ხბო მიუშვა. ხბო ხტუნვით მიადგა რძით გაპიტკინებულ ძუძუებს. ჭლოშინით სწოვდა თითეულ მათგანს და თან კუდს ატრიალებდა. შეეჭა თუ არა ცალ-ცალკე ყოველი ძუძუ, აბდამ

ოხით გადენა ხბო და თვითონ შეუდგა გამოწველას. ძროხამ ნელა დაუწყო შუალზე ლოკვა თავის პირმშოს, თითქოს ეუბნებოდა, მოითმინე, მოითმინე, შვილო, შენს საყოფს მაინც დაგიტოვებენო.

გასუქებული და ნაპატიები ხბო წყნარად იყო და აბდას ხელს არ უშლიდა. ნაწველ რძეს მოხუცი ქვაბში ასხამდა. მან ჯაჭვით მაღლა ასწია სარძევე ქვაბი, ალბათ, იმისათვის, რომ კატას ჭაშნიკი არ აეღო ქაფქაფა რძეზე. აბდამ წველა დაამთავრა თუ არა, ხბოები ისევ ჩაკეტა, ძროხები კი ეზოს გადაღმა, საბალახო მინდვრებისკენ გადარეკა. მოხუცი დიდხანს უყურებდა საბალახოებისკენ მიმავალ ძროხებს.

მოხუცს უხაროდა მათი მზერა. ეს იყო წლების მანძილზე შრომით მოპოვებული მისი სიმდიდრე. სხვა სიმდიდრეც არ აკლდა აბდას. არსაულაში მოსახლეს ვერ ნახავთ, რომ თავისი ვენახი არ ჰქონდეს გაშენებული. აფხაზეთში ხშირად გაიგონებთ, არსაულა ვაზის სამშობლოაო. მართლაც, გულსა და თვალს ახარებს არსაულას ვენახები, მაღალ თხმელებზე შეტოტებული ვაზის ლერწები.

აბდა განთქმული მევენახე გახლდათ სოფელში. მისი დაყენებული ღვინო სხვა სურნელებისა და ფერის იყო. სოფელში არც ყოფილა შემთხვევა აბდას მოწოდებული სასმისი ვინმეს არ დაეცალოს. ის კი არა, დალევდნენ თუ არა ამ ღვინოს, ყველა ამბობდა:

— დაგელოცოს მომკრეფი და დაჭყეხებელიო.

კაცმა რომ თქვას, თვითონ ღვინოს არ ეტანებოდა. ისე ნასვამი, რომ ენა ახ ფეხი შეშლოდეს, არავის უნახავს, თუმცა სოფელში რომელიმე ოჯახში მისი შესვლა დიდ პატივისცემად იყო მიჩნეული. ყველგან სიამოვნებით შეაგებებდნენ ისეთ შავ ღვინოს დანით რომ ვერ გაჭრი, ისიც სიდარბაისლით ხათრს არ გაუტეხდა მასპინძელს და ოჯახს დაულოცავდა, ხარ-ძროხას უკურთხებდა, მარჯვენას შეუქებდა.

თვითონაც შეუზარხოშებლად არავის გაუშვებდა ეზოდან, სასმისს სასმისზე ძიაძალებდა, სტუმარს გუნებას ანებებინიდა და ამით თითონაც გულწრფელად ხარობდა. ასეთი ხასიათის იყო აბდა ხაგბა. კოლმეურნეობის გამგეობის მიმართ თავისი საჩივარი ჰქონდა მოხუცს. ვერ გაეგო, თუ რისთვის არ ცდილობდნენ სოფლის დღევანდელი მეთაურები ვენახის მოშენებას. აბდას გულს უკლავდა ის, რომ კოლმეურნეობის სიმდიდრის სალაროს ასეთი შემოსავლის წყარო აკლდა. ერთ დროს კი ვაზი სოფლის სიმდიდრე გახლდათ. რა უნდა ექნა მოხუცს. იგი შეღონებით უყურებდა მოუვლელი ვაზის ტოტებს, გაუთოხნელი ვენახის ძირებს. მხოლოდ კარმიდამოებში დარჩა მშვენიერი ვაზის ძირები. საკოლმეურნეო ვენახი კი გახმა და ჩამოჭკნა. ეკალბარდი მოერია, თავისი მიმზიდველი ეშხი დაკარგა. გული არ უთმენდა მოხუცს და მარტოდ-მარტო დაეხეტებოდა საკოლმეურნეო ვენახში. იგი თვითონ ახვევდა და კრეჭდა, თოხნიდა და წამლავდა ვენახს. ერთი კაცი კი, აბა, რას მოუხერხებდა მთელ ზვარს? მოხუცს არც ბრიგადირის დაძახება უნდოდა და არც შრომადღის დაწერა. ეს ბრიგადირმა არ ქნა:

— აბდა ბატონო, თქვენ შრომობთ და მე რომ შრომადღე არ დაგიწეროთ, ამის უფლება არა მაქვსო.

დღესაც მოხუცი წალდით და სასხლავით ხელში ვენახისკენ წავიდა.

— დილა მშვიდობისა,—ესალმებოდნენ მოხუცს მეზობლები.

აბდამ თხმელის გარშემო ჟალტამის გაწმენდა დაიწყო. იგი აუღელვებლად ჩეხდა ეკალბარდს და იზაბელას მტევნებით დახუნძულ თხმელის ძირს ასუფთავებდა.

მოხუცმა ასტანას მოკრა თვალი.

— ჰაუ, გამარჯობა შენი, დად!— მიესალმა იგი ბრიგადირს.

ასტანამ მოკრძალებით ჩამოართვა ხელი.

— კიდევ მინდოდა, დად, მეკითხა შენთვის. ვიცი ბევრჯერ ერთი და იგი-

ვეს შემკითხველი სიტყვას ფასს უკარგავს და მსმენელსაც თავს აძულებს, მაგრამ გული მტკივა, შვილო, გული, და მიტომ მინდა გითხრა. ნუთუ, ასე უნდა გაჩანაგდეს ეს ძვირფასი სიმდიდრე?!

— ეჰ, აბდა ბატონო, ვხედავ და ვწუხვარ, მაგრამ რა ვქნა არ ვიცი. რამდენჯერ ვთქვი კრებაზე, მაგრამ ამ საკითხის მოსმენაც კი არ ისურვეს.

— კრებაზე, დად, როდი წყდება ასეთი საქმე. მე ვფიქრობ, აქ უნდა მოხვიდეთ წალდით ხელში და წავიმუშაოთ. კრება რად უნდა ამას, შვილო.

—მართალი ხარ,—წამოწითლდა სახეზე ასტანა. შენს გარდა სოფელში არავინ წუხს ამ საქმეზე, საუბედუროდ.

— მე ქება არ მეკადრება და არც ვარ, შვილო, ჩვეული. ნუთუ, კოლმეურნეობაში ჩაის გარდა არაფერი გვაქვს, განა ვენახი ნაკლებ სიმდიდრეს იძლევა?

— მართალი ხარ, ძია აბდა, მართალი.

— ჰოდა, თუ მართალი ვარ, დაუკვირდით, დად, დაუკვირდით. აი, შეხედე ამ ვაზის ლერწებს, ეკალბარდს შეუჭამია და დაუჭკნია. რატომ არ გეცოდებათ? ეკალბარდი მტერია და აბა, მტერს ვინ არ ებრძვის ამ ქვეყნად. ჩვენ ძალიან გვიყვარს, როცა სუფრაზე ალისფერი ღვინო კამკამებს სასმისებში. მისი მოვლა კი გვავიწყდება. განა ეს სიგლახე არ არის? ჩაი მე კი არ მძულს, მიყვარს, მისი ფოთლები ქვეყნის დოვლათია, მაგრამ ვაზის ძირი რატომ უნდა გავახმოთ. ჭკვიანი მამა შვილებს ერთმანეთისგან არ გაარჩევს, ასე ვინც მოიმოქმედებს, ოჯახს დაასუსტებს, დააღარიბებს, საძირკველს ძალღონეს დაუკარგავს. სოფლის მეთაური—სოფლის მამაა. ბრიგადირიც ასეა, დად. მეზობელი სოფლები ვაზს ამრავლებენ, ამდიდრებენ, ჩვენ კი ვახმობთ და ვღუპავთ, ჩვენმა წინაპრებმა, ვინ იცის, საიდან ჩამოიტანეს მისი პირველი ფესვი, ახარეს, გაამრავლეს, ჩვენ კი ასე გულგრილად ვეპყრობით. მერე, ხედავ რა ჯიშები გვაქვს. მარტო კაჭიჭი რად ღირს, ახლა ახარდანა, აჭკიკი! არა, დად, ამას სოფელი არ გვაპატიებს.

მოულოდნელად გამოჩნდა არნოუ, იგი გაჯავრებული ჩანდა. შეხედა თუ არა აბდას და ასტანას, არნოუმ გაიფიქრა:

„ჩემზე ჭორებს თხზავენ, ალბათ, ეს უსინდისოები“.

სალამი მაინც მისცა, მაგრამ მისალმება მეტად ცივი იყო.

— გამარჯობა, არნოუ, დად! სწორედ შენზე გვქონდა საუბარი.

— ოჰ, ეს არ მიკვირს. ამ ბოლო დროს ჩემზე ბევრს ლაპარაკობენ და საკმაო დროს ხარჯავენ.

— საქმე იმაში კი არ არის, თუ რას ამბობენ, საქმე იმაშია, თუ როგორ ლაპარაკობენ შენზე.—ამაყად და ჩაფიქრებით უპასუხა აბდამ.

— ეჰ, ყველას ვერ ასიამოვნებ, ერთს რომ პატივსა სცემ, მეორეს ამის გამო შურით გული უსკდება, მესამე გაგჭორავს და თავს ლაფს დაგასხამს ხოლმე. რას იზამ, უნდა მოითმინო კაცმა. ფილთაქვა გახურდება, გაცხელდება და თავისთავად გასკდება, აუცილებლად გასკდება.

— მე კარგად მახსოვს, არნოუ დად. შენზე მხოლოდ კარგს ამბობდა ხალხი. ჩემი რჩევაა, მეგობრებს ნუ შეურაცხყოფ, ნუ დაამცირებ, ხომ იცი, მეგობრებს მოფერება და მოვლა უნდა. მათ ფიქრს გაგება უნდა, მათ ნათქვამს მოსმენა ესაჭიროება. მობეჭავე ხარები სახნისით სწორ ხნულს ვერ გაიტანენ.

ასტანას ეუხერხულებოდა, რომ მის უნებლიედ არნოუსთვის ასეთ გამჭორავ საუბარს ესწრებოდა. მაგრამ, რადგან დაესწრო უცებ გადაწყვიტა, პირდაპირ ეთქვა თავისი აზრი.

— აბდა მართალს გეუბნება, არნოუ!

— შენგან სხვა სიტყვას არც ველოდი, შენ ხომ საკოლმეურნეო საქმეები გაწუხებს.

— არა ხარ მართალი, დად. ჩემი და ასტანას წუხილი სხვების წუხილიც

არის. იცოდე, არნოუ, ისინი წუხან, ვინც შენ პატივსა გცემენ. მტრები ასეთ დროს გახარებულნი არიან. ისინი შეგაქებენ კიდეც. კარგი, ჩვენ თავი დაგვანებე. განა დედაშენი არ წუხს? განა ვერ ამჩნევ, თუ როგორი აფორიაქებულია შენს გამო ის ქალი. როცა შენ ჭაბუკი იყავი და ასეთი თანამდებობა არ გეკავა, მაშინ ყველას პატივით ეპყრობოდი, ესაუბრებოდი, ჭკუას ეკითხებოდი, ახლა კი არავის აღარ უსმენ, არავის არაფერს ეკითხები. რამ აგიხვია ასე თვალები, შე კაცო.

— ჩემი თვალები, რაც საჭიროა ყველაფერს კარგად უმზერენ, აბდა.

— აბა, სთქვი, რას ხედავ, დად!

— ვხედავ, თუ როგორ მახეს მიგებენ ფეხქვეშ ჩემი ზოგიერთი მეგობრები.

— ტყუილია, არცერთ კაცს შენი ცუდი არ უნდა. თვითონ დაუკვირდი და შეხედე, როგორ იღუპება ვენახი. ნუთუ, შენ არ შეგიძლია ხალხს დაავალო და ვაზი გადაარჩინო? ის ხომ სოფლის სიმდიდრეა, დად?!

— ნუ ცხარობ, აბდა, ჩვენი კოლმეურნეობა ჩაის მეურნეობაა. ვენახზე სხვამ იმტვრიოს თავი!

— ნუთუ, შენ ფიქრობ, არნოუ, რომ ჩაის მეურნეობებს ვენახის მოვლა აკრძალული აქვთ .

— ასეთი ბრძანება არ არის, მაგრამ ყველაფერს თავის დრო აქვს, როცა საჭირო იქნება, მე თვითონ ვიტყვი ამის შესახებ. არ მიყვარს ეუჭი საუბარი.

არნოუმ ეს თქვა, ცოცად მიბრუნდა და წავიდა.

— აი, ბეჩაო!—მხოლოდ ეს ორი სიტყვა გაატანა მოხუცმა აბდამ არნოუს და თავი გადააქნია.

* * *

— აბა, ბიჭებო, ვინ დამეწევა?

— გაიქეცი და ვნახოთ.

— ვითომ დამეწევით? ვერ მოგართვით ბადრიჯანი!

— ნუ ტრაბახობ, თუ ბიჭი ხარ გაიქეცი და გვნახოთ, ვინ ჭამს ბადრიჯანს.

— აბა, დამეწიეთ! თითქოს ფრთები გამოესხაო, შურდულივით წავიდა მუშნი, გაჩის—კლუბის გამგის—უმცროსი ძმა. ბიჭი გარბოდა მდინარის პირას მინდორზე. თავზეხელაღებული ბიჭები მწევრებივით მისდევდნენ. ისინი ყიჟინით იკლებდენ გარემოს. მაყურებელს ეგონებოდა, თითქოს მოჯირითე ცხენოსნების რემა მომწყდარიყოს ამ ველურ მინდორზე სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯიბრში. ბიჭები ცდილობდნენ დაწეოდნენ მუშნის.

— აი, თქვე შტერებო!—წამით შემოაბრუნებდა თავს ბიჭი და თან შეამოწმებდა, ხომ არ მეწევიანო. იგი მართლაც უჩვეულო სიჩქარეფით გარბოდა. ასე მიირბინა მდინარის პირამდე. აქოშინებული ბიჭი შემობრუნდა.

— ვინ გაიგონა მკვდრების სირბილი!—ნიშნისმოგებით თქვა მან.

— შენ, ბიძია, ადრე გამოიქეცი, ასე რომ არ გეეშმაკა, ნახე რა სეირს დაგაყრიდით! — წაედავა ხმელ-ხმელი ბიჭი მუშნის. მისი თვალები ისე ბრწყინავდნენ, თითქოს გიშრის შავი ღილები ნამში ამოევლოთ.

— მოდი, მარტო მე და შენ გავიქცეთ,—გამოიწვია მუშნიმ.

— შენ ახლა კარგად იცი, რომ დავიღალე, თორემ...

— ერთი უყურეთ ამას! განა მე ხელებით მოვყავდი ვინმეს?—მუშნიმ ხელი ისე ჩაიქნია, როგორც დიდებმა იციან, შენთან ლაპარაკიც არ ღირსო. მან უცებ გაიშიშვლა ტანი და შეცურდა. პირველად დაყვინთა და წყალში დაიკარგა. ბიჭებმა სუნთქვა შეიკრეს. მუშნის დააგვიანდა. უცებ მისი სველი თავი მეორე ნაპირთან ამოტივტივდა. თმები თვალებზე მისწებებოდა, პირიდან წყალი გადმოაპურჭყა.

— აბა, ისკუპეთ!—შემოსძახა მან.

გამეორება არ დასჭირვებიათ. ისინი ჟივილ-ხივილით გადაცვივდნენ და მდინარეში ერთი ალიაქოთი ასტეხეს. ტალღები ზედიზედ მიასკდა ნაპირს. მუშნიმ შუა მდინარეში ამოწვდილ კლდის

ცხვირს მიაღწია. იგი აფორთხდა, თითქოს ვიღაცის მიერ ამოკვეთილ საფეხურებზე, და ისე დადგა, შორიდან ქანდაკებას დაემსგავსა. ცოტახანს ასე იდგა, მერე ეს ქანდაკება ისევ გაცოცხლდა და წყალში თავდაყირა გადაეშვა. გაჩი ამ დროს გამწარებული ეძებდა ძმას. ვერსად ვერ მიაკვლია მუშნის კვალს. ვერავინ ვერ უთხრა მისი სამყოფელი ადგილი.

— თუ სადმე მოვიხელე, უსათუოდ ვცემ!—იქადებოდა გაჩი.

— არნოუ მალე მოვა და რა ვუთხრა, არ ვიცი, ამ გაქსუებული ბიჭის გადამკიდე. სად უნდა წასულიყო, სად უნდა გადაკარგულიყო, — მარჩიელობდა გაჩი.

— ნამდვილად, საბანაოდაა წასული!—უცებ მოისაზრა და მდინარისკენ დაეშვა.

მუშნი ისევ იმ კლდის ცხვირზე აცოცებულიყო, ის-ე გაშეშებული იდგა, ქანდაკებისგან ძე ხორციელი ვერ გაარჩევდა.

მხოლოდ მაშინ, როცა ძმას მოჰკრა თვალი, გაახსენდა ბიჭს, რომ დღეს მოსამზადებელი ჯირითი ტარდებოდა და ტანში გააცივა.

— ახლავე აქეთ გამოსცურე, შე დამთხვეულო!—მრისხანედ გასძახა გაჩიმ.

— ამ წუთში გეახლებით.—ეს დარბაისლურად თქვა მუშნიმ, რათა ტოლებში გავლენა არ დაეკარგა, მაგრამ გულში უფროსი ძმის ეშინოდა. კლუბის გამგემ ხშირად იცოდა მისი ყურების სრესა... ჯობს, არ იფიქროს ამის შესახებ. მუშნი ახლოს მივიდა ძმასთან და სხვა ბიჭებს რომ არ გაეგონათ, ჩუმად და კანკალით უთხრა:

— დამავიწყდა, გაჩი, დედას ვფიცავ, დამავიწყდა...—მისი თვალები შესცქეროდა ძმის ხელებს, რომლებსაც შეეძლო ასე საჯაროდ, ტოლების წინაშე მისი გალახვა.

გაჩიმ მხოლოდ თვალები დაწკურა და დაუბღავლა;

— ჰოი, შე დამთხვეულო არტისტო!

მუშნი მიხვდა; დღეს გადარჩენილი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტისტებს არ სცემენ—ყურებს არ უწევენ. აწი ჯანდაბას ყველაფერი. მუშნიმ იცის, რა აწუხებს მის ძმას. მოკვდება ბიჭი, თუ ვინმემ ჯირითში დაჯაბნა მუშნი!!

* * *

არსაულასაგან აძიხას მდინარე მსიფსტა ყოფს. მათი დაფერდებული ნაპირები ერთიმეორეს შუაზე გაჭრილი ვაშლივით გვანან. სათავესთან ვიწრო კალაპოტია, მდინარე ვიწრო კლდეებს შუა სწრაფია და მჭუხარე. ქვემოთ თანდათან გაივაკებს და მდორდება. იგი იქ ვერცხლისფრად ელავს, სწორედ ამ ვაკე მინდორზე იკრიბებიან ნასადილევს ჯირითის მოყვარულნი. აქ ნახავენ ისინი დღეს, თუ ცხენოსნები როგორ არიან მომზადებულნი დიდი ჯირითისთვის.

კოლმეურნეობა „კერაზ"-ში სადოღე ცხენებს გამოცდილი მწვრთნელები უვლიან. მათ უდიდესი ყურადღებით ეპყრობიან და საფასურსაც ძვირს აძლევენ. არნოუმ ჯირითისთვის ყარაჩის განთქმული ჯიშის ცხენები შეიძინა. მართლაც კარგი ჯიშისაა ეს ცხენები. მაღალი და წვრილქაჩაჩიანი ფეხები ჩანჩქერზე შეტოტებულ კალმახებივით მოუჩანთ ხოლმე. გედებივით იციან ყელის მოღერება ჯირითის დროს. ადგილობრივი ბორღებიც ჰყავდა კოლმეურნეობას, მაგრამ მათ მხოლოდ საქორწინოდ ან სატირალში წასასვლელად იყენებდენ სოფელში. ყარაჩელი ცხენები კი სულ სხვანაირნი არიან. მათზე სოფელში ლეგენდები დადიოდა. მართალი რომ თქვას კაცმა, ვის არ უყვარს კარგი თამაშ-თამაშა ცხენი. განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც უბრალო ნაბიჯებით კი არა, ცეკვა-ცეკვით მიგაქროლებს შურიანი ადამიანების გულის მოსაკლავად. მათი ხერხემალი მაგარია, ფეხები, მართალია, წვრილია, მაგრამ საოცრად სწრაფი და ძლიერი. ამიტომ იყო, რომ არნოუმ მათ ცალკე თავლა აუშენა. ცხენოსნები კი, რომლებიც ამ ცხენებს წვრთნიდნენ და

თვითონაც იწრთობოდნენ, საკოლმეურნეო შრომისგან გაანთავისუფლა. გასულ წელს მხედართა შორის გოგონაც კი მოძებნა არნოუმ, დიდი გაოცება და ჩურჩული გამოიწვია ხალხში. ამ სახელგანთქმულ კოლმეურნეობის მაგალითს სხვა სოფლებმაც მიბაძეს, სადოღე ცხენები შეიძინეს, მხედრები გაწვრთნეს და აქაიქ ქალიშვილები მოძებნეს ამ საქმისთვის. ასე რომ, მთელს რაიონში დაიწყო სადოღე ცხენების თავლების გამრავლება. მეტად ძვირი ღირდა, ამ თანხებით ფერმების გაშენება შეიძლებოდა. არნოუ მაინც არ იხევდა უკან. მაინცდამაინც ის კი არ აინტერესებდა, კოლმეურნეობა „კერაზი" გამოსულიყო გამარჯვებული, არა, უნდოდა მისი სახელი ყველას ენაზე ჰქონოდა დაკერებული. ეთქვათ—აი, შეხედეთ, რას აკეთებენ არნოუ ნაურბას ბიჭებიო.

გაჩმა თავისი უმცროსი ძმა საჯირითო მინდორზე დასტოვა, იქ უკვე იკრიბებოდნენ მხედრები. თვითონ სოფელში გამოსწია. მას პირდაპირ შეეჩეხა მანქანიდან გადმოსული არნოუ. გაჩმა დაინახა თუ არა არნოუ, მისკენ გასწია.

— ახლა რომ არ მენახე, დარდისგან გულზე გავსკდებოდი, არნოუ!

— ცუდი რამე მოხდა, გაჩი?

— ისევ ეს ასტანა და ასტანა...

— რა არის, ბიჭო, კიდევ ახალი რამე გაიგე?

— როგორ გითხრა, ჩემო არნოუ...— გაჩმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს არც კი უნდოდა ეთქვა, არნოუსთვის სისხლი აემღვრია, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა ასე ერთგულ კაცს.

— აბა, ჩამოყაჭე!—არნოუს მოთმინების ფიალა აევსო. გაჩი მაინც აგვიანებდა. მან იცოდა არნოუს ხასიათი; ასეთ დროს უცებ და დაუოკებლად აფეთქდებოდა ხოლმე.

— გუშინ ჩვენს მეზობლობაში სტუმრიანობა იყო. მაგიდას ასტანა ხელმძღვანელობდა. მე მისმა საქციელმა გამაკვირვა. ყველას სადღეგრძელო შესვა, ჩემი სადღეგრძელოც კი არ დაიკლო, შენზე კი ერთი სიტყვა არ თქვა და არც სადღეგრძელო დალია. ვერ მოვითმინე, სხვების ნამალავად ჩავჩურჩულე: „კაცო, რატომ არნოუს სადღეგრძელოს არ სვამ-მეთქი?" შენც არ მომიკვდე, ყურიც არ გააბარტყუნა. ის კი არა, ასე მიპასუხა: დაისხი და შენ თვითონ დალიე მისი სადღეგრძელო. ხედავ შენ, რეებს ბედავს ეს უსინდისო?

არნოუ ისე არ აფეთქებულა, როგორც ამას გაჩი ელოდა. ის მხოლოდ მოიღუშა, შეიჭმუხნა, სიტყვაც არ თქვა. მანქანის კარები ისე მიიჯახუნა, მთები შეაზანზარა. სანამ მანქანა ადგილიდან მოსწყდებოდა, გაჩმა მიამიტად ასწურა მხრები—ვითომ ამ უბრალო საქმის გამო არ უნდა იღელვოს ისეთმა კაცმა, როგორიც შენ ხარო.

* * *

ზიზის დედა თირკმლების შეტევამ ლოგინად ჩააგდო. ზიზი შფოთავდა. არ იცოდა რა ეღონა, რით მოხმარებოდა დედას. ხან ლიმონიან ჩაის მიაწოდებდა, ხან ეზოში გავარდებოდა, რომ იქნებ ვინმე დაენახა და ექიმი გამოეძახებინა. საუბედუროდ არავინ გამოჩნდა ახლომახლო. დედა კი ლოგინზე იკრუნჩხებოდა. მისი მიტოვება ვერ გაებედა ზიზის.

ზიზის სახლი სოფლის განაპირა მთის იმ კალთაზე იდგა, საიდანაც იწყებოდა კავკასიონის დიდი მთები. სოფლამდე კარგი მანძილი იყო. ოდესღაც მამამისმა, რომელიც მწყემსი იყო, ამ უდაბურ ადგილზე აიშენა ქოხი. იგი ჯერ სხვის საქონელს აძოვებდა მთაში, მერმე კი საკოლმეურნეო დოვლათს უდგა მომვლელად. ერთ დღეს მთიდან წამოსულ ვაჟკაცს მეხი წამოეწია და სასიკვდილო ისარი გაუყარა ბეჭებში. ამის შემდეგ ყაურასი პაპა თავისი ერთადერთი ქალიშვილით მარტო ცხოვრობდა ამ ქვეყნის კიდეში. ახლა, როცა ასეთი ტკივილები შემოეფეთა, მისი ქალიშვილი დაიბნა.

— დედიკო, რა ვქნა არ ვიცი, მალე

სულ დაღამდება. გავიქცევი, ექიმს მოვიყვან.—ქალი უკვე ტკივილებისა და სისუსტისაგან ხმას ვერ იღებდა, მაღალი ხმით კვნესოდა. გამწარებულმა ზიზიმ გადასწყვიტა, აღარ დაყოვნებულიყო, ექიმს მალე უნდა ენახა დედამისი.

— წადი, შვილო, წადი,—გამოსცრა ყაურასამ კბილებში.

ეზო სწრაფად დასტოვა ზიზიმ და ვიწრო ბილიკებით სოფლის საბჭომდე გზა შეიმოკლა. ექიმის კაბინეტის კარზე უზარმაზარი ბოქლომი ეკიდა. გვერდით ოთახში სოფლის საბჭოს მდივანი იჯდა.

— ექიმი სად ბრძანდება?—ზღურბლიდანვე იკითხა ზიზიმ.

— წამლებზე წავიდა, რა დაგემართა, ხომ მშვიდობაა?!

— დედაჩემი ცუდად არის, შეიძლება ცოცხალსაც ვეღარ მივუსწრო!

— რას ამბობ, გოგო!

ზიზიმ, თითქოს დაბრუნებული ექიმი მოლანდებოდეს, ისე გაიხედა ფანჯარაში. კოლმეურნეობის გამგეობის შენობის წინ არნოუს მანქანას გაუშტერა თვალები. ზიზი სირბილით გაიქცა კანტორაში. მისაღებ ოთახში ადგუ შეეჩეხა; ზიზის სახემ ისე შეაშინა მდივანი ქალი, რომ ვერც კი გაბედა მისი შეჩერება.

— არნოუ, მიშველე, დედა მიკვდება!

— შეემთხვა რამე?

— შეტევა აქვს. ხომ იცი. მისი თირკმლების ამბავი. მეშინია, ვაი თუ ექიმის მოყვანამდე აღარ იცოცხლოს.

მწუხარე ცრემლებმა და დედის სიკვდილის შიშმა როდი დაუკარგეს ყაურასის ქალიშვილს სილამაზე და მიმზიდველობა. იგი ახლა მიმინოსგან შეშინებულ მწყერს გავდა. მართლაც განსაცვიფრებელი სილამაზის გოგონა იყო ზიზი.

არნოუ არც დაფიქრებულა. მან სწრაფად მიხურა მაგიდის უჯრა, გასაღებით დაკეტა, ზიზი წინ გაიძღოლა და მანქანით გზას გაუდგნენ. იგი ყაურასის ოთახში კრძალვით შეჰყვა ქალიშვილს.

— აბა, მომეხმარე არნოუ,—უთხრა ზიზიმ მას და წამოსაყენებლად დედას მხრებში შეუდგა.

— სად მიგყევარ, გოგო?—იკითხა ყაურასიმ.

— საავადმყოფოში წაგიყვანთ, დედა, იქ ბევრი ექიმია, წამლებიც ახლოს არის... იქ სჯობია!

ყაურასს ბალიშები დაუგეს და მანქანაში მიაწვინეს. მანქანა ადგილიდან მოსწყდა, გუდოუთის საავადმყოფოს მორიგემ შეხედა თუ არა არნოუს, იკითხა, ვინმე მოიყვანეთო?

— მძიმე ავადმყოფია, წყნარ პალატაში მომითავსეთ, შენი ჭირიმე!

არნოუს იცნობდნენ. მისმა სახელმა მაგიური შთაბეჭდილება მოახდინა. ოთახი და საწოლი იმ წუთს მოამზადეს.

— ხომ მოგწონთ ეს ოთახი?—ჰკითხა ექიმმა არნოუს.

— კარგია. მხოლოდ ახლა ავადმყოფს ნახვა და წამლობა უნდა.

ესეც დაუყოვნებლივ შეასრულეს: ავადმყოფი ყურადღებით გასინჯეს, მისახვედრს მიხვდნენ და ნემსები გაუკეთეს. ყაურასი დაწყნარდა. ამდენხანს ნაშფოთები ქალი მოდუნდა და ჩაიძინა.

არნოუმ საავადმყოფოს მთავარ ექიმს დაურეკა და სთხოვა ყაურასისთვის ცალკე დაენიშნათ მეთვალყურე ექიმი. ესეც შეუსრულეს ნაურბას.

— ზიზი, შენ აქ მოიცადე, მე ცოტა საქმე მაქვს, მალე დავბრუნდები და სოფელში ავიყვან.

— კარგი, არნოუ, შენ დედაჩემი გადამირჩინე. ჰოი, როგორი მადლობელი ვარ!

— სისულელეა, დამიცადე, მალე მოვალ.

ზიზის თვალებმა, მისმა ასე გაოცებულმა მზერამ გააოგნა არნოუ, პაპიროსი მოუკიდა. უცებ გაახსენდა, რომ საავადმყოფოში მოწევა არ შეიძლებოდა, მუჭშივე ჩააქრო პაპიროსი და საავადმყოფოდან გავიდა.

ზიზიმ ყურადღებით და მოწიწებით გაადევნა არნოუ ნაურბას თვალები.—გაჭირვებაში იცნობა ადამიანი...—ფიქ-

რობდა იგი...—თავისი ხელით გადმოიყვანა არნოუმ დედაჩემი, საავადმყოფოში მომიყვანა და ის რომ არ ყოფილიყო, ვინ მიაქცევდა ამდენ ყურადღებას. შეიძლება დაღუპულიყო კიდეც...

ზიზი დედის საწოლთან წყნარად ჩამოჯდა. ყაურასი მშვიდად სუნთქავდა. ვინ იცის, როგორ უყვარს ზიზის თავისი დედა. მის მეტი ქალიშვილს ახლობელი არავინ ყავს ამ ქვეყნად. საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, ზიზის დედის მიტოვება არც კი უფიქრია. ღმერთო შენით და, ძალზე უნდოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ ისედაც უბედურ დედას, რომელმაც ასე ადრე დაკარგა ქმარი, ზიზი ვერ მიატოვებდა. ავადმყოფ დედის მოვლამ ამხანაგებს ჩამოაშორა ზიზი. იგი თითქმის არსად დადიოდა. ვინც წინად იცნობდა, მათაც გადაავიწყდათ ზიზი. მხოლოდ დედა იყო მისი ერთადერთი მახლობელი ადამიანი.

— ნამდვილად არნოუმ გადამირჩინა დედა!—ისევ გაიფიქრა მან.

არნოუ მალე დაბრუნდა. იგი ერთხელ კიდევ ელაპარაკა ექიმს. ზიზი დააწყნარა და უკან გამგზავრება შესთავაზა ქალიშვილს.

გზაზე არნოუ მისთვის ჩვეული სიმტკიცით ეუბნებოდა ზიზის:—მედიცინა ახლა უკურნებელ სენს კურნავს, საშიში ყაურასის არაფერი აქვს. იგი მალე, დაუბრუნდება ოჯახს. ზიზი უსმენდა არნოუს და სჯეროდა, რომ დედა მართლაც ისევ ჯანზე მოვიდოდა, მაგრამ სადღაც არ სჯეროდა არნოუსი, სადღაც შორს, გულის სიღრმეში გრძნობდა მაცდურსა და ცუდს, ისეთს, რომელსაც ვერ გამოთქვამ, მაგრამ რომლის ბდუმალი ჩრდილი ადამიანს ჩაუდგება ხოლმე სხეულში და გუნებას უფორიაქებს. არნოუ კი უმზერდა რა ზიზის საოცარ თვალებს, ხედავდა ამ მთის ქალიშვილის ტანის ნელ და მომხიბლავ რხევას, უფრო და უფრო მეტყველი ხდებოდა მისი ენა. იგი ყვებოდა ადამიანთა კეთილ და ვაჟკაცურ ქცევებზე, სიცოცხლის მაღალ დანიშნულებაზე, იმაზე, თუ როგორ მაღალსა ხდის ადამიანებს ძლიერი და წმინდა სიყვარული, რომელსაც თავი უნდა შესწიროს ნამდვილმა მოქალაქემ, ყვებოდა იმ გაბედულების, იმ გმირული საქციელის შესახებ, რომელსაც უზადო სიყვარული გააბედვინებს კეთილშობილ ადამიანებს. არნოუ ნამდვილად ლამაზად ყვებოდა ცხოვრების ყველაზე მიმზიდველ და ამაღელვებელ საკითხებზე. ეს ქალიშვილს თითონაც აღელვებდა ახლა.

ზიზის სახლთან მანქანა გაჩერდა. არნოუმ კარი თავისი ხელით გაუღო ქალიშვილს.

— აი, უკვე სახლში ხართ, ზიზი. არ შეგეშინდეს. მე ვერც შენ და ვერც დედაშენს ასეთ დროს ვერ მიგატოვებთ.

— მადლობთ, არნოუ, დიდად მადლობელი ვარ.

— თუ ღამე გეშინია... არა უშავს, მე შემოვივლი...

— როგორ გეკადრებათ...—შეკრთა ზიზი,—თქვენ იმდენი საქმე გაქვთ, ჩემთვის სად გცალიათ.

ზიზი სახლში შევიდა. სინათლე არ აანთო. ბინაში სიწყნარე სუფევდა. რაღაცის მომლოდინე შიშმა შეიპყრო. იგი ერთ ადგილას გაქვავდა. ვერ გაირხა, ფეხი წინ ვერ წადგა. ეგონა, წინ უფსკრული იყო პირდაღებული და მას შთანთქავდა. სანთელი გაჭივრებით აანთო. მაინც ვერ დაიყუჩა გული. პირიქით, შუქმა კიდევ უფრო აგრძნობინა მარტოობა. იგი დიდხანს დასცქეროდა დედის დაცალიერებულ საწოლს. ჩაზნექილი ბალიში საწოლის შუა ადგილას იდო. იგი მიტოვებული ჩიტის ბუდეს აგონებდა ზიზის. ისევ საავადმყოფოში გაექცა ფიქრი. ვაი თუ ახლა დედას რაიმე ესაჭიროება? მისი დახმარება უნდა?—ფიქრმა თავისი ქნა და ცრემლებმა წყნარად დაიწყო დენა.

ზიზის შოლტივით მოქნილი ტანი, ოდნავ მოგრძო სახე, სქელი, მაგრამ ერთ ძაფად გადაყოლილი წარბები, მეტად ღრმად დაფიქრებული თვალები არა ერთ არსაულელ ყმაწვილს უტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კებდა გულს. ჯერ კიდევ სკოლის მერხზე უსიტყვოდ იქნა იგი ულამაზეს ქალიშვილად აღიარებული. ეს კი ძნელი საქმეა აფხაზეთში, სადაც ბევრი ლამაზი ქალიშვილი იბადება და იზრდება. აბა, გაიარეთ სოფლებში, შეიხედეთ საკრებულო ადგილებში, კარგად დააკვირდით ყელმოღერებულ, ლერწამივით ქალიშვილებს. მაშინ მიხვდებით, თუ რა ძნელია აქ ულამაზეს ქალად აღიარება. ზიზის შესახებ კი მთელ სოფელში მეორე აზრი არ არსებობდა.

საშუალო სკოლის დასრულების დღიდან ზიზიმ თამბაქოს პლანტაციებში დაიწყო მუშაობა. დილიდან საღამომდე უვლიდა იგი თავის კუთვნილ ნაკვეთს. სახლშიაც ვერ ნახავდით ამ გოგოს გაჩერებულს, ვაკაციით გვერდით უდგა უმამაკაცო ოჯახს. ადამიანებს შორის მხოლოდ დედა ყავდა გულის ახლო მეგობრად. თვითონაც აღმერთებდა დედას და ყაურასისთვის იგი ხომ მზეც იყო და მთვარეც. ამიტომ იყო ზიზი დღეს არნოუს ასე მადლობელი. მთელი დღე არ ეჭამა ზიზის და სამზარეულოს კარები შეაღო. მან ნელა მოხადა ხის ჭურჭელს—აბკულას—თავი, რძე გადმოასხა, ორიოდე ყლუპი იგემა და ისევ საწოლ ოთახში დაბრუნდა. ქალიშვილმა გაიხადა, სინათლე ჩააქრო და დაწვა. არ ეძინებოდა. პირველი შიში, რომელიც სახლში შემოსვლის დროს დაეუფლა, არ გაუნელდა, არ გაქრა. მისი სახლი ხომ ერთადერთი სახლი იყო მთის კორტოხზე, სოფლიდან მოშორებით. ახლა ღამეა. რაღაც მრისხანე და საშიში ღამე. ფანჯრებს იქეთ საეჭვო შრიალია, ღამის კალიები გულისმომკვლელად ჭრიჭინებენ. თითქოს ვიღაცას ფეხის ხმა ისმის... კი, აივანზე შემოვიდა ვიღაც. ზიზი გიჟივით წამოვარდა, შეშინდა, ძალიან შეშინდა. უცებ კარების კაკუნი გაისმა. იგი კარებს მივარდა. ვაი თუ საავადმყოფოდან ცუდი ამბავია?! კარები მაინც ვერ გააღო. ისევ დააყურადა. აკანკალებული მიეკრა კარებს.

— ვინ არის მანდ?—წამოიძახა ბოლოს.

— მე... მე...

— შენ რომელი ხარ, ვერ გიცანი!

— მე ვარ, არნოუ ვარ!

— ცუდი ამბავია, დედას რამე დაემართა?

— არა, ის კარგადაა, არ შეგეშინდეს, ზიზი.

— თუ დედა კარგადაა, აქ რამ მოგიყვანა ასეთ ღამეში!

— ზიზი, მე რაღაც უნდა გითხრა, კარები გამიღე.

ზიზი ისევ გაჩუმდა. არა, ახლა ის კარებს ვერავის გაუღებს. მას უკვე აღარ ახსოვდა არნოუს ღვაწლი, დედისადმი პატივისცემა, არც მისი ტკბილი საუბარი. ცდილობდა გამოფხიზლებულიყო, გამორკვეულიყო, ყველაფერი აეწონდაეწონა. არა, არნოუს ასე გაგდება არ ივარგებს. ხომ არ ივარგებს შეურაცხყო ისეთი კაცი, რომელიც ასეთ დროს დაეხმარა მის ოჯახს. ბოლოსდაბოლოს, ეს კაცი არნოუ ნაურბაა, სოფლის თავკაცია, საქვეყნოდ განთქმული ადამიანია. არ შეიძლება მან რაიმე ცუდი იფიქროს და გააკეთოს.

ზიზიმ უცებ გადაიცვა ტანსაცმელი. თან კარები გამოაღო. იგი მაინც შიშით შეყურებდა არნოუს. შეხედა თუ არა მის ბრიალა თვალებს, ისევ კედელს მიაწყდა. ისე მიეკრა, თითქოს კედელი ყოფილიყოს მისი მშველელი.

— მე საავადმყოფოში დავრეკე. შეტევები შეუწყდა ავადმყოფს. მოვედი, რომ სრულიად დაგამშვიდო, ზიზი.

ზიზიმ ოდნავ გაიღიმა.

— დაბრძანდით, არნოუ!

ზიზი დამშვიდდა. მართალია, ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, მაგრამ მის თვალებს ჩვეული კეთილშობილური გამოხედვის უნარი დაუბრუნდა. შიშის და უბედურების მოლოდინის ცეცხლი გაუქრა. არნოუს ყოველი იმედიანი სიტყვის თქმისთანავე ლოყებზე სიხარულის ცეცხლის ალი წაეკიდებოდა ხოლმე. ბოლოს ისევ თავის გუნებაზე დააყენა არნოუს კეთილმა საუბარმა და მისი დაჟინებითი თხოვნით—ნუ დგეხარ, ზიზი, თორემ

მეც ავდგებიო—ქალიშვილი მართლაც დაჯდა.

არნოუ არ ცხრებოდა. როგორც გამოცდილი მოჯირითე გაველურებულ ცხენს ველზე მარილით იტყუებს, რათა რკინის ლაგამი მარჯვედ ამოსდოს, ხმის კანკალით უყვებოდა ყოვლად შემძლე სიყვარულის შესახებ, მისი ძალის და ერთგულების შესახებ. ზიზი მორჩილად უსმენდა, თუმცა მისი სიტყვების შინაარსს სრულიად ვერ მიმხვდარიყო, ვერ ჩაწვდომოდა, თუ საით მიაქანებდა არნოუ ასე აწყვეტით სიტყვებს. მას იზიდავდა ერთი რამ, რომ არნოუ, ასე საქვეყნოდ ცნობილი კაცი, ეხმარება მწუხარების ჟამს, რომ იგი მისი ბედის თანაზიარი გამხდარიყო. ეს მართლაც საამაყო იყო, მაგრამ ზიზი უცებ შეკრთა, გაყუჩდა, არნოუს სიტყვებს ახლა უფრო დაუგდო ყური. რად უნდა, რომ არნოუ ასეთ ამბებს უყვება. მერე რა, არნოუს თურმე ერთი ქალიშვილი უყვარს, რომლის სახელს არ იტყვის ახლა. რომ ეს სიყვარული მას დიდი ხანია გულში აქვს და დღემდე ვერ უთქვამს. სწორედ ეს სიტყვა „დღემდე“ არ მოეწონა ზიზის. ამ სიტყვამ უჩხვლიტა გულზე. გასაკვირი ის არის, რატომ მაინცდამაინც მას უყვება ამ ისტორიებს არნოუ? რა შუაშია ზიზი! არნოუ განაგრძობდა საუბარს. იმ ქალიშვილის სახელს არ ამბობდა, ისე კი, თითქოს უჩიოდა მას. ამტკიცებდა, რომ მისდამი ასე ძლიერი სიყვარული ადნობს და აფუჭებს არნოუს. რომ მას ამის გამო ხასიათი გაუფუჭდა და ადამიანებისადმი უხეში გახდა. წინათ უხაროდა, ბედნიერად გრძნობდა თავს. ახლა მუშაობითაც ვეღარ მუშაობს, ხალისი დაეკარგა ყველაფერს. ისე ძლიერ უყვარს ის ქალიშვილი, რომ მისთვის დღემდე კიდევ ვერაფერი უთქვამს, ვერაფერი გაუმხელია. ამიტომ მალავს ამ სიყვარულს გულში.

ზიზის პირველად ეგონა, არნოუ მიტომ უყვება ამას, რომ მეგობრულად ენდო, გული, მართალი გული გადაუხსნა, როგორც ტოლს და მის სოფლელს. ამიტომ უნდოდა ეთქვა; „გაჩერდი, ზიჰო, ასე ლაპარაკი არ შეიძლება სიყვარულზეო“, მაგრამ თავი შეიკავა. არნოუ კი უფრო და უფრო თავს ვერ იკავებდა, შეუჩერებლივ მიილტვოდა თავის ერთხელ განზრახულისკენ. ისე მონდომებით მიილტვოდა, თითქოს უკნიდან ცეცხლის ისრებს ესროდნენ გასაგმირად. ბოლოსდაბოლოს მან ხელები წინ გაიშვირა, თითქოს სიყვარულის აღიარებისაგან დარცხვენილმა აკანკალებული ხმით წამოიძახა:

— ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია...

— არნოუ! — დაიკივლა უცებ ზიზიმ და კედელს მიეკრა. მისი თვალები ნდობით აღარ უყურებდა არნოუს.

— დიაღ, შენ, ზიზი, შენ გამიჩინე ცეცხლი გულღვიძლში.

ზიზი უფრო და უფრო შორდებოდა და მიყვებოდა კედელს. „თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი“... შეეხვეწა, თან თვალი არ მოუშორებია არნოუს მკლავებისთვის, რომლებიც მისკენ მიიწევდნენ.

— რა უნდა ვქნა, ზიზი, მე ახლა გონებადაკარგული ვარ, არაფერი მესმის, ვერაფერს ვხედავ.

— არნოუ, გამოფხიზლდი, შენ, მგონი, ჩემი დაღუპვა გაგიზრახავს.

— მე შენ მიყვარხარ, ზიზი, თავდავიწყებით მიყვარხარ!

— თავი დამანებე. მე ჩემი უბედურება მეყოფა, ახლოს არ მომეკარო. შენ, მგონი, მართლაც ჭკუაზე შეიშალე, შე უბედურო.

ზიზი უკვე ყვიროდა. არნოუ მას არ უსმენდა. მაშინ ზიზიმ მკლავები გაშალა და ფრჩხილებით დაუპირა თვალების ამოთხრა გამხეცებულ კაცს. როგორც დედა არწივი, რომელიც თავის ბუდეს იცავს, ისე გაემზადა საბრძოლველად. მისი თვალები ახლა მრისხანედ კვესდენ და ელავდნენ. მისი გამოხედვა ახლა მთაში თავისუფლად გაზრდილი ქალის დაუოკებელ სიბრაზეს გამოხატავდა, რომელსაც ვერავინ ვერ დააცხრობს.

— შენ უსინდისო ყოფილხარ, ლაჩარი ყოფილხარ, უიარაღო ქალს რომე-

ლი ვაქკაცი დაესხმება ასე უსირცხვილოდ თავზე?!

არნოუ გაყუჩდა, შეკრთა. ხმაც ჩაუვარდა.

— მომისმინე, ზიზი, — ამოილუღლუღა მან.

მისი ამაყი, თავდაჯერებული, წინააღმდეგობას მიუჩვეველი ბუნება მოიშალა, მოდუნდა. ქალიშვილის გააფთრებულმა თვალებმა, მისმა მტკიცე განზრახვამ ბოლომდე დაეცვა თავისი პატიოსნება, ერთი ხელისდაკვრით გამოაცალა ძალღონე. მას მხოლოდ ისღა დარჩა ეთქვა არაფრის მთქმელი ორი სიტყვა: „არაფერია... დრო მოვა და თვითონ დაიჯერებ ჩემს წმინდა სიყვარულს შენდამი, ახლა კი მეტს აღარაფერს აღარ გეტყვი“. იგი ისევ დაჯდა. მისი სახე აშკარად გამოხატავდა სამარცხვინო დამარცხებას. გულღვიძლი ეწოდა სიბრაზისაგან. აჯობა ამ უპატრონო გოგომ. ზიზი ისევ უნდობლად შესცქეროდა. სულ ცოტა ხნის წინათ კი როგორი ნდობით და გულწრფელი პატივისცემით იყო გამსჭვალული. არნოუ უსიტყვოდ ადგა და არც კი გამოთხოვებია, ისე გაუჩინარდა წკვარამ ღამეში. ზიზი გამოფხიზლდა და ლოგინზე დავარდა. იმ გორაკიდან, სადაც მათი სახლი იდგა, ამ წყნარ და უსახო ღამეში, მთების ჩუმ სუნთქვასთან ერთად დიდხანს ისმოდა ქალწულის კვნესა და ქვითინი, მისი მავედრებელი და უპასუხო საყვედურები.

* * *

იასონი და ასტანა, დათქმის თანახმად, ახუცაში შეხვდნენ ერთმანეთს. იასონი დილით დაცვარულ ბალახს ერიდებოდა, რომელიც გზის გარდიგარდმო მუხლამდე ბიბინებდა, ალბათ, სისველის ეშინოდა და ამიტომ ბილიკს პირდაპირ მიყვებოდა, უსიტყვოდ მიაბიჯებდა. ეს კი ასტანას ეჭვს უძრავდა — ვაი თუ ჩვენი ნამუშევარი არ მოსწონსო. იასონი გასცქეროდა წინათ მოუვლელ, ეკალბარდით გაბარდნილ პლანტაციებს და მინდვრებს, ახლა რომ გაწმენდილი, გათოხნილი და მოვლილი თვალებს ახარებდა.

„ნამდვილად კარგია, შესანიშნავია“, ფიქრობდა იასონი, მაგრამ ხმამაღლა შექებას ერიდებოდა. მან კარგად იცოდა ერთი კანონი; — შეიძლება ბევრი ქებით ხეც გახმეს. ამიტომ უსიტყვოდ მიაბიჯებდა ადამიანის ხელით კეთილშობილად მოვლილ მიდამოებში. ისიც იცოდა იასონმა, რომ თუ კი ბოლომდე მოგეწონა რაიმე, მის მკეთებელს დაკვირვებული კაცის საქებარი სიტყვა არ უნდა მოაკლო. ადამიანები მაინც ადამიანები არიან. მათ ყოველთვის გაეხარდებათ და კვლავ მეტად წააქეზებთ ნაშრომის დაფასება. თუმცა სიტყვას ყოველთვის ხმალივით მოქნევა როდი უნდა. იგი ჩუმად უნდა გადმოცდეს ბაგეებს და მერე ქვეყანას მოივლის, ყველა ზღუდეს და საზღვარს გადალახავს. ეს იცოდა იასონმა და ამიტომ კბილებში გამოცრა:

— თქვენს ბრიგადას ცუდი პლანტაციები როდი ჰქონია.

ასტანა უფრო მეტ ქებას ელოდა. ბოლოსდაბოლოს, არარაობად ქცეული. უბანი ბაღებად აქციეს.

— ძალიან გაგვიჭირდა, ბევრი შრომა დავხარჯეთ — თვითონაც ძუნწად თქვა ასტანამ.

იასონი მიხვდა, რომ მისმა სიტყვა ძუნწობამ ასტანა არ გაახარა;

— მე ის როდი ვთქვი, თქვენ ცოტა რამე გააკეთეთ-მეთქი. — ამის მეტი ასტანამ სიტყვა ვერ გაიგონა მისგან, კარგა ხანს იარეს მხარდამხარ ყანებში და ბაღებში. დაიღალნენ.

მთის ძირში, მაღალი ფერდობების ქვეშ, ცივი ბროლისთვალივით წყარო გადმოჭუხდა. იქ შეისვენეს. ასტანამ მეურნის თვალით შეათვალიერა წყაროს ფესვი. ყველაფერი სუფთად იყო მის გარშემო. იქვე, ძველთაგან მოტანილი ვეება ქვა ედო. მასზე ჩამოჯდნენ. ასტანამ თავისი ხის სასმისი — ახმაჩირი—ამოიღო. იგი წყაროს თვალში ჩაუშვა და იასონს წყლით სავსე მიაწოდა.

— კარგი წყაროა, კბილებს ყინავს. — თავი ვერ შეიმაგრა იასონმა.

ცხელი შუადღე იდგა. ქვეყანას მზე მთელი სიუხვით აცხუნებდა. აქ კი, ამ წყაროსფესვთან, გრილოდა. კავკასიონის ცივი მწვერვალებიდან ხევებს გამოყოლილი გრილი ნიავი სწორედ წყაროსთვალთან ქროდა ზღვის პირისკენ. ჩამუხლებულებმა შუბლი და გულმკერდი შეუშვირეს ესოდენ სასიამოვნო ნიავს. აქედან მთელი არსაულა ხელისგულივით მოჩანდა. მისი მშვენიერი, ზურმუხტისფერი ბაღ-ვენახები წყნარად მოლივლივე ზღვის უბესთან მომხიბვლელ ფირუზის ფერებში ირეოდა. იქ იყო ამ ორი ფერის გამყოფი ზღვარი. ოდნავ შექაფებული ზღვის უბის ნაპირი, რომელიც აქედან დასალიერამდე მარგალიტებით მოჭედილ ჩარჩოსავით მოჩანდა.

ასტანამ შენიშნა მათკენ მომავალი ქალიშვილი. ის, ეტყობა, მათ ვერ ხედავდა და ბავშვურად ლაღი ნახტომებით ქურციკივით მიიწევდა მათკენ. ხანდახან, ქვიდან ქვაზე ნადახტომის დროს, პეპელასავითაც ფართქალებდა. უცებ შეჩერდა. ეტყობა, აქ არავის არ ელოდა. ახლა ძალიან ჰგავდა ტყიდან გამოფრენილ უცხო ფრინველს, მოულოდნელად მზის ელვარებას რომ დაებნელებია მისი მხედველობა.

— ნეტავ ვინ არის? — იკითხა იასონმა.

— ვერ გეტყვი. არ მეცნობა, — უპასუხა ასტანამ.

ქალიშვილი ნელი ნაბიჯით მოდიოდა მათკენ. ეტყობოდა, ამას განზრახ ჩადიოდა. ორივენი წამოდგნენ. იცნო რა ისინი, ქალიშვილმა გაიღიმა:

— გამარჯობათ! — წყნარად ჩაილაპარაკა მან.

— გამარჯობა, გამარჯობა. აი ეს კი საოცრებაა. სირმა ველარ ვიცანით,— თვითონვე გაიოცა იასონმა. — აქ რამ ჩამოგიყვანა, გოგო!

— ჩვენმა მთამ და ველმა დამიძახა, მომწყინდა უიმათოდ. ხელი ხომ არ შეგიშალეთ?! — უცებ იკითხა მან.

— პირიქით. გაგვახარე, კარგი ქალო, აქეთ ჩამოჯექი. — მიიპატიჟეს ქალიშვილი.

სირმა, ალმასხან მაანის ქალიშვილი, გუდოუში მუშაობდა. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა უშვილო სმირბების ოჯახმა (როგორც ეს ხშირად იციან აფხაზეთში) შვილად აიყვანა. მან კარგად იცოდა თავისი ნამდვილი მშობლები, მაგრამ მაინცდამაინც აქეთ არ ეშურებოდა, არსაულაში იშვიათად ჩამოდიოდა. ალმასხანი მეზობლებში ჩიოდა ხოლმე:

— ცუდი ხასიათი აქვს ჩემს სირმას, მაგრამ მე რა მეთქმის, სხვების გაზრდილია.

იასონი დაკვირვებით შესცქეროდა სირმას.

— მიხარია ჩემი სოფლის ბილიკებზე სირბილი, ტყე-ველზე ხეტიალი. მე ხომ აქ დავიბადე და თვალი აქ გავახილე. ეტყობა, ათასი ქვეყანაც რომ შემოიაროს ადამიანმა, მშობლიურ სოფელზე უკეთესს ვერ იპოვნის.

— კარგი სიტყვა თქვი, სირმა, ასე რომ ყველას თავისი მიწაწყალი, თავისი სოფელი უყვარდეს, ჩვენც სხვანაირად ვიქნებოდით ახლა. ზოგიერთი კი ასე არ ფიქრობს, მათ ერცხვინებათ კიდეც, გონიათ, სოფელი ისეთი ტყავმოსასხამია, რომელიც ზღარბივით იჩხვლიტება.

ქალიშვილმა იასონს არაფერი უპასუხა.

ასტანა კი სულ გაჩუმებული შეყურებდა მოსულს. იგი გაოცებით აკვირდებოდა მის ღაწვებზე მომხიბვლელ, პატარა ორმოებს, მის ლურჯ, მტრედისფერ თვალებს და აშოლტილ ტანს, შესანიშნავად შეკერილ ჩითის კაბაში რომ ირხეოდა.

— მაინც რა მიზეზია, რომ ახალგაზრდების ერთი ნაწილი სოფელს გაურბის, აქ არ ჩერდება, — იკითხა სირმამ და ასტანას ისე შეხედა, თითქოს პასუხს მხოლოდ მისგან ელოდა.

— მიზეზი საპატიოა, ალბათ. ახალგაზრდობა ყოველთვის ჯერ უნახავს და ახალს ეტრფის.

— ეს ყველა ახალგაზრდის თვისებაა, მაგრამ განა სოფელში ბევრი რამ არ არის გამოსარკვევი და საინტერესო? სიახლე კი სოფელში ახლა მეტად ბევრია. არა, მე მგონია, უფრო საპატიო რამ იმალება მათ ლტოლვაში.

— შეიძლება ასეც არის, — დაეთანხმა ისევ იასონი.

— თქვენ უფრო გეცოდინებათ ამის მიზეზი.

— ცოტა ჩვენც დამნაშავენი ვართ ამ საქმეში, — ამოიხვნეშა სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ.

— დანაშაულის აღიარება ყველაფერს როდი ნიშნავს.

იასონი გაჩუმდა. ასტანა კი ჩააფიქრა ქალიშვილის სიტყვებმა: „სირმა მართალია, განა ჩვენ რამეს ვაკეთებთ, რომ ახალგაზრდები სოფელში დარჩნენ და იმუშაონ“?

— შეიძლება ორივეს გკითხოთ? — ფიქრი გაუწყვიტა ასტანას სირმამ. — არსაულის ახალგაზრდები რას აკეთებენ დასვენების დროს? ერთობიან თუ არა?

— ჩვენი ახალგაზრდები ისე ერთობიან, როგორც ჩვენი მოხუცები — მუშაობენ, ისვენებენ, ცეკვავენ და მღერიან. ხშირად ჯირითებსაც მართავენ. მეტი რა უნდა ქნან. იმდენს რომ ვმუშაობდეთ, რამდენსაც ვმღერით, ვთამაშობთ და ვჯირითობთ, მაშინ ბევრად უფრო მდიდრები ვიქნებოდით, — გაეცინა იასონს.

— აი, მართალი ბრძანდებით, არსაულელი ახალგაზრდები სწორედ რომ მოხუცებივით ცხოვრობენ.

— ნუთუ, სირმა, შენ მართლა ეს მიგაჩნია სერიოზულ მიზეზად, რომ ახალგაზრდები სოფელში აღარ ჩერდებიან?

— დამაცადეთ და გეტყვით. მე ჩვენი მამაპაპისაგან შემორჩენილ თამაშებზე და ცეკვებზე როდი გეუბნებით. ძველსა და ახალ თაობებს შორის, თქვენც ხედავთ და ეს ასეც არის, განსხვავებაა. განა ეს ტყუილია: სოფლად ახლა კულტურის სასახლეებს აშენებენ, აშენებენ და იმას კი არ ფიქრობენ მხოლოდ დააკმაყოფილონ ხალხის მოთხოვნები, არა, ამ მოთხოვნებს კიდევ უფრო მაღლა სწევენ, ფართო გზას აძლევენ, ჩვენი დროის დონეზე აჰყავთ იგი. არსაულაში კი საქმე ასე როდი გაქვთ დაყენებული, ერთი ძველთაძველი კლუბი გაქვთ. იქ კინოსურათებს უყურებთ, მღერით და ცეკვა-თამაშს მართავთ. ეს არის და ეს. თანამედროვე ახალგაზრდობას კი მეტი უნდა, კულტურის სასახლის აგება უნდა, სასპორტო მოედნები ესაჭიროება. განა ჩვენი ბავშვები ულამაზონი და სუსტნი არიან, რომ მათ თავისი წვლილი არ შეეტანონ ჩვენი საამაყო სპორტის განვითარებაში? განა ჩვენმა ახალგზრდებმა არ იციან დღეს რა არის საჭირო? რასაკვირველია, იციან. რადიოში ისმენენ, ტელევიზიაში ხედავენ, გაზეთებში კითხულობენ. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? განა „კერაზის“ გამგეობა ისე ღარიბია, რომ ასეთი რამეების გაკეთება არ შეეძლოს?

— ნამდვილად შეუძლია, სირმა, ნამდვილად, — შეეხმიანა ასტანა.

— შეძლებით შეუძლია, მაგრამ ერთმანეთში უთანხმოება გვაქვს, ერთი-მეორეს არ ვუჯერებთ, ეექიშპებით კიდეც. ხომ იცი, მობეჭავე ხარები უღელსაც ამტვრევენ... ჩვენს სოფელს ბევრი რამის აშენება შეეძლო, მაგრამ მისი სიმდიდრე სხვების ხელშია. ვის გინდა, რომ ჩვენი ვალი არ ემართოს, ჩვენს ქონებაში რომ წილს არ იდებდეს. რაც ჩვენს რაიონში გვაქვს გასესხებული, მარტო ის რომ შეგვაკრებია, რამდენიმე კულტურის სასახლეს აიშენებდა ჩვენი სოფელი.

ასტანა იასონს უსმენდა და ეთანხმებოდა, მხოლოდ სიმწრისგან თავს აქეთ-იქეთ უნებლიედ აქნევდა.

— მე ძალზე მეწყინა, როცა გავიგე,

რომ ჯირითის გარდა სხვა სპორტული თამაში არც კი იციან არსაულელმა ახალგაზრდებმა. უნდა მივხვდეთ ყველანი, რომ მარტო ცხენბურთი არ კმარა ჩვენი ახალი თაობის აღზრდისათვის. — სირმამ ოდნავ შეიკვნა, შეჩერდა და ასტანას ღიმილით უთხრა:

— შენი სასმისიდან ამ ცივ წყაროს კი შევსვამდი!

ასტანამ სიამოვნებით უმალ აავსო სასმისი, მიაწოდა ქალიშვილს, წყლის წვრილი შხეფები სკდებოდა სასმისის თავზე.

სირმა ოდნავ შეჩერდა, გაჩუმდა და მერე თქვა.

— ახალი დადგენილება ჩამოგიტანეთ, ამხანაგებო, არსაულაში საშენი მასალების ქარხანა უნდა ავაგოთ. თქვენ ხომ არ გეწყინებათ ეს?

— ეს დიდებული იქნება. დაწვრილებით გვითხარი, შე ქალო, გაგვახარე კარგი ამბით.

სირმამ მოუთხრო მათ ამ ქარხნის მშენებლობის და მისი მნიშვნელობის შესახებ. სოფელ არსაულას ნამდვილად სჭირდებოდა ასეთი ქარხანა.

* * *

მცხუნვარე მზის ქვეშ, დამღლელი შრომის შემდეგ, მეტად სასიამოვნოა წყაროს ცივი წყალით ხელპირის დაბანა და სუფთად გაფენილ კაკლის ხის ფოთლებზე დალაგებული სამხარით დანაყრება. იმ დღესაც კაკლის ფართო ჩრდილში, წყაროს პირას შეკრებილიყვნენ კუფთას ბრიგადის წევრები. იასონი ზედ წააწყდა მათ. პატივისცემის ნიშნად ყველანი წამოდგნენ. იასონმა სწრაფად ჩაიმუხლა, რომ ხალხი დიდხანს ფეხზე დგომით არ შეეწუხებინა. ახალგაზრდობა გაყუჩდა. უფროსებთან პაექრობა და ხუმრობა უზრდელობაა. იასონმა თვითონ დაიწყო მათთან კამათი. ახალგაზრდებმა ჯერ ოდნავ დაირცხვინეს, მერმე კი აიწყვიტეს და იასონის გარშემო რკალი შეკრეს. შეიქნა სიცილ-კისკისი. გახშირდა მახვილი თქმები, იგავები, პაექრობა. მხოლოდ ციცი არ ჩანდა ახლო-მახლო. იგი ხალხს გარიდებოდა. მდინარის პირას კლდის ცხვირზე გადამჯდარიყო მარტოდ-მარტო. ფეხშიშველა ფეხები ბობოქარ მდინარეში ჩაეყო. შუბლზე ცივი წყალი შეესხა, რათა სიცხისაგან გაძნელებული სუნთქვა უფრო შემსუბუქებოდა. ჩაის პლანტაციებში მუშაობა მეტად ძნელია, ჩაის მკრეფავები მაინც ცისკრიდან დაღამებამდე გავარვარებულ მზის გულზე იხრუკებიან და მეტად იქანცებიან.

ციცი ახლა მდინარის ანკარა ტალღებს ჩასცქეროდა. ისინი ხმაურითა და ერთიმეორეზე ხეთქებით მოექანებოდნენ ცივი ყინულეთიდან და შავი ზღვის თბილი უბისკენ მიქშუოდნენ. ქვეყნის დასაბამიდან მათი წვეთები იბადებოდა მყინვართა სამეფოში და მიედინებოდა ზღვის ვეება სივრცის გასაგრძელებლად. ციცი ფიქრობდა, რომ მისი დაუოკებელი სიყვარული ძალიან ჰგავდა ამ ტალღების სრბოლას. ერთიც და მეორეც შეუჩერებლივ ვიდოდნენ და თავისი გზით მიიჩქაროდნენ. რამდენჯერ სცადა ციცომ არნოუს დავიწყება და ვერ შეძლო, რამდენჯერ თავისი უხეშობით საბაბი მისცა ციცის დიდი სიძულვილისა. და ციცომ ვერ შესძლო შეძულება. პირიქით, მისი სახე არ შორდებოდა. ახლაც აი, ამ ანკარა, სუფთა შხეფებს შორის, როგორც სარკეში გამოჩნდა არნოუს ლანდი, გამოჩნდა და ქალიშვილს რეტი დაასხა.

ციცი იმაზე დარდობდა, რომ მეგობარი არ ჰყავდა. ვერავის ვერ ენდობოდა, თავის გულის ხვაშიადს ვერავის გაანდობდა. შეიძლება ერთგულ მეგობარს მისთვის სხვა გზა ერჩია, სხვა კალაპოტში ჩაეგდო მისი ფიქრი და ქალიშვილი ამ ტანჯვას გადაერჩინა.

მაგრამ მის დატანჯულ სულში ერთი მკრთალი იმედი ნაპერწკალივით კიაფობდა: არნოუ შეიძლება ისევ დაბრუნებოდა მას. სწორედ ის არნოუ, რომელსაც სიჭაბუკეში იცნობდა. წმინდა,

შეურყვნელი, უტალახო და საამაყო. კაკლის ხის ქვეშ ისევ სიმხიარულე მეფობდა. ხუმრობებს და იგავებს სიმღერები სცვლიდა. მზის გადასვლამდე ახალგაზრდობას დრო ჰქონდა, ისინი ასეთ დროს ხომ სრულ სიბნელემდე კრეფენ ჩაის. ციცის იასონის ხმა ეცნაურა, ვაჟკაცური, სიცოცხლით სავსე და სულის დამატკბობელი. სიმღერა მაღალი მჭექარებით გადადიოდა პლანტაციებზე და ზღვის უბისაკენ მიილტვოდა.

არნოუს მანქანა ღობის ყურესთან გაჩერდა. მისი აბრეშუმის თეთრი ხალათი ოფლით იყო დასველებული. სიმღერა იმ წუთშივე შეწყდა. ყველანი წამოდგნენ. არნოუ მიესალმა და ყველას დასხდომა სთხოვა. თვითონ კი ისევ ფეხზე იდგა, არ ჯდებოდა. ყველა მიხვდა, რომ გაჯავრებული იყო. მან, რასაკვირველია, პირველ ყოვლისა, იასონს მოკრა თვალი. „მაშინ გამოჩნდებიან, როცა მე იქ არ ვიმყოფები“ გაიფიქრა მან. „ამათ უნდათ თავიანთი ფარისევლური ქცევით ხალხის სიყვარული დაიმსახურონ“. ახლა მან თავშეუკავებლად გახედა იასონს მტრული თვალით.

— დაბრძანდი, არნოუ, დაისვენე. — შეეპატიჟა იასონი.

— დასაჯდომად მე არ მცალია, — უკმეხად მიახალა იასონს. — აბა, ამხანაგო კუფთა, წავიდეთ, საქმე არ იცდის.

კუფთა იმ წუთშივე უსიტყვოდ გაყვა თავმჯდომარეს.

— იასონი აქეთ ხშირად თუ დაიარება, რაზე ესაუბრება ხალხს, — ჰკითხა არნოუმ კუფთას.

— ისეთს არაფერს, უბრალოდ, მხიარული კაცია და ხალხის მხიარულებაც უყვარს.

— ნუთუ შენ არ გესმის, საით მიყავხართ მის ხუმრობას. განა ვერ ატყობ, რომ ის ამ ხუმრობით ჩემს წინააღმდეგ ამხედრებს ხალხს?! ასე იცის ყველა თაღლითმა და კარიერისტმა. ჩემი მოტყუება ძნელია, ძნელი. მე ბევრი მომისმენია მასეთი სიმღერები და სახუმარო სიტყვები. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ ეგ კაცი შენ ვერ შეგაცდენს, ბრიგადის გზიდან აცდენა არ არის ძნელი. ჩვენ ბევრი ვიშრომეთ, რომ ასეთი კარგი ბიჭები და ქალები მეგობრულ კავშირში შეგვეერთებინა. ის კი ყველაფერს დაშლის, გააფუჭებს, ჩვენს წინააღმდეგ ხალხს დარაზმავს. იცოდე, კუფთა, შენ ხარ პასუხისმგებელი შენი ბრიგადის სიკეთისათვის. იცოდე, ეს სახელმწიფო საქმეა და ხუმრობისთვის როდი გვცალია.

კუფთას არც კი მოუსმინა და არც გამოემშვიდობა, ისე გაშორდა მას და გზაზე გავიდა.

— ნუ სწუხხარ, ნაურბა. იცოდე, მე შენ არ გიღალატებ.

* * *

სირმა მდინარე მსიპსტის ტალღებს ჩასცქეროდა. მას ეს ტალღები გამჭვირვალე მინის ადუღებულ მორევად ეჩვენებოდა. რა სუფთა, რა კრიალა იყო მისი შხეფები. მერე რა? ასეთ სუფთა, აიაზმივით მდინარეს, მარილიანი, მლაშე ზღვა უღმერთოდ ისრუტავს. ჰე, რამდენი შეუსვრეტია და მაინც მლაშე დარჩენილა თვითონ. ირწევიან მისი ტალღები, თითქოს ბობოქრობენ, შხეფებს ცას ესვრიან, რათა ზღვის გულისამრევ სიმლაშეს არ შეურიონ თავისი ანკარა წვეთები. თითქოს ბედს არ უნდა დამორჩილდნენ. მაგრამ ბუნების მძლე კანონს ვინ გადააბიჯებს?

არსაულაში დასასვენებლად ჩამოსული სირმა მსიპსტის ნაპირებს ვეღარ შორდებოდა. გულით უყვარდა ამ მდინარის ესოდენ გრილი ტალღები, ხეობებში რომ იბადებოდა და მის სოფელს ამშვენებდა. იგი მდინარეების საწინააღმდეგოდ მისეირნობდა. აქ ამ მიდამოებში გაიარა მისმა ბავშვობამ, დაუვიწყარმა და განუმეორებელმა. ის სიყმაწვილიდანვე ოცნებობდა არსაულაზე. დაბრუნება კი ამ სოფელში მაინც აღარ შეეძლო. მას ვერ ეპატიებია თავისი მშობლებისათვის ის, რომ გააშვილეს. მართალია, მისი

გამზრდელები მეტად კეთილი და სათნო ადამიანები იყვნენ, მაგრამ ღვიძლი მშობლები მაინც სხვა იყო. ბევრი სცადეს მშობლებმა სირმას ღვიძლ ოჯახთან დაკავშირება, მაგრამ ვერ შესძლეს. რადგან ის გააჩუქეს, უცხო ადამიანებს ჩაუგდეს ხელში. მას ეჩვენებოდა, რომ ყველა ატყუებდა, თვალის ასახვევად ეფერებოდა, გულში კი მისი სიყვარული არ ჰქონდა. თითქოს თვითონაც უნდოდა, ნამდვილი გულით ყვარებოდა არსაულელი ღვიძლი მშობლები, ფიქრობდა, რომ მათთვის ბრალის დადება უსამართლობა იყო, ეს წესი ხომ ძველთაგან მოდიოდა აფხაზეთში, მაგრამ მაინც არ იქნა და ვერ შეიყვარა ისინი. მთელი მისი სულიერი სამყარო სამუდამოდ გადაიკეტა მათთვის. ოჯახი, რომელმაც ის გაზარდა, სულ სხვანაირი იყო, მამობილი და დედობილი უთენია სამუშაოდ მიდიოდნენ, მამობილი მჭედელი იყო, დედობილი სამკერვალო სახელოსნოს მუშა-ქალი. მათ პატარა ბინა ჰქონდათ, მაგრამ ოჯახის ცხოვრებას არაფერი უსიამოვნება არ ახლდა თან. არსაულაში კი სხვანაირად იყო მოწყობილი ცხოვრება. თვალუწვდენი ეზო-გარემო, შესანიშნავი ბაღ-ვენახი, ბოსტანი, უამრავი ოთხფეხი და წვრილფეხა საქონელი, ქათმები, ძვირფასი ხალიჩებით მოფენილი ოთახები, შესანიშნავი ხისგან ნაკეთები სკამ-ლოგინი. ცნობილ ხელოსნების ნაკეთები განჯინა და ღუმელი. ეს ყველაფერი უფრო აშორებდა ამ ოჯახთან სირმას, ეგონა უცხო და მდიდარ ნათესავებთან იყო სტუმრად დროებით ჩამოსული. ასეთი ჭარბი სიმდიდრე, რომელიც თავს აბეზრებდა და ყველაფერს საძულველს ხდიდა, სირმას ყოველთვის გაქცევის ხასიათზე აყენებდა. არსაულელთა ოჯახი მას უაზროდ და უგონოდ შექმნილ ოჯახად ყავდა წარმოდგენილი. სახლში ვერ ჩერდებოდა, მოიწყენდა ხოლმე, გუნება უფუჭდებოდა.

არსაულა კი მართალი გულით უყვარდა. ეს მდინარეც მისი ოცნების უშრეტი წყარო იყო. სირმა აჰყვა ნაპირებს და უფრო დამდორებულ ადგილს მიაღწია. მან სულ ახლოს დაინახა იხვების მთელი გუნდი. ისინი „კერაზი“-ს საერთო ქონებად ჩათვალა. სირმას გაეხარდა; როგორც იქნა, მის სოფელს ახლა მეფრინველეობის ფერმაც გაუჩნდა. ეს დიდი სიმდიდრე იყო.

ახლოს მიიწია. იხვებმა ხავილ-ხავილით გასცურეს და გაიფანტნენ აქეთ-იქით. ცოტა ხნის შემდეგ შუა ადგილას ისევ შეიკრიბნენ და თითქოს ცეკვავენო, ისევ შეკრეს წრე, დაიწყეს წყალში ტრიალი. ისინი გრაციოზულად გადადიოდნენ ოდნავ მღელვარე წყლის ტალღებზე, თითქოს რაღაც მუსიკას აჰყოლოდნენ. ხანდახან ჩაყვინთავდნენ, კუდს გაფოფრავდნენ, ფრთებს ცას შეაფეთქებდნენ და ისე აიწევდნენ წყლის ზედაპირზე, გეგონებოდათ ფეხებით დადგნენ ტალღებზეო.

— ხომ ბევრი იხვი გვყავს, სირმა?

სირმამ მოიხედა. მისკენ ადგუა მოიჩქაროდა. რომელიღაც საზღვარგარეთული კინოფილმის გმირს ბაძავდა სიარულში.

— განა უფრო მეტი არ შეიძლება გყავდეთ?

— მალე გვეყოლება. დედამ უამრავი კვერცხი შეაგროვა, კრუხებს დასვამს და დააჩეკინებს.

— განა დედა მეფრინველეობის ფერმაში მუშაობს?

— რას ამბობ, დაიკო, ეს იხვები კოლმეურნეობის გგონია? ჩვენია, ჩვენი ოჯახისაა. კოლმეურნეობას ვინ მისცა იხვები?

— კი, მაგრამ კოლმეურნეობა რისთვის არ გააშენებს ფერმას?

— მე ვინ მკითხავს ასეთ საქმეებს.

— მაშ ვისი საქმეა, შენ ხომ თავმჯდომარის მდივანი ხარ, მისი მარჯვენა ხელი, შენ ბევრი რამ შეგიძლია გააკეთო. მე ისიც კი ვიცი, რომ შენ ბევრი გელაქუცება კიდეც.

ადგუამ ვერ შენიშნა დის დამცინავი კილო.

— მე იხვები სრულებით არ მაინტერესებს.

— აბა, თქვი, რა გაინტერესებს, რაზე ოცნებობ?

— საოცნებო არაფერი არ მაქვს. არც მინდა მეოცნებე ვიყო.

— შენ იცი, ადგუა, ვინ არ ოცნებობს? აი, ის იხვის ჭუჭულები არ ოცნებობენ. ადამიანები კი ყოველთვის ფიქრობენ და ოცნებობენ. ყოველი ნამდვილი ახალგაზრდა ფიქრობს ხვალინდელ დღეზე, შენ კი ისე ფუჭად ცხოვრობ, რომ...

— ნუთუ, რასაც მე ვაკეთებ, ყველასთვის უსარგებლოა?

—არა, უშენოდ გამგეობა დაიღუპებოდა, გოგონა! მთელი კოლმეურნეობის საქმეები უკუღმა წავიდოდა. მართალი გითხრა, შენს ადგილას სირცხვილისგან დავიწვებოდი. მთელი დღე ძაღლის ლეკვივით კარებს შეჩერებიხარ; გაიღება თუ არა, დაგიძახებენ თუ არა, იქ გაიქეცი, მას დაუძახე, ის მოიტანე, იმას დაურეკე. მთელი შენი ცხოვრება სხვის დუდუკზე უნდა იცეკვო. თავმოყვარეობა თუ გაქვს, ეგ ადგილი სხვას დაუთმე. შენ რა გიჭირს ისეთი.

სირმას და არ უყვარდა, ეჯავრებოდა მისი კმაყოფილი, დაუფიქრებელი და ფუჭი ცხოვრება.

—ჩემი ჩიტუნები მოვიდნენ. თქვენი ჭირი წაიღოს თქვენმა მამამ,— შემოხვდათ მამა ქალიშვილებს ეზოში,—მოდით, შვილებო, ჩემო სალოცავო მტრედებო,—არ ცხრებოდა ალმასხანი.—აბა, დაჯექით, შემახედეთ ერთი,—დაწნულ სუფთა სკამებზე მიუთითა ალმასხანმა ქალიშვილებს, თითქოს საპატიო, უცხო სტუმრები ყოფილიყვნენ.

—დასხედით, დასხედით,—ლუღლუღებდა დედა, რომელმაც კიბეები ახალგაზრდა ქალივით ჩამოირბინა.—თქვენი ჭირი შემეყაროს თქვენს უბედურებას არ მოვესწრო. ჩემო ოქრო გოგო, ჩემო სირმა.

სირმას უნდოდა დედა დაეწყნარებინა, მაგრამ ვერ შესძლო. მარჯვენა ხელით სირმას თავზე წრეს ხაზავდა, მერმე საკუთარ თავზე ირტყამდა ხელს, ეს იმას ნიშნავდა, რომ სირმას ჭირი მასზე უნდა გადასულიყო.

ადგუა გაწითლდა და გაიფხორა. იგი შეჩვეული იყო, მხოლოდ მას რომ ეფერებოდნენ. განებივრებულ გოგოს არ მოსწონდა, რომ დედამისი ახლა სირმას ელოლიავებოდა.

— მოდი, ადგუა, დის გვერდით ჩამოჯექი,—შეამჩნია დედამ უმცროსი ქალიშვილის წყენა. ახლა მასაც გადაუსვა თავზე ხელი. მერმე ოდისკენ წავიდა.

—დის ახლოს დაჯექი, დად,—მამამაც განუმეორა ადგუას დედის ნათქვამი,—სირმა, ალბათ, დაიღალა, სოფელში ადამიანი მალე იღლება.

—არ დავღლილვარ, მამა!

—ეს უკეთესია, შვილო, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, დად, და ბევრი ძალღონე გაქვს. ღმერთმა ნუ მოგაშოროს ეს ძალა და ღონე, ჩემო ოქრო გოგო. მეც შენს ასაკში მკვირცხლი, დაუდეგარი ვიყავი. დაღლა არც კი ვიცოდი. ახლა კი, შვილო, ხომ ხედავ, დავბერდი, დავჩაჩანაკდი... ეჰ, რაღა მეთქმის, საკმაოდ ვიცოცხლე ამ ქვეყნად, ბევრი ლხინი და ჭირი ვნახე, ბევრი პური გამიტეხია და ცოტა ღვინო. არ დამილევია. ერთი სიტყვით, ცხოვრებაში არაფერი დამიკლია, აწი ჩემი სიკვდილის დრო არის, მხოლოდ თქვენ გნახოთ ბედნიერი და ჯანმრთელი, ამის მეტს აღარაფერს ვნატრობ.

სირმა აღელვებით უსმენდა მამას, რომლის სიტყვები ლოცვას უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ ლაპარაკს.

—დად, სირმა, შენ უმაღლესი განათლება დაასრულე, საპატიო თანამდებობაც მიიღე. ღმერთმა წინსვლა ნუ მოგიშალოს. შენ ჩვენი ოჯახის სიამაყე ხარ, შვილო, დაე, ჩემმა ყურებმა კიდევ ისმინოს შენი ბედნიერებისა და წინსვლის შესახებ. ხომ იცი, ერთ ნიჭიერ ადამიანს მთელი თავისი გვარის ამაღლება და განდიდება შეუძლია. მე ვიცი, რომ შენ არ შემარცხვენ. შენი ვარსკვლავი კიდევ მეტად გაანათებს.

სირმა თავდახრილი უსმენდა მამას

და ადგუას შურიან თვალებს ვერ ამჩნევდა. ადგუას ვერც კი წარმოედგინა, რომ მამა ასეთი ტკბილი სიტყვებით მოეფერებოდა სირმას. ეს სიტყვები სირმას მოსვლამდე მხოლოდ ადგუას ეკუთვნოდა. ახლა იგი ქანდაკივით გაუნძრევლად იჯდა.

დედამ ცხელი ხაჭაპურები მოიტანა.

—დედა გენაცვალოთ, ეს ხაჭაპურები მიირთვით. გასინჯე სირმა, გასინჯე,— მან ისევ ნაზად გადაუსვა სირმას თმებზე ხელი,— შენ დიდი ხანია ჩემი ხელით გაკეთებული ნამცხვარი არ გიჭამია, მიირთვი, ნან, შენ ხომ საკუთარ სახლში ხარ, შენს ოჯახში ბრძანდები. თუ ვინმე ავი თვალით შეგხედავს, თვალები დაუვსოს ელვა-მეხმა, ნან!

სირმამ დედას თეფში გამოართვა და ხაჭაპურები ადგუას მიაწოდა. უმცროსმა ქალიშვილმა ორი ფრჩხილით აზიზად მოტეხა პატარა ნატეხი და თითქოს უგემურად ჩაიდო პირში.

ხაჭაპური მეტად გემრიელი აღმოჩნდა. მაგრამ სირმა მადიანად მაინც ვერ ჭამდა.

ნავახშმევს სირმამ სთქვა,—გამგეობაში უნდა გადავიდეო.

—კარგი, წაბრძანდი, დად, თუ კი შენ გინდა, ვინ დაგიშლის.— ალმასხანს ეგონა სირმა მას სთხოვდა ნებართვას.

—წადი, შვილო,—დაუმატა დედამაც.

— მეც წავალ,—წამოდგა ადგუაც.

—ორივენი წადით, შვილებო, მარტო სირმას წასვლას ორივეს გადასვლა სჯობს. დე, ხალხმა ორივე ერთად დაგინახოს.

გამგეობის კანტორის ზღურბლზე გადააბიჯა თუ არა ადგუამ, იმ წუთშივე აჩქარებით დაიკავა თავისი ადგილი.

—დაჯექი, სირმა!—უცხო სტუმარივით მიიპატიჟა უფროსი და ადგუამ.

სირმამ დამცინავი ღიმილით ახედა დას, თქმით კი არაფერი უთხრა. თითქოს მათ მოსვლას ელოდაო, არნოუ შემოვიდა, მისი მიხვრა-მოხვრა, ნაბიჯები და გამოხედვა მკვირცხლი და ბატონკაცური იყო. თვალები კი შევარდენივით მკვესავი ნაპერწკლებით გაევსო, სირმა რომ დაინახა.

—თქვენს მობრძანებას მივესალმებით, სირმა!—განსაკუთრებული მეგობრული ხმით შეეგება არნოუ სირმას და პირველად ხელი მას გაუწოდა.

სირმაც წამოდგა, თვითონაც მოკრძალებით და გულწრფელად მიესალმა. არნოუმ სიხარული იგრძნო. ნაურბას ყოველთვის ხიბლავდა პატივისცემა. არნოუმ კაბინეტის კარები შეაღო და ქალიშვილი წინ გაუშვა.

—შებრძანდით, ქალბატონო.

სირმას შეხვედრით და მისი გულწრფელი მისალმებით გახარებულმა ნაურბამ ადღუასაც მადლობის თვალით შეხედა და თავის დაკვრით გაუღიმა. ეს არც ისე ხშირად ხდებოდა. ადღუას მოეჩვენა, რომ იგი მეცხრე ცაზე დაფრინავდა. ადღუას ეგონა, რომ მისმა უფროსმა დამ ნაურბას ეს ღიმილი ვერ შენიშნა, თორემ მაშინ შეეძლო ეთქვა: „ეს უბრალო შემთხვევა როდია, ჩემო დაო, განა ასე ადვილია არნოუ ნაურბას პატივისცემა დაიმსახურო? არც ისე ცუდია ასეთ დიდ ხელმძღვანელთან პირად მდივნად იმუშაოს ადამიანმა. ამ სამუშაოზე მარტო ის კი არ კმარა დავალებები შეასრულო, ისიც უნდა იცოდე რა და როგორ გააკეთო“!

ხალხი თანდათან შეიკრიბა. მოვიდა იასონიც. თათბირი დაიწყო.

—თქვენ ხომ იცით, რისთვის მოგიწვიეთ დღეს.—დაიწყო არნოუმ. მისი სასიამოვნო, ხავერდოვანი, მტკიცე ხმა თანდათან ეუფლებოდა ყველას. იგი ბევრს არ ლაპარაკობდა, მოკლედ და სხარტად უპასუხებდა ყველაფერზე. მოხერხებულად გადადიოდა ერთი საკითხიდან მეორეზე. ვერ ითმენდა, როცა ვინმე ორჭოფულად მიედ-მოედებოდა, საკითხს გვერდს უვლიდა, გაუბედავ ორატორებს სიტყვას შეაწყვეტინებდა. საქმიანად მიყავდა არნოუს თათბირი. ამიტომ მას პატივს ცემდნენ. თითქოს მის ყოფაქცევაში ანგარების ნასახიც კი არ იყო. იგი ყოველ საქმეს გულდასმით ეკიდებოდა.

არნოუმ, მოწიწებით თხოვა სირმას, თავისი ჩამოსვლის მიზეზი მოეხსენებინა კრებისთვის.

სირმა წამოდგა. იგი მოერიდა შესავალ სიტყვებს და პირდაპირ დაიწყო

— ეს სისულელეა, — შეაწყვეტინა არნოუმ, — როგორ, თქვენ ფეხზე უნდა იდგეთ და ჩვენ დამსხდარნი ვიყოთ? როგორ გეკადრებათ, დაბრძანდით, დაბრძანდით და ისე ბრძანეთ.

ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი არნოუს აზრს.

სირმამ განაგრძო:

—ის, რაც გეგმით არის გათვალისწინებული უსათუოდ უნდა განვახორციელოთ. თქვენი მეზობელი ეზუგბა უკვე შეუდგა ამ საქმის მოგვარებას. იგი უკვე ამზადებს ნიადაგს სოფლის კეთილმოწყობისა და ახალი მშენებლობისათვის. ჩვენც ნუ დავიგვიანებთ, ჩვენც დროზე მივხედოთ ამ საქმეს...

—მართალი ხარ, მართალი,—ახმაურდა ხალხი.

—ახლა ყველაზე საჩქაროა საამშენებლო მასალების დამზადება,—ისევ განაგრძო სირმამ.

—ახუცა ძალზე მდიდარია მასალებით,—წამოდგა ასტანა.— ჩვენ საგურეც შეგვიძლია ავაშენოთ და ხის სახერხი ქარხანაც. ჩვენს სოფელში შესანიშნავი თიხა-მიწაა. ქვაც აქვეა, მერე როგორი ქვა, მარმარილოსავითაა ის დალოცვილი.

ასტანას იასონმაც დაუჭირა მხარი. არნოუს ხასიათი შეეცვალა. მას ასტანამ დაასწრო და ეს არ მოეწონა. სხვა დროს იგი ხმას ჩააწყვეტინებდა, სიტყვას არ მიცემდა, ახლა კი სირმას თანდასწრებით ეს არ შეეძლო.

— მართალი ხართ, — დაადასტურა არნოუმ მათი აზრი. ახუცა მდიდარია ტყით, საგურო თიხით და ქვის მასალით.

სირმას გაეხარდა. იგი ახლა შთაგონებით უყვებოდა კრებას, თუ როგორი თანამედროვე სასახლეები შენდება სოფლად, რომ მათი გლეხებიც სულ უახლოეს ხანში ახალ-ახალ, კეთილმოწყობილ ბინებში უნდა დასახლდნენ. არნოუ ნაურბა ახლა მას კი არ უსმენდა, სირმას სილამაზით იყო გაბრუებული. ხალხმა დაინახა, რომ არნოუ ნამდვილად გახარებული იყო სოფლის ახალი დიდი საქმის დაწყებით. ეს ხალხს მოეწონა, სიყვარულით დაუწყეს სირმას ყურება.

არნოუ მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობდა:

„მართლაც, რა ლამაზია სირმა, რა ლამაზი! ნეტავი იმას, ვის მკლავზეც ეგ გოგო თავს დასდებს დასაძინებლად, ვის სახლშიაც ეს ქალი პატარძლად დაეგულებათ“.

* * *

ზიზი შევიდა თუ არა პალატში, იმ წუთშივე ახარა დედამისს, უკეთ ხარო. ქალიშვილი დედას ჩაეხვია. ყაურასის უნდოდა ქალიშვილისათვის თვალებში ჩაეხედა და ამიტომ ნაავადმყოფარი ხელებით ზიზის თავის აწევა მოინდომა. დედა ვერ მიხვდა, რომ შვილი თვალებს არიდებდა.

დედისათვის ზიზის არასდროს არაფერი დაუფარავს, ახლაც ეტყოდა ყველაფერს, რომ იგი ავად არ ყოფილიყო, რომ ზიზის არ შეხვედროდა ის, ვინც სულ ააფორიაქა მისი სამყარო.

— მალე წამოვდგები, შვილო, და ყველაფერი ძველებურად იქნება. ექიმმა მითხრა საშიშროება აღარ გელისო. ეჰ, არნოუს უნდა ვუმადლოდე სიცოცხლეს. მან გადამარჩინა, მან გვიშველა, თორემ ობლად უნდა დამეტოვებინე. დე, მისი უბედობა მე შემეყაროს, მისი ავი ჩემს ოხერ თავს დაატყდეს.

არნოუს ხსენებაზე ზიზი შეკრთა, ტანში გააძგერა, აფორიაქდა. დედა კი ისევ განაგრძობდა არნოუს ქებას: ყოველდღე მნახულობს, ექიმებს ჩემს მზრუნველობას ავალებს, ალბათ, საჩუქრებსაც აძლევს. ვაი, რომ წინათ მე სულ სხვანაირად ვიცნობდი არნოუს, ასეთი კარგი კაცი არ მეგონა. არსაუ-

ლაში კი არა მთელს აფხაზეთში ვინ შეედრება კაცობაში არნოუ ნაურბას. ტყუილად კი არაა ასეთი სახელგანთქმული ადამიანი.

ზიზი დამუნჯდა. ის ვერაფერს იტყვის ახლა, სანამ დედამისი არ წამოდგება, თითქოს თვითონ ზიზისაც სჯერა, არნოუს კეთილშობილება. ისევ ესმოდა ყურში არნოუს ტკბილი და გამაბრუებელი სიტყვები, ესმოდა მისი სუნთქვა და ფიცი, ასე გულით რომ უმტკიცებდა სიყვარულს ზიზის.

* * *

სახლში დაბრუნებული ზიზი მეორე დილით თამბაქოს პირველი ფოთლების შესატეხად გავიდა. პირველი ფოთოლი ნაზია და სურნელოვანი. ზიზი თავაუწევლად მუშაობდა. შუადღე მოტანებული არ იყო, რომ ვიღაცის მზერა იგრძნო მთელმა სხეულმა. ზიზი შეწრიალდა, თავი ასწია. მის წინ არნოუ იდგა.

— ელვასავით გოგო ხარ, ზიზი. შენი ნაკვეთი ყველაზე უკეთესი მოვლილია მთელს აფხაზეთში. განა სხვანაირად შეიძლება? ოქროს ხელები გაქვს და ოქროს წყაროსავით გადმოგდის საქმე ხელიდან. შენს შრომაზე მალე რადიო დაიწყებს ლაპარაკს, გაზეთში დაიხატები, ქვეყნად გავარდება შენი სახელი. ასეა, კარგო ქალო, შრომას აფასებენ ჩვენს დროში.

არნოუ თამბაქოს შეტეხილ ფურცლებს შეეხო.

— ნამდვილი აფხაზური თამბაქოა. ქვეყნად უკეთესი ფოთოლი არსად შეიტეხება. ის ნელა უახლოვდებოდა ზიზის. მისი ხმა თანდათან იგუდებოდა.

— მე მხოლოდ ის მინდა, შენ ერთი წუთითაც არ გაგიტყდეს გული ჩემზე. ცუდი არ იფიქრო არნოუ ნაურბაზე. შენ ვერც კი წარმოიდგენ, როგორ პატივსა გცემ, როგორ ვიწვი და ვიტანჯები ერთი შენი შეხედვითაც კი. რა ვქნა, არ ვიცი...

ზიზიმ თამბაქოს ფოთლის შეტეხვას თავი დაანება და წელში გასწორდა. იგი ახლა შორს, უაზროდ გასცქეროდა დასალიერს. არნოუ ცდილობდა გამოეცვანა გარინდებიდან, გაეტეხა თვალი, დეფეთ ნხმებინა თავისი სურვილის ასასრულებლად. არნოუმ იცოდა, რომ მისმა უხეშმა და უჭკუო, უცაბედმა თავდასხმამ ზიზი შეაშინა და განარიდა მას.

— შენ როგორც გსურს, ისე იფიქრე და მიიღე ჩემი ნათქვამი, მე კი გეფიცები ყველაფერს, გეფიცები ჩემს მიწას, რომელზედაც ვდგავართ და ჩვენივე ოფლით ვალბობთ, შენი წმინდა სახელი ყველაფერზე უფრო ძვირფასია ჩემთვის. მე ვიტანჯები შენი სიყვარულით. შენს გამო ღღე და ღამ მიკვნესის გული, გამიგებ — გამაბედნიერე, უარს მეტყვი დამღუპავ კიდეც. შენი უარის თქმა და ჩემი სიკვდილი ერთი და იგივეა. უშენოდ ხვალინდელი მზის ამოსვლა არ ენახოს ჩემს თვალებს.

— არნოუ, შენ წრფელი კაცი არა ხარ. მართალს არ ამბობ. მე ხომ ვიცი, შენ სახელგანთქმული კაცი ხარ, მე კი თამბაქოს უბრალო მკრეფავი ქალი. ნუ მომექცევი ისე, რომ ქვეყნის, ხალხის შეხედვა შემრცხვეს. წადი, სხვა მკრეფავებს ჩაუარე, ნუ მარცხვენ, ხომ იცი ხალხი რას იფიქრებს და იტყვის. თავი მომეჭრება, არნოუ.

ამას რომ ამბობდა ზიზი, მკერდზე თამბაქოს მწვანე ფოთლები მიეხუტებინა, თავი დაეხარა, მზის ჩამავალ სხივებში მისი თვალწარბი და აბრიალებული სახე კიდევ უფრო ლამაზი ჩანდა.

— ჰო, რა ლამაზი ხარ! — მხოლოდ ეს წამოცდა არნოუს და ნელა დაუმატა, — მწუხარებამ ვერ გაგტეხა, ზიზი, უფრო მშვენიერი და ტურფა გაქცია. მე კი როგორ მოვიქცე, არ ვიცი.

ამ სიტყვებს ისე ამბობდა არნოუ, თითქოს თამადა ყოფილიყოს. ზიზი ხვდებოდა მის არაგულწრფელობას და ძრწოლა უვლიდა ტანში. ისე ეშინოდა, როგორც უიარაღოს თოფმომართული მტრის წინაშე. მისი ასეთი აფორიაქება, ეტყობა, არნოუს კიდევ მეტ გამბედაობას აძლევდა.

მზე უკვე ზღვის გადაღმა ჩაესვენა.

ცაზე მხოლოდ მისი სხივები იყო ფარშავანგის კუდივით გაშლილი და შეფეთქებული.

— ყველაფერი კარგად იქნება, დედა გამოჯანსაღდება. თავს გაუფრთხილდი, მეც შემიბრალე, გოგო, მეც შემიბრალე. — ახლა უკვე ლუღლუღებდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ არნოუ.

ზიზის უკვე ესმოდა მისი ცხელი სუნთქვა.

— შენ უნდა შეგიბრალო მე საწყალმა?

— ჩემი გული შეიბრალე, ტანჯვა შემიმსუბუქე, თუმცა ეს ტანჯვა მე ბედნიერებად მიმაჩნია.

— არნოუ, გამოფხიზლდი, თავს ნუ შეირცხვენ, ხალხი იყურება.

— ზიზი, — გზა გადაუკრა არნოუმ ქალიშვილს, ხელი გადაუწია და მისკენ მიიწია. ქალიშვილი უცებ გაყუჩდა, ოდნავ შეჩერდა, მერმე დაიქნია ხელები და გათავისუფლდა. იგი ელვასავით გაშორდა არნოუს და მთის კალთას შეჰყვა. მისი მძიმე სუნთქვა ახლა შორს ისმოდა.

— ზიზი, — ამოილუღლუღა ისევ არნოუმ.

ქალიშვილმა არ უპასუხა. არც შემობრუნებულა, გაოგნებული და პირში ჩალაგამოვლებული არნოუ ფეხარევით გაჰყვა ქალიშვილის ნაკვალევს.

თარგმანი **მამია ასათიანისა**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზო ჭეიშვილი

ორი მოთხრობა

ნადიმი სოფლად

ეს ამბავი სოფელ ზედა ლეყერეთში მოხდა.

ლეყერეთი, მითუმეტეს ზედა, არაფრით განსაკუთრებულით არ იქცევს ყურადღებას. რასაკვირველია, როგორც ყველგან, ისე აქაც შეიძლება მოხდეს ჩვეულებრივი, თუ გინდათ, არაჩვეულებრივი ამბავი, მაგრამ ეს შემთხვევაზეა დამოკიდებული და ლეყერეთი არაფერ შუაშია.

იმ დღეს ლეყერეთში მსახიობები ჩამოვიდნენ. მსახიობებიო, ვამბობთ, თორემ ყველანი სტუდენტები და ინსტიტუტის საორკესტრო ანსამბლის მონაწილენი რომ არ ყოფილიყვნენ, ამ სიტყვას სულაც არ ვიხმარდით. ამ საკმაოდ მივარდნილ სოფელში ერთი ამათთაგანის—სულიკოს წყალობით მოხვდნენ. სულიკო ენერგიული ბიჭი იყო, საქმეც ემარჯვებოდა, მაგრამ ხშირად წინასწარ იძლეოდა ისეთ თამასუქს, რომლის განაღდებაც მის ძალას აღემატებოდა ეს თვისება ამნახაგებსაც შემჩნეული ჰქონდათ, მაგრამ წასვლაზე უარი არ უთქვამთ, რადგან ბევრი ამ მოგზაურობიდან საინტერესო დროსტარებას ელოდა და, როგორც მერე ვნახავთ, არც თუ უსაფუძვლოდ.

* * *

სულიკო მანქანიდან გადმოვიდა და ღვლეჭით დამაგრებული დიდი ჭიშკარი გააღო. ჭიშკარი საშინელი ჭრიალით გაქანდა და ცალ ანჯამზე საცოდავად დაეკიდა. ნათხოვარი „ზიმი“, რომელიც მალე უკანვე გაბრუნდა, მსუბუქად შესრიალდა საბჭოს თვალუწვდენელ ეზოში. სულიკო „ზიმს“ ფეხით მიჰყვა, რადგან ამხანაგებმა მძღოლს მანქანა არ გააჩერებინეს და სულიკო კარგა-ძალზე აძუნძულეს.

ჭიშკრის ჭრიალზე მეკუჭნავე ვარლამმა სათვალე შუბლზე აიწია და უკაცრიელ აივანზე გადმოდგა.

ახალგაზრდები რიგრიგობით გადმოდიოდნენ მანქანიდან. ასეთი მანქანა და ასე ჩაცმული ყმაწვილები ამ სოფლის არც ისეთი ხშირი სტუმრები იყვნენ, მაგრამ ვარლამი ისე გულგრილად ადევნებდა ამ სურათს თვალს, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს; მხოლოდ ეს უკვირდა, „ამდენი როგორ ჩაეტენენ შიგო“. დათვალა კიდეც უცხო ხალხი, რომელიც იმაზე მეტი აღმოჩნდა, რასაც, ვარლამის აზრით, ამ მანქანის დასაჯდომი ადგილი ითვალისწინებდა და ბოლოს დაასკვნა, უარესიც ხდება ქვეყანაზეო.

ქალიშვილები გეტა და დიანა უხეიროდ შეჭედილ მოგრძო სკამზე დასხდნენ. ბიჭები მიწიდან ამოჩრილ ცაცხვის ათასნაირად დახლართულ და დაღვლეჭილ ფესვებზე მოკალათდნენ. საღამოვდებოდა. მზე ჩადიოდა. ხეებს ჩრდილები დაგრძელებოდა. წინ მწვანეში ჩაფლული სოფელი მოჩანდა. სოფელს ტყით დაფარული გორები შემორტყმოდა. საქონელი ეკვნების წკარუნით ბრუნდებოდა ორღობეში. გრილი ნიავი უბერავდა.

— რა ჰაერია, ბიჭო! — თქვა მაღალმა, ლამაზმა ბიჭმა ალეკომ.

გამოირკვა, რომ ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს არავინ ელოდა, და სულიკო დიდ საგონებელში ჩავარდა. ძველი კლუბი, რომლის იმედი მას ჰქონდა, დაენგრიათ და ახალი ახლა შორდებოდა საძირკველს. მართალია, კლუბის გამგე კიდევ არსებობდა, მაგრამ დაღუპული გემის კაპიტანივით აღარაფერი ეკისრებოდა. სულიკო გაოფლილი დარბოდა; ხან ერთი შენობის კიბეზე ადიოდა, ხან — მეორისაზე; ხშირად თვალთაგან იკარგებოდა და მერე სულ სხვა მხრიდან ცხადდებოდა. ცაცხვქვეშ უდარდელად მოკალათებული ამხანაგები ირონიული ღიმილით უყურებდნენ სულიკოს, რომელიც დილიდან ირწმუნებოდა, სოფელში აფიშებია გაკრული და მოუთმენლად გველიანო.

— როგორც გინდა, ახლა ისე მოვიარე... აქედან მშიერი წამსვლელი მე აღარა ვარ!.. — უთხრა მხართეძოზე წამოწოლილმა ალეკომ.

— მაგის ჯავრი ნუ გაქვს შენ! — შორიდან უპასუხა სულიკომ და ოფლი მოიწმინდა.

ქალიშვილებმა ამ საუბარს ყურადღება მიაქციეს, მაგრამ მაინც ვერ გაარკვიეს, რა ხდებოდა.

ამ სოფელში, ე. ი. ლეყერეთში სულიკოს ბიძა ცხოვრობდა. ბიჭებმა იცოდნენ ეს და სულიკოც, ბიძის ხელგაშლილობის იმედი რომ არ ჰქონოდა, ამდენს ვერ გაბედავდა.

სულიკოს ბიძამ, შოთამ, ცოტა გვიან გაიგო სასახელო ძმიშვილის ჩამოსვლა, რომლისაგანაც სახეიროს ისედაც არაფერს ელოდა; თითქოს არც ესიამოვნა ეს ამბავი. ღმერთმა იცის, ხარჯს არ მორიდებია, მაგრამ უცხო სტუმრების შეეშინდა, არ იცოდა, როგორ გამასპინძლებოდა: ზოგს რა მოსწონს და ზოგი რას გიძრახავს. თანაც მთელი დღე მუშაობდა, დაღლილი იყო და დაძინებას აპირებდა, მაგრამ თადარიგის დაჭერას მაინც დროულად შედგომოდა; უფროსი ბიჭი მოსაპატიჟებლად გაგზავნა, თუმცა სულიკოს სულ არ სჭიროდებოდა ეს ზედმეტი თავაზიანობა; უკვე მოდიოდა თავისი ამალით.

ბიჭები მორიდებით ამოვიდნენ აივანზე. ამხანაგის დაუფიქრებელი მოქმედებით თავს მაინცდამაინც უხერხულად არა გრძნობდნენ, მაგრამ ხვდებოდნენ, რომ უცხო ოჯახს აწუხებდნენ და ცდილობდნენ, სახის მოწყენილი გამომეტყველებით მაინც გაემართლებინათ თავი. ქალიშვილები გაბუტულები მოდიოდნენ, საბოლოოდ მიმხვდარიყვნენ, რომ ღამის გათევა უცხო სოფელში უხდებოდათ და არც კითხულობდნენ, ვის სახლში მიდიოდნენ; ისინი მიყვებოდნენ ამხანაგებს, რომლებიც ვალდებულნი იყვნენ მათზე ეზრუნათ. შოთა აივანზე იდგა და სათითაოდ ართმევდა ყველას ხელს. გეტამ და დიანამ ამხანაგებს მიბაძეს და უყურადღებოდ ჩამოართვეს ვიღაც მამაკაცს ხელი, მაგრამ ჩვეული ინტუიციით შეაფასეს მასპინძლის აღნაგობა და იერი; მიხვდნენ, რომ ეს წვერგაუპარსავი, ფერმკრთალი ადამიანი საკმაოდ მომხიბლავი არსებაა. ეს არ იყო სიმართლეს მოკლებული აზრი, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიკეთე, ამ კაცის სიფერმკრთალის გამო, ამ სოფელში ჯეროვნად არავის დაეფასებინა: არც სხვას და არც მის პატრონს. შოთას თხელი სახის კანი და ცხვირის ნესტოები ჰქონდა; ღია წაბლისფერი თმა-წვერი შვენოდა. ქალიშვილების დანახვაზე შეკრთა; გაფარფაშებულმა საკონცერტო კაბებმა და თმის უცნაურმა ვარცხნილობამ დააბნია; ნელსაცხებლის სურნელება კი კიბიდან ეტაკა.

ბიჭები აივანზე დასხდნენ. ქალიშვილები დაუკითხავად შევიდნენ ოთახში და პირდაპირ სარკეს მიაშურეს. აფოფრილი, ჩალისფრად შეღებილი თმა გაისწორეს. ამ ორ ქალიშვილს უკვე მოესწრო მოსკოვისა და ვარშავის საკონცერტო დარბაზებში გამოსვლა და თავიანთი თავი და მორთულობა ძალიან მოსწონდათ.

შოთას მეუღლე, თითქოს სიმაღლი-

საგან წელში მოხრილი დედაკაცი, აივანზე ამოვიდა. დიდი, ალბათ, ქმრის ფეხსაცმელები, კიბესთან დატოვა და მოკლე წინდებით იატაკზე გაიარა. სტუმრებს მორიდებით მიესალმა. ბიჭებმა ზრდილობიანად ჩამოართვეს ხელი და იმწამსვე ყველა თავის საქმით გაერთო. მხიარული საუბარი გაგრძელდა. ქალმა დრო იხელთა და ოთახში შევიდა. გეტა და დიანა ტახტზე ისხდნენ, იდაყვებით მუთაქებს დაბჯენოდნენ და ბიჭებისაგან განსხვავებით, ისეთ საგანზე საუბრობდნენ, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა ამ სოფელთან და ამ ამბავთან. შოთას მეუღლე ქალიშვილებს არ ელოდა, შედგა, გაიღიმა. სტუმრები წამოდგნენ, ქალს მიესალმნენ. ქალმა ხელი ორივეს ჩამოართვა. ქალიშვილები ფეხზე გაჩერდნენ და სანამ დიასახლისი საქმეზე არ შებრუნდა, მდუმარედ იდგნენ; მერე დასხდნენ და საუბარი გაგრძელეს. ქალმა კარადის კარი გამოაღო, რაღაც ნივთი ქაღალდში დამალა და სწრაფად გაუჩინარდა. ბიჭები უკვე გამხიარულებულიყვნენ, და აივნიდან ხმამაღალი სიცილი ისმოდა. ქალიშვილებმა ამ ხმას ყურადღება მიაქციეს. ოთახში ალეკო შემოვიდა და ქალებს თხოვა: გარეთ გამოდით, ნახეთ, როგორ ღამდებაო. ქალები არც განძრეულან.

— თავი დამანებე! — უთხრა პატარა სიჩუმის შემდეგ გეტამ.

ალეკო გარეთ გავიდა და საერთო მხიარულებას შეუერთდა. იგი კარგახანი ეარშიყებოდა გეტას. ქალთან ახლოს ყოფნა მისი ოცნება იყო, მაგრამ იცოდა, გეტას ამაღამ წასასვლელი გზა არ ჰქონდა; ჯერჯერობით ამითაც კმაყოფილი იყო და აივანზე უფრო ერთობოდა. გეტას ნაწყენი სახე მაინც ჩარჩა მეხსიერებაში. ქალს ისედაც გაბუტული, დაბერილი ტუჩები ჰქონდა; ოდნავ მსუქანი იყო, მაგრამ ყვრიმალები ემჩნეოდა და ბავშვური, მაგრამ მაინც ვნებიანი თვალები უმშვენებდა თეთრ, უნაზეს სახის კანს.

სულიკო ბიძამისს მიჯდომოდა, და ცდილობდა ეს წარბშეკრული კაცი, რომელიც სულაც არ იყო უგუნებოდ, ხასიათზე მოეყვანა. ისინი მოშორებით აივნის კუთხეში ისხდნენ. სულიკო მსჯელობდა ყურძნის წლევანდელ მოსავალზე და სოფლის მეურნეობის სხვა აქტუალურ საკითხებზე, რომელიც აბსოლუტურად არ აინტერესებდა. აივანზე შოთას ბავშვები ამორბოდნენ, ხის ვიწრო კიბეზე ერთმანეთს ეჯიკავებოდნენ და ჩურჩულით ჩხუბობდნენ. ამ ახალგაზრდა კაცს უკვე ოთხი ბავშვი ჰყავდა, რომელთაგან უფროსი თორმეტი წლისა თუ იქნებოდა. სხვაობა ბავშვებს შორის ისეთი უმნიშვნელო იყო, რომ უკვე ოთხივე სკოლაში დადიოდა. შოთა ბავშვებს უწყრებოდა, აივანზე არ აჩერებდა: წადით, დედათქვენს მიეხმარეთო. ბავშვებს იქ ყოფნა ერჩიათ, უცხო ხალხს მიჩერებოდნენ.

სამზადში ცეცხლი ენთო. წაბლის ხის ნაკვერჩხლები ტკაცუნებდა და გარეთ კვამლისა და კეცზე დამწვარი ნეშოს სუნი გამოდიოდა. შოთამ „ყაზბეგის“ ჯოლოფი ამოიღო და ძმიშვილს პაპიროსი მიაწოდა. შოთა სხვა პაპიროსს არ ეწეოდა და ამის გამო სოფელში ზოგიერთები ჩუმჩუმად დასცინოდნენ.

დაღამდა. მთვარე ამოვიდა. ფორთოხლისფერი ვარსკვლავები გაილანდა მსხლის ტოტებში. გეტა და დიანა აივანზე გამობრძანდნენ. კაბები ააშრიალეს და ფრთხილად დასხდნენ. ალეკო სკამლოგინზე წამოწვა და თავი დიანას კალთაში ჩაუდო. დიანამ გაიცინა და ვაჟს ქოჩორზე გადაუსვა ხელი. ბიჭს, რასაკვირველია, გეტას კალთაში ყოფნა ერჩია, მაგრამ ჯერჯერობით ამას ვერ ბედავდა. ალეკოს თავის სილამაზისა და მოხერხების იმედი ყოველთვის ჰქონდა, მაგრამ გეტასთან ხელფეხი ეკვროდა. ქალი კი შეგნებულად არ ათამამებდა.

გეტამ ალეკოსა და დიანას სხვათაშორის შეხედა; მეგობარი ქალის მაინც შეშურდა და ამისთვის რომ ყურადღება არ მიექცია, გიტარა აიღო, სიმები

მოსინჯა. გიტარის ხმა ბნელ ღამეში საფანტის ტყვიასავით დაფანტა. გეტამ დაუკრა, სიმღერა წამოიწყო. დიანა აჰყვა. ერთი დაბალი ბიჭი, რომელსაც ამდენხანს თავი არაფრით გამოუჩენია, ქალიშვილებს უკან მიუჯდა და ხავერდოვანი ბანი უთხრა. მღეროდნენ წყნარად, ოდნავ სევდიანადაც. მთვარის სხივები უზარმაზარი მსხლის ხეთა ტოტებში მოძვრებოდა და აივნის იატაკსა და წაბლის ხის კედელს თეთრი ღრუბლის ქულებივით ეფინებოდა. მსხლები გაეკრიფათ. ფოთლები სანახევროდ ყანგისფერი გამხდარიყო. ნიავი ტოტებს აქანებდა და მთვარის ჩრდილები აივანზე ირწეოდა. აივნის კუთხეში შოთა პაპიროსს ეწეოდა, კვამლს ღრმად ისუნთქავდა და განაბული ისმენდა სიმღერას. უყურებდა ქალიშვილებს, რომელთა სურნელება აბრუებდა და ათრობდა. თვითონ სულიკოც გაიტაცა სიმღერამ. იგი ქურდულად უჭვრეტდა ბიძას და აინტერესებდა, როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ჰანგები. შოთამ კი მარტოობა იგრძნო, გულს რაღაც შემოაწვა; ადგა, უკვე დროც იყო და ჭურის მოსახდელად წავიდა. უფროსმა ბიჭმა პალატიდან ანთებული სანათური გამოიტანა. სულიკომ ბიძას ჩაფი გამოართვა. შოთა უკანვე შებრუნდა.

სულიკომ ფერწართმეული, ნახმელარი ჩაფი კომშის ხეების ქვეშ დადგა და ბიძაშვილს, რომელსაც ხელში ანთებული სანათური ეჭირა, ღიმილით ჰკითხა: გატყდი, რომელ ჭურშია კარგი ღვინო. ამასობაში შოთამ წყლით სავსე თუნგი მოიტანა. ალეკომ აივნის კიბე ჩაირბინა და ჭურებთან მივიდა.

— მე უნდა მოვხადო. — თავი გამოიდო სულიკომ.

— რა იცი, ბიჭო, შენ ჭურის მოხდა!? — გაიღიმა შოთამ და ბიის ტოტზე ჩამოკიდებული თოხი და ძელბარი ჩამოიღო, ორივე ძმიშვილს დაანება და უთხრა, რომელი ჭური მოეხადა.

სულიკომ ძელბარი ხეს მიაყუდა, თოხით ჭურს ფხვიერი მიწა გადააცალა; მერე დაიხარა, ფიქალი ქვა აიღო და გვერდზე დადო; ბიძამისმა თუნგით წყალი დაუსხა და ძელბარი დასასველა. სულიკომ აყალო მიწა მოჭრა. იგი ყველაფერს ფრთხილად და ოსტატურად აკეთებდა. მართალია, არც ისე გაწაფული ჩანდა, მაგრამ ყველაფერი ემარჯვებოდა და რომ მიგეშვა, ბანკის სეიფსაც გახსნიდა. მოჭრილი მიწა სულიკომ ჭადივით არეკა და იქვე დადო; ამონაჭერი ხელით ამოასუფთავა და ჭურს სარქველი მოხადა. ღვინის სუნი ამოვარდა. შოთა ამ დროს ორშიმოს რეცხავდა და თან ძმიშვილის მოქმედებას ადევნებდა თვალს.

— მოწიე, ბიჭო, ლამფა! — უთხრა სულიკომ ბიძაშვილს, რომელსაც სანათური ხელში უყურადღებოდ ეჭირა და ალეკოს თითზე გაკეთებულ უცნაურ ბეჭედს უყურებდა: უკვირდა, რად უნდა კაცს ბეჭედიო. შოთამ სულიკოს ორშიმო მიაწოდა. სულიკომ ორშიმოს ფსკერით ჭურის ზედაპირზე ამოტივტივებული ჭაჭა მიწი-მოწია და ორშიმი ფრთხილად ქვევით ჩაუშვა. ღვინო ჩხრიალით ჩაეშვა გამხმარ ხაპში.

— რას შვებით, რას აკეთებთ? — ჰკითხა გეტამ ალეკოს, როცა ეს უკანასკნელი აივანზე ამობრუნდა.

— ჭური მოვხადეთ, ღვინოს ვიღებთ... გინდა გაჩვენო?

— დაიწყებენ ახლა ღვინის სმას! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გეტამ.

...პირველად, როდესაც ყველანი სუფრასთან მოკალათდნენ, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა და ოთახში პალატის ფიქალ ქვებში ჩამალული ჭრიჭინობლის და მსხლის ფოთლების შრიალის ხმა შემოიჭრა.

— მიირთვით! — თქვა სუფრის თავში მჯდარმა შოთამ. შოთას ხალათი გამოეცვალა; ხელში პაპიროსი ეჭირა და დინჯად ფერფლავდა. ქალებმა ხაჭაპურის ნაჭრები გადაიღეს და ბიჭებს გადახედეს, რას უცდიანო. მართლაც, ყველანი მოშიებულები იყვნენ და მასპინძლის თხოვნით საქმეს შეუდგნენ. შო-

თამ ღვინის ჭიქები შეავსო. სულიკომ, ბიძაჩემს გაუმარჯოსო, თქვა. შოთამ უარი უთხრა, შენ იყავი თამადაო, მაგრამ დანარჩენებმა სწრაფად სტაცეს ჭიქებს ხელი და შოთა ადღეგრძელეს. ამით თითქოს მასპინძელი დააფასეს. ამგვარად შეეცადნენ გაეფანტათ ის უხერხულობა, რომელსაც ისინი ამ კაცის მიმართ განიცდიდნენ.

...შოთამ სულ მალე, შეუმჩნევლად დაიმორჩილა სუფრა. მოსწრებული სიტყვა-პასუხით, სანდომიანი საუბრითა და ღიმილით წაშალა ის ზღვარი, რომელიც მასა და სტუმრებს შორის არსებობდა. იგი წესისა და რიგის მიხედვით მიჰყვებოდა სადღეგრძელოებს და ახალგაზრდებს მოხერხებულად და თავაზიანად აპატიებდა ხოლმე იმ უტაქტობას, რომელსაც ისინი სუფრის წესისა და ოჯახის მიმართ ჩადიოდნენ; ხოლო, როდესაც სხვებთან ერთად იმღერა, საბოლოოდ მოინადირა ყველას გული. ქალებს მოეწონათ მისი ფერმკრთალი სახე, წაბლისფერი თმა-წვერი, გამართული ტანი და გრძელი ხელის თითები. არ ეგონათ, თუ სოფელშიც შეხვდებოდნენ ასეთ მამაკაცს.

გეტა დაუნდობლად, ხშირად შიგ თვალებში უცქეროდა შოთას. კაცი ამას ვერ უძლებდა, მართალია, წონასწორობიდან არ გამოდიოდა, მაგრამ უხერხულად ახველებდა. ქალის თითქოს ბავშვური, მაგრამ ვნებიანი თვალები აბნევდა. გეტა ამას ხვდებოდა. თავის ზემოქმედების ძალა ბევრზე ჰქონდა ნაცადი, ამასაც არ დაჯერდა და თავხედურად გადაჯდა შოთას გვერდით; ამხანაგებს უთხრა: ვერც ერთი ასე ვერ მღერიხართო. გეტამ და შოთამ, ბანების დახმარებით, მართლა კარგად იმღერეს. სიმღერის ხმაზე ოთახში შოთას მეუღლე და მეზობელი ქალი შემოვიდნენ, რომელთაც სამზარეულოში საქმე მოემთავრებინათ. ისინი შორიახლო დასხდნენ. ბიჭებმა სუფრასთან ადგილი გაათავისუფლეს. ქალებმა თქვეს, ჩვენ არაფერი არ გვინდაო.

— ისე მაინც მობრძანდით!—შეწუხდა ალეკო. ქალებმა ერთმანეთს გადახედეს. შოთამ მეუღლეს შეხედა, ალბათ, თვალებით უთხრა რაღაც, რომელიც მხოლოდ ამ მაღალ დედაკაცს შეეძლო გაეგო და ქალებმაც სკამები მოწიეს და მორიდებით მიუსხდნენ მაგიდას.

როდესაც ბიჭებმა გამხიარულებული მასპინძელი იხილეს, დოლსა და აზიურ გარმონს შალითები შემოაცალეს და დაუკრეს. ამან სუფრას სხვა ელფერი მიცა. შოთამ იცეკვა. ეს ახოვანი კაცი რაღაც უხეშ, დაუხვეწავ ილეთებს აკეთებდა და ერთ ადგილზე ტრიალებდა. მართალია, სტუმრები ცეკვის დახელოვნებული ოსტატები იყვნენ, მაგრამ აქაურობას სხვაგვარი ცეკვა არ უხდებოდა. შოთა ცეკვავდა დაუღალავად. დაფარული, მძლავრი ვნებით. გეტა იხიბლებოდა მისი სიახლოვით და ძლიერი სუნთქვით, რაიც შოთას თამაშს სინაზეს არ უკარგავდა.

„რამ გადარია, ნეტავი ეს კაცი!“ — გაიფიქრა შოთას მეუღლემ, რომელიც მალე ადგა სუფრიდან, რადგან ქვევით, პალატში ბავშვები ჭაჭყანებდნენ და ერთი უკვე გამეტებულად ღრიალებდა. მართალია, ეს ხმა მის მეტს არავის აწუხებდა, მაგრამ მაინც წამოდგა და ქვევით ჩავიდა. მეგობარი ქალიც წაყვა, რომელსაც იქ აღარაფერი დარჩენოდა. მათი წასვლა არვის შეუნიშნავს. სუფრაზე ამ დროს ისევ მღეროდნენ. ღვინო ქალებსაც დაელიათ სამწყურვალოდ და სახეანთებული გეტა თუ შოთას არ უყურებდა, ისე იჭერდა თავს, რომ მასპინძელს აიძულებდა მისთვის ეცქირა. ალეკო ამ აბავს ყურადღებას აქცევდა, მაგრამ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, რადგან იცოდა, რომ გეტა პირველივე გაცნობილი მამაკაცით ხშირად ასე იხიბლებოდა. ამის შედეგი ალეკოს ჯერ არ ეწვნია და არც იმდენი უფლება ჰქონდა მოპოვებული, რომ ქალისთვის შენიშვნა მიეცა.

„მაინც რა ჯობია ქალაქს... სულ სხვა ხალხში გაქვს საქმე... რა მინდოდა, აქ

რომ ჩავრჩი... ჭკუა მეხმარა და მესწავლა?!“ — ფიქრობდა შოთა.

ნადიმი გვიან ღამემდე გაგრძელდა. დილით შოთამ ყველაზე ადრე გაიღვიძა. ღამით რამდენიმე ბუნდოვანი სიზმარი ნახა. თვალი გაახილა თუ არა, სიზმარი აღიდგინა. გაახსენდა, რომ ეზოში ოქროსფერი მოლაღურები დაფრინავდნენ, ალუბლის ხის ნაწვიმარ ტოტებში ფრთხიალებდნენ; ტოტიდან ტოტზე ხტოდნენ; მოქნილი ტოტები ირიბულად ქანაობდა და ქვევით წვიმის წვეთები ყვავდებოდა. ახლადგაღვიძებული შოთა სარკმელს მიაჩერდა და, როცა მისმა მზერამ მინებთან მომდგარ ბურუსში გაატანა, მიხვდა, რომ გარეთ მართლა წვიმდა. სველი ალუბლებიც გაარჩია და მოეჩვენა, რომ ყველაფერ ამას კარგახანი უყურებდა. იფიქრა: შეიძლება მოლაღურებსაც მოვკარი თვალი და სიზმარი მგონიაო. ბოლოს წუხანდელი ამბავი მოიგონა. ცხადიც იმდენად ჰგავდა სიზმარს, რომ ყველაფერი აერია. შოთამ ზევით ოთახში დატოვა რაღაც უძვირფასესი, რომლის დაკარგვა მას დიდ ზიანს მოუტანდა. ამის გაფიქრებაზე სწრაფად წამოდგა, ჩაიცვა და გარეთ გავიდა. წვიმდა. ნელა და შეუმჩნევლად სცრიდა. ყველაფერი სველი იყო. ლაფაროში წყალი წვეთავდა. ბირკვილთან გაწუწული წიწილები დაეხეტებოდნენ და ხმელ ფოთლებში იქექებოდნენ. შოთამ ზევით აიხედა. მიაყურა. ოდიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ქვიდან ქვაზე ფრთხილად გადავიდა და ბორძიკით, მაგრამ ფეხის დაუსვრელად მივიდა ღელემდე. პირი დაიბანა; შემობრუნდა და სანამ ზევით ავიდოდა, დიდხანს საგულდაგულოდ ივარცხნიდა თმას.

დიდი ოთახის ყველა კუთხეში, სადაც ნამუსრევი მაგიდა გაქვავებული ქალაქივით იდგა, ბიჭებს უწესრიგოდ ეძინათ; ვინ როგორ მიყრილიყო აქეთ-იქით. შოთას შემოსვლაზე ყველამ ერთიმეორეს მიყოლებით გაახილა თვალი. თვალებდასიებული, თმააბურძგნული სულიკო საწოლზე წამოჯდა. არასოდეს, მით უფრო ნაბახუსები, ასე ადრე-ლოგინიდან არ გამომძვრალა, მაგრამ ახლა თითქოს რაღაც ვალდებულებას იხდიდა და ტანჯვით იცვამდა. შოთამ არაყი შემოიტანა და ტკბილი კვერი ჩამოარიგა. ზოგიერთებს თავი ტკიოდათ და მიუხედავად მასპინძლის და სულიკოს სერიოზული მტკიცებისა, მოგიხდებათო, არაყი ვერ დალიეს. თვითონ სულიკომ სავსე ჭიქა გადაუძახა პირში და კინაღამ წაიქცა. თავი სასწაულებრივ შეიკავა და ზიარებასავით არიო, დაიძახა, თუმცა გულ-მუცელი კიდევ კარგახანს ეწვოდა. მეორე ოთახიდან ჩურჩული ისმოდა. ჩანდა, ქალებსაც გაღვიძებოდათ. შოთამ იქაც დააპირა ტკბილი კვერისა და ჩურჩხელების შეტანა, მაგრამ ვერ გაბედა. ალეკო კი ადგომისთანავე გოგონების ოთახს მიადგა, თუმცა კარი კარგახანს არ გაუღეს.

ბიჭები ნელ-ნელა დგებოდნენ, იცვამდნენ; წუხანდელ ამბავს იხსენებდნენ, ხუმრობდნენ და მხიარულობდნენ. შოთაც აყოლოდა ახალგაზრდებს, ხმამაღლა იცინოდა. ბიჭები უკვე წასვლას მიზეზობდნენ; აინტერესებდათ — როგორ, რა გზით, რა საშუალებით შეიძლებოდა გამგზავრებულიყვნენ. შოთას ამაზე ლაპარაკის გაგონებაც არ უნდოდა.

აივანზე შოთას მეუღლე ამოვიდა, პირსახოცი და საპონი ამოიტანა. ბიჭები რიგრიგობით ეყუდებოდნენ დასტანდაზზე და აივნის სვეტზე მიმაგრებული პირსაბანიდან უგულოდ იბანდნენ ხელ-პირს. შოთას მეუღლე დაწვრილებით უხსნიდა სტუმრებს, როგორ შეიძლებოდა აქედან წასვლა, რა დროს ჩამოივლიდა ავტობუსი; თუ ძალიან გაავდარდებოდა და ავტობუსი არ მოვიდოდა, მაშინ მეზობელ რკინიგზის სადგურამდე ჩაის საზიდ მანქანასაც წაყვებოდნენ. ქალი თითქოს ამაყობდა, ასეთი მიმოსვლის საშუალებები რომ არსებობდა მის სოფელში და ბევრი. რომ ფიქრობდა, ისეც არ იყო საქმე. შოთას არ უნდოდა ამ ლაპარაკის მოს-

მენა და ცდილობდა საუბარი სხვა საგანზე გადაეტანა. მისდა გასახარად, გოგონები ოთახიდან გამოვიდნენ და ლაპარაკიც შეწყდა. გეტას ოდნავ შეშუპებოდა თვალები; დაბერილი ტუჩები ისეთ იერს აძლევდა, თითქოს ვიღაცაზე იყო ნაწყენი. შოთასაც ასე მოეჩვენა, მაგრამ გეტამ პირდაპირ შეხედა და ისე გაუღიმა, რომ კაცს კინაღამ რეტი დაესხა.

ქალები დიდ ოთხაში შევიდნენ და სუროს მიჩვეული, ნაპატივები თხებივით პირდაპირ სარკეს მიადგნენ. სავარცხლები რაღაც უცნაური იარაღებივით მოიმარჯვეს.

— კი მაგრამ, აქედან როგორ წავალთ? — სარკიდან გაუღიმა გეტამ გაშტერებულ მასპინძელს და სავარცხელი თმაში გააჩერა. შოთა შეკრთა, თითქოს დანაშაულზე წაისწრესო, სწრაფად გამოერკვა და უპასუხა:

—აქედან ვერსად ვერ წახვალთ. სანამ არ გამოიდარებს!

— როგორ შეიძლება, ლექციები გაგვიცდება!..— გულგრილად ჩაილაპარაკა გეტამ და ოდნავ ჩაიმუხლა, სახე სარკესთან მიიტანა; მერე თითქოს შოთას დაჟინებული მზერა იგრძნო, მოტრიალდა და ისევ გაუღიმა კაცს, რომლისგანაც რა უნდოდა თვითონაც არ იცოდა. იგი გრძნობდა, რომ შოთა მოაჯადოვა და ეს გამარჯვების სიხარული, რომლის იქით იგი აღარც მიდიოდა, სავსებით აკმაყოფილებდა.

სრულიად მოულოდნელად, ტრანსპორტი მართლა გამოჩნდა. დანჯღრეული ავტობუსი მორახუნდა ჭიშკართან. კორკიმელზე გასულმა სულიკომ, ავტობუსი შორიდან დაინახა; სველი ხიდან სწრაფად ჩამოშლიგინდა და სახლისკენ გაიქცა, სუფრაზე ახლად დამსხდარი სტუმრები ყვირილით წამოყარა.

შოთას მეხივით დაეცა ავტობუსი. კაცმა რომ თქვას, ასე ადრე გასვლა არც სხვას უფიქრია, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ ეს იყო აქედან თავის დაღწევის თუ ერთადერთი არა, ყველაზე რეალური საშუალება.

შოთა სტუმრებს აივანზე დაუმშვიდობა. წამსვლელები სათითაოდ ართმევდნენ მასპინძელს ხელს და მადლობას სწირავდნენ. შოთას რიკულისათვის ჩაეჭიდა მარცხენა ხელი, იღიმებოდა. დინჯად იდგა, მაგრამ ფიქრით ვითომ თვითონაც სტუმარი ყოფილიყო სხვებთან ერთად მიდიოდა. სად? არ იცოდა.

გეტა განგებ ჩამორჩა ამხანაგებს და შოთას ყველაზე ბოლოს გაუწოდა ხელი. მოულოდნელად შოთა დაიხარა და ქალიშვილს ხელზე აკოცა. გეტა რატომღაც ოდნავ გაწითლდა, მაგრამ ეს მოულოდნელი ამბორი თავაზიანად მიიღო, გაიღიმა და კიბეზე ჩასვლისას ალეკოს მკლავში ხელი გამოდო; ვაჟი ქვიდან ქვაზე გადასვლისას მოიშველია; ერთხელ კიდევ მოიხედა და კიდევ გაიღიმა.

შოთა გახევებული დარჩა. ამ კაცს არასოდეს ქალის ხელზე არ უკოცნია; არც ფიქრობდა, არც ეგონა თუ ოდესმე ამას ჩაიდენდა.

ავტობუსი ძლივს მიჩოჩავდა ტალახიან აღმართზე, აყალოთი მოსერილი ფანჯრებიდან არავიან იცქირებოდა. შოთა მიხვდა, რომ სხვები წავიდნენ, თვითონ დარჩა; იგი უყურებდა ავტობუსს და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს მთის წვეროდან ოკეანის ფსკერზე დაეშვა.

... წვიმდა. მსხლების ძირას და ლაფაროსთან, ნარვალში გაწუწული ქათმები დაკრიალობდნენ. ქვევით პალატში ბავშვები წიოკობდნენ. ბავშვებმალე გარეთ გამოვიდნენ, მათ ხელში წიგნები ეჭირათ და სხვადასხვა ზომის, თითქმის ყველას შეუფერებელი დიდი წაღები ეცვათ. ქუდებიც ზოგს აღმა ეხურა, ზოგს დაღმა. ისინი უკანმოუხედავად მიდიოდნენ სკოლისაკენ.

შოთას მეუღლემ საწვიმარი მოისხა, გოდორი ხელში დაიჭირა და ჩაის საკრუფად წავიდა.

წვიმდა შეუმჩნევლად. აწვიმდა ტარო-

მოტეხილ, აუჭრელ სიმინდს, ბიის ხეებს, ძელბარს და ორშიმოს. წყლით გაჟღენთილიყო გორებზე შეფენილი წაბლის ტყე, წითელი მიწა და შეფერადებული მესერი. ფერდობზე, შემეჩხერებულ გვიმრებში ორი გაჯაგრული ღორი დაშლიგინობდა.

პლანტაციაში აქა-იქ მუშაობდნენ. ჩაი მწვანე მალაქიტის ქვასავით ბზინავდა. შოთას მეუღლე უხალისოდ მუშაობდა და მეზობელ ქალებს ელაპარაკებოდა, როგორ გაუმასპინძლდა სტუმრებს. მეზობელი ქალები აშკარად დასცინოდნენ გეტას და დიანას. ან თმა რას უგავდათ, როგორ ეცვათ, როგორ იქცეოდნენო.

— პატრონი არ ჰყავთ, ალბათ! — თქვა ერთმა.

— რა ლამაზი იყო ის ერთი მაინც! — ჩაილაპარაკა შოთას მეუღლემ და ეს აზრი ვერავინ უარჰყო.

დანჯღრეული ავტობუსი ძლივს მიიკვლევდა ტალახიან შარაზე გზას.

— ერთი ნახევარი საათი კიდევ რომ დამგვიანებოდა, ჩავრჩებოდი! — ამბობდა წვერგაუპარსავი, დაბალი ტანის მძღოლი, რომელსაც წითელი ტყავის ჯუბა ეცვა. მძღოლი ყველა მოსახერხებელ შემთხვევაში ჯიბიდან სიგარეტის შეკვრას იღებდა, ღერი კოლოფიდან კბილით ამოჰქონდა და „ჩესტერ ფილტრის“ სურნელოვან კვამლს ბოლქვა-ბოლქვა უშვებდა.

ავტობუსში მხოლოდ ამ „კონცერტის“ მონაწილენი ისხდნენ. გეტა გაბუტული იჯდა ფანჯარასთან და გულგრილად უყურებდა სველ ტყე-ბუჩქებს, ჩაიში მომუშავე ხალხს, დაუკრეფავ, საგვიანო ვაშლის ხეებს. მძღოლის ლაპარაკი ესმოდა და კიდევ კარგი, რომ არ ჩავრჩითო, უხაროდა. დანარჩენებიც მდუმარედ ისხდნენ. რადგან ლექციებზე აგვიანდებოდათ, ახსენდებოდათ გაბადაძის ქუჩაზე მდგარი ინსტიტუტის შენობა, გრძელი, მშრალი დერეფანი და შესასვლელთან დაყრილი თეთრი ნახერხი.

— მაინც რამ ჩამოგიყვანათ, ამ დასაკარგავში? — ოხუნჯობდა მძღოლი.

— რატომ, კაცო? — შეეპასუხა სულიკო.

— დამანებე, თუ კაცი ხარ, თავი! — ხელი ჩაიქნია მძღოლმა.

— ცუდი სოფელია? — გაეცინა ალეკოს.

— აუ... ამოგდებული, ხალხი უბედური... ერთხელ ვიღაცამ დამპატიჟა, დაიქცა იმის ოჯახი... მასვეს, მაჭამეს და მერე კინაღამ მომკლეს...

მძღოლმა მოხერხებულად ამოიღო სიგარეტი და ასანთს გაჰკრა.

— გირტყეს? — დაინტერესდა სულიკო.

— ექვსი წაბლის სარი გადამამტვრიეს თავზე!

— ხო, ხო...

— ღობისძირას რომ დავარდი გულწასული, ასეთი ლაპარაკი მომესმა: ჩემი გამლახავი ეუბნება ვიღაცას, ეტყობა, უფრო გამოცდილს და ამ საქმის სპეციალისტს: აგერ კაცი დავუშვი ძირს. ექვსი სარი გადავამტვრიე და რას იტყვი შენო?.. რატომ შვიდი არ გადაამტვრიე მე შენი პატრონის დედაო... უთხრა მეორემ და მეშვიდე სარი თვითონ ამხანაგს ლეწა თავში. თურმე შვიდი სარის გადამტვრევაა წესი და ჩემ გამლახავს არ ცოდნია...

მგზავრები ძალიან გამხიარულდნენ. ბიჭების სიცილზე გეტამაც გაიღიმა, თუმცა მძღოლის ლაპარაკიდან არაფერი გაუგია.

— მაინც ვისთან იყავით? — დაინტერესდა წითელჯუბიანი მძღოლი, რომელსაც ლეყერეთელი ქალი ჰყავდა ცოლად და აქაურობას საკუთარი ოჯახივით იცნობდა.

— შოთასთან. — უპასუხა სულიკომ.

— ო!.. — თქვა მძღოლმა.

შოთა მარტოდმარტო იჯდა აივანზე. წვიმდა. ყველაფერი სველი იყო. — შოთაია!.. — იკივლა ვიღაცამ შუკიდან და პასუხისათვის აღარ დაუცდია ისე განაგრძო, — თავმჯდომარემ თქვა, ურემი გამოიყვანოსო, ჩაია წასაღები, მანქანები ვერ მოდის!..

ხმა მიწყდა. ჩანდა, დამძახებელიც წავიდა.

შოთა არც განძრეულა. იგი კიდევ გაშტერებული უყურებდა სველ ყანას და ალუბლის ხეებს. მერე წაიღიღინა „მუშა უნდა მუშაობდეს, მეომარი მეომროობდესო“, მსუბუქად ჩაირბინა კიბე და ხარების შესაბმელად წავიდა.

როგორც მოგახსენეთ, ლეყერეთი, მითუმეტეს ზედა, არაფრით განსაკუთრებულით არ იქცევს ყურადღებას, მაგრამ არაჩვეულებრივი, თუ გინდათ ჩვეულებრივი ამბავი იქაც შეიძლება მოხდეს.

ელვარდის სიზმარი

ნათლიამ ელვარდის სოფლიდან დეზებიანი მამალი ჩამოუყვანა. მამალს რომ ღვინო და შესაფერი პურმარილი არ მოყოლოდა, ელვარდის შეეძლო ეფიქრა, მასხარად მიგდებსო.

ელვარდიმ სოფლიდან ჩამოსულ ახლობელს სულ უმნიშვნელო დახმარება გაუწია და ეს მცირედი შესაწირი, რომელსაც სულ არ ელოდა, ამის საზღაურად მიიღო.

ელვარდი დედაქალაქის ყველა ჟურნალ-გაზეთის სასურველი სტუმარი იყო. ყველგან ათავსებდა წვრილ-წვრილ კორესპონდენციებს, პატარა წერილებს, თარგმანებს, ფელეტონებს და კროსვორდებსაც კი; თავის ნიჭსა და შესაძლებლობას ასე წვრილად ხარჯავდა. იგი ყანჩაველის ქუჩის დასაწყისში ახლადაგებულ, დიდ სახლში ცხოვრობდა. პირველი სადარბაზოს მერვე სართულზე დაქირავებული ჰქონდა საკმაოდ მოხერხებული, ცენტრალურ გათბობიანი და ტელეფონიანი ბინა, რომლის პატარა აივანი სახალინის ქუჩაზე გადიოდა და უზარმაზარ მოედანს დაცქეროდა. მოედანზე სიცხეში გუდრონი ლაპლაპებდა. ფერადი ტრამვაი შეღმართზე სპორტული შვილდის ისარივით მიჰქროდა. ელვარდი ამ ოთახში თავისი თავმოუყრელი შემოსავლის ნახევარზე მეტს იხდიდა და ოცდაათი წლის კაცს სოფლიდან კიდევ მამა ეხმარებოდა.

ელვარდიმ უნივერსიტეტი დაამთავრა, სამუშაოდ სოფელში გაუშვეს. არ წავიდა. ის კი არა, შემდეგ თავისი რაიონის პატარა გაზეთის რედაქტორობაც შესთავაზეს, მაგრამ ელვარდი დედაქალაქიდან შეგნებულად არ მიდიოდა. ძნელი იყო საყვარელ ქალაქთან, მეგობრებთან დაშორება. სოფელში თითქმის აღარ დადიოდა; მრავალი წელი არ ენახა ის მიწა-წყალი, არ ესუნთქა ის ჰაერი, რომელმაც იგი გაზარდა. ელვარდის სოფლელისა აღარაფერი ეცხო. იგი იყო ერთი იმ კაცთაგანი, რომელიც სწრაფად ასწრებს გაქალაქებას და ამ საქმისათვის ათი წელი თავსაყრელად ჰყოფნის. მართალია, მისი ფონეტიკური მექანიზმი მაინც ამყღავნებდა პატრონის სადაურობას, „წავიდეს“ მაგივრად ზოგჯერ „წევიდეს“ ამბობდა. მაგრამ ეს გამოთქმა ყურს აღარ ხვდებოდა და არსებითად „ე“-სა და „ა“-ს შორის ზღვარი იყო წაშლილი. თუ ამ ფაქტს ძალიან მოკლედ და ბუნდოვნად არ განვმარტავთ, მაშინ საჭიროა დავუმატოთ, რომ თვითონ ელვარდიც სადღაც „ე“-სა და „ა“-ს შორის იყო გაჩხერილი.

მამლის გამოჩენამ ელვარდის ცხოვრებაში დისონანსი შეიტანა. თითქოს რაღაც შეიცვალა. ოთახის პატრონმა იგრძნო თავის სადაურობა, რომლის გახსენებაც არც თუ ისე ძალიან უხაროდა. ესეც რომ არ ყოფილიყო, აბ მოულოდნელმა სტუმარმა ფრიად გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენა. ელვარდი ისე უცქეროდა მამალს, როგორც ზოოლოგიურ მუზეუმში შემთხვევით მოხვედრილი მოქალაქე გადაშენებული ფრინველის ფიტულს. ცხა-

დი იყო, ამ დაკოჟრებულფეხებიანი სულიერის დაკვლა უსამართლობა იყო, რადგან სხვა ჰუმანურ ფაქტორებს რომ თავი დავანებოთ, მისი ხორციც აღარ იჭმებოდა.

„ამ ქაჯს ვინ თხოვა, ჩამომიყვანეო!“ — ფიქრობდა საგონებელში ჩავარდნილი ელვარდი.

ელვარდიმ თავისი მოხერხებული ჭკუის წყალობით მალე ნახა გამოსავალი და იმ ღირსშესანიშნავი დღის აღსანიშნავად ამხანაგი მწერლები დაპატიჟა. იფიქრა, ოთახს სოფლურ ყაიდაზე მოვრთავ, თვალს გაეხარდებაო. მისი საამაყო ამხანაგები სუფრასთან ხშირად ახსენებდნენ სოფელს, კერიასთან მიდგმულ სამფეხა სკამს, სახარჯო ღვინოს და კიდევ რაღაცეებს. ეს ყველაფერი ელვარდის ახსოვდა და მეგობრების გულის გახარება მოინდომა.

ამხანაგი მწერლები ფეხბურთის დამთავრების მერე აპირებდნენ ელვარდისთან მისვლას. ფეხბურთიც თავის დროზე დამთავრდა და ხალხი კალაპოტიდან გამოსული წყალივით გამოვიდა ქუჩაში.

სამი ბიჭი გაჩქარებული მიიკვლევდა ხალხში გზას. მართალია, თბილისის „დინამომ“ წააგო, მაგრამ ბიჭებს უხასიათობას ვერ დასწამებდით: იცინოდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ნაცნობებს შეგნებულად არიდებდნენ თვალს. „თუ ყველამ გაიგო, სად მივდივართ, ბაზარი გაიმართება ელვარდისთანო“, — ფიქრობდნენ.

ელვარდის არანაკლებ გაეხარდა სამი კაცის დანახვა. „კიდევ კარგი, გამვლელი და გამომვლელი რომ არ წამოიყვანეს, მთელი ჯოგი რომ არ დამეცაო“.

ფეხბურთი ელვარდიმ მეზობლის ტელევიზორში ნახა. ამ სპორტის არაფერი სწამდა, მაგრამ თამაშს მაინც ბოლომდე უყურა. მერე ჩაილაპარაკა, ერთი თქვენიო... და გარეთ გამოვიდა; დიასახლისს დაბალი ტაბლა გამოართვა და ექვსი ხის ჯამი, რომლებითაც თავი მოჰქონდა, დაალაგა ზედ. პატარა ტიკჭორა იატაკზე დადო. მამალი შემოიყვანა და სუფრის თავში, სკამის ბოლოგეზე დასვა. ეს უცნაური დეკორაცია სტუმრებმა ძალიან იუცხოვეს. ისინი იცინოდნენ და ეჭვისთვალით ათვალიერებდნენ ყველაფერს. „ეს სინდისგარეცხილი ხომ არაფერს გვიწყობსო“, — ფიქრობდნენ.

ცხელოდა. ბიჭები შეშილიფდნენ. ერთმა სქელმა, ტანადმა ბიჭმა, ყველაზე გულიანად და ხმამაღლა რომ იცინოდა, ნეილონის თეთრი პერანგი გაიძრო, წელზევით გაშიშვლდა და პირდაპირ სუფრას მიუჯდა. მაღალმა, თხელტანიანმა ბიჭმა სუფრასთან მიმჯდარ ამხანაგებს ხელით ანიშნა, რას შვებაო, და მერე ყოვლად უმიზეზოდ მამალს თავში ჩააფარა. მამალმა ამაზე ფრთების საშინელი ბათქა-ბუთქი ატეხა. ბიჭები სიცილით კინაღამ დაწყდნენ. თმაშეცვენილი, დაბალი ბიჭი, რომელსაც ბიჭი აღარც ეთქმოდა, ხმადაბლა ქირქილებდა და უფრო სასიამოვნო რამის მოლოდინში ხელებს იფშვნეტდა. ყელსახვევი პირდაპირ ქამარში ჰქონდა ჩატანებული. სხვებზე ათი წლით მაინც იქნებოდა უფროსი, მაგრამ ამას არც მისთვის, არც სხვისთვის და არც ამ ამბისათვის მნიშვნელობა არ ჰქონია.

ყველანი კარგ გუნებაზე იყვნენ, ოხუნჯობდნენ და სულ უბრალო რამეზე სიცილით კვდებოდნენ. ფეხბურთი ერთხელაც არ უხსენებიათ. მითუმეტეს, როდესაც ფეხბურთს პირდაპირი კავშირი ჰქონდა მათ გუნება-განწყობილებასთან. რატომ ჰქონდა, იმასაც მოგახსენებთ:

...თბილისის „დინამო“ თუ სამი ბურთის სხვაობით მოიგებდა, მეორე ადგილზე გადიოდა. მაყურებელს ამის იმედი ჰქონდა და თამაში უფრო საინტერესო და დაძაბული გახდა. ერთხანს ჩრდილოეთ ტრიბუნაზე ხმა გავრცელდა, ამ თამაშს გვითმობენო. ამაზე ბევრს გული მოუვიდა და, საზოგადოდ, დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი

შეიქმნა. თბილისის „დინამომ“ ორით ერთზე წააგო. ეს ანგარიში არც ერთი გულშემატკივრის პროგნოზს არ დაემთხვა და ხალხი განერვიულებული გამოვიდა სტადიონიდან. ელვარდის საპატიო სტუმრებს გადაჭარბებული მხიარულებაც ამ ნერვიულობის ბრალი უნდა ყოფილიყო.

ბიჭებმა ფრინველი უფრო ამოიჩემეს. მამალს რომ მასხრად იღებდნენ, ეგონათ, ელვარდი ბრაზდებოდა და სიხარულს ვერ მალავდნენ. მასპინძელი კი, მართალია, ცერად იხედებოდა, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ერთობოდა.

— დაკალი, ეს უპატრონო! — თქვა მაღალმა პოეტმა, რომელმაც ერთხელ უკვე უთავაზა ყოვლად უდანაშაულო ფრინველს. ბიჭები ელვარდის მიაშტერდნენ, თუ გაბრაზდებაო, მაგრამ ელვარდის ეს სიტყვებიც არაფრად ჩაუგდია.

როგორც იქნა, მიუსხდნენ დაბალ სუფრას. ტანმორჩილი პოეტი სქელი ბიჭის, გაიოზის გვერდით დაჯდა.

— კარგია, შენ რომ დამიჯექი, ცოტას ჭამ! — გაეხარდა გაიოზს. ელვარდი ტიკჭორასა და წიგნების კარადას შორის გაიჭედა. მის გვერდით მაღალი ბიჭი მოკალათდა, რომელიც, როგორც ყოველთვის, თამადად აირჩიეს და უმჯობესი იყო ჩვენც თამადა დაგვერქმია, თუმცა ჯანგირიც არაა ცუდი სახელი.

გამგელებულნი შეუდგნენ ჭამას. ელვარდიმ ჯამები დაავსო, ერთი ხელში დაიჭირა და თქვა:

— ჯანგირი არ დაგვამადლის ორ ღერ სიტყვას, მაგრამ მანამდე რაღაც მინდა ვთქვა... ეს ყველაფერი, რომ იცოდეთ, განგებ მოვაწყვე ასე, სოფლურად და, სოფელი მინდა ვადღეგრძელო...

ამის გაგონებაზე წელზევით გაშიშვლებულმა გაიოზმა ისეთი სიცილი ასტეხა. რომ კინაღამ ძირს გაგორდა. „ეს რა ჰქონია ჩაფიქრებულიო“, — ფიქრობდა და სიცილისაგან ცრემლი მოდიოდა.

— რა იყო, შე ქაჯო?... დიდი ხანია ჩამოდი ბანოჯიდან? — ჰკითხა ელვარდიმ და ღვინით სავსე ჯამი დროებით მაგიდაზე დადგა.

გაიოზი მამამისის სოფელში, ბანოჯაში, სულ ორჯერ-სამჯერ იყო ნამყოფი და ამ სახელის გაგონებაზე სიცილით კინაღამ გაიგუდა. სიცილზე მამალმა სკამიდან გადმოხტომა დააპირა, მაგრამ ელვარდიმ ბოლოში დაქაჩა. თამადამ, მოვალეობის მოხდის მიზნით, სუფრას წესრიგისაკენ მოუწოდა. ელვარდიმ თამადის სიტყვით ისარგებლა, ჯამი გამოსცალა და დაბალ პოეტს გადახედა. დაბალი პოეტი მუდამდღე სოფელზე წერდა ლექსებს და ასეთი სადღეგრძელოები გულს უჩვილებდა. პოეტმა ჯამი დაიჭირა ხელში და სერიოზულად დაიწყო:

— მართლა, ბიჭებო, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე, ძალიან კარგია ეს ყველაფერი და მე მინდა... ჩემი სიტყვა...

გაიოზმა გაკვირვებული თვალებით შეხედა ორატორს. დაბალმა პოეტმა ამ შეხედვას ვერ გაუძლო, აფრუტუნდა და ჯამი კინაღამ ხელიდან გაუვარდა; სამაგიეროდ სწრაფად დაწყნარდა, ქამარში საიმედოდ ჩატანებული ყელსახვევი გაისწორა, რაღაც გაურკვევლად ჩაილაპარაკა და ჯამი ნეტარებით დაცალა; სახეზე შემშრალი ღიმილი კი ვერ მოიშორა. ამ ღიმილზე და გულმოდგინე სმაზე დანარჩენები ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ.

„ეს ყველაფერი მე თქვენთვის გავაკეთე, თორემ, სოფელს მოუკვდა პატრონი“!.. — ფიქრობდა ელვარდი და გუნებაში იქადებოდა, მე მიყურეთ აწიო. იგი მართლა მალე ადგა, მამალი სამზარეულოში გაადგო, შემობრუნდა და ნათლიამისი აგინა: სულ „ქაჯი“ უძახა. შემდეგ სოფლელებს მიადგა უკანასკნელი სიტყვებით. კაცი ვერ იტყოდა, იყო თუ არა ეს ყველაფერი საჭირო, მაგრამ მეგობრები ძალიან გამხიარულდნენ და მასპინძელს აქეზებდნენ: კარგია, კარგიო. გაიოზი სია-

მოვნებისაგან შიშველ მკერდზე იბაგუნებდა მჯილს. ელვარდის ეს თვალში მოხვდა და გაიოზს უთხრა:

— გირჩევნია, ღვინო დალიო, რომ დამხობილხარ ზვინივით!

— რა საღღეგრძელო იყო?.. — გაიცინა გაიოზმა და რადგან პასუხი არავინ აღირსა, ჯამი უხმოდ გამოსცალა. — მკლავთ ხომ, ჩაილაპარაკა და ისევ სიცილი წასკდა.

— გეყოფა ახლა!.. — შეუწყრა უკვე შემთვრალი, დაბალი პოეტი. იგი ძალიან დადინჯებულიყო და ლექსის წაკითხვაც დააპირა, სმენა და გაგონება მოითხოვა. ამხანაგები მის გაბრაზებას მოერიდნენ და დაუწყნარდნენ. პოეტმა ყელსახვევი გაისწორა და რამდენჯერმე ჩაახველა:

მე რომ მქონოდა სოფელში სახლი...

საყანე მიწა...

ლექსი ბოლომდე ვერ მოგვყავს, რადგან იგი დასაწყისშივე შეწყდა ერთი გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო. ოთახში ვიღაც ყმაწვილი კაცი დაუკითხავად შემოვიდა. ამ კაცს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი მსახიობი ქალი შემოჰყვა. ქალის დანახვაზე ერთი წუთით გაურკვეველი სიჩუმე დადგა და მერე —მოდი, თამაზ, მოდიო. — გაისმა აქეთ-იქიდან. ქალი ამ საქმიანი „საზოგადოების“ დანახავზე ოდნავ შეკრთა, მაგრამ თავაზიანი და მომხიბლავი ღიმილით მიესალმა ყველას. დამხვდურები წამოიშალნენ, სტუმრებს ადგილი გაუთავისუფლეს. გაიოზმა პერანგი გადაიცვა. „კიდევ კარგი, რომ მოისაზრა“, გაიფიქრა ელვადრიმ.

ქალი მცირე ხნით შედგა, მაგრამ მიხვდა, რომ ყოყმანსა და თავპატიჟს აზრი არ ჰქონდა; თამაზს გადახედა და კაბის შრიალითა და ღიმილით დაჯდა.

თამაზი სუსტი, ლამაზი ბიჭი, რომელსაც სადღაც დაელია კიდეც, დონჯშემოყრილი იდგა და მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით უცქეროდა ოთახში მყოფთ; ფიქრობდა: „რომ მოსევიხართ ამ პატარა სუფრას გარნიზონის ვირთხებივით, მე რატომ არაფერი გამაგებინეთ, გეგონათ, ვერ გიპოვნიდით, ხომ?. ვაი თქვენს პატრონს!..“

ელვარდის გაეხარდა თამაზის მოსვლა და, ამ დილით რატომ არ გავაფრთხილეო, თქვა გუნებაში, თუმცა ასეთი სურვილი აქამდე არ ჰქონია. მან რამდენჯერმე ახედა მეგობარს და მერე ხმამაღლა უთხრა:

— მოდი, ბიჭო, დაჯექი!

თამაზი ღიმილით დაიხარა და ელვარდის ყურში უჩურჩულა, — ფული მომე თუ გაქვს, გარეთ მანქანა მელოდებაო.

— წადი, კოჭი გააგორე! — თავაზიანად უთხრა მასპინძელმა.

— ფული არა გაქვს? — მიხვდა ქალი და პატარა ტყავის საფულე გახსნა.

— ფულების მეტი რა მაქვს! — უპასუხა თამაზმა და ფული, რომელიც იმ წუთას დაბალმა პოეტმა ჩაუკუჭა ჯიბეში, მუჭში გაატკაცუნა.

— მოდი აქ! — დაუძახა კარებთან მისულ თამაზს ელვარდიმ და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— აქვს, ნუ გეშინია! — ანუგეშა ელვარდი დაბალმა პოეტმა და ქამარში ჩატანებული ყელსახვევი გაისწორა.

თამაზი გავიდა. თამადა ქალს მიუჩოჩდა. მართალია, სულ არ იცნობდა, მაგრამ თავხედური ხასიათის გამო, სწრაფად გაუთამამდა და რაღაც სასაცილო ამბავსაც მოუყვა, რომელიც ყველამ ზეპირად იცოდა. ქალი ბევრი აცინა და დანარჩენების სარკასტული შენიშვნები დაიმსახურა, თუმცა ადრესატს ამ შენიშვნებისათვის ,ოტისოდენა ყურადღებაც არ მიუქცევია. თამაზმა მანქანა გაისტუმრა და უკანვე შემობრუნდა; თამადა მოურიდებლად მიწია გვერდზე და ქალთან დაჯდა. ჯანგირი წამოდგა და ვითომ ძალიან გაჯავრებული გავიდა ოთახიდან.

— სად მიხვალ, ჯანგირ! — ხმამაღლა დაუძახა დაბალმა პოეტმა, რომელიც კარგახანია ქალის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა და ამ დაძახილით მიზანსაც მიაღწია. ქალმა ისეთი

გაკვირვებული თვალებით შეხედა, თითქოს პირველად აღმოაჩინა. პოეტი შეიშმუშნა. ქალი კი თავის უტაქტობას თვითონვე მიხვდა, გვერდზე გაიხედა და თამაზს უსაყვედურა:

— როგორი ხარ, იცი, თამაზ!

ამ ქალს ეგონა, თამადა თამაზმა გააბრაზა და სუფრა უსუფრისთავოდ დარჩაო. ბუნებით მართლა მიამიტი იყო, მაგრამ ამ თვისებას ისე ამზეურებდა, რომ ბევრს ეს მიამიტობა მოგონილი ეგონა. თუმცა იმ დღეს თავი ღირსეულად ეჭირა და, გარდა იმისა, რომ თამაზს მოჰყვა, მეტი უჭკუობა არაფერი შეუნიშნავთ.

ჯანგირი მალე შემობრუნდა. იღლიაში მამალი ამოეჩარა და სერიოზულად მოდიოდა. ქალიშვილმა და თამაზმა უცბად ვერ გაარჩიეს, რა ეჭირა ხელში.

— აი, თუ მასეა!—იყვირა უცბად ჯანგირმა და ვითომ ვინმე რამეში ედავებოდა, მამალი სკამის საზურგეზე შეაგდო. მამალმა ძლივს დაიმაგრა თავი და წონასწორობის აღსადგენად ისე საშინლად აბათქუნდა, რომ შემკრთალი ქალიშვილი გვერდზე შეტრიალდა და მკლავი სახეზე აიფარა. თამაზს ძალიან გაუკვირდა ამოდენა ფრინველის დანახვა. სწრაფად წამოხტა და იმის დასამტკიცებლად, რომ სულ არ მეშინიაო (ვითომ ვეფხვი ყოფილიყო) ფერება დაუწყო. თან სულ ქალისაკენ იხედებოდა და დიდხანს იძახდა: არწივს არ ჰგავსო!?

— არწივს გავს, ბატონო, არწივს, მხოლოდ დაჯექი, თუ შეიძლება! — დამარცვლით უთხრა გაჯავრებულმა ელვარდიმ.

თამაზი იმის შიშით, რომ მისი ადგილი კვლავ თამადას არ დაეჭირა, სწრაფად დაჯდა. მამალს კი კიდევ კარგახანი მიჩერებოდა. ელვარდიმ რამდენიმე ბუმბული აკრიფა და გვერდზე დადო.

როდესაც სუფრა შედარებით დაწყნარდა, თამადამ ქალი ადღეგრძელა. შენმა მოსვლამ სულ სხვა ეშხი მისცა ამ სუფრასო, უთხრა. ქალი გვერდზე შებრუნდა და მამალს თავზე ხელი გადაუსვა. ელვარდის მსახიობი ქალიც თამამი საქციელი და უდარდელობა არაფრად მოსწონდა, მაგრამ მისი სინაზითა და სილამაზით იხიბლებოდა და, როგორც დანარჩენებს, ისე მასაც ეჩვენებოდა, რომ ქალი ყველაზე მეტ ყურადღებას მას აქცევდა. — გაგიმარჯოს, სხვა დროსაც შეხვედროდეთო უთხრა ქალს და თავის გამოჩენაც ამ მოკლე თქმით დააპირა. ქალი კი ყველას მომხიბვლელად უღიმოდა; მამალს ეფერებოდა და უყურადღებობა რომ არ დამჩნეოდა, ისეთ სახეს იღებდა, თითქოს დიდი გულისყურით ისმენდა მოსაწყენ, უკვე მოსმენილ სადღეგრძელოებს. თამაზი ეუბნებოდა, ღმერთი ხარ, ქართველი ქალის სინდისი ხარო.

„ღმერთი კი არა, მარიამ ღვთისმშობელია!“ — ირონიულად ფიქრობდა ელვარდი.

ქალიშვილმა, გარდა იმისა, რომ სადღეგრძელოები არაფრად ჩააგდო, სხვა კარგი თვისებაც გამოამჟღავნა. როდესაც სუფრაზე სერიოზული კამათი გაჩაღდა და ბიჭებმა ბიბლია, კანტის, პუშკინისა და მაიაკოვსკის სახელები ატრიალეს, მისდა სასახელოდ, ლაპარაკში არ ჩაება. იგი გუმანით ხვდებოდა ვინ იყო მართალი და გამარჯვებულის მხარეს უყოყმანოდ იჭერდა; მიუხედავად იმისა, მოწონდა თუ არა იგი გარეგნულად. მაგრამ ბოლოს, როდესაც სიწყნარე ჩამოვარდა, თითქოს იქაურობა პირველად შეამჩნია, გულგრილად იკითხა:

— სად იყო ეს მამალი?

ერთი წუთით სიჩუმე დადგა. ყველამ იგრძნო, როგორ გაფშვნა თავდახრილმა გაიოზმა კბილებში ქათმის ძვალი. სიჩუმეში ძვლის მსხვრევის ხმა გაისმა. ამ ხმაზე გაიოზი თვითონვე შეკრთა, თავი ნელა აიღო და იჭვნეულად შეათვალიერა სუფრის წევრები.

— ეს მამალი ნათლიამ მაჩუქა! — აუხსნა ელვარდიმ სტუმარს, თუმცა

კარგად იცოდა, ეს პასუხი ქალს სულ არ აინტერესებდა.

— აჰა!.. — უყურადღებოდ თქვა ქალმა. გაიოზმა ჭამა გააგრძელა.

გვარიანად შემთვრალი თამაზი ქალს უხსნიდა, რატომ იყო სუფრა ამგვარად მოწყობილი, რაღაცეებს იგონებდა და ტყუილებს ლაპარაკობდა. ელვარდიმ რამდენჯერმე გააწყვეტინა სიტყვა. მისი ჩაჩუმება უნდოდა. თამაზი ამას მიხვდა, თამადას თვალი ჩაუკრა, ადგა და რადიომიმღები ჩართო; ჯაზური მუსიკა დაიჭირა, მსახიობი ქალი წამოაყენა და აცეკვა. ქალმა ერთი კი იფიქრა, შეიძლება ეს ასეთ სუფრასთან არცაა მიღებულიო, მაგრამ თამაზისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. ჯაზის ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა და ქალ-ვაჟი ყოვლად უწესრიგოდ ცეკვავდა. ელვარდი ადგა, მამალი იღლიაში ამოიჩარა და ისევ სამზარეულოში გააგდო.

ჯანგირსაც ძალიან უნდოდა ცეკვა. თამადობა სულ არ უბორკავდა ხელფეხს, მაგრამ მუსიკის ხმა სულ შეწყდა და მოცეკვავენიც დასხდნენ. ჯანგირმა მაინც დიდხანს აწვალა რადიომიმღები, სასურველი ვერაფერი დაიჭირა.

როდესაც ელვარდი უკანვე შემობრუნდა, გაიოზმა თამაზის მისამართით გამიზნული დამცინავი წინადადება რამდენჯერმე გაიმეორა. ტანმორჩილმა ჩაიქირქილა და დაბლა დაიხედა, ვითომ სკამქვეშ შეუვარდა რამე. გაიოზს დანარჩენებიც აყვნენ და თამაზი მიხვდა, რომ აითვალწუნეს. ამის გამო გამომწვევად დალია მშვენიერების სადღეგრძელო. რატომღაც უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, თუმცა მიზანს ამითაც კარგად მიაღწია; პათოსითა და ფრიად ბუნდოვნად ილაპარაკა. ძნელი იყო გაგება, რისი თქმა სურდა, მაგრამ, თამადის გარდა, დანარჩენებს მოეჩვენათ, რომ თამაზი მათ სუფრას დასცინოდა, ამიტომ ეს სადღეგრძელო ხელზე დაიხვიეს და უმოწყალოდ აბურთავეს. თამაზმა ჯამი დაცალა. გაჩერდა და ცინიკურად დაუწყო ყველას ყურება. ბიჭები ოხუნჯობდნენ და სიცილით იხრჩობოდნენ. თამაზისათვის შეიძლება ყურადღება არ მიექცია, მაგრამ მსახიობი ქალიც იცინოდა და გაბრაზდა. მან ჯერ ნახევრად ხუმრობით გალანძღა სუფრის წევრები. რა პოეტები ხართო, იძახოდა. ბოლოს პირდაპირ შეურაცხყოფაზე გადავიდა. შურიანები ხართ, ცინიკოსები, არაფერი წმინდა თქვენში არ არისო, ამბობდა. თამაზს ეჩვენებოდა, რომ ბიჭებს შურდათ მისი, რადგან თვითონ ლამაზ არსებასთან ერთად მოვიდა და ამიტომ ამხანაგები ქალის წინაშე ამცირებდნენ.

— მამალი რა უყავით, მამალი... მათხოვე თავი! — თამაზმა ელვარდის ქოჩორს წაუწია ხელი, ვითომ რქები თუ ამოგდის, მაჩვენეო. ელვარდი არ განძრეულა, არც ხმა ამოუღია, მაგრამ თვალით სქელძირიანი ბოთლი შეარჩია, რომელიც სულ მალე თამაზის თავზე უნდა აღმართულიყო, მაგრამ საბედნიეროდ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა. თამაზი მოულოდნელად წამოდგა და წავიდა.

ამ პატარა ინციდენტზე მსახიობი ქალი გაბრაზდა, თამაზს ზურგი შეაქცია და ბიჭებს მოეჩვენათ კიდეც, რომ იგი მათთან დარჩებოდა, მაგრამ ქალიშვილი ადგა და თამაზს დაედევნა. დაედევნა არა იმიტომ, რომ მასთან ერთად მოვიდა, არამედ თამაზთან ყოფნა ერჩია და დანარჩენები გარეთ გასვლისთანავე დაავიწყდა.

ოთახში მდუმარება დარჩა. ცხელოდა. პაპიროსის ბოლი იდგა. მეორე დღეს ყველანი ადრე იყვნენ ასადგომნი და მალე წავიდ-წამოვიდნენ.

— შენ აგაშენა ღმერთმა, ელვარდი ქადაგიძე! — თქვა გაიოზმა გარეთ გასვლისას და მუცელზე ხელი მოისვა.

მარტოდ დარჩენილი ელვარდი ღიღინებდა და მაგიდას საგულდაგულოდ ასუფთავებდა; თეფშებსა და ჭიქებს ერთმანეთზე ალაგებდა და რიგრიგობით გაჰქონდა სამზარეულოში. რაც

უნდა მთვრალი ყოფილიყო, არაფრით არ დაწვებოდა, სანამ ყველაფერს სარკესავით არ მოასუფთავებდა. ისე არც დაეძინებოდა . როდესაც მილაგებას მორჩა, სამზარეულოს კუთხეში მიყუჟული მამალი აიყვანა, რადიატორზე დასვა და თოკით მილზე გამოაბა.

...ელვარდი დაძინებამდე ფიქრობდა ლამაზ მსახიობ ქალზე, რომელიც პეპელასავით შემოფრინდა მის ოთახში და ისე გაქრა, რომ კარგად აღარც იცოდა,მართლა იყო აქ თუ არა. „ისე ჩამრჩა გულში, რომ ამაღამ აუცილებლად დამესიზმრება!“ — იმედოვნებდა ელვარდი.

...ელვარდის ღამით ესიზმრა, რომ ფეხშიშველი მიდიოდა ახლადგამოროდებულ, ცვრით გალუმპულ სიმინდის ყანაში. ფხვიერ გრილ მიწას და თევზებივით დაყრილ, მოჭრილ ჩალის ღერებს ფეხს ადგამდა: სიგრილეში და მიწის სუნში ეხვეოდა. დანამული, ზურმუხტისფერი სიმინდი დაკოტავებულ შარვალს უსველებდა. წაბლის სარით შემორაგულ ღობესთან, ძველთაძველ, ხავსმოკიდებულ, წაფერდებულ ხიმეებთან წყარო იყო. წყაროს ფსკერზე ჟანგისფერი, ხასხასა მწვანე ხავსით შეფერადებული ლოდები მოჩანდა, წყალი ნელა გადმოდიოდა გაცრეცილ ქვაზე და უხმაუროდ იკარგებოდა ჩაბურდულ ღელეში. წყაროს პირას თხმელა იდგა. თხმელას სურო და ეკალბარდი აყოლოდა. ირგვლივ საოცარი სიჩუმე იყო.

ელვარდის გაეღვიძა. მზე ამოსულიყო და სახალინის ქუჩის მხრიდან აივანსა და შუშის კარებს [illegible] ელვარდი ადგა, შუშის კარებს ფარდა ჩამოაფარა. სამზარეულოში საეჭვო დუმილი სუფევდა. ელვარდის თავი ტკიოდა და, ახალი ამდგარი, ოდნავ ბანცალებდა. ოთახს გახედა, საჭმლის ნამუსრევი ხომ არსად ყრიაო. დიდხანს, გაშტერებული უყურა ნასუფრალს, მაგრამ საგანგაშო ვერაფერი შენიშნა; მტკივან თავზე ხელი დაიდო და სამზარეულოში გავიდა.

მამალი რადიატორიდან გადმომხტარიყო და სასაცილოდ ეკიდა ცალი ფეხით. ეტყობოდა, ბევრი ეფართხალა, მაგრამ ახლა გაუნძრევლად პორწიალობდა. ელვარდის მკვდარი ეგონა. ახლოს მივიდა, ფრთხილად ჩამოხსნა და იატაკზე დასვა. მამალი მალე მოსულიერდა, მცირე ხანი თავგაშეშებული იდგა, მერე საყვედურის კილოთი ამოილაპარაკა რაღაც და იმწამსვე ნაფჩხვენებს დაუწყო კენკვა.

— რა ვუყო, ამ უპატრონოს! — ჩაილაპარაკა ელვადრიმ; თავზეხელშემოდებული სამზარეულოდან გავიდა. ოთახის ფანჯარა გააღო და ყანჩაველის ქუჩას გადახედა. ქვევით თბილისი მოჩანდა. მზე ამოდიოდა და ქალაქი მის პირველ სხივებში ეხვეოდა.

ქალაქის თავზე უკვე ბუღი იდგა.

— დღეს დედა შვილს ვერ იცნობს, ისეთი სიცხე იქნება! — გაიფიქრა ელვარდიმ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეი ბრედბერი

ფანტასტიკური მოთხრობები

და იჯექა მეხმა

კედელზე აკრული განცხადება გაბუნდოვანდა, თითქოს ზედ წყლის თხელი აპკი გადაიქიმა. ეკელსმა იგრძნო, რომ ქუთუთოები ერთი წამით გადაეფარა გუგებს, მაგრამ ამ წუთიერ წყვდიადშიც ენთო ასოები:

ა/ს საფარი გარდასულ დროში.

შეგიძლიათ ინადიროთ წარსულის ნებისმიერ წელს

თქვენ შეარჩევთ მსხვერპლს

ჩვენ მიგიყვანთ ადგილზე

თქვენ მოკლავთ მას.

ყელში დაგროვებული თბილი ნერწყვი გადაყლაპა და შეაჟრჟოლა. როდესაც ნელნელა ასწია ხელი, სახის კუნთებმა ღიმილად გაუწელა ტუჩები: ხელში ეჭირა ათი ათასი დოლარის ქვითარი, რომელიც კანტორის თანამშრომლისათვის იყო განკუთვნილი.

— იძლევით გარანტიას, რომ ცოცხალი დაგბრუნდები საფარიდან?[1]

— ჩვენ არაფერს არ ვიძლევით,— თქვა მსახურმა.—გარდა დინოზავრებისა,—იგი შებრუნდა:—აი, მისტერ ტრევისი, თქვენი გამცილებელი წარსულისაკენ. იგი გეტყვით, სად და როდის ისროლოთ. თუ თქვა. „არ ისროლოთ", ეს იმას ნიშნავს, რომ არ უნდა ისროლოთ. არ დაემორჩილებით მის განკარგულებებს და დაბრუნებისას ჯარიმას გადაიხდით—კიდევ ათი ათას დოლარს. ამას გარდა, მთავრობისაგანაც უნდა ელოდოთ უსიამოვნო ამბებს.

უზარმაზარი კანტორის შენობის შორეულ კუთხეში ეკელსი ხედავდა რაღაც მოჩვენებითსა და განუსაზღვრელს, დაგრეხილსა და მოგუგუნეს, მავთულებისა და ფოლადის გარსაცმების ხლართს, მოციმციმე შარავანდედს — ხან მოყვითალოს, ხან ვერცხლისფერს, ხან ცისფერს. ისეთი გუგუნი იდგა, თვით დრო იწვოდა თითქოს აგიზგიზებულ კოცონზე, თითქოს ყველა წელიწადი, ჟამთაღმრიცხველის ყოველი თარიღი, ყოველი დღე, ერთ გროვად დაეხვავებინათ და ცეცხლისათვის მიეცათ.

ხელის ერთი შეხება და ეს წვა მაშინვე მორჩილად უკუიქცეოდა წარსულისაკენ. ეკელსს ახსოვდა განცხადების ყოველი სიტყვა. ფერფლისა და ნეშტისაგან, მტვრისა და ნაცრისაგან აღსდგებიან მწვანე წლები, ძველი წლები, ვითარცა ოქროს სალამანდრები, ვარდები სურნელებას მოაკმევენ ჰაერს, ჭაღარა თმები გაშავდება, გაქრება ნაოჭები, ყველა და ყველაფერი უკუღმა შეტრიალდება და იქცევა თესლად, სიკვდილიდან გაიჭრება თავისი დასაბამისკენ. მზეები ამოვლენ დასავლეთიდან და აღმოსავლეთის რიჟრაჟში ჩაიძირებიან, მთვარეები მიილევიან საპირისპირო მხრიდან. ყველა და ყველაფერი მიემსგავსება კვერცხში ჩამალულ წიწილას, ჯადოქრის ქუდში გამქრალ კურდღლებს. ყველა და ყველაფერი შეიცნობს ახალ სიკვდილს, იმ დროში დაბრუნებას, რომელიც ჩასახვას უსწრებს წინ. და ეს აღსრულდება ხელის მხოლოდ ერთი შეხებით...

---

1 საფარი — მონადირეთა ექსპედიცია.

— ეშმაკმა იცის,—ამოიოხრა ეკელსმა, მის ხმელ სახეზე მანქანის სინათლის თეთრი ჭორფლი ციმციმებდა,—ნამდვილი დროის მანქანაა,—მან თავი გააქნია,—გაფიქრებაც კი შიშსა მგვრის,—გუშინ რომ სხვაგვარად დამთავრებულიყო არჩევნები, დღეს აქ, ალბათ, იმისათვის მოვიდოდი, რომ გაქცევით თავი გადამერჩინა. მადლობა ღმერთს, კეიტმა გაიმარჯვა. შეერთებულ შტატებს კარგი პრეზიდენტი ეყოლება.

— ჭეშმარიტად,—გამოეხმაურა კანტორის მსახური, — ბედმა გაგვიღიმა. დოიჩერი რომ აერჩიათ, უმკაცრესი დიქტატურის კლანჭებს ვერ ავცდებოდით. ეგ ტიპი ყველაფრის წინააღმდეგია ქვეყანაზე — მშვიდობის წინააღმდეგი, რწმენის წინააღმდეგი, ადამიანურობის წინააღმდეგი, გონების წინააღმდეგი. ხალხი გვირეკავდა და გვეკითხებოდა—ხუმრობით, რა თქმა უნდა, თუმცა... აქაოდა, თუ დოიჩერი პრეზიდენტი გახდა, შეიძლება თუ არა 1492 წელში გადაბარგებაო: მაგრამ გაქცევა და გაპარვა რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ვაწყობთ მონაირეთა ექსპედიციას. ასეა თუ ისე, კეიტია პრეზიდენტი. ახლა ისღა დაგრჩენიათ საზრუნავი, რომ...

—...მოვკლა ჩემი დინოზავრი,—დაამთავრა წინადადება ეკელსმა.

— Tyrannosaurus rex-ის. ხმამგრგვინავი ხვლიკი, უსაზიზღრესი ურჩხული პლანეტის ისტორიაში. ხელი მოაწერეთ ამას. რაც არ უნდა დაგემართოთ, ჩვენ პასუხს არ ვაგებთ. ამ დინოზავრებს განსაცვიფრებელი მადა აქვთ.

აღშფოთებისგან ეკელსი აენთო.

— ჩემს შეშინებას ცდილობთ?

— მართალი გითხრათ, ვცდილობ. ჩვენ, საერთოდ, არ გვსურს წარსულში ისეთი ხალხის გაგზავნა, ვისაც პირველივე გასროლაზე ძრწოლა აიტანს. იმ წელს ექვსი ხელმძღვანელი და ათიოდე მონადირე დაიღუპა. ჩვენი დახმარებით თქვენ გეძლევათ შემთხვევა განიცადოთ ყველაზე სატანური თავგადასავალი, როგორზედაც კი ოდესმე უოცნებია ნამდვილ მონადირეს, სამოცი მილიონი წლით უკან დაბრუნება და ყველა დროის უდიადესი ნადავლი—ეს, თქვენი ქვითარი. დახიეთ.

მისტერ ეკელსი დიდხანს დაჰყურებდა ქვითარს. თითები უთრთოდა.

— წარმატებას გისურვებთ,—თქვა კანტორის მსახურმა,—მისტერ ტრევის, ჩაიბარეთ კლიენტი.

თოფები მოიმარჯვეს და მდუმარედ გაეშურნენ მანქანისაკენ — ვერცხლისფერი ლითონის და აღმუვლებული სინათლისაკენ.

პირველად დღე, შემდეგ ღამე. ისევ დღე, ისევ ღამე; მერე დღე-ღამე, დღე-ღამე, დღე. კვირა. თვე. წელიწადი. ათწლეული, 2055 წელი, 2019, 1999, 1957! ჩაიარეს! მანქანა ღმუოდა.

ჟანგბადის მუზარადები დაიხურეს. ყურმილები შეამოწმეს.

ეკელსი რბილ სკამზე ქანაობდა—გაფითრებულიყო, კბილები მარწუხებად ჩაფრენოდა ერთმანეთს. მის გარდა ოთხნი იყვნენ, ტრევისი — საფარის ხელმძღვანელი, მისი თანაშემწე — ლესპერანსი და ორი მონადირე—ბილინგსი და კრემერი. ისინი ისხდნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ. გვერდით კი, როგორც ზედიზედ მიყოლებული ელვა, მიქროდნენ წელიწადები.

—ამ თოფს შეუძლია დინოზავრის მოკვლა?—იკითხა ეკელსმა:

— თუ ზუსტად მოარტყამთ,—უპასუხა ყურმილში ტრევისმა,—ზოგიერთ დინოზავრს ორი ტვინი აქვს: ერთი თავში, მეორე ხერხემლის ქვემოთ. ასეთებს ხელს არ ვახლებთ. სჯობს, ნუ გავთამამდებით იმით, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე ვართ დაბადებულნი. პირველი ორი ტყვია თვალებში ესროლეთ, თუ მოახერხებთ, რა თქმა უნდა, დააბრმავეთ და მერე მოარტყით ტვინში.

მანქანა აკივლდა. დრო ჰგავდა უკან დატრიალებულ კინოფირს. მზეები მიქროდნენ უკუღმა, ათეულ-მილიონობით მთვარე დასდევნებოდა მათ.

— ღმერთო,—წარმოსთქვა ეკელსმა,

—ყველა მონადირეს, ვისაც კი ამ ქვეყნად ოდესმე უცხოვრია, დღეს შეშურდებოდა ჩვენი. აქ თვით აფრიკაც ილინოისად მოგეჩვენება.

მანქანამ სვლა შეანელა. ღმუილი თანაბარმა გუგუნმა შეცვალა. მანქანა გაჩერდა.

ცაზე შეჩერდა მზე.

მანქანის გარშემო წყვდიადი გაიფანტა.

ისინი იყვნენ წარსულში. უღრმეს წარსულში. სამი მონადირე და ორი ხელმძღვანელი. თვითეულ მათგანს მუხლებზე ედო მუქი, ცისფერლულიანი თოფი.

— ქრისტე ჯერ არ დაბადებულა,— თქვა ტრევისმა,—მოსე ჯერ არ ასულა მთაზე ღმერთთან სასაუბროდ. პირამიდები მიწაში წვანან. მათი ქვები ჯერ არ გამოთლილა და არ დაწყობილა. **დაიმახსოვრეთ ეს.** ალექსანდრე, კეისარი, ნაპოლეონი, ჰიტლერი—არცერთი მათგანი არ არსებობს.

ყველამ თავი დაუქნია ტრევისს.

— აი, — მისტერ ტრევისმა თითი გაიშვირა,—აი, ჯუნგლი, პრეზიდენტ კეიტამდე სამოცი მილიონ ორი ათას ორმოცდა თხუთმეტი წლით ადრე.

იგი ლითონის ბილიკისაკენ შებრუნდა. ბილიკი აოხშივარებულ ჭაობზე გადადიოდა, მწვანე ტევრებისაკენ მიემართებოდა, უზარმაზარ გვიმრებსა და პალმებს შორის მიიკლაკნებოდა.

—ეს კი,—განმარტა მან,—ბილიკია, ჩვენი კომპანიის მიერ მონადირეთათვის გაყვანილი, იგი მიწიდან ექვსი დიუმის სიმაღლეზე ტივტივებს ჰაერში. არ ეხება არცერთ ხეს, არცერთ ყვავილს, არცერთ ბალახს, ანტიგრავიტაციული ლითონისაგანაა გაკეთებული. მისი დანიშნულებაა, გაგანცალკევოთ თქვენ წარსულის ამ სამყაროსაგან, რომ ვერაფერს ვერ შეეხოთ. გაჰყევით ბილიკს, არ ჩამოხვიდეთ. ვიმეორებ: **არავითარ შემთხვევაში არ ჩამოხვიდეთ ბილიკიდან!** თუ გადმოვარდებით—გადაიხდით ჯარიმას. და არაფერს არ ესროლოთ ჩვენს უნებართვოდ.

— რატომ?—ჰკითხა ეკელსმა.

ისინი ისხდნენ, უძველესი ტყეებით გარშემორტყმულნი. ქარს მოეჭიმა ჩიტების შორეული ყივილი, მოჰქონდა ფისისა და უძველესი მლაშე ზღვის სუნი, სისხლივით წითელი ყვავილებისა და ნესტით გაჟღენთილი ბალახის სურნელება.

— ჩვენ არ გვსურს მომავლის შეცვლა. აქ, წარსულში — ჩვენ დაუპატიჟებელი სტუმრები ვართ. მთავრობას **არ მოსწონს** ჩვენი ექსპედიციები. იძულებულნი ვართ კარგა მოზრდილი ქრთამები ვიხადოთ, რომ კონცესიები ხელიდან არ გამოგვეცალოს. დროის მანქანა საჭოჭმანო რამაა. ჩვენდა უნებურად, შეიძლება მოვკლათ რომელიმე მნიშვნელოვანი ცხოველი, ჩიტუნა, მწერი, გავსრისოთ ყვავილი და ამით მოვსპოთ აუცილებელი რგოლი სახის განვითარებაში.

— რაღაც არ მესმის ეგ ამბავი, — თქვა ეკელსმა.

—მაშინ მისმინეთ,—გააგრძელა ტრევისმა,—დავუშვათ, რომ აქ შემთხვევით მოვკალით თაგვი. ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე აღარ გაჩნდება ამ თაგვის არცერთი შთამომავალი. ხომ ასეა?

— ეგრეა.

— აღარ იქნებიან მისი თვითეული შთამომავლის შთამომავალთა შთამომავლები. გამოდის, რომ ფეხის გაუფრთხილებელი გადადგმით თქვენ ანადგურებთ არა ერთს, და არა ათს, და არც ათასს, არამედ მილიონ, **მილიარდ** თაგვს!

—კარგი, მათ სული ამოძვრათ, — დაეთანხმა ეკელსი,—რა მოხდა მერე?

— რა მოხდა?—ტრევისმა ზიზღით შეხედა,—რაღას უზამ იმ მელიებს, რომელთა საკვებად სწორედ ეს თაგვები იყო საჭირო? დააკლდება ათი თაგვი—მოკვდება ერთი მელა. აღარ იქნება ათი მელა—შიმშილით სული ამოხდება ლომს. მოკვდება ერთი ლომი—დაიღუპება სხვადასხვაგვარი მკბენარები და მტაცებელი ფრინველები. დალპება სი-

ცოცხლის ფორმის უთვალავი რაოდენობა. და აი, შედეგიც; ორმოცდაცხრამეტი მილიონი წლის შემდეგ, პირველყოფილი ადამიანი, ერთერთი იმ ათეულთაგანი, რომელიც ბინადრობს **მთელს დედამიწაზე,** შიმშილისაგან აწრიალებული გამოდის ტახზე ან ხმალკბილა ვეფხვზე სანადიროდ. მაგრამ თქვენ, ჩემო მეგობარო, გასრისეთ **ერთი** თაგვი, და ამით გასრისეთ იმ მხარეში მცხოვრები **ყველა** ვეფხვი, და პირველყოფილი ადამიანი კვდება შიმშილით. ეს ადამიანი კი, დააკვირდით, — უბრალოდ, ერთი ადამიანი როდია, არა! ეს არის **მთელი მომავალი ერი.** მას ათი ვაჟი გაუჩნდებოდა, იმ ათს—ასი, და ასე შემდეგ. და წარმოიშობოდა მთელი ცივილიზაცია. გაანადგურეთ ერთი ადამიანი — და თქვენ მოსპობთ მთელ ტომს, ხალხს, ისტორიულ ეპოქას. ეს იგივეა, ადამის ერთერთი შვილიშვილი რომ მოკლათ. გასრისეთ ფეხით თაგვი—და ეს გაუტოლდება მიწისძვრას, რომელიც სახეს დაუმახინჯებს დედამიწას, ძირფესვიანად შეცვლის ჩვენს ბედ-იღბალს. ერთი პირველყოფილი ადამიანის მოსპობა,—ეს არის საშოში ჩამხრჩვალი მისი მილიარდობით შთამომავლის სიკვდილი. შეიძლება რომი აღარც გაშენდეს თავის შვიდ ბორცვზე. ევროპა სამუდამოდ დარჩეს გაუვალ ტყედ. მხოლოდ აზიაში აყვავდეს ცხოვრება. დააბიჯეთ ფეხი თაგვს—და თქვენ დააქცევთ პირამიდებს. დააბიჯეთ ფეხი თაგვს და თქვენ მარადისობად აქცევთ დიდი კანიონის ოდენა სიცარიელეს. აღარ იქნება დედოფალი ელისაბედი, ვაშინგტონი აღარ გადალახავს დალაგერს. შეერთებული შტატები, საერთოდ, არც გაჩნდება. ასე რომ ფრთხილად იყავით, გაჰყევით ბილიკს. **არასოდეს** არ ჩამოხვიდეთ ბილიკიდან!

—გასაგებია,—თქვა ეკელსმა, — მაგრამ მაშინ გამოდის, რომ ბალახის შეხებაც სახიფათო ყოფილა.

— სრული სიმართლეა. არ შეიძლება წინასწარმეტყველება, თუ რას გამოიწვევს ამა თუ იმ მცენარის დაღუპვა. ოდნავი გადახრა დღეს, განუზომლად გაიზრდება სამოცი მილიონი წლის მანძილზე. რასაკვირველია, ვერ გამოვრიცხავთ იმას, რომ შეიძლება ჩვენი თეორია მცდარიც იყოს. შეიძლება არც შეგვწევს უნარი გავლენა მოვახდინოთ დროზე. და თუ შეგვწევს — იქნებ ძალიან უმნიშვნელო იყოს ეს გავლენა. ვთქვათ, მოკლული თაგვი იწვევს ოდნავ გადახრას მწერთა სამყაროში, შემდეგ—სახის დაუძლურება — დაჩაგვრას, კიდევ უფრო შორს რომ წავიდეთ —მოუსავლიანობას, დეპრესიას, შიმშილს და ბოლოს, სოციალურ ცვლილებებს. ანდა, შესაძლებელია, შედეგი სრულიად შეუმჩნეველი იყოს—მსუბუქი ქროლვა, ჩურჩული, თმის ღერი, მტვრის ნაწილაკი ჰაერში, რომელსაც ერთბაშად ვერც კი შეამჩნევ. ვინ იცის? ვინ იკისრებს წინასწარმეტყველებას? არ ვიცით, ვკითხაობთ მხოლოდ. და სანამ ზუსტად არ იქნება ცნობილი, თუ რას წარმოადგენს ისტორიისათვის ჩვენი მოგზაურობანი წარსულში — მეხს, თუ მსუბუქ შრიალს,—ზედმიწევნით ფრთხილად უნდა ვიყოთ. ამ მანქანას, ამ ბილიკს, თქვენს ტანისამოსს, თვით თქვენც, როგორც მოგეხსენებათ—ყველას და ყველაფერს სტერილიზაცია აქვს გავლილი. ამ ჟანგბადის მუზარადების დანიშნულებაც ის არის, რომ ხელი შეგვიშალოს და უძველესი წარსულის ჰაერი ჩვენი ბაქტერიებით არ მოვწამლოთ.

— საიდანღა გავიგოთ, რომელი ცხოველი მოვკლათ და რომელი არა?

—ისინი წითელი საღებავებით დავნიშნეთ,—უპასუხა ტრევისმა, — დღეს, ჩვენი გამომგზავრების წინ, აქ ლესპერანსი გამოვგზავნეთ მანქანით. ის სწორედ ამ დროში იმყოფებოდა და ზოგიერთ ცხოველს თვალყურს ადევნებდა.

— იკვლევდა?

— სწორედ რომ ვიკვლევდი, —. გამოეხმაურა ლესპერანსი, — მე მთელ მათს ცხოვრებას ვადევნებ თვალყურს და ვინიშნავ, რომელი მათგანი ცოცხლობს დიდხანს. ასეთები ცოტანი არი-

ან. ვითვლი რამდენჯერ წყვილდებიან. იშვიათად... სიცოცხლე ხანმოკლეა. მივაგნებ თუ არა ცხოველს, რომელსაც სიკვდილი ელოდება წაქცეული ხის ქვეშ, ანდა ასფალტის ტბაში, მე ვინიშნავ მისი დაღუპვის საათს, წუთსა და წამს. შემდეგ ვესვრი მღებავ ტყვიას, რომელიც წითელ ლაქას ტოვებს ცხოველის კანზე. და როდესაც ექსპედიცია მოემგზავრება წარსულში, ისეთ ვარაუდს ვიღებ, რომ ორი წუთით ადრე გამოვცხადდეთ ცხოველის ისედაც აუცილებელ დაღუპვამდე და ვინადიროთ. ასე რომ ჩვენ ვკლავთ მხოლოდ იმ ერთეულებს, რომელთაც მომავალი არა აქვთ, რომლებსაც ბედად ისედაც არ უწერიათ შეწყვილება, ხედავთ რამდენ სიფრთხილეს ვიჩენთ?

— მაგრამ თქვენ თუ დილით აქ იყავით,—თქვა აღელვებულმა ეკელსმა, — მაშინ უნდა შეგვხვედროდი **ჩვენ**, ჩვენს ექსპედიციას. როგორ ჩაიარა ჩვენმა ექსპედიციამ? წარმატებით? ყველა ცოცხალი დარჩა?

ტრევისმა და ლესპერანსმა ერთმანეთს გადახედეს.

—ეს პარადოქსი იქნებოდა,—თქვა ლესპერანსმა, — ასეთი გაუგებრობის საშუალებას, ადამიანი რომ თავის თავს შეხვდეს, დრო არ იძლევა. თუ მსგავსი საფრთხე შეიქმნა, დრო გვერდზე დგამს ნაბიჯს, იმ თვითმფრინავივით, რომელიც საჰაერო ორმოში ვარდება. შეამჩნიეთ თუ არა, როგორ შეირყა მანქანა გაჩერების წინ? ეს ჩვენ გვერდი ავუარეთ ჩვენსავე თავს, უკან, მომავლისაკენ გამგზავრებისას. მაგრამ არაფერი დაგვინახავს. ამიტომ შეუძლებელია თქმა, წარმატებით ჩაიარა ექსპედიციამ თუ არა, მოვკალით თუ არა ნადირი, დავბრუნდით თუ არა ცოცხალნი ჩვენ —უფრო სწორად, **თქვენ**, მისტერ ეკელს.

ეკელსმა მოთენთილად გაიღიმა.

— აბა, გავათავოთ, — მოჭრა ტრევისმა, — ავდექით!

მანქანიდან გადმოსვლის დრო დამდგარიყო.

ჯუნგლი იყო მაღალი, და ჯუნგლი იყო ფართო, და ჯუნგლი იყო საუკუნო სამყარო მთელი, ჰაერს მუსიკასავით ავსებდა ხმები, თითქოს აფრები ტლაშუნებდნენ — ეს პტეროდაქტილები იყვნენ, გიგანტური ღამურებივით მოფრინავდნენ კოშმარიდან, ბოდვიდან, იქნევდნენ გამოქვაბულის თაღისმსგავს უზარმაზარ, ნაცრისფერ ფრთებს. ვიწრო ბილიკზე მდგარმა ეკელსმა ხუმრობით დაუმიზნა.

— ეი, მოეშვი!—უბრძანა ტრევისმა, —ხუმრობითაც კი არ შეიძლება დამიზნება, ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი, უეცრად რომ გაგივარდეთ?

ეკელსი გაწითლდა.

— სად არის ჩვენი Tyrannosaurus-ი?

ლესპერანსმა საათზე დაიხედა.

— გვიახლოვდება. ზუსტად სამოც წამში შევხვდებით მას. და თუ ღმერთი გწამთ, არ გამოგრჩეთ წითელი ლაქა. სანამ არ გეტყვით, არ ისროლოთ. და არ გადმოხვიდეთ ბილიკიდან. არ გადმოხვიდეთ ბილიკიდან!

ისინი მიდიოდნენ. დილის შემხვედრი ნიავი უბერავდა.

—უცნაურია,—ჩაიბურტყუნა ეკელსმა,—ჩვენს წინ სამოცი მილიონი წელია, არჩევნები დამთავრდა. კეიტი პრეზიდენტი გახდა. ყველა ზეიმობს გამარჯვებას. ჩვენ კი—აქა ვართ, წარსულში. თითქოს ამდენი მილიონი წელიწადი ქარს გადაეხვეტოს. ჯერ კიდევ ხსენებაც არ არის მისი, რაზედაც ვზრუნავდით მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე, ჯერ კიდევ მისი პროექტიც არ შედგენილა.

— მოემზადეთ! — გასცა განკარგულება ტრევისმა,—პირველად თქვენ ესვრით, ეკელს, ბილინგსი—მეორე ნომერია, მის შემდეგ—კრემერი იქნება.

— მე მინადირია ვეფხვებზე, ტახებზე, კამეჩებზე, სპილოებზე, მაგრამ ღმერთია მოწმე, ეს სულ სხვა ამბავია, —წარმოსთქვა ეკელსმა,—პატარა ბიჭივით ვთრთი.

— ჩუმად,—თქვა ტრევისმა.

ყველანი შეჩერდნენ.

ტრევისმა ხელი აღმართა.

— წინ,—წაიბუტბუტა მან, — ნისლში. იგი იქ არის. შეხვდით მის უდიდებულესობას!

უსაზღვრო ჯუნგლი ავსებულიყო ჭიკჭიკით, ფაჩუნით, შრიალით,

უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა. თითქოს ვიღაცამ კარი მიხურა.

დუმილი.

გრგვინვა.

ასი იარდის მოშორებით წყვდიადიდან გამოვიდა Tyrannosaurus rex-ი.

— ძალნო ციურნო!—აღმოხდა ეკელსს.

— სსუუ!

იგი მსუბუქად მოადგამდა უზარმაზარ, მოლორწოვებულ, ზამბარისებურ ფეხებს.

ოცდაათი ფუტით აღმართულიყო ტყის თავზე ბოროტების უდიადესი ღმერთი. მესაათის სუსტი ხელები მჭიდროდ მიჰკვროდა რეპტილიის გაზინზლულ მკერდს. ფეხები უძლიერეს დგუშებს მიუგავდა. მრისხანე მეომრის ჯავშანისებურ, მბრწყინავ და დანაოჭებულ ტყავქვეშ, კუნთების მჭიდრო ბაგირებით შემოტმასნილი ათასი გირვანქა თეთრი ძვალი მოხრიგინებდა. თითო თეძო ტონა ხორცს, ძვალსა და ფოლადის დანაოჭებულ ჯავშანს წარმოადგენდა. ვეება, მქშინავი მკერდიდან ორი წვრილი ხელი გამოჩხერილიყო, თითებიანი ხელები, რომელთაც ადამიანის სათამაშოსავით აღება და დათვალიერება შეეძლოთ. დაგრეხილ, გველისებურ კისერს მსუბუქად აჰქონდა ცისკენ ათასკილოგრამიანი თავის ქვისებრი მონოლიტი. დაღებულ ყბებზე მოჩანდა ხანჯლისებური კბილების ღობე. ტრიალებდა სირაქლემის კვერცხისმაგვარი თვალები, რომლებიც შიმშილის გარდა არაფერს არ გამოხატავდნენ. მან ყბები დახურა და ბოროტად გაახრჭიალა. იგი გაიქცა და უკანა ფეხებმა დათელა ბუჩქები და ხეები, ბრჭყალებმა დათხარა მიწა და ექვსი დიუმის სიღრმის კვალი დატოვა. იგი გარბოდა აცურებული, ბალეტური ნაბიჯებით. დაუჯერებელი იყო ამ ათტონიანი მთის სიმსუბუქე. იგი ფრთხილად გამოვიდა მზით განათებულ თხრილთან და თავისი ლამაზი, ქერცლოვანი ხელებით ჰაერი მოსინჯა.

—ღმერთო ჩემო!—ტუჩები აუთრთოლდა ეკელსს,—ეგ რომ გაიმართოს ხომ მთვარეს მიხწვდა.

— სსუუ! — ჩაისისინა გაბრაზებულმა ტრევისმა,—მას ჯერ კიდევ არ შევუმჩნევივართ.

— მისი მოკვლა არ შეიძლება!—ეკელსმა მშვიდად წარმოსთქვა ეს, თითქოს წინასწარ მოიგერია ყველა მოსალოდნელი შეკამათება. მან ასწონ-დასწონა დამსწრეთა ჩვენება და საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა. მის ხელში თოფი საბავშვო სათამაშოს დამსგავსებოდა.—იდიოტები, რა გვინდოდა აქ რომ მოვეთრეოდით... ეს ხომ შეუძლებელია.

— ხმა გაიკმიდე!—დაუღრინა ტრევისმა.

—მოლანდებაა...

— ზურგისაა-კენ! — ბრძანა ტრევისმა,—დაბრუნდით მანქანაში. თანხის ნახევარი უკან დაგიბრუნდებათ.

— არ მეგონა ასე დიდი თუ იქნებოდა,—თქვა ეკელსმა,—ერთი სიტყვით, შევცდი, არა, მე არ მივიღებ მონაწილეობას.

— დაგვინახა!

— აი, წითელი ლაქა მკერდზე!

ხმამგრგვინავი ხვლიკი გაიმართა. მისი შეჯავშნული სხეული ბრწყინავდა, როგორც ათასი მწვანე მონეტა. ფულებს ცხელი ლორწო გადაკვროდა გარედან. ლორწოში წვრილ-წვრილი ჭიები ირეოდნენ, იკლაკნებოდნენ, თითქოს ტალღები გადარბოდნენ მთელ სხეულზე. მაშინაც ასე ჩანდა, როცა ურჩხული უძრავად იდგა. მან ერთი ყრუდ ამოიხუვლა, ჰაერში უმი ხორცის სუნი გავრცელდა.

— დამეხმარეთ, წასვლა მინდა, — თქვა ეკელსმა,—წინათ სულ სხვა იყო. ყოველთვის ვიცოდი, რომ ცოცხალი დავრჩებოდი. საიმედო გამცილებლები მყავდა. არავითარი საფრთხის არ მეში-

ნოდა. ამჯერად მოვტყუვდი. ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. ვაღიარებ. არა შეჯდა მწყერი ხესა...

— არ გაიქცეთ.—თქვა ლესპერანსმა,—შებრუნდით ზურგისაკენ. მანქანაში დაიმალეთ.

— ჰო,—ეკელსი გაქვავებულივით იდგა. ფეხებზე იყურებოდა, თითქოს ცდილობდა ძალდატანებით აემოძრავებინა ისინი. უმწეობისაგან დაიკვნესა.

— ეკელს!

ერთი-ორი ნაბიჯი გადადგა თვალდახუჭულმა, ძლივს გაითრია ფეხები.

— **იქით** ნუ მიდიხართ!

ის იყო ეკელსი ადგილიდან დაიძრა, რომ ურჩხული ამაზრზენი ღრიალით გამოიჭრა წინ. ასი იარდი ოთხ წამში გამოიარა. თოფები მაღლა შეტრიალდნენ და გაისმა ზალპი. ურჩხულის ხახიდან გრიგალი ამოვარდა. ლორწოსა და სისხლის სუნი შეაორთქლა ადამიანებს. ურჩხული აღმუვლდა, მისი კბილები ბრწყინავდა მზეზე.

ეკელსს უკან არ მოუხედავს, ბრმად მიუახლოვდა ბილიკის კიდეს. ჩამოვიდა ბილიკიდან და შეუგნებლად გაემართა ჯუნგლისკენ. თოფი უსარგებლო ნივთივით შერჩენოდა ხელებში. მწვანე ხავსში ეფლობოდა ტერფები. ფეხები თანდათან აშორებდა აქაურობას, თავს მარტოდ გრძნობდა, თითქოს უკვე აღარ ეხებოდა მის ზურგს უკან დატრიალებული ამბავი.

ისევ იჭექა თოფებმა. სროლის ხმა ხვლიკის მგრგვინავ ყმუილში გაითქვიფა. რეპტილიის ვეება კუდმა მათრახის წვერივით გაიზუზუნა და ხეები ფოთლებისა და ტოტების ღრუბლებად აფეთქდნენ. ურჩხულმა ქვემოთ ჩამოაწვდინა ოქრომჭედლის ხელები ადამიანთა საალერსოდ, მათ შუაზე გასახლეჩად, გასაჭყლეტად, აღმუვლებულ ხახაში გადასაძახებლად! თვალთა ლოდები ადამიანთა სიახლოეს აღმოჩნდა. მათ საკუთარი გამოსახულება დაინახეს შიგ. მერე ცეცხლი მიაფრქვიეს ლითონის წამწამებსა და აგიზგიზებულ შავ თვალებს.

ვით ქვის კერპი, ვით მთის ზვავი დაემხო Tyrannosaurus-ი ღმუილ-ღმუილით ეჭიდებოდა ხეებს, ეცემოდა ლითონის ბილიკს გამოედო და დაჭმუჭნა. ადამიანები უკუიქცნენ. ათი ტონა ცივი ხორცი კლდესავით ჩამოინგრა მიწაზე. კიდევ ერთხელ იჭექა თოფებმა. ურჩხულმა შეჯავშნული კუდი დაარტყა მიწას, გაახრჭიალა გველისებური ყბები და დადუმდა. ყელიდან შადრევანივით სცემდა სისხლი. სადღაც, შიგნით, გასკდა სითხით სავსე ტიკი და აშმორებული ნაკადი თავს გადაევლო მონადირეებს. ისინი იდგნენ უძრავად, რაღაც მბრწყინავი და წითელი სითხით დასველებულნი.

ქუხილი მიყუჩდა.

ჯუნგლში სიჩუმე გამეფდა. ზვავის შემდეგ—მწვანე სიმშვიდემ დაისადგურა, კოშმარის შემდეგ — დილამ.

ბილინგსი და კრემერი ბილიკზე ისხდნენ, ისინი ცუდად გრძნობდნენ თავს. ტრევისი და ლესპერანსი იქვე იდგნენ. ხელებში აკვამლული თოფები ეჭირათ და ილანძღებოდნენ.

მთლად აკანკალებული ეკელსი თავდაღმა იწვა დროის მანქანაში. რაღაცნაირად ისევ ბილიკზე ამომძვრალიყო და მანქანამდე მოლასლასებულიყო.

მოვიდა ტრევისი. დახედა ეკელსს. ყუთიდან მარლა ამოიღო და ისევ ბილიკზე მსხდომთ დაუბრუნდა.

— მოიწმინდეთ.

მუზარადებიდან სისხლი ჩამოიწმინდეს და მათაც დაიწყეს ლანძღვა-გინება. ურჩხული უმოძრაოდ იწვა. ხორცის მთის წიაღიდან მოისმოდა ბუყბუყი და ხრიალი—კვდებოდა უჯრედები, ორგანოები თანდათან გამოდიოდნენ მწყობრიდან და სასიცოცხლო წვენი უკანასკნელად მიედინებოდა თავის გზაზე. ყველაფერი ითიშებოდა, სამუდამოდ ჩერდებოდა. თითქოს დამტვრეულ ორთქლმავალთან, ანდა სამუშაო დღის შემდეგ გაჩერებულ ორთქლის საგორავთან იდექით— ყველა სარქველი ღია, ან მჭიდროდ დახურული იყო. გადაილეწა ძვლები; უსიცოცხლო, მოუ-

მართავი კუნთების წონამ — მკვდარმა წონამ — გაჭყლიტა მიწას მიკრული წვრილი ხელები. ათახთახებული ხორცი გაშეშდა.

და უეცრად ისევ გრიალი გაისმა; მათ მაღლა ვეება, გიგანტური ტოტი გადატყდა და უსიცოცხლო ურჩხულს გადაემხო თავზე, თითქოს საბოლოოდ დაადასტურა მისი სიკვდილი.

— ასე, — ლესპერანსმა საათს დახედა, — ზუსტად დაემთხვა, — ეს ის ტოტია, რომელსაც დინოზავრი უნდა მოეკლა, — იგი ორ მონადირეს მიუბრუნდა, — ნადირთან გადაღება გინდათ?

— რა?

— ჩვენ არ შეგვიძლია ნადავლის მოშავალში წაღება. ლეში აქ უნდა ეგდოს, თავის ადგილზე. მისი ხორცით მწერები, ჩიტები და ბაქტერიები უნდა გამოიკვებონ. წონასწორობის დარღვევა არ შეიძლება. ამიტომ ვტოვებთ ნადავლს. მაგრამ სურათს, თუ გინდათ, გადაგიღებთ.

მონადირეებმა თავს ძალა დაატანეს, ცდილობდნენ რამე მოეფიქრებინათ, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდათ.

მათ მორჩილად წააყვანინეს თავი მანქანისაკენ. მოქანცულები დაეშვნენ რბილ სკამებზე, უაზროდ გახედეს მოცელილ ურჩხულს — მუნჯ ყორღანს. გაგრილებულ ჯავშანზე უკვე ისხდნენ უცნაური ჩიტ-ხვლიკები, ირეოდნენ ოქროსფერი მწერები.

მოულოდნელმა ხმაურმა გააშეშა მონადირენი. მანქანის იატაკზე ეკელსი იჯდა და კანკალებდა.

— მაპატიეთ, — თქვა მან.

— ადექით! — დაუღრინა ტრევისმა.

ეკელსი ადგა.

— გადით ბილიკზე, — გასცა განკარგულება ტრევისმა, მან თოფი აღმართა, — თქვენ არ დაბრუნდებით, თქვენ დარჩებით აქ!

ლესპერანსმა ტრევისს ხელი წაავლო.

— დამშვიდდი...

— შენ კი ცხვირს ნუ ყოფ! — ტრევისმა მოიშორა მისი ხელი, — ამ ნაძირალას ვულისთვის კინაღამ ყველანი დავიღუპეთ. მაგრამ მთავარი **ეს არ არის**. აბა, ეშმაკმა დალახვროს, დახედე აბა, მის **ფეხსაცმელებს**! დახედე! [illegible] ბილიკიდან გადახტა. გესმის, რა საფრთხე მოგველის? ერთმა ღმერთმა იცის, რამხელა ჯარიმას მოგვაკერებენ. ათეულ ათასობით დოლარს! ჩვენ გარანტიას ვიძლევით, რომ არავინ გადავა ბილიკიდან. ეს გადავიდა, იდიოტი! მე ვალდებული ვარ მოვახსენო მთავრობას და შეიძლება ჩვენ ამ საფარის კონცესიები გამოგვეცალოს ხელიდან. ახლა დროსა და ისტორიაზე რა გავლენას მოახდენს, ვიცით?!

— დამშვიდდი, ლანჩაზე ცოტა ტალახი აჰყვა, ეგ არის და ეგ.

— რა **ვიცით** ჩვენ?! — დაიყვირა ტრევისმა, — ჩვენ არაფერი არ ვიცით. ეს თავიდან ბოლომდე გამოცანაა! ნაბიჯით იარ, ეკელს!

ეკელსმა ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— მე გადავიხდი, რასაც მეტყვით. ასი ათას დოლარს გადავიხდი!

ტრევისმა ირიბად დახედა ფულის ქვითარს და გადააფურთხა.

— გასწით! ურჩხული ბილიკთან წევს. იდაყვამდე ჩაუყავით ხელი ხახაში. მერე შეგიძლიათ ჩვენთან დაბრუნება.

— ეს უსამართლობაა!

— ნადირი მკვდარია, შე დოყლაპია. ტყვიები! ტყვიები არ უნდა დარჩეს აქ, წარსულში, მათ შეიძლება გავლენა მოახდინონ განვითარებაზე. აი, დანა, ამოჭერით!

ჯუნგლი ისევ გამოცოცხლებულიყო და ავსებულიყო უძველესი შრიალით, ჩიტების ხმებით. ეკელსი მძიმედ შებრუნდა და მზერა მიაპყრო ისტორიამდელ ლეშს, მოჩვენებათა და საშინელებათა გორას. ბოლოს მთვარეულივით გაჰყვა ბილიკს.

ხუთი წუთის შემდეგ იგი აკანკალებული დაბრუნდა მანქანასთან, ხელები იდაყვებამდე სისხლით ჰქონდა შეღებილი. მან წინ გაიშვირა ხელისგულები, რომლებზეც ფოლადის ტყვიები ბრჭყვიალებდა. მერე ეკელსი დაეცა.

იგი იწვა იქ, სადაც დაეცა, იწვა უძრავად.

— სულ ტყუილად აიძულე!—თქვა ლესპერანსმა.

— ტყუილად? ამაზე ჯერ ადრეა ლაპარაკი,—ტრევისმა ხელი ჰკრა უძრავ სხეულს,—არ მოკვდება. ამის შემდეგ გული აღარ გამოუწევს მსგავსი ნადავლისაკენ. ახლა კი—მან ზანტად აიქნია ხელი,—ჩართე, გავსწიოთ შინისაკენ.

1492. 1776.1812.

მათ ხელპირი დაიბანეს. გაიხადეს მიმხმარი სისხლისგან გახევებული ხალათები, შარვლები, და სუფთა ტანისამოსი ჩაიცვეს. ეკელსი გონს მოსულიყო, მაგრამ ჩუმად იჯდა. ტრევისი მთელი ათი წუთის განმავლობაში პირდაპირ სახეში შესცქეროდა მას.

— ნუ მიყურებთ,—აღმოხდა ეკელსს,—მე არაფერი დამიშავებია.

— ვინ იცის...

— მე მხოლოდ ბილიკიდან ჩამოვხტი და ფეხსაცმელი ამოვისვარე ტალახში. რა გინდათ ჩემგან? მუხლებზე დავვარდე და შენდობა გთხოვოთ?

— ეგ არც ისე წარმოუდგენელი რამაა. გაფრთხილებთ, ეკელს, შეიძლება მე მოგკლათ თქვენ, თოფი გატენილია.

— მე დამნაშავე არა ვარ. მე არაფერი ჩამიდენია!

1999.2000.2055.

მანქანა გაჩერდა.

— გადმოდით!—ბრძანა ტრევისმა.

ოთახი ისეთივე იყო, თუმცა არა, არც თუ სულ ისეთი... იგივე კაცი იჯდა კანტორაში. არა, სულ მთლად იგივე კაცი არ იყო. და კანტორაც მაშინდელს არ ჰგავდა.

ტრევისმა სწრაფად მოავლო მზერა შენობას.

— ყველაფერი რიგზეა?—ჩაიბურდღუნა მან.

— რა თქმა უნდა. მშვიდობით დაბრუნებას გილოცავთ!

მაგრამ ტრევისი მოუსვენრად გრძნობდა თავს. გეგონებოდათ, ჰაერის ყოველ ატომს ამოწმებდა, ეჭვითშეპყრობილივით იკვლევდა მაღალი ფანჯრიდან შემოსულ მზის სხივებს.

— ო, კეი. ეკელს, გამოდით, და ამის შემდეგ თვალით აღარ დამენახოთ.

ეკელსი თითქოს გაქვავებულიყო.

— აბა რაღას უცდით?—დააჩქარა ტრევისმა,—რა **ნახეთ** მანდ ისეთი?

ეკელსი ნელნელა ისუნთქავდა ჰაერს. ჰაერს რაღაც დამართნოდა. რაღაც ქიმიური ცვლილება მომხდარიყო. იმდენად უმნიშვნელო და ძნელად შესამჩნევი, რომ მხოლოდ ქვეცნობიერების სუსტი ხმა ეუბნებოდა ეკელსს ამ ცვლილების ამბავს. და საღებავებსაც—თეთრს, ნაცრისფერს, ლურჯს, ნარინჯისფერს, კედლებზე, ავეჯზე, ცაზე — ისინი... ისინი... ჰო. რა **დაემართა** მათ? ახლა კიდევ ეს შეგრძნებაც. თითქოს ჭიანჭველები შესეოდნენ. ხელები უხტოდა. სხეულის ყოველი უჯრედით იგი აღიქვამდა რაღაც უცნაურსა და უცხოს. თითქოს სადღაც ვიღაცამ ჩაჰბერა სასტვენს, რომელიც მხოლოდ ძაღლებს ესმით. და მისი სხეული უხმოდ გამოეხმაურა. ფანჯრის იქით, ამ შენობის კედლების მიღმა, იმ კაცის ზურგსუკან (რომელიც **ის** კაცი არ იყო) ტიხრთან (რომელიც ის ტიხრი აღარ იყო)—ქუჩებისა და ადამიანების მთელი სამყაროა. მაგრამ აქედან როგორ უნდა განსაზღვრო რა სამყაროა ახლა ეს, რა ხალხია? იგი ხელშესახებად გრძნობდა, როგორ მოძრაობდნენ ადამიანები კედლების იქით—თითქოს მშრალი ქარის წაღებული ჭადრაკის ფიგურები ყოფილიყვნენ.

სამაგიეროდ, მაშინვე თვალში გეცემოდა კედელზე აკრული განცხადება, რომელიც დღეს უკვე წაიკითხა ეკელსმა, როცა პირველად შემოვიდა აქ.

რაღაც ისე არ იყო დაწერილი განცხადება:

ა/ს საფარი გარდა სულ დროში

შეუძლიათ ინადუროთ წარ სულის ნების მიერ წულს

თქვუნ შეარჩევთ მსხვერპლს

ჩვუნ მიგიყვანთ ადგულზე

თქვუნ მოკლავთ მის

ეკელსმა იგრძნო, რომ სკამზე **ეშვე-**

ბოდა. მან გამალებით დაიწყო ფეხსაცმელებიდან ტალახის მოცლა. მის ათრთოლებულ ხელს წებოვანი გუნდა აჰყვა.

— არა, ეს შეუძლებელია! ასეთი უმნიშვნელო რამის გამო... არა!

ტალახის გუნდაზე მიწებებულიყო ოქროსფრად, მწვანედ და შავად მოხატული ლაქა—პეპელა, ძალიან ლამაზი... მკვდარი.

— ასეთი უმნიშვნელო რამის გამო! **პეპლის** გამო!—წამოიყვირა ეკელსმა.

პეპელა იატაკზე დავარდა. მომხიბვლელი, პატარა არსება, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს წონასწორობა; წაიქციოს დომინოს ძვალი;.. დიდი ძვლები... უზარმაზარი ძვლები, უთვალავი წლების ჯაჭვით შეერთებულნი. ამ წლებისაგან შედგებოდა დრო. ეკელსს ფიქრები ერ-დაერია. **შეუძლებელია** რომ მას რამე შეეცვალა. მკვდარი პეპელა და ასეთი შედეგები? შეუძლებელია!

სახე გაუცივდა. ტუჩები აღარ ემორჩილებოდა. მას აღმოხდა:

— ვინ... ვინ გაიმარჯვა გუშინ არჩევნებში?

კანტორის მსახურმა ჩაიხითხითა.

— ხუმრობთ? ვითომ არ იცით, ალბ. იჩერმა, რა თქმა უნდა! აბა, ვის უნდა გაემარჯვნა? იმ დოყლაპია კეიტს ხომ არა? ახლა ხელისუფლებას რკინის კაცი უდგას სათავეში!—მსახური შეცბა,—რა დაგემართათ?

ეკელსმა დაიკვნესა. იგი მუხლებზე დაეცა. აკანკალებული თითები ოქროსფერ პეპლისაკენ გაიწვდინა.

— ნუთუ არ შეიძლება,—ეეედრებოდა იგი მთელს სამყაროს, საკუთარ თავს, მსახურს, დროის მანქანას,—დავაბრუნოთ პეპელა **იქ**, გავაცოცხლოთ იგი? ნუთუ არ შეიძლება ყველაფერი თავიდან დაიწყოს: იქნებ მაშინ...

იგი უძრავად იწვა. იწვა თვალდახუჭული, აძიგძიგებული, და ელოდებოდა. მას გარკვევით ესმოდა ტრევისის მძიმე სუნთქვა. გაიგონა, როგორ ასწია ტრევისმა თოფი და როგორ გამოჰკრა ჩახმახს.

და იჭექა მეხმა.

ღიმილი

ხუთი საათი თუ იქნებოდა, როცა მთავარ მოედანზე რიგი გაჩნდა. ნამით გადათეთრებულ მინდვრებს იქით მამლების შორეული ყივილი მოისმოდა, არსად არ ენთო სინათლე. გარშემო, დანგრეულ შენობებს შორის, ნაფლეთ-ნაფლეთ ჩაწოლილიყო ნისლი. ახლა კი შვიდი საათი იყო და ნისლი თანდათან იფანტებოდა. გზის გასწვრივ, ორ-ორად, სამ-სამად ემატებოდნენ რიგს ადამიანები. ისინი ზეიმსა და ბაზრობის დღეს გამოეტყუებინა ქალაქისაკენ.

ბიჭუნა იდგა იმ ორი კაცის უკან, რომლებიც ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. სუფთა, ცივი ჰაერი თითქოს ორმაგად აძლიერებდა მათ ხმებს, ბიჭუნა ერთ ადგილზე აბაკუნებდა ფეხებს, თავის გაწითლებულ, გახეშეშებულ ხელებს სულს უბერავდა და ხან უხეშ ჯვალოში გამოხვეულ მეზობლებს გადახედავდა, ხან კაცებისა და ქალების გრძელ რიგს გააყოლებდა თვალს.

— მოიხედე, ბიჭო, რა გინდა აქ ამ დილაადრიან? — თქვა მის ზურგსუკან მდგარმა კაცმა.

— ეს ჩემი ადგილია, რიგი დავიკავე, — უპასუხა ბიჭუნამ.

— გაქცეულიყავი შინისკენ, ა, რას იტყვი? დაგეთმო ადგილი სხვისთვის, ვისაც ამ საქმისა რაღაც ესმის.

— დაანებე ბავშვს თავი, — სწრაფად შემობრუნდა წინ მდგომი ერთერთი კაცთაგანი.

— რა მოხდა, გავეხუმრე, — უკანამ თავზე ხელი დაადო ბავშვს. ბიჭი მოიღუშა და გამოეცალა დიდ ხელს, — უბრალოდ, ვიფიქრე — უცნაურია, ამ

სისხამ დილით ბავშვს რატომ არ სძინავს-მეთქი.

— ამ ყმაწვილს რაღაც-რაღაცეები ესმის ხელოვნებაში, გასაგებია? — თქვა ბიჭუნას ქომაგმა, გვარად გრიგსბმა, — რა გქვია შენ, პატარავ?

— ტომი.

— არხეინად იყავით, ჩვენი ტომი მიაფურთხებს, როგორც საჭიროა, — პირდაპირ სახეში, ხომ ასეა, ტომ?

— არხეინად იყავით!

სიცილმა რიგი ჩაირბინა.

წინ ვიღაც ცხელ ყავას ყიდდა დაბზარული ფინჯნებით. ტომმა იქითკენ გაიხედა. მან თვალი მოჰკრა პატარა, ცხელ კოცონს და აქაფქაფებულ ნახარშს ჟანგიან ქვაბში. ეს არ იყო ნამდვილი ყავა. ქალაქგარეთ, მინდვრებში რაღაც კენკრა დაეკრიფათ და ის მოედუღებინათ კუჭის გასათბობად. ჭიქას ერთ პენნად ყიდდნენ, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე ყიდულობდა, ვის ჰქონდა ამდენი ფული.

ტომმა მზერა მიაპყრო აფეთქებისგან ჩამხობილ ქვის კედელს, რომლის იქით რიგი იკარგებოდა.

— ამბობენ ის ქალი **იღიმებაო**, — თქვა ბიჭუნამ.

— ჰო, იღიმება, — უპასუხა გრიგსბიმ.

— ამბობენ, საღებავებისა და ტილოსაგანაა გაკეთებულიო.

— ეგრეა. სწორედ ამიტომ მგონია მე, რომ ნამდვილი არ უნდა იყოს. ნამდვილი, ყური მომიკრავს — ფიცარზე იყო დახატულიო, უხსოვარ დროსო.

— ამბობენ, ოთხასი წლის არის ის ქალიო.

— თუ მეტის არა. თუმცა ვინ არის მაგის გამგები. ახლა არავინ არ იცის რომელი წელია.

— ორი ათას სამოცდა ერთი.

— სწორეა. ეგრე ამბობენ, ყმაწვილო, ამბობენ. მიჰქარავენ. იქნებ მესამე ათასწლეულში ვართ? ანდა, მეხუთეში? საიდან უნდა ვიცოდეთ ჩვენ? რამდენხანს გრძელდებოდა ის დომხალი... და მხოლოდ ქვა და ღორღი შეგვრჩა...

ისინი ფეხს ფეხზე ირტყამდნენ და ნელნელა მიიწევდნენ ცივ ქვაფენილზე.

— მალე დავინახავთ ბ[illegible] ქალს? — მოწყენილად წარმოსთქვა ტომმა.

— კიდევ რამდენიმე წუთი და გამოჩნდება. მათ შემოღობეს იგი. ოთხ თითბრის ბოძზე გაჭიმეს ხავერდის თოკები, როგორც წესი და რიგია, რომ ხალხი ძალიან ახლოს არ მივიდეს. ჰო, გახსოვდეს, ტომ, ქვა არ დავინახო შენს ხელში, მათ აკრძალეს ქვების დაშენა.

— მესმის, სერ.

მზე თანდათან მაღლა მიიწევდა ცისთაღზე და ათბობდა არემარეს. კაცებმა გაიძვრეს ჯვალოს ტანისამოსი, ჭუჭყიანი ქუდები მოიხადეს.

ტომი რაღაცას ფიქრობდა.

— რისთვის შევიკრიბეთ აქ ყველანი? — თქვა მან ბოლოს, — რატომ უნდა მივაფურთხოთ?

გრიგსბის არც კი მოუხედავს მისკენ. იგი მზეს შესცქეროდა, ვარაუდობდა, რომელი საათი იქნება ახლაო.

— ეჰ, ტომ, მიზეზი უამრავია, — მან დაბნეულად ჩაიყო ხელი ჯიბეში, რომელიც დიდიხანია აღარ ჰქონდა, არარსებული სიგარეტის ამოღება უნდოდა. ტომს მილიონჯერ უნახავს ეს მოძრაობა, — აქ საქმე სიძულვილშია, ტომ. ყველაფრისადმი სიძულვილში, რაც წარსულთანაა დაკავშირებული. აბა, მიპასუხე შენ, რამ ჩაგვაგდო ამ ყოფაში? ქალაქები ნამსხვრევების გორებადაა ქცეული, დაბომბილი გზები ხერხის კბილებს დამსგავსებია, მინდვრები ღამ-ღამობით ანათებენ რადიოაქტიურობისაგან... ჰოდა, აბა, მითხარი, ტომ. რა არის ეს, თუ არა უკანასკნელი არამზადობა?

— რა თქმა უნდა, სერ.

— მეც მანდა ვარ... ადამიანს შესძულდა ყველაფერი, რამაც დაღუპა იგი და სიცოცხლე მოუსწრაფა. ასეა ადამიანი. იქნებ უგუნურება იყოს, მაგრამ ასეთია მისი ბუნება.

— მაგრამ არის კი ვინმე, ან რამე ისეთი, რაც ჩვენ არ გვძულდეს? — თქვა ტომმა.

— ოო, მეც მანდა ვარ-მეთქი, მთელი იმ იდიოტების ჯგრო. ქვეყანას რომ მართავდნენ წარსულში! ახლა ვდგავართ აგერ გამთენიიდან, კუჭი გვიხმება, კბილებს ვაწაკწაკებთ სიცივისაგან — ახალი ტროგლოდიტები ვართ სწორედ. არც მოსაწევი, არც დასალევი, არც სხვა რაიმე გართობის მსგავსი, გარდა ამ ჩვენი ზეიმებისა, ტომ, გარდა ამ ზეიმებისა...

ტომმა რიგრიგობით გაიხსენა ყველა ზეიმი, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა ამ უკანასკნელი წლების მანძილზე, თვალწინ დაუდგა, როგორ ფხრეწდნენ და წვავდნენ წიგნებს მოედანზე, და როგორ იცინოდნენ, თითქოს მთვრალები იყვნენ. ახლა მეცნიერების ზეიმი ერთი თვის წინათ? ქალაქში რომ შემოათრიეს უკანასკნელი ავტომობილი, მერე კენჭი რომ ყარეს, და ყველა ბედნიერს, ვისაც კი წილი ხვდა, შეეძლო თითოჯერ დაეთხლიშა მანქანაზე ურო!..

— მახსოვს თუ არა, ტომ? მახსოვს თუ არა? განა მე არ ვიყავი, წინა მინა რომ ჩამოვამსხვრიე — მინა. გესმის? ღმერთო, რა საამური ხმა ჰქონდა, წკრრრ!

ტომს თითქოს ნამდვილად მოესმა, როგორ იფანტებოდა შუშის მბრწყინავი ნაფშვენები.

— ბილ ჰენდერსონს კი მოტორის ჩაჰყლეტა ხვდა წილად. ეჰ, რა მარჯვედ დრუბა, პირდაპირ შემშურდა. ჭაახ! მაგრამ ყველაზე კარგი ის იყო, ქარხანა რომ დავარბიეთ. იმ ქარხანაში ცდილობდნენ, კიდევ გამოეშვათ თვითმფრინავები. სწორედ რომ გული მოვიფხანეთ! მერე სტამბასა და იარაღების საწყობს წავაწყდით — და ერთად ავაფეთქეთ. წარმოგიდგენია, ტომ?

ტომი დაფიქრდა.

— დიახ.

შუადღე იყო. დანგრეული ქალაქის სუნი წამლავდა ცხელ ჰაერს. რაღაც ირხეოდა და ირეოდა შენობათა ნამსხვრევებს შორის.

— სერ, ის აღარასოდეს დაბრუნდება?

— რა — ცივილიზაცია? ვისღა სჭირდება? ყოველ შემთხვევაში, მე არ მინდა!

— მე კი მოვინდომებდი, — თქვა ვიღაც რიგში მდგომმა, — ყველაფერს არა, რა თქმა უნდა, მაგრამ მას ჰქონდა თავისი კარგი მხარეები...

— რას მიედ-მოედები, — დაიყვირა გრიგსბიმ, — ლაყბობ რაღა!

— ეე, — ჯიბრზე იდგა რიგშიმდგომი, — ნუ ჩქარობთ, აი, ნახავთ; კიდევ გამოჩნდება ვინმე თავიანი, რომელიც მას შეაკეთ-შემოაკეთებს. დამშვიდებულ-ერეთ ჩემი სიტყვები; გამოჩნდება კაცი, რომელსაც გული ექნება მკერდში.

— ეგ არ მოხდება, — თქვა გრიგსბიმ.

— მე კი მითქვამს, გამოჩნდება-მეთქი სილამაზის დამფასებელი კაცი. ის დაგვიბრუნებს ცივილიზაციას, არა, ძველს არა, ასე ვთქვათ — შეზღუდულ ცივილიზაციას, რომლის დროსაც მშვიდი ცხოვრების საშუალება მოგვეცემა.

— თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ და ხელში ისევ ომი შეგრჩება.

— ვითომ რატომ? იქნებ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად მოხდეს?

ბოლოს ისინიც მიადგნენ მთავარ მოედანს. სწორედ ამ დროს ქალაქში შემოვიდა მხედარი, რომელსაც ხელში ქაღალდის ფურცელი ეჭირა. შემოღობილ ფართობს ზუსტად მოედნის ცენტრი ეკავა. ტომი, გრიგსბი, და სხვა დანარჩენებიც, ნერწყვს იგროვებდნენ, ემზადებოდნენ, თვალები გაფართოებოდათ, წინასწარ განიცდიდნენ მოსალოდნელს. ტომს გულისცემა გახშირებოდა. შიშველ ქუსლებს უწვავდა მიწა.

— აბა, ტომ, ახლა ჩვენი რიგია, აბა, შენ იცი!

შემოზღუდული ფართობის კუთხეებში ოთხი პოლიციელი იდგა — მაჯებშემოკრული ყვითელი თასმები ნიშანი იყო დანარჩენებზე მათი ძალაუფლებისა. პოლიციელებს თვალყური უნდა ედევნებინათ, რომ ხალხს ქვა არ ესროლა.

— ეს იმიტომ, — სულ უკანასკნელ წუთს განმარტა გრიგსბიმ, — რომ თვითეულს ერთმა მიფურთხებამ მაინც მოუწიოს, გაიგე, ტომ? აბა, მიდი!

ტომმა სურათს შეხედა და იქვე გაშეშდა.

— რაღას უცდი, მიაფურთხე-მეთქი! ბიჭუნას ერთბაშად პირი გაუშრა.

— მიდი, ტომ, აბა, ჰე!

— მაგრამ, — ჩუმად თქვა ტომმა, — ის ხომ ლამაზია!

—კარგი, მე მივაფურთხებ შენს მაგივრად!

გრიგსბის ნერწყვმა მზის სხივებში გაიბრწყინა... სურათზე გამოხატული ქალი სევდიანი იდუმალებით იღიმებოდა. და ტომი გამოეპასუხა მის მზერას. იგრძნო, როგორ აუძგერდა გული, ყურებში კი თითქოს მუსიკა ჟღერდა.

—ის ლამაზია, — გაიმეორა მან.

— წადი ბარემ, სანამ პოლიცია...

— ყურადღება!

რიგი დაშოშმინდა, სულ ერთი წამის უკან ლანძღავდნენ ტომს, კუნძივით რას გაშეშებულხარო! — ახლა კი ყველა მხედრისკენ შებრუნდა.

— სერ, რა ჰქვია მას? — ჩუმად ჰკითხა ტომმა.

— სურათზე ამბობ? მგონი **„მონა ლიზა“**, ჰო, ასეა: **„მონა ლიზა“**.

— მოისმინეთ განცხადება, — თქვა მხედარმა, — ხელისუფლებამ დაადგინა, რომ შუადღეს, მოედანზე, პორტრეტი გადაეცემა აქაურ მცხოვრებლებს, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს მონაწილეობა მიიღონ მის განადგურებაში...

წამოყვირებაც ვერ მოასწრო ტომმა, რომ ერთბაშად ახუვლებულმა ბრბომ იგი სურათისაკენ გაიტაცა, ყვიროდნენ, ერთმანეთს უბიძგებდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ. გაისმა ტილოს ფხრეწის მკვეთრი ხმა... პოლიციელებმა თავს უშველეს. ბრბო ღმუოდა და ხელები მშიერი ჩიტების ნისკარტებივით კენკავდნენ პორტრეტს. ტომმა იგრძნო, როგორ მოისროლეს იგი და პირდაპირ დამტვრეულ ჩარჩოში გააძვრინეს. დანარჩენებს ბრმადაყოლილმა ბიჭუნამ ხელი გაიწვდინა, თითები ჩასჭიდა გაპრიალებულ ტილოს, ჩამოჰკრა, და დაეცა, მიხლა-მოხლამ და უთვალავმა ბიძგმა იგი სამშვიდობოზე გამოაგდო, სულ დალურჯებული იყო, ტანისამოსი ჩამოგლეჯილა. იგი ხედავდა, როგორ ღეჭდნენ მოხუცი ქალები ტილოს ნაჭრებს, როგორ ამტვრევდნენ კაცები ჩარჩოს, ფეხქვეშ ლეწავდნენ ნაგლეჯებს და ნაკუწ-ნაკუწ ფლეთდნენ.

მხოლოდ ტომი იდგა განცალკევებით. მან ხელზე დაიხედა. ათრთოლებულ ხელს დაემალა და მკერდზე მჭიდროდ მიეკრა ტილოს ნაფლეთი.

— ეჰეი, ტომ, რა დაგემართა! — უყვირა გრიგსბიმ.

ტომს ხმა არ ამოუღია, სლუკუნი აუვარდა, იგი შებრუნდა და გაიქცა. მირბოდა ქალაქგარეთ, აოლროჩოლროვებულ გზაზე, გადასჭრა მინდორი, გადავიდა პატარა მდინარეზე, მირბოდა უკანმიუხედავად. მუშტად შეკრული ხელი კი ქურთუკის ჯიბეში მიმალულიყო.

დაღამებისას პატარა სოფელს მიადგა. გადაიარა სოფელი. ცხრა საათზე ფერმის დანგრეულ შენობას მიაღწია. იმ კედლებს მიღმა, რაც სილოსის ჯიშკისაგან დარჩენილიყო, მოუსმა ხმები, რომელმაც დაარწმუნა, რომ ოჯახს ეძინა, — ეძინა დედას, მამას, ძმას. ჩუმად, უსიტყვოდ შესრიალდა ვიწრო კარებში და აქოშინებული ლოგინად მიეგდო.

— ტომი? — გაისმა წყვდიადში დედის ხმა.

— ჰო.

— სად დაეთრეოდი? — დაიქუხა მამამ, — დამაცადე, გათენდეს ერთი...

ვიღაცამ ჩასწიხლა. მისი საკუთარი ძმა იყო, რომელსაც დღეს მარტოდმარტოს ერგო ბოსტანში მუშაობა.

— დაწექი! — ოდნავ ხმამაღლა დაუყვირა დედამ.

კიდევ ერთი წიხლი იგემა.

ტომი უკვე თანაბრად სუნთქავდა. ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო. მისი ხელი მჭიდროდ, მჭიდროდ მიკრულიყო მკერდზე. ნახევარი საათი იწვა ასე თვალდახუჭული.

მერე რაღაც შეიგრძნო: ცივი, თეთრი სინათლე, მაღლა, ცაზე მთვარე მიცურავდა, და შუქის პატარა ოთხკუთხედი მიცოცავდა ტომის სხეულზე. მხოლოდ ახლა მოადუნა მუშტადშეკრული ხელი, ყური მიუგდო მძინარეთ და ჩუმად, ფრთხილად ასწია მაღლა. ცოტახანს დაიცადა, ღრმად ამოისუნთქა, მერე, ლოდინადქცეულმა, გაშალა თითები და გაასწორა დაჭმუჭნული ტილო.

ეძინა მთვარით განათებულ ქვეყანას. მის ხელისგულზე კი ღიმილი იწვა.

შუაღამის ციდან ჩამოვარდნილ თეთრ შუქზე დასცქეროდა მას ტომი და ისევ და ისევ იმეორებდა ჩუმად: „ღიმილი, მომხიბვლელი ღიმილი...“

ერთი საათის შემდეგ კიდევ ხედავდა ღიმილს. ფრთხილად დაეკეცა ტილო, შეენახა, მაგრამ მაინც ხედავდა. თვალები დახუჭა და წყვდიადში, მის წინ, კვლავ ღიმილი აკიაფდა. ალერსიანი, კეთილი. იგი იქ იყო ისევ, როცა ეძინა. ქვეყანა კი მდუმარებით გარემოცულიყო, და მთვარე მიცურავდა სუსხიან ცაზე ჯერ მაღლა, მერე ქვევით, განთიადის შესახვედრად.

თარგმანი ე. **ყიფიანისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანული ქებურია

ჩვენი მაღალი ჭერი

თმებში გვექნება სურნელი ზამბახის,
თვალებში დანისლული ქლიავის ფერი,
მერცხლის ფრთებს გაყვება, ზაფხული, ზამთარი
შენი გულივით თბილი იქნება ჭერი...
ჩვენი მაღალი ჭერი.
ჩვენ ჩუმად ვისხდებით და ფანჯრის რაფასთან
ჩამომწკრივდებიან შრიალა ხეები,
და როგორც დედოფალს ჭადრაკის დაფასთან,
ცხენებივით ჩამიქროლებენ დღეები
ჩვენი განვლილი დღეები.

ბ ა ლ ა ხ ი

ყოველ გაზაფხულს ამოვა ბალახი—
საოცრად მაღალი.
მზე ნაბგალივით გადახრის ბალახს
გადაღლილს
დიდებად დაცემულ მამულისშვილთა;
დღეს საფლავებში რომ სძინავთ მშვიდად,
ამოვა ბალახი საოცრად მაღალი.

ა მ მ ზ ე ზ ე

აქ სადღაც ახლოს ზედაზენია.
აქ სადღაც ახლოს შენც ხარ და გინატრე,
აქ სადღაც ახლოს ბზე და გზებია
მოხვალ, ჩამოდგება დიდი სინათლე.
აქ ელვანები აინთებიან,
ბალახის ფშვინვა არ აძინებს მინდორს,
ღამე ჩამოვა აიძ მთებიდან,
მეც სახლში რა მინდა ვივირფასო იმ დროს
მე თან გავყვები ცად ასულ ტოტებს,
ქარი ფოთოლივით სადღაც წამიღებს
მომეჩვენება მკინარე მომდევს,
და მეც დიდ მდინარედ მაქცევს წამიერ.
აქ ისე ბევრი თეთრი ქვებია,
და ყველა რაღაცას მაბარებს შენთან.
აქ ზედაზენთან არა კვდებიან,
აქ მაოლოდ აძინებთ ძრიალი ხეთა.
აქ სადღაც ახლოს ზედაზენია,
ტყეში დაღვრილა სუნაძო ფიჭვების,
აქ ისე ბევრი, ბზე და გზებია,
ამ მზეზე დავიწვა, თუ დავიწვები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

გუხენვაღლის სამრეკლო

31

დრეზდენიდან ორმოცდაათი კილომეტრის მოშორებით, პაწაწინა მდინარის ზემო შპრეეს ორივე ნაპირზე გაშენებულია საქსონიის უძველესი და ულამაზესი სამაზრო ქალაქი ბაუცენი. იგი ათას წელზე მეტი ხნის წინათ დაუარსებიათ საქსონელ სერბებს, სარწმუნოებით მართლმადიდებელ ქრისტიანებს და ამდენი ომების, ნგრევისა და დავიდარაბის შემდეგ დღემდე თითქოსდა პირვანდელი სახით შემოუნახავთ.

აქაური სერბები, რომელთაც არც ენითა და არც ეროვნული კულტურით საერთო არაფერი აქვთ ჩერნოგორიის სერბებთან, მიუხედავად დამპყრობელი ერების განუწყვეტელი ლაშქრობებისა, ასეული წლების განმავლობაში ინახავდნენ და დღესაც ინახავენ თავიანთ მშობლიურ ენას...

სერბთა პატარა დაბა ბაუცენი თანდათან გაზრდილა, გაძლიერებულა და ბოლოს სალ კლდეებზე აღმართული ციხე-კოშკებით აღჭურვილ ფეოდალურ ქალაქად ქცეულა. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი პწკარები იწერებოდა, მთელი ახლო და შუა აღმოსავლეთის მზე თამარ მეფის ტახტზე იჯდა, ხოლო „სამეფო კარავში“ დედამიწის ზურგზე პირველი პარლამენტის სხდომები იმართებოდა.

მალე ბაუცენი უნგრეთის მეფემ მატიას კორვინუსმა დაიპყრო და სერბთა მთელ მხარეში თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად შპრეეს მარჯვენა ნაპირზე მტრისათვის მიუდგომელი ციხე-სიმაგრე ორტენბურგი ააშენა. ორტენბურგის დაკბილული გოდოლები და ციხის მაღალი გალავანი დღესაც დიდებული სიძველის იერს აძლევს შუა საუკუნეების ჯურღმულებიდან ჩვენს დრომდე ტანჯვა-ვაებით მოსულ ქალაქ ბაუცენს.

მაგრამ უფრო დიდი უბედურება სერბების დედაქალაქს ოცდაათწლიანი ომის დროს დაატყდა. შუა საუკუნეების ყველა შენობა, გამოუკლებლივ, გარდა ორტენბურგისა, დაიწვა და გაცამტვერდა. შთებში გახიზნულმა მოსახლეობამ, ვინც ამ საშინელ სისხლისღვრას გადაურჩა, მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ შესძლო ნაფუძარზე დაბრუნება და ძველი ბაუცენის ადგილზე ახალი, მაგრამ ძველთან მიმსგავსებული ქალაქის აშენება.

დრეზდენის რევოლუციის ორი წლით ადრე, ვიდრე კურფიურსტის ტირანიის წინააღმდეგ ამბოხებული გოტფრიდ ზემპერი რევოლუციის ბარიკადებზე გამოვიდოდა, დრეზდენიდან გიოლიცამდე რკინიგზა გაიყვანეს და ამ რკინიგზამ ბაუცენიც ძველ კონტინენტს დაუკავშირა.

სერბთა დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა გერმანელებია. გერმანელებს კარგა ხნის წინათ, ჯერ კიდევ ფაშიზმის გამარჯვებამდე გამოუყენებიათ თავიანთი რიცხვობრივი უპირატესობა და სერბები შეუვიწროებიათ.

საქსონელი სერბები დიდი და უძველესი ეროვნული კულტურით თავს

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 10.

ვერ მოიწონებენ. მუდამ ომსა და გასაჭირში მყოფთ, აბა, როდის რა უნდა მოესწროთ. ისინი ხან საქსონიის კურფიურსტის, ხან კარპატების გადაღმიდან მოსული ჩეხი ფეოდალების და ხან დუნაის ნაპირების მფლობელი უხგრელი მეფეების ხელქვეით იყვნენ. ყოველი ახალი ბატონი თავის გავლენას ავრცელებდა და ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული სულის გამოვლინებას უდიერად სდევნიდა.

სიტყვაკაზმულმა მწერლობამ და ეროვნული კულტურის სხვა დარგებმა ერთგვარ გაფურჩქვნასა და აყვავებას მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია. დაარსდა რამდენიმე ჟურნალი და მცირე ფორმატის რვაგვერდიანი გაზეთი...

ბოლოს სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ იგდეს ნაციონალ-სოციალისტებმა. ვიდრე სახელმწიფო მმართველობის საჭეს დაეპატრონებოდნენ, ფაშისტები მრავალტანჯულ სერბებს ოქროს კოშკების აშენებას ჰპირდებოდნენ —მხარში ამოგიდგებით, კულტურულ ავტონომიას მოგვცემთო. დიდმპყრობელური შოვინიზმის სუსხმა სულ მალე იჩინა თავი. მეორე მსოფლიო ომის წინა წელიწადს სერბული ჟურნალები და გაზეთი დაიხურა. გერმანული ხომ გაქვთ, ის იკითხეთო. ასევე დაემართა გამომცემლობებსაც. სკოლებიდან თანდათანობით განიდევნა სერბული ენა, თუმცა აკრძალვით არავის აუკრძალავს. ის მართლაც და სამზარეულოს ენად იქცა.

ისევე, როგორც მთელ გერმანიაში, აქ მთავარი ენაა გერმანული. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონების თანახმად, თუ მშობლები მოიწადინებენ, მათ შეუძლიათ შვილებს სერბულიც ასწავლონ. დღეს უკვე გახსნილია სკოლები, სპეციალურიც და საშუალოც, აგრეთვე, ერთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ახალგაზრდობას სერბულ ენაზე ასწავლიან, მხოლოდ ამ სკოლებშიაც ზუსტი მეცნიერებანი გერმანულ ენაზე ისწავლება, რადგან დროთა განმავლობაში უხმარობისა და ცხოვრების კვალდაკვალ განუვითარებლობის გამო სერბული ენა ისე ჩამორჩენილა, რომ თანამედროვე ზუსტ მეცნიერებათა ამსახველი სრულყოფილი ტერმინოლოგია არ გაჩენია. ასე, რომ რჩება მხოლოდ მშობლიური ლიტერატურა, რომელიც თვით სერბებისავე თქმით საკმაოდ მოისუსტებს, და ჰუმანიტარული საგნები...

შპრეეზე გადებული განიერი ხიდის ყურში შეგვხვდნენ ბაუცენის წარმომადგენლები. თარჯიმანობა და მეგზურობა მაღალ-მაღალმა, ბეჭებში ოდნავ მოხრილმა ბრგე შესახედაობის სერბმა გაგვიწია. გვარად ლეიმანი იყო.

ლეიმანმა ბაუცენის სამასწავლებლო ინსტიტუტის რუსული ენის მასწავლებლად გაგვაცნო თავი. მას მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთში ტყვედ ყოფნა მოსწეოდა, მაგრამ გულმოდგინედ ნასწავლი მწიგნობრული რუსული მანამდე სცოდნოდა. ძალზე გულითადი, ოღონდ შეწუხებული, შავგვრემანი სახე და გამომეტყველება ჰქონდა. მისი დიდრონი, ნაღვლიანი თვალები ნდობითა და კრძალვით შემოგყურებდნენ.

ლეიმანი ბევრს ლაპარაკობდა. მრავალი სერბული ლეგენდა და თქმულება იცოდა ზეპირად და რა გასაკვირია, თუ უნდოდა რაც შეიძლება მეტი მოეთხრო უცხოელებისათვის თავისი ხალხისა და კუთხის გარშემო.

ბაუცენში ტურისტები თურმე იშვიათად გამოჩნდებიან ხოლმე, რადგან ეს ქალაქი არცერთ ტურისტულ მარშრუტში არაა შეტანილი. ამიტომ აქაური ხალხი უცხოელების მიმართ ცნობისმოყვარეობას იჩენს და ამ ცნობისმოყვარეობას დაუფარავადაც ამჟღავნებს.

ვიდრე ხიდს გადავივლიდით, ორმოცმა წუთმა მაინც გაიარა. აქედან კარგად მოჩანდა ცისკენ აზიდული ორტენბურგის მოწითალო კედელი .და კუთხის დაკბილული გოდოლი, რომელიც მდორედ მომდინარე შპრეეს

სარკეში თავდაღმა ჩაკიდებულიყო და ჩუმად ტორტმანებდა. ხიდზე გამჭოლი ქარი უბერავდა. სადღაც თხელ ღრუბლებს უკან მიმალული მზე უკვე ჩასვლას ეპირებოდა და მოახლოებულ საღამოს ძვალ-რბილის გამთოშავი სიცივეც მოჰყოლოდა.

ლეიმანს გაბერილი წითელი პორტფელი ამოეჩარა იღლიაში, პიჯაკის საყელო აეწია და სიცივისაგან მთლად გალურჯებული დიდრონ, მუშურ ხელებს იშმუშნიდა. მერე შევიტყეთ — გულის მწვავე სნეულებით დაავადებული ლეიმანი ცივ ზამთარშიაც უპალტოოდ დაიარებოდა, რადგან ტანზე შემოტმასნილი პალტო სულს უხუთავდა და ისევ მსუბუქად სიარულს არჩევდა.

თავისი ტანჯული ხალხის წარსულსა და აწმყოზე უზომოდ შეყვარებული სერბი მასწავლებელი მეცხრამეტე საუკუნის იმ ქართველ ჟურნალისტებს მაგონებდა, დღესა და ღამეს „ივერიის“, „კვალის“ თუ „დროების“ რედაქციაში რომ ატარებდნენ და მთელ სულიერ ენერგიას, ჯანმრთელობას და სიცოცხლეს მშობელი ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლას ახმარდნენ.

32

ვიჩას ლეიმანი — კეთილი მასპინძელი და მეგზური — ძველი ეკლესიის გალავანში შეგვიძღვა და იქვე დაწინაურდა.

მუხის მძიმე კარი ეკლესიის დარაჯმა ძლივს გაგვიღო და იგი მანამ ეჭირა, ვიდრე ყველა შიგ შევიდოდით.

ეკლესიაში შესვლისთანავე თვალში გვეცა კათოლიკური ტაძრებისაგან განსხვავებული უკიდურესი სისადავე. თეთრად შეფეთქილი შიშველი კედლები და ათეულ რიგებად გამწკრივებული ხის უბრალო სკამები უბადრუკ შთაბეჭდილებას სტოვებდა. თვით მთავარი დარბაზი ორ ნაწილად იყო გაყოფილი კედლიდან კედლამდე ჩადგმული მოაჯირით.

— წინა ნახევარი კათოლიკებს ეკუთვნით, უკანა — პროტესტანტებს. — აგვიხსნა ვიჩას ლეიმანმა, და ანლალა მოაგონდა თავისი მძიმე პორტფელი, რომელიც აქამდე იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, წუთით მაინც, ვიდრე აქ ვიდექით, მოაჯირზე ჩამოედო.

ტაძრის დარაჯმა, დაბალ-დაბალმა, ჩასუქებულმა გერმანელმა ლეიმანს მეგობრულად აჰხედა და სიცილით გვითხრა — ჩვენი ეკლესია სარწმუნოებათა თანაარსებობის მაგალითიაო. თურმე, როდესაც კათოლიკებს ადგილი არ ჰყოფნით, უკანა მხარეს — პროტესტანტებთან გადასხდებიან ხოლმე, თუმცა დარბაზის გამყოფი მოაჯირის ერთადერთი კარი ბოქლომით არის დაკეტილი...

დარაჯმა გერმანულად დამტვრეული მაგარი რუსული იცოდა. პირველი მსოფლიოს ომის დროს რუსებს ტყვედ ჩავუვარდი და სამ წელიწადს პეტერბურგში ვცხოვრობდიო. „ვასილევსკი ოსტროვ, ვასილევსკი ოსტროვ!..“ რაღაც უცნაურად გამოცოცხლებული გაიძახოდა. მთელი ეკლესია ნაბიჯ-ნაბიჯ შემოგვატარა. არ მოგვეშვა, სანამ ყველაფერი არ დაგვათვალიერებინა და თავი არ მოიწონა.

ლეიმანი აღტაცებული იყო მოხუცის პატრიოტიზმით. როგორც კი შეამჩნევდა, ეკლესიის მსახურს უჭირსო, საქმეში დაუზარლად ჩაერეოდა, თარგმნას იწყებდა და სიტყვებს გროვა-გროვა ისროდა.

სიცივემ თავი ქუჩაში გამოსვლისთანავე შეგვახსენა. ჭირვეული ქარი უკვე ძლიერად ჰქროდა და ვიწრო ტროტუარებზე სიცივისაგან მობუზულ თითოოროლა გამვლელს თუღა დაინახავდით.

რაღაც წიგნებით თუ ხელნაწერებით გაბერილი წითელი პორტფელი სიცივისაგან გალურჯებულმა ლეიმანმა რესტორნის გარდერობში დასტოვა და თეთრი მარმარილოს კიბეზე წინ მორიდებულად აგვიძღვა.

საბანკეტო დარბაზში სუფრა გაშლილი დაგვხვდა.

აქ უკვე მოეყარათ თავი ქალაქის

ინტელიგენციის წარმომადგენლებს. აქვე იყო ორი მოსკოველი სტუდენტი. ესენი თურმე საწარმოო პრაქტიკას გადიოდნენ ბაუცენის ვაგონების მშენებელ ქარხანაში. მობრძანდა ქალაქის თავი მეუღლითურთ და მისთვის საგანგებოდ დატოვებული ადგილი დაიკავა. ბანკეტზე ცოტა მოგვიანებით შემოვიდა ოცდაათ წელს გადაცილებული, მაგრამ მაინც მთლად ახალგაზრდა ფრაუ, შემოვიდა და თან სიცოცხლე და სიხარული შემოიტანა. ქალი ქერა იყო, ტანთხელი. სახის გამჭვირვალე ნაკვთები სინაზესა და სიფაქიზეს ჰმატებდა. ეს ძალიან უშუალო და ამავე დროს ღირსებითა და კდემით აღსავსე მოხდენილი ქალი, რომელიც სწორედ ჩვენს წინ მოთავსდა და ათი წლის ნაცნობივით შინაურულად მოგვესალმა, მთელი პირით იცინოდა. სიცილის დროს ჩაჭიკჭიკებული თეთრი კბილები თითქმის ღრძილებიანა უჩნდებოდა, მაგრამ სიცილის ამგვარი უცნაური მანერა მაინც არ აძლევდა მდაბიურ იერს. ფარული ვნებით მინაბულ თვალებში ფრაუს იდუმალი სხივი უბრწყინავდა. თხელი ტუჩების კუთხეებში, ღაწვებსა და თვალების კილოებში წვრილი ნაოჭები უჩნდებოდა.

ქალს თან ხანშიშესული მამა ახლდა. სანდომიანი სახის კაცი იყო, მგონი, რკინიგზელი. თეთრი ულვაშები მოკლედ შეეკრიჭა. ტანთ ისე ეცვა, როგორც რუსეთის პირველი რევოლუციის წინადროინდელი ინტელიგენტები იცვამდნენ. ჰალსტუხის მაგივრად შავი ბანტი ეკეთა და სტუმრების ენის უცოდინარობის გამო მთელი საღამოს განმავლობაში უხერხულად იღიმებოდა.

სამაგიეროდ, ქალიშვილი უბადლო რუსულით ჟღურტულებდა. ის თურმე ასევე თავისუფლად და ძალადაუტანებლად ფლობდა სხვა სლავურ ენებსაც. ოდესღაც მოგზაურობის ბიუროში ემუშავნა და ბულგარულის, პოლონურისა და სლოვაკურის შესწავლაც სწორედ მაშინ დასჭირვებოდა. ამ დილას თუ წინა საღამოს ბერლინიდან ჩამოსულიყო. მამის სანახავად და ქალიშვილის ნახვით გაბედნიერებული მოხუცებულიც თან წამოეყვანა.

მამა და შვილი ხანდახან იმნაირი სინაზითა და ამხანაგური სითამამით გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს, კაცი უმალვე მიხვდებოდა, რომ უერთმანეთოდ გაძლება ძალიან უჭირდათ და ეს შეხვედრაც მათი ცხოვრების ერთი უბედნიერესი წუთთაგანი იყო.

ფრაუ უეცრად მოგვიბრუნდა, თვალი მოჭუტა და ონავარი, მეშვიდეკლასელი გოგონას სიანცით, მაგრამ მაინც საიდუმლოდ გვკითხა — შოფერი როგორი გამოგადგათ, ხომ კარგად გემსახურებათო.

უნებლიედ თვალი მოვავლე სუფრას და კისერჩაკეცილი ვეება ჰორსტი, რომელსაც სამი კაცის ადგილი ეჭირა, მოპირდაპირე მაგიდასთან დავინახე. იგი ჩვენგან ზურგშექცევით იჯდა, წინ სელტერის ბოთლი დაედგა და ღვინის მაგიერ შუშხუნა წყალს წრუპავდა. აბა რას იტყოდი — მთელი მოგზაურობის განმავლობაში ჰორსტი მართლაც თან გადაგვყვა. ავდექით და ესა ვთქვით. როგორ წარმოვიდგენდი, თუ შოფრის ქება ამ მშვენიერ ფრაუს აგრერიგად გაახარებდა. თვალები გაუბრწყინდა და თექვსმეტი წლის გოგონასავით კისკისი მორთო, თან პირზე ცხვირსახოცს იფარებდა. მერე ვიღაცას დაუწყო ძებნა დარბაზში. ბოლოს ჰორსტი შენიშნა, როგორღაც მოახედა და ხელი დაუქნია — სკამი წამოიღე და ჩემთან გადმოჯექიო.

აწრიალებულმა ჰორსტმა თავისი თეფში, დანა-ჩანგალი, ჭიქა, ბოთლი და სკამი ორ გზად მოიტანა და მამაშვილს შუა ჩაეკვეტა.

ფრაუ გამომწვევად იჯდა, ერთადერთ ოქროს კბილს აბრწყინებდა და გულუბრყვილო ჰორსტს, რომელსაც ჩაშვებული შარვლის ვეება უბე და დაბერილი, ღაჟღაჟა ლოყები ჰქონდა, ციმციმა თვალებს უჟუჟუნებდა.

ქალს უცებ გაახსენდა, მარტო რომ არ იყვნენ, მოგვიბრუნდა, გაგვიღიმა და

მღელვარების დასაფარავად სხაპასხუპით გვითხრა:

— Недавно наша общая знакомая вышла замуж. Он рассказывает подробности.

და მაშინვე ჰორსტისაკენ მიაბრუნა ქალური კეკლუცობისაგან ოდნავ წამოწითლებული სახე.

ძველმა ინტელიგენტმა თვალი მეგობრულად ჩაგვიკრა და მთელი საღამოს განმავლობაში ორად ორი რუსული სიტყვა წაგვჩურჩულა:

— Старая любовь.

ამასობაში კარგა გვარიანად შეზარბოშებულმა საშკამ ჯერ ვიწროფირიანი კინოაპარატი აამუშავა და მერე თავისი საზარელი ბოხი ხმით „Эй ухнем!" წამოიწყო. ავყევით. აგვყვნენ სერბები და გერმანელებიც. გვარიანი სიმღერა გამოვიდა. რესტორნის თაღიან დარბაზში, სადაც ორმოცდაათი სული მაინც ვისხედით, კარგი აკუსტიკა იყო და ეს ძველი რუსული სიმღერა თითქოს ეკლესიის თაღებქვეშ გაისმოდა.

დიდი დაბაზიდან კელნერი შემოვიდა და გახამებულ ხელსახოცში გახვეული მაღალყელიანი შავი ბოთლი შემოიტანა. კელნერს ეს ბოთლი იმისთანა დიდის ამბით მოჰქონდა და სუფრასთან მსხდომნიც ისე ზარ-ზეიმით ემზადებოდნენ ახალი სასმელის მისაღებად, რომ მოუთმენლობამ შემიპყრო, ნეტავი რა უნდა იყოს-მეთქი.

— წინანდალი! — შესძახა ჩემმა მეგობარმა, როდესაც ბროლის ჭიქაში ქარვისფერმა ღვინომ ყვითლად იელვა და ნაშიშხლები წამოჰყარა.

კახეთის მადლიან მიწაზე მოსულმა და კახეთისავე მზის მცხუნვარებით გაფიცხებულმა ღვინომ მშობლიური ჰანგი მოიყოლა. დარბაზში უკვე „სულიკოს" მღეროდნენ. განსაკუთრებულ გულმოდგინებას ფრაუ და ვიჩას ლეიმანი იჩენდნენ. მხოლოდ ჰორსტი იყო გაჩუმებული და დაღვრემილი წრუპავდა სელტერის წყალს. ლეიმანი ხმამაღლა, გულდაგულ, მკაფიო ბარიტონით მღეროდა, როგორც საეკლესიო კაპელაში. ხმა სასიამოვნო და ვაკაციური ჰქონდა. თუმცა ის მომღერალი არ იყო, სიმღერის დედააზრს მოკლე ანეკდოტებით განიცდიდა და გარინდებულმა თითქოს ოცნებას ეძლეოდა.

33

დილაადრიან განსაკუთრებით იგრძნობა გვიანი შემოდგომის ფერები დრეზდენში. დღე ნისლიანია. ნისლში ძლივს ატანს ახლადამოსული მზის სხივი. ქუჩის ფილაქანი, ტროტუარები, ეზოები ყვითელი ფოთლებითაა დაფარული. ფოთლები ახლაც ცვივა. დილის სიჩუმეში გარკვევით ისმის, როგორ წყდება ყუნწი შტოს და ყვითელი ფოთლები ჯარად ეფინება დართვილულ დედამიწას. ფოთლებზეც რთვილი დევს. ნამდვილი ზამთრის პირია, თუმცა არცთუ ისე ცივა. მალე, ალბათ, მოთოვს და ეს გაშიშვლებული ხეები თოვლის ქერქში გაეხვევიან.

წითელმა ავტობუსმა დინჯად აიდგა ფეხი და რთვილით გადათეთრებულ ფოთლებზე გახრაშუნდა. უკან ჩამოვიტოვეთ გუმბათიანი სასახლის ნანგრევები. ჩონჩხად ქცეული ნახანძრალი გუმბათი კარგა ხანს ჩანდა, ვიდრე მანქანა ავტოსტრადაზე არ გავიდა და სიჩქარეს არ მოუმატა. თვალწინ ისევ გაიშალა შაქრის ჭარხლით ამწვანებული ველები. ალაგ-ალაგ ხეხილნარში ჩაფლული სოფლები და ომის შემდეგ აშენებული დაბები გვხვდებოდა.

ავტოსტრადის გასწვრივ. მსგავსად რკინიგზისა, პატარ-პატარა სადგურები იყო გამწკრივებული. ვიდრე სადგურს ზედ წაადგებოდე, ადრევე შეგხვდება წარწერებით: Tank 1000 m. ან mitropa 50 m. პირველი ბენზინის, ზეთის, სათადარიგო ნაწილების და სხვა ტექნიკური დახმარების მიღების ადგილს ნიშნავს, მეორე კი საგზაო რესტორანია.

ჩვენც ვისარგებლეთ ერთი ამნაირი სადგურით. როდესაც მიწაზე ფეხს ჩამოდგამ და ერთ ადგილზე გაჩერდები, მაშინღა იგრძნობ, რა გაუჩერებლივ და

თავბრუდამხვევად მოძრაობს ავტოსტრადა. შავი, ყვითელი, კაკაოსფერი მსუბუქი მანქანები, ზოგი გრძელი და ზოგი მოკლე, ცარიელი და მძიმედ დატვირთული, ავტობუსები თუ ორ სართულად აკოლიკებული ომნიბუსები გაუთავებელი გუგუნითა და გრიალით მიექანებიან ქვეყნის ერთი კიდიდან შეორისაკენ...

გზის გადაღმა კიდევ ერთი „ტანკი" და „მიტროპა" მოჩანდა. ის საწინააღმდეგო მხრიდან მომავალი მგზავრებისათვის იყო განკუთვნილი.

დაცემული ჭალები ბორცვებზე შეფენილმა ბუჩქნარმა შესცვალა, ბუჩქნარი კი თანდათანობით გახშირდა, წამოიქოჩრა და სულ ბოლოს ნორჩი ტყის უნაპირო ტევრით შეიცვალა.

ტყე ძოვლილი და ჯანსაღი იყო. ერთ წაქცეულ ხეს ან დამპალ ტოტსაც ვერსად დაინახავდი. ბუნებრივად ამოსული და ნაზარდი მუხა და ფიჭვი, წიფელა თუ წაბლი კაცს ადამიანის ხელით დარგული, განასხლავი და ნალოლიავები გეგონებოდა. ვინ იცის, იქნებ სხლავდნენ კიდეც!

გზაზე დროდადრო შეუჩვეველი თვალისათვის უცნაური ნიშანი შემოგვეყრებოდა ხოლმე. თუნუქის მრგვალ ფირფიტაზე, რომელზედაც საგზაო ნიშნები გამოჰყავთ, ხან ყელმოღერებული შველი იყო დახატული, ხან ორი ან სამი ქორბუდა ირემი. ამნაირ ნიშნებთან მოახლოებისას ჰორსტი სიჩქარეს მოუკლებდა და პირში სიგარაგამოჩრილი წინ დაკვირვებით იყურებოდა. ძნელი როდი იყო მიხვედრა, თუ რას მოასწავებდა ეს უცნაური საგზაო ნიშნები...

ნაკრძალი სავსეა შვლებით და ირმებით, იქ ნადირობა კი წელიწადის ყოველ დროს ყველასთვის აკრძალულია. ირმის ან შვლის ჯოგი, როდესაც ტყის ერთი კუთხიდან მეორე კუთხისაკენ მიემართება, ავტოსტრადას დღენიადაგ ერთსა და იმავე ადგილას გადაჰკვეთს და მოსალოდნელი უბედური შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით ყოველ „გადასასვლელთან" საგზაო ნიშნებია დასმული.

თითქოსდა ამის დასტურად, ნორ ფიჭვნარში, რაღაც რუხმა არსებამ გაიელვა. მერე ის რაღაც გზას მიაწყდა, უცებ მოტორების შემზარავი გუგუნი მოესმა, კვლავ უკან დაიხია და წამით ერთ ადგილზე გაქვავდა.

სწორედ ამ უეცარი გარინდების წამით სარგებლობენ ხოლმე გამოცდილი მონადირეები.

ეს იყო ჯოგს ჩამორჩენილი შვლის ნუკრი, რომელიც მანქანების გრიალს დაეფრთხო და იმის მაგიერ, რომ თავი ტყისათვის შეეფარებინა და იქ თავისიანები მოეძებნა, ისევ ავტოსტრადის გადასაკვეთად მოიწევდა. ბოლოს მაინც მოეგო გონს და ალღომ ხელახლა ტყეში შეაგდო...

პირველის ნახევარზე გზას მეორე, მაგდებურგის მხრიდან მომავალი ავტოსტრადა შემოუერთდა და ავტომანქანების თავდავიწყებული სრბოლაც კიდევ უფრო გახშირდა. ახლა უკვე მალმალე გვეწეოდნენ ან გზას გვითმობდნენ უცხო სახელმწიფოების მარკის მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები.

მაგდებურგიდან ბერლინისაკენ მიმავალი ავტოსტრადა საერთაშორისო მაგისტრალია. უცხოეთის მანქანები ამ გზით დასავლეთ ბერლინში მიდიან. თუმცა ავტოსტრადა აღმოსავლეთ გერმანიას ეკუთვნის და მის მიწა-წყალზეა გაწოლილი, თანახმად ერებსა და სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმებისა, უცხოურ მანქანებს, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს ისინი, გზად ვერავინ შეაჩერებს, მხოლოდ არც იმის უფლება აქვს რომელიმე უცხოელს ავტოსტრადიდან მანქანით ან ქვეითად განზე გადაუხვიოს. თვით ავტოსტრადაზე საერთაშორისო კანონები მოქმედებენ, ფილაქანს გადაღმა—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა...

კიდევ ერთი საათის შემდეგ ავტობუსმა სვლა შეანელა. გარკვევით დავინახეთ დიდრონი გოთური ასოებით აჭრელებული საგზაო ნიშანი — ბერ-

ლინი ხელმარჯვნივაა და იქამდე კიდევ 34 კილომეტრი დარჩა გასავლელი.

შლაგბაუმს იქით გზა პირდაპირ დასავლეთ ბერლინში მიდის...

ჩვენი გზა სულ სხვა მხარეს იდო. ჰორსტის ავტობუსი ეკლიანი მავთულხლართით შემოღობილ დასავლეთ ბერლინს სამხრეთიდან შემოუვლიდა და პოტსდამში გავიდოდა. იქ, დედამიწის ზურგზე განთქმულ პაწია რესტორან „ისტორიულ წისქვილში“ გაშლილი სუფრა გველოდა...

34

ბერლინის მახლობლად, მდინარე ჰოველის განშტოებებს შუა, იქ, სადაც ოდესღაც სლავი მეთევზეების ერთი შეუმჩნეველი, პაწაწინა დაბა იყო გაშენებული, რვაასი წლის თუ მეტი ხნის წინად დაიბადა მომდევნო საუკუნეებში პრუსიული მილიტარიზმის ბუდედ მიჩნეული ქალაქი პოტსდამი.

ჯერ პრუსიის კაიზერებმა, ხოლო შემდეგ სრულიად გერმანიის იმპერატორებმა პოტსდამი თავიანთ საზაფხულო რეზიდენციად გაიხადეს და იგი ულამაზესი სასახლეებით, პარკებითა და ციხე-დარბაზებით შეამკეს.

პოტსდამის ყველაზე წარმტაცი შენობა — სან-სუსი, პარკითურთ — პრუსიის ჭირვეული კაიზერის ფრიდრიხ მეორის, იგივე ფრიდრიხ დიდის დროსაა აგებული. სახელწოდება „ისტორიული წისქვილიც“ განუმეორებელი სან-სუსის მშენებლობას უკავშირდება. როდესაც სიმდიდრითა და აღვირაწყვეტილი პატივმოყვარეობით ყელამდე სავსე ფრიდრიხი საზაფხულო რეზიდენციის აგებას შეუდგა, ახლანდელი „ისტორიული წისქვილის“ — რამდენიმე მოზრდილი დარბაზისაგან შემდგარი რესტორნის ადგილზე მართლაც წისქვილი მდგარა. უადგილო ადგილას გახიდული წისქვილი და იმისი დამხმარე ნაგებობანი, ცხადია, ხელს უშლიდა სასახლის მშენებლობას, მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი უეჭველად დააუშნოებდა სულ სხვა სტილითა და მასშტაბებით აღმართულ არქიტექტურულ ანსამბლს.

მეფემ ჯერ უბრძანა მეწისქვილეს წისქვილი დაენგრია, რადგან ეს ადგილი სასახლის გალავანში უნდა შესულიყო, მაგრამ, როდესაც მეწისქვილის მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდა, კაცები განმეორებით მიუგზავნა და ადგილის მონაცვლება შესთავაზა. გარდა ამისა, წისქვილის სხვაგან გადატანისა და იქ გამართვის ხარჯებსაც თვითონ კისრულობდა. მეწისქვილე ვერც ამ პირობამ დააკმაყოფილა. მოთმინებიდან გამოსულმა კაიზერმა მაშინ ძალმომრეობას მიმართა — შეიარაღებული ხალხი გაგზავნა და წისქვილის აკლება მოითხოვა.

ადგა შევიწროებული გლეხი და სასამართლოში იჩივლა. დაიბარეს ფრიდრიხ დიდი სასამართლოში. აბურდულ-დაბურდული საქმე იმით დასრულდა, რომ მიუდგომელმა სასამართლომ უმწეო გლეხი გაამართლა, ყოვლისშემძლე მეფე კი ხელცარიელი დარჩა.

აშენდა ბრწყინვალე სან-სუსი, აშენდა სხვა შენობებიც სასახლის შორიახლო, წისქვილი კი, რომელსაც შემდგომ ხალხმა „ისტორიული“ შეარქვა, კვლავ იდგა და იდგა თავის ძველ ადგილზე, მეფის საზაფხულო რეზიდენციის ბრინჯაოს ჭიშკართან...

„ისტორიული წისქვილის“ ამბავი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში როდია. ამ ამბის, როგორც ნამდვილად მომხდარის გამო, ბევრს სწერდნენ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს. ბოროტი ენები იმასაც კი ამბობდნენ, წისქვილის ლეგენდა თვით ფრიდრიხმა გაითამაშაო, შემდეგ კაიზერი თავადვე უწყობდა ხელს ამ ლეგენდის გავრცელებას, რათა ხალხისათვის მოყვასისადმი შემწყნარებლობა და დემოსის წინაშე უდრტვინველი მორჩილება დაემტკიცებინაო.

თავისი დროის კვალობაზე ფრიდრიხ მეორე გონებაგახსნილი კაცი იყო, ცოტ-ცოტას წერდა კიდეც. ყველა სხვა მწერალზე უფრო ვოლტერსა და რუ-

სოს ეტრფოდა. სან-სუსის ბიბლიოთეკაში ფრიდრიხის ნაქონი ასობით ძვირფასი წიგნი აწყვია. მათ შორისაა ვოლტერისა და რუსოს თხზულებებიც...

ფრიდრიხ დიდის დროს რუსეთის ტახტზე იმპერატრიცა ეკატერინე მეორე იჯდა. ეკატერინე, ანგარებით იყო თუ ამას მართლა სული სთხოვდა, თავისი დროის დიდ ადამიანებს მეკობრობდა, მფარველობდა და მეცენატობდა. უცხოელებს, რასაკვირველია. მას განსაკუთრებულად ხშირი და მეგობრული მიწერ-მოწერა ჰქონდა ვოლტერთან.

ფრიდრიხი პატივმოყვარე იმპერატრიცაზე უფრო შორს წავიდა—დიდი ვოლტერი გერმანიაში მოიწვია.

სან-სუსში დღესაც მოწიწებით დაცულია სასახლის მარჯვენა კუთხის ოთახი, სადაც რამდენიმე თვის მანძილზე ცხოვრობდა და მუშაობდა ფრანსუა მარი არუე ვოლტერი.

მეფე და მწერალი ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ. სიხარულისაგან მეცხრე ცაზე ასული მასპინძელი თავს ბედნიერად იმით გრძნობდა, რომ ახალ ჯერაც მელანშეუმშრალ ნაწერს ავტორი პირველად მას უკითხავდა. მაგრამ მეფე რის მეფე იქნებოდა, ისიც ფრიდრიხი, თუ ერთ მშვენიერ დღეს თავს არ გავიდოდა. ვოლტერს თანდათან შენიშვნების შეპარება დაუწყო, ბოლოს კი მწერლის თავაზიანობამ გზაკვალი ისე აუბნია, ზეკაცი სტუმრის თხზულებების რედაქტირება და თავის ჭკუაზე გადაკეთება მოიწადინა. მაშინ ვოლტერი საშინლად გაბრაზდა, მეფე რიგიანპირიანად გამოლანძღა და ქალაქის ერთ უბრალო სახლში გადასახლდა. მალე სულაც გაემგზავრა პრუსიიდან.

თუ სადმე სამართალია, კაცმა ისიც უნდა თქვას, რომ ვოლტერის თაყვანისცემა აბეზარ კაიზერს არც ამ შემთხვევის შემდეგ შეუწყვეტია. როგორც კი ერთმანეთს დასცილდნენ, ფრიდრიხის თვალში ვოლტერმა ხელახლა დაკარგა ყოველი მოკვდავისათვის დამახასიათებელი ადამიანური თვისებები და ისევ მიუწვდომელ ღვთაებად [illegible]

სან-სუსის მოსანახულებლად უცხოელები „ისტორიული წისქვილის“ მხრიდან მიჰყავთ და ჩვენც სწორედ ასე მოვიქეცით — ფრიდრიხისეულ სასახლეს უკანიდან მოვუარეთ. თუ ამ გზით მიდიხარ, ვიდრე სან-სუსის ბრინჯაოს ჭიშკარში შეხვიდოდე, მწვანე გაზონებით და ყვავილნარით დამშვენებული გამწვდომი კორდის ავლა დაგჭირდება. მინის ფანჯრებიან შესავალ კარს მოგრძო დარბაზში შეყავხარ, სადაც ყოველ მომსვლელს ზედა ტანსაცმელს ხდიან და ფეხზე წამოსაცმელად ქეჩის ქოშებს აძლევენ. ქოშები მძიმეა, ფეხებს ძლივს მიათრევ, მაგრამ ამ ამბავს მალე ეჩვევი და გალაპლაპებული პარკეტის იატაკზე შენდა შეუმჩნევლად მისცურავ.

გარდერობიდან კარი ასეთივე მოგრძო ტალანში გადის. ტალანის ცალ მხარეს ყრუ კედელია, რომელზედაც ფერწერული სურათებია გამოფენილი, ხოლო მის მოპირდაპირე კედელში დატანებული ფართო ფანჯრებიდან აქ დღის სინათლე შემოდის. სურათების პირველი გალერეა, სანამ პოტსდამში გამოფენების მოსაწყობად საგანგებო სასახლე აშენდებოდა, სან-სუსის დარბაზებში გაიხსნა. ტალანში უპირატესად მეფის საყვარელი ძაღლების ფერწერული პორტრეტებია გამოფენილი. მათ გვერდითვეა თვით მეფისა და მისი ახლობლების ფერწერული და სკულპტურული პორტრეტები...

ძაღლების სიყვარულით ფრიდრიხ დიდი ჭკუას კარგავდა. ის თავის ჯარისკაცებსაც კი შთაუნერგავდა ძაღლების სიყვარულს. სასახლეში ათასნაირი ჯიშისა და ზნის ძაღლი ჰყავდა. მჭმუნვარების ჟამს ძაღლებით ერთობოდა. მისი მთავარზე უმთავრესი საზრუნავი ძაღლებისადმი ყურადღების გამოჩენა და შემდეგ მათი ხსოვნის უკვდავყოფა იყო...

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე, ხალხის მიერ მოფერებით პატარა კახად წოდებული, სწორედ ამ დროს ჭარ-ბე-

ლაქნელ ლეკებს დასდევდა, დღიან-ღამიანა ლაშქრად მყოფს უნაგირზე ეძინა და თელავში უპატრონოდ დაყრილი ცოლ-შვილის ალერსი და ოჯახური სითბო ესიზმრებოდა...

ტალანიდან სასახლის ბიბლიოთეკაში შევედით. ქალაქის ისტორიკოსმა, გამხდარ-გამხდარმა ცისფერთვალება ყმაწვილმა კაცმა კარი ყველასდა შეუმჩნევლად მიხურა და სიცილით შემოგვიტრიალდა—აბა რომელი თქვენგანი მოახერხებს კარის პოვნას და ტალანში გასვლასო.

კუთხეებმომრგვალებული, თითქმის ოვალური ოთახის კედლებს უფაქიზესი ოსტატობით დამუშავებული წითელი ხის თაროები წარმოადგენდა. ყველა თარო ტყავის ყდებში ჩასმულ ყუამოვარაყებულ წიგნებს დაემძიმებინა.

ამაოდ ავწრიალდით. კედელში მჭიდროდ ჩასმული კარის პოვნა ვერავინ შესძლო და, ალბათ, იქ დიდხანს მოგვიხდებოდა ყურყუტი, კარი რომ თვით მასპინძელს არ გაეღო და მისი პოვნის საიდუმლოც არ გაემხილა.

კაიზერისეულ ბიბლიოთეკაში მხოლოდ ფრანგული წიგნებია, რადგან კაიზერი მარტო ფრანგულ წიგნებს კითხულობდა. არცერთ სხვა ენას, მათ შორის გერმანულსაც, ფრიდრიხ დიდი ენად არ სცნობდა და ამით თავსაც კი იწონებდა—გერმანულ ენაზე მე მხოლოდ ჩემს ძაღლებს ველაპარაკებიო.

ეს მაინცადამაინც დიდი ლანძღვა და დამცირება როდი იყო გერმანული ენისა. ფრიდრიხს ხომ განუზომლად და ავადმყოფურად უყვარდა ძაღლები...

მეფის ბიბლიოთეკაში საწერ მაგიდაზე დევს სან-სუსისა და იმისი ექვსტერასიანი პარკის—ვაინბერგის მიახლოებითი პროექტი. იგი თვით ფრიდრიხ მეორის გამოუცდელი ხელითაა შესრულებული. უგერგილო ნაჩხაპნით მეფე შეეცადა როგორმე ხუროთმოძღვრისათვის გაეგებინებინა თუ როგორი სასახლის აშენება სწადდა...

მეფის ხელით მოხაზული გეგმა ხუროთმოძღვარმა კნობელსდორფმა ნამდვილ პროექტად აქცია და მშენებლობასაც შეუდგნენ.

სასახლე შენდებოდა ტყიანი ბორცვის წვერზე, რომლის თავიც გულდაგულ მოასწორეს, მდინარე ჰოველის მარჯვენა ნაპირას, საიდანაც კაცის თვალს მთელი პოტსდამის ულამაზესი სანახაობა ეშლება.

ამ ადგილზე ახალი სასახლის მშენებლობის წამოწყება ფრიდრიხის ერთი უხიაკი ახირებათაგანი იყო. მას ჭირივით სძულდა ქალები. საკუთარ თანამეცხედრესაც — პრუსიის დედოფალსაც კი მტრულად ეკიდებოდა და ყოველნაირი ღონით ცდილობდა თავი მისგან შორს დაეჭირა. ეს გვირგვინოსანი წყვილი ერთმანეთს მხოლოდ რამდენჯერმე ხვდებოდა წლის განმავლობაში და მეფე-დედოფლის შეხვედრა ყოველთვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტად გადაიქცეოდა ხოლმე.

„კაცი ბედნიერად და უზრუნველად მხოლოდ მაშინ იცხოვრებს, თუ ქალთა საზოგადოებას გაერიდება, ვინაიდან ყოველივე ბოროტის საწყისი ამქვეყნად ქალია“,—ღრმააზროვნად შენიშნავდა ფრიდრიხ დიდი. ჰოდა, სან-სუსის მშენებლობაც სწორედ ამ მიზნით დაიწყო. San Sousi ფრანგული გამოთქმაა და ჩვენს ენაზე „უდავიდარაბოდ ცხოვრებას“ ნიშნავს.

კაიზერის ახალთახალ სასახლეში დედათა სქესის წარმომადგენლებს ფეხი არ დაუდგამთ. ასეთი იყო ხელმწიფის ნება. ყოველგვარ საკაცო და საქალო სამუშაოს აქ მხოლოდ კაცები ასრულებდნენ, კაცები და მხოლოდ კაცები...

მეუღლესთან შესახვედრად ფრიდრიხი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ სან-სუსიდან მიდიოდა და წინასწარვე დათქმულ ადგილზე აუდენციას აწყობდა.

ძაღლების მოტრფიალე კაიზერი სან-სუსშივე გარდაიცვალა. სასახლეში დაცულია დარბაზი, სადაც სავარძელში მშვიდობიანად მჯდომარე მეფეს ცოდვილი სული აღმოხდა. მთელმა სამეფო

კარმა თავისუფლად ამოისუნთქა. ეს უცნაური ადამიანი თურმე ყველას უზომოდ სძულდა.

ძმისწულმა, ვინც ბიძის სიკვდილის შემდეგ პრუსიის კაიზერის ტახტზე ავიდა, მომაკვდავს ერთი უკანასკნელი თხოვნაც არ შეუსრულა. უპირველეს ყოვლისა, ფრიდრიხის სიკვდილის დღესვე მოიწვია ოსტატები და სასწრაფოდ სახე შეუცვალა დარბაზს, რომელიც განსვენებულ კაიზერს სხვა დარბაზებზე უფრო გამორჩეულად უყვარდა და რომლის უცვლელად შენახვას სიკვდილის წინ იხვეწებოდა...

35

თვით სასახლე ერთსართულიანია, მაგრამ სიმაღლით საშუალო სიდიდის კასტიოლის კოშკს არ ჩამოუვარდება. სასახლის დარბაზებს საკუთარი სახელები აქვთ შერქმეული იმისდა მიხედვით თუ ესათუის დარბაზი რა დანიშნულებას ასრულებდა. მნახველი ოცნების სამყაროში გადაჰყავს რომანტიკული კედლის მხატვრობით შემკულ მუსიკალურ ოთახს. კაიზერის დარბაზი პირუკუ, სახელმწიფო ძალაუფლებისა და შეფის ტახტის ღვთაებრივი დანიშნულების გამომხატველია. ამ უზარმაზარ ბრწყინვალე დარბაზში ტარდებოდა ყველა საზეიმო ცერემონიალი. აქ იღებდა პრუსიის კაიზერი უცხო სახელმწიფოთა ელჩებს და ოფიციალური ვიზიტით სტუმრად ჩამობრძანებულ მეზობელ მეფეებს...

სულ ბოლოს ვოლტერის კაბინეტში შედიხარ. ოთხივე კედელი, ლავგარდანები და ჭერი აქ ნაირფერი ხისგანაა გამოკვეთილი. ჯადოსნურ საჭრეთელს ხეში მიძინებული ბუნება გაუცოცხლებია და ყოველი ფიგურისათვის, მინდვრის ნორჩი ყვავილი იქნება თუ მწიფე ნაყოფი, სული ჩაუდგამს.

მაგრამ სან-სუსის უზენაეს დიდებულებას სრულად ვერ შეიგრძნობ თუ გარეთ არ გამოხვედი და ზღაპრული სასახლის წინამო ვაინბერგის კიბისთავიდან არ შეათვალიერე.

სასახლის წინა მხარე, რომელიც ტაფობზე გაშლილ ინგლისურ პარკს გადაჰყურებს და შუაში ოდნავ წინ წამოზრდილი ოვალური გუმბათით გვირგვინდება, როკოკოს სტილის სკულპტურული ფიგურებითაა განკაცებული.

ვინაიდან პარკში ვენახი ხარობს, აქ ყველგან ვაზისა და ღვინის კულტი გამეფებულა, თვით არქიტექტურულ ნაზებშიაც კი.

განიერფანჯრებიანი წინამოს თეთრ კედელში ამოზრდილი, ფანჯრისთავებზე გადმოწოლილი და სასახლის თავანზე აბრიალებული ოცდაჩვიდმეტი შიშველი ფიგურა მთვრალი ნიმფებია. ბახუსს ნიმფები უზომოდ დაუთვრია, თვითონ კი არა ჩანს, სადღაც მიმალულა...

სასახლის წინ, მარცხენა მხარეს, მომსვლელის ყურადღებას უნებლიედ იპყრობს გრანიტის მოაჯირში ჩატანებული მარმარილოს ნახევარრკალი, რომლის კიდეებს შუა ოქროსწარწერიანი ქვებია მიწაში ჩაფლული.

კითხვა რად გინდა — საფლავებია, მაგრამ ვისი? ცნობისმოყვარეობა მაშინ უფრო ღიზიანდება, როდესაც კვარცხლბეკად გამოყენებულ მარმარილოს ნახევარრკალზე ნაცნობ ისტორიულ პირთა სკულპტურულ პორტრეტებს დაინახავ. ესენი რომის კონსულები და იმპერატორები არიან, იულიუს კეისრით დაწყებული ნერონამდე...

მარმარილოს ფილებქვეშ კაიზერ ფრიდრიხ დიდის საყვარელი ძაღლები განისვენებენ. აქვე დაუტოვებიათ ერთადერთი ადგილი უკანასკნელი მიცვალებულის მოსათავსებლად. ადგილი თვით კაიზერს ეკუთვნის. როგორ იხვეწებოდა თურმე სიკვდილის წინ — ჩემი ძაღლების გვერდით მიმიჩინეთ საუკუნო განსასვენებელიო. იქ საფლავის ლოდი აგრერიგად არ მემძიმებაო, მაგრამ ბიძის უსაქციელობით თავმობეზრებულმა ძმისწულმა მომაკვდავს არც ეს უკანასკნელი მუდარა შეუსრულა. კიდევ უარესი — პრუსიის ახალი კაიზერის განკარგულების თანახმად ფრი-

დრიხის ნეშტი პოტსდამის ერთ უმნიშვნელო კასტიოლში დაკრძალეს. საწყალ ფრიდრიხ დიდს სიცოცხლეში წარმოუდგენლად ეჯავრებოდა ეს კასტიოლი, ხოლო ეკლესიის მსახურთ — მღვდლებს — თვალითაც ვერ დაანახვებდი. ადვილი წარმოსადგენია, როგორი დიდი სიამოვნებით უგებდნენ ეს უკანასკნელნი წესს გარდაცვლილ მეფეს, გულში რა ვარდ-ყვავილი ეშლებოდათ..

ძმისწულმა ჯავრი იყარა — ყველაფერი მოიმოქმედა, რათა მისი ახირებული ბიძა იმ ქვეყანაში ისე გაწამებულიყო, რომ მიცვალებულის ძვლებს საფლავში მოსვენება ვერ ეპოვნათ.

სასახლის თაღოვანი შუაწელის ჩასწვრივ გრანიტის ფართო კიბე მდინარის ნაპირისაკენ ეშვება. იგი მთავრდება ანტიკური ქანდაკებებით შემოფარგლული მრგვალი მოედნით. მოედანზე თეთრი მარმარილოს აუზია მოწყობილი და შიგ შინაურისაგან და გარეშესაგან სასუსნავზე გაწუწკებული გედები დასცურავენ.

როდესაც სასახლეს აუზის მხრიდან ამოჰხედავ, მაშინღა შეამჩნევ, რომ გრანიტის კიბის საფეხურები ზემოთ და ზემოთ თანდათან ვიწროვდება და კიბეების მთელი ეს ანსამბლი კონუსისებურ სახეს იღებს. კიბის ორივე მხარეს გაშლილი ბაღი — ვაინბერგი — ტერასებადაა დაყოფილი. ზემოდან გადმომდგარი კაცი ეჭვსაც ვერ აიღებ თუ შენს წინაშე ჩინებულად მოვლილი ვენახია. საიდუმლოება მაშინ გამქრავნდება, როცა კიბის ათიოდე საფეხურს ჩაივლი და უკან მოიხედავ. ყოველი ტერასის შვეულ კედელში, რომელიც მომდევნო ტერასის ზედა საფეხურს წარმოადგენს, დატანებულია მინისფანჯრებიანი სათბური. მინის უკან მოჩანს ქვის კედელზე აკრული ვაზის ლერწი და გაყვითლებული ფოთლები...

ფრანგული პარკი — ვაინბერგითა და აუზიანი მოედნითურთ, სასახლის ზღურბლს უშუალოდ ებჯინება. აუზის დასავლეთით, ათ-თხუთმეტ ნაბიჯზე, ქვის ხიდი აუშენებიათ და იმ ხიდის ქვეშ მდინარე ჰოველის [illegible] ტოტი მიედინება. თვით ხიდსაც და მდინარის გაღმა ნაპირი ინგლისურ პარკადაა მონათლული. ამ პარკის გაშენების ეპოქაში საყოველთაო მოდად იყო გადაქცეული რუსოს მოწოდება: „უკან ბუნებისაკენ!“ და მართლაც, ინგლისურ პარკში ყველაფერი ისევეა, როგორც ბუნებრივად იქნებოდა. მდინარე და არა შადრევნიანი აუზი, ბუჩქნარი და არა გაკრეჭილი დეკორატიული მცენარეები, მწვანე მინდორი და არა ნაირფერად მოქარგული გაზონები...

ხიდიდან ტყის სიღრმეში მოჩანს ფოთლებშეყვითლებულ ხეებსშუა მიმალული პატარა სახლი. გოეთეს ჰარტენჰაუზისაგან განსხვავებით ეს შენობა მოყვითალო ფერისაა და აღმოსავლურ სტილზეა აგებული. ჩინური საჩაიე — პაწაწინა სახლს ასე ეძახიან — სან-სუსის ბინადართა და სტუმრად მობრძანებული, წარჩინებული გვამების ერთი იშვიათი დასასვენებელი და დროის გასატარებელი ადგილი იყო. თვით შენობას ნეკერჩხლის ფოთლის ფორმა აქვს. თუ შვეულმფრენში ჩაჯდები და ზემოდან დახედავ, სწორედ ხის ძირას ტრიალ-ტრიალით ჩამოვარდნილი ნეკერჩხლის ფოთოლი გეგონება.

აღმოსავლურით თუ ფსევდოაღმოსავლურით გატაცება იმ დროს გადამდებ სნეულებასავით მოსდებოდა ევროპელ მონარქებს. კაიზერის რეზიდენციაში შემოსასვლელი თაღიანი ჭიშკრის გვერდით დღესაც გაჩვენებენ მინარეთივით აწოწილ მაღალ ობელისკს. ობელისკზე არაბულ თუ სპარსულ ასოებთან მიმსგავსებული რაღაც ხაზები ამოუკვეთიათ. ნამდვილად თურმე არაფერი სწერია. კაიზერის გემოვნებას კუდმოგრეხილი უცხო ხაზების მაცთუნებელი იდუმალებაც აკმაყოფილებდა...

36

უღრანი ტყის მივარდნილ კუთხეში, პოტსდამის სხვა დიდი და მცირე ციხედარბაზებისაგან განმარტოებით, დგას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქვეყ-

ნოდ გახმაურებული სასახლე ცეცილიენჰოფი. ცეცილიენჰოფი სულ ახალი აშენებულია. იგი პირველი მსოფლიო ომის დროს მოათავეს. ვერდენის მიდამოებში გააფთრებული ბრძოლა იყო. ყოველ ახალ დღეს ათასობით გერმანელი და ფრანგი ჯარისკაცის სიკვდილი მოჰქონდა. ბერლინელი კრონპრინცი სწორედ ამ დროს ახლადშერთული ყმაწვილი ცოლის სასიამოვნოდ და სალაღობოდ პოტსდამის უღრან ტყეში ამ დიდებულ სასახლეს აგებდა.

ტყის მხრიდან რომ მიუახლოვდები, ცეცილიენჰოფი ერთი უბრალო და მოკრძალებული შენობა გეგონება. მთავარი სასახლე ეზოშია. წინიდან მას მთლიანად ფარავს ნაწილობრივ ხისაგან, ნაწილობრივ ქვიტკირით აშენებული შეუხედავი ორსართულიანი სახლი — მომსახურე პერსონალის სამყოფელი.

წინა ნაგებობა პრუსიელი კრონპრინცის მოჩვენებითი თავმდაბლობის გამოხატულებაა — შეხედეთ, რა სადად და უბრალოდ ვცხოვრობო.

მხოლოდ ბედისაგან რჩეულთ თუ ხვდებოდა წილად ალაყაფის ჭიშკარში შესვლა, საიდანაც მნახველს თვალსა სჭრის ცეცილიენჰოფის წინამოს ხედი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცეცილიენჰოფს განსაკუთრებული პატივი ერგო. რამდენიმე დღის განმავლობაში მთელი პლანეტის ყურადღება აქეთ იყო მოპყრობილი. დამარცხებული გერმანიის საფოსტო განყოფილებები დედამიწის ყოველი მხრიდან იღებდნენ ელვა-დეპეშებს და პირად წერილებს, ამანათებსა და მოლოცვებს...

„პოტსდამი. ცეცილიენჰოფი. დიდ სახელმწიფოთა მეთაურების საზავო კონფერენცია“...

აქ წყდებოდა გამანადგურებელი ომიდან თავდახსნილი მსოფლიოს ბედი, ზუსტდებოდა საზღვრები, ეკონომიური და საშხედო ურთიერთობანი სახელმწიფოებს შორის.

განვლო დრომ და გერმანელმა ხალხმა ცეცილიენჰოფი ეროვნულ ღირსშესანიშნაობად გამოაცხადა. განცხრომისა და უდარდელი ცხოვრების ალაგი ამიერიდან მსოფლიოს უახლესი ისტორიის მუზეუმად იქცა. სასახლეში ხელუხლებლადაა დაცული დარბაზები და ოთახები, სადაც ოფლში გაწურული დელეგაციები, პრესბიურო და კონფერენციის სხვა დამხმარე ორგანოები მუშაობდნენ. აი, დარბაზიც, სადაც ყოველ დილას, სრულ რვა საათზე იკრიბებოდნენ დიდ სახელმწიფოთა მეთაურები — ანტიჰიტლერული კოალიციის პირველი კაცები და მსოფლიოს რუკასთან ნებისყოფისა და გამჭრიახი გონების ჭიდილი იმართებოდა...

თითქოს ყველაფერი გუშინ იყო. აი, თურმე რა ბედი გამოჰყვა კრონპრინცის ახალგაზრდა მეუღლის გულის მოსაგებად აშენებულ ცეცილიენჰოფს.

მეფის რეზიდენციის ჭიშკრიდან გამოსვლისთანავე მანქანაში მახდომთა ყურადღება ქუჩის გასწვრივ გამშკრივებულმა ძელურმა ქოხებმა მიიქცია. ყავრით გადახურულ ძელურ სახლებში, რომელთა მწვანედ შეღებილი ორმაგი ფანჯრები რუსული ქოხისათვის დამახასიათებელი ნაყშებით იყო მოხარატებული, თურმე დღესაც რუსები, ბელორუსები ან პოლონელები ცხოვრობდნენ. შორეული ტრამალიდან აყრილ და აქ დასახლებულ სლავებს, ოდესღაც რომ თავს ნადირობითა და მეთევზეობით ირჩენდნენ, მდინარე ჰოველის ნაპირებთან უხსოვარ დროს გაუდგამთ ფესვი. მას შემდეგ რამდენმა საუკუნემ გაიარა და მამაპაპური ზნისა და ჩვეულების ერთგულ სლავთა ძელური სახლები თითქოს ძველი და ერთადერთი საშშობლოს ხსოვნას ინახავენ...

სავარძლის ზემოთ რეპროდუქტორი აშრიალდა. უმალ იქით გავიხედე, სადაც ამდენი მგზავრობით მოღლილი ლიტველი ბიჭი მეგულებოდა. ავტობუსი დინჯად გაჩერდა უზარმაზარი ნანგრევის წინ.

ეს ბრწყინვალე და დიდებულ ტაძარს მიმსგავსებული შენობა, დღეს უბადრუკი ნანგრევი, მართლაც თურმე

საკათედრო ტაძარი იყო. ქუჩის პირად აწოწილმა უსინათლო ნასაყდრალმა იმით უფრო გაგვაოცა, რომ გარშემო ყოველ შენობას მშვიდობიანი იერი დაჰკრავდა და ოციოდე წლის წინათ თავსდამტყდარი ბომბარდირებების, ბათქებისა და კანონადების კვალი იშვიათად თუ რასმე ემჩნეოდა. მხოლოდ ეს ერთი შენობა იყო ასე უწყალოდ თვალებდათხრილი და თავპირჩამოლეწილი.

ნეტავი რატომ? რის გულისათვის?

ამ საყდარში აკურთხეს ადოლფ ჰიტლერი. გერმანიის ეროვნულმა ეკლესიამ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ბელადი სამშობლოს მხსნელ კეთილ სულად აღიარა და მანამდე ძალაუფლების უქონლობით გაბორკილ კაციჭამიას ხელები შეუხსნა...

პოტსდამში — პრუსიული და გერმანული მილიტარიზმის ამ ციტადელში —თავიდანვე ეტრფოდნენ ნანგრევებს. ძაღლების მოტრფიალე ფრიდრიხ დიდი თვალის სასეიროდ და სასიამოვნოდ ნანგრევებს თვითონვე აშენებინებდა. სან-სუსის დარბაზებში ერთი და ორი ფერწერული ტილო როდი ჰკიდია, რომლებზედაც რომის და პარიზის მოგონილი ნანგრევებია გამოხატული.

ყოველ ჭკუათმყოფელ ადამიანს გააოცებს, ალბათ, ნანგრევების ამისთანა გიჟური სიყვარული...

ოდესღაც სანთლებით გაჩირაღდნებულ, ორგანის ღვთიური ხმებითა და საკმევლის სუნით გაბრუებულ საყდარსაც გასთენებია შავი დღე. საღი გონებისა და სამართლიანობის გამარჯვების შემდეგ ხალხმა მოისურვა ნანგრევის ასევე, ხელუხლებლივ დატოვება და, რადგანაც ასეთია ხმა ერისა, საჰაერო ბომბარდირების დროს იავარქმნილი საყდარი ხელუხლებელი დარჩება, რათა კაცობრიობის მომავალ თაობებს დამანგრეველი ომის გამხსენებელ დაგველის ბუდის შეჩვენების ძეგლად გამოადგეს.

ქუჩა დაუსრულებლივ გაგრძელდა. ნისლში ღამის ნათურები ციმციმებდნენ. ეს უკვე აღარ იყო პოტსდამი. აქაურობა აღარც ქალაქს ჰგავდა ნამდვილად სოფელს;

ფილაქნიანი ვიწრო ქუჩა ასეთმავე ვიწრო გზამ შესცვალა. ფარების მიბნედილ შუქზე მუქ-ლურჯად მოჩანდა გზაზე წყობისად მოფენილი როჭკი. ირგვლივ სქელი ნისლი დაიზლაზნებოდა და მგონი მანქანაშიაც შემოდიოდა. შიგნიდან განათებული ნისლის ფონზე მოჩანდა სავარძელში არაბუნებრივად გამართული ჰორსტი. შოფერი მხოლოდ დროდადრო მიაბრუნებდა სახეს იქეთ, სადაც მეგზური იჯდა — კარსა და კაბინას შუა— და მაშინ იმის ბალღურად გაბუშტულ ხორცსავსე სახეს და პირში გაჩრილ სიგარას შიგნიდან განათებული სქელი ნისლი მოყვითალო შარავანდედში ახვევდა. ჰორსტი წინ იყურებოდა და, ვინ იცის, თვალწინ ისევ ბაუცენში დატოვებული მომხიბლავი ფრაუ ედგა...

მანქანაში ბნელოდა და სიჩუმე იყო. მოტორი ყრუდ და იმედიანად გუგუნებდა. მჭიდროდ ჩაგმანული ფანჯრის მინები ძლივსგაჟსაგონად ზრიალებდნენ.

სადღაც მარცხნივ, ამ ნისლის საფარველს იქით, დასავლეთ ბერლინი იდო. ჩვენ მას თითქმის გარშემო ვუვლიდით, რათა შიონოფელდის საჰაერო ჭიშკრის მხრიდან აღმოსავლეთ ბერლინში შევსულიყავით.

წინ ლურჯი სინათლე აციმციმდა. ერთი, მეორე, მესამე. გამოჩნდა წითელი სინათლეების ზოლიც. აეროდრომი! მხოლოდ ალღოთი ვიცანი ადგილი, სადაც თითქოს მთელი საუკუნის წინათ გერმანიის მიწაზე დავეშვით და მოგზაურობის ბიუროს წარმომადგენლის დაყოვნებით შეფიქრიანებული ვესტიბიულში ვწრიალებდით.

მანქანა ნელის გუგუნით იმოკლებდა გზას უკვე გათხელებულ ნისლში აგურის მაღალი კედლის გასწვრივ, რომლის გადაღმაც აეროდრომის მინდორი იყო გაშლილი. აქედან თვალნათლივ ვხედავდი, როგორ წყდებოდნენ მიწას გამოუცნობი ღამის უკუნეთში მიმავა-

ლი თვითმფრინავები. წყდებოდნენ და თვალის დახამხამებაში იკარგებოდნენ. აი, ერთი უეცრად გამოიჭრა ციდან, დაქანდა, წყალზე ასხლეტილ ქვასავით სიბრტყივ დაეშვა, მიწას თვლებით შეეხო და გრუხუნ-გრუხუნით სარბენ ბილიკზე წაძაგძაგდა. ნეტავ ეს ისაა, რომელიც წამის წინ აფრინდა თუ ღამემ ვალი გადაუხადა ნახევრად ჩაბნელებულ აეროპორტს — ერთი ჩაყლაპული ლაინერის მაგიერ ნამძინარევი მგზავრებით სავსე თვითმფრინავი დაუბრუნა?

37

ნაცნობ ქუჩაში ფანჯრებგანათებული ელექტრომატარებელი წამოგვეწია. ვაგონები თითქმის ისევ ცარიელი იყო. ჩაგმანული ფანჯრების შიგნით მხოლოდ თითო-ოროლა მგზავრი იჯდა.

გაჩახჩახებული ცარიელი მატარებლის დანახვამ ისევ ჩვენი პირველი გერმანელი მასპინძელი ჰერბერტ შაიბეი და მისი ნაღვლიანი მობოდიშება გამახსენა. ვიცანი ის ადგილიც სადაც მანქანა ღამის პატრულებმა გააჩერეს...

ის, ვისაც საკუთარი ქვეყნის სიყვარულით გული თუნდ ერთხელ ასძგერებია, ადვილად მიხვდება ყოველი პატიოსანი გერმანელი მამულიშვილის მწარე კაეშანს.

მათი სამშობლოს დედაქალაქი—ბერლინი — მარტო სიმბოლურად კი არა, ქვისა და აგურის ნამდვილი კედლითაა შუაზე გახლეჩილი.

სამოციანი წლების ბოლოს ამ უმაგალითო კედლის აშენება გადაუდებელ საჭიროებად იქცა. დასავლეთის სახელმწიფოების აგენტები, ჯაშუშები და ჩარჩ-ვაჭრები სულ უფრო ხშირად და ხშირად შემოდიოდნენ აღმოსავლეთ ბერლინში. გაიბა უცხოურ დაზვერვათა ქსელი. დივერსიებისა და პოლიტიკური შანტაჟის ამბავს ყოველ ნაბიჯზე გაიგონებდი. დასავლეთ ბერლინის განცალკევებულმა თვითმმართველობამ საკუთარი ფულის ნიშნებიც გამოუშვა და ამით საბოლოოდ მოუღო ბოლო დედაქალაქის ეკონომიურ ერთიანობას. დიდი ბერლინის გაერთიანებული მაგისტრატის მუშაობა მოიშალა და აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობა იძულებული შეიქმნა თავადაცვის გზები ეძია. თავდაცვის ერთადერთი და უტყუარი საშუალება დასავლეთ ბერლინთან კავშირის სრული გაწყვეტა იყო...

ასეც მოიქცნენ.

1961 წლის 13 აგვისტოს, ღამით, შეიარაღებული ძალების პოლკებმა და მოსახლეობის ყველაზე უფრო შეგნებული ფენებისაგან შემდგარმა ბრიგადებმა ბერლინის შუაგულში ვაჟკაცის სიმაღლე მკვიდრი კედელი ააშენეს. ამ კედელმა კიდით კიდემდე გადაჰკვეთა სატახტო ქალაქი და, როდესაც მომდევნო დილას ბერლინელებმა გამოიღვიძეს, დაინახეს, რომ ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში შესასვლელად რამდენიმე პუნქტიღა იყო დატოვებული, სადაც საგანგებო უფლებებით აღჭურვილი მესაზღვრე ოფიცრები იდგნენ, ხოლო ყველა სხვა ადგილას, თანახმად ხელისუფლების ორგანოების ახალი განკარგულებისა, ღამის განმავლობაში აშენებულ კედელს ახლოსაც ვერ მიეკარებოდი.

იმავე ღამეს, გათენებამდე, ვიდრე ფაბრიკებისა და ქარხნებისაკენ მიმავალი მილიონობით მუშა-მოსამსახურე ტრამვაის, ტროლეიბუსს, ავტობუსს და ელექტრომატარებლებს მიაშურებდა, გადაიკედლა მიწისქვეშეთიც. მუშაობა შეწყვიტა დიდი ბერლინის მეტრომ. მიწისქვეშა მატარებლების მიმოსვლა მხოლოდ მოგვიანებით განახლდა. ცალკე დასავლეთ და ცალკე აღმოსავლეთ ბერლინმა მეტროს თავ-თავიანთი წრეები შეჰკრეს. ბევრი სადგური, უფრო კი ქალაქის შუაგულში, ამჟამადაც გაუქმებულია...

დღეს ხელოვნურად გაყოფილი ბერლინი შუა საუკუნეებში მართლაც ორი ქალაქისაგან — კიოლნისაგან და ბერლინისაგან შესდგებოდა. ბრანდენბურგის მხარის ტყიან ბორცვებზე, ოცდაათი დიდი და მცირე ტბის ნაპირებთან გაშენებულ ამ ორ პრუსიულ ქალაქს, რომლებსაც შუაში ზემო ლაუზიცის სე-

რებიდან დაშვებული მდინარე შპრეე ჩამოუდიოდა, მეცამეტე საუკუნეში, როცა აზიის კონტინენტისა და აღმოსავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში მონღოლი მეჯოგეები დათარეშობდნენ, სასაზღვრო ქალაქებად თვლიდნენ.

კიოლნისა და ბერლინის სწრაფ განვითარებას და ფეხზე დადგომას ხელი ამ ქალაქების მდებარეობამაც შეუწყო. ადგილი, სადაც მეთორმეტე საუკუნის შუა წლებში ბერლინი და კიოლნი აღმოცენდა, რეინის ნაპირებიდან პოლონეთისაკენ, ხოლო ნიურნბერგიდან და ლაიპციგიდან ბალტიის ზღვისკენ მიმავალი სავაჭრო გზების შესაყარს წარმოადგენდა. იმხანად კიოლნსა და ბერლინს ერთი მმართველობა ჰქონდათ და მსგავსად ძველი ელადის ქალაქ-სახელმწიფოებისა, საკუთარ ბედიღბალს თავადვე განაგებდნენ. მეთხუთმეტე საუკუნეში ბრანდენბურგის კურფიურსტებმა ბერლინი თავიანთ სამყოფ ალაგად გამოაცხადეს და მმართველობის ყველა ორგანო აქ გადმოიტანეს.

თავისუფლებას ჩვეული ბერლინელი მოქალაქენი — წვრილი ვაჭრები, ხელოსნები და ბურჟუაზია—ერთხანს ითმენდნენ კურფიურსტების თვითნებობას, ბოლოს კი, ამდენ დაკნინებასა და აბუჩად აგდებას რომ ვეღარ გაუძლეს, ზუსტად ოთხასი წლით ადრე, ვიდრე 1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუცია ევროპის მეფეთა ტახტებს შეარყევდა, ხელთ იარაღი აიღეს და ჰოჰენცოლერნების დასამხობად ქუჩაში გამოვიდნენ.

კურფიურსტი სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს. მეთაურები საჯაროდ აწამეს, ხოლო მათი ოჯახები დედაბუდიანად ამოწყვიტეს. ბერლინმა არამცთუ დამოუკიდებელი ქალაქი-სახელმწიფოს სტატუსი, ავტონომიის უფლებაც დაჰკარგა და იგი კურფიურსტის ერთპიროვნულ ნება-სურვილს დაექვემდებარა.

ოცდაათწლიანმა ომმა ქალაქს ახალი გაჩანაგება მოუტანა. ბრანდენბურგის უნაპირო-ტყეებში გახიზნული მოსახლეობა მამა-პაპის ნაფუძარს ძალიან ნელა და უხალისოდ უბრუნდებოდა. განა ადვილი საქმე იყო ცხოვრების თავიდან დაწყება?

სწორედ ამ უკიდურესი გასაჭირის ჟამს ბერლინის უბნებში ბოჰემიელებმა, შვეიცარიელებმა, ჰოლანდიელებმა და სამოქალაქო ომის ხანძარში გახვეული სამშობლოდან უგზოუკვლოდ გადმოხვეწილმა ფრანგმა ჰუგენოტებმა იწყეს დასახლება. ომში შელახული და გაღარიბებული კურფიურსტი როდი ეწინააღმდეგებოდა ქალაქში უცხო ტომის ახალმოსახლეთა მომრავლებას. მიწასთან გასწორებულ ბერლინს ხელახალი აშენება სჭირდებოდა. ხელახლა უნდა აღორძინებულიყო მივიწყებული ხელოსნობა, მიფუშულ-მოფუშული მანუფაქტურის სხვადასხვა დარგები, თითქოსდა ასი წლის წინათ შეწყვეტილი აღებმიცემობა....

ჩამოსახლებულმა უცხო ტომებმა თავიანთი კვალი დააჩნიეს საკუთარ ნაჭუჭში გამომწყვდეული და მუდამ პირად კეთილდღეობაზე მზრუნავი ბერლინელი ბიურგერის ხასიათს. ის უფრო გულღია და შინაგანად თავისუფალი გახდა...

ბურჟუაზია განათლებას დაეწაფა. ერის წიაღიდან ამოტივტივდნენ მსოფლიო სახელის მქონე ადგილობრივი ფილოსოფოსები, მათემატიკოსები, ბუნებისმეტყველები, გაიფურჩქნა სიტყვაკაზმული მწერლობა, აყვავდა ხელოვნება...

ბასტილიის მოედანზე დანთებულმა ჭიაკოკონამ მთელი სამყარო გაანათა და ყოველი ფხიზელი ადამიანის გონებას საღი აზროვნების სხივი მოჰფინა.

პრუსია თავშეკავებულად შეხვდა დაუდეგარი საფრანგეთის არეულობას. თვით ბერლინში თოფიც არ გავარდნილა. ბერლინელებს ჯერ კიდევ ახსოვდათ თავიანთი პირველი გამოსვლები და უკვე კარგა ხნის წინათ საკუთარ ტყავზე გამოეცადათ, თუ რა დიდ და აუნაზღაურებელ მსხვერპლს მოითხოვდა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება...

ნამეხარმა ჰაერმა მაინც თავისი ჰქნა. ქვეყანა სულიერი გამოფხიზლების და აღმავლობის გზას დაადგა. ზედიზედ გაიხსნა ბერლინის პირველი უმაღლესი სასწავლებლები — სამშენებლო აკადემია, ქირურგიული ინსტიტუტი, უნივერსიტეტი...

ბერლინმა სული მოითქვა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მან ავტონომია მოითხოვა. საფრანგეთის ამბებით და გილიოტინით შეშინებულმა კაიზერმა დემოსის უსიტყვო მორჩილება ამჯობინა--ბერლინს ავტონომიას დაჰპირდა, მხოლოდ დაპირების განხორციელებას წლითიწლობით აყოვნებდა.

ამასობაში საფრანგეთმა ფერი და ზნე იცვალა. კორსიკელი კაპრალი მსოფლიოს გენერალ ბონაპარტედ მოევლინა და ეგვიპტის უდაბნოებიდან დაბრუნებისთანავე თავი საფრანგეთის პირველ კონსულად გამოაცხადა... ახლა, კაცობრიობის ისტორიის ამ მრისხანე წუთებში, ვისღა ეცალა პოლიტიკური ფუფუნების მოსაპოებლად. საფრანგეთის ყველა ახლო და შორეულ მეზობელს მომაკვდინებელი საფრთხე დაემუქრა. დასავლეთის გვირგვინოსანი მონარქები თავგასული უზურპატორის ასალაგმავად გაერთიანდნენ.

ბერლინი კი სულ იზრდებოდა და იზრდებოდა. ქალაქის ძველი კვარტალების გადაკეთების და ახალი რაიონების მშენებლობის რაიმე გეგმა, ცხადია, არ იყო. სავაჭრო სახლებს, ფაბრიკებს და სახელოსნოებს, თეატრებს, კაფეშანტანებს, ხიდებს თუ საკულტო შენობებს ყოველი კერძო პირი ისე აგებდა, როგორც ჭკუა და გონება გაუჭრიდა.

ბერლინს აუარებელი ხალხი მოაწყდა. მოსახლეობის მატებამ წინ გაუსწრო საბინაო ფონდების ზრდას. გაჩნდა მიწურები და ქოხმახები...

პირველი მსოფლიო ომის ბოლოს ბრანდენბურგის მხარის რვა ქალაქი, ორმოცდაცხრამეტი დაბა და აქაური მიწათმფლობელების ოცდაექვსი მამული გაერთიანდა, საქალაქო მიმოსვლის მარშრუტებით დაიქსელა და გერმანული მიწის მთელ ამ უზარმაზარ ნაჭერს „დიდი ბერლინი“ ეწოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

38

უცებ მანქანამ სვლას უკლო და რაღაც არაბუნებრივად აქოთქოთდა. აქამდე გაუნძრევლად მჯდომი ჰორსტი წინ გადაიხარა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, თან მოტორის უთანაბრო გუგუნს გაფაციცებული ყურს უგდებდა. მოტორმა სულის შეგუბება როდი იკმარა — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხროტინებდა. შეწუხებულმა ჰორსტმა ავტობუსი ტროტუართან მიაყენა და ვეება ტანისათვის შეუფერებელი სიმსუბუქით ძირს ჩახტა.

ავტობუსში ყველას გამოეღვიძა. ერთი ორმა ისიც კი იკითხა, სადა ვართო და როდესაც მანქანის შესაძლო გაფუჭების ამბავი შეიტყო, ჩვენებრ დანაღვლიანდა. სხვებზე მეტად მაინც ლეონასი სწუხდა. ყველაფერი ისე კარგად მოეწყო და მთელი სიამოვნება უკანასკნელ წუთებში როგორ ჩაგვშხამდაო. ესენი—ჰორსტი და ლეონას სტეპანაუსკასი, ხომ ერთად მუშაობდნენ და ვინ იცის, რამდენი დღე და ღამე გაეტარებინათ ერთიმეორის გვერდით. ლეონასი იმედს არ ჰკარგავდა — ჰორსტი ნამდვილი ოსტატია თავისი საქმისა და თუ რაიმეს გაკეთება შეიძლება, უეჭველად გააკეთებსო.

საშკამ ვერ მოითმინა, წინ გამოძვრა, ლეონასი აიყოლია და ამბის გასაგებად ძირს ჩავიდა. მალე დაღონებული მობრუნდნენ უკან. ჰორსტი ტელეფონ-ავტომატს ეძებდა. სასტუმრო „ბერლინერ-ბარში“ ჩვენს მისაყვანად მოგზაურობის ბიუროს სხვა მანქანა უნდა მოსულიყო.

ნახევარ საათში ლურჯი ავტობუსი მოგრიალდა. შეჩვეული ადგილები უხალისოდ დავტოვეთ და ზოზინ-ზოზინით გადავბარგდით. გულდაწყვეტილი ჰორსტი დაძვრის წინ მანქანაში ამოვიდა და დიდხანს გვემშვიდობებოდა, თითქოს

თვითეული ჩვენგანის სახის სამუდამოდ დამახსოვრება სწადდა.

ისევ ბაუცენი გამახსენდა. გამახსენდა როგორ მიამიტად წითლდებოდა ეს ამოდენა კაცი გამომწვევი ღიმილით სახეგაბრწყინებული ფრაუს ყოველ ეშმაკურ შენიშვნაზე, თვალწინ წარმომიდგა, როგორ ცდილობდა იგი დიდრონი ხელების დამალვას, როგორ უნდოდა ნაკლებ სასაცილო გამოჩენილიყო და ეს კი ოდნავ ნასვამ და ალკოჰოლით თვალებაციაგებულ ქალს კიდევ უფრო მხიარულ გუნებაზე აყენებდა...

„ბერლინერ ბარი“ ბრანდენბურგის ჭიშკრის მეზობლად ვიპოვნეთ, სარკინიგზო სადგურ ფრიდრიხშტრასეს წინ. სასტუმროს უკანა ფანჯრები ტყვიისფრად მოლივლივე შპრეეს გადაჰყურებდა. ფანჯრიდან კარგად მოჩანდა მდინარეზე გადებული ორსართულიანი ხიდი და ხიდის იქითა ყურეში აღმართული ვარიეტეს თეატრის რუხი კედელი.

ღამე მოუსვენრად გავატარეთ. ყოველ ხუთ-ათ წუთში დედამიწა ყრუდ ზანზარებდა და გრუხუნებდა, თითქოს ვულკანი აპირებს ამოხეთქვასო. ეს ელექტრომატარებლების გრგვინვა-გრიალი იყო.

შპრეეს იქითა ნაპირიდან გადმოსროლილი რკინიგზა პროსპექტის თავზე გადაივლის და ბრანდენბურგის ჭიშკრის მიმართულებით ქალაქის სიღრმეში იჭრება. თვით სადგური, რომელსაც ხიდსა და უნტერ-დენ-ლინდენის უახლოეს სახლებს შორის ვეება სივრცე უკავია, რვა-ცხრა სართულიანი სახლის სიმაღლე მაინც იქნება. იგი მთლიანად ჰაერშია ატყორცნილი და გრანიტის ღონიერი ბურჯების ქვეშ პროსპექტ ფრიდრიხშტრასეს რეკლამები და ელექტროგაზეთები ციმციმებენ.

სადგურის ბაქნებზე ასასვლელი ფართო კიბეები საყრდენ ბურჯებშია მოთავსებული. მატარებლიდან ჩამოსული ზღვა ხალხი თვალის დახამხამებაში ეშვება დაბლა და ფრიდრიშტრასეზე აძრულ მანქანებისა და ადამიანების უწყვეტ ნაკადს თითქმის შეუმჩნევლად უერთდება. მატარებლები კი გრიალით მიექანებიან თავიანთი გზით. სადგური წამით მიწყნარდება. შემდეგ ისევ დედამიწის გულიდან მოისმის თვლების ნაცნობი დაგადუგი და მძლავრი მუხრუჭების ღრჭიალი.

ფრიდრიხშტრასეზე თავბრუდამხვევი მოძრაობაა. ტრანსპორტისათვის განკუთვნილ ნაწილში მანქანები უდიდესი სისწრაფით დაჰქრიან. მაგრამ აი, აინთო წითელი შუქი. ავტომობილები, ავტობუსები, ტროლეიბუსები, ომნიბუსები, მოტოციკლები თუ ველოსიპედები გაქვავებული დგანან. მხოლოდ მოტორები ბრდღვინავენ და ირგვლივ ბენზინის ლურჯ კვამლს აყენებენ. ქუჩის გადასასვლელებთან აქამდე დინჯად მდგომარე ხალხი აუჩქარებლივ გადადის მეორე მხარეზე.

ადამიანები მაშინაც კი მოთმინებას ინარჩუნებენ, როდესაც მაგისტრალზე ერთი მანქანაც არ ჭაჭანებს. დგომისა და ლოდინის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ შუქნიშან-ავტომატში წითელი სინათლე ანთია. აი, წითელ შუქს ყვითელი შესცვლის, ყვითელს — მწვანე და ქუჩაში მოძრაობის მკაცრ წესრიგს დაბადებითვე შეჩვეული ბერლინელი მოქალაქენი მხოლოდ მაშინ დაიძვრიან და უკაცურ ქუჩას აუჩქარებლივ გადავლენ...

ვიწრო შესახვევი ჯერ ლიუსტჰარტენის მოედანზე გაგიყვანს, აქედან კი თავი მუზეუმების კუნძულზე ამოვყავით.

კუნძულს გარშემო უვლის მდინარე შპრეეს ორი ტოტი და ისიც მომიჯნავე ქუჩებთან ქვის მკვიდრი ხიდებითაა დაკავშირებული.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ხიდები დაინგრა, არც თვით მუზეუმების ძველთაძველ შენობებს დასთენებიათ უკეთესი დღე. ზოგი შენობა ახლაც აღსადგენია. კვლავინდებური სიდიადით დგას იონური თეთრი სვეტებით შემკობილი „ძველი მუზეუმი“. იქვე ანთია „ეროვნული გალერეის“ თეთრი ფასადი, შემდეგ „ბოდე-მუზეუმი“. ეს უკანასკნელი თავისი ეგვიპტური განყოფი-

ლებით გამოირჩევა. მნახველი აქვე იპოვნის გერმანელ მხატვართა და მოქანდაკეთა ნაწარმოებებს, რომლებიც ბიზანტიური ქრისტიანობის ხანაშია შექმნილი. „ახალი მუზეუმი“ ჯერაც არ გაუღიათ. ხარაჩოების ზემოთ მოჩანს მისი გარუჯული სახურავი და ნატყვიარი სვეტისთავები.

ყოველივე სიძველის მოტრფიალე გერმანიის მშვენება პერგამონის მუზეუმი მეოთხე წელიწადია, რაც უცხო მნახველებს იღებს. მის მაღალკამარებიან დარბაზებში კაცი ყოველდღიურ ცხოვრებას წუთიერად ეთიშები და გულითა და გონებით კაცობრიობის შორეულ წარსულში გადადიხარ. შენს გარშემო ყაყანებს ათას ენაზე მოლაპარაკე ბაბილონი, შენს თვალწინ ინგრევა გუშინ მტრის თავზარის დამცემი ნინევია, ცეცხლი უკიდია აშურბანიპალის ბიბლიოთეკას, უბრალო ადამიანების მოწამებრივი სისხლით ირწყვის შუამდინარეთი, ნუბიის უდაბნო, აკადის გადახრუკული ნასოფლარები...

ანტიკური ქანდაკების დარბაზიდან კარი განიერ ტალანში გადის. ტალანი ისე ფართო და ჭერმაღალია, მნახველს ახლანდელი დიდი ქალაქის ქუჩა გეგონება. ის მართლაც ქუჩაა — „წმინდა გზა“. მრავალი საუკუნის წინათ დამიწებულ ბაბილონში „წმინდა გზა“ გერმანელ არქეოლოგებს მოუთხრიათ, აქ სარკინიგზო ეშელონებით ჩამოუტანიათ და მერე იმავე სახით აღუდგენიათ, რა სახითაც ოდესღაც, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ძველი აღმოსავლეთის იმ საკვირველ ქალაქს ამშვენებდა.

ზურმუხტისფერი, თეთრი და ყვითელი კერამიკით მოჭიქულ ორ პარალელურ კედელზე, მარჯვნივ და მარცხნივ, ამაყი ლომები მოაბიჯებენ. უხსოვარ დროიდან შემორჩენილი რელიგიური თქმულება მოგვითხრობს, რომ ღმერთები ნაბუ და მარდუკი ბაბილონში მხოლოდ წმინდა ქუჩით შემოდიოდნენ და სწორედ ამიტომ ქუჩას სხვა სახელწოდებაც მოეპოვება — „ღმერთების საზეიმო სვლის გზა“.

სად გაქრნენ ნეტავ ის ღმერთები, ვინც ბაბილონის ულამაზეს ქუჩაში, ახლა რომ ბერლინის საკუთრება გამხდარა, ჰაეროვანი სიმსუბუქით მოირწეოდნენ და ან ისინი, ვინც საუკუნეების განმავლობაში სიცოცხლის ჟრიამულით ავსებდა ღმერთების წილხვედრ ქუჩას...

იმ ადგილზე, სადაც ათასეული წლის წინათ სემირამიდას ბაღი ჰყვაოდა, ბაბილონელ ქალ-ვაჟთა ძარღვებში სისხლი ჩქეფდა და სიყვარული იფურჩქნებოდა, დღეს მხოლოდ ბებერი ტიგრის და ევფრატის ჩუმი დუდუნი ისმის.

მდინარეები დიან და არ ილევიან. სწორედ ქართული ზღაპრის პირველ პწკარს მიაგავს: იყო და არა იყო რა...

იქ, გარდასული ტრფობისა, ცეცხლისა და სიკვდილის ადგილზე, აღარც ქალაქია და აღარც ნაქალაქევი, მხოლოდ ეს ერთი ქუჩა შემორჩენილა და ისიც სად — შორეულ ცივ ბერლინში, დედამიწის სულ სხვა მხარეს...

39

მუხისგულისფრად შეფეთქილი მაღალი თაღის ქვეშ გაივლი და შენს წინაშე ნაბუსა და მარდუკის წმინდა გზაზე არანაკლებ თვალწარმტაცი მშვენიერება წარმოგიდგება. მომდევნო დარბაზში გამავალი ტალანის მაგივრობას აგრეთვე ბაბილონის ნანგრევებიდან ამოკრეფილი და აქ ხელახლა აღმართული „იშთარის თაღი“ სწევს.

სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთის გულის მოსაგებად დადგმული თაღი, მსგავსად წმინდა გზისა, ფერადი კერამიკითა, შიგ ამოქარგული თვინიერი კვიცებითა და ლაჟვარდის ფერების ლივლივით მისტერიის ბურუსში გახვევს.

ამ თაღსაც გაივლი და უჩინარი ნათურებით განათებულ კიდევ ერთ დარბაზში შეხვალ. ზღვის ნაპირია. შუადღის მზე თვალისმომჭრელად ბრწყინავს ოქროს სილაზე. იშთარის თაღის მარჯვნივ, საიდანაც აქ შემოხვედი, დარ-

ბაზს მილეთის ჭიშკრად წოდებული სასახლე ამშვენებს. მარმარილოს ეს თეთრი სასახლე სამსართულიანია და როგორც ყოველი დიდოსტატური ქმნილება ძველი ელადისა, გხიბლავს მიუწვდომელი ქალური სინაზით, ჯანსაღი პოეტურობითა და კეთილშობილი უბრალოებით. ვერც კი წარმოიდგენ თუ ამ სასახლეში ოდესმე მაინც ადამიანს უცხოვრია. ის თითქოს ზღაპრებისა და თქმულებების სამყაროდანაა აქ მოვლენილი და მნახველის წინაშე გაცოცხლებული.

მილეთის ჭიშკარი ნამდვილია. ის ოცდაერთი საუკუნის განმავლობაში იდგა ხრიოკ ქარაფზე და როგორც აქოჩრილ ტალღებზე მოფარფატე თეთრი თოლია, მშობლიურ ეგეოსის ზღვას დაჰხაროდა და დაჰყაშყაშებდა. მერე დაანგრიეს, აქ მოიტანეს და მუზეუმის უზარმაზარ დარბაზში ტუსაღივით გამოამწყვდიეს...

მაგრამ თავი და თავი საკვირველება მომსვლელს მაინც მომდევნო დარბაზში ელის. ეს მომდევნო დარბაზი წინა დარბაზზე გაცილებით უფრო დიდია — თითქმის მთელი ჰექტარი — და სიმაღლეც შესაფერისი აქვს. დარბაზი მიაგავს მარმარილოს დიდრონი ფილებით მოგებულ ვრცელ მოედანს, რომელიც სამხრეთის ბარჩხალა მზის ხსივებითაა უხვად განათებული. საშუადღეოზე ამაღლებული მზის ილუზიას ქმნის რძისფერი შუშის ჭერი, საიდანაც დარბაზში თანაბარი და თითქმის შეუმჩნეველი სინათლის ჩქერი იღვრება.

დარბაზის უკანა ნაწილში დგას ერთადერთი ექსპონატი—„პერგამონის საკურთხეველი". ამ უკანასკნელის გავლენით სახელწოდება მიიღო მთელმა მუზეუმმა. მარმარილოს გამწვდომი კიბის 48 საფეხური ზემოთ და ზემოთ დინჯად მიემართება, იქ კი 28 იონურ სვეტს ოდნავ წინ წამოქანებული ბრტყელი სახურავი დაჰბჯენია. ყრუ ფუნდამენტზე დაფუძნებული გვერდითი ფლიგელები სიმეტრიულად გამოჭრილან დარბაზის შუაგულისაკენ და თავიანთი საყრდენებით კიბის მეხუთე საფეხურამდე მოუღწევიათ. თვითეული ფლიგელის სამ მხარეს, წინიდან და გვერდებიდან, იონური სვეტების ჩამოსწვრივ, ჩასმულია ფრიზი თეთრ მარმარილოზე ამოქანდაკებული გორელიეფებით, რომლებიც ღმერთებისა და ტიტანების სიმბოლურ შერკინებას გამოჰხატავს.

თუ იმას იგულისხმებ, რომ პერგამონის საკურთხეველი ქრისტეს დაბადებამდე საუკუნენახევრით ადრეა შექმნილი, შეუძლებელია გაოცებამ და მღელვარებამ არ შეგიპყროს, როდესაც საკურთხევლის საერთო ხედით მოხიბლული გორელიეფებს დაუკვირდები.

აქ ელინური მითი და ყოველდღიური ცხოვრება, წარმართული ფანტასტიკა და შეუფერადებელი სინამდვილე საკვირველი ხელოვნებით გადაწნულ-გადმოწნულა ერთიმეორეში, ეს მარმარილოს ღმერთები და ტიტანები მიწიერი ადამიანები არიან. მიწიერია ყოველი მათგანის სხეულისა და სახის თვითეული ნაკვთი, იერი, ღაწვებზე, ტუჩებზე, შუბლზე, ფართოთ გახელილ თვალებში აღბეჭდილი უზომო ტანჯვა და თავგანწირვა. ამას უყურებ და კაცს ისევ ბუხენვალდი გახსენდება. ბოროტი და კეთილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმია ერთმანეთს. სიკეთეს ძვირად დაუჯდება ბოროტზე გამარჯვება...

და უეცრად გაგიელვებს გონებაში აზრი: რა უნდა ყოველივე ამას აქ, გერმანიის დედაქალაქში? რომელმა გულღრძო ავაზაკმა დაშალა ეს უძველესი და მარად ახალგაზრდა სასახლე შემადგენელ ნაწილებად, დააწყო სარკინიგზო ეშელონების ღია ოუ დახურულ პლატფორმებზე და შუაგულ ევროპაში ჩამოიტანა, რათა აქ, უცხო ქვეყნის მუზეუმის ბჭეებქვეშ ხელახლა აეშენებინა? პერგამონის საკურთხეველი ხომ განუმეორებელი ძეგლია ადამიანის მხატვრული ნიჭისა, მაგრამ რა უნდა აქ, უცხო მხარეში, ის ხომ გერმანელებს არ შეუქმნიათ. ამასვე იტყვი „იშთარის თაღსა", „წმინდა გზასა" და „მილეთის ჭიშკარზე", მეორე სართულის ვრცელ

დარბაზებში გამოფენილი მუსულმანური კულტურის ორიგინალურ რელიკვიებზე რომ აღარაფერი თქვა.

დარბაზში, სადაც პერგამონის საკურთხეველი მნახველს თვალსა სჭრის, სვეტიცხოველიც თავისუფლად დაეტეოდა.

მსოფლიო კულტურის სიყვარულთან და მფარველობასთან ერთად პერგამონ-მუზეუმი კაიზერული გერმანიის დიდმპყრობელური შოვინიზმის დაღს ატარებს. შენ ბატონი ხარ ყველა ერისა. რაც კი მოგეწონება, სადაც არ უნდა იყოს, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს, შინ წამოიღე, პატრონს ნურც დაეკითხები, რადგან შენ ის მოგეწონა და, მაშასადამე, ის შენია!

ასე ფიქრობდნენ გერმანელები, ასე ფიქრობდნენ ჯერ კიდევ გუშინ, როდესაც უგუნური დაპირებებით თავბრუდახვეულნი ყოველისმომსპობ ომს აჩაღებდნენ და, ვინ იცის, შიგადაშიგ ასე ფიქრობენ ახლაც, როცა ბერლინის შუაგული კვლავ უღვთოდ დანგრეულია, როცა უთვალავი მუშახელი დღესაც თავს დასტრიალებს ნანგრევებს და ასობით სატვირთო მანქანას ქალაქგარეთ გააქვს ამ ოციოდე წლის წინათ ნაცარტუტად ქცეული სასახლეები, ფაბრიკები, ბიბლიოთეკები, ტაძრები, მუზეუმები, მთელი კვარტალები. ნანგრევების ქვეშ თითქმის ყოველდღე პოულობენ ომის მსხვერპლთა მიწისგან შეჭმულ გვამებს...

პერგამონ-მუზეუმში კი თეთრად ქათქათებს სხვისი კულტურის შუბლი, უცხო მზე და უცხო ნაპირი...

40

ქალაქის მთავარი ქუჩები ფრიდრიხ-შტრასე და უნტერ-დენ-ლენდენი ერთიმეორეს ჰკვეთენ სარკინიგზო სადგურის მახლობლად. ფრიდრიხშტრასე ქალაქის შუაგულში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიემართება, ხოლო უნტერ-დენ-ლინდენი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამბობენ, ამ ორი მაგისტრალის გადაკვეთის ადგილზე დიდი გვირაბი უნდა აშენდესო. მაშინ ფრიდრიხშტრასე უნტერ-დენ-ლინდენის ქვეშ გაივლის და ხალხმრავალ და დღეიადაგ მანქანებით გაჭედილ გზაჯვარედინზე მოძრაობა გაიოლდება.

თუ ფრიდრიხშტრასეს ჩრდილოეთისაკენ გაჰყვები, მაღალი რუხი სახლებით შემოზღუდულ მოედანზე გახვალ. მოედანს ორანიენბურგერ ტორი ჰქვია. გასული საუკუნის შუა წლებამდე აქ საბაჟოს კედელი გადიოდა, კედელში კი „ტორ“ — ჭიშკარი იყო დატანებული. აგურის მაღალი კედელი ქალაქის ჩრდილოეთ საზღვრად ითვლებოდა. ჭიშკარში შემომსვლელი მექარავნენი ბაჟს გადაიხდიდნენ და ქალაქში ფეხის შემოდგმის უფლებას მხოლოდ ამის შემდეგ მოიპოვებდნენ.

სწორედ ორანიენბურგერ ტორის მახლობლად, შოსე-შტრასეს უღიმღამო ჩიხში, გიჩვენებენ გერმანელ მეცნიერთა, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს. საფლავის ქვებზე მარცვალ-მარცვალ ამოიკითხავ გოთური შრიფტით გამოყვანილ წარწერებს: „ხუროთმოძღვარი იოჰან გოტფრიდ შადოვი“, „ექიმი ქრისტოფორ ვილჰელმ ჰუფელანდი“, „ბერტოლდ ბრეხტი“, „იოჰანეს ბეხერი“ და აი — ბერლინის უნივერსიტეტის სახელგანთქმული პროფესორები, გერმანული ფილოსოფიური აზრის გოლიათები — იოჰან გოტლიბ ფიხტე და გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი...

შოსე-შტრასედან ფრიდრიხ-შტრასეს ვაგზლამდე ოციოდე წუთის სავალია. უკან გამობრუნებული ისევ უნტერ-დენ-ლინდენს მიადგები და თუ აქ მზერას მარჯვნივ მიაპყრობ, ღრუბლის პატარ-პატარა ქულებით შებუმბლული ლურჯი ცის ფონზე ბრანდენბურგის ჭიშკარს დაინახავ. ეს ულამაზესი ჭიშკარი მოლიანად ჰკეტავს დიდი ბომბარდირებების შემდეგ ჯერაც აღუდგენელ საელჩოების ძველისძველ ქუჩას — უნტერ-დენ-ლინდენს. იმას იქით შენობათაგან აღარაფერი ჩანს და ვიდრე

ახლო მიხვიდოდე, გგონია, რომ ქალაქი აქ მთავრდება.

ბრანდენბურგის ჭიშკრის მისადგომებთან ოდესღაც მართლა მთავრდებოდა ქალაქი. აქ თავს იყრიდა პრუსიის დასავლეთ პროვინციებიდან მომავალი გზები. მაგდებურგიდან დღისით ჩამოსული ვაჭრები ჭიშკრის ჯიხურში ბაჟს იხდიდნენ და შორი მოგზაურობით მოქანცულნი თავიანთი საქონლის გასასაღებლად ბერლინში შემოდიოდნენ.

ბრანდერბურგის ჭიშკრის მშენებლობა ახალი დაწყებული იყო, როდესაც მეზობელ საფრანგეთს რევოლუციის ხანძარი წაეკიდა. ჭიშკრის მშენებლებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ. ფილოსოფიურად ჩაფიქრებულ ბერლინს დამთხვეული პარიზის ასაყოლად და მხრის ასაბმელად აბა სად ეცალა. წლის კიდევ ერთი შემობრუნებაც და ჭიშკრის კოლონადის თავზე დაიდგა ოთხცხენშებმული საომარი ეტლი. მას პირი ბერლინისაკენ ჰქონდა. ეტლზე ფრთოსანი ქერუბინი იდგა, ხელში გრძელი შუბი ეჭირა და ისედაც ვადარეულ სპილენძის ცხენებს კიდევ უფრო აფიცხებდა.

ბარბაროსი აღმოსავლეთის დასამორჩილებლად წამოსულმა ნაპოლეონ ბონაპარტემ იოჰან შადოვის ხელით გამოქანდაკებული და ჩამოსხმული სკულპტურული ჯგუფი ბრანდენბურგის ჭიშკრიდან მოახსნევინა და, როგორც სამხედრო ალაფი, პარიზში გაგზავნა, მაგრამ ნაპოლეონის იმპერიის დაცემის შემდეგ გამარჯვებული ქერუბინი ისევ მშობლიურ ბერლინს დაუბრუნდა, რათა დედაქალაქის სიმბოლოდ ქცეული ბრანდენბურგის ჭიშკარი კვალინდებურად შეემკო და დაემშვენებინა.

ბრანდენბურგის ჭიშკრის უკან ოცდაათიოდე ნაბიჯზე გადის ის კედელი, დასავლეთ ბერლინთან კავშირის გასაწყვეტად ერთი ღამის განმავლობაში რომ ააშენეს. ჭიშკარს მესაზღვრეები დარაჯობენ. ძველი საბაჟოს ჯიხურში გამშვები პუნქტია მოთავსებული.

ქალიშვილივით ლოყებპუტკუნა მესაზღვრე ოფიცერმა ჯიხურის მეორე სართულზე აგვიყვანა და წვრილი ელნათურებით გაწყობილი დიდი ბერლინის გეგმა გვაჩვენა. პოლიტიკური პროვოკაციები და დივერსიები თურმე არც კედლის აშენების შემდეგ შეწყვეტილა. ჯაშუშები, კონტრაბანდისტები და ჩარჩები ახლაც ყოველი ღონით მოისწრაფვიან აღმოსავლეთ ბერლინში შემოსაღწევად. ბერლინელ მესაზღვრეებს დიდი ჯაფა ადგათ.

ვინაიდან დასავლეთ ბერლინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებშია და აქეთ მომავალი გზებიც აღმოსავლეთ გერმანიის მიწაზე და საჰაერო სივრცეში გამოივლიან, იგი ყოველისმხრივ შემოღობილი და გამაგრებულია ეკლიანი მავთულხლართით და მესაზღვრეთა საგუშაგოებით.

ლოყებპუტკუნა ოფიცერი რიგრიგობით ახთებდა დიდი ბერლინის გეგმაზე დამსხდარ წვრილ-წვრილ ნათურებს. ანთებული ნათურების შემწეობით ადვილად შეიძლებოდა გაგება თუ სად და როდისაა ნებადართული ქალაქის ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში შესვლა და რა საბუთებია ამისათვის საჭირო.

სულ ბოლოს შევნიშნე: ჯიხურის ოთხსავე კედელზე შუშის ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათები ეკიდა. ოფიცერი კედელთან მივიდა და წვერწამახული ჯოხით ერთ-ერთ სურათზე მიგვითითა.

ფილაქანზე პირქვე დამხობილი ჯარისკაცი ეგდო. იქვე დავარდნილიყო შავად გალაპლაპებული ავტომატი.

სურათზე გამოხატული ამბავი პირველ შეხედვისას ტაქტიკური მეცადინეობის ილეთი მეგონა, მაგრამ ყურადღება განზე მიგდებულმა ავტომატმა მიიქცია. ჯარისკაცს მუდამ ხელთ უნდა ეპყრას თავისი საბრძოლო იარაღი, თვით ძილშიაც კი...

ლეონასმა ოფიცრის ნათქვამი გადმოთარგმნა და ყველა სახტად დავრჩით.

პირქვე დამხობილი ჯარისკაცი ერთი იმ მესაზღვრეთაგანი იყო, ვინც ვითომდა ბრმა ტყვიის მსხვერპლი გახდა

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

გამყოფი კედლის ახლომახლო ბრძა ტყვიები არცთუ ისე იშვიათად წივიან. იწერება პროტესტები, ნოტები, უცხო სახელმწიფოთა ელჩების მეშვეობით აქეთა ბერლინის მაგისტრატი ცდილობს იქითა ბერლინის მთავრობის ყურადღება მიაპყროს ამ გარემოებას, მაგრამ ბრმა ტყვიები დროგამოშვებით მაინც წივიან და ყოველ გასროლას ვინმე ყმაწვილ მესაზღვრის სიცოცხლე ეწირება...

ოფიცერმა წვერწამახული ჯოხი კუთხეში მიაყუდა და ხის ციცაბო კიბეზე ჩაგვიძღვა. ჯიხურის პირველ სართულზე ახალგაზრდა მესაზღვრე ჯარისკაცები ბრანდერბურგის ჭიშკრის სამახსოვრო სურათებს არიგებდნენ. მე ამათ უდარდელ, ბავშვურ სახეებს ვაკვირდებოდი და ვცდილობდი გონებიდან ამომეგდო ფილაქანზე გაშხლართული ბიჭის სურათი. თოფის ტუჩიდან გამოვარდნილი ტყვია მართლა ბრმაა. იმისათვის სულ ერთია, ვის მოხვდება...

სულ ახლო მანძილიდან ბრანდენბურგის ჭიშკარი მთლად უზარმაზარი ჩანს. დაღარული მრგვალი სვეტები შიგნით კედლებად ქცეულან და მოპირდაპირე მხარის სვეტებს ყრუდ უერთდებიან. აღმოსავლეთ ბერლინისაკენ გამოქანებულ სპილენძის ეტლს და შიგ გაბმულ ყალყზე შემდგარ ცხენებს რამდენიმე საფეხურისაგან შემდგარი ლავგარდანი ეფარება.

ბერლინის ამ სიმბოლოს შინაურმა და გარეულმა დიდი ხანია თვალი შეაჩვია და ახლა ძნელიც კია კაცმა უცებ თქვა, ბრანდენბურგის ჭიშკრის არქიტექტურულ სახეს გერმანული სულის ნიშანწყალიც არ ატყვიაო. ეს კი მართლა ასეა. ბრანდენბურგის ჭიშკრის აგებისას ნიმუშად და ეტალონად ათინის პროპილეუმს გულისხმობდნენ და ამიტომ იმისი ხაზები პერგამონ-მუზეუმში დაცულ ბერძნულ სასახლეებს უფრო მოგაგონებს, ვიდრე ძველი ან ახალი ბერლინის რომელიმე სხვა შენობას.

41

ჭიშკარს გასცდები ეროვნული ბიბლიოთეკა ვიდრე დედაქალაქის გამყოფ კედელს ათიოდე ნაბიჯზე დაუახლოვდებოდე, დაინახავ მოაჯირშემოვლებულ მაღალ ტრიბუნას, რომელიც აქ დასავლეთ ბერლინში გადასახედავად აუშენებიათ. კედლიდან ამავე მანძილის მოშორებით, ოღონდ დასავლეთის მხარეს, დგას მეორე ტრიბუნაც, საიდანაც დასავლელი ტურისტები ბრანდენბურგის ჭიშკარს და სვეტებსშუა ნაცრისფერ ზოლებად წაგრძელებულ უნტერ-დ ე ნ-ლ ი ნ დ ე ნ ს უთვალთვალებენ.

ტრიბუნები ყოველთვის სავსეა ხალხით...

კედლის გადაღმა თვალის მომჭრელად ლაპლაპებს ახალი მაღალი სახლებით დამშვენებული ფართო პროსპექტი. მახლობელი სახლების წინ სხვადასხვა ფერის კომფორტაბელური მსუბუქი მანქანები დგანან და ტრიბუნაზე ასულ სათვალიან და უსათვალო მგზავრებს უცდიან.

მარჯვნივ მოჩანს პარკის ბილიკი, განაპირა ნორჩი ხეები და კვარცხლბეკზე შეყენებული მწვანე ტანკი. ტანკს თავმომსხვილებული გრძელი ზარბაზანი პარკის სიღრმისაკენ მიუშვერია. ზარბაზნის ლულას თვალს გააყოლებ და დაინახავ ვეებერთელა შენობის უზარმაზარ ნანგრევებს. ნანგრევების გარშემო არც ხარაჩოებია, არც დარაბები, რითაც ჩვეულებრივ სამშენებლო მოედანს ფარავენ ხოლმე.

ეს ის შენობაა, რომელიც ავად მოსაგონარი წლის 27 თებერვალს დაიწვა და რის გამოც იმავე წელს ლაიპციგის საქვეყნოდ გახმაურებული პროცესი გაიმართა — გერმანიის რაიხსტაგი... პოტსდამის საკათედრო ტაძრის ნანგრევებთან ერთად რაიხსტაგიც ნანგრევებად დარჩება და კაცობრიობის მომავალ თაობებს გარდასულ უბედურებას გაახსენებს.

ბრანდენბურგის ჭიშკარში შემობრუნებისთანავე ლეონასმა უნტერ-დენ-ლი-

ნდენის მარჯვენა მხარეს გამახედა და ძველებური ყაიდის მკვიდრი შენობა დამანახა. მრგვალსვეტებიანი ფართო შენობა, რომელიც აქეთობისას რატომღაც თეატრი მეგონა, ბრანდენბურგის ჭიშკრიდან ასი-ასორმოცდაათი ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული. ეს იყო საბჭოთა კავშირის საელჩო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. „მერე ასე ახლოს ორი სამყაროს მიჯნასთან? ნუთუ ამოდენა ბერლინში სხვა ადგილი, უფრო მყუდრო და უშიშარი, ვერ მოიძებნა?“ — უნებლიედ დაგებადება კაცს აზრი.

იმ დროს, როდესაც მრგვალსვეტებიანი სასახლის ადგილზე რუსეთის საელჩოს საძირკველი ჩაეყარა, ბერლინი პრუსიის ერთიანი და განუყოფელი სატახტო ქალაქი იყო. იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ სამასი ურემი რუსული მიწა გამოგზავნა სმოლენსკის გუბერნიიდან და აქ დააყრევინა, რათა სასახლის აგების შემდეგ რუს დიპლომატებს თავი მშობლიურ ნიადაგზე ეგრძნოთ...

ეკატერინესეული სასახლე მეორე მსოფლიო ომში მთლიანად დაინგრა. ომის შემდეგ მოსკოვიდან ჩამოსულმა ხუროთმოძღვრებმა და მშენებლებმა ტრადიციულ ადგილზე ახალი, ოღონდ ამჯერად უფრო ბრწყინვალე და დიდი სასახლე ააშენეს...

საელჩოს რკინის კარი ზარის ღილაკზე თითის მიკარებისთანავე გაიღო. შევედით ასფალტით მოგებულ ვიწრო ეზოში, სადაც სადარბაზო კიბის წინ რამდენიმე მსუბუქი მანქანა იდგა.

სანდომიანი სახის ქერა ახალგაზრდამ, რომელმაც კიბე თვალის დახამხამებაში ჩამოირბინა, სასახლის მარცხენა ფლიგელში ცალფა კარი გაგვიღო და ბროლის ჭაღით განათებულ მოზრდილ ოთახში შეგვიყვანა. აქედან ორი კარი გადიოდა წითელ ხალიჩით მოფენილ ფართო ტალანში და კიდევ ერთი კარი მგონი მეზობელ ოთახში.

ქერათმიანი ყმაწვილი წამით სადღაც გაქრა, მაგრამ ისევ მალე დაბრუნდა. თან სამი ახალგაზრდა კაცი მოიყვანა —ალბათ, აქაური საელჩოს მუშაკები. სამივენი ახლო ნათესავებივით შემოგვეხვივნენ და, თუმცა ერთმანეთს ამბები ჩვენზე უკეთ ეცოდინებოდათ, კითხვა კითხვაზე მოგვაყარეს. საშკას გარშემო წრე შეიკრა. მოსკოველი ექიმები ატკრციალდნენ. ცოტაც და ამათ მშობლიური ენის მუსიკას მონატრებული დიპლომატებიც აჰყვნენ. იმისთანა ამბავი შეიქნა, ქუჩაში უსათუოდ გაჩერდებოდა ვინმე გამვლელი და დაეჭვებული მიიხედ-მოიხედავდა, ეს ამისთანა სიცილ-კისკისი მართლა საელჩოს შენობიდან გამოდის, თუ მე მომეჩვენაო.

ელჩი ხუთიოდე წუთის შემდეგ ვინახულეთ „ღერბების დარბაზში“. ეს იყო ორმოცდაათ წელს მიტანებული წარმოსადეგი კაცი, რომლის სავსე მხარბეჭს გემოვნებით შეკერილი შავი პიჯაკი მოხდენილად ადგა. ელჩის სისხლჭარბ, სუფთად გაპარსულ სახეს სავსებით მშვიდი, ლურჯი თვალები და მოკლედ შეკრეჭილი ჩალისფერი თმა ახალგაზრდულ შესახედაობას აძლევდა. ყელზე პაწაწინა განაკაწრი აჩნდა. გახამებულ საყელოს მომრგვალებული ნიკაპის ჩამოსწვრივ ხშირი პარსვით გაღიზიანებული კანი მოეხეხა. განაკაწრი. ეტყობა, აწუხებდა, რადგან ხანგამოშვებით ზედ ოთხად მოკეცილ ცხვირსახოცს იდებდა.

ღერბების დარბაზი რამდენიმე მაღალი და განიერი ფანჯრით საელჩოს ვიწრო ეზოს, შავად შეღებილ რკინის ჭიშკარს და მანქანების სწრაფი მოძრაობით ერთთავად მოგუგუნე უნტერ-დენ-ლინდენს გადაჰყურებდა. ამ სადად მოწყობილ დარბაზში ერთადერთი გრძელი მაგიდა და მაგიდის ირგვლივ ორმოციოდე სკამი იდგა. დარბაზს და მაგიდას მრავალი დიდი, საერთაშორისო მნიშვნელობის შეხვედრა და მოლაპარაკება ახსოვს. სულ ბოლოს აქ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი გამართულა და კაკლის მასიური მაგიდის გარშემო სახელმწიფოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები მსხდარან.

ელჩი მაგიდას პირველი მიუჯდა და

მაშინვე ლაპარაკი დაიწყო. არცთუ ისე დიდი ხანია აქა ვარო. დიპლომატიურ სამუშაოზეც ახლახან გადმოვედიო. ადრე სმოლენსკის ოლქში ემუშავნა. ეკატერინე მეორის გამოგზავნილი სამასი ურემი მიწაც იმ წამსვე მოიგონა და კარგად შენახული დიდრონი კბილები გამოაჩინა. ისე, რომ თავს აქ მშობლიურ ნიადაგზე ვგრძნობო.

შემდეგ, საუბრის დროს, თავის საყვარელ კუთხეს — სმოლენსკის ოლქს— კიდევ არაერთჯერ გადასწვდა. თითქოს განგებ ეძებდა საბაბს, როგორმე ისეთი რამ ეთქვა, რომ სმოლენსკის ოლქის ხელახალი ხსენება მოსახერხებელი გამხდარიყო. როდესაც სიტყვა გერმანიის ორივე სახელმწიფოს სოფლის მეურნეობას და სურსათით მოსახლეობის მომარაგებას შეეხო, ელჩმა იქაური მონაცემები სმოლენსკის ოლქის მონაცემებს შეადარა...

მედიცინის პროფესორმა, ძალზე მოკრძალებულმა და ერთთავად საკუთარ ფიქრებში ჩაძირულმა ქალმა, რომლის ხმა აქამდე თითქმის არავის გაუგონია, ბოდიში მოიხადა და ელჩს სიტყვა შეაწყვეტინა. ქალმა დიდხანს იწვალა, ვიდრე შეკითხვას თავს მოუყრიდა. დამნაშავე მოწაფესავით წამოწითლდა, მაგრამ ეს მაშინვე იგრძნო, შერცხვა და სცადა უფრო თამამად ელაპარაკა...

პროფესორს სურდა შეეტყო, თუ რა ადგილი უკავია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტელიგენციას ხალხის ცხოვრებაში და რით შეიძლება იმ ამბის ახსნა, რომ ომის შემდეგ თვით ბერლინში და ქვეყნის სხვა დიდ-ქალაქებში ძალიან ბევრი უცხო ტომის ექიმი და ინჟინერი მუშაობს...

ელჩი თავჩაღუნული უსმენდა პროფესორს, მხოლოდ დროდადრო ასწევდა ხოლმე მშვიდ, ლურჯ თვალებს, სივრცეს გაუშტერებდა და ისევ დახრიდა.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. თვით მოუსვენარმა საშკამაც კი შეესწყვიტა ცმუკვა, თავი გვერდზე გადახარა და სმენად გადაიქცა.

დარბაზში მყოფთაგან, ალბათ, ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცოდა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ექიმები, მათ შორის ახლად-კურსდამთავრებულნიც, არაჩვეულებრივად დიდ ხელფასს იღებენ. არანაკლებ დიდი ხელფასი აქვთ მშენებელ ინჟინრებსაც...

დასავლეთ ბერლინის მესვეურებმა, ვისაც დახმარების ხელს უწვდიან ბონი და ამერიკის შეერთებული შტატები, ომში უმაგალითოდ დაზარალებული აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიური საძნელეები გაითვალისწინეს და ბერლინის დასავლეთ სექტორში მკვეთრად აუწიეს ხელფასი იმ პროფესიის ადამიანებს, რომლებიც განსაკუთრებით ესაჭიროება, ერთის მხრივ, მოსახლეობას და, მეორეს მხრივ, აღდგენითი სამუშაოების გამო ყელამდე ვალებში ჩაფლულ ნამარ სახელმწიფოს—ექიმები და მშენებელი ინჟინრები...

მეტი ხელფასის მიღებას მოწადინებული ბევრი ახალგაზრდა ექიმი და ინჟინერი, რომელთა აღზრდასა და კაცად გახდომას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ათასობით მარკა დასჭირდა, უმაღლესი განათლების მიღებისთანავე დასავლეთ ბერლინისაკენ მიეშურებოდა და შესაფერის სამუშაოს იქ ეძებდა. ან ძებნა რად უნდოდა. უკანასკნელი კურსის სტუდენტებთან მოსალაპარაკებლად თავადვე ჩამოდიოდნენ ფირმების წარმომადგენლები და მომავალ სპეციალისტებს წინასწარ იბეებდნენ. თუ სამუშაოდ დასავლეთ ბერლინში მოხვდებოდი, იქიდან ადვილი იყო ბონს გამგზავრებაც...

ზნეობრივი შეგონება ამაო აღმოჩნდა. რასაკვირველია, ყურადღებას ყველა როდი აქცევდა იმას, რომ ექიმისა და ინჟინრის უზომოდ გაბერილი ხელფასი პოლიტიკური შანტაჟი იყო და არა ეკონომიური კანონებით ნაკარნახევი აუცილებლობა.

ბოლოს საქმე იმ ზომამდე გამწვავდა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული შეიქნა ექიმისა და ინჟინრის ხელფასი შესაბამისად გაედიდებინა, ვარშავის

ხელშეკრულების მონაწილე მეგობარი სახელმწიფოებისათვის კი თხოვნით მიემართა, რათა ამ უკანასკნელთა ქვეშევრდომებს დროებით დაეკავებინათ ექიმებისა და ინჟინრების განთავისუფლებული ადგილები...

—ეგ ხომ ნამდვილი ომია!—სამარისებურ სიჩუმეში წამოიძახა საშკამ.

—მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სისხლი არ იღვრება,—თქვა ელჩმა და მშვიდი, ლურჯი თვალები საშკას მაგიერ პროფესორს მიაპყრო. მერე გახამებული საყელოთი მოხეხილ ყელზე ცხვირსახოცი მოისვა და თითქმის შეუმჩნევლად სიტყვა მედიცინაზე გადაიტანა.

ელჩმა, ალბათ, იცოდა რომ წინა დღეს პროფესორმა შარიტე მოინახულა და უნდოდა შეეტყო, რა შთაბეჭდილებით ბრუნდებოდა ის სამშობლოში.

პროფესორმა სერიოზულად და დაწვრილებით დაიწყო თავისი შთაბეჭდილების გადმოცემა. თითქოს სამეცნიერო კონფერენციაზე ყოფილიყოს, აზრის ჩამოსაყალიბებლად ზუსტ ფორმებს ეძებდა და ალაგ-ალაგ ერთ ადგილზე იბეკნებოდა. უხერხული მდგომარეობიდან ისევ ელჩმა გამოიყვანა—მორიდებულად შეაპარა, თქვენი მოსაზრებები ფრიად საყურადღებოა და დიდად მოხარული ვიქნები, თუ ამ საღამოს მობრძანდებით, ვინაიდან ორნი უფრო საგულდაგულოდ მოვილაპარაკებთო. პროფესორმა, რომელიც შინაგანად ამაყი ქალი იყო, თავაზიანი მიწვევისათვის ელჩს მადლობა გადაუხადა, მხოლოდ უეცრად მაინც ვერ გაჩერდა, როგორც დიდი სიჩქარით მიმავალი მატარებლის შემადგენლობა ჩაკეტილ სემაფორთან.

აუდენცია, ალბათ, დამთავრებული იყო. დარბაზში ნაცნობი ქერა ჭაბუკი შემოვიდა, ელჩს ფეხისწვერებზე მიუახლოვდა, დაიხარა და ყურში რაღაც წასჩურჩულა. ამასობაში ჩვენც წამოვიშალეთ.

— მოსკოვიდან ახალი სურათი მიუღიათ,—თქვა ელჩმა და თვითონაც წამოდგა,—„გალინა ულანოვა". თუ შემოვლა არ დაგეზარებათ, საღამოს შვიდ საათზე სიამოვნებით ვნახავდი თქვენთან ერთად. ამბობენ, გვარიანი სურათიაო. ახლა კი ნება მიბოძეთ ჩიჩერონობა გაგიწიოთ და ეს ჩვენი პატარა ქოხი დაგათვალიერებინოთ.

გავედით მეზობელ „თაღიან დარბაზში". აქ თურმე ბანკეტებსა და წვეულებებს მართავენ ხოლმე. სტუმრების მიღებისას და გასტუმრებისას ელჩის ადგილი კართანაა. თვითეულ სტუმარს საღამოს განმავლობაში ხელი ორჯერ უნდა ჩამოართვას. ელჩმა სიცილით დაუმატა, მარჯვენა ხელისგულზე კანი მაქვს გათხელებულიო და მომდევნო დარბაზის ორივე კარი გააღო.

ამ მესამე, შედარებით მცირე ოთახს „მონადირეთა დარბაზს" ეძახიან.

დარბაზების სახელწოდებები შემთხვევითი ყოფილა. „მონადირეთა დარბაზში", მაგალითად, სურიკოვის ცნობილი სურათი ჰკიდია და დარბაზისათვის ეს სახელი სწორედ ამ სურათის გამო დაურქმევიათ.

უფრო შეეფერება თავისი სახელი წვეულებათა დარბაზს. ის მართლაც თაღიანია და სხვა დარბაზებთან შედარებით ბრწყინვალედ, სწორედ ეკატერინე მეორის დროისათვის შესაფერისი ფუფუნებითაა გაწყობილი...

42

ნასადილევს ლეონას სტეპანაუსკასმა ვარიეტეს თეატრის ბილეთები მოიტანა და, სამწუხაროდ, ელჩის სტუმართმოყვარეობით ვეღარ ვისარგებლეთ. საღამოს ძალიან ციოდა, სუსხიანი ქარი ქროდა და ქუჩებში მტვერს აყენებდა. ვარიეტეს თეატრი იქვე იყო, შპრეეს გადაღმა და თუმცა უსიამოვნო ქარბორია ქუჩებში შეუჩერებლივ დაძრწოდა, ფეხით გასეირნება ვამჯობინეთ.

ბერლინში საგასტროლოდ იყო ჩამოსული აფრიკის საბალეტო დასი. წარმოდგენები ვარიეტეს თეატრში იმა-

რთებოდა. რესპუბლიკის სტუმრებს ორმაგად გვიზიდავდა აფრიკის ბალეტის ნახვა. ჯერ ერთი, იმის შესატყობად, თუ რას წარმოადგენდა ეს გახმაურებული „აფრიკის ბალეტი“ და მეორე, რაც მთავარია, როგორ შეხვდებოდა აფრიკელთა ხელოვნებას — სავსებით უცხო ხილს—ბერლინელი მაყურებელი.

თეატრში მხოლოდ პროფესორმა ვერ შესძლო წამოსვლა. მას საელჩოს მანქანა ადრევე მოუვიდა და ელჩის ხელახლა მოსანახულებლად სადარბაზოდ გამოწყობილი გაემგზავრა.

სახეშეშუპებულ მოხუც ქალს, რომელსაც ვინ იცის რამდენი ახალგაზრდა ექმი გამოეზარდა და თვითეულისათვის მშობლიური სითბო გაეტანებინა, მოუხერხებლად შენიღბული მღელვარება ემჩნეოდა. სადილზე გადამეტებულად მხიარული იყო. აქამდე ჩუმი და ფიქრებში ჩაყურყუმალავებული მისი ასაკისა და მდგომარეობისათვის შეუფერებლად ხმამაღლა იცინოდა. ეს ნერვების მოშლილობას უფრო ჰგავდა. ქალი შინაგანად ემზადებოდა იმისათვის, რომ მის მიერ წარმოთქმული ყოველი სიტყვა იქ, საელჩოში, საგულისხმო ყოფილიყო. ეჭვობდა, ვაითუ მარტო თავაზიანობის გამო მისმენენ და უკვე არავის აღარაფერში ვარგივარო. მის ჭოჭმანსა და წუხილს ბოლო მანქანის მოსვლამ მოუღო. მაშ ელჩს სერიოზულად მიუპატიჟნია და უნდა მოეთათბიროს...

ხიდზე ჭირვეული ქარი უბერავდა. ხალხს ტანსაცმელს აგლეჯდა, კაბის კალთებს ატლაშუნებდა და თავპირზე ცალხელაფარებული ქალები, მეორე ხელით რომ სანახევროდ წამოხდილი კალთა ეჭირათ, წვრილი ქუსლების კაკაკუკით გარბოდნენ გაღმა ნაპირისაკენ.

თუმცა ჯერ მხოლოდ შვიდი საათი იყო, უკვე ბნელოდა. ჯანღით თუ ქარხნების ბოლით მოგრაგნილი ცა უცნაურად დადაბლებულიყო, როგორც საერთოდ ჩრდილოეთის ქალაქებში იცის ხოლმე და სხვადასხვა სიმაღლის ნაცრისფერ სახლებს ზედ სახურავზე დასწოლოდა.

აბეზარი ქარის ქროლვა და ჰაერში ქაღალდის ნაფლეთებისა და მტვრის ტრიალი მხოლოდ მაშინ შეწყდა, როდესაც ხიდს იქით სანაპირო ქუჩა გადავჭერით და ვარიეტეს თეატრის გვერდითი კედლის გასწვრივ ვიწრო ქუჩაში შევუხვიეთ.

თეატრის მთავარ შესასვლელთან აუარებელი ხალხი ირეოდა. ეს როდი იყო გასაკვირი. წრიულად მორკალულ და რამდენიმე იარუსად ჭერამდე ამაღლებულ პარტერსა და ამფითეატრებში სამიათასი დასაჯდომი ადგილია. ზღვა ხალხი მისეოდა გარდერობებსაც. სხვებს უკვე გაეხადათ და თავიანთი ადგილის მოსაძებნად მიეშურებოდნენ. ის იყო, პარტერის უკანასკნელ რიგში ადგილი დავიკავეთ, დარბაზში სინათლე გამკრთალდა, მერე ერთბაშად ჩაქრა და ფარდა აიხადა.

ცარიელი სცენის სიღრმეში თვალი შევასწარით ჯოხებზე გაკიდებულ ჭრელ-ჭრელა ტანსაცმელს. კიდევ უფრო უკან ტილოზე მიხატული ლერწმის ქოხები და ბანანები მოჩანდა.

დარბაზში გამეფებული სამარისებური სიჩუმე უცებ ველურმა ხმებმა დაარღვია. არ გაუვლია ორ წამსაც, მარცხენა მხრიდან სცენაზე ნახევრად შიშველი ყავისფერკანიანი ქალები შემოცვივდნენ და წინ და უკან სირბილი და სხეულის ნაკვთების რხევა და თახთახი დაიწყეს. ამათ შუბებით შეიარაღებული სპილენძისფერი კაცები მოჰყვნენ. ესენიც რაღაცას გაჰყვიროდნენ და ხან შეთანხმებულად, ხან ცალ-ცალკე ქალების გარშემო დარბოდნენ და შუბებს ჰაერში ისროდნენ.

რაიმე წესრიგი და სანახაობის შინაგანი წყობა ძნელი შესამჩნევი იყო. თითქოს ყველა თავისთვის ცეკვავდა და სცენაზე, ამდენი ხალხის წინ, იმას აკეთებდა, რაც სახელდახელოდ მოაგონდებოდა.

სანახაობა ისევე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც დაიწყო: ტერფებ-დაღვლარჭნილი, შიშველი დედაკაცები და შუბებით შეიარაღებული თმახუჭუჭა ჭაბუკები სცენის სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ და ფარდებს ამოეფარნენ.

გაისმა ტაში. უნებლიე გარინდებიდან ამ უკანასკნელმა ხმამ გამომიყვანა. გაკვირვებულმა მივიხედ-მოვიხედე—ნუთუ მართლა ტაშს უკრავდნენ?

წამის წინ კულისებში გაცვენილი მოცეკვავენი უცებ ისევ სცენაზე შემოცვივდნენ, ავანსცენას მოუახლოვდნენ და მაყურებლებს თავი დაუკრეს.

ისევ აბრაგუნდნენ დოლები, აწივდნენ. წინწილები, კულისებში ვიღაცამ გულშემზარავად შეჰყვირა და სცენა უცებ გააფთრებული მეომრებით აივსო. მეომრები სცენის შუაგულში მოგროვდნენ, ერთიმეორეს გადაეჯაჭვნენ და თან ჰაერში შუბებს ატრიალებდნენ. ცრცხალი ადამიანებისაგან შემდგარი მორგვი უეცრად ღრიალითა და ჟივჟივით დაიშალა და სცენის შუაგულში ახლა ერთადერთი უბედური ადამიანიღა დარჩა—ახალგაზრდა, თმაგაწეწილი ქალი, ვის დასათრგუნავადაც მეომართა თავშეუკავებელი მრისხანება იყო მიმართული.

ნაცემ-ნაგვემი და თმით ნათრევი ქალი ფეხზე ძლივს დგებოდა და შესაბრალისად ბარბაცებდა.

ირგვლივ შემოხვეული ბრბო ღრიანცელით იკლებდა იქაურობას. აი, ერთი, მეორე, მესამე მეომარი წრიდან გამოიჭრებოდა, საბრალო ქალს უჩქმეტდა ან სახეში მუშტს შემოჰკრავდა და ვალმოხდილი ისევ წრეს უბრუნდებოდა...

საბრალო ქალი, რომელსაც, ეტყობოდა, მართლაც დიდი დანაშაული მიუძღვოდა მშობელი ტომის წინაშე, ყრუდ დაიკვნესებდა და იქით გადავარდებოდა, რა მხარესაც უბიძგებდნენ...

მალე სცენაზე ნახევრადშიშველი და მთლად დედიშობილა ადამიანების ახალი ჯგუფები შემოიჭრნენ და წრის შუაგულში მოქცეული ყმაწვილი ქალის გარშემო სხეულის ნაკვთების თახთახს, ყივილს, ყმუილსა და ყეფას მოჰყვნენ.

იმ საცოდავ ყმაწვილ ქალს, ვისაც უსათუოდ მოსისხლე ტომის ბელადის შეყვარება და ავხორცობა ედებოდა ბრალად, ტროპიკული მცენარის კანისაგან შეკოწიწებული სარტყელი შემოაგლიჯეს და სულ გააშიშვლეს.

ქალი ძირს დაეცა.

ამ დროს სცენის სიღრმიდან, სადაც ლერწმის ქოხები და ბანანები იყო დახატული, ჯუჯა-კაცი გამოვარდა. მან ზეაწეული ხელისგულები მხრების სიმაღლეზე დაიკავა და ტანის ოდნავ შესამჩნევი რხევით წინ წამოვიდა.

კულისებიდან დოლის მოგუდული ბრაგუნი ისმოდა.

შეშინებული მეომრები და შიშველი დედაკაცები უკან-უკან იხევდნენ და ჯუჯა-კაცს გზას აძლევდნენ.

ჯუჯას სახე არ უჩანდა. დაგვალულ ტანზე ალისფერი ბრჭყვიალა ქსოვილ: შემოეტმასნა, თავზე კი საშინლად მახინჯი კაცის ნიღაბი ჰქონდა ჩამოცმული.

დოლის ბაგა-ბუგი წუთ-წუთობით ძლიერდებოდა. ტომის ბელადი თუ ღვთაება დინჯად უახლოვდებოდა თავის მსხვერპლს—იატაკზე უმწეოდ განრთხმულ ნაცემ-ნაგვემ გოგონას...

უცებ ჯუჯა ძირს დაიხარა, შეძრწუნებულ ქალს ხელი სტაცა, ჯიჯგნა დაუწყო და მერე თავისი ველური ქვეშევრდომების მსგავსად ხტუნაობას, მანჭვა-გრეხასა და ხელების სავსავს მოჰყვა.

აქამდე გაქვავებული ბრბო ამოძრავდა. ისევ მოისმა ყიჟინა და შეძახილები. ჯუჯა გაფიცხდა. მალაყებს გადადიოდა და ისევ ფეხზე დგებოდა. ამ სცენის დროს შემზარავი ის იყო, რომ, როდესაც ცეკვის თვითეული მონაწილე სხეულის მოძრაობასთან ერთად სახის ნაკვთებსაც მანჭავდა, ჯუჯას თავზე ჩამოცმულ ნიღაბს მახინჯი ადამიანის უცვლელი და შეუშფოთებელი გამომეტყველება არ შორდებოდა.

კულისებიდან ახალი მუსიკალური

საკრავის—პოლიციელის სასტვენის ხმა მოისმა. მოცეკვავენი ერთ ადგილზე გაქვავდნენ და გულისყური იქით მიაპყრეს, საიდანაც სცენაზე სასტვენის ფშვიტინ-ფშვიტინი შემოდიოდა. ნეტავი ვისღა ეკრძალებოდნენ. თვით ტომის წინამძღოლი, უფრო კი ღვთაება აქ იყო და განა იმაზე უზენაესი მსაჯული და განმგებელი ქვეყნად კიდევ ვინმე მოიძებნებოდა?

გამოჩნდა ყავარჯნიანი კოჭლი კაცი. ის წვივზე მიმაგრებულ ხის ფეხს მოათრევდა. ახალი მოცეკვავე ავანსცენამდე პოლიციელის სასტვენის სტვენასტვენით მოვიდა, აქ კი როგორღაც შეხტა, ყავარჯენს მარჯვედ დაეყრდნო, ხუთიოდე მტკავლის სიმაღლე ხის ფეხზე შეიმართა და ფრიად კმაყოფილი სახით აქეთ-იქით გაკაკუნ-გამოკაკუნდა, თან პოლიციელის სასტვენს ნებისმიერად აფშვიტინებდა. ბოლოს, როდესაც დაიღალა, ჩამოხტა, ყავარჯენი იღლიაში ამოიჩარა და ვინაიდან ტრაგედიაში ჩართული სახუმარო ეპიზოდი უკვე შესრულებული იყო, კულისებისაკენ წაკაკუნდა.

სცენაზე მყოფთ მოღალატე ქალი თითქოს დაავიწყდათ. იმას დრო ეხელთა და მგონი კიდევაც გაპარულიყო. ცეკვა და ღრიანცელი ხელახლა წამოიწყეს. თავიანთ ბელადს თუ ღვთაებას, წეღან რომ ისე მოწიწებითა და ძრწოლვით შეხვდნენ, ახლა აბუჩად იგდებდნენ, ემუქრებოდნენ და შუბს უღერებდნენ. ალბათ, გაუშინაურდნენ...

ეს აფრიკელების მეორე წარმოდგენა ყოფილიყო. წინა საღამოს, ვიდრე სპექტაკლს დაიწყებდნენ, ანტრეპრენიორს საგასტროლო ტურნეს ყველა მონაწილე რამპის წინ გამოეყვანა და მაყურებლებით გაჭედილი დარბაზისათვის თავისი ხალხისა და მთავრობის გულითადი სალამი გადაეცა. იმედია, ჩვენი საბალეტო ჯგუფის გამოსვლები ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის შორის მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის განმტკიცებასო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრიდანაც გამოსულიყო, რასაკვირველია, საპასუხო სიტყვით აქაური თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტი [illegible] კონტინენტიდან მობრძანებული ძვირფასი სტუმრებისათვის თავისი მისასალმებელი სიტყვის დასასრულს ცოცხალი ყვავილების თაიგული მიერთმია...

43

გამომგზავრების წინა დღეს დილითვე ქალაქში გამოვედით. ქარი ჩამდგარიყო, მხოლოდ მეეზოვეებს ქუჩების დაგვა ვერ მოესწროთ და აქა-იქ ისევ ჭუჭყიანი ქაღალდის ნაფლეთები და ქუჩისპირებსა და სადარბაზო შესასვლელებში მოწითალო მტვრის სქელი ფენა იდო.

ავტობუსში ავბარგდით. მედიცინის პროფესორი და ლენინგრადელი დრამატურგი, როგორც ყველაზე უფროსები, ისევ პირველ სავარძელში მოთავსდნენ, პლასტმასის გამჭვირვალე კაბინის უკან. პროფესორი ისევ აღგზნებული ჩანდა. ელჩთან შეხვედრისას ბევრი რამ ახალი შეეტყო და სული კბილით ეჭირა, როდის მოიჯერებდა გულს ლაპარაკით.

ავტობუსმა ფრიდრიხშტრასესა და უნტერ-დენ-ლინდენის ხალხმრავალი გზაჯვარედინი განვლო და საელჩოების ქუჩაზე კვლავ ბრანდენბურგის ჭიშკრისაკენ მოუხვია. წვრილი ფილაქნით მოგებულ მოედანზე, წყალგაღმა, ნახევრად დანგრეული უზარმაზარი ტაძრის შავად შემურული კედლები ამოიმართა.

ჰუგენოტების საყდარი—ფრანგული ხეროთმოძღვრების ეს თვალსაჩინო ქმნილება სამშობლოდან გადმოხვეწილმა ფრანგებმა ოცდაათწლიანი ომის შემდეგ ააშენეს. სამი საუკუნის განმავლობაში საყდარი ზვიადად იდგა მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში და დიდებულ იერს აძლევდა ფრანგი სექტანტების უბანს, შპრეეს აქეთა ნაპირზე რომ მოზრდილი სოფლისოდენა ადგილი ეჭირა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ისიც საგრძნობლად დაზიანდა. რის დაწვაც კი შეიძლებო-

და, ხანძარმა შთანთქა, თაღები ჩამოინგრა, ოდესღაც მკვიდრმა, სივრცეში ლაღად ატყორცნილმა კედლებმა საცოდავად დაღეს პირი...

ნანგრევს ნანგრევი მოჰყვა, ამ ნანგრევს კიდევ სხვა ნანგრევი.

შემზარავია დასანახავად ცალკერძ ეს ნანგრევები, ცალკერძ ცეცხლის ალით შერუჯულ-შეტრუსული გადარჩენილი სახლები და ცალკერძ ომისშემდგომი სტილის ათ-თორმეტ სართულიანი შენობები, რომლებიც აქ თითქოს უცხო მხრიდან მოსულან და მაინცდამაინც ქალაქის შუაგულში დამკვიდრებულან.

როდი ხერხდება თუნდაც ზოგიერთი შენობის აგება ისე, როგორც ის ადრეულ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული აგერ ჩვენს დრომდე იყო. სადაა ამდენი სახსარი, მშენებელი ან დრო. ხარაჩოებით გათანგული და ფიჭვის შეუღებავი დარაბებით აჭრელებული ბერლინი თანდათანობით ჰკარგავს შუასაუკუნეობრივი ქალაქის იერს. მხოლოდ აქაიქ შემორჩენილი ან ხალხის დაჟინებული მონდომებით აღდგენილი ნაგებობებით და ზოგან კი მთელი არქიტექტურული ანსამბლებით თუ შეიძლება მიხვედრა, რომ ეს მაინც ბერლინია, აი ის ბერლინი, ჯერ კიდევ 1448 წელს კურფიურსტების მიერ წართმეული თავისუფლების დაბრუნებას ხმალამოღებული რომ ლამობდა და ქუჩებს საკუთარი სისხლით რწყავდა...

ავტობუსი მხოლოდ რამდენიმე წუთით შეჩერდა სამეცნიერო-ბიბლიოთეკის ოთხსართულიანი შენობის წინ. ბიბლიოთეკა დღესაც დანგრეულია და მისი ფანჯრებჩალეწილი წინამო აგურისა და ბათქაშის უწესრიგო გროვად ქცეულ უკანა კედლებს ფარავს და ვერც ფარავს.

ომის წინ, ნოემბრის ერთ სუსხიან ღამეს, ბიბლიოთეკის მოედანზე გერმანელი ერის შემარცხვენელი ამბავი დატრიალდა. მოედანზე მთელი ღამის განმავლობაში კოცონი ენთო და შიგ ფურცელ-ფურცელ დაგლეჯილი წიგნები იწვოდა. ბიბლიოთეკის ყველა კარი ღია იყო. მკლავზე ლენტშემოხვეულ მოიერიშეებს ბიბლიოთეკის უმდიდრესი წიგნთსაცავებიდან ჰაინრიხ ჰაინესა და ალბერტ აინშტაინის, შტეფან ცვაიგისა და ლიონ ფოიხტვანგერის ტომები გამოჰქონდათ და საჯაროდ კოცონში ჰყრიდნენ.

ეს იყო მსოფლიოს უახლეს ისტორიაში „კრისტალურ ღამედ" ანუ „უკუნისა და ნისლის" — „ნახტ უნდ ნებელად" წოდებული ღამე 1938 წლის 9 ნოემბერისა.

ორი დღით აგრე, 7 ნოემბერს, პარიზში, გერმანიის საელჩოს ვესტიბიულში გავარდნილი ნაგანის ტყვიამ საელჩოს მრჩეველს ვინმე ერნსტ ფონ რატს გულის ფიცარი შეუნგრია. ამ საბედისწერო გასროლის ხმამ მთელ კონტინენტს გადმოუარა და იგი ბერლინში მეხის დაცემასავით გაისმა...

მკვლელი ებრაელი იყო, სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტი, გვარად გრინშპანი. მკვლელობის ნამდვილი მიზეზების კვლევა-ძიება არავის დაუწყია. ეს ერთი გასროლა მილიონობით უდანაშაულო ადამიანის ამოჟლეტის საკმაო საბაბად გადაიქცა.

ამუშავდა ჰებელსის პროპაგანდისტული მანქანა. აქამდე ყველასათვის უცნობი ყმაწვილი — 17 წლის ჰერშლ გრინშპანი, ჰანოვერელი მეაფთიაქის პირმშო შვილი, მსოფლიო ებრაელობის შურისმაძიებელ რაინდად შერაცხეს. მაშ ეს — დიპლომატის ვერაგული მკვლელობა — მხოლოდ დასაწყისი იყო...

ორ დღესა და ღამეს შეუსვენებლივ მუშაობდნენ სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო პოლიციის ორგანოები. ხალხს თავბრუ დაესხა. ბევრმა გულით დაიჯერა, რასაც ფაშისტი პროპაგანდისტები, გაზეთები და რადიო ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახოდნენ.

პერიფერიებს უშიშროების მთავარი სამმართველოს შეფის წერილობითი განკარგულება დაურიგდა:

„მთელს იმპერიაში მოსალოდნელია ანტიებრაული გამოსვლები. გამოსვლებ-

მა ისე უნდა ჩაიაროს, რომ გერმანელების სიცოცხლესა და ქონებას რაიმე საფრთხე არ დაემუქროს. დააპატიმრეთ მხოლოდ ებრაელები. საპყრობილეები მთლიანად აივსოს. კავშირი დაამყარეთ საკონცენტრაციო ბანაკებთან. ისინი მოვალე არიან დროულად მოემზადონ ებრაელების მისაღებად“.

ცხრა ნოემბრის ღამეს მკლავზე ლენტშემოხვეული მოიერიშენი და გადაცმული ესესელები დედაქალაქის ქუჩებს მოედვნენ. ებრაელთა ხოცვა-ჟლეტის მოსაწყობად ასევე დანიშნულ საათსა და წუთზე გამოვიდნენ ლაიპციგისა და ბონის, ჰამბურგისა და მიუნხენის, დრეზდენისა და მაინის ფრანკფურტის ფაშისტური უჯრედები.

სინაგოგებსა და ებრაელ ვაჭართა მაღაზიებში ცეცხლის ალმა იფეთქა. უიარაღო ადამიანების ხსნა და შველა არსაით იყო. ვინც მოახერხა და მოსალოდნელი უბედურების ამბავი ორი-სამი საათით ადრე შეიტყო, წინასწარვე გაეცალა დიდ და ხალხმრავალ ქალაქებს. ძალზე ცოტამ შესძლო წვითა და დაგვით აშენებული ოჯახის მიტოვება და საზღვარგარეთ გაქცევა. გარბოდნენ ბელგიაში, ნიდერლანდებში, პოლონეთში...

გადაცმულმა ესესელებმა და ფინური დანებითა და პისტოლეტებით შეიარაღებულმა მოიერეშეებმა წინასწარვე შემუშავებული გეგმის თანახმად იმავე ღამეს ალყა შემოარტყეს ცნობილი მწერლების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების სახლებს, ვის პასპორტშიაც იმ პწკარის გასწვრივ, სადაც ეწერა სიტყვა „ეროვნება“, აღნიშნული იყო „ებრაელი“.

მკლავებდაკაპიწებული კაცისმკვლელები ალბერტ აინშტაინის კაბინეტში შეიჭრნენ, იქაურობა თვალის დახამხამებაში გადმოაქოთეს და მეოცე საუკუნის უდიდეს მეცნიერს, რომელსაც ვერაფერი გაეგო თუ რა ხდებოდა, პოლიციის უფროსის განკარგულება მიაჩეჩეს...

განკარგულებაში შავით თეთრზე ეწერა, როი ალბერტ აინშტაინს ოცდაოთხი საათის განმავლობაში უნდა დაგტოვებინა თავისი ერთადერთი საკუთრება და თავშესაფარი უცხოეთში ეძია. უკეთუ ოცდაოთხი საათის განმავლობაში რაიმე მიზეზის გამო შეყოვნებულ აინშტაინს ისევ გერმანიის ფარგლებში იპოვნიდნენ, პოლიციის ორგანოები მისი სიცოცხლის შენარჩუნებაზე პასუხს არ აგებდნენ.

ასეთივე ბედი ეწია დედამიწის ზურგზე სახელგანთქმულ მწერლებს შტეფან ცვაიგსა და ლიონ ფოიხტვანგერს. ამათგან თურმე არცერთს არ ეწერა მშობელ ქვეყანაში სიკვდილი და გულზე წინაპართა სისხლით გაჟღენთილი წმინდა მიწის მიყრა. ერთმა არგენტინაში დაასრულა სიცოცხლის დღენი, ხოლო მეორე კალიფორნიაში გარდაიცვალა.

ბერლინმა მთელი ღამე თვალმოუხუჭავად გაატარა. ასე უძილოდ გაათენეს სხვა ქალაქებმაც. ხან აქ ხან იქ ავტომატის მოკლე ჯერი ანდა პისტოლეტის სამი-ოთხი გასროლა ისმოდა. ქუჩიდან ქუჩაში დახურული საბარგო მანქანები დაძრწოდნენ და ერთგან რომ გადაცმულ ესესელთა ახალ ჯგუფებს ტოვებდნენ, მეორე ადგილიდან ეკზეკუციის დროს დახოცილი ბავშვების, მოხუცების, ქალების უსულო გვამები გაჰქონდათ და მოტორების ბრდღვინვა-გრიალით, რომელიც შფოთიანი ღამის წუთიერ სიჩუმეში მთელ ცისქვეშეთს ავსებდა, სადღაც ქალაქგარეთ მიიჩქაროდნენ.

დანდობა არ იყო. სასროლად მომართული ავტომატის ან ალმასივით ალესილი ფინური დანის წინაშე შიშველი ხელებით, როდესაც ჯერ კიდევ ვერ დაგიჯერებია, რომ ეს ცხადლივ ხდება და არა სიზმარში, აბა რას გახდები...

10 ნოემბრის დილას, გამთენიის ჟამს, მეეზოვეები ქუჩაში გამოსულიყვნენ და სასაკლაოდ გადაქცეულ ფილაქანზე სისხლის ლაქებს რეცხდნენ. ლაქა ადვილად ამოდიოდა, მაგრამ წყალს ერე-

ოდა და გაშრობის შემდეგ ქუჩა სისხლით მორწყულს ჰგავდა.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის წინ კოცონი ჩანავლულიყო და დილის ნიავს დახრუკული ფურცლების შავი ფერფლი ფრიალ-ფრიალით ქუჩა-ქუჩა მიჰქონდა...

ავტობუსმა სამიოდ წუთს იარა და ხელახლა გაჩერდა. მანქანაში მსხდომთა ყურადღება ამჯერად ეკლიანი მავთულით შემოკავებულმა მწვანე მინდორმა მიიქცია. იგი არც პარკს ჰგავდა და არც სხვა რომელიმე დასასვენებელ ადგილს. მწვანედ მოხასხასე მინდორს ემჩნეოდა, რომ დიდი ხანი იყო გასული, რაც მავთულის ღობის იქით ადამიანიშვილს ფეხი არ შეედგა. გაველურებულ ბალახს ლაღად ეხარა და მომძლავრებული შემოდგომის ელფერი ჯერ კიდევ არ დამჩნეოდა.

ნეტა რა იყოს ეს მინდორი? რად შემოეღობათ იმ შავბნელი დროის მოსაგონარი ეკლიანი მავთულით და რატომ ერიდებოდა დიდი და მცირე ღობის გადაღმა ფეხის შედგმას?

პასუხი ღობის ბოძზე მიკრულმა თუნუქის დაჟანგულმა ფირფიტამ გვამცნო. თეთრი საღებავით ამოყვანილი გოთური ასოები მწვანე მინდვრის თავგადასავალს მოგითხრობდნენ.

იქ, სადაც დღეს ეკლიანი მავთულის ღობით შემოკავებული მწვანე მინდორია, ოცი წლის წინათ, მინდვრის მარჯვნივ და მარცხნივ აღმართულ ქვის მაღალ სახლებზე უფრო მაღალი და ბრწყინვალე სასახლე იდგა — იმპერიის კანცელარია...

კანცელარიის ჭერქვეშ ბინადრობდა ფაშისტური სამხედრო მანქანის თავის თავი და ტვინის ტვინი — ფიურერის მთავარი ბანაკი.

იმპერიის კანცელარიას, რომელიც ბერლინის დაცემის დღესვე, ტირანისაგან თავდახსნილმა ხალხებმა დაანგრიეს, მიწისქვეშა თავშესაფარი ჰქონდა. თავშესაფრის საიდუმლო ტალანი შპრეეს ქვეშ გაივლიდა და პირდაპირ რაიხსტაგს უკავშირდებოდა, სადაც მთავრობა იყო მოთავსებული. სხვა გზები კი მეტროს უახლოეს ეკვანურში გადიოდა.

იმპერიის კანცელარიის შავი ჯურღმული ჰიტლერის იმედების საბოლოო დასამარების მოწმე გახდა. სასწაულმოქმედი იარაღის საიდუმლოება გამომჟღავნდა. გერმანელი ფიზიკოსების ერთმა ჯგუფმა, ვინც ატომის გახლეჩის ამბავი ჰიტლერს გაუმხილა, დღედაღამ შეუსვენებელი მუშაობის მიუხედავად ვეღარ მოასწრო ატომური ბომბის დამზადება. სკანდინავიის მიუვალ კლდეებში განლაგებული ლაბორატორიები ბფრინვმა ციხე-სიმაგრეებმა დაანგრიეს, ნილს ბორის უღირსი მოწაფეები კი ოკეანისგაღმელმა მზვერავებმა მოიტაცეს და ცხრა ზღვისა და ოკეანის იქით გადაკარგული ამერიკის გზას გაუყენეს.

უსახელოდ წამოწყებული სისხლიანი თამაში კიდევ უფრო უსახელოდ დამთავრდა. თავშესაფრის ნახევრადბნელ საკანში, სადაც დამარცხებული იმპერიის ფელდმარშლებისა და შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბის უკანასკნელი სხდომა გაიმართა, პაპიროსის ნამწვავებით მოფენილ მაგიდის ფეხთან იპოვნეს ჰიტლერის საყვარელი ძაღლის მძორი. ვიღაც განწირულს და სიცოცხლეზე ხელაღებულს საწამლავის მომაკვდინებელი ძალა გამოეცადა. მაგიდის მეორე ფეხთან მძინარესავით უძრავად ესვენა ევა ბრაუნი, ხოლო ცოტა მოშორებით სიკვდილისწინა აგონიით მთლად მოკრუნჩხული და გაშავებული ადოლფ ჰიტლერის გვამი ეგდო...

ომის შემდეგ აქაურობა ნანგრევებისაგან გაწმინდეს და ეკლიანი მავთულით შემოღობეს. მომდევნო გაზაზაფხულს, თითქოსდა არაფერიც არ მომხდარაო, კანცელარიის ნაფუძარზე მწვანე ბალახი ამოვიდა და მინდორმა თავისი პირვანდელი სახე დაიბრუნა...

44

შპრეეს მდორე წყალი ძველი ბერლინის საგარეუბნო დაბის შტრაულაუს

მიდამოებში თითქოს ერთ ადგილზე შეჩერებულა და ნაპირიდან ნაპირამდე ძეოთხედ კილომეტრზე გაჭიმული დღე-ღამის ყოველ დროს, უფრო კი მზის ჩასვლის წინ და უღრუბლო მთვარიან ღამეში, სარკესავით ლაპლაპებს. ნაპირ-ნაპირ გაყოლებული სუსტი სინათლეები წყალში ირეკლება. ოდნავ, სულ ოდნავ ირწევა მდინარის სარკეში თავდაღმა ჩაყუდებული ვარსკვლავიანი ცა, რაც იმას მოასწავებს, რომ შპრეეს წყალი დინჯად ტორტმანებს და პატარ-პატარა ზვირთები ნაპირებს აწყდება...

ეს მაშინ ხდება, როდესაც მდინარეზე ბარჟა გაივლის ან ნაპირიდან გადმოხრილი მტირალა ძეწნის ქვეშ ნავი გამოძვრება და ჭაბუკი მენავე ნიჩბებს მარჯვედ მოუსვამს. ყმაწვილის თავგამოდება ადვილი მისახვედრია. ის ხომ მარტო არაა ნავში. კიჩოზე ბიჭურად თმაშეკრეჭილი ქალიშვილი ზის, წამდაუწუმ იხრება, მდინარიდან პეშვით წყალს იღებს და უზომოდ ბედნიერ ჭაბუკს კისერში ასხამს. ბიჭი ერთგულად უსვამს ნიჩბებს და თავშეკავებულად იღიმება, ახტაჯანა გოგონას თვალს ვერ უსწორებს, რადგან სათქმელი სიტყვა აგერ ენის წვერზეა მომდგარი და სადაცაა ბაგეს მოსწყდება...

შტრაუსლაუს ხიდსგადაღმა, სამდინარო ნავსადგურის მარცხენა მხარეს, კაცი შორიდანვე დაინახავ დაბურულ ფოთლოვან ტყეს, ტყეში შემავალ ფართო გზას, რომელიც ბზის დეკორატიული ბუჩქებითაა გაკოხტავებული, და დიდ, თეთრ ჭიშკარს.

დაბურული ტყე — ყოველი დროის ბერლინელთა დასვენებისა და გართობის ერთი უსაყვარლესი ადგილი — სტრეპტოვ-პარკია. პარკს უზარმაზარი ფართობი უჭირავს და ვიდრე შიგ შეხვიდოდე, მართლა ულრანი ტყე გეგონება. განა ცოტა ტყეა დიდი ბერლინის გარეშემო. ტყეები თვით ქალაქშიაც შემოდიან და ირგვლივ ერტყმიან მოედნებს, კვარტალებს და მთელ რაიონებს. სტრეპტოვ-პარკიც ოდესღაც, ალბათ, ტყე იყო და შტრაუსლაუში მცხოვრები მეთევზეები ბორეეს აუთა ნაპირზე მთელი ზამთრის საბოლოოდ მეშის მოსაჭრელად გადმოდიოდნენ.

სიმწვანეში ჩაფლული პარკის თეთრსვეტებიან ჭიშკარს ორმოციოდე ნაბიჯით გასცდები და ასწლოვანი ჭადრების ხეივნიდან უცებ ტრიალ მინდორში გახვალ. ოთხივე კუთხივ ფოთლოვანი ტყით შემოფარგლული მინდორი კიდით კიდემდე გრანიტის ფილებითაა მოგებული და სადღაც უკან, პარკის სიღრმისაკენ გრძელდება. მინდვრის აქეთა ბოლოში გრანიტის ვეება ლოდისაგან გამოქანდაკებული სამშობლოს ხატება — მგლოვიარე დედა დგას და განუზომელი მწუხარებით ცრემლგამშრალი და გაკაჟებული შორეთს გასჭერის.

იმ შორეთში ცის დასალიერზე ალმართულა გოლიათი ჯარისკაცი — გამათავისუფლებელი.

მომქანცველ ლაშქრობებსა, ტყვიის წვიმებსა და ცეცხლის ნიაღვრებში უვნებლად გამოვლილ ჯარისკაცს მარჯვენა ხელში ორლესული მახვილი უპყრია, ხოლო თავისუფალი მარცხენა ხელით გულზე იხუტებს მძვინვარე ხანძრიდან გამოტაცებულ ძუძუთა ბავშვს — ტირანიისაგან დახსნილი კაცობრიობის ხვალინდელი დღის სიმბოლოს...

დაბურული ტყის თავზე თეთრი კვარცხლბეკით ცად ამაღლებული ბრინჯაოს ჯარისკაცი დიდებული სანახავია. სტრეპტოვ-პარკის ყველა ბილიკი აქეთ მოილტვის და ძეგლის თვითეული ნაგებობა გამარჯვებული ჯარისკაცის წინ წამოწევას და ყურადღების შუაგულში მოხვედრას ემსახურება.

თუ მგლოვიარე დედის ქანდაკებასთან ზურგით დადგები და წინ გაიხედავ, მახვილმომარჯვებული თავშიშველა ჯარისკაცი ორი მხრიდან მოკვეთილი ლურჯი ცის ფონზე გამოჩნდება. მარჯვნივ და მარცხნივ ჯარისკაცს წითელი პორფირით აშენებული დახრილი საბრძოლო დროშები უდგას. დროშების

ოქით, კიბის რამდენიმე საფეხურით ამაღლებულ განიერ ბაქანზე, ორ თავმოდრეკილ მეომარს — ერთს ხანშიშესულსა და მეორეს მთლად ახალგაზრდას — მუხლი მოუყრია. ისინი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით მოსულან აქამდე, გზად ბევრი სიკვდილი, ვაება და ცრემლი შემოჰყრიათ და დღეს კი ურჩხულთან ნაომართ და გამარჯვებულთ შუბლნათელ თანამებრძოლთა საძმო საფლავების წინაშე მარადიული ხსოვნისა და მოწიწების გამოსახატავად დაუჩოქიათ...

გრანიტის ფილებით წყობისად მოლაგებულ გზას სულგანაბული მისდევ და მუხლმოდრეკილი მეომრების შუა, ძეგლის მოაჯირთან ჩერდები. დახრილი დროშები შენს უკანაა, მარადისობაში გადასულ თავშიშველა ჯარისკაცს კი თითქოს ერთი ნაბიჯითაც არ მიახლოებიხარ. მისი თეთრად შეფეთქილი კვარცხლბეკი, რომლის კარამდეც გრანიტის მრავალსაფეხურიანი კიბე ადის, მწვანე ყორღანზეა დაფუძნებული. ყორღანში და ყორღანის წინ, ნაირფერი ყვავილებით მოქარგული კვლების ქვეშ განისვენებს ის შვიდი ათასი მეომარი, ვინც ქვეყნად თითქოს მხოლოდ იმისთვის გაჩნდა, რომ მილიონობით ადამიანის ხსნისა და სიხარულის მოსაპოებლად თავისი ერთი სიცოცხლე შეეწირა და უცხო ცისქვეშ და უცხო მიწაში სამუდამოდ დარჩენილიყო...

45

მეორე დღეს, საღამოს, ხელახლა მოგვიხდა ოსტბანჰოფის — აღმოსავლეთის ვაგზლის მონახულება. ამჯერად უკვე სამშობლოში ვბრუნდებოდით. ავტობუსიდან გადმოვედით თუ არა, სადგურის მტვირთავებმა ურიკების მთელი შემადგენლობა მოაყენეს და ზედ ჩემოდნები დააწყეს. ამისთანა საქმეებში გამოცდილი და დაუზარელი საშკა მტვირთავებს თავს ადგა და დამტვრეული გერმანულით რაღაც განკარგულებას აძლევდა.

წასასვლელად აჩიქჩიქებული მატარებელი უკვე ბაქანზე იდგა. როდესაც კუპეში შევედი და ბარგი მივალაგ-მოვალაგე, მომეჩვენა რომ რაღაც მრჩებოდა. უმალ ჯიბეებს ვეცი, შემდეგ ჩემოდნებიც გავხსენი, მაგრამ თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. უსიამოვნო გრძნობა მაინც არ მეშვებოდა და გულს მიწვრილებდა. რა უნდა დამრჩენოდა? საათს დავხედე. წამებიღა აკლდა მატარებლის გასვლას. თუ მართლა მრჩებოდა რამე, უკვე დაგვიანებული იყო — ტამბურამდე მიღწევასაც ვერ მოვასწრებდი, მატარებელი დაიძვროდა.

ვაგონში ზეთის საღებავის თუ დამწვარი კარბიტის მძიმე სუნი ტრიალებდა. გამყოლებიც ზედმიწევნით ცდილიყვნენ და რადიატორები ძალზე გაეხურებინათ. ამაღამ სუნთქვა არ გინდოდა?

ვცადე ფიქრი რაიმე უმნიშვნელო საგანზე გადამეტანა, თუნდაც ამ გავარვარებულ რადიატორებზე და დღენიადაგ უძილარ გამყოლებზე, მაგრამ სულის მღრღნელ, უცნაურად შემორჩენილ გუმანს, რომ რაღაც მართლა მრჩებოდა, მაინც ვერ დავემალე.

კარი გავაღე და ტალანში გამოვედი. ტალანი სავსე იყო ხალხით. ქალებს გამცილებლების მიერ მოძღვნილი ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიეხუტებინათ გულზე და, როგორც ერთი, ყველა ფანჯარას ეკვროდა, აქაოდა ბაქანზე დარჩენილები უკეთ დავინახოთო. ჩემი მეგობარიც აქ იყო. ფანჯარა სასწრაფოდ ავწიე და გარეთ თავი სწორედ მაშინ გავყავი, როდესაც მატარებელი ნელა, სულ ნელა დაიძრა და რუხმა ბაქანმა, კიოსკებმა, ნაცრისფრად შეღებილმა რკინის ბოძებმა და აზიმზიმებულმა ხალხმა ფეხი ერთად აიდგა და მარჯვნივ და მარჯვნივ დაიწყო წაცურება.

გამცილებელთა შორის ლეონას სტეპანაუსკასი დავინახე. ამ შავგვრემან, წესიერ ოჯახში გაზრდილი ბავშვივით

მოკრძალებულ ლიტველ ჭაბუკს ორივე ხელი თავსზემოთ აეწია და ვითომდა ერთხელ კიდევ მაგრად, მაგრად გვართმევდა. ლეონასის გვერდით ულვაშებწამოზრდილი შუახნის ქალი იდგა და ღონიერი, მამაკაცური ხელებით რაღაცას ანიშნებდა ფანჯარაში თავგადაყოფილ მედიცინის პროფესორს.

მატარებელმა სიჩქარეს მოუმატა და ტალანში ერთბაშად სინათლე ჩამოდგა. ოსტბანჰოფის გადახურული პლატფორმები უკან დარჩა. ფანჯარაში ცისკიდურს იქით ჩასვენებული მზის უკანასკნელი სხივები შემოიჭრა. თვლების მონოტონური დაგადუგის გაგონებისთანავე, რაც წუთ-წუთობით ძლიერდებოდა, მოუსვენრობა და ფიქრი, რომ ბერლინში რაღაც დამრჩა, წეღანდებურად ამეკვიატა...

ისევ კუპეში შევედი, მაგიდასთან ჩამოვჯექი და სახე ხელებში ჩავრგე. ქვემოდან ყრუდ ისმოდა თანდათანობით აჩქარებული ბორბლების ხმაური. ვგრძნობდი, როგორ ზედიზედ ვკვეთდით ისრებს და სადღაც მივექანებოდით.

კუპეში დაგუბებულმა მკვეთრმა სუნმა და ვაგონის თანაბარმა რწევამ რული მომგვარა. წინა ღამეს ხეირიანად ვერ გამოვიძინე და მოძალებულ თვლემას ჯერ კიდევ ავტობუსში ვებრძოდი. ეს იქნებ უკეთესიც იყო. დავიძინებდი და დილას სადმე ბრესტის მახლობლად ან მინსკის მიდამოებში გამომეღვიძებოდა...

ნეტავი ის ირანელი ემიგრანტი როდის ჩაჯდება აღმოსავლეთისაკენ მიმავალ მატარებელში და მშობლიურ მიწაზე ფეხის დადგმა როსღა ეღირსება? რეზა ფეჰლევი, მისი დაუძინებელი მტერი, ახალგაზრდა კაცია. თუ უცხოეთში გადახვეწილმა ირანელმა მართლა მის გადადგომას ან სიკვდილს მოუცადა, ვინ იცის, აღარც მოუწიოს თავისი მონატრებული ქვეყნის ნახვა...

დამძიმებული თავი ძლივს ავწიე და ფანჯარაში გავიხედე. მატარებელი გულდაგულ მიაპობდა მოახლოებული საღამოს ბინდბუნდს. კუპეში სინათლე ენთო. ეს სინათლე შეიძლება წეღანაც ენთო, მაგრამ წეღან, შემოსვლისას, არ შემიმჩნევია. დროდადრო ფანჯარას ყომრალი ბოლის დიდრონ-დიდრონი ბოლქვები მოაწყდებოდა ხოლმე და მატარებლის კვალდაკვალ ადევნებული ნორჩი არყის ხეები რძისფერ ბურუსში იწყებდნენ ცურვას. ბოლი ციცაბო მწვერვალების და ლურჯი კლდეების თავზე გაწოლილ ღრუბლებს ემსგავსებოდა. მატარებელს თითქოს ფრთები გამოესხა და უჰაერო სივრცეში მიფრინავდა.

ნეტა რა ჰქნა იმ ბაქოელმა ბიჭმა — ჩავიდა ცენტრალურ აფრიკაში? ახლა მგონი გენერლის ნაქონ ვილისში ზის და აფრიკის შეუბრალებელი მზის სხივებით სახეშეტრუსული უდაბნოს გზას იმოკლებს. ბაქოში ყოველდღე ელიან წერილებს, თვალი სულ ჭიშკრისკენ უჭირავთ. გოგონა, ვისი სახელიც გაგონებისთანავე დამავიწყდა, იზრდება. გუშინდელ მეათეკლასელ დედას კი ყველასაგან შეუმჩნევლად უჩნდება წვრილი, ძალიან წვრილი ნაოჭები ღაწვისთავებსა და ჯერაც ბალღურად აბურცული ტუჩების კუთხებში. რა გაეწყობა, აფრიკის დიდ მდინარეებზე სარკინიგზო ხიდების აშენებას დრო და სიყმაწვილის დახარჯვა უნდა...

აი, იმის ჩამოსვლა კი იქნება ნამდვილი დღესასწაული. მთელი ქალაქი მოგროვდება. თუმცა რა იცი, შეიძლება ნახევარი ქალაქიც არ მოგროვდეს. ამისთანა ამბები ახლა ძალიან ხშირად ხდება. ხალხი მიეჩვია, აღარც არავის უკვირს...

უეცრად ლოკომოტივის გაბმული ღრიალი შემომესმა და თვალები დაფეთებულმა გამოვახილე. ირგვლივ უკუნი სიბნელე იყო. მატარებელი გრძელ ხიდზე გადადიოდა და დადუმებული ღამის სიჩუმეს ლითონის ნაზი წკრიალითა და მრისხანე დაგადუგით ავსებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. სიუკაშვილი

ვ. ი. ლენინი – დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების ორგანიზატორი

მშრომელი ხალხის დიდმა ბელადმა და საყვარელმა მასწავლებელმა გენიალურმა ლენინმა დაიცვა და შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმი ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად, გაამდიდრა მარქსისტული მოძღვრება ლენინიზმით, შექმნა ახალი ტიპის პარტია, რომელიც სათავეში ჩაუდგა ჩვენი ქვეყნის მრავალეროვან მშრომელ ხალხს და მიიყვანა იგი მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებამდე, მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს შექმნამდე 1917 წლის ოქტომბერში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ახალი ერა, მარქსისტულ-ლენინური უკვდავი მოძღვრების პრაქტიკულად განხორციელების, კაპიტალიზმის ნგრევისა და კომუნისტური საზოგადოების აშენების ერა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ძირფესვიანად შეარყია იმპერიალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები, გაუადვილა მსოფლიო პროლეტარიატს და ყველა მშრომელ და ექსპლოატირებულ მასებს ექსპლოატატორთა ბატონობის დამხობისათვის ბრძოლა. ლენინის მიერ შექმნილი ახალი ტიპის პარტია, უძლიერეს ინტერნაციონალურ ძალად, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ავანგარდად გადააქცია.

მარქსიზმის შეუბღალავად დაცვისა და შემოქმედებითად განვითარების საფუძველზე, დიდმა ლენინმა პირველმა გააკეთა იმპერიალიზმის ღრმა მეცნიერული ანალიზი თავის კლასიკურ ნაშრომში „იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". ვ. ი. ლენინმა გენიალურად განსაზღვრა და მეცნიერულად დაამტკიცა, რომ „იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიაა", „მომაკვდავი კაპიტალიზმია", პროლეტარიატის „სოციალური რევოლუციის წინადღეა".

ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა და ოსტატურად შერჩეული ფაქტებით ნათელჰყო, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში უსაზღვროდ იზრდება მშრომელთა მილიონიანი მასების ჩაგვრა, ექსპლოატაცია, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ძარცვა-გლეჯა, ყველა მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის აბსოლუტური და შედარებითი გაღატაკება, რომლებიც აღრმავებენ და ამწვავებენ იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობას, დღის წესრიგში აყენებენ რევოლუციური აფეთქების საკითხს მეტროპოლიებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების გამწვავება შრომასა

და კაპიტალს შორის, კოლონიებსა და მეტროპოლიებს შორის და სხვადასხვა ქვეყნების მონოპოლისტურ-ფინანსურ ჯგუფებს შორის მსოფლიოში პირველობისათვის ასუსტებს და არყევს კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებს, ამზადებს ობიექტურ პირობებს რევოლუციისათვის, პროლეტარიატს აყენებს რევოლუციის გზაზე, აჩქარებს პროლეტარულ რევოლუციას.

მარქსისტული მოძღვრების შემოქმედებითი განვითარების საფუძველზე ვ. ი. ლენინმა გენიალურად შეიმუშავა სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია. მან თავის კლასიკურ ნაშრომებში (1915-1916 წლებში) „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ", „სოციალ-დემოკრატიის სამხედრო პროგრამა" და „იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" — იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გააკეთა გენიალური დასკვნა იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური უთანაბრო ნახტომისებური განვითარების გამო შესაძლებელია იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევა მის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ რგოლში, რომ ასეთ პირობებში შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად რამდენიმე, ან თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ დიდ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ლენინური ახალი თეორია, რითაც დიდმა ლენინმა ახალი საბრძოლო-სამოქმედო გზა უჩვენა ყველა ქვეყნის პროლეტარებს ეროვნული ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეტევისათვის, ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

მეფის რუსეთი, როგორც იმპერიალიზმის ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი მთავარი რგოლი და იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების საკვანძო პუნქტი, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევისათვის აღმოჩნდა ყველაზე სუსტი რგოლი, — რომელიც პროლეტარული რევოლუციის გენიამ დიდმა ლენინმა დროულად და ოსტატურად გამოიყენა ცარიზმისა და მემამულეთა კლასის ბატონობის დამხობისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის ბრძოლაში.

მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ, შეიარაღებულმა სოციალისტური რევოლუციის ლენინური ახალი თეორიით ,ოსტატურად დარაზმა მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური კლასი— რუსეთის პროლეტარიატი და მისი ღირსეული მოკავშირე, მრავალტანჯული გლეხობა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ — იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის, ცარიზმისა და მემამულეთა ბატონობის დამხობისათვის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის, მსოფლიო იმპერიალიზმის ჯაჭვის მეფის რუსეთში გაწყვეტისათვის.

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით დაიწყო იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის პროცესი. მაგრამ კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინისა და მისი უახლოესი მოწაფეებისა და თანამებრძოლების პეტერბურგში არყოფნისა და მენშევიკებისა და ესერების მიერ ანტიხალხური, მოღალატური პოლიტიკის გატარების გამო, ომის საშინელებითა, სიმშილითა და სიღატაკით გაწამებული მშრომელთა მასები, რევოლუციის გამარჯვებით გაბრუებულნი, წვრილბურჟუაზიული სტიქიის გავლენაში აღმოჩნდნენ, რამაც განაპირობა ცარიზმის დამხობის შემდეგ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების რევოლუციური ხელისუფლების გვერდით რევოლუციისა და ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების

საწინააღმდეგო ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის შექმნა.

შექმნილმა ვითარებამ ორძალაუფლებიანობის რთულ პირობებში რევოლუციის გენიის დიდი ლენინისა და მშობლიური კომუნისტური პარტიის წინაშე დღის წესრიგში ახალი საბრძოლო ამოცანა დააყენა: გაეთავისუფლებინათ მუშათა-გლეხთა და ჯარისკაცთა მილიონიანი მასები ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისა და მენშევიკურ-ესერული პარტიების თვალთმაქცური, მოღალატური პოლიტიკის გავლენისაგან და დაეწყოთ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდა. ამ ისტორიულ ამოცანას ისახავდა მიზნად ჯერ კიდევ „წერილები შორიდან", რომლებიც ვ. ი. ლენინმა თებერვლის რევოლუციის მრისხანე დღეებში დაწერა ჟენევაში.

ვ. ი. ლენინმა თავის „წერილებში შორიდან" მეცნიერულად დაასაბუთა და საქვეყნოდ ცხადყო, რომ ბურჟუაზიულ მთავრობას არ შეეძლო ხალხის საკეთილდღეოდ არც ერთი მტკივნეული საკითხის გადაწყვეტა; მას არ შეეძლო ომითა და შიმშილით გაწამებული ხალხისათვის მიეცა არც ზავი, არც პური, არც მიწა და არც თავისუფლება, რადგან ასეთი რევოლუციური ღონისძიებების გატარება ეწინააღმდეგებოდა იმპერიალისტური რუსეთის ბურჟუაზიის სასიცოცხლო ინტერესებს. რუსეთის ბურჟუაზია ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიასთან შეთანხმებით ცდილობდა ე. წ. „პატარა რევოლუციის", ოსტატურად გამოყენებით „დიდი ომის მოგებას" და თავისი იმპერიალისტური, მზაკვრული ამოცანების განხორციელებას.

რევოლუციის გენია დიდი ლენინი შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ომისა და შიმშილით გაწამებულ ხალხთა ხსნას, მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის უღლიდან განთავისუფლებისათვის ერთადერთ გამოსავალს რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლაში ხედავდა. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ პირველ წერილში „შორიდან" 1917 წლის 20 მარტს წერდა: **„მუშებო, თქვენ გამოიჩინეთ პროლეტარული, ხალხური გმირობის სასწაულები სამოქალაქო ომში ცარიზმის წინააღმდეგ, თქვენ უნდა გამოიჩინოთ პროლეტარული საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციის სასწაულები, რათა მოამზადოთ თქვენი გამარჯვება რევოლუციის მეორე ეტაპზე"**[1].

მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე „წერილებში შორიდან" დიდმა ვ. ი. ლენინმა არა მარტო საქვეყნოდ ამხილა ბურჟუაზიისა და მისი დამხმარე მენშევიკურ-ესერული პარტიების თვალთმაქცური, მოღალატური პოლიტიკა და განსაცვიფრებელი სიზუსტით დახატა რუსეთში შექმნილი მდგომარეობის სურათი, არამედ მან გენიალური შორსმჭვრეტელობით დასახა რუსეთის რევოლუციის მეორე ეტაპისაკენ განვითარებისა და გამარჯვების საბრძოლო-სამოქმედო გზა.

გარდუვალი და აუცილებელი იყო რევოლუციის გენიის ვ. ი. ლენინის დაუყოვნებლივ ჩამოსვლა რუსეთში, სადაც მისი მგზნებარე წერილების საფუძველზე ჩაღდებოდა სახალხო რევოლუციური მოძრაობის მძლავრი ხანძარი, რათა უშუალოდ ჩადგომოდა რევოლუციას სათავეში და მიეყვანა იგი ძლევამოსილ გამარჯვებამდე. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობისა, რომლებსაც ჰქმნიდნენ რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტური მთავრობები ბოლშევიკ-ემიგრანტებისა და კერძოდ ლენინის რუსეთში ჩამოსვლის წინააღმდეგ, ვლადიმერ ილიასძემ მაინც მოახერხა შვეიცარიიდან გერმანიაზე გავლით 1917 წლის 3 აპრილს პეტროგრადში ჩამოსვლა.

თებერვალ-მარტის ბურჟუაზიულ-დე-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 23, გვ. 406—407.

მოკრატიული რევოლუციის შემდეგ რუსეთში შექმნილ რთულ ვითარებაში სწრაფად გარკვევა, ხალხთა მილიონიანი მასების ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისა და მისი დამხმარე მენშევიკებისა და ესერების პარტიების თვალთმაქცური გავლენისაგან განთავისუფლება, რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლისათვის ახალი საბრძოლო-სამოქმედო ამოცანის დასახვა და ამ ამოცანის განხორციელებისათვის სახალხო მოძრაობის სწორად და შეუცდომლად წარმართვა მოითხოვდა ისეთ არაჩვეულებრივი ძალისა და გონების, აზრისა და ნებისყოფის ადამიანს, როგორიც იყო რევოლუციის გენია ვ. ი. ლენინი. 1917 წლის 3 აპრილიდან მშრომელთა დიდი ბელადი ლენინი სათავეში ჩაუდგა უშუალოდ რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისათვის მრისხანე ბრძოლებს.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის თეორია დიდმა ლენინმა ჯერ კიდევ 1905 წელს დაწერილ კლასიკურ ნაშრომში, „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ შეიმუშავა, მაგრამ რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დამარცხების გამო იმ დროს მისი პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელი გახდა: ამასთან სოციალიზმის თავდაპირველად ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყანაში გამარჯვების თეორია დიდმა ლენინმა 1915-1916 წლებში შეიმუშავა, რომლის პრაქტიკულად ცხოვრებაში გატარება რუსეთში შექმნილ ორძალაუფლებიანობის რთულ პირობებში ახალ ამოცანას აყენებდა პროლეტარიატისა და მისი პარტიის წინაშე.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში მშვიდობიანი გადაზრდის ახალი გეზი ვ. ი. ლენინმა წამოაყენა თავის ცნობილ ნაშრომში „აპრილის თეზისებში“ 1917 წლის 3 აპრილს. მარქსიზმის შემოქმედებითი განვითარების საფუძველზე „აპრილის თეზისებში“ ვ. ი. ლენინმა დაამტკიცა, რომ ჯერ ერთი, პროლეტარიატის პოლიტიკური ძალაუფლების მოპოებისათვის ბრძოლა, როგორც რევოლუციის მთავარი პოლიტიკური ამოცანა, ყოველთვის და ყველა პირობებში არ მოითხოვს შეიარაღებული აჯანყებისა და სამოქალაქო ომების ღონისძიებების გატარებას, მეორე, პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად უნდა გამხდარიყო არა პარლამენტარულ-დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც ამას ლენინამდე მარქსისტები ვარაუდობდნენ, არამედ საბჭოების რესპუბლიკა. ვ. ი. ლენინის ამ აღმოჩენებმა უდიდესი როლი შეასრულეს არა მარტო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების საქმეში, არამედ მარქსიზმის ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად, ახალი დებულებებითა და დასკვნებით გამდიდრების საქმეშიც.

ვ. ი. ლენინის „აპრილის თეზისები“, როგორც რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლის ახალი პროგრამა, საფუძვლად დაედვა კომუნისტური პარტიის VII კონფერენციას, რომელიც 1917 წლის 24 აპრილს შეიკრიბა პეტროგრადში. კონფერენციამ ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული ახალი გეზი, გამოამჟღავნა და დაგმო კამენევის, რიკოვისა და მათი მცირერიცხოვანი თანამოაზრეების ანტილენინური მოთხოვნა და მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება „აპრილის თეზისების“ მოთხოვნების ცხოვრებაში გასატარებლად. „წვრილბურჟუაზიული ხაზიდან პროლეტარული ხაზის, ობორონცულ-ოპორტუნისტული ხაზიდან რევოლუციური ხაზის, ინტერნაციონალური ხაზის“ გამარჯვებისათვის. კონფერენციის დახურვისას საბოლოო სიტყვაში ვ. ი. ლენინმა ურყევი რწმენით

განაცხადა, რომ „პროლეტარიატი ჩვენს რეზოლუციებში იპოვის სახელმძღვანელო მასალას რევოლუციის მეორე ეტაპზე გადასასვლელადო“.

მაგრამ რუსეთის ბურჟუაზია, მენშევიკებისა და ესერების აქტიური დახმარებით, რევოლუციისა და რევოლუციონერთა წინააღმდეგ აშკარა შეტევაზე გადავიდა, 1917 წლის 3-5 ივლისში დახვრიტა მუშათა და ჯარისკაცთა მშვიდობიანი დემონსტრაცია პეტროგრადში და დაამყარა სისხლიანი კონტრრევოლუციური დიქტატურა. ამიტომ დაიწყო კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული დიქტატურის ძალდატანებით დამხობისათვის მზადების ურთულესი პერიოდი.

ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურმა აღვირახსნილმა შეტევამ აიძულა კომუნისტური პარტია და მისი ბელადი ვ. ი. ლენინი გადასულიყვნენ არალეგალურ მდგომარეობაზე და იატაკქვეშეთიდან ეწარმოებინათ შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება. ივლისის დღეების შემდეგ, კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის მიერ დევნილი ლენინი არალეგალურად ცხოვრობდა ფინეთში სადგურ რაზლივის მახლობლად და იქიდან ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობას, შეიარაღებული აჯანყების მომზადების მთელ საქმიანობას.

გენიალურმა ლენინმა, როგორც ჭეშმარიტი აზრისა და მეცნიერული განჭვრეტის გიგანტმა, სწრაფად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას და შეიმუშავა ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისა და პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარული დიქტატურის გამარჯვებისათვის საბრძოლო მოქმედების ახალი ტაქტიკა ,შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიული დიქტატურის ძალდატანებით დამხობის ტაქტიკა.

შეიარაღებული აჯანყებისა და რუსეთში ბურჟუაზიული დიქტატურის დამხობის საკითხი გადაწყვიტა მშობლიური კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ, რომლის სხდომები მიმდინარეობდა არალეგალურად 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო დირექტივებისა და მითითებების საფუძველზე. ლენინი ყრილობის მუშაობას ხელმძღვანელობდა იატაკქვეშეთიდან თავის უახლოესი მოწაფეებისა და თანამებრძოლების მეშვეობით. ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული და მეცნიერულად დასაბუთებული დირექტივების საფუძველზე პარტიის VI ყრილობამ სწორად შეაფასა 3-5 ივლისის შემდეგ რუსეთში შექმნილი მდგომარეობა და გადაჭრით მოითხოვა შეიარაღებული აჯანყების საკითხის ლენინური მითითებების შესაბამისად გადაწყვეტა. პარტიის VI ყრილობამ უარყო და დაგმო ტროცკისტ პრეობრაჟენსკის ოპორტუნისტული მოთხოვნა და დელეგატთა ხმის აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და ბურჟუაზიის ბატონობის დამხობის შესახებ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესახებ. VI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინის ხელმძღვანელობით გაშალა რევოლუციური მუშაობა მუშებში, გლეხობაში, ჯარისკაცებში და დაიწყო გადამწყვეტი იერიშისათვის მომზადება ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

კონტრრევოლუციამ გენერალ კორნილოვის მეთაურობით, ბურჟუაზიის აქტიური მხარდაჭერით, მოაწყო 1917 წლის აგვისტოს დამლევს ამბოხება და დაიწყო შეტევა პეტროგრადზე, რათა სისხლში ჩაეხშო რევოლუცია და მოეხდინა ცარიზმის რესტავრაცია. მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ ფეხზე დააყენა მშრომელთა მასები, გაანადგურა კორნილოვის კონტრრევოლუციური ამბოხება და ბნელი ძალების რესტავრატო-

რული ცდა სასტიკი მარცხით დამთავრდა.

კორნილოვის კონტრრევოლუციური ამბოხების გახადგურებამ, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — დასაბამი მისცა ახალ პერიოდს, რევოლუციის განვითარების ისტორიაში დაიწყო გადამწყვეტი იერიშის მომზადების პერიოდი, როდესაც კვლავ დღის წესრიგში დადგა ლოზუნგი მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. ამ დროისათვის აშკარა გახდა მენშევიკებისა და ესერების პარტიების პოლიტიკური გაკოტრება და სწრაფად მიმდინარეობდა ყველგან, განსაკუთრებით კი პეტროგრადსა და მოსკოვში საბჭოების ბოლშევიზაცია.

1917 წლის 8 ოქტომბერს ლენინი ჩამოვიდა ფინეთიდან არალეგალურად პეტროგრადში და უშუალოდ სათავეში ჩაუდგა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების დიად საქმეს. 10-16 ოქტომბერს ჩატარდა, ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული სხდომები, რომლებმაც გადაწყვიტეს შეიარაღებული აჯანყების დაჩქარებისა და აჯანყების მომზადებასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი საკითხი. მიუხედავად ოპორტუნისტების მიერ გააფთრებული წინააღმდეგობისა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 16 ოქტომბრის გაფართოებულმა სხდომამ ვ. ი. ლენინის წინადადებით შექმნა შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრი. ეს პარტიული ცენტრი წარმოადგენდა პეტროგრადის საბჭოსთან არსებული სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელმძღვანელ ბირთვს, რომელიც ბელადის ვ. ი. ლენინის მითითებების საფუძველზე პრაქტიკულ-ოპერატიულად ხელმძღვანელობდა აჯანყებას.

21 ოქტომბერს ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე, გაიგზავნა რევოლუციურ ნაწილებში სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის პოლიტიკური კომისრები, რომლებსაც დაევალათ ადგილებზე აჯანყების მოწყობისა და გატარების ხელმძღვანელობა. მიუხედავად დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის თავმჯდომარის კერენსკის მუქარისა, რომ „ცეცხლითა და მახვილით ჩაახშობდა ყოველგვარ გამოსვლას", 24 ოქტომბერს ვ. ი. ლენინის მითითების შესაბამისად, ბოლშევიკების ორგანომ გაზეთმა „რაბოჩი პუტმა" გამოაქვეყნა მგზნებარე მოწოდება „შეიარაღებული ძალით დაემხოთ დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა". 24 ოქტომბერს ღამით, სმოლნში, რევოლუციის სამხედრო შტაბში ,მოვიდა დიდი ლენინი, რომელმაც უშუალოდ აიღო ხელში შეიარაღებული აჯანყების მთელი ხელმძღვანელობა.

24 ოქტომბერს ღამით და მეორე დღეს 25 ოქტომბერს დილით, ვ. ი. ლენინის უშუალო მითითებით, აჯანყებულთა გვარდიის მოწინავე ნაწილებმა შეტევით დაიკავეს პეტროგრადის ყველა ვაგზალი, ფოსტა, ტელეგრაფი, სამინისტროები, სახელმწიფო ბანკი. დაპატიმრებული იქნა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის მინისტრები, მხოლოდ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კერენსკიმ მოასწრო ქალის ტანსაცმლის გადაცმა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მანქანით გაქცევა, დაპატიმრებას ვერ გადაურჩა სამხედრო გენერალიტეტის დიდი ნაწილიც. ასე რომ, შეიარაღებული აჯანყების ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკის ოსტატური გამოყენებით, დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, მისი სამხედრო შტაბი ერთ დღე-ღამეში დაემხო. პეტროგრადის თითქმის ყველა სამხედრო, სამოქალაქო სტრატეგიული პუნქტი, სამხედრო საჭურველი, აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა.

25 ოქტომბერს სახელოვანმა კრეისერმა „ავრორამ" ზამთრის სასახლისაკენ მიმართული ზარბაზნების ჭექა-ქუხილით მთელ მსოფლიოს ამცნო დიადი განთიადი, რუსეთში ახალი ერის დასაწყისი, ახალი ისტორიის დასაწყისი კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

ლენინური სამხედრო ხელოვნების სტრატეგიითა და ტაქტიკით შეიარაღებული კომუნისტური პარტია ისტორიული მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების მთელ პერიოდში.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის დიდი ლენინის ხელმძღვანელობით, პირველად გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი მეფის რუსეთში, დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა, რაც ცალკეულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ლენინური თეორიის კლასიკურ განხორციელებას წარმოადგენდა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მრისხანე დღეებში სრულიად რუსეთის საბჭოს II ყრილობაზე 1917 წლის ოქტომბერში შეიქმნა ლენინური მოძღვრების საფუძველზე კაცობრიობის ისტორიაში პირველი საბჭოების მთავრობა, რომლის თავმჯდომარედ ყრილობამ დიდი ლენინი აირჩია. საბჭოების II ყრილობამ მიიღო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი პირველი დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ, რომლებიც სავსებით შეესაბამებოდა ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებს.

„დიდმა ოქტომბერმა გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი რუსეთში მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანაში და დაამკვიდრა პროლეტარიატის დიქტატურა ,შექმნა ახალი ტიპის სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, ახალი ტიპის დემოკრატია — დემოკრატია მშრომელთათვის...“[1]

დიდი ლენინის მიერ შექმნილმა სოციალისტურმა სახელმწიფომ თავის ძლიერება და სიცოცხლისუნარიანობა საქვეყნოდ დაამტკიცა ჯერ კიდევ 1918-1920 წლებში, როცა გმირმა საბჭოთა ხალხმა მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა უცხოეთის სამხედრო ინტერვენციაზე და შინაურ კონტრრევოლუციაზე.

დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ჩვენს დიდ ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ისტორიაში უდიდესი მოვლენა იყო ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მრავალეროვან ხალხთა დიდი ოჯახის—სსრ კავშირის შექმნა. სსრ კავშირის შექმნით საბჭოთა დიდი ქვეყანა გადაიქცა სერიოზულ საერთაშორისო ძალად, რომელიც ახდენს თვალსაჩინო გავლენას საერთაშორისო ვითარებაზე ყველა მშრომელის სასარგებლოდ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სასარგებლოდ მთელ მსოფლიოში.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური მოძღვრების განხორციელებისათვის ბრძოლის პერიოდში კომუნისტურმა პარტიამ, ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, გაანადგურა ლენინიზმის მტრები, დაიცვა და შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმი და უზრუნველყო საბჭოთა ხალხის სწორად წარმართვა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

გენიალური ლენინის მიერ შექმნილმა სოციალისტურმა სახელმწიფომ თავისი უძლეველობა და სიცოცხლისუნარიანობა ერთხელ კიდევ საქვეყნოდ ნათელჰყო 1941-1945 წლებში, დიდ სამამულო ომში.

ლენინის მიერ შექმნილმა საბჭოთა კავშირმა იხსნა მსოფლიოს კულტურა განადგურებისა და მშრომელი ხალხი ფაშისტური მონობისაგან. სსრ კავშირის იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიური დახმარებით ევროპისა და აზიის რიგ ქვეყნებში მშრომელმა ხალხმა, კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით, დაამხო ექსპლოატატორთა ბატონობა და შექმნა პროლეტარიატის დიქტატურის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა—სახალ-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. 1961 წ. გვ. 12.

ხო დემოკრატიული წყობილება, სადაც მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია, სსრ კავშირის მდიდარი გამოცდილებით შეიარაღებულნი, წარმატებით აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უდიდესი საკაცობრიო ისტორიული მნიშვნელობა არა მარტო ისაა, რომ ლენინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ჩამორჩენილი რუსეთი, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე ძლიერ და კულტურულ ქვეყნად გადაიქცა, არამედ ისიც, რომ ჩვენი პარტია და გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა მაგალითისა და მიმართულების მიმცემია მოძმე პარტიებისათვის, პროგრესული კაცობრიობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ახლა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47-ე წლისთავზე კომუნისტური საზოგადოების მშენებელი სსრ კავშირი ერთადერთ ქვეყანას კი აღარ წარმოადგენს კაპიტალისტური სამყაროს ოკეანეში, არამედ სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა და ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მესამედზე მეტმა სამუდამოდ დააღწია თავი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის უღელს და მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით წარმატებით იბრძვის ახალი საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიზმისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად ეროვნული ვითარებისა და გამდიდრების ტრიუმფს წარმოადგენს კომუნისტური პარტიის XX, XXI, XXII ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებანი და სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი პროგრამა, რომელშიც უდიდესი სიზუსტით დასახულია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის სწორი გზა, არამედ მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამარჯვებისა და მთელი კაცობრიობის მონობის უღლიდან საბოლოო განთავისუფლების დიადი ამოცანა.

ლენინის დიადი პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული სსრ კავშირის ხალხები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 47 წლისთავს ხვდებიან ახალი სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ვითარებაში, ხალხთა შორის ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური ერთიანობის განვითარებისა და განმტკიცების ვითარებაში, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების შემდგომი გაძლიერებისა და განმტკიცების ვითარებაში, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გაღრმავების, კოლონიური სისტემის რღვევის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ახალ-ახალი ძალების შემოკრებისა და დარაზმვის პირობებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲕᲐᲜᲝ ᲬᲣᲦᲣᲙᲘᲫᲔ

ᲙᲝᲠᲩᲐᲒᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲖᲔ ᲬᲠᲗᲝᲒᲘᲦᲜᲘ

(ნ. ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავის გამო)

„ნ. ოსტროვსკის წიგნს კითხულობენ ღამით, მიწურებში, ბლინდაჟებში. განათება, რასაკვირველია, არა გვაქვს, მაგრამ იყენებენ ჭრაქებს, იმითი ანათებენ და ხმამაღლა კითხულობენ. ასე ამბობენ: ერთხელ წავიკითხავთ, ისევ თავიდან დავიწყებთ, შემდეგ მესამედაც წავიკითხავთო. ასეთ მკითხველებს ცხოვრებაში პირველად ვხვდები“, — ასე სწერდა ვოლგოგრადის გმირული დაცვის დღეებში უფროსი ლეიტენანტი ი. სელინი. და არა მარტო ვოლგოგრადის გმირები იყვნენ და არიან გატაცებული ოსტროვსკის წიგნებით. სწორედ ასეთივე გატაცებით კითხულობდნენ ნ. ოსტროვსკის რომანებს მთელ მოქმედ არმიაში, სამამულო ომის ყველა ფრონტზე. პარტიზანული რაზმის „სახალხო შურისმაძიებლის“ მეთაური ვლ. ნავროცკი აღნიშნავდა: „ჩვიდმეტი თვის განმავლობაში, როცა მტრის ზურგში ვიბრძოდით, ოსტროვსკის სახე მარად ჩვენს შორის იყო. ჩვენს ცხოვრებასა და ბრძოლაში ვბაძავდით პავლე კორჩაგინს“.

უმცროსი სერჟანტი ვ. კოროტაევი წერდა: „ვიბრძოდით რა სამკვდრო-სასიცოცხლოდ, ჩვენ ხშირად ვიგონებდით ჩვენს საყვარელ გმირს პავლე კორჩაგინს. ბრძოლის დროს მე ხშირად ვფიქრობდი, თუ როგორ მოიქცეოდა ჩემს ადგილზე კორჩაგინი“.

გენერალ-ლეიტენანტი გ. ფ. მოროზოვი აღნიშნავს: „მძიმე წუთებში, როცა დიდი სიძნელე გადაგვეღობებოდა, მე ვიგონებდი ოსტროვსკის ცხოვრებას... ეს მშველოდა დაბრკოლებათა გადალახვაში“.

ეს იყო ფრონტელთა ხმა, და აქედან უკვე ნათელია მწერალი ბოლშევიკის მგზნებარე წიგნების უკვდავების საიდუმლოება. უდროოდ გარდაცვლილი მწერალი ბოლშევიკი — ნიკოლოზ ოსტროვსკი იყო ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე რევოლუციასა და სამშობლოს კეთილდღეობას მიუძღვნა.

მუდამ ცეცხლის ხაზზე — აი რა ახასიათებდა ნ. ოსტროვსკის როგორც ადამიანს, როგორც ბოლშევიკს, როგორც მწერალს.

ნ. ოსტროვსკის ლიტერატურული მემკვიდრეობა თითქოს დიდი არ არის; მხოლოდ ორი წიგნია, რომელთაგან ერთი დაუმთავრებელი დარჩა, მაგრამ უაღრესად ძლიერია ნ. ოსტროვსკის შემოქმედების გავლენა ფართო მასებზე, უაღრესად დიდია მისი პოპულარობა, განუზომელია მკითხველთა სიყვარული მისდამი.

ოსტროვსკი იყო და არის ჭეშმარიტი მწერალი მილიონებისათვის. ნ. ოსტროვსკიმ პირველმა საბჭოთა ლიტერატურაში შესძლო შეექმნა სოციალისტური ეპოქის ახალგაზრდა ადამიანის, კომკავშირელისა და ახალგაზრდა ბოლ-

შევიკის —პავლე კორჩაგინის მომხიბ-ლავი გმირული სახე. კორჩაგინის უაღ-რესად ფაქიზმა, სპეტაკმა, ამასთან რთულ-მა, მრავალმხრივმა სახემ, რომელიც 1917-1923 წლების გმირული ეპოქის მეტად მდიდარ ფონზეა ნაჩვენები, უკვე შეასრულა და მომავალშიაც შესძლებს შეასრულოს უდიდესი როლი საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში... ეს არის ამ ნაწარმოების განუზომელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

პავლე კორჩაგინმა უსიხარულო ბავშვობიდან ცხოვრებაში ფეხი შესდგა როგორც უსწავლელმა ახალგაზრდამ, პროტესტანტულად განწყობილმა ჭაბუკმა. მას შემდეგ, რაც მან გაიარა სამოქალაქო ომის ცეცხლი, იყო წითელი არმიის რიგებში, კომკავშირში, მხურვალე მონაწილეობა მიიღო ხალხის მტრებთან ბრძოლაში, კორჩაგინი გამოიწრთო როგორც ფოლადი, და მისგან დადგა გაუტეხელი ვაჟკაცი, შეუდრეკელი ნებისყოფის ბოლშევიკი. რევოლუციონერ-ბოლშევიკის ' ეს შესანიშნავი თვისება შველის პ. კორჩაგინს — ნ. ოსტროვსკის გადაიტანოს საშინელი განსაცდელი პირად ცხოვრებაში — განუკურნავი სნეულება, რომელსაც იგი სამუდამოდ ავადმყოფის საწოლზე მიუკრავს. მაგრამ რა ქნას ბოლშევიკმა მწყობრს გარეთ? „არ არსებობს ჩემს ცხოვრებაში არაფერი იმაზე საშინელი, როგორიც არის მწყობრიდან გამოსვლა“, — სწერდა პავლე კორჩაგინი ძმას არტემს, — „მე კიდევ მაქვს იმედი, რომ მწყობრში დავბრუნდები, რომ ციერიშზე გადასულ კოლონებში ჩემი ხიშტიც იელვებს“. პავლე დიდის წამებითა და ტანჯვით იბრძვის, რომ მოიპოვოს აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების უფლება. იპოვოს ბრძოლის ახალი იარაღი. ახალი იარაღის ძიებას კორჩაგინი მიჰყავს იმ აზრამდე, რომ ასახოს კოტოვსკის გმირული დივიზიის საარაკო საბრძოლო თავგადასავალი, შექმნას რევოლუციისათვის, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა დაუვიწყარი სახეები, საბჭოთა ახალგაზრდობის შთამაგონებელი — ხალგზის მაჩვენებელი სახეები.

წიგნზე კორჩაგინის მუშაობის წარმატება ნ. ოსტროვსკის შემდეგ მგზნებარე სიტყვებს წარმოათქმევინებს: „ასრულდა, — სანუკვარი ოცნება სინამდვილედ იქცა! რკინის რკალი გარღვეულია და ის (კორჩაგინი) უკვე ახალი იარაღით ხელში მწყობრსა და ცხოვრებას უბრუნდება“.

კორჩაგინის სიხარული თვით ოსტროვსკის სიხარული იყო; თვით ნ. ოსტროვსკი დაუბრუნდა მწყობრსა და ცხოვრებას მას შემდეგ, რაც მან შექმნა რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, სადაც მან აღწერა თავისი ცხოვრება, თავისი წარმტაცი საბრძოლო თავგადასავალი. დაუბრუნდა ცხოვრებას, რომ განეგრძო ბრძოლა მშრომელი ხალხისა და სამშობლოს ბედნიერებისათვის.

სახე ნ. ოსტროვსკისა არის სახე სოციალიზმის ეპოქის ახალგაზრდა ადამიანისა, რომელიც დაუცხრომლად იბრძვის და არასოდეს არ სტოვებს თავის ადგილს მებრძოლთა პირველ რიგებში.

სიკვდილმა ოსტროვსკის მოუსწრო მეორე წიგნზე მუშაობის დროს. რომანში „ქარიშხალით შობილნი“ ნ. ოსტროვსკი უბრუნდება ბობოქარ ეპოქას — სამოქალაქო ომის წლებს. ამ რომანში პოლონელი კაპიტალისტების და მაგნატების წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლას ძველი ბოლშევიკი რაევსკი მეთაურობს. რაევსკისათვის ისევე, როგორც კორჩაგინისათვის, წარმოუდგენელია სიცოცხლე და ცხოვრება რევოლუციური ბრძოლის, სახალხო ინტერესების გარეშე. ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული რაევსკი ბრძოლაში ითრევს ცოლსა და შვილს რაიმონდს, რაიმონდის საშუალებით იგი რაზმავს რევოლუციონერ ახალგაზრდობას კომკავშირში. მუშა ახალგაზრდები, კომკავშირელთა პირველი თაობა შესანიშნავად არის დახატული და ნაჩვენები რომანში „ქარიშხლით შობილ-

ნი". რაიმონდი, ოლესია, ანდრი, პტახა, სარა — იმ პოლონელი, უკრაინელი, ებრაელი ჭაბუკებისა და ქალიშვილების დაუვიწყარი სახეებია, რომელნიც ეზიარნენ ახალგაზრდა რევოლუციონერთა ინტერნაციონალური ძმობის სიხარულს და რომლებმაც კარგად იციან ფასი ამ სიხარულისა.

ნ. ოსტროვსკის მთელი შემოქმედება სოციალისტური ჰუმანიზმით არის გამსჭვალული. მგზნებარე სიყვარული მშრომელი ადამიანისადმი და მწვავე სიძულვილი მჩაგვრელებისადმი, ხალხისა და სამშობლოს მტრებისადმი — ასეთია მთლიანი გრძნობა, რომელიც შთააგონებს და აღაფრთოვანებს ოსტროვსკის.

ნ. ოსტროვსკის ცხოვრება და შემოქმედება აღსავსეა ოპტიმიზმით. ეს არის ოპტიმიზმი ადამიანისა, რომელსაც არავითარი სიძნელის არ ეშინია. ამ ოპტიმიზმისათვის უცხოა თვითდამშვიდება და წვრილმანი საქმეებით დაკმაყოფილება. ოსტროვსკის ოპტიმიზმს შობს მტკიცე, ურღვევი შინაგანი კავშირი კოლექტივთან, ხალხთან, სამშობლოსთან. ამ კავშირის გრძნობა აძლევდა ძალას ოსტროვსკის შემოქმედებას.

ჯერ კიდევ ალექსანდრე ფადეევმა ნ. ოსტროვსკისადმი გაგზავნილ პირად წერილში აღნიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ გამოჩენილა თავისი სიწმინდით და ცხოვრებისეული სიმართლით აღსავსე ისეთი სახე, როგორც კორჩაგინიაო. საერთოდ, მთელ რუსულ მწერლობაში იგი ერთ-ერთი ყველაზე გმირული სახეა. როგორც მართებულად ამბობს კ. ზელინსკი სულ ახლახან გამოქვეყნებულ კრიტიკულ ნარკვევში, კორჩაგინი აგრძელებს გალერეას ისეთი გმირებისას, როგორიც არიან რახმეტოვი ნ. ჩერნიშევსკისა („რა ვაკეთოთ"), პავლე ვლასოვი მ. გორკისა („დედა"), კომისარი კლიჩკოვი ფურმანოვისა („ჩაპაევი"), ლევინსონი ალ. ფადეევისა („განადგურება"). ნ. ოსტროვსკის გმირი კორჩაგინი, როგორც ვარსკვლავი, თავზე დანათის და ასხივოსნებს შემდგომი წლების საბჭოთა ლიტერატურის ახალგაზრდა ადამიანთა გმირულ სახეებს — ოლეგ კოშევოის (ალ. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია"), ტრავკინს (ედ. კაზაკევიჩის „ვარსკვლავი"), მერესიევს (ბ. პოლევოის „მოთხრობა ნამდვილ ადამიანზე"). იდეა, რომელიც მხატვრულად არის გახსნილი რომანში „როგორ იწრთობოდა ფოლადი" და რომელიც იქცა ოლეგ კოშევოის, ზოია კოსმოდემიანსკიას, ზოია რუხაძის, მატროსოვის, გამცემლიძის და ათასობით საბჭოთა ჭაბუკის და ქალიშვილის ცხოვრების დევიზად, — თვითონ ნ. ოსტროვსკიმ შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ყველაზე უძვირფასესი, რაც ადამიანს გააჩნია, ეს არის სიცოცხლე, იგი ერთხელ ეძლევა მას და ადამიანმაც უნდა განვლოს ცხოვრების გზა ისე, რომ გული არ ეტკინოს უმიზნოდ გატარებული წლების გამო, რომ სირცხვილმა არ დასწვას წვრილმანი და სულმდაბალი ცხოვრებისათვის, რომ სიკვდილის ჟამს შეეძლოს თქვას: მთელი სიცოცხლე, მთელი ჩემი ძალღონე შეეწირა ყველაზე უმშვენიერეს ამ ქვეყანაზე — ბრძოლას კაცობრიობის თავისუფლებისათვის".

თავის მომდევნო თაობას მწერლებისას ნ. ოსტროვსკიმ დაუტოვა შემაგონებელი ანდერძი, შემდეგი სიტყვებით გამოთქმული: „ახალგაზრდა მწერალი როგორც მწერალი, იზრდება მხოლოდ მაშინ, როცა იზრდება როგორც ადამიანი, როგორც მებრძოლი მთელ თავის ქვეყანასთან ერთად. მხოლოდ მაშინ, თუ მოწინავე მებრძოლთა რიგებში დგას, თუ ბრძოლის ცეცხლით არის ანთებული, თუ იტანჯება დამარცხებებით და ხარობს გამარჯვებებით მთელ ხალხთან ერთად, მხოლოდ მაშინ დაწერს იგი მართალს, ამაღელვებელს და მომწოდებელ ნაწარმოებს", თვითონ ნ. ოსტროვსკი იყო ტიპიური განსახიერება ასეთი მწერლისა. სწორედ ამიტომ, როგორც აღვნიშნეთ, ნ. ოსტროვსკის წიგნებმა, რომელნიც ბრძოლისა,

გმირობისაკენ, მტრის დაუნდობელი მოსპობისკენ მოგვიწოდებენ, ნ. ოსტროვსკის მიერ შექმნილმა ახალგაზრდა ბოლშევიკთა სახეებმა უდიდესი როლი შეასრულეს გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ სამამულო ომში. ოსტროვსკის წიგნები ახალგაზრდა საბჭოთა მეომრების განუშორებელი თანამგზავრები იყვნენ. ამ წიგნებში ჰპოვებდნენ ისინი დაუშრეტელ წყაროს ვაჟკაცობისა და გმირობისათვის. პავლე კორჩაგინი გადაიქცა საბჭოთა ახალგაზრდობის იდეალად. მრავალი და მრავალი ათასი ახალგაზრდა ცდილობდა და ცდილობს ვაჟკაცობით, განსაცდელის წინაშე ქედმოუხრელობით, ხალხისა და სამშობლოსათვის თავგანწირვით, უანგარობით და ზნეობრივი სისპეტაკით დამსგავსებოდა და დაემსგავსოს პავლე კორჩაგინს. ამ კეთილშობილმა მისწრაფებამ სამამულო ომის უამრავი ახალგაზრდა გმირი წარმოშვა.

ნ. ოსტროვსკის წიგნების უდიდესი ქმედითი ძალის საილუსტრაციოდ და დასადასტურებლად საბჭოთა ხალხის ახლო ისტორიული წარსულიც რომ არ გავიხსენოთ, განა ჩვენს დღეებშიც რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და მისი გმირი კორჩაგინი არ წარმოადგენდა დროშას და ბრწყინვალე მაგალითს იმ ახალგაზრდობისათვის, რომლებმაც ვაჟკაცური შემართებით, მოუდრეკელი ნებისყოფით, უამრავ დაბრკოლებათა და სიძნელეთა გადალახვით გააკეთეს საშვილიშვილო, ისტორიული საქმეები — დაძრეს მილიონობით ჰექტარი ყამირი მიწები, თვალუწვდენელ უხვმოსავლიან ხოდაბუნებად და აყვავებულ ბაღნარებად აქციეს ათასი წლების მანძილზე მოურწყავი და ხელუხლებელი უდაბნოები, ააგეს და აამუშავეს ელექტროენერგიის ისეთი გიგანტები, როგორიც ვოლგის და ბრატსკის ელსადგურებია?

— ჩვენთვის, კოსმონავტებისთვის,— განაცხადა გერმან ტიტოვმა ნ. ოსტროვსკის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში, კორჩაგინი თავისი შეუპოვარი ბრძოლით და ვაჟკაცური შემართებით გამამხნევებელი და წამქეზებელი სახე იყო და არის კოსმოსის დაპყრობისთვის ბრძოლაში. მე პირადად ვიცნობ მრავალ საბჭოთა ახალგაზრდას, რომლის არსებაში ცოცხლობს კორჩაგინ-ოსტროვსკის გმირული სულისკვეთება. როცა ციმბირში, ბრატსკის მშენებლობაზე ვნახე ერთი მათგანის თავგანწირული მუშაობა, მაშინვე თავში გამიელვა აზრმა — ეს ახალგაზრდაც ხომ ჩვენი დღეების კორჩაგინია.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე სკკპ ცენტრალურ კომიტეტს ნ. ოსტროვსკი სწერდა: „მე მწვავე გულისტკივილს განმაცდევინებს იმის ფიქრი, რომ ფაშიზმთან უკანასკნელ ბრძოლებში ვე ვერ შევსძლებ დავიკავო ჩემი ადგილი მებრძოლთა მწყობრში. ულმობელმა ავადმყოფობამ შემბოჭა მე, მაგრამ მით უფრო მეტი გზნებით დავარტყამ მტერს იმ იარაღით, რითაც აღმჭურვა ლენინის პარტიამ, რომელმაც უბრალო წერა-კითხვის მცირე მცოდნე მუშა-ბიჭიდან საბჭოთა მწერლად გამზარდა“.

ნ. ოსტროვსკის ოცნება და სურვილი ასრულდა — ფაშიზმთან გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მან ჰპოვა თავისი საკუთარი ადგილი. ფაშიზმის საბოლოო განადგურებისათვის გოლიათური ნებისყოფით იბრძოდა მისი კორჩაგინი და კორჩაგინის საბრძოლო გამოცდილებაზე აღზრდილი საბჭოთა ახალგაზრდობა, და კორჩაგინის გულის ცეცხლზე წრთობილი. იგი ახლაც თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ შექმნას მტკიცე ეკონომიური საფუძვლები კომუნიზმის ძლევამოსილი და საბოლოო გამარჯვებისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჟღენტი

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზა

II

კ. გამსახურდიას მიერ ოციან წლებში შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და თანაც ყველაზე დამახასიათებელი მწერლის იმდროინდელი იდეურ-ესთეტიური პოზიციისათვის არის რომანი „დიონისოს ღიმილი", რომელსაც ავტორმა თავისი „სიჭაბუკის წიგნი" უწოდა. ამ წიგნის პირველი ნაწილი მწერალს 1913 წელს დაუწერია მიუნხენში, 1916-1917 წლებში ბერლინში განუგრძვნია მისი წერა, მაგრამ რომანის ეს პირველი ხელნაწერი ავტორს დაკარგვია, ასეთივე ბედი სწვევია რომანის მეორე ვარიანტსაც, რომელიც მწერალს 1919 წელს ბერლინში დაუწერია. და ბოლოს, 1924 წელს მესამეჯერ დაუწერია იგი საქართველოში იმ სახით, როგორითაც ცნობილი გახდა მკითხველი საზოგადოებისათვის. „ცხრა თვე — დღისით და ღამით ისე ვებრძოდი ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს", ამბობს მწერალი ამ წიგნის საბოლოო ვარიანტზე თავისი მუშაობის შესახებ. და მართლაც, ამ ნაწარმოებში პირველად იჩინა თავი მწერლის ღრმად თავისებურმა მხატვრულმა სტილმა, მისმა ორიგინალურმა მეტყველებამ, რომელიც თანამედროვე ქართული სამწერლო ენის განახლებისა და გამდიდრებისათვის წარმოებული დაძაბული შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის შედეგად არის გამომუშავებული. ეს წიგნი პირველი და ყველაზე მკაფიო ნიმუში იყო იმ „პოეტური პროზისა", რომლის თავგამოდებულ აპოლოგეტადაც კ. გამსახურდია გამოდიოდა თავისი სამწერლო ბიოგრაფიის დასაწყისიდანვე და რომელშიც მხატვრული პროზის ეპიურ და ლირიკულ საწყისთა განუყოფელ ერთიანობას გულისხმობდა. ამავე ნაწარმოებში პირველად გამოვლინდა საგრძნობლად და ხელშესახებად მწერლის მხატვრული ინდივიდუალობის, მისი თვითმყოფი პოეტური ნიჭიერების, თხრობისა და ხატვის ღრმაღ თავისებური ხელოვნების ის ნიშან-თვისებანი, რომელთაც განვითარება პოვეს მის შემდგომს დიდ მხატვრულ ტილოში.

„დიონისოს ღიმილით" მე მოვძებნე სინთეტიური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის... გენეტიურად იგი დასავლური რომანიდან გამოდის", — წერს ავტორი ამ წიგნის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში. მართლაც, ამ ნაწარმოებს უფრო მეტი ნათესაობა და კავშირი აქვს დასავლეთის რომანთან, ვიდრე ქართული კლასიკური მწერლობის მაგისტრალურ ხაზთან. მაგრამ, როგორც ცნობილია, ევროპული რომანი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილსა და უცვლელ კატეგორიას როდი წარმოადგენს. ერთია ბალზაკისა, სტენდალისა, დიკენსისა და თეკერეის რეალისტური რომანის ტრადიცია და სულ სხვაა გასული საუკუნის მიწურულისა და ჩვენი საუკუნის დამდეგს ევროპაში აღმოცენებული ანტირეალისტური მხატვრული პროზის ის ნაკადი, რომელიც მარსელ პრუსტის, ჯემს, ჯოისის, დოს პასოსის და სხვათა სახელებით არის ცნობილი. ამასთანავე თანამედროვე ევროპული რომანიც არ

* დასასრული. იხ. „მნათობი" № 10.

წარმოადგენს ერთიანსა და განუყოფელ ცნებას. სწორედ მე-19 საუკუნის მიწურულს ევროპაშივე აღმოცენდა ახალი კრიტიკული რეალიზმის დიდი მწერლობა, რომელმაც ღრმად გახსნა და დიდი მამხილებელი ძალით გამოხატა ეპოქის სოციალური წინააღმდეგობანი, ბურჟუაზიული საზოგადოების დაცემისა და რღვევის პროცესები. კრიტიკული რეალიზმის ეს მძლავრი ტრადიცია ამჟამადაც გრძელდება ევროპულსა და ამერიკულს ლიტერატურაში და მას ისეთი დიდი, მთელს მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ოსტატები განამტკიცებენ, როგორიც არიან ჰემინგუეი, სტეინბეკი, კოლდუელი, ჰენრიხ ბიოლი და სხვ. ამასთან, თანმიმდევრულად იზრდება დასავლეთის მწერლობაში გარკვეულად რევოლუციური, სოციალისტური რეალიზმის მხატვრული პროზის ჩვედრითი წონა. ყოველივე ეს, მთელი ეს ნაირფეროვანი პროგრესული ლიტერატურული მოძრაობა არსებობს თანამედროვე დეკადანსის ისეთ უკიდურეს გამოვლინებათა პარალელურად, როგორც, მაგალითად, ფრანგული „ანტირომანის“ თეორია და პრაქტიკა და სხვა ამგვარი ანტირეალისტური მყვირალა, მოდური მიმდინარეობანი, ეგზისტენციალიზმიდან — აბსტრაქციონიზმამდე. ამიტომაც შეუძლებელია ლაპარაკი საერთოდ „თანამედროვე ევროპული მწერლობის“, „თანამედროვე ევროპული რომანის“ შესახებ. ეს ცნებები აუცილებლად დიფერენცირებულ გაგებასა და გააზრებას საჭიროებს.

კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ ჩვენი საუკუნის ევროპული მოდერნისტული მხატვრული პროზის წიაღშია წარმოშობილი. მართალია, იგი გამსჭვალულია ბურჟუაზიული ცივილიზაციისადმი უარმყოფელობის გრძნობით, მისი ხრწნისა და ლპობის, მისი ამორალიზმისა და განუკურნებელი დაძაბუნების მამხილებელი პათოსით, მაგრამ რომანის ეს კრიტიციზმი მოკლებულია სოციალურ გააზრებას და რაიმე ჯანსაღ, პროგრესულ საზოგადოებრივ იდეალს. იგი უფრო იმ სულიერი კრიზისისა და დეპრესიის გამოხატულებაა, რომელმაც დასავლეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის გარკვეული წრეები მოიცვა პირველი მსოფლიო ომის მომდევნო წლებში და რომელმაც ნაირსახეობრივი გამოვლინება ჰპოვა ჯერ გერმანელ ექსპრესიონისტების შემოქმედებაში, ხოლო უფრო გვიან ფრანგი მწერლის ლუი სელინის რომანში „მოგზაურობა ღამის პირად“, ხოლო უფრო ახლოხან — ფრანგი ეგზისტენციალისტების რომანებსა და დრამებში.

რომანის მოქმედება ჩვენი საუკუნის ათიანი წლების ევროპული ცხოვრების ფონზე მიმდინარეობს. მართალია, რომანის მთავარი გმირი ქართველი კაცია და ამიტომ მისი მოგონებანი საკუთარი ბავშვობისა და ყრმობის წლების შესახებ — საქართველოს იმდროინდელ ცხოვრებას მოიცავს. საქართველოში მიმდინარეობს რომანის უკანასკნელ თავებში მოთხრობილი მოვლენებიც, მაგრამ ამ ქართულ პასაჟებს ნაწარმოებში მხოლოდ მეორეხარისხოვანი, პერიფერიული ადგილი და მნიშვნელობა აქვთ მიკუთვნებული. რომანის ძირითად ნაწილს მისი გმირის მიერ ევროპის ქვეყნებში — საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში გატარებული ცხოვრების ისტორია შეადგენს და ამდენადვე ამ პერიოდის ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურ ანარეკლსაც შეიცავს. მაგრამ მწერლის ყურადღების ცენტრში დაყენებულია არა ამ პერიოდის მსოფლიო ისტორიისათვის დამახასიათებელი ღრმა სოციალური კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, არა ის ეპოქალური მნიშვნელობის საზოგადოებრივი პრობლემები, რომლებიც ამ წლებში კაცობრიობას აღელვებდნენ, არამედ თავისი გმირის და მის გარემომცველ ადამიანთა ვიწრო, პირადულ გრძნობათა და განცდათა სამყარო, მათი სამიჯნურო, უფრო სწორად, ეროტიულ-სექსუალური ურთიერთობანი, მათი შთაბეჭდილებათა მდინარება.

ამიტომაც რომანში ვერ ვხედავთ

სხვადასხვა სოციალურ ფენათა ცხოვრების დამახასიათებელ სურათებს, მათი სოციალური ინტერესების წინააღმდეგობებიდან წარმოშობილ კონფლიქტებს. რომანის სარბიელი ბურჟუაზიული საზოგადოების მაღალი ფენების ვიწრო წრით არის შემოფარგლული და ამ წრის მხატვრული ათვისება და დახასიათებაც მოკლებულია სოციალურ ასპექტს, უპირატესად ყოფაცხოვრებითსა და პირადინტიმურ ურთიერთობათა სფეროშია მომწყვდეული.

რომანის პერსონაჟთა მრავალრიცხოვან კალეიდოსკოპში არც ერთი არ წარმოადგენს დასრულებულ სოციალურ ტიპს, რომელიც ამა თუ იმ კლასის ფსიქოლოგიას, მის სოციალურ ბუნებას განასახიერებდეს, არც ერთი მათგანი არ არის ნაჩვენები თავისი პროფესიული საქმიანობის ვითარებაში. მთელი ეს ადამიანური მასა აქ გამოხატულია სეირნობისა და კაფე-რესტორნებში დროსტარების, არისტოკრატულ სალონებში სტუმრობის, სექსუალური აღვირახსნილობის, ღრმად სუბიექტურ განწყობილებათა და განცდათა ვითარებაში.

კლასიკური ევროპული რომანისაგან განსხვავებით, ან მის საწინააღმდეგოდ, ამ ნაწარმოების კომპოზიცია მოკლებულია ერთიან, მწყობრ სიუჟეტურ კალაპოტს. რომანი მისი მთავარი გმირის ნაამბობის სახით ვითარდება და უფრო მისი დღიურების, მოგონებების, შთაბეჭდილებების, მისი სულიერი ბიოგრაფიის ცალკეული ეპიზოდების ფრაგმენტულ ანაბეჭდებს წარმოადგენს, ათასგვარი შენაკადი ასოციაციებით გართულებულსა და განშტოებულს. მაგრამ თავისი გმირის სულიერი დრამის, მისი გამძაფრებული მგრძნობელობის, მისი აფორიაქებული ფსიქოლოგიური სამყაროს გადმოცემისას მწერალი მაღალი პოეზიის დონეს აღწევს. სწორედ ამ სფეროში ვლინდება მწერლის იშვიათი მხატვრული ძალა, ენერგია და ოსტატობა. და ასევე მაღალი ესთეტიკური ჟღერის მხატვრულ სურათებში წარმოსახავს მწერალი მოქმედების ფონს,—მსოფლიოს უდიდესი—სატახტო ქალაქების, ქუჩებისა და მოედნების, ბაღებისა და პარკების ხედებს. კაფეებისა და რესტორნების, არისტოკრატიული ოჯახების ბინების მოწყობილობას, ეპოქის მატერიალურ ინვენტარს და ქალაქურსა თუ სოფლურ პეიზაჟებს, რომლებიც ყოველთვის ლირიკული მგზნებარებით არის გამსჭვალული და ამიტომაც ემოციურად დატვირთული და გამძაფრებული.

მწერალი ნაკლებად ზრუნავს ინდივიდუალიზირებულ ადამიანურ ხასიათთა ცოცხლად დახატვისათვის, პერსონაჟთა გარეგნული პორტრეტების დასრულებულად ძერწვისათვის. რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის არსებითად არც არსებობს გმირი — ამ ცნების მაღალი გაგებით, რადგან ამ წიგნში არავინ ჩადის რაიმე გმირულს და მაღალადამიანურს. რომანში არაფერი ხდება სოციალურად მნიშვნელოვანი. ჩვენი საუკუნის ისტორიული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი დიდი ძვრები და გარდატეხები აქ მხოლოდ მკრთალი შტრიხებით არის ნაგულისხმევი და მინიშნებული, იმდენად, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ რომანის პერსონაჟთა პირადული ურთიერთობების განვითარებაზე.

ყოველივე ეს დიდის მანძილით აშორებს „დიონისოს ღიმილს“ — კლასიკური რეალისტური რომანის ტრადიციებს, აახლოვებს და ანათესავებს მას მსოფლიო დეკადენტურ მწერლობაში გავრცელებულ უსიუჟეტო და „უგმირო“ ბელეტრისტიკასთან.

„დიონისოს ღიმილის“ ძირითად შინაარსს, მწერლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპული ცივილიზაციის სნობისტური სენით დაავადებული უნიადაგო აზნაურის — კონსტანტინე სავარსამიძის სულიერი ბიოგრაფია წარმოადგენს. „მე არ ვარ გმირი, მაგრამ გმირი ხალხის ვარ ნაბოლარა“. ასე ახასიათებს თავისთავს კონსტანტინე სავარსამიძე. უფრო სწორად რომ ვთქვათ,

იგი ქართველი აზნაურობის ნაბოლარა და უკანასკნელი ნაშიერია. მაგრამ თათქარიძეებისა და სამანიშვილების საკუთაროსთან მას მხოლოდ წარმოშობა აკავშირებს. თავისი აზროვნებით, ფსიქოლოგიით, ზნეობით კი მას არაფერი აქვს საერთო თავის წარმომშობ წოდებასთან. უკვე ადრეულ ყრმობის წლებში სავარსამიძე სულიერად დანათესავებია თავის აღმზრდელ გლეხს ტაია შელიას. ტაია — გლეხია, მაგრამ იგი მშრომელი გლეხობის წიაღისაგან მოწყვეტილი და გამოთიშული, რაღაც განსაკუთრებული გამონაკლისია. იგი უსაქმური, ლოთი, შესანიშნავი მონადირე და ცხენოსანი, ძველისძველ წარმართულ ტრადიციებით დამძიმებული ადამიანია, რომელსაც არასოდეს თოხისა და სახნისისათვის ხელი არ შეუვლია, თავისი ოფლით არაფერი მოუპოვებია. ქორწილებში პირველი თამადა და დაკრძალვა-ქელეხებში პირველი მოზარე, ტაია შელია, ამასთან, სისხლხორცეულად შეზრდილა ბუნების წიაღთან — ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავალთა სამყაროსთან. ტაია შელიამ წარუშლელი ზეგავლენა იქონია სავარსამიძის ჭაბუკურ შეგნებაზე. „ტაია შელიამ ახია ჩემს თვალწინ ბუნების შვიდბეჭდიანი წიგნის პირველი ფურცელი, მან მასწავლა კვანძის გამოსკვნა, ანკესებზე ჭიების აგება და პირველად მან მიმაგნებინა გველების, ხვლიკების, თხუნელების და წავების სოროებისათვის: მან მასწავლა შელოცვა, ფრინველების გამოჯავრება, გათვალვის, გათოფვის და დანამსვის ძალა... ტაიამ მიჩვენა ჩემი ადგილი ადამიანთა შორის“,— იგონებს უკვე დავაჟკაცებული, ევროპის ბურჟუაზიული ცივილიზაციის ატმოსფეროში მთლიანად გათქვეფილი სავარსამიძე. უკვე ბავშვობის წლებში გათიშვია კონსტანტინე სულიერად საკუთარ ოჯახს. ჭაბუკი თურმე ზეცისაკენ მიისწრაფოდა, — მამა კი მიწას ებღაუჭებოდა. მომაკვდავ მამას დაუწყევლია თავისი ერთად-ერთი პირმშო, ცხოვრებაში გზადაბნეულობა, უნაყოფობა, გაუხარელი მწარე ხვედრი უნატრია მისათვის. მამის სიკვდილისთანავე კონსტანტინეს დაუნგრევია მამა-პაპეული სასახლე, აუჩეხია მამის მიერ გაშენებული ვენახები, მიწები გაუყიდია და უცხოეთში გადაკარგულა. მას შემდეგ დაეხეტება ევროპის ქალაქებში განუკურნებელი მელანქოლიით შეპყრობილი, სამუდამოდ გზააბნეული, მარტოობისა და მიუსაფარობის გესლით მოშხამული. ახალგაზრდა ქართველი აზნაური, რომელსაც თავი პოეტად მოაქვს, თუმცა არაფერი შეუქმნია დადებითი და მნიშვნელოვანი. მისი სულიერი სამყარო განუკურნებლად მოუწამლავს ევროპული დეკადენტური კულტურის შხამს. იგი უკიდურესი ინდივიდუალიზმის, ამორალიზმის ჭაობში ჩაძირულა და ცხოვრებაში საკუთარი გზა ვერ უპოვნია. 32 წლის ასაკს მიღწეული ვაჟკაცი, პარიზის კაფეებისა და რესტორნების, არისტოკრატიული სალონების მუდმივი სტუმარი, თავს უდაბნოში, გაუვალ უღრან ტყეში გრძნობს და ასე მიმართავს თავის ფიქრებში ტაია შელიას:

„ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში, შვიდი პროფესია გამოვიცვალე და ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი ამ ცხოვრებაში, ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი — გულთმისანო ჩემო გამზრდელო.

ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან. განა არ გესმის?.

„გზა!“ იძახის ადამიანი საუკუნოების ირიბ მიჯნაზე.

„გზა!“ იძახიან მგზავრები, მეეტლეები, ვატმანები და შოფერები.

„გზა!“ იძახიან მწერლები, მეცხიერები, ბერები და მოძღვართ-მოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერავინ მასწავლა გზა.

თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია, ყველა ასპარეზი ნაცადია, მაგრამ მაინც არ ვიცი საით წავიდე, რადგან ყველა გზა ულევია და გაუვალი“.

ადამიანს, რომელსაც თითქმის ნახევარი მსოფლიო შემოუვლია, მრავალი ენა შეუსწავლია, მრავალი ხალხის ყოფაცხოვრება გაუცვნია, ბევრი უკითხავს და უსწავლია, მთელი ქვეყანა უდაბნოდ წარმოუდგენია და თავისი თავი ამ უდაბნოში მოხეტიალე ლახდად.

„ქუჩაში გავდივარ, მილიონებს შორის დავეძებ მარტოობას.

უდაბნო! უდაბნო! დიდი ქალაქის დიდი ქუჩაა ჩემი უდაბნო! აქ არავინ მიცნობს, ჩირადაც არავინ მაგდებს, არავინ მესალმება, არავინ მიცქერს. თითქოს მე სხეული არ მქონდეს, თითქოს მე სისხლი არ მქონდეს, თითქოს მე სული არ მქონდეს, თითქოს ლანდი ვიყვე, უდაბნოში მოხეტიალე ლანდი. უდაბნო! უდაბნო!“

მთელი წიგნი მისი მთავარი გმირის ამგვარი ტრაგიკული ყღერის მონოლოგს წარმოადგენს, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლებიან ღრმა წინააღმდეგობებით აღსავსე მისი ფიქრები, მოგონებანი, შთაბეჭდილებანი და მისი აფორიაქებული ყოფა-ცხოვრების ეპიზოდები, გარემოცვის ფერადოვანი სურათები..

სავარსამიძე ხან პატრიოტია, რომელსაც შეუძლია სიამაყით და სიყვარულით ილაპარაკოს თავისი სამშობლოს გმირულ წარსულზე, სიტკბოებით განიცდიდეს მისი ბუნების მშვენიერებას და მისი ხალხის მაღალ ღირსებებს, ხან კი უთვისტომო კოსმოპოლიტი, რომელსაც შეუძლია სრული რწმუნებით თქვას: „ჩრდილო და სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი — მთელი სამყარო ჩემი სამშობლოა“. იგი ხშირად ამაყობს თავისი „ლაზური სისხლით“, დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ „სისხლის ფაქტორს“ და თავმომწონედ აცხადებს, „ჩემში ყველაფერზე ხმამაღლა სისხლი მეტყველებს“. და თანაც გრძნობს და აღიარებს, რომ ეს სისხლი დაღლილი და სამუდამოდ დაშრეტილია. იგი ხან შეჰხარის თავის ფიზიკურ ძალღონეს, მკლავების სიმაგრეს, ფეხების გამძლეობას და ფიქრობს, რომ მისთვის ყველაფერი ამქვეყნიური მისაწვდომია და დასაძლევი, ხანაც გულმოკლული ჩივის: „ახლა ვგრძნობ, ჩემი სხეული დაიშალა, დაირღვა, საგნებს ფერადები შემოახუნდათ, გარემოს განვიცდი, როგორც არეულსა და უსიამოვნო ხმაურს... ხანდახან მგონია: მე მოვკვდი კიდევაც და საოცარია, რომ ჩემი ნაადრევი სიკვდილის გამოცხადება არც შიშსა და არც სინანულს აღარ იწვევს ჩემში. დაიშრიტა სიხარული ჩემ სულში, აღარ ვლაპარაკობ, აღარ ვიცინი. არც რაიმე მაინტერესებს“.

სავარსამიძეს არ გააჩნია რაიმე სოციალური იდეალი და საზოგადოებრივი ინტერესი. იგი გულგრილად შესცქერის ერების, ქვეყნების, კაცობრიობის ბედს. მას არაფერი წამს და ღრმად არაფერი და არავინ უყვარს.

მისი ცხოვრების ისტორიის მთავარ შინაარსს სამიჯნურო გატაცებანი შეადგენს. ამ ურთიერთობებში ნატამალიც არ არის წრფელი გრძნობისა, სპეტაკი და ამაღლებული სიყვარულისა. ეს განუკითხავი ეროტომანი თანაბარი ვნებიანობით, მაგრამ წარმავალი და ეფემერული გატაცებით უკავშირდება საფრანგეთში აკრედიტებულ სპარსეთის ელჩის ალი მირზა ხანის მეუღლეს ჯენეტსაც, თავისი უახლოესი მეგობრის იოჰანეს ნოიშტატის სატრფოს ინგებორსაც, რომელიღაც არისტოკრატულ სალონში შემთხვევით გაცნობილ ამერიკელ ქალს მისის ბლუტსაც, რომის ქუჩაში ღამით შეხვედრილ ქალს ლუჩიასაც და ბოლოს, ქმარშვილთან ქართველ მანდილოსანს — თინას, რომელიც ოდესღაც თავისი სიჭაბუკის წლებში ყვარებია კონსტანტინეს. და თავის ამ სასიყვარულო ურთიერთობათა მოთხრობისას სავარსამიძე ხშირად უკიდურესად გაშიშვლებული, ციინიკურად შეუფარველი სახით აღწერს აღვირახსნილი ავხორცობით აღბეჭდილ ეროტიულ სცენებს.

სავარსამიძე ხშირად ადარებს ხოლმე თავისთავს ჭაობში განმარტოებით მდგარს უნაყოფო თხმელას. და მართლაც, უნაყოფოა იგი არა მარტო იმ

აზრით, რომ შვილი არა ჰყავს და მაშასადამე ბიოლოგიურად ვერ აგრძელებს მოდგმას, არამედ ფუჭი, უნაყოფო და ცარიელია იგი თავისი აზროვნებითაც, საქმიანობითაც, ცხოვრების მთელი შინაარსით. ასეთი გულგამოჭმული სკეპტიკოსის, ინდივიდუალისტის, აღვირახსნილი ეროტომანის, ურწმუნო და უიდეო ადმიანის სახე დახატა კ. გამსახურდიამ „დიონისოს ღიმილში", და ეს ტიპი ცოცხლად და ხორცშესხმულად გამოხატავს იმ „დაკარგული თაობის" მორალურ სახეს, რომლის სულიერი დრამის გადმოცემასაც თავისი ძალღონე შეალია ჩვენი საუკუნის ბურჟუაზიულ-დეკადენტური მწერლობის მრავალმა ცნობილმა ოსტატმა.

თუ მაინც მოვინდომებთ მოვუნახოთ სიუჟეტური მაგისტრალი ამ ნაწარმოებს, ასეთად უნდა მივიჩნიოთ სავარსამიძისა და ჯენეტის სამიჯნურო ურთიერთობის ისტორია. ჯენეტი ქართველი ქალია, რომელიც თბილისში ყოფნის დროს გაუცვნია და ცოლად შეურთავს ალი მირზა ხანს. როცა ეს უკანასკნელი სპარსეთის ელჩად გაუგზავნიათ საფრანგეთში, მას ჯენეტიც თან წაუყვანია. პარიზში, მირზა ხანისა და ჯენეტის სალონში, ხშირი სტუმარი იყო ქართველი პოეტი სავარსამიძე, რომელიც ამ ოჯახში გაეცნო და დაუახლოვდა სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანებს, დიპლომატებს, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეებს, მხატვრებს, ლიტერატორებს. კონსტანტინე დაუმეგობრდა ჯენეტს, მათი ასეთი ურთიერთობა მალე სიყვარულში გადაიზარდა. ქალმა მიატოვა ქმარი, ერთადერთი თავისი ვაჟი — ფარვიზი და სავარსამიძეს გაჰყვა. პარიზიდან გაქცეულები ისინი ხან რომში ცხოვრობენ და ხან იტალიის სხვა ქალაქებში, ხან პატარა იტალიურ სოფელ ლიბანოში, ხან ბერლინში. ახალი და ახალი შემთხვევები და შთაბეჭდილებანი აღმოცენდებიან მათი მოგზაურობის ამ გზებზე, ფართოვდება თხრობის სარბიელი, მდიდრდება და მრავალფეროვანდება რომანის პერსონაჟების წრე. მწერალი მოგვითხრობს ... ყოველივე ამას და თანდათანობით მრავალწახნაგოვანი, განშტოებული ხდება რომანის სიუჟეტი.

ალი მირზა ხანს მწვავედ განუცდია ჯენეტის ღალატი. მას სულიერი წონასწორობა დაუკარგავს, სამსახურისათვის თავი დაუნებებია, ლოთობისა და აზარტული თამაშობებისათვის მიუყვია ხელი. მალე იგი დაავადმყოფებულა და გარდაცვლილა. ავად გამხდარა მირზა ხანისა და ჯენეტის უპატრონოდ დარჩენილი პატარა ვაჟიც—ფარვიზი. ამ ამბის გაგებისთანავე ჯენეტიმ პარიზს მიაშურა, საიდანაც შვილთან ერთად საქართველოში გამოემგზავრა თავის დედასთან.

ამ დროისათვის საქართველოში საბჭოთა წყობილებას გაუმარჯვნია, რევოლუციას დაუნგრევია ჯენეტის მშობლების ფეოდალური ოჯახი და მოხუცი დედისათვის მიწისა და ქონების მხოლოდ საარსებოდ აუცილებელი მინიმუმი დაუტოვებიათ.

სამშობლოში ბრუნდება კონსტანტინე სავარსამიძეც, რომელმაც კარგად იცის, რომ საქართველოში დამკვიდრებული ახალი საზოგადოებრივი სინამდვილისათვის იგი სავსებით უცხო და უსარგებლო კაცია. ჯერ კიდევ უცხოეთში ყოფნისას იგი ამგვარად მსჯელობდა სამშობლოსთან თავისი ურთიერთობის შესახებ: „საქართველოში წასვლის საქმე ძლიერ ზანტად მიდის. რა გავაკეთო, კიდეც რომ წავიდე? ჩვენი გზები რახანია გაყრილია. რაც ჟამი გადის, მით უფრო ცილდებიან ისინი ერთმანეთს... იგი მე არ მიცნობს, მას ჩემი არ ესმის. კიდევაც რომ დავუბრუნდე უძღები შვილივით, მიმიღებს? ვინ იცის, ეგებ ჩემი აღნაგობა ეუცხოვოს, მწარედ გაიცინოს!"

საქართველოში ჩამოსული სავარსამიძე კურორტ აბასთუმანში დაბინავდა, სადაც ზაფხულის თვეებს ატარებენ ჯენეტი და ფარვიზი. კონსტანტინეს სულიერ სამყაროში დიდი ხანია ჩამქრალა

ჯენეტისადმი სიყვარულის ვრძნობა. ახლა იგი მხოლოდ მოვალეობის შეგნების კარნახით დადის ჯენეტის ოჯახში. კონსტანტინე შემთხვევით შეხვდა აბასთუმანში ჩამოსულ თავის ძიძაშვილს, — ტაია შელიას ერთ-ერთ ვაჟს, რომლისგანაც შეიტყო, რომ ტაიას ჯოვი ყოლია საზაფხულო საძოვრებზე აბასთუმნის მახლობელ მთებში. სავარსამიძე ეს ტუმრა თავის საყვარელ გამზრდელს. გაცოცხლდა ბავშვობის ტკბილი დღეების მოგონებანი, ტაიასა და მისი შვილების გარემოცვაში, ტკბილ საუბრებში, მოლხენაში, ცხენოსნობაში უზრუნველად ატარებს სავარსამიძე დღეებს.. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა მისთვის ეს იდილია. კიდევ ერთი ახალი განსაცდელიც დაატყდა თავს ამ „უნაყოფო თხმელას". სავარსამიძემ მთებში ცხენით გასეირნებისას თან წაიყვანა ფარვიზი დედის ნებადაურთველად. ჭაბუკი გაიტაცა ბედაურმა და უფსკრულში გადაჩეხა იგი. ამ საბედისწერო შემთხვევამ სამუდამოდ ერთმანეთს დააშორა სავარსამიძე და ჯენეტი.

ღრმა სევდით შეპყრობილი, მწვავე სულიერ ტკივილებსა და მარტოობის ნაღველს მინებებული კონსტანტინე სავარსამიძე ასეთი სიტყვებით ამთავრებს „დიონისოს ღიმილში" მოთხრობილს თავისი ცხოვრების ისტორიას: „აღარც ტირილი შემიძლია, აღარც სიცილი და ერთად ერთი ნატვრაა ჩემი: ყინულზე დავარდნილ ნაპერწკალივით გადნეს თუნდაც ჩემი სხეული... ტაია შელია! ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომაღამდა!"

ამ სიტყვებით მთავრდება „დიონისოს ღიმილი". ამავე სიტყვებით უჩივოდა სავარსამიძე თავის სულიერ მარტოობას და გაუხარელ ყოფას რომანის დასაწყისშიც. როგორც ვხედავთ, არც თავისი ცხოვრების გზაზე განცდილ მრავალ ვაი-ვაგლახს, არც საუკუნის დიდ ისტორიულ ძვრებს, არც მისი სამშობლოს აღორძინებისა და განახლების ნათელ სინამდვილეს არაფერი შეუცვლია ამ უნუგეშოდ დაავადებულ ინდივიდუალისტისა და სკეპტიკოსის სულიერ ცხოვრებაში. ეს იმიტომ, რომ მწერალმა ხელოვნურად მოწყვიტა და გამოთიშა თავისი გმირი ეპოქის დიდ სოციალურ პროცესებს, მიუწდომელი და გაუგებარი გახადა მისთვის ჩვენი საუკუნის განმაახლებელი მოძრაობის იდეები და მათი განხორციელებისათვის მებრძოლი ხალხის აზრებისა და გრძნობების სამყარო. რომანში არ ცხოვრობს და არ მოქმედობს არც ერთი ჯანსაღი ადამიანი, რომელიც შთაგონებული იყოს ეპოქის ნათელი იდეალებით და იღწვოდეს ამ იდეალების დამკვიდრებისათვის დედამიწაზე.

„დიონისოს ღიმილის" მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში მწერალი დაპირდა მკითხველს, რომ თავისი გმირის მანკიერი სულიერი თვისებების დათრგუნვის პროცესს გვიჩვენებდა რომანის მომდევნო წიგნებში: „კონსტანტინე სავარსამიძის სერაფიმულ ღამეში" და „კონსტანტინე სავარსამიძის სიკვდილში." მაგრამ იმ დიდმა იდეურ-შემოქმედებითმა გადაიარაღებამ, რომელიც მწერალმა ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე განიცადა, ალბათ, შეუძლებელი გახადა ამ წიგნების დაწერა. კონსტანტინე სავარსამიძის ცხოვრების ისტორია უკვე ვეღარ გამოდგებოდა სიუჟეტურ საფუძვლად იმ ახალ ნაწარმოებთათვის, რომელთა შესაქმნელად მწერალი მოწოდებული იყო თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალ ეტაპზე. ამიერიდან კ. გამსახურდია ჩვენი სამშობლოს თანამედროვე თუ ისტორიული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პროცესების ფართო მხატვრულ ტილოებზე სიმართლით წარმოსახვას მიესწრაფოდა. ამ მისწრაფებით შთაგონებულმა შექმნა მან ტრილოგია „მთვარის მოტაცება"

* * *

ლიტერატურული კრიტიკის საყვედურს იმის გამო, რომ კ. გამსახურდიას ოციანი წლების რომანსა და ნოველებ-

ში არავითარი გამოხატულება არ უპოვნია ახალი სამყაროს აღმოცენებისა და დამკვიდრების ეპოპეას, ამ სამყაროს მშენებელ ადამიანთა სულიერ ძალასა და მშვენებას, მწერალი მაშინ „დისტანციის თეორიით“ უპასუხებდა. ეს „თეორია“, როგორც ცნობილია, გადაჭრით უარყოფდა თანამედროვეობის მოვლენათა მაღალმხატვრული ასახვის შესაძლებლობას მწერლობაში და ჩვენი ეპოქის მხატვრული მატიანის შექმნის ამოცანას მომავალ საუკუნეთა ხელოვნების პროგრამატივად აღიარებდა. „მთვარის მოტაცება“ იყო ის პირველი მხატვრული ნაწარმოები, რომლითაც მწერალმა ქვა-ქვაზე არ დასტოვა „დისტანციის თეორიისაგან“, რომელიც ეწინააღმდეგებოდა როგორც სოციალისტური ესთეტიკის ფუძემდებლურ პრინციპებს. ისე მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნებს ისტორიის მთელს გამოცდილებას. „მთვარის მოტაცებით“ მწერალი გაბედულად და აქტიურად შეიჭრა ოცდაათიანი წლების დამდეგის გართულებული სოციალური ვითარების სიღრმეში და, როგორც იტყვიან, მოვლენათა კვალ და კვალ წარმოსახა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მწვავე სოციალური კონფლიქტები, მძაფრი კლასობრივი ბრძოლები. და ასეთ აქტუალურ, ცხოვრებისეულ მასალას, მის მახვილ იდეურ გააზრებას, ცხოვრების მღელვარე მდინარებასთან ასე უშუალოდ დაკავშირებას არა თუ არ დაუზიანებია მწერლის მხატვრული ოსტატობა, მისი ხელოვნების ესთეტიკური ეღერა, არამედ, პირიქით, სწორედ ამ ნაწარმოებში გამოვლინდა განსაკუთრებული სისრულით და სიღრმით კ. გამსხურდიას მხატვრული ინდივიდუალობის სპეციფიკური ნიშან-თვისებანი, მისი, როგორც მხატვარისა და მომთხრობელის იშვიათი, ღრმად თავისებური ნიჭიერება.

„მთვარის მოტაცება“—ფართო მხატვრული პანორამაა, რომელზეც მკვეთრი და ცხოველი საღებავებით, ცოცხალი, ღრმად შთამბეჭდავი ადამიანური სახეებისა და უაღრესად კოლორიტული ყოფა-ცხოვრებითი პასაჟების მეშვეობით წარმოსახულია სასიკვდილოდ განწირული ძველისა და ძლევამოსილად აღმავალი ახალის ორთაბრძოლის გრანდიოზული სურათი, გაშუქებული ეპოქის მაღალი სოციალური იდეალების გარდუვალი გამარჯვების ნათელი რწმენით.

ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე საბჭოთა საზოგადოების განვითარება თავისი ისტორიის ახალ სტადიაში შედიოდა. იწყებოდა სოციალისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ხანა, სოციალიზმის შეტევა მთელი ფრონტით, ბრძოლა კულაკობის, როგორც უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის, ლიკვიდაციისათვის სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე, გადამწყვეტი ბრძოლა კაპიტალისტური წარსულის ნარჩენების დასაძლევად ცხოვრების ყოველ სფეროში, ყოფა-ცხოვრებითს ურთიერთობაში, ადამიანთა შეგნებაში. ეს იყო ჩვენი სამშობლოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული, ბობოქარი ხანა, რომელმაც მრავალმხრივი გამოხატულება ჰპოვა ყოველი საბჭოთა ხალხის ეროვნული მწერლობის სხვადასხვა ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებებში. ჩვენი ეპოქის გარდამქმნელი და განმაახლებელი პათოსით, მისი გმირული რევოლუციური სულით გამსჭვალულმა ამ ნაწარმოებებმა სოციალისტური რეალიზმის მთელი მრავალეროვნული ლიტერატურის ახალი მძლავრი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობა განაპირობეს. გამონაკლისს, რასაკვირველია, არც ქართული საბჭოთა ლიტერატურა წარმოადგენდა. ამ წლების არაერთი ბრწყინვალე პოეტური ქმნილების, შესანიშნავი მოთხრობებისა და ნოველების წიგნების გარდა, საკმარისია დავასახელოთ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, შალვა დადიანის „თეთნულდი“. ოცდაათი-

ანი წლების დამდეგის ბობოქარი წლების ამსახველი ამ ნაწარმოებთა ანსამბლში კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებას“ სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რომ არაფერი ვთქვათ მწერლის მსოფლშეგრძნებისა და სამყაროს მხატვრული ხედვის, მისი სახეობრივი აზროვნების თავისებურებაზე, „მთვარის მოტაცება“, პირველ ყოვლისა, გამოირჩევა ცხოვრებისეულ მოვლენათა მოცვის სიფართოვით და მრავალმხრივობით, ეპიური მასშტაბურობით. ეს ნაწარმოები ოცდაათიანი წლების ქართული სინამდვილის ამსახველი ერთადერთი მხატვრული ეპოპეაა, რომელიც თავის რთულსა და მრავალ შენაკადებად განშტოებულ სიუჟეტურ მდინარებაში მოიცავს და იტევს ქალაქური თუ სოფლური ცხოვრების, უაღრესად ცივილიზებული თუ პირველყოფილი პატრიარქალური ყოფის, ისტორიული წარსულისა თუ სადღეისოდ აქტუალური პრობლემატიკის, დიდი სოციალური კონფლიქტებისა თუ პირად-ინტიმურ ურთიერთობათა არაჩვეულებრივად უხვსა და ფრავალფეროვან მასალას.

ვრცელია რომანის მოქმედების გეოგრაფიული სარბიელი. მის გმირებს ხან საქართველოს დედაქალაქში განახლებულ და აღორძინებულ თბილისში ვხედავთ, მის პროსპექტებსა და მოედნებზე, მუზეუმებსა და ინსტიტუტებში, ფუნიკულორის პლატოზე, თუ ოჯახებში, ხან აფხაზეთში — სოხუმში, ოქუმში, ილორში, ხან სამეგრელოში, ზუგდიდში — შერვაშიძეების კარ-მიდამოში, მარულაზე, ადგილობრივ სასტუმროსა და რესტორანში, ხან სვანეთში, — ლაფარიანების პატრიარქულ კოშკში, კლდოვან გამოქვაბულებში, ყინულოვან მთების სამყაროში. ყველგან მწერალი გვიჩვენებს ახალი ცხოვრების გრიგალის ქროლვას, ცხოვრების ყოველ სფეროში, ქვეყნის ყოველ მხარეში, თვით უკიდურესად შორეულ კუთხეებშიც კი, ხალხის ყოველ ფენაში, ყოველი სოციალური ბიოგრაფიისა და კულტურული დონის ადამიანთა სულიერ სამყაროში შეჭრილ ღრმა ცვლილებებს, მწვავე კონფლიქტებს, რომლებიც ერთობლივად ჩვენი ეპოქის ყოველისმომცველ რევოლუციურ შინაარსსა და სულისკვეთებას განასახიერებს.

მკითხველის თვალწინ კინემატოგრაფიულის სისწრაფით გადაიშლებიან განზოგადებითი მნიშვნელობის სიმბოლური სურათები, ამ ღრმა ეპოქალური ძვრებისა და გახახლებათა მომასწავებელნი. კოლხეთის დაჭაობებულ ველებს რკინის ბეგემოტები შესევიან, რათა დამშხამველი კოღოების, მალარიისა და სიღატაკის ეს სამეუფო ციტრუსოვანთა აყვავებულ ბაღნარად, სიმდიდრისა და სიუხვის, მზიური და ბედნიერი ცხოვრების დაუშრეტელ წყაროდ იქცეს. ოქუმის გზაზე ვეებერთელა გრეიდერი მოძრაობს, რაც იმის მომასწავებელია, რომ აფხაზეთის სოფელი ფართო გზატკეცილებით უნდა დაუკავშირდეს სარაიონო ცენტრებს, მთელს რესპუბლიკას, მთელს ქვეყანას.

ის გარემოება, რომ ეს გრეიდერი საფარად გამოადგა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის თავდადებულად მებრძოლ აფხაზ კომკავშირელს არზაყან ზვამბაიას, მასზე გააფთრებული კულაკების ტარბების თაკდასხმის დროს, იმის მომასწავებელია, რომ სოფლად შეჭრილი ახალი ტექნიკა არა მარტო დიდ მატერიალურ ძალას წარმოადგენს, არამედ ამასთანავე მხარში უდგას და თანამებრძოლობას უწევს ახალი სოფლის მოწინავე ადამიანებს მათ ბრძოლაში რევოლუციის გაბოროტებულ მტრებთან. სვანეთშიც კი, შეუვალი ზვიადი ბუნების, პირველყოფილი პატრიარქალური ყოფაცხოვრების სამყაროში ნაღმების განუწყვეტელი გრიალი ისმის, ნაღმებისა, რომლებიც ანგრევენ საუკუნებრივად ხელუხლებ ციცაბო კლდეებს, რათა გზა გაიყვანონ ამ ოდესღაც ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილ მხარეში; განათლება, კულტურა შეიტანონ სვანეთში, ქვეყნის საერთო

მაჯისცემასთან დააკავშირონ იგი. საქართველოს დედაქალაქიდან „მოლაპარაკე ხე“ (იგულისხმება მაღალ ბოძზე დამაგრებული რადიო-რეპროდუქტორი) ყოველწუთიერად აუწყებს ქვეყანას ხალხის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველ სფეროში მოპოებულ ახალ-ახალ მიღწევებს და გამარჯვებებს.

თხრობის სარბიელი მარტო საქართველოს ფარგლებით როდი იზღუდება და არც მარტო რომანის მოქმედების დროული ლოკალით. ხშირად მოქმედება პერსონაჟთა მოგონებათა და მიმოწერათა მეშვეობით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გადადის, ხშირად თხრობაში ორგანულად შემოიჭრება ისტორიული რემინისცენციები, დაკავშირებულნი მრავალგვარ ისტორიულ ძეგლთა აღწერილობასთან, მუზეუმებში გამოფენილ ექსპონატთა დახასიათებასთან.

მაგრამ რაზეც არ უნდა იყოს ლაპარაკი რომანში, რასაც არ უნდა გვიხატავდეს ან მოგვითხრობდეს მწერალი, ყველაფერი აქ გააზრებულია ჩვენი საუკუნის მწვავე კონფლიქტების ასპექტში, თანამედროვეობის მღელვარე საკითხების სიმაღლიდან. ყველაფერი, რომანის ვრცელსა და მრავლის მომცველ ფარგლებში მოქცეული ყოველი მოვლენა, აზრი და განცდა ან ახალი სამყაროს მშენებელი ხალხის თვალსაზრისით არის გახსნილი და გამოხატული, ან ამ ახალი ცხოვრების მიერ ბუდე დანგრეული და ცხოვრების ფსკერზე გადასროლილი ადამიანების სულისკვეთებით.

„მთვარის მოტაცებაში“ მწერალმა ბუნებისა და ყოფა-ცხოვრების სურათების მხატვრობის იშვიათ ოსტატობას მიაღწია. თხრობის განვითარების მთელს მანძილზე მწერალი ჭეშმარიტი პოეტური მგზნებარებით წარმოსახავს გარემოცვის მეტყველ სურათებს. კოლხეთის ველის, შავი ზღვის სანაპირო მიდამოების მომხიბვლელი ლანდშაფტები, ცად აწვდენილი ყინულოვანი მთებით შემოზღუდული, მაღალი კოშკებით დასერილი სვანეთის ბუნების გრანდიოზული სურათი, მთაწმინდის სამალიდან დანახული აღორძინებული თბილისის ხედი — ყოველივე ეს რომანში წარმოსახულია სიტყვიერი ფერწერის სამაგალითო ხელოვნებით. ჩვენს მიერ ათასჯერ უშუალოდ ხილული, თუ სხვა მწერლების მიერ არაერთხელ აღწერილი საგნები, ყოფითი მოვლენები თუ ბუნების სურათები „მთვარის მოტაცებაში“ სრულიად ახლებური სახით წარმოგვიდგებიან და ახლებურ განცდებსა და შთაბეჭდილებებს გვგვრიან. ეს იმიტომ, რომ ჭეშმარიტი ხელოვანის თვალი თავისებურად აღიქვამს და აღბეჭდავს ხედვის საგანს, ხოლო მისი ორიგინალური ფუნჯი თუ კალამი განუმეორებლად თვითმყოფ სურათებში წარმოსახავს მათ. დიდ გამომსახველობითს ძალას აოწიკს მწერალი როგორც ახალი ყოფა-ცხოვრებით ურთიერთობათა გამომხატველ, ისე ძველი ადათ-წესების დამახასიათებელ ეპიზოდების, რიტუალების, მოლხენა-გართობის სცენათა აღწერისას. მხატვრული აღწერილობის ოსტატობა ყოველთვის შეადგენდა კ. გამსახურდიას ნიჭიერების ერთ-ერთ უძლიერეს თვისებას, მაგრამ „მთვარის მოტაცება“ ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია და შთამბეჭდავი. ეს აღწერილობა, ბუნებისა და ყოფის ეს მეტყველი სურათები წარუშლელად აღიბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში, რადგან ისინი ღრმად არიან დაკავშირებულნი რომანის გმირთა სულიერი ცხოვრების მოძრაობასთან, სიუჟეტური კომპოზიციის შემადგენელ ფაბულურ მოტივებთან. ან კიდევ იმ სოციალურ პროცესებთან, რომელთა გამოხატვაც ამ რომანის მთელი მხატვრული ჩანაფიქრის განმსაზღვრელ ამოცანას შეადგენს. თუ მოვინდომებთ „მთვარის მოტაცების“ მხატვრულ-სტილებრივი ბუნების ამ ერთ-ერთი მთავარი თვისების ილუსტრირებას, ჩვენ დაგვჭირდებოდა თითქმის მთელი რომანის ციტირება, რადგან იშვიათია ამ ნაწარმოების პასაჟი, რომელიც მოქმედების ფონის, გმირთა

გარემოცვის ფერადოვანი მხატვრობით არ იყოს გამდიდრებული. და მაინც იმის ნათელსაყოფად, თუ როგორის ხელოვნებით აღწევს მწერალი კონკრეტულ მხატვრულ აღწერილობაში ჩააქსოვოს ეპოქის გარკვეული სოციალური პროცესის გრძნობა, გავიხსენოთ ის სურათი, რომელიც თვალწინ გადაეშალა შერვაშიძეთა ფეოდალური გვარის უკანასკნელ ნაშიერს თარაშ ემხვარს, როდესაც იგი უცხოობაში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ დაუბრუნდა მამა-პაპისეულ სასახლეს: „ოქუმის სასახლე იავარქმნილიყო სავსებით. ჩუქურთმიანი სვეტები შექანებული ეჩვენა თარაშ ემხვარს. თავკიდურები ფრინველებს წაებილწათ სკორეთი. ურთხმელის რიკულები დაეძროთ, კიბის ტერასზე გადმოსულ სახურავის ყავარი დაელპო წვიმას. კირი შემოსცლოდა თეთრ სასახლეს, ამაყად გადმომდგარს ბექობზე.

პაპისეული დიდი ცაცხვი, მართლაც, მოეჭრათ, ჭადრისა და მუხის ხეებს ხმობა შეპარვოდათ. ბებერი მსხლის ხეებს ფითრი მორეოდათ, ბაღჩას მესრები მორღვეოდა, მაგნოლიები თოვლს ჩამოელეწა, გუნდის ხეები დაემსხვრია გასული ზამთრის ქარსა და თოვას. ხულოს, მარანს, სამზარეულოს, საბაზიეროს ისლი გადასცლოდა, განზე მოეღრიჯა ჟამთასვლას ძველისძველი წაბლის სახლები. ქვრივის ძაძებით მოსილი დედა აივანზე იჯდა, სათვალე შუბლზე აეკეცნა, ჯვალოს კაბას აკერებდა წელში უზომოდ მოხრილი; მოხუცებულ ცირუნიას იატაკზე მოერთხა, ლობიოს ცეხვავდა ხელკეტით... აბლაბუდები მოსდებოდა ფანჯრებს, ბუხრის თავები თქეშს ჩამოერეცხა, ცირუნიას უკანასკნელი სამი კბილიც აღარ შერჩენოდა“. აქ ყველაფერი სიბერის, ნგრევის, განადგურების სტიქიას მოუცავს. და ამ სურათში მწერალი, ცხადია, გულისხმობს არა მარტო ემხვარების სასახლის ბედს, არამედ იმ ულმობელ ნგრევას, დაღუპვასა და კატასტროფას, რომელიც ისტორიას განუმზადებია შერვაშიძეთა გვარისათვის და მათი სახით მთელი თავადაზნაურული სამყაროსათვის, ყველა ექსპლოატატორული კლასისათვის, მთელი რეაქციული სამყაროსათვის.

ჩვენი საუკუნის ეს დიდი ისტორიული კანონზომიერება „მთვარის მოტაცებაში“ მაინც ყველაზე მძლავრად და შთამაგონებლად რომანის მრავალრიცხოვან ადამიანურ სახეთა ურთიერთობებშია ხორცშესხმული. რომანში ცხოვრობენ და მოქმედებენ სხვადასხვა სოციალური ბიოგრაფიის, პროფესიის, ასაკის, ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული იდეალებისა და მისწრაფებათა ადამიანები. და ყოველი მათგანის სახე დახატულია არა მარტო როგორც მკაფიოდ ინდივიდუალური ადამიანური ხასიათი, არამედ როგორც გარკვეული სოციალური ტიპიც, რომელიც ამათუიმ კლასის, სოციალური ფენის სასიცოცხლო ინტერესებს, ისტორიულ ხვედრს, ფსიქოლოგიას, აზრთა და გრძნობათა მთელს სამყაროს განასახიერებს. ცხოვრებამ, კაცობრიობის ისტორიის ყველაზე მძაფრმა ჩვენმა რევოლუციურმა ეპოქამ ეს ადამიანები მწვავე შეურიგებელ წინააღმდეგობათა რკალში მოაქცია, ერთმანეთს შეაჯახა და დაუპირისპირა. საუკუნის ამ დიდმა სოციალურმა პროცესებმა განმსაზღვრელი ზეგავლენა იქონიეს ადამიანთა პირად-ინტიმურ ურთიერთობათა ხასიათზე. და მწერალი მღელვარედ, მკითხველის გულის სიღრმემდე ჩამწვდენი ემოციური დაძაბულობით მოგვითხრობს თავის გმირთა თავგადასავალს და ყოველი მათგანის პირადი ცხოვრების ისტორიაში საზოგადოებრივი ყოფიერების ესა თუ ის მხარე, ესა თუ ის პროცესი წარმოისახება. რომანის მეორე კარის „ლირიკულ ინტერმეცოში“ მწერალი თითქოს საკუთარ შემოქმედებითს ლაბორატორიას გადაგვიშლის თვალწინ:

„ათასზე მეტი ღამეა ვზივარ, ვზივარ და გითხრობ განთიადიდან განთიადამდის.

თამაშითა და ბრძოლით ვწერ ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამ-

ბავს, და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები. სავსებით მარტო ვარ ამ წუთშიაც. მთვარე სამთვაროში ჩასულა უკვე და მესმის, თუ როგორ ღუღუნებს ჩემი ბინის ელექტრომრიცხველი — ეს ინდუსტრიის ცისფერი მტრედი.

მესმის, თუ როგორ სუნთქავენ, ლაპარაკობენ და მოძრაობენ ჩემი გმირები ჩემში და განვიცდი უმძიმეს ორსულობას შემოქმედებისას.

ვღელავ და ვძრწი მათ მაგივრად. მათ მაგივრად ვფიქრობ და ვდარდობ და ღამეები მიქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები.

ჯერ მეც არ ვიცი მათ რა მოუვათ: თამარ შერვაშიძე რომელს შეიყვარებს... არზაყან ზვამბაიას თუ თარაშ ემხვარს.

ან არზაყანის გული ვის მიენდობა? სათნო ძაბულის, თუ თამარ შერვაშიძეს? ტარიელ შერვაშიძე და კაც ზვამბაია როგორ შეეთვისებიან ახალ დროს? ან ის ბედდამწვარი ლუკაია ლაბახუა, როგორ დაასრულებს ცხოვრების ეტლს?

ან გვანჯ აფაქიძე რას მოიმოქმედებს, გვანჯ აფაქიძე—„ქრისტეს ფეხის მკვნეტელი“?

ვზივარ, ამ სტრიქონებს ვწერ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები“.

რომანის პირველსავე ფრაზებში ჟღერს ძველებური აფხაზური სიმღერა „ერგეაშვა“, რომელსაც „მრგვინავი ვაჟკაცური ხმით მღერიან მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაჭირვებულთა გასაგონად“. ეს ვაჟკაცური სიმღერა ერთგვარი უვერტიურაა, რომელსაც ერთბაშად შევყავართ ჩვენი უჩვეულო გმირული და ვაჟკაცური ეპოქისათვის დამახასიათებელი კონფლიქტებისა და ბრძოლების ატმოსფეროში. იწყება ადამიანთა ურთიერთ შეჯახების, მეტოქეობის, შეჯიბრების, სოციალური ინტერესების თუ პირად-ინტიმურ ურთიერთობათა სფეროში აღმოცენებულ წინააღმდეგობათა დრამატიზმით აღსავსე ეპოპეა, რომლის მსვლელობაში ნათელი, ახალი და პროგრესული სულ უფრო მზარდი და აღმავალის ძალით თრგუნავს ბნელი, დრომოჭმული, რეაქციული სამყაროს ნარჩენებს.

ეს ორთაბრძოლა ყველაზე მკაფიოდ და რელიეფურად გამოხატულია რომანის ორი მთავარი გმირის თარაშ ემხვარისა და არზაყან ზვამბაიას ურთიერთობის ისტორიაში. თარაში ოდესღაც მდიდარი და ძლიერი ვარდანიძე — ემხვართა ფეოდალური გვარის უკანასკნელი ნაშიერია. არზაყანი კი ახალგაზრდა გლეხი. საუკუნეთა მანძილზე ეყმობოდნენ და ემსახურებოდნენ ზვამბაიები ემხვარებს. არზაყანი თარაშის ძიძიშვილია. ძველი აფხაზური ტრადიციის მიხედვით ეს ახლო ნათესავობას მოასწავებს. თარაშს არზაყანის დედა აწოვებდა ძუძუს. ყმაწვილები ერთად იზრდებოდნენ და ბავშვობის წლები მათ ერთმანეთისადმი სიყვარულში გაუტარებიათ. მაგრამ ახალმა ცხოვრებამ გაჰყარა მათი გზები და ისინი ერთმანეთისადმი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ბანაკებში აღმოჩნდნენ.

თარაშის მამა — დიდგვაროვანი ფეოდალი და რუსეთის მეფის არმიის გენერალი სოციალისტურ რევოლუციას გაქცევია და ევროპაში გადახვეწილს თან წაუყვანია თავისი ერთად-ერთი ვაჟი. ათი წელი დაჰყო თარაშმა ევროპის დიდ სატახტო ქალაქებში, იქ მიიღო უმაღლესი განათლება, შეისისხლხორცა კაპიტალისტური სამყაროს ლპობისა და ხრწნის პერიოდის ბურჟუაზიული კულტურა, იგემა ევროპული დეკადენტური ცივილიზაციის ტკბილიც და მწარეც. ოცდაათიანი წლების დამდეგს მენშევიკურმა ემიგრაციამ თარაში ვინმე ემიგრანტ ვახტანგ იამანიძესთან ერთად ფარულად გამოგზავნა საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ არალეგალური მუშაობისათვის. საბჭოთა საზღვრებთან მოახლოებულნი ემხვარიც და იამანიძეც დააპატიმრეს. მათ წრფელად აღიარეს და მოინანიეს თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვები

და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ისინი გაანთავისუფლა, მათ პატიოსან შრომითს ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება მისცა. იამანიძე რომელიღაც ქარხანაში გაგზავნეს სამუშაოდ, თარაში კი, როგორც ფილოლოგი დისერტაციის წერას შეუდგა კოლხეთის ძველი საკულტო რიტუალების თემაზე და ამ მასალის შესაგროვებლად და შესასწავლად იგი მშობლიურ კუთხეს — აფხაზეთსა და სამეგრელოს დაუბრუნდა. აქ შეხვდა იგი თავის ძიძიშვილს არზაყანს. რომელიც ამ დროისათვის უკვე დავაჟკაცებულა და საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანი გამხდარა. საბჭოთა არმიაში აღზრდილს, მას წრფელად შეუსისხლხორცებია კომუნისტური პარტიის საბრძოლო იდეები, ერთგულად შეუსრულებია პარტიისა და სახელმწიფოს საპასუხისმგებლო დავალებანი, თავდადებულად უბრძოლია ბანდიტების წინააღმდეგ, რევოლუციის გაცოფებული მტრების წინააღმდეგ და ახლა, მშობლიურ კუთხეში დაბრუნებული, სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციისათვის გაჩაღებული ბრძოლის ერთ-ერთი მესვეური გამხდარა.

ასე გაითიშა და სრულიად სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა ამ ორი ახალგაზრდა კაცის ცხოვრების გზები. ისინი არა მარტო მსოფლმხედველობრივად, სოციალურად ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკებს ეკუთვნიან, ისინი ერთმანეთს ეტოქებიან დოღშიაც, ნადირობაშიც და სატრფიალო ურთიერთობათა სფეროშიც. არზაყანს წრფელად უყვარს ყოფილი დეკანოზის ტარიელ შერვაშიძის მშვენიერი ასული თამარი. ამ მომხიბლავი გარეგნობისა და სპეტაკი სულის ქალიშვილს თავისი მორიგი სატრფიალო გატაცების საგნად ირჩევს თარაშიც, რომელსაც, ევროპის დიდი ქალაქების ამორალიზმის ცდუნებებს ნაზიარებს, რასაკვირველია, არ შეუძლია სიყვარულში გამძლეობა და ერთგულება. არზაყანი და თარაში ერთმანეთს შეეჯახნენ აგრეთვე სვან გოგონასთან ლამარიასთან ურთიერთობაშიც.

სხვადასხვაგვარი სოციალური ბიოგრაფიისა, საზოგადოებრივი ფუნქციებისა და ადამიანური ბუნების ამ ორი ახალგაზრდა კაცის ბედიც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია. არზაყანს სოციალისტური სოფლის მშენებლობა საკუთარ ღვიძლ საქმედ მიაჩნია. იგი ჭაბუკური გატაცებით იბრძვის და იღწვის საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის. ამის გამო მას მტრად გადაეკიდებიან სოფლის რეაქციული ძალები, ემდურიან ჩამორჩენილი, ძველი ტრადიციების ტყვეობაში მოქცეული თანასოფლელები და საყვედურობს საკუთარი მამაც კი. ემხვრებისადმი ყმობასა და მორჩილებაში დაბერებული, კერძომესაკუთრული ინსტინქტებით გამსჭვალული კაც ზვამბაია ურჩევდა თავის ერთად-ერთ ვაჟს კოლმეურნეობაში არ შესულიყო, პარტიას ჩამოშორებოდა და ხელი აეღო თავადის ქალთან თამართან სატრფიალო ურთიერთობაზე. მაგრამ ვაჟმა მამის არც ერთი ეს რჩევა არ შეისმინა. იგი ვაჟკაცურად გაუმკლავდა კულაკი ტარბების შეიარაღებულ თავდასხმებს, გადაურჩა აზნაური გვანჯ აფაქიძისა და ჯოტო გვასალიას ვერაგულ იერიშებს, ერთგულად მხარში ამოუდგა პატიოსან, ჭკვიან და პრინციპულ პარტიულ ხელმძღვანელებს ჩალმაზსა და ლიჩელს. ამ ბრძოლებში გამოიწრთო და დაიხვეწა მისი კეთილშობილური, აქტიური, ჯანსაღი ადამიანური ხასიათი. თამართან გაუზიარებელი სიყვარულის მტანჯველი ტკივილებისაგანაც განკურნებული, იგი ბოლოს ცოლად ირთავს მშრომელ ქალიშვილს ძაბულის. როცა სოფლად კულაკობის შემოტევა დაძლეულ იქნა, პარტიამ საბოლოოდ აღკვეთა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული მემარცხენული დამახინჯებანი, მშრომელი გლეხობის მთელმა მასამ გაიგო, იგრძნო და იწამა ახალი ცხოვრების ძალა და დაცხრა სოფლად კლასობრივი ბრძოლების ორომტრიალი, არზაყანი პარტიამ დააწინაურა და თბილისს გაგზავნა

უმაღლესი პარტიული განათლების მისაღებად.

სულ სხვაგვარად დატრიალდა თარაშ ემხვარის ცხოვრების ჩარხი. თავისი წარმომშობი კლასის ფეოდალურ-არისტოკრატული ტრადიციებისაგან თავდაუღწეველი და მეორეს მხრივ ევროპის დეკადენტურ-ბურჟუაზიული კულტურის შხამით განუკურნებლად დაავადებული, იგი ადგილს ვერ პოულობს განახლებულს და აღორძინებულ სამშობლოში. მან კარგად იცის, რომ თავადაზნაურული სამყარო სამუდამოდ დრომოჭმულია, მისი უკანასკნელი ნარჩენებიც — სასიკვდილოდ განწირული. ჯერ კიდევ ევროპაშივე მან იგრძნო და განიცადა სასიკვდილო აგონიით შეპყრობილი ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებანი და სიმახინჯე. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულ ახალ ცხოვრებასთანაც მას არაფერი აქვს საერთო. ძველ და ახალ სამყაროთა სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში იგი ვერც ერთს ვერ მიკედლებია, თავისი გზა და ადგილი ვერ უპოვნია. მას არა აქვს რაიმე რწმენა, რაიმე საზოგადოებრივი იდეალი. განუქარვებელ სევდას, პირქუშ მელანქოლიას შეუპყრია მისი მთელი არსება. ვერც ოქუმის მამა-პაპეულ სასახლეში, ვერც შერვაშიძეების ოჯახში, ვერც თბილისში, თავისი ახლობელი ნათავადრების ფარჯანიანების გარემოცვაში — ვერსად უპოვინა მას სიმშვიდე და თავშესაფარი თავისი მშფოთვარე, გაუხარელი სულისკვეთებისათვის. ვერც თამარისადმი ტრფიალებაში მოპოვებულმა „წარმატებამ". ვერც თამარის უფროსი ძმის მეუღლესთან—ფრაუ კაროლინასთან გატარებულმა ვნებიანმა საღამოებმა — ვერაფერმა დააცხრო და დააკმაყოფილა მისი ბუნდოვანი, გაურკვეველი მისწრაფებანი. სმაც,მოლხენაც, დღეიც და მარულაც, მშობლიური ბუნების მომხიბლავი სილამაზეც ყოველგვარი სიამოვნება და სიხარული ეფემერული და სწრაფ-წარმავალია ამ მრავალმხრივი მწიგნობრული ცოდნით შეიარაღებული, მაგრამ ცხოვრებაზე გულაღრენილი მოფილოსოფოსო რეზონიერისათვის.

ბოლოს სვანეთში, ქორა ბაზუკიანის ტრიარქალურ ოჯახში, სვანური დიდებული ბუნების წიაღში და პირველყოფილ საგვარეულო წყობილების იდილიაში გადაწყვიტა მან დასადგურება. განიზრახა ცოლად შეერთო უსწავლელი სვანი გოგონა ლამარია, მიწათმოქმედებისა და ნადირობისათვის მიეყო ხელი და თანამედროვე ცივილიზაციისა და სოციალური ქარტეხილებისაგან დაშორებულ ამ კარჩაკეტილ სამყაროში ეპოვნა საკუთარი სულიერი ტკივილების განკურნება. მაგრამ ეს ოცნებაც განუხორციელებელი აღმოჩნდა მისთვის. სვანეთშიც, მთების ასაფეთქებლად და გზების გასაყვანად მოგრიალე ნაღმების, სვანეთის ცის სივრცეებში მსრბოლავი თვითმფრინავების სახით განდეგილობის მაძიებელ თარაშ ემხვარს განუყოფელად თან სდევს ახალი ცხოვრების სუნთქვა. ლამარიაც ამაოდ მიაჩნდა მას ხელუხლები უმწიკლოების განსახიერებად. თარაშმა არზაყანთან სატრფიალო კავშირზე წაუსწრო მას. ემხვარი იძულებულია სვანეთსაც გამოექცეს. თბილისის უნივერსიტეტს მისი სადისერტაციო შრომა დაუწუნებია. ყველაფერში დამარცხებული და ხელმოცარული, ცხოვრებისაგან გარიყული თარაში საბოლოოდ რწმუნდება, რომ ამ ცხოვრებაში მას წილი და ადგილი არა აქვს. იგი კარგავს ყოველგვარ იმედსა და რწმენას, ყოველგვარ სასიცოცხლო ინტერესსა და მისწრაფებას და იგი გადაწყვეტს თვითმკვლელობით დაუსვას წერტილი თავის უაზრო და გაუხარელ სიცოცხლეს. ვახტანგ იამანიძისადმი მიწერილ გამოსათხოვარ ბარათში თარაში წრფელად აღიარებს, რომ ახალი ცხოვრების გზებთან შეუთანხმებლობამ მიიყვანა იგი კატასტროფამდე და ამგვარი საბედისწერო ცდუნებისაგან აფრთხილებს ყველა გზააბნეულსა და უნიადაგო სკეპტიკოსს. მან ყოველგვარი ანგარიში დაამთავრა ცხოვრებასთან და განემზადა თვითმკვლელობისათვის, მაგრამ სწო-

რედ ამ დროს შეატყობინეს, ზუგდიდში სიკვდილს ებრძვის და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლისო თამარი, რომელიც მსხვერპლი გამხდარა თარაშის აღვირახსნილი ავხორცობისა, თარაშთან მატარებლის კუპეში გატარებული ერთი საბედისწერო ღამისა. თარაშის სულში სინანულისა და სიბრალულის გრძნობა იღვიძებს. იგი გადაწყვეტს აუცილებლად ინახულოს მომაკვდავი თამარი. არზაყანისაგან ნათხოვარი ბედაურით მიეშურება ზუგდიდისაკენ. მას წინ გადაეღობება კოკისპირულ წვიმების გამო ადიდებული მრისხანე ენგური. გზად შეხვედრილნი აფრთხილებენ და ურჩევენ თარაშს არ შეეცროს საბედისწეროდ აზვირთებულ ენგურში. მაგრამ ემხვართა ჯიუტი და თვითნება, ზვიადი და ამაყი გვარის უკანასკნელი ნაშიერი უკან არ იხევს. იგი თავდავიწყებით გადაუშვებს ბედაურს ენგურის გაცოფებულ ტალღებში და ამ ტალღებთან უთანასწორო ჭიდილში იღუპება კიდეც.

ქართულს (და არა მარტო ქართულს) ლიტერატურაში იშვიათია გამძვინვარებული ბუნების ბობოქარ სტიქიასთან ადამიანის განწირული ბრძოლის ისეთი ექსპრესიით, დიდი პოეტური გზნებით და მღელვარებით გამსჭვალული სურათი, როგორითაც კ. გამსახურდიამ თავისი გმირის ცხოვრების ფინალი გამოხატა. ეს დიდი განზოგადებითი ძალის, სიმბოლური მნიშვნელობის სურათია, რომელიც გვიჩვენებს რეაქციულ სამყაროს უკანასკნელ ნაშიერთა სასიკვდილო განწირულებას ჩვენს მღელვარე რევოლუციურს ეპოქაში, ისეთი ნაშიერებისა, რომლებსაც ვერ მოუხერხებიათ ბნელი წარსულის სამყაროსაგან გამოთიშვა, გაჯიუტებულად ჩაბღაუჭებიან წარსულის ხავსს და წინ გადაღობებიან ახალი ცხოვრების ძლევამოსილ სრბოლას.

საგულისხმოა, რომ თარაშ ემხვარის დაღუპვა სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი. იგი გარდაუვალად განამზადა რომანში ასახული ცხოვრებისეული მოვლენების მთელმა ლოგიკამ. საკუთარი სასიკვდილო განაჩენი უკვე დაწერილი და ხელმოწერილი ჰქონდა ემხვარის მიერ მისი უკანასკნელი საბედისწერო მოგზაურობის წინა წუთებში.

ადიდებული ენგური ღრმა აზრის შემცველი სიმბოლური მხატვრული სახეა, რომლითაც იწყება და მთავრდება „მთვარის მოტაცება". რომანის პირველ თავში ადიდებული ენგურის მძვინვარე ტალღებს ებრძვიან ოქუმიდან ზუგდიდს მიმავალი კაც და არზაყან ზვამბაიები. მათ გადალახეს ამ ორთაბრძოლის სიძნელე და სირთულე და მშვიდობიანად მიაღწიეს ნაპირს. რომანის ფინალურ სურათში კი — იმავე ენგურის ტალღებმა ჩანთქეს და გაანადგურეს თარაშ ემხვარი. ეს ორი ანალოგიური, მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგით დამთავრებული სურათი გვიჩვენებს, თუ როგორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ბედი განუმზადა ჩვენმა დიდმა რევოლუციურმა ხანამ არზაყან ზვამბაიას და თარაშ ემხვარს, როგორც სხვადასხვა სოციალურ ტიპებს.

თუ რომანის ამ ორი მთავარი გმირის ცხოვრების ისტორია შეადგენს ნაწარმოების სიუჟეტურ მაგისტრალს, ამ მაგისტრალის ირგვლივ დატრიალებულია მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ადამიანურ სახეთა მდიდარი სამყარო. არზაყან ზვამბაიას გარდა, რომანში ცხოვრობენ და მოქმედებენ თანამედროვეობის გმირთა, ახალი სამყაროს მშენებლობისათვის თავდადებულად მებრძოლ ადამიანთა ისეთი ტიპიური სახეები, როგორიც არიან ჩალმაზი და ლიჩელი; პარტიის საქმის განუხრელად ერთგული, მრავალ ბრძოლაში გამოწრთობილი ეს სამაგალითო კომუნისტები გაბედულ წინააღმდეგობას უწევენ რაიკომის მდივანს არენბა არლანს, რომელიც უხეშად ამახინჯებს პარტიის პოლიტიკას საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებში, ტლანქი ადმინისტრირებით, ძალადობით ერეკება კოლმეურნეობაში ღარიბ და საშუალო გლეხობას, რითაც ხალხის უკმაყოფილებას იწვევს

და სერიოზულ საფრთხეს ქმნის სოციალისტური სოფლის მშენებლობის გზაზე. ამასთან, არლანი ცოლად ირთავს ბნელი კომბინატორის, ავანტურისტ აზნაურის გვანჯ აფაქიძის ქალიშვილს და უმოყვრდება ბოროტმოქმედ ახალგაზრდა კულაკს — ჯოტო გვასალიას. ჩალმაზი და ლიჩელი გაბედულად ამხილებენ ამ გადაგვარებული პარტიული ხელმძღვანელის ნამდვილ სახეს და გამარჯვებული გამოდიან ამ ბრძოლიდან. რომანის ეს სიუჟეტური მოტივი ისტორიული სიმართლით გვიჩვენებს, თუ როგორი რთული წინააღმდეგობების ვითარებაში ახორციელებდა პარტია სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დიად საქმეს.

რომანის დადებით გმირთა შორის გამოირჩევა ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტის ექიმი — გინეკოლოგის ხერიპს შერვაშიძის სახე. ხერიპსიც თავადაზნაურული წოდების შვილია, მაგრამ იგი თარაშ ემხვარის მზგავსად კი არ განდგომია განზე ახალ ცხოვრებას, არამედ გულწრფელად და შეგნებულად მიემხრო მას და ძალღონის დაუზოგავად ემსახურება აღორძინებულ სამშობლოს, ხალხის კეთილდღეობას. ზოგს უფრო მკაფიოდ და გამოკვეთილად, ზოგს უფრო ესკიზურად და ეპიზოდურად, მაგრამ წრფელი სიყვარულით და თანაგრძნობით ხატავს მწერალი ყველა თავის დადებით გმირს, რომელთა შორის, ზემოთმოხსენებულთა გარდა, ვხედავთ პატიოსან მშრომელ ქალიშვილს ძაბულის, სვან კომკავშირელს საურს, თბილისელ შოფრებსა და ტრაქტორისტებს, თამარ შერვაშიძეს და სხვებს. სხვადასხვა სოციალური წრისა და კულტურული დონის ეს ადამიანები ერთობლივად ჩვენი ხალხის ხასიათის საუკეთესო თვისებებს განასახიერებენ. მათი ეს სულიერი ღირსებანი მით უფრო მკაფიოდ და შთამბეჭდავად იჩენენ თავს, რაც უფრო მდიდრად და მძლავრად არის წარმოდგენილი რომანში მოპირდაპირე ბანაკი —რეაქციული სამყაროს აქტიური დამცველები, თუ ბნელი წარსულის ტრადიციების მატარებელი მანკიერი ადამიანები. ზოგი მათგანი — კულაკ ტარბები, გვანჯ აფაქიძე, ჯოტო გვასალია და სხვები, იარაღით ხელში, თუ შენიღბული მზაკვრული საშუალებებით, ებრძვიან ახალი ცხოვრების ნათელს; ზოგი კი — ყოფილი დეკანოზი ტარიელ შერვაშიძე, უმეცრებისა, მონობისა და ცრუმორწმუნეობის წყვდიადით განუკურნებლად დაავადებული მოხუცი ლუკაია ლაბახუა, ან სვანური პატრიარქალური გვარის მეთაური ქორა მახვში, ვერ ურიგდებიან ცხოვრების გარდამქმნელ და განმაახლებელ პროცესებს და გაუხარელად ამთავრებენ სიცოცხლეს ისე, როგორც „ლანდათ ქცეული თავადი“ და სხვა მათი მსგავსნი.

თავის დროზე ქართული ლიტერატურული კრიტიკა უსაყვედურებდა კ. გამსახურდიას, რომ მას ძველი სამყაროს ადამიანთა დასახატავად უფრო მეტყველი და ცხოველი საღებავები აღმოაჩნდა, ვიდრე ახალი ცხოვრების მშენებელ გმირთა ტიპების გამოსაძერწავად. ამ საყვედურში არის სიმართლის ელემენტი, თუმცა ისიც მართალია, რომ ასეთი მხატვრული ენერგიით წარმოსახული სურათი ძველი ცხოვრების ნგრევისა და წარსულის ადამიანთა სასიკვდილო განწირულებისა, ნათლად გვაგრძნობინებს ჩვენი რევოლუციური ეპოქის ძალას, მისი მასულდგმულებელი იდეების სიდიადეს.

მწერალი ყოველთვის როდი ახერხებს მკვეთრად გაემიჯნოს თავის უარყოფითს გმირებს და მკაცრი მამხილებელი თვალით შეხედოს მათ. ზოგჯერ „მთვარის მოტაცების“ ავტორი ერთგვარი თანაგრძნობითა და სიბრალულითაც კი მოსავს ბნელი წარსულის ამ ცოცხალ ნარჩენებს. ზოგჯერ ასეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მწერალი კარგად გრძნობს და სიმართლით გვიხატავს რა ძველი რეაქციული სამყაროს გარდაუვალ სასიკვდილო განწირულებას, ერთგვარი გულისტკივილით, ნაღვლიანი ღიმილით მიაცილებს მას.

რომანის მხატვრულ ქსოვილში დაკვირვებული თვალი აღმოაჩენს მოდერნისტული ხელოვნების არსენალიდან გადმოტანილ ცალკეულ ხერხებს მხატვრული გამომსახველობისა, ცალკეულ მხატვრულ გადაჭარბებებს, ხელოვნურ სიტუაციებს, მანერულობის ცდუნებებს, რომანის ენობრივ ქსოვილშიაც აქა-იქ იგრძნობა ის უკიდურესობანი, რომელშიაც ზოგჯერ ვარდება ხოლმე მწერალი, როცა იგი ცდილობს პრინციპულად გაემიჯნოს გასული საუკუნის დიდ ქართველ კლასიკოსთა პოზიციებს ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის საკითხში.

მაგრამ ყოველივე ეს რომანის ცალკეულ მხარეებს შეეხება. მთლიანად კი „მთვარის მოტაცება“ ჩვენი რევოლუციური ეპოქის ძირითადი შინაარსის, ძველი სამყაროს გარდაუვალი ნგრევის და ახალი ცხოვრების დამკვიდრების სიმართლით წარმომსახველი დიდი მხატვრული ტილოა. იგი ქართული და მთელი ჩვენი მრავალეროვნული მხატვრული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

ოცდაათიანი წლების კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში კი ეს წიგნი არა მარტო მისი ავტორის ღრმა იდეურ-შემოქმედებითს გადაიარაღებას მოასწავებდა, არამედ მთელი ჩვენი ეროვნული მწერლობის ამაღლებას მისი განვითარების ახალ დონეზე.

* * *

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებულმა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებმა გააღრმავეს საბჭოთა ხალხის პატრიოტული შეგნება, გააღვივეს ყოველი სოციალისტური ნაციის ეროვნული სიამაყის გრძნობა, გააძლიერეს ინტერესი და ყურადღება ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორიული წარსულისადმი. ამან გამოიწვია ოცდაათიანი წლების მთელს მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში ისტორიული ჟანრების განვითარება. განსაკუთრებით კი—ისტორიული რომანისა, რომელსაც მდიდარი შესაძლებლობანი აღმოაჩნდა, რომ ხალხისათვის თვალნათლივ დაენახვებინა, თუ როგორი ბოროტების, სიღატაკისა და ტირანიის წყვდიადს დააღწია თავი ჩვენმა ქვეყანამ, თუ როგორი გმირული და თავგანწირული ბრძოლით, რაოდენი სისხლისა და მსხვერპლის საფასურით შეინარჩუნეს ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა სამშობლოს სიცოცხლე და დამოუკიდებლობა. სოციალისტური რეალიზმის მწერლობის დიდი ფუძემდებელი მაქსიმ გორკი თავის დროზე კმაყოფილებით შენიშნავდა, რომ საბჭოთა ლიტერატურაში შეიქმნა ისეთი ისტორიული რომანი, რომლის მსგავსიც არ იცოდა მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურამ. და, მართლაც, საბჭოთა ისტორიულმა რომანისტიკამ უკვე გამოიმუშავა თავისი საკუთარი ტრადიცია, რომელიც მკვეთრად განასხვავებს მას ამ ჟანრის თანამედროვე მსოფლიო ბურჟუაზიული ბელეტრისტიკისაგან. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ისტორიული რომანისათვის დამახასიათებელი წარსულის იდეალიზაციისა, ამ მისი ნაძალადევი მოდერნიზაციისა, ამ ჟანრის საბჭოთა მწერლობას, პირველ ყოვლისა, ისტორიული სიმართლის პრინციპი უდევს საფუძვლად, მისი ყურადღებისა და შემოქმედებითი ინტერესის ცენტრში ხალხის ისტორიული ბედია მოქცეული, ყოველი ისტორიული ეპოქის ის წამყვანი და პროგრესული ტენდენციები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ადამიანთა საზოგადოების წინსვლისა და რევოლუციური განვითარების კანონზომიერებას. საბჭოთა ისტორიული რომანის მთავარ გმირს ხალხი წარმოადგენს, უშუალოდ მოქმედი, თუ დიდ ისტორიულ პიროვნებათა მხატვრულ სახეებში პერსონიფიცირებული. მის სიუჟეტურ მაგისტრალს განსაზღვრავენ ისტორიული მოვლენები, მხატვრულად ხორცშესხმულნი, ხელოვანის ფანტაზიით გამდიდრებულნი და განაყოფიერებულნი. ჩვენი თანამედროვეობის

სიმაღლიდან, ჩვენი ეპოქის მაღალი სოციალური იდეების პოზიციებიდან შეჰყურებს და წარმოსახავს სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდით შეიარაღებული მწერალი კაცობრიობის ისტორიული ცხოვრების მთელს გზას და სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა ისტორიული რომანის იდეური ღირსება და უპირატესობა, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს ამ ჟანრის სპეციფიკურ პოეტიკას, მხატვრული გამოსახულების საშუალებათა თავისებურ სისტემას.

საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის ასეთ იდეურ-ესთეტიკურ ტრადიციათა დადგენასა და დამკვიდრებაში ძვირფასი წვლილი შეაქვს კონსტანტინე გამსახურდიას თავისი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენით“ და „დავით აღმაშენებელით“, რომელთა რეზონანსი დიდი ხანია შორს გასცდა ჩვენი ეროვნული კულტურის ფარგლებს და რომელთაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს მთელს ჩვენს მრავალეროვან საბჭოთა სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმაც.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ეს იყო ჩემთვის ორმაგი წყურვილის მოკვლა, — წერს კ. გამსახურდია რომანის ბოლოსიტყვაში, —უწინარეს ყოვლისა, ფიგურალურად რომ ვთქვათ, რომანის ფორმაში გამოვამჟღავნე ჩემი L'art poetique. გარდა ამისა დიდი საქართველოს ჩვენება განვაცხადე თანადროული რომანის მიხედვით“.

მართლაც ქართველი ხალხის დიდი პატრიოტული და საბრძოლო ტრადიციების წარმომსახველ ამ ნაწარმოებში მწერალმა ახალი ძალით და სიღრმით გამოავლინა საკუთარი მხატვრული ინდივიდუალობის დამახასიათებელი თავისებურებანი: მხატვრული აღწერილობის ბრწყინვალე ოსტატობა, ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული მღელვარე თხრობის ხელოვნება, გმირთა სულიერი ცხოვრების ყოველი ნიუანსის წვდომისა და გადმოცემის იშვიათი უნარი, ემოციურად დაძაბული ლირიკული მგზნებარებით აღბეჭდილი მეტყველება. ამ სტილებრივი თვისებებით „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ ორგანულად უკავშირდება კ. გამსახურდიას თანამედროვე თემატიკის რომანებსა და ნოველებს, თუმცა სპეციფიკური თემატური მასალა გავლენას ახდენს მწერლის მხატვრულ მეტყველებაზეც: აქ უფრო მეტად, ვიდრე სხვა თავის ნაწარმოებში მწერალი იჩენს ხაზგასმულ და შეგნებულ მიდრეკილებას ძველი ქართული მწერლობის ენობრივი ტრადიციებისადმი, უფრო უხვად შემოაქვს რომანის ენობრივს ქსოვილში არქაული ლექსიკური მასალა და სინტაქსური ფორმები.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში თავის დროზე მწვავე დისკუსია მიმდინარეობდა კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანებთან დაკავშირებული ისეთი შემოქმედებითი პრობლემების გარშემო, როგორიცაა ისტორიული რომანის მეტყველების მიმართება თანამედროვე ეროვნული სალიტერატურო ენისადმი და ხალხის ცოცხალი მეტყველებისადმი, ან კიდევ ისტორიული სინამდვილისა და მწერლის მხატვრული ფანტაზიის შეფარდება ისტორიულ ჟანრის მხატვრულ ლიტერატურაში. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ დისკუსიებს უშედეგოდ ჩაევლოს მწერლის შემოქმედებითი ევოლუციისათვის. იმ დიდ ძიებებსა და ნოვატორულ მისწრაფებებში, რომელთა ვითარებაშიც ყალიბდებოდა კ. გამსახურდიას იდეურ-ესთეტიკური კრედო, მწერალი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურული კრიტიკის რეაგირებას მის ყოველ ახალ ნაწარმოებზე. ახლა, როცა ამ დისკუსიებით აღძრული ვნებათა ღელვა უკვე დამცხრალია, შეგვიძლია სრული რწმენით ვთქვათ, რომ მწერლის ზოგჯერ გადაჭარბებულ გატაცებას ენობრივი არქაიზმებით არ შეუზღუდავს მისი რომანების დიდი პოპულარობა, ხალხის სულიერ ცხოვრებაზე მათი ზემოქმედების ძალა. კიდევ მეტიც. კ. გამსახურდიას

ენობრივ ძიებათა და მიგნებათა პოზიტიური შედეგები არა მარტო მიიღეს და გაიზიარეს მკითხველთა ფართო ფენებმა, არამედ მათ გარკვეული ზეგავლენაც იქონიეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე. დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს ამ ზეგავლენის კვალს ბევრი თანამედროვე ქართველი მწერლის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის ბელეტრისტთა შემოქმედებაში.

მართალია, კ. გამსახურდია თავის ისტორიულ რომანებში დიდ თავისუფლებასა და ფართო გასაქანს აძლევს საკუთარ პოეტურ ფანტაზიას და უხვად შეაქვს თხრობაში გამონაგონი სიტუაციები, მაგრამ ეს ფანტაზიისმიერი ელემენტი არა თუ არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს, ეპოქის სულის, მისი შინაარსის გადმოცემის ამოცანას, პირიქით, სწორედ ისტორიული სიმართლის უფრო ღრმად და სრულად გახსნასა და წარმოსახვას ემსახურება.

მაგალითად, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენას“ კითხვისას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მართლა უყვარდა თუ არა ასეთი დაუოკებელი ვნებით მეფე გიორგი პირველს მის წინაღმდეგ ამბოხებული ფეოდალის, კვეტარის ერისთავის თალაგვა კოლონკელიძის მშვენიერი ასული შორენა და მართლა იყვნენ თუ არა ერთმანეთთან ისეთი წრფელი ტრფიალების გრძნობით დაკავშირებული შორენა და ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსაკიძე, ან მართლა იმგვარად დასრულდა თუ არა არსაკიძის ცხოვრება, როგორც რომანშია მოთხრობილი. ქართულ მატიანეებში და საერთოდ ისტორიულ წყაროებში არავითარი კვალიც არა სჩანს რომანის მთავარ გმირთა ამგვარი ურთიერთობებისა. მაგრამ ეს „გამოგონილი“ სიუჟეტური მოტივები ისე ორგანულად და იმგვარის ხელოვნებით არის ჩაქსოვილი რომანში წარმოსახული ისტორიული მოვლენების განვითარებაში, რომ არა თუ არავითარი ეჭვი არ გვეპარება ამ ბასაქების ცხოვრებისეულს სიმართლეში, არამედ ვერც კი წარმოგვიდგენია, თუ როგორ შეიძლებოდა მათს გარეშე ასე ცხოვლად გაგვეგო, გვეგრძნო და განგვეცადა ის მრავალმხრივ რთული და დრამატიული კონფლიქტებით აღსავსე ისტორიული ეპოქა, რომლის გაცოცხლებასა და წარმოსახვასაც მწერალმა მიუძღვნა თავისი ეს შესანიშნავი მხატვრული ქმნილება. ისტორიკოს-მკვლევარის ალღოთი და გულმოდგინებით, პოეტის ინტუიციით, მისი ფრთაასხმული შემოქმედებითი ფანტაზიით შედის მწერალი ჩვენი სამშობლოს ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი შორეული საუკუნის სიღრმეში და ისტორიულად ფიქსირებული მოვლენების თუ გამოგონილი სიტუაციების, ისტორიულად ცნობილი ადამიანების თუ შეთხზული ტიპიური ადამიანური სახეების ერთობლივობით ცოცხლად, პლასტიკურად, ხელსახებად აღადგენს ჩვენს თვალწინ ამ საუკუნეს, მის ნივთობრივს ინვენტარს, მისთვის დამახასიათებელ საზოგადოებრივს კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს, ხალხის სულიერი ცხოვრების, გონებრივი მოძრაობის ვითარებას.

მაგრამ მარტო ამაში როდი მდგომარეობს „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“, როგორც ისტორიული ჟანრის მხატვრული ნაწარმოების, ღირებულება. შემეცნებითი მნიშვნელობა, რასაკვირველია, უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც ყოველ სრულფასოვან ისტორიულ რომანს. მაგრამ მისი უპირველესი სოციალური და ესთეტიკური ფუნქცია მაინც ის არის, რომ სიმართლით გააზრებული ისტორიული მოვლენების მხატვრულად განსახიერების მეშვეობით აღვივებდეს და ნერგავდეს მკითხველის სულიერ სამყაროში თანამედროვეობის მაღალ იდეალებს, ხალხის სადღეისო მისწრაფებათა სამყაროსთან თანხმოვან აზრებსა და გრძნობებს. ისტორიული წარსულის გაცოცხლება თანამედროვეობის სუნთქვით შეადგენს კლასიკური

ისტორიული რომანისტიკის ყველა ნაწარმოების დიდ ღირსებას. მაგრამ ასეთი ორგანული ერთიანობა ისტორიულ მოვლენათა სიმართლით წარმოსახვისა და მათთვის თანამედროვე ეღერის მინიშნებისა თავის უმაღლეს შემოქმედებით პრინციპად აქცია საბჭოთა ისტორიულ რომანში.

„ჩვენს დროში, შრომის აპოლოგიის საუკუნეში შევასხი ხოტბა დიდ ხელოვანის ჯაფას და მის თავდადებას“. — სრული უფლებით ამბობს მწერალი თავისი ამ ნაწარმოების შესახებ. მაგრამ ამ რომანის თანხმოვანება ჩვენი დროის სულიერ ატმოსფეროსთან მარტო იმით კი არ განისაზღვრება, რომ მასში წრფელი მგზნებარებით არის მოთხრობილი მაღალნიჭიერი ხუროთმოძღვრის, სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლის კონსტანტინე არსაკიძის დაძაბული შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის ამბავი, ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურის ამ უკვდავი ძეგლის შექმნის ეპოპეა. ადამიანის შრომითი გმირობის და შემოქმედებითი გენიის მადიდებელი ეს მოტივი, რასაკვირველია, ცხოველ გამოძახილს პოულობს კაცობრიობის მთელს ისტორიაში სწორუპოვარი შემოქმედებითი შემართებით მებრძოლი ახალი სამყაროს მშენებელი საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებაში. მაგრამ ასევე ცხოველად ეხმაურება საბჭოთა ადამიანის პატრიოტულ შეგნებას, მის გმირულ და ვაჟკაცურ სულისკვეთებას სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების, სამშობლოს მთლიანობისა, ძლიერებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ის ამაღელვებელი ეპიზოდები, რომლებიც ასეთი შთამაგონებელი ძალით არის დახატული ამ მართლაცდა რაინდულს რომანში. მწერლის მისწრაფება — რაც შეიძლება მეტის ორგანიულობით დაუკავშიროს რომანში მოთხრობილი ისტორიული მოვლენები ჩვენს თანამედროვეობას, — გამოხატულებას პოულობს ნაწარმოების კომპოზიციურს აღნაგობაშიც. რომანი იწყება პროლოგითა და მთავრდება ეპილოგით, რომლებიც უშუალოდ არის მიმართული ჩვენი დღეებისადმი და, მართალია, ესკიზური შტრიხებით, მაგრამ მკაფიოდ და შთამბეჭდავად ასახავენ მშენებლობისა და შემოქმედებითი შრომის პათოსს, რომლითაც გამსჭვალულია საბჭოთა სინამდვილე.

პროლოგში აღწერილია ავტორის ცხენით გამგზავრება თბილისიდან — საქართველოს ძველ სატახტო ქალაქის — მცხეთისაკენ, სადაც მარადიული დიდებით შემოსილი დგას სვეტიცხოვლის ძველისძველი ტაძარი, ქართული კლასიკური არქიტექტურის ეს უჭკნობი შედევრი. მაგრამ ვიდრე შორეული წარსულის სუსხიანი და თანაც გმირული სულის მომასწავებელ ამ ძეგლთა სამყაროში შევიდოდეს, მწერლის თვალწინ გადაიშლება ჩვენი ნათელი თანამედროვეობის წარმტაცი სურათი, რომელიც ბუნებრივად ბადებს ხალხის მრავალსაუკუნოვანი თავგანწირული ბრძოლით გადარჩენილი და ამჟამად სამუდამოდ აღორძინებული საქართველოს დედაქალაქის თბილისის სადიდებელ ჰიმნს:

„ტფილისი თვალსა და ხელს შუა გაიზარდა, გადიდქალაქდა. ლაპლაპებს უზარმაზარი კოცონი მთაწმინდაზე, ელავენ ელექტრონის ლამპიონები, ჩელიუსკინელების ხიდისა და მტკვრის შესანიშნავი სანაპიროს გასწვრივ ელექტრონის ბურთები ტივტივებენ მდინარეში, ჩაბღავიან გახელებულ ულაყს თვალებბრიალა ავტოები ყურში, დაიზმუვლებენ და გარბიან გუდრონით მოგებულ გზაზე.

ზუზუნებენ ქარხნის სირენები, გუზგუზებენ რაიონებისაკენ მიმქროლავი ტრაქტორები, მხიარულად წკრიალებენ ველოსიპედები და დინჯი დარდიმანდი იფხორება, ფრთხება, ჟამიდან . ჟამზე მოუსვენრად ფრუტუნებს და ღეჭავს ლაგამს“.

ხოლო ეპილოგში, როცა მთავრდება თხრობა კონსტანტინე არსაკიძის სიცოცხლის ტრაგიკული აღსასრულისა და

იმის შესახებ, თუ როგორ გაქვავდა თავისი ერთადერთი უსაყვარლესი პირმშოს დაღუპვით თავზარდაცემული დედა კონსტანტინესი, — მწერალი დაასკვნის:

„ათას წელს იწვიმა და იქუხა იმ დღიდან საქართველოს თავზე. ათას წელს იგორა ქვადქცეულმა სულმა.

ჩემს სიყრმეშიაც მინახავს კაცის სიმაღლე ლოდი, რომლის გამოც აგრე ამბობდნენ მცხეთაში: კონსტანტინე არსაკიძის დედაო გაქვავებული.

მანდილიან ფხოველ დიაცს მიაგავდა ეს ლოდი მართლაც. შარშანაც ვნახე ძველ სასაფლაოზე მცხეთაში.

წრეულსაც მოვიკითხე, ასე მითხრეს: მშენებლობაზე წაიღესო სადღაც. "მას შემდეგ არ მიძებნია იგი, რადგან ამასობაში უკვე დავასწარი მშენებლობის გენიას და ქვაში ჩაკირული საიდუმლო განვაცხადე სიტყვაში".

ეპილოგის ამ დასკვნითს სტრიქონებში მოსჩანს თანამედროვე ადამიანი, რომელიც წრფელად შეჰხარის ჩვენი ხალხის მშენებლობითს გენიას და შემოქმედებითი აზრით ერთვის და ეჯიბრება მას ათასწლოვანი ჭექა-ქუხილისა და ავბედითი ქარ-წვიმისაგან ვაკკაცურად გადარბენილი და სამუდამოდ აღორძინებული ჩვენი სამშობლოს სადიდებლად. ასეთი გრძნობით შედის შორეული წარსულის წიაღში „დიდოსტატის მარჯვენის" ავტორი.

მეთერთმეტე საუკუნის დამდეგი, რომელიც ასახულია „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში", მნიშვნელოვანი ხანაა საქართველოს ისტორიაში. იგი უშუალოდ წინ უსწრებდა და ამზადებდა დავით აღმაშენებელის მეფობის, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ეპოქას, რომელიც ძველი საქართველოს „ოქროს ხანად" არის ცნობილი. არაბთა ხანგრძლივი ბატონობისაგან თავდაღწეული ქართველი ხალხი იბრძოდა თავისი დიდი სახელმწიფოებრივი ტრადიციების აღორძინებისათვის, წვრილ სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანებისათვის, თავისი მიწა-წყლიდან უცხოელ დამპყრობელთა განდევნისათვის, მძლავრი ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის. ამ მისწრაფების განხორციელება გულისხმობდა გამუდმებულ ბრძოლებს ერთის მხრივ სარკინოზთა წინააღმდეგ, რომელთაც ჯერ კიდევ ხელთ ეპყრათ საქართველოს დედაქალაქი თბილისი და მეორეს მხრივ ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს მფარველობდა ერთმორწმუნე საქართველოს, მაგრამ ამ მფარველობაში არსებითად საქართველოს დაპყრობას, მის საკუთარ პროვინციად გადაქცევას გულისხმობდა. არანაკლებ სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლა იყო საჭირო დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგ, რომლებიც ლამობდნენ ესარგებლნათ სამეფოს მძიმე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით, ჭაბუკი მეფის გიორგი პირველის მცირეწლოვანებით და თავიანთი სამთავროების დამოუკიდებლობა მოეპოებიათ. მწვავე კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით იყო მოცული აგრეთვე ხალხის სულიერი ცხოვრება. მომძლავრებულსა და სახელმწიფოს გაბატონებულ რელიგიად ქცეულ ქრისტიანობას შეუპოვრად ებრძოდა სარკინოზთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გამოცოცხლებული და წაქეზებული წარმართობა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დათრგუნვილი და აღმოფხვრილი საქართველოს მთიან სამთავროებში. თავისი განუყოფელი ბატონობისათვის მებრძოლი ქრისტიანული ეკლესიის მესვეურები ძალა-უფლებაში ეტოქებოდნენ საერო ხელისუფლებას. ამასთან, ხალხის სულიერ ცხოვრებაში თავს იჩენდნენ საშუალო საუკუნეობრივი სქოლასტიკის წყვდიადისაგან განთავისუფლების მისწრაფებანი, აღმოცენებას იწყებდა პირველი ყლორტები ადრეული რენესანსისა, რომელმაც მალე, ერთი—ერთნახევარი საუკუნის შემდეგ მძლავრი გამოხატულება ჰპოვა ქართველი ხალხის სულიერი შემოქმედების

სხვადასხვა დარგში — ფილოსოფიაში, მწერლობაში, მხატვრობასა და ხუროთმოძღვრებაში, ხოლო ყველაზე ბრწყინვალედ და სრულყოფილად — შოთა რუსთაველის გენიალურ პოემაში „ვეფხისტყაოსანში“.

ასეთ რთულ და მრავალმხრივ წინააღმდეგობათა ვითარებაში მიიკვლევდა გზას, მზადდებოდა და იბადებოდა ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების „ოქროს ხანა“ და სწორედ გმირობითა და სულიერი რაინდობით, დაუნდობელი ბრძოლებითა და მწვავე ტკივილებით, სისხლითა და ცრემლით აღსავსე ეს საუკუნე წარმოსახა მწერალმა „დიდოსტატის კონსტატინეს მარჯვენაში“.

ეპოქის ყველა დამახასიათებელ კონფლიქტსა და წინააღმდეგობას მწერალმა, როგორც ფოკუსში, თავი მოუყარა მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული დიდი ხელოვანის. სვეტიცხოველის დიდებული ტაძრის შემქმნელის კონსტანტინე არსაკიძის ტრაგიკულ თავგადასავალში. თავისი ასეთი მხატვრული ჩანაფიქრისაკენ, მწერალს ბიძგი მისცა სვეტიცხოვლის კედელზე გამოსახულმა ვაჟკაცის მოკვეთილმა მარჯვენამ, რომელსაც გონიო უპყრია. ლეგენდის მიხედვით ეს უნდა იყოს ხუროთმოძღვარის კონსტანტინე არსაკიძის მარჯვენა. ამ ლეგენდას მხარს უჭერს და თითქოს ადასტურებს ცნობილი ხალხური ლექსი, რომელიც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული რომანს:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია.
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია“.

როგორც რომანის გმირმა კონსტანტინე არსაკიძემ ტლანქი და მოუხეშავი ლოდებისაგან შექმნა ხელოვანის მღელვარე სულით გამთბარი, ზეცამდე ატყორცნილი და სივრცეში გაქვავებული მომაჯადოებელი ქვის ჰარმონია, ისე მწერალსაც ლეგენდასა და ამ ოთხსტრიქონიან ხალხურ ლექსში ჩამარხულ მარცვალზე აღმოუცენებია სიტყვიერი ხელოვნების შესანიშნავი ნაგებობა, რომელიც გვხიბლავს თავისი გმირების ვაჟკაცობითა და სულიერი მშვენებით და გულის სიღრმემდე შეგვძრავს მათი ბედის ტრაგიკულობით. ვკითხულობთ რომანს და ჩვენს თვალწინ წარმოსდგება მწერლის ჯადოქრული ხელოვნებით გაცოცხლებული, ჩვენგან ათასაუკუნოვანი მანძილით დაშორებული ეპოქა თავისი პირქუში და სასტიკი სოციალური წყობილებით, სპეციფიკური ყოფა-ცხოვრებითი ურთიერთობებით, ჩვეულებითა და ადათ-წესებით. გასაოცარი პლასტიკური სიცხოველით ხატავს მწერალი ეპოქის ნივთობრივ ინვენტარს, სასახლეთა და ციხე-კოშკთა მოწყობილობას, სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანთა ჩაცმულობასა და მორთულობას, ნადირობისა და მოლხენის, მიცვალებულის დატირების, წ-რვა-ლოცვის სურათებს და ყოველივე ეს მოქმედების მხოლოდ დეკორაციულ ფონს კი არ ქმნის, არამედ თითოეული მათგანი განმაზოგადებელი ძალით გვაგრძნობინებს მთელს ისტორიულ ვითარებას, ეპოქის სახეს, მის კონკრეტულ შინაარსს. განსაკუთრებით ძლიერია მწერალი ბატალური სურათების ხატვისას. ჩვენ ვხედავთ მრისხანედ აღმართულ ხმლებისა და მახვილთა ელვარებას, გვესმის გოდოლთა შელეწვის, ციხე-კოშკთა მსხვრევის შემზარავი ხმაური, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთთან შეჯახებულ ადამიანთა ყიჟინა, დაჭრილთა კვნესა, დამარცხებულთა გოდება.

ყოველივე ეს, როგორც თხრობის მთელს მსვლელობაში უხვად ჩაქსოვილი დიდებული ქართული ბუნების წარმტაცი პეიზაჟები, შესრულებულია სიტყვიერი მხატვრობის იშვიათი ხელოვნებით. ყოველი ნახატი,—ბუნებისა თუ ყოფაცხოვრების ყოველი სურათი, ღრმად არის გამსჭვალული ადამიანური განცდებით და განწყობილებებით, და-

კავშირებულია იმ დიდ ადამიანურ ვნებათა ღელვასთან, რითაც აღსავსეა რომანის გმირთა ცხოვრება და მათი ურთიერთობის ისტორია.

რომანის მთავარი გმირი კონსტანტინე არსაკიძეა, ხოლო ნაწარმოების სიუჟეტურ მაგისტრალს—მისი ცხოვრების ტრაგიკული ისტორია, კვეტარის ერისთავის, თალაგვა კოლონკელიძის ასულთან—მშვენიერ შორენასთან მისი საბედისწერო სატრფიალო ურთიერთობის ამბავი შეადგენს.

ახალგაზრდა ლაზი კონსტანტინე არსაკიძე თავისი წარმოშობით და სოციალური ბიოგრაფიით მშრომელ ხალხს ეკუთვნის. მას განუცდია მონა-ყმის ხვედრი, მებატონეთა სასახლეებში გაუხარელი ცხოვრებაც, ტყვედ ჩავარდნის განსაცდელიც. მაგრამ თავის იშვიათ ნიჭიერებას, ხუროთმოძღვრულ ხელოვნებას იგი მეფესთან, კათალიკოსთან, საერო და სასულიერო არისტოკრატიის მაღალ ფენებთან დაუკავშირებია. ამიტომაც მისი ცხოვრების ისტორიაში ჩვენ ვხედავთ, როგორც მშრომელი ხალხის ბედისა, ისე ეპოქის დამახასიათებელ წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების ანარეკლს.

კონსტანტინე არსაკიძის სახე—ხორცშესხმული სიმბოლოა ხალხის შრომითი გმირობისა, მისი შემოქმედებითი გენიისა, ადამიანის აზრის მისწრაფებისა თავისუფალი და შეუბორკველი განვითარებისაკენ. „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე. უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება“. ასეთია არსაკიძის ცხოვრების ფილოსოფია. მონობისა და ტირანიის უსასტიკეს საუკუნეში, როცა შრომა მძიმე ხვედრი იყო სიოატაკისა, უმეცრებისა და უუფლებობისათვის განწირული ხალხისა, არსაკიძეს მხოლოდ შრომისა და შემოქმედების, ხელოვნებისა და ოსტატობის დიდება და უკვდავება სწამდა. ხელოვნებაა თავათ უკვდავება. მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი, ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“. არსაკიძის ამ სიტყვებში შემოქმედებითი შრომის მადიდებელი ჰიმნი ჟღერს და სვეტიცხოველიც ამ შემთხვევაში სიმბოლური მნიშვნელობის მხატვრული სახეა, ადამიანის შრომითი გენიის ხორცშესხმული გამოხატულება.

მაგრამ ამ შემოქმედებითი გენიის მატარებელი ადამიანი გაბოროტებული დევნისა, ტანჯვისა და მწუხარებისათვის არის განწირული მონობასა და ძალმომრეობაზე აგებულ სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ წყობილებაში... მსოფლიო კულტურის ისტორია აღსავსეა ამის შემზარავი მაგალითებით და მსოფლიო ლიტერატურასაც სხვადასხვა ჟანრის მრავალ შედევრში გამოუხატავს მაღალი და პროგრესული შემოქმედებითი აზრით შთაგონებული ხელოვანის შეურიგებელი კონფლიქტი თავის ბნელსა და პირქუშ საუკუნესთან. სწორედ ეს კონფლიქტი წარმოადგენს „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენას“ იდეურ-თემატიკური შინაარსის განმსაზღვრელ ფაქტორს.

მართალია, თავის ხელოვნებაზე და თავის დიდებულ ქმნილებაზე ფანატიკურად შეყვარებულ არსაკიძეს თითქოს არც კი გააჩნია სოციალური პროტესტის გრძნობა და ასეთ უცნაურ აზრებსაც კი გამოთქვამს, რომ იგი მზად არის დაემორჩილოს მის ქვეყანაში გაბატონებულ ყოველგვარ წყობილებას, რადგან, მისი აზრით, ყოველი ხალხი მხოლოდ იმ წყობილების ღირსია, რომელიც მის ქვეყანაში სუფევს. მაგრამ არსაკიძის ცხოვრების ტრაგიკული ისტორია მომაკვდინებელი მხილებაა იმ ბნელი და სისხლიანი ტირანიისა, რომელმაც დაუნდობლად გაანადგურა სამშობ-

ლოსადმი მგზნებარე სიყვარულით შთაგონებული ეს დიდი პატრიოტი. კათალიკოსი მელქისედეკი გადაემტერა არსაკიძეს იმ სურათის დახატვისათვის, რომელშიც მხატვარმა ღმერთთან შეჭიდებული ადამიანის „მკრეხელური“ აპოლოგია განასახიერა. „ურწმუნო და უთვისტომო ხელოვანმა, ბნელი სულისა და ბოროტი ხასიათის ფარსმან სპარსმა მომაკვდინებლად შეიძულა თავისი ყოფილი შეგირდი შურიანობის ნიადაგზე. ფარსმანის მზაკვრულმა დაბეზღებამ, მისმა ბოროტმა ცილისწამებამ გადამწყვეტი გავლენა იქონია არსაკიძის ბედზე. მეფე გიორგიმ კი სასიკვდილოდ გასწირა თავისი ხუროთმოძღვართუხუცესი, მისი სამეფოს დამამშვენებელი სვეტიცხოვლის ამშენებელი მხოლოდ იმიტომ, რომ მდაბიო არსაკიძემ გაბედა და წრფელი გრძნობით შეიყვარა შორენა, რომელსაც შეტრფოდა მეფეც.

იჭვიანობის გრძნობით გაცოფებული მეფის ბრძანებით არსაკიძეს მარჯვენა მოკვეთეს. მეფის მიერ შერისხულს ვერავინ გაუბედავდა თანაგრძნობას და მზრუნველობას. მარტოობაში, აუტანელ ტკივილებსა და ტანჯვაში დალია სული მკლავმოკვეთილმა და მორიელების მიერ დაკბენილმა კონსტანტინემ. გულის სიღრმემდე შემძვრელი ძალით აქვს აღწერილი მწერალს სასიკვდილო აგონიით შეპყრობილი არსაკიძის უკანასკნელი ღამე, ერთმანეთში არეული მისი უკანასკნელი ფიქრები, განცდები, მოგონებანი, ზმანებანი, მოჩვენებანი. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც იგი ებრძვის, არ ნებდება თავის დემონს, მისი შემოქმედებითი აზრის თავისუფალი გაქანების შემზღუდველ და ჩამახშობელ მოხუცს, რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებულ ასკეტს—კათალიკოს მელიქსედეკს: „უზარმაზარი ლანდი ჩამოვიდა კედლიდან. მგლისებრმა თვალებმა გაიელვეს ბნელში. და ერკინებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი. მერე მისწვდა იგი ჭრილობიან ბარკალს და „დაუბუშა ერცელი ბარკლისაი“ მოეძალა ბობღია ლანდი, მგლისფერი თვალები შემოანათა და სთხოვა სული. ... მისცა სული მგლისებრთვალებამ მოხუცებულს მხატვარმა... დიდხანს ებრძოდა წიწამურის ველზე მამალი ხოხობი ღამეს“.

ბოლოს თავისი უზომოდ საყვარელი, მასავით უბედური და დაღუპული შორენას ლანდი გამოეცხადა მომაკვდავ არსაკიძეს:

„ბოლოს მოაწია რიჟრაჟმა. ატყდა ნათლის ლიცლიცი გარეთ, ყაყაჩოები დაათოვა მწვერვალებს ცამ, იფრქვეოდა ისფერი შუქი, როგორც ჩქერალები ფხოვის მთებიდან.

შორენა გადმოვიდა კედლიდან, ხატაური ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროს ფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს. დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული. ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოვლისთვის შეეწირა იგი“.

ასე მოკვდა დიდოსტატი კონსტანტინე, ქედუხრელად და უდრტვინველად, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგული თავისი სიყვარულისა, თავისი ხელოვნებისა, თავისი დიდებული ქმნილებისა. ბნელმა და სასტიკმა საუკუნემ, ბოროტებასა, მტრობასა და შუღლზე, ძალმომრეობაზე აგებულმა წყობილებამ იმსხვერპლა იგი. მაგრამ ეს სიბნელე და ბოროტება უძლური აღმოჩნდნენ მოეკლათ და გაენადგურებიათ მაღალი და ნათელი აზრით შთაგონებული შემოქმედების მონაპოვარი. საუკუნეებში ამაყად დგას დიდებული სვეტიცხოველი, როგორც უკვდავი სიმბოლო შემოქმედებითი გენიის უძლეველობისა და მარადიულობისა. შემოქმედებითი შრომის, მშენებლობის გენიის, რაინდული სულის, ნათელი აზრის ასეთ დიდებას და უკვდავებას უმღერის „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ —

ამაში მდგომარეობს ამ რომანის ფილოსოფია, მისი იდეური არსი.

კონსტანტინე არსაკიძე—ღრმა აზრით აღბეჭდილი მხატვრული სახეა—ხორცშესხმული განსახიერებაა ადამიანის კეთილშობილებისა, სულიერი რაინდობისა, ქედუხრელობისა და უშიშროებისა, შემოქმედებითი გენიისა, ნათელი აზრისა და სპეტაკი გრძნობისა—იმ ჰუმანისტური იდეალისა, რომელიც უკვე აღმოცენებას იწყებდა რომანში გამოხატულს სასტიკსა და პირქუშ საუკუნეში. ხოლო დიდოსტატის კონსტანტინეს ანტითეზას (მწერლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ) რომანში წარმოადგენს ფარსმან სპარსის სახე, აგრეთვე ღრმად გააზრებული და შთამბეჭდავად დახატული მწერლის მიერ. მას „ფარსმან სპარსად“ იცნობდნენ და არავინ იცოდა მისი ნამდვილი ვინაობა და ეროვნება. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, იგი უთვისტომო კოსმოპოლიტია, უსამშობლო და უეროვნო ადამიანია, რომელსაც არაფერი წამს, გულით არაფერი უყვარს და ამიტომაც ყველაფერს მხოლოდ ანგარებისა და ცივი გონების კარნახით ზომავს.

ისიც ნიჭიერი ხელოვანია და არა მარტო ხელოვანი. მრავალი ქვეყანა შემოუვლია ამ „თვითმოძრავ ჭურს“, მრავალი ენა შეუსწავლია, მრავალ ხელობას დაუფლებია. იგი ვარსკვლავთმრიცხველიც არის და ალქიმიკოსიც, მკურნალიც და იარაღ-საჭურველთა ოსტატიც, ხუროთმოძღვარიც და მარჩიელიც, ათასგვარი ჯადოქრობის მოხელე. იგი მახვილი გონების, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მოქნილი ენის პატრონია. მაგრამ ყოველივე ეს საბოლოო ანგარიშში უნაყოფო და უშედეგოა, რადგან ფარსმან სპარსის სულიერი სამყარო დაცლილია რწმენისაგან, დადებითი იდეალისაგან, ზნეობრივი და მორალური კოდექსისაგან, ადამიანური გრძნობებისა და ვნებებისაგან. მას შეუძლია განურჩეველი გულგრილობით ემსახუროს სარკინოზთა ხალიფასაც, ბიზანტიის კეისარსაც და საქართველოს მეფესაც, მაგრამ არც ერთი მათგანისადმი არ გააჩნდეს ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა. ისიც არავის უყვარს ქვეყნად, მასაც ყველა მხოლოდ იმდენად აფასებს, რამდენადაც მისი ცოდნა და ოსტატობა შეუძლია გამოიყენოს. თავისი ნიჭისა და მრავალმხრივი ცოდნის მიუხედავად მან ვერაფერი შექმნა ღირებული და მნიშვნელოვანი, იგი უკვალოდ და უსახელოდ წავიდა ამ ქვეყნიდან, რადგან ბოროტებითა და მზაკვრობით დამახინჯებულ სულს არ შეუძლია შექმნას რაიმე მყარი, გამძლე, ხალხის გულსა და ხსოვნაში ფესვგადგმული. მხოლოდ კეთილშობილურ იდეალს, სამშობლოსათვის, ხალხისათვის თავგანწირულების გრძნობას, მაღალ ზნეობას, სულიერ რაინდობას შეუძლია შთააგონოს ადამიანი ნამდვილი შემოქმედებითი გმირობისათვის და უკვდავება შთაბეროს მის საქმეს. ამ აზრს განასახიერებს და მხატვრულად ასაბუთებს რომანში დაპირისპირებული ეს ორი მხატვრული სახე—ნაწარმოების ეს თეზა და ანტითეზა.

გიორგი მეფეც რომანში ცხოვრობს და მოქმედებს არა მარტო როგორც გარკვეული ისტორიული პიროვნება, არამედ პირველ ყოვლისა, როგორც ტიპიზირებული მხატვრული სახე, რომელიც აგრეთვე თავისებურად განასახიერებს ეპოქის წინააღმდეგობებს და ტენდენციებს. მწერალი ისტორიული პირუთვნელობით მოგვითხრობს გიორგი პირველის გმირობისა და ვაჟკაცობის შესახებ სამშობლოს თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლაში. იგი ქედს არ იხრის ბიზანტიის ძლიერი და სასტიკი კეისრის, „ბულგართმმუსვრელად“ წოდებული ბასილის წინაშე და გამუდმებულად ეომება მას, თავგანწირულად ეწინააღმდეგება მის აგრესიულ ზრახვებს საქართველოს მიმართ. „ბასილ კეისარს ეს უნდა! ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამდის პირში

სული მიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი ბასილი კეისარი“.—ამბობდა გიორგი და თავისი ამ მტკიცე გადაწყვეტილების განხორციელებას — საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას შეალია მან თავისი სიცოცხლე. მაგრამ არანაკლები თავგამეტებით ეომებოდა იგი კვეტარისა და ქორსატეველას ციხეთა მფლობელებს, რომლებიც ქვეყნის სახელმწიფოებრივსა და ეროვნულ ინტერესებზე მაღლა თავიანთ პარტიკულარულ მისწრაფებებს აყენებდნენ და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში ღალატობდნენ სამეფოს. რომანში ვრცლად არის ასახული გიორგი მეფის დაუცხრომელი და უკომპრომისო ბრძოლა ამ მძვინვარე, აღვირახსნილი ფეოდალების წინააღმდეგ. ქორსატეველას ციხის მფლობელი მამამზე ერისთავი და მისი ვაჟი ჭიაბერი, კვეტარის ერისთავი თალაგვა კოლონკელიძე განასახიერებენ რომანში ამ ფეოდალური რეაქციის მთელს მზაკვრობასა და ვერაგობას. რომანის პირველსავე თავებში ჩვენ ვხედავთ გოლიათური აგებულებისა და იშვიათი ფიზიკური ძალოვნების ჭარმაგ ვაჟკაცს მამამზე ერისთავს, რომელიც ახალწლის დღესასწაულის მისალოცად სტუმრებია მეფეს. სამშობლოს მტრებთან მრავალ ომებში სახელმოხვეჭილი მამამზე, რომელსაც არა ერთხელ დაუმტკიცებია გიორგის მამის—ბაგრატ კურაპალატისადმი და თვით გიორგისადმი თავდადებული ერთგულება, ახლა ლამობს ისარგებლოს ჭაბუკი მეფის მცირეწლოვანებითა და გამოუცდელობით, ცბიერი ალერსით მოადუნოს მისი სიფხიზლე და თავისი სამფლობელო მოსწყვიტოს სამეფოს. არავითარი ვერაგობისა და მზაკვრობის, მუხანათური მოღალატეობის საშუალებას არ თაკილობს მამამზე. მაგრამ ჭაბუკი მეფე გაბედული და ულმობელი დარტყმებით აღკვეთს ურჩი ფეოდალის მოღალატურ გამოხდომებს. გიორგის დავალებით მოწამლეს და მოაკვდინეს მამამზეს ვაჟი ჭიაბერი, რომელიც მხარში ედგა მამას სამეფოსა და მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ რაკი ამ სასჯელმაც ვერ დაიცხრო ღალატისა და განდგომის გრძნობით აღგზნებული მამამზე, გიორგის ლაშქარმა დედამიწის პირისაგან აღგავა ქორსატეველას ციხე, ხოლო მამამზეს მოკვეთილი თავი ციხის კოშკზე აღმართულ ძელზე იქნა წამოგებული. ასევე სასტიკად გაუსწორდა მეფე მეორე მეამბოხე ერისთავს—თალაგვა კოლონკელიძესაც. თალაგვამ ფხოველები ააჯანყა სამეფოსა და ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ. იგი თვალთმაქცურად გამოექომაგა ფხოველთა წარმართულ რწმენას, სინამდვილეში კი მას სარწმუნოების საკითხები ნაკლებად აღელვებდა და აინტერესებდა. მის ერთადერთ მიზანს შეადგენდა თავისი სამთავროს გამოთიშვა სამეფოსაგან, მისი დასაკუთრება სრულსა და შეუზღუდველ მფლობელობაში. გიორგი პირველმა ულმობლად დათრგუნა კოლონკელიძის წინააღმდეგობაც, მან დალაშქრა კვეტარის ციხე, ყური არ ათხოვა მისი მგზნებარედ საყვარელი შორენას ხვეწნა-მუდარას და ჯალათს თვალები ამოაწვევინა მოღალატე ერისთავისათვის.

ქვეყნის გარეშე მტრებთან თუ შინაურ მოღალატეებთან წარმოებულ ამ ძლევამოსილ ბრძოლებში ჭაბუკი მეფე პირადად მონაწილეობდა და პირველი აძლევდა თავის ლაშქარს თავგანწირული გმირობისა და უშიშარი ვაჟკაცობის მაგალითს. მაგრამ არა მარტო ამ დიდი სახელმწიფოებრივი ინტერესებითა და საბრძოლო გმირობით ცხოვრობდა გიორგი მეფე. თორმეტი წლის ჭაბუკი დასვეს იგი სამეფო ტახტზე და მას შემდეგ დიდის თავგანწირულებით უღვოდა რთული საგარეო და შინაგანი წინააღმდეგობებით გარემოცული სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებას. მაგრამ გვირგვინოსან ჭაბუკს გააჩნდა პირადი ადამიანური მისწრაფებებიც. მას ზოგჯერ უზრუნველი ლაღობის, გართობა-მხიარულობის, ტრფიალების ჟინიც მო-

ერეოდა ხოლმე. ასეთ შემთხვევებში იგი მდაბიურ ტანსაცმელს გადაიცვამდა, წვერს ინით შეიღებავდა, ხუმრობით გლახუნა ავშანიძეს შეირქმევდა, თან გაიყოლიებდა ყველაზე ერთგულ და საიმედო მხლებლებს და გულს მოიჯერებდა მთებსა და ტყეებში ნადირობით, ნავარდით, უბრალო ხალხში თავისუფლად გარევით და მოლხენით. ასეთი შენიღბული მოგზაურობანი მეფეს იმის საშუალებასაც უქმნიდა, რომ უშუალოდ გაცნობოდა ხალხის ცხოვრებას, მის ჭირსა და ლხინს, მის აზრს ქვეყნის მდგომარეობაზე, ქვეყნის მმართველთა მოქმედებაზე.

სიყვარულისა და გულის კარნახის გარეშე, პოლიტიკური ანგარიშით დაქორწინებულ მეფეს გული მიუწევდა ნამდვილი, წრფელი სამეჯნურო კავშირისაკენ. მას მოეწონა და შეუყვარდა თალაგვა კოლონკელიძის ასული, სულიერი და გარეგნული მშვენებით შემკული შორენა. თავისი ამ მგზნებარე გატაცებით შეპყრობილი მეფე დაუნდობლად გზიდან იცილებდა ყველა მეტოქეს და მოქიშპეს. გიორგიმ მოაწამვლინა შორენას საქმრო—ჭიაბერ ერისთავი, სასიკვდილოდ გასწირა თავისი უახლოესი ნათესავი—გირშელი, რომელიც ჭიაბერის სიკვდილის შემდეგ თვალებდათხრილი კოლონკელიძის სასიძოდ იქნა მიჩნეული. მეფემ არ დაინდო დიდოსტატი არსაკიძეც კი, რომელსაც ერთად ერთს ეკუთვნოდა შორენას გული. მაგრამ ვერაფერმა ვერ მოუპოვა ბედნიერება და კმაყოფილება მგზნებარედ შეყვარებულ ჭაბუკ გვირგვინოსანს. ერთის მხრივ მას ხელფეხს უბორკავდა ეკლესიის ავტორიტეტი, კათალიკოს მელქისედეკის წინაშე რიდი და კრძალვა, ხოლო მეფის მიერ დაბრმავებული ერისთავის ასულის გული სამუდამოდ სხვას ეკუთვნოდა და ვერასოდეს ვერ გადაიხრებოდა მეფისაკენ.

როცა კონსტანტინე არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის ამბით თავზარდაცემული შორენა უფსკრულში გადაიჩეხა და დაიღუპა, მეფემ მწვავედ განიცადა თავისი საყვარელი არსების სიცოცხლის ასეთი დასასრული. დიდი—მუხარების გასაქარვებლად იგი მდაბიურად გადაცმული და გლახუნა ავშანიძედ გადარქმეული, სანადიროდ გაიჭრა მთებში. ნადირობისას, მოკლული ირემის ზურგით გამოტანისას მეფეს ნაწლავები გადაესკვნა და გარდაიცვალა. სიკვდილის წინ თავის ერთგულ მხლებელთან უშიშარაისძესთან საუბარში წრფელად აღიარა: „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამ ქვეყნად, როგორც მეფეს, ისე, როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია... მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მიღალატნია“.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენას“ დიდი შემოქმედებითი წარმატებაა შორენას სახე. გარეგანი მშვენიერებით და სულიერი რაინდობით დაჯილდოებულ ქალთა მხატვრული სახეებით მდიდარს ქართულ კლასიკურსა და თანამედროვე ლიტერატურაში ეს სახე იშვიათი ადამიანური მომხიბვლელობით, კდემამოსილებით, ლირიულობით გამოირჩევა. დამატყვევებელი სილამაზისა და მორალური სისპეტაკის გვერდით, მის არსებაში ცხოვრობს გმირული სული და ვაჟკაცური ბუნება, რომლის მეოხებითაც იგი მზად არის სათავეში ჩაუდგეს ფხოველთა ამბოხებას, ვაჟკაცურად შეებრძოლოს მამამზეს მიერ მის შესაპყრობად მოგზავნილ შეიარაღებულ მხედრებს. ბოლოს, როცა მისი საყვარელი და სათაყვანებელი კონსტანტინეს მარჯვენას მოკვეთას გაიგებს, — მონაზნად აღკვეთილი იგი მონასტრის გალავნიდან უყოყმანოდ გადაეშვება უფსკრულში, რათა შეუბღალავად და ქედუხრელად გამოეთხოვოს თავის გამწარებულ და გაუხარელ სიცოცხლეს.

აღარაფერს ვიტყვით რომანის ისეთი მნიშვნელოვანი პერსონაჟების შესახებ, როგორიც არიან კათალიკოსი მელქისედეკი, სპასალარი ზვიადი, დედოფალი მარიამი, შავლეგ ტოხაისძე და მრავალი

სხვა, რომლებიც ადამიანურ სახეთა ხატვის მაღალი ხელოვნებით არიან შესრულებულნი და საგანგებო განხილვასა და შეფასებას იმსახურებენ.

ტრაგიკულად მთავრდება რომანის მთავარი გმირების—კონსტანტინე არსაკიძის, გიორგი პირველის, შორენა კოლონკელიძის ცხოვრება. მათი სიცოცხლის ასეთი დასასრული გამოხატულებაა ღრმა წინააღმდეგობებითა და შეურიგებელი კონფლიქტებით აღსავსე იმ მკაცრი და სასტიკი საუკუნისა, რომლის წარმოსახვასაც მწერალმა თავისი ეს ნაწარმოები მიუძღვნა. და რაც უფრო პირქუშად და სულის შემხუთველად გამოიყურება მთელი ეს სოციალური გარემო, მით უფრო მეტის ბრწყინვალებით გამოსჩანს ამ ფონზე ის სულიერი რაინდობა, პატრიოტული თავგანწირულება, ზნეობრივი მშვენება და შემოქმედებითი გზნება, რომლებითაც მწერალმა მისი მძლავრი კალამით დახატული ეს ადამიანები დააჯილდოვა.

მწერალმა შთამბეჭდავად დაგვანახა და გვაგძნობინა, თუ როგორი მწვავე წინააღმდეგობების, ტკივილებისა და ბრძოლების ვითარებაში მზადდებოდა და აღმოცენებას იწყებდა ძველი საქართველოს დიდებისა და ძლიერების — ქართული რენესანსის დიდებული ეპოქა.

* * *

ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ასეთი მძლავრი აღმავლობის ფართო სურათი წარმოსახა კ. გამსახურდიამ ტეტრალოგიაში „დავით აღმაშენებელი". ეს წიგნი ქართული ისტორიული რომანისტიკის ყველაზე ვრცელი ნაწარმოებია, რომელიც არა მარტო სინამდვილის მხატვრული ათვისების სიფართოვითა და მასშტაბურობით გამოირჩევა, არამედ ეპოქის სულის, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის, მისი მამოძრავებელი ძალების, მისი შინაარსის განმსაზღვრელი პროცესებისა და ტენდენციების სწორი ისტორიული გამოხატულებით. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ მწერალი მეოთხედი საუკუნის მანძილზე დაუღალავი შემოქმედებითი შრომით და პატრიოტული მგზნებარებით ქმნიდა თავის ამ უფართოეს მხატვრულ ტილოს, რომ ტეტრალოგიის პირველი ორი წიგნი დიდი სამამულო ომის წლებში დაიწერა და გამოქვეყნდა და ისინი ცხოველ გამოძახილს პოულობდნენ ფაშიზმის სისხლიანი ურდოებისაგან ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად თავგანწირულად მებრძოლი საბჭოთა ხალხის სულიერ სამყაროში.

რომანის მთავარი გმირი—დავით აღმაშენებელი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე იყო საქართველოს მთელს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. იგი მეთაურობდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა იმ მართლაცდა ტიტანურ ბრძოლას, რომელსაც ქართველი ხალხი ეწეოდა XI და XII საუკუნეთა მიჯნაზე თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის უცხოელი დამპყრობლებისაგან, მისი გაერთიანებისა და ვაძლიერებისათვის, ქვეყნის აღორძინებისა და ეკონომიურად განმტკიცებისათვის, ეროვნული კულტურის ყოველი დარგის განვითარებისათვის. 16 წლის ჭაბუკი ავიდა იგი ტახტზე ისეთ ვითარებაში, როდესაც საქართველოს სამეფო უაღრესად მძიმე პირობებში იმყოფებოდა. ქვეყნის დიდი ნაწილი და მისი დედაქალაქი თბილისი თურქ დამპყრობელთა ხელში იყო. მათი ურდოები განუწყვეტლივ დათარეშობდნენ მთელს საქართველოში, არბევდნენ და აწიოკებდნენ მოსახლეობას. მათი სისხლიანი თარეშით დაშინებული გლეხობა მთებსა და ტყეებში იყო შეხიზნული. მემატიანე მოგვითხრობს, რომ „მოოხრებულ იყო ქართლი... თვინიერ ციხეთასა სადმე არა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა რა შენებულობა". ქვეყანა წელში იყო გაწყვეტილი თურქ-სელჯუკთა სულთანის მიერ შეწერილი ხარკითა და ბეგარით. სახელმწიფოს ასეთი მძიმე

მდგომარეობით სარგებლობდნენ დიდგვაროვანი ფეოდალები, ძალაუფლებაში ეცილებოდნენ მეფეს, ყოველგვარად ცდილობდნენ თავიანთ სამთავროებში დამოუკიდებელი მბრძანებლობა მოეპოვებინათ და ამ მიზნით ხშირად სამშობლოსადმი მოღალატეობას, თურქ დამპყრობლებთან კავშირის დამყარებასაც კი არ თაკილობდნენ. დავით აღმაშენებლის გამეფების დროისათვის კახეთ-ჰერეთის მხარე საქართველოსგან გამოთიშული იყო და არა მარტო განცალკევებულ სამეფოს წარმოადგენდა, არამედ მისი მფლობელნი—აღსართანი და კვირიკე. გააფთრებით ებრძოდნენ კიდეც საქართველოს მეფეს, ემყარებოდენ რა ამ ბრძოლაში თურქ-სელჯუკ აგრესორთა წაქეზებასა და მხარდაჭერას. დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა თრიალეთ-კლდეკარის სამთავროც, რომლის ერისთავნი — ბაღუაშ ორბელიანები განუწყვეტლივ მტრობდნენ და ეტოქებოდნენ ბაგრატიონთა დინასტიას და არამც თუ არ ემორჩილებოდნენ მას, არამედ საქართველოს სამეფო ტახტის მიტაცებასაც კი ლამობდნენ.

ეს შინაგანი აშლილობა, ურთიერთ მტრობა და შუღლი ანადგურებდა ერის სასიცოცხლო ძალებს, ანგრევდა და აუძლურებდა ქვეყანას. ყოველივე ეს სპობდა მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობას, ძირს უთხრიდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, მშენებლობას, კულტურულ შემოქმედებას. ამას დაერთო დიდი სტიქიური უბედურებაც. სწორედ დავითის გამეფების წელს საქართველოს თავს დაატყდა გამანადგურებელი მიწისძვრა, რომელმაც დაამხო მრავალი ციხე-სიმაგრე, შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე და აურაცხელი ზიანი მიაყენა მოსახლეობას.

ასეთი იყო საქართველოს სამეფოს მდგომარეობა, როდესაც ქვეყნის ვაივაგლახით მოქანცულმა, სუსტი ნებისყოფისა და მოდუნებული ხასიათის მეფემ, გიორგი მეორემ თავისი ხელით დაადგა თავზე სამეფო გვირგვინი თავის ერთად-ერთ პირმშოს, თექვსმეტი წლის დავითს. 36 წლის განმავლობაში წინამძღოლობდა და მეთაურობდა თავის ხალხს დავით აღმაშენებელი და ამ ხნის მანძილზე მან შემოიკრიბა და გააერთიანა მთელი საქართველო, უდრეკი ხელით ალაგმა დიდგვაროვან ფეოდალთა განდგომილობა და ისინი სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა, თავისი იშვიათი სტრატეგიული ნიჭიერებით, მხედართმთავრული ხელოვნებით და საბრძოლო გმირობით მან თანდათანობით ხელიდან გამოსტაცა უცხოელ დამპყრობლებს მათ მიერ მიტაცებული საქართველოს მიწა-წყალი. ჯერ ხარკის მიცემა შეუწყვიტა სელჯუკთა სულთანსა და ამირებს, შემდეგ სრულიად განდევნა ისინი საქართველოს საზღვრებიდან და გაანთავისუფლა თბილისი, რომელიც ოთხასი წლის განმავლობაში ეპყრათ თურქ-სელჯუკთა ამირებს, სამშობლოს დაუბრუნა თავისი დედა-ქალაქი და „დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თავისად საუკუნოდ“. დავით აღმაშენებელმა გამოჭედა თავისი სამეფოს სამხედრო ძლიერება, შექმნა მრავალრიცხოვანი, საუცხოოდ გამოწრთობილი და შეიარაღებული მუდმივი ლაშქარი, რომელიც შიშის ზარს სცემდა როგორც სამშობლოს მოღალატე ფეოდალებს, ისე უცხოელ თავდამსხმელებს. ამ ლაშქრის შესაქმნელად დავითმა გადმოიყვანა 40.000 ყივჩაღი მხედარი, რომლებიც თავიანთი ოჯახებით დაასახლა საქართველოში. ქრისტიანულად მონათლა, თანდათანობით შეუსისხლხორცა ქართველ მოსახლეობას და ამით დიდად ხელი შეუწყო ხანგრძლივი ომებით სისხლისაგან დაცლილი ქვეყნის მომრავლებას და გაძლიერებას. გამჭრიახი გონების პოლიტიკური მოღვაწე, დავითი ფხიზლად თვალყურს ადევნებდა საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას, მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობას და მოხერხებულად სარგებლობდა ყოველი ხელსაყრელი შემთხვე-

ვით საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის და სახელმწიფოს გაძლიერებისათვის.

დავით აღმაშენებელმა უღრმესი რეფორმები განახორციელა საეკლესიო და საერო მმართველობაში. ცნობილ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას მან დააკანონებინა ეკლესიის მესვეურთა დაწინაურება მხოლოდ პირადი ღირსებების მიხედვით და ამით აღკვეთა თავიანთი დიდგვაროვნული შთამომავლობით გადიდგულებული უვარგისი, უმეცარი და უზნეო „სულიერი მამების" ძალა-უფლება. ასევე შესცვლა საერო ხელისუფლებაში მაღალ სახელმწიფო თუ სამხედრო თანამდებობაზე დაწინაურების წესიც და აქაც ფართოდ გზა გაუხსნა მოღვაწეთა პირად ღირსებებს, მათს გონებრივსა და ზნეობრივ თვისებებს, მათს პირადს დამსახურებას.

დავით აღმაშენებელი იყო ერთ-ერთი უგანათლებულესი მონარქი მთელს საშუალო-საუკუნეობრივს მსოფლიოში. თავის დიდს სახელმწიფოებრივსა და სამხედრო მოღვაწეობას იგი ათავსებდა განუწყვეტლივს გონებრივს შრომასთან. მემატიანეები მოგვითხრობენ, რომ ნადირობისა და ლაშქრობის დროსაც კი იგი თან ატარებდა თავის მდიდარ ბიბლიოთეკას, ბევრს კითხულობდა, გულმოდგინედ ეწაფებოდა თავისი დროის მთელს სულიერ სიმდიდრეს და თავის სამეფოში ფართო გასაქანს აძლევდა შემოქმედებითი აზრის განვითარებას—ფილოსოფიის, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების განვითარებას. მისი შთაგონებით და ხელმძღვანელობით აგებული გელათის მონასტერი, თავისი იშვიათი არქიტექტურით და მხატვრობით, ამ მონასტერთან დაარსებული აკადემიაც საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ სიმაღლეებს მიაღწია იმდროინდელმა საქართველომ სულიერი შემოქმედების ყოველ დარგში. დავითის გონებრივი ჰორიზონტის დიდ სიფართოვეს მოწმობს ის გარემოება, რომ იგი არამც თუ არ ზღუდავდა თავის სამეფოში მაჰმადიანურ რელიგიას და კულტურას, არამედ თვითონ ესწრებოდა მუსულმანურ ღმერთმსახურებას, ისევე მფარველობდა მათს სუფიებს და პოეტებს, როგორც ქართული კულტურის მოღვაწეებს. თავისი დროის დიდი ჰუმანისტი, იგი გულმხურვალედ ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობისათვის. „მკდოვანთა და გლახაკთა მეფე" დაუღალავად აშენებდა გზებსა და ხიდებს, საავადმყოფოებსა და ქსენონებს, ღატაკთა და დავრდომილთა თავშესაფრებს. ამიტომაც შეარქვა ხალხმა დავით მეფეს — აღმაშენებელი. ქართველი და უცხოელი ისტორიკოსები თანაბარის აღტაცებით მოგვითხრობენ მისი უკვდავი საქმეების შესახებ. ქართველი ხალხის ხსოვნაში, ქართულს მწერლობასა და ხალხურ შემოქმედებაში დავით აღმაშენებელი ცოცხლობს, როგორც სამშობლოსათვის თავდადებული ერთგულების, გმირობისა და ვაჟკაცობის, მძლავრი გონებისა და სპეტაკი ზნეობრივობის ცოცხალი განსახიერება. ჩვენი დროის უდიდესი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში" ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ცხოვრებისა და ღვაწლის დახასიათებას შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავჰყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებელის და აღმაშენებლის, მისი პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს".

XII საუკუნის სახოტბო პოეზიიდან — ჩვენს დრომდე ქართულ კლასიკურსა თუ თანამედროვე მწერლობის ლიტერატურული შემოქმედების ყოველი ჟანრის არა ერთ მკაფიო ნაწარმოებში გამოუხატავს ქართველი ხალხის განუ-

ზომელი მადლიერება, სიყვარული და პატივისცემა თავისი ეროვნული ისტორიის ამ უდიდესი გმირისადმი. მაგრამ არც ერთ მათგანში ისე ვრცლად და მრავალმხრივად, ისეთი ფართო გააზრებით, ისე ცხოვლად და შთამბეჭდავად არ არის წარმოსახული ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ეს უმნიშვნელოვანესი ეპოქა და კერძოდ დავით აღმაშენებლის ბრძოლებისა და მოღვაწეობის დიდებული ეპოპეა, როგორც ეს მოცემულია კ. გამსახურდიას ტეტრალოგიაში.

„დავით აღმაშენებლის ძვირფასი სახე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მხიბლავდა — წერს კ. გამსახურდია ტეტრალოგიის პირველი წიგნის ბოლოსიტყვაობაში. — მახსოვს ის ბედნიერი დღეები ჩემი სიყრმისა, როცა სიკეთისა და სათნოების ჩემს პირველ შთამაგონებელს, ჩემს საყვარელ დედას, ფეხშიშველს დავყავდი გელათში. აღტაცებული შევცქეროდი დავითის დიდრონ ცისფერ თვალებს, ნიკაპთან ოდნავ გაჟღალებულ წვერს, ალმასებით მოოჭვილ გვირგვინს, კეისრულ წითელწაღებსა და ლაორს, მის ომახიან ფიგურას ფრესკაზე გამოსახულს. მერმე ის იყო „ქართლის ცხოვრებაში“ ამოვიკითხე ბალღმა, დავით აღმაშენებელი მოკვდაო. მწარედ ვიტირე და ეს იყო პირველი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, წიგნში დაწერილმა ამბავმა რომ ამატირა“.

ბავშვობის წლების ამ ღრმა განცდებს და წარუშლელ შთაბეჭდილებებს, როგორც სჩანს, ბიძგი მიუცია მწერლის სულიერ სამყაროში ხანგრძლივად გამოტარებული შემოქმედებითი შთაგონებისათვის, რომელსაც წარმოუშვია ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, —ეს შესანიშნავი მხატვრული ტილო, დიდი პატრიოტული ეპოპეა, გამსჭვალული კანონიერი ეროვნული სიამაყის გრძნობით, გმირობისა და ვაჟკაცობის სულისკვეთებით, ნათელი ჰუმანისტური იდეალებით.

არაჩვეულებრივად ვრცელია რომანის მოქმედების გეოგრაფიული სარბიელი. მასში მოთხრობილია ... ისტორიული მოვლენები, ... ბის ცხოვრება და მათი ურთიერთობათა ისტორია, ხან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მიმდინარეობს, ხან ბიზანტიაში, ხან პალესტინაში, ხან სელჯუკიანთა ვეებერთელა იმპერიაში, ხან ყივჩაღთა სამფლობელოში. შეუძლებელიც იყო მწერალს დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა, ბრძოლისა და მოღვაწეობის ეპოპეა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ისტორიის ფარგლებში გაეშუქებია. შეუძლებელი იყო იმდროინდელი საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრება იზოლირებულად გაეაზრებინა და წარმოესახა გარესამყაროსაგან გამოთიშულად, ეპოქის დიდი საერთაშორისო პროცესებისაგან მოწყვეტილად. თუ საქართველოს იმდროინდელს ცხოვრებაზე, მის ისტორიულ ბედზე უშუალო გავლენას ახდენდა მეზობელ სახელმწიფოებში, საქართველოსადმი მეგობრულად თუ მტრულად განწყობილ ქვეყნებში შექმნილი ვითარება, თავის მხრივ დავითის მიერ შექმნილი დიდი და ძლიერი ფეოდალური მონარქია, ნიკოპსიიდან—დარუბანდამდე განფენილი, გარკვეულ როლს ასრულებდა მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთის, მთელი წინააზიისა და მაშასადამე იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში. სპეციალურ ლიტერატურაში გამორკვეულია და უდავოდ დადასტურებული, რომ დავით აღმაშენებლის მეთაურობით ქართველი ხალხის მიერ წარმოებულმა გმირულმა ბრძოლებმა, მისმა ბრძნულმა, შორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ გადაარჩინა კავკასიის ხალხები გამაჰმადიანებისა და ფიზიკურად განადგურებისაგან, რომ იმდროინდელი დიდი საქართველოს სახელმწიფო ქრისტიანობის უმძლავრეს ფორპოსტსა და ბარიერს წარმოადგენდა მთელს წინააზიაში და, მაშასადამე, ობიექტურად უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სამყა-

როთა იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც საშუალო საუკუნეობრივი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მოვლენას შეადგენდა. ამიტომაც რომანში საქართველოს ცხოვრება წარმოსახულია უაღრესად გართულებულ იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობათა ასპექტში, იმ დიდ ისტორიულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, რომლებიც არყევდნენ და აზანზარებდნენ იმდროინდელს მსოფლიოს და გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდნენ საქართველოს მდგომარეობაზე.

მწერალი მოგვითხრობს ჯვაროსნული ომების ისტორიას, საშუალო საუკუნეობრივი მსოფლიოსათვის ამ მრავალმხრივად მნიშვნელოვანი მოძრაობის წარმოშობას, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, გვიხატავს საქართველოსთან უშუალოდ დაკავშირებულ სამი მთავარ სამყაროს: ბიზანტიის, სელჯუკთა იმპერიის, ყივჩაღთა ქვეყნის იმდროინდელ ვითარებას, ამ ქვეყნების ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, მათი პოლიტიკური ცხოვრების პერიპეტიებს. მკითხველის თვალწინ გაივლის სელჯუკიან თურქთა დიდი სულთანის მელიქ-შაჰის სიკვდილით გამოწვეული ამ სახელმწიფოს შინაგანი აშლილობის, მელიქ-შაჰის მემკვიდრეთა—მისი ტახტის პრეტენდენტთა ურთიერთ ბრძოლის, ბიზანტიის კეისარის წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებათა და მათი ჩაქრობის სურათები, ყივჩაღთა სახელმწიფოებრივი წყობილების, მათი მხედრობის, მათი ზნე-ჩვეულების დამახასიათებელი ეპიზოდები. ამ ისტორიულ მოვლენათა ასახვას ბუნებრივად შემოყავს რომანში სხვადასხვა ეროვნებისა, ხასიათისა და ბუნების ადამიანთა დიდი რაოდენობა. იშვიათად თუ შეგხვდებით ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიაც ერთმანეთისაგან ასე დიდად დაშორებული გეოგრაფიული სივრცეები იყოს ათვისებული, ერთმანეთისაგან ასე განსხვავებული, ესოდენ მრავალრიცხოვანი ადამიანთა მასა მოქმედებდეს.

თუ ისტორიული მასალის ასეთი სიუხვე და მრავალფეროვნება, სინამდვილის მოცვის ასეთი ფართო ჰორიზონტი და მასშტაბურობა, მოქმედების ესოდენ ვრცელი სარბიელი ერთის მხრივ ამ ნაწარმოების დიდ ღირსებას შეადგენს, მეორეს მხრივ ყოველივე ეს დიდ სიძნელეებს უქმნიდა მწერალს, დიდად ართულებდა მის შემოქმედებითს ჩანაფიქრს. დიდი შრომა და ენერგია უნდა დაეხარჯა მწერალს თხრობის ფარგლებში მოქცეული ესოდენ დიდი ისტორიული მასალის შესწავლისათვის, მით უფრო, რომ ამ რომანში მოთხრობილი და აღწერილი მრავალი ისტორიული მოვლენა სპეციალურ ლიტერატურაშიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და გაშუქებული. მწერალს, ცხადია, სჭირდებოდა დიდი ისტორიულ-კვლევითი მუშაობის ჩატარება, მრავალ ენაზე არსებული პირველწყაროების შესწავლა, შეჯერება. მაგრამ კიდევ უფრო მეტს სიძნელეს, შეიძლება ითქვას, დაუძლეველ სიძნელეს წარმოადგენდა მთელ ამ მასალის მხატვრულად ხორცშესხმული წარმოსახვა, ამ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებულ ურიცხვ პიროვნებათა ცოცხალ მხატვრულ სახეებად, სისხლ-ხორცით სავსე ადამიანურ ხასიათებად გამოძერწვა. მწერალს ნათლად ქონდა წარმოდგენილი თავისი შემოქმედებითი განზრახვის ეს სირთულე და სიძნელე. თავის „ავტორისეულ რეპლიკებში“ კ. გამსახურდია ამის შესახებ წერს: „არც ერთ მწერალს, თუ იგი საკმარისი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, არ ეიოლება თავისი ქვეყნის ფარგლების გადალახვა, ან მისი ნაციონალური ტემპერამენტის გარეშე მდგარი ხასიათების გამოკვეთა და ასახვა. არა მგონია, სტენდალს შესძლებოდა ისე ხელმარჯვედ აესახა ჯალალედინი ან თემურლენგი, როგორც ეს ნაპოლეონის ტემპერამენტის მოცემაში შესძლო მან. ვერც დანტე დაგვიხატავდა ისე ცხოვლად ჯეიპუნს ან ეფრატს, როგორც გვაჩვენა რონი და ტიბრი... ჩემთვის ურთულეს ამოცანას შეადგენდა როგორც ბიზანტიელებისა და

ჯვაროსნების ასახვა, ისე ისლამური სამყაროს ყოფისა და მით უმეტეს, ყიფჩაღთა ყოფის, თუნდაც ფრაგმენტალური ჩვენება, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელთა გამო ფრიად ძუნწი ცნობების, უფრო მეტი—ცნობათა ნაკუწების გამოჩხრეკვა შევძელი მრავალი წლის ძიების შემდეგ".

ამიტომაც ეს დიდძალი, ასე ვთქვათ „უცხოური", არაქართული მასალა, რომანში ზოგჯერ უფრო ისტორიული ქრონიკების სახით, მოვლენათა აღნუსხვის სახით არის წარმოდგენილი, ვიდრე მხატვრული თხრობისა და აღწერილობის სახით. ჯვაროსანთა ომების მიმდინარეობის, მელიქშაჰის მემკვიდრეთა ურთიერთბრძოლის, ბიზანტიის იმპერიაში ატეხილი ამბოხებების და სხვა ამგვარი ისტორიული მოვლენების თხრობისას მრავალი ისტორიული პიროვნება იჩენს თავს. ცხადია, შეუძლებელი იყო ყოველი მათგანის გამოკვეთა ტიპიურ ადამიანურ სახედ, ცოცხალ ადამიანურ ხასიათად. მათი დიდი უმრავლესობა მხოლოდ მოხსენებულია, აღნუსხულია რომანში და არა დახატული.

სამაგიეროდ მწერალი დიდ გამომსახველობითს ძალას და ნიჭიერებას იჩენს საკუთრივ ქართულ ისტორიული სინამდვილის გაცოცხლებისას, საქართველოს სამეფოში წარმოებული ბრძოლების, მშენებლობის, ხალხის ყოფა-ცხოვრების, ქართული ბუნების სურათების წარმოსახვისას, იმ ისტორიულ პიროვნებათა, თუ მწერლის ფანტაზიით შეთხზულ ტიპიურ ადამიანთა სახეების გამოკვეთისას, რომლებიც დავით აღმაშენებლის უშუალო გარემოცვას შეადგენდნენ, ან რაიმე მხრივ, მტრობისა თუ მეგობრობის სახით დაკავშირებულნი იყვნენ დავითის მეთაურობით წარმოებულს დიდ ბრძოლებთან და მშენებლობებთან. სწორედ ამ სფეროში იჩენს თავს მთელი თავისი ძალითა და მომხიბვლელობით მწერლის იშვიათი ნიჭიერება პეიზაჟებისა, ჟანრული სურათებისა, ბატალური სცენებისა, პირად-ყოფითი ურთიერთობათა ეპიზოდების პლასტიკურად ხელშესახები გამოხატვისა, ხან ფერწერული ფერადოვნებით, ხან სკულპტურული გამოკვეთილობით წარმოსახვისა, ცოცხალი, სისხლ-ხორცით სავსე ადამიანურ სახეთა გამოძერწვისა, ისეთი სახეებისა, რომელთა აზრებსა და გრძნობებში, სიტყვებსა და საქმეებში ეპოქის ესა თუ ის ტენდენცია, ამა თუ იმ სოციალური ფენის ინტერესები და მისწრაფებანი პოულობენ განსახიერებას.

მთელი ამ არაჩვეულებრივად რთული და მრავალწახნაგოვანი სიუჟეტური კომპოზიციის ცენტრში დგას დავით აღმაშენებლის მონუმენტური სახე, რომელიც თავის გარშემო იკრებს, ამოძრავებს, მიმართებას აძლევს რომანში ასახულ ურიცხვს ისტორიულ მოვლენას თუ ადამიანურ სახეებს. დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა, მოღვაწეობისა, ბრძოლების, მისი ხასიათის განვითარების, მისი პირადი ურთიერთობების ისტორია არის ის ფოკუსი, რომელშიაც თავს იყრის და ერთიანდება რომანის ყველა ფაბულური სიტუაცია და სიუჟეტური მოტივი, რომლისადმი მიმართებაშიც განიზომება და ფასდება ყველა ისტორიული მოვლენა თუ ყველა ისტორიული მოღვაწის როლი და მნიშვნელობა.

ტეტრალოგია იწყება ჭაბუკი უფლისწულის — 15 წლის დავითის სალაშქროდ პირველი გამგზავრებით, თურქ დამპყრობლებთან მისი პირველი ძლევამოსილი შებრძოლებით, მისი პირველი ომით და მთავრდება უკვე მრავალ ომებში გამოწრთობილი და საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მეფის, მის მიერ გაერთიანებული და გაძლიერებული, ნიკოპსიიდან დარუბანდამდე გადაშლილი დიდი საქართველოს ღირსეული მესვეურის დავით აღმაშენებლის „უკანასკნელი ომით", როცა ყოვლის შემმუსვრელმა სიკვდილმა დაამარცხა ომებში უძლეველი დავითი. ეს იყო მის მიერ წაგებული ერთადერთი ომი, მის

მიერ განცდილი ერთადერთი დამარცხება.

რომანის სარბიელზე გმირის პირველივე გამოჩენისას მწერალი რამოდენიმე მკაფიო შტრიხით, მაგრამ შთამბეჭდავად და ცხოვლად გვიხატავს მისი დიდბუნებოვანი ხასიათის განმსაზღვრელ თვისებებს. ჭაბუკი უფლისწული პირველად მიემგზავრება სალაშქროდ, რათა მიეშველოს თავის მამას, გიორგი მეორეს, რომელიც სამშობლოს მოღალატე აღსართანს,—თურქი აგრესორების მიერ გადაბირებულ კახეთის მეფეს ეომება.

„ბუკის ხმამ უთენია აჰყარა ბანაკი. ატყდა ცხენების ჭიხვინი, სპილენძის დაფდაფების ცემა, გახელდნენ მეძებრები და მადევრები, სანადიროდ მიდიანო, ასე ეგონათ. მათი ერთობლივი ყმუილი აირია ბანაკის უთავჟამო ალიაქოთში. გიორგი ჭყონდიდელი შეფარვით უთვალთვალებდა ყრმა უფლისწულს ხომ არ ღელავსო, სალაშქროდ მიმავალი, მაგრამ არც მის სახეზე, არც მის საქციელში მღელვარების ნატამალიც არ სჩანდა... უფლისწულმა არ ისურვა ბაგრატ კურაპალატისეული მოოქროვილი თორნი, მისივე პოლიტიკნი, საბეჭურნი, სამკლავენი და საბარკულნი ჩაიცვა ძერასფერნი, სადა. მეაბჯრეთუხუცესმა გამოიტანა მახვილი, რომელიც სელჯუკიანების წინააღმდეგ მრავალგზის უხმარიათ პაპას დავითისას —ბაგრატ კურაპალატს და მამას — გიორგი მეორეს. ჭყონდიდელმა დალოცა უფლისწული და წელზე შეაბა იგი“.

აქ უკვე მოსჩანს „უშიშო და უძრავი გულითა“ დავით აღმაშენებელი, რომელიც თავის სახელოვან მამა-პაპათა მემკვიდრეობაში მათს გმირულ საბრძოლო ტრადიციებს აფასებდა და არა ბიზანტიის კეისრების მიერ ნაწყალობებ ტიტულებს და ამ ტიტულების მომასწავებელ გარეგნულად ბრწყინვალე რეგალიებს.

ამ თავის პირველ ლაშქრობაში დავითი პირისპირ შეეჯახა საქართველოში მოთარეშე თურქების ბრბოს კახეთის განდგომილი მეფის აღსართანის მიერ მოსყიდული „მუჰამედ გრძელის“—მეთაურობით. და ჭაბუკი უფლისწული ეს პირველი „საბრძოლო ნათლობაც“ ძუნწი, ლაკონური მხატვრული საშუალებებით, მაგრამ დიდი სიცხადით გვიხასიათებს მის რაინდულ ბუნებას, მხედართმთავრულ ხელოვნებას, გმირულ შემართებას.

„კარავში წამოწოლილ უფლისწულს ფსალმუნი ეჭირა ხელში, ხოლო მახარაის ჟინჟღილი და მგლის ტყავზე დაჩოქილი უსმენდა. სწორედ ამ ლექსს კითხულობდა დავითი: ...ღმერთო, უსჯულონი აღდგეს ჩემზედა და კრებულთა ძლიერთამან იძიეს სული ჩემი“.. და ამ დროს კარვის გარედან მოისმა ცხენთა თქარუნი, აბჯრის ჟღრიალი, გუშაგთა ყივილი. უფლისწული ზეწამოიჭრა, მუზარადი დაიხურა, ცალ ხელში მახვილი აიღო. ცალშიაც ფსალმუნი შერჩა. სამი ხმალშემართული მხედარი უგრძნობლად შემოვიდა კარავში, გრძელწვერა, შავხანჯლიანი ახმახი მოუძღოდა მათ წინ. მახარაიმ იცნო მუხამედ გრძელი, ანთებული მაშხალა ესროლა სახეში. ჩალმიანმა მოასწრო განზე გადახრა თავისა, ხმალი გადაუქნია უფლისწულს, მაგრამ კარვის ძელზე მოცარულმა, დავითის მუზარადზე დაჰკვესა ფოლადმა. უფლისწულმა გამართა მკლავი და კარავში გაგორდა თეთრჩალმიანი თავი. უკუიქცნენ დანარჩენი თურქნი, რადგან მუჰამედ ატტავილის წაქცევის შემდეგ, ხმალმოსაქნევი ადგილი აღარ იყო კარავში. გარეთ გასულთ ნიანია შეეჩეხა, ერთი მათგანი ხმლის წვერზე წამოავო ბაკურიანმა, მეორესაც ვიღაცამ გაუყარა შუბი, უფლისწულმა არ ისურვა ნიანიას მიერ მირთმეულ ცხენზე შეჯდომა, ქვეითად გვიჯობსო ცხენოსნებთან ბრძოლა, რათა მტერი და მოყვარე იოლად გაარჩიოსო სპათა“.

ეს იყო ჭაბუკი უფლისწულის პირველი ნაბიჯი მის მომავალ დიად ბრძოლათა გზაზე, რომლის მანძილზეც მან მრავალი ძლევამოსილად დამთავრებული ომით უბადლო გმირისა და გენია-

ლური მხედართმთავრის სახელი მოიხვეჭა, ძლიერება და დიდება მოუპოვა, თავის სამეფოს. მოულოდნელად და ქურდულად თავდამსხმელ მუჰამედ ატტავილთან უშიშრად შებრძოლებულ დავითს ცალ ხელში მახვილი ეპყრა, ცალში კი ფსალმუნი. ეს სურათი დავით აღმაშენებლის ფიზიკური და გონებრივი ძლიერების ერთიანობას გამოხატავს, მკლავისა და გონების ძალის ერთიანობას, რომლითაც იგი თავის დროის მსოფლიოს სხვა მონარქებისაგან განირჩეოდა. დავითის დიდი საბრძოლო ცხოვრების ამ დაწყებითს ეპიზოდში მის გვერდით ვხედავთ გიორგი ჭყონდიდელს, მახარაის, ნიანია ბაკურიანს, რომლებიც შემდეგ რომანის განვითარების მთელს მანძილზე თვალსაჩინო ადგილს იჭერენ ნაწარმოების მთავარ გმირთა შორის და აქტიურად მონაწილეობენ რომანში წარმოსახულ მოვლენათა განვითარებაში. თითოეული მათგანი რომანში წარმოდგენილია დასრულებულ ადამიანურ სახედ, თავისი რთული ბიოგრაფიით, მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალური ხასიათით.

გიორგი ჭყონდიდელი დავითის აღმზრდელია, საქართველოს ჯარების სპასალარი, სამეფოს ვეზირთ უპირველესი და მწიგნობართუხუცესი. სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურში, დაუღალავ მოღვაწეობაში და ბრძოლებში გაჭაღარავებული ეს მოხუცი უანგარო პატრიოტიზმის, სიბრძნის, სიკეთის ცოცხალ განსახიერებად გვევლინება. იგი განუზომელი ერთგულებით და სიყვარულით მხარში უდგას თავის საამაყო აღზრდილს და დაუღალავი ენერგიით მონაწილეობს მისი ყველა დიდი განზრახვის განხორციელებაში. სულ სხვაგვარი მხატვრული სახეა მახარაი. ის ბაგრატ კურაპალატის უკანონო შვილია, რომელიც იმისათვის, რომ გიორგი მეორეს ტახტის მოცილე არა ყოლოდა, ბავშვობაშივე კონსტანტინეპოლს გაუგზავნიათ და ბიზანტიის კეისართა კარზე იზრდებოდა. მრავალ ომში მიუღია მას მონაწილეობა, სახელი და პატივიც მოუხვეჭია, მაგრამ თავისი დაუდგრომელი ხასიათისა და მსუბუქი ყოფაქცევის გამო ბიზანტიის იმპერატორის წყრომა დაუმსახურებია და ბოლოს ზნეობრივი აღვირახსნილობისათვის დასაჭურისებული და დაავდმყოფებული დაბრუნებულა საქართველოში. გიორგი მეორის სასახლეში მას, როგორც მეფის ნახევარძმას მაინც გარკვეული უფლება და გავლენა ქონდა და თავისი გონებამახვილობით, პირდაპირობით, მახვილსიტყვაობით ტახტის ერთგულ მსახურთა სიყვარულს, ხოლო მოღალატე და განდგომილ ფეოდალთა სიძულვილს იმსახურებდა. ეს დასახიჩრებული გარეგნობისა და ახირებული ხასიათის, მაგრამ სამეფოს ინტერესებისადმი უზომოდ ერთგული მოხუცი მოწიწებით და აღტაცებით შეჰყურებს საქართველოს ახალგზარდა დიდებულ გმირს, ხოლო დავითიც ნდობითა და სიყვარულით ეპყრობა მას. ნიანია ბაკურიანი კი — უფლისწულის უახლოესი თანამებრძოლთაგანი და უსაყვარლესი მეგობართაგანია. თავისი ნათელი გონებით, რაინდული ვაჟკაცობით, მხიარული ხასიათით, სიცოცხლისმოყვარეობით, სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულებით ნიანია ბაკურიანი შერგილ ლიპარტიანთან და ჯონდი ერისთავთან ერთად რომანში განასახიერებს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა იმ ახალგაზრდა თაობას, რომელსაც დავით აღმაშენებელი ემყარებოდა თავის დიდს სახელმწიფოებრივსა და საბრძოლო საქმეებში. რომანის პირველსავე საექსპოზიციო თავებში გამოყვანილი ეს პერსონაჟები გვიჩვენებენ მწერლის იშვიათ უნარსა და ნიჭიერებას თავისებური ხასიათების ცოცხალ ადამიანურ სახეთა ხატვის სფეროში. რომანის მთავარ მოქმედ პირთაგან არც ერთი არ წააგავს და არ იმეორებს ერთმანეთს. მაშინაც კი, როცა ორი ან რამოდენიმე პერსონაჟი ნაწარმოებისა ანალოგიურ სოციალურ ტიპებს წარმოადგენდნენ და ადექვატურ იდეურ-ესთეტურ ფუნქციას განაჭორ-

�elebenen romanshi, mwerali axerxebs yovel matgans gareegnuli tu sulieri portretis taviseburi tvisebani gamounaxos. da am gzit damouqidebeli cxovreba mianiWos mat. aRsaniSnavia, rom cocxal, mkafiod individualizebul adamianur saxeta aseT mxatvrobas mwerali aRwevs ara personaJta gareegnobis saganebo aRwerilobit, an mata sulieri samyaros saganebo daxasiaTebiT, an mata taviseburi metyvelebis saSualebiT. „davit aRmaSenebelis“ mTavari gmirebi tavis adamianur bunebas, gareegan gamomeTyvelebas tu sulieri samyaros tavisebureba upirvelesad moqmedebis gzit gamoavlenen siuJetis gangitarebaSi tavianTi monawilobiT. yoveli matgani organulad aris carTuli romanSi warmosaxul mdafr saxogadoebrivsa tu pirad-sayofacxovrebo konflikTebSi da imis mixedviT, tu rogor icvian isini, rogor urTierTobas amyarebenen romanis sxva moqmed pirebTan, cven warmodgena gveqmneba matata adamianuri bunebis yovel tvisebaze. adamianur saxeta xatvis aseTi xerxi k. gamsaxurdias mxatvruli stilis erT-erTi damaxasiaTebeli tavisebureba, misi poetikis erT-erTi udavo da uecxveli ciris.

vefxis cixisakenen—kaxTa meefis da misi selJuki mokavSireebis TavSesafari simagrisakenen mimavali uflisWulis tavisi laSqari, giorgi Jyondidelis rCevit, TriaaleTis samTavros gadavlit miJyavs. es is siuJeturi svlaa, romlis meoxebiTac mwerals erTbaSad SevyavarT im did brZolaTa atmosferoSi, romlebsac davit aRmaSenebeli saqarTveloS gaertianebisaTvis eWeoda da romelic davitis meefobis pirvel wlebSi misi saxelmwifoebrivi moRvawebis mTavar sinaarsS SeadgenDa. TriaaleTis eristavebi baRuaS-orbeliaNebi didi xania xan aSkarad da xan faruladac mtrobenen saqarTvelos meefebs. amitom axalgazrdaa uflisWulis laSqarisgadavlas TriaaleTis saeristavoze gaRvculi gamafrTxilebeli da damaSinebeli mniSvneloba eqnebodaa veragi da orpiri lipaRiT orbeliaNisaTvis. amis gardaTriaaleTisakenen, klDeqarisa da cixisakenen davitis guli miuwevs imitomac, rom mas iqe egulebaa TavisiadrerulI siJabuqis wlebis trofialebis saganI — lipaRitis mSvenieri asuli dedisimedi.

davitisa da dedisimedis saTrfialo urTierTobis istoria tetraloGiis erT-erTi ZirTadi siuJeturi motivia, romelic davidan bolomde gasdevs romanis mTels gaxvitarebas da organulad aris haqsovilI naWarmoebSi warmosaxulI epoqaluri mniSvneloba saxelmwifoebrivi, reliGiuri da socialuri konflikTebis SemcvelS rTul siuJeturi kompozicias.

am siuJeturi motivis SeTxzvasa da damuSavebaSi gamovlindaa k. gamsaxurdias TaviseburiI koncefcia, misi TvalsazrisiI realuri faqtebisa da mwerlis fantazias urTierTobis SesaxebI istoriul romanSi, romelmac TavisI droze cxoveli diskusia gamoiwvia qarTul literaturul kritikaSi. qarTul matianebebSi da saerTod istoriul wyaroebSi araferia natqvami imis Sesaxebi, TiTqos davitis yvarebodes lipaRiT orbeliaNis asuli dedisimedi, masze daqorwinebaa ganeZrasos da am niadagze gasciebodes igi TavisI pirvel meuRlesi, — somxis qalS rusudanS. arc is aris istoriulad dadasturebuli, rom davitis yivcaRTa uflisis aTrafa SaraRaniSiZis asulis gurandukis Sertvamde cocxlad yolodes rusudani da gaclodes mas. magram aseTi cnobaa moiTxovebaa erTi somexi is-

ტორიკოსის მათე ურაჰელის თხზულებაში. ამასთანავე დავით აღმაშენებელი თავის „გალობანი სინანულისანში“ რაღაც სიჭაბუკის ცოდვას ინანიებს, რაღაც შეცოდებას, რომელიც მას ქორწინებისა და ცოლ-ქმრული ურთიერთობის სფეროში ჩაუდენია. მეფე იმდენად ნანობდა თავისი ამ შეცოდების გამო, რომ მას ერთ-ერთი მონასტრისათვის ბოძებულ ანდერძში ბერებისათვის დაუვალებია ელოცათ „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცდომილებისანი“. აი, ამ ორი ისტორიული ცნობის მარცვალზე მწერალს აღმოუცენებია დავითისა და დედისიმედის სამიჯნურო ურთიერთობის რთული, ღრმა დრამატიზმით აღსავსე ისტორია. რომანის მიხედვით დედისიმედზე მგზნებარედ შეყვარებული დავითისათვის ადრეული სიჭაბუკის ასაკში, რაღაც სახელმწიფოებრივი მოსაზრებით, ცოლად შეურთავთ მასზე უხნესი და ულამაზო რუსუდანი. ამ ნაძალადევ ქორწინებას ვერ ჩაუხშვია ჭაბუკის სულიერ სამყაროში მისი წრფელი და სპეტაკი ტრფიალება ერისთავის მშვენიერი ასულისადმი. და აი, კლდეკარის ციხეში სტუმრობისას დედისიმედთან შეხვედრამ ახალის ძალით გააღვივა მისი ეს ჩაუმქრალი გრძნობა. ლიპარიტ ერისთავის სასახლეში დავითისა და მისი ამალის სტუმრობის მთელი აღწერილობა გვიჩვენებს, რომ ბაღუაშ-ორბელიანთა საერისთავო თავისი ძალით და სიმდიდრით მართლაც ეტოქებოდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. ლიპარიტის ციხე-სასახლის მორთულობა-მოწყობილობა არაფრით ჩამოუვარდებოდა და ზოგ რამეში აღემატებოდა კიდეც საქართველოს მეფეთა ციხეებსა და სასახლეებს. ნიანია ბაკურიანი, რომელიც ბიზანტიის კეისართა სასახლეში გამართულ დიდებული ნადიმების დამსწრე და მონაწილე იყო, განაცვიფრა ლიპარიტ ერისთავის სასტუმრო დარბაზის მორთულობამ. მას თვით ქროზოტრიკლინისა და ბუკოლეონის სასახლეებშიც არ ენახა ისეთი ძვირფასი ჭურჭელი. რომლითაც გაწყობილი იყო ლიპარიტ ერისთავის მიერ დავითისა და მისი ამალისათვის გამართული სუფრა. კლდეკარის ციხეში უფლისწულისა და მისი ამალის სტუმრობის მთელი აღწერილობა თავისთავად მომხიბვლელს, კოლორიტულსა და ფერადოვან სურათს კი არ წარმოადგენდა, არამედ ნივთობრივ გამოხატულებას ძალთა იმ შეთანაბრებისა, რომელიც დავითის გამეფების წინა წლებში არსებობდა საქართველოს მეფეებსა და ზოგიერთ დიდგვაროვან ფეოდალთა შორის. ეს გარემოება — პეიზაჟებისა, ციხე-კოშკებისა და სასახლეთა მორთულობის აღწერილობითა თუ ყოფა-ცხოვრებითი ქანრული სურათების დატვირთულობა გარკვეული აზრით, გარკვეული ისტორიული შინაარსით — დამახასიათებელია მხატვრული აღმწერელობის იმ მაღალი ხელოვნებისათვის, რომელიც ასე მდიდრად და უხვად არის წარმოდგენილი „დავით აღმაშენებელში“.

დედისიმედთან შემდეგმა შეხვედრებმა კიდევ უფრო გააღრმავეს დავითის ტრფიალება ერისთავის ასულისადმი. უკვე სამეფო ტახტზე ასულმა დავითმა მტკიცედ გადაწყვიტა გაყროდა დედოფალ რუსუდანს და ცოლად შეერთო ერისთავის ასული. თავზარდაცემულმა დედოფალმა მონასტერში წასვლა და მონაზვნად აღკვეცა გადასწყვიტა. დედოფალის მონაზნად აღკვეცის სცენა, მისი საბოლოოდ წასვლა სასახლიდან, საერო ცხოვრებიდან, მისი დაშორება თავის ერთად-ერთ პირმშოსთან — პატარა დემეტრესთან რომანში აღწერილია გულის სიღრმემდე შემძვრელი ძალით. ეს სცენა ისე, როგორც ტეტრალოგიის პირველსაევე წიგნში აღწერილი ეპიზოდი დაბრმავებული შამან ერისთავის სტუმრად წვევისა თავის სიყრმის მეგობართან — მეფე გიორგისთან — ღრმა ემოციური დაძაბულობით არის დაწერილი

და საუცხოო ნიმუშია გმირის სულიერი ცხოვრების სიღრმეში წვდომისა, ადამიანის უმწვავეს განცდათა წრფელად, უშუალოდ, ამაღელვებლად გამოხატვისა.

რუსუდანის გამონაზვნებისა და მისი იერუსალიმს გამგზავრების შემდეგ დავითისა და დედისიმედის სატრფიალო ურთიერთობას ახალი დიდი დაბრკოლება გადაეღობა წინ. ლიპარიტ ორბელიანმა და მისმა ძემ რატიმ არ შეწყვიტეს მეფისადმი მტრობა, ფარული კავშირი უცხოელ დამპყრობელებთან, სამშობლოსადმი მოღალატეობა. ისინი განებივრებული იყვნენ გიორგი მეორის მიერ, რომელიც მოღალატე ფეოდალების მოთვინიერებას ალერსისა და წყალობის საშუალებით ცდილობდა და ყოველი მოღალატური საქციელის საპასუხოდ უხვად ასაჩუქრებდა აღვირახსნილ თავადებს. ასეთი როდი იყო დავით აღმაშენებელი. იგი დაუნდობელი და ულმობელი იყო სამშობლოს მტრებისა და მოღალატეებისადმი. ვერც დედისიმედისადმი მგზნებარე სიყვარულმა, ვერც უზომოდ საყვარელი ქალის ცრემლებმა და ხვეწნა-მუდარამ ვერ მოდრიკა მეფის გული. დავითმა ორჯერ შეიპყრო, დილეგში ჩაამწყვდია გაჯიუტებული ლიპარიტი, ხოლო რაკი ამ სასჯელმაც არ იკმარა, სამშობლოდან გააძევა იგი და ბაღუაშ ორბელიანთა ციხე-სასახლენი და მთელი მამული და ქონება სახელმწიფოს გადასცა. ყოველივე ეს ართულებდა დავითის პირად ცხოვრებას, მის ურთიერთობას დედისიმედთან, ერისთავის ასულზე მისი დაქორწინების შესაძლებლობას. მაგრამ ყველაზე დიდი და გადაულახავი დაბრკოლება ამ გზაზე წარმოშვა დავითის გადაწყვეტილებამ, მუდმივი მძლავრი სამეფო ლაშქრის შექმნისა და ამ მიზნით ყივჩაღთა მრავალრიცხოვანი მხედრობის საქართველოში გადმოყვანის შესახებ. ყივჩაღთა უფროსმა ათრაქა შარაღანიძემ თანხმობა განაცხადა მიეცა საქართველოსათვის 40.000 მხედარი თავიანთი ოჯახებითურთ მხოლოდ იმ პირობით, თუ დავითი ცოლად შეირთავდა შარაღანისძის ასულს გურანდუხტს.

ამ შემთხვევაშიაც მწერალმა თავისუფლება მისცა თავის პოეტურ ფანტაზიას და ერთგვარად დაარღვია ისტორიული ფაქტოლოგია. ისტორიული წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ყივჩაღთა მხედრობის მოწვევის დროს დავითი უკვე დაქორწინებული იყო გურანდუხტზე. მაგრამ ამგვარ „დარღვევას“ არამც თუ არ დაურღვევია ისტორიული სიმართლე, არამც თუ არაფრით შეუბღალავს მეფის ხასიათის ძალა და მისი პიროვნების სიდიადე, არამედ მეტი სიღრმე და ცხოველმყოფელობაც შეძინა ეპოქის მკაცრი ვითარების სურათს, უფრო ცხადად გვიჩვენა თუ როგორ უყოყმანოდ აყენებდა ხოლმე დავით აღმაშენებელი სამშობლოს ინტერესებს ყველაფერზე მაღლა, თავისი და ყველას პირად მისწრაფებებზე და სურვილებზე მაღლა. ხოლო მწერლის მიერ შეთხზულმა თუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, მხატვრულად გარდაქმნილმა და სახეცვლილმა ამ სიტუაციამ დიდად გააღრმავა ნაწარმოების დრამატიული ჟღერა და გააძლიერა მისი ემოციური ზემოქმედების ძალა.

ყივჩაღთა ლაშქარის მოწვევა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა საქართველოსათვის, რომელიც მძლავრ მაჰმადიანურ კოალიციის უდიდეს სამხედრო ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების წინაშე იდგა. და განა შეეძლო ასეთ ვითარებაში დავით აღმაშენებელს საკუთარ გრძნობებსა და სურვილებს აყოლოდა და საფრთხეში ჩაეგდო თავისი სათაყვანებელი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების საქმე? მეფემ თანხმობით უპასუხა ყივჩაღთა მეთაურის წინადადებას, მაგრამ ამით მან სამუდამოდ დაკარგა დედისიმედი, მოსპო თავისი სიყვარული, თავისი პირადი ბედნიერება. გულმოკლული და იმედგაცრუებული დედისიმედი სასახლიდან გაიპარა

და სამუდამოდ გადაიკარგა. უშედეგო აღმოჩნდა დავითის მიერ მისი ძებნა მთელს სამეფოში და უცხოეთის ქვეყნებშიც. მაგრამ დავითსაც და დედისიმედსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე გულის სიღრმეში უტარებიათ ურთიერთ სიყვარულის სპეტაკი გრძნობა. და როცა ათეული წლების განვლის შემდეგ, უკვე სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე მეფეს ორიოდე წუთით ეახლა დედათა მონასტერს საიდუმლოდ შეფარებული, მონაზონობაში დაბერებული დედისიმედი, რათა ერთხელ და უკანასკნელად შეეხედა თავისი სათაყვანებელი დავითისათვის, მომაკვდავმა მეფემ უთხრა მას: „მაპატიე, დაო, შენი და ჩემი სიცოცხლე საქართველოს რომ შევწირე ტარიგად“. უკანასკნელი ამოსუნთქვის წუთებშიც დავითი თურმე დედისიმედს და გვანცას ახსენებდა. გვანცამაც — შამან ერისთავის მშვენიერმა ასულმა დავითისადმი უიმედო ტრფიალებას შესწირა სიცოცხლე და წარუშლელი კვალი დასტოვა მეფის სულიერ ცხოვრებაში. დედისიმედის სახე მწერლის დიდი შემოქმედებითი მონაპოვარია და ტეტრალოგიის ნამდვილი მშვენება და ბრწყინვალე სამკაული. იგი გარეგნული მშვენიერებისა და სულიერი რაინდობის, სიკეთისა, კეთილშობილებისა და კდემამოსილების ცოცხალი განსახიერებაა, მაგრამ არა განყენებული, ზეციური არსება, არამედ ადამიანური სითბოთი, მიწიერი სუნთქვით, სიცოცხლისმოყვარეობის გრძნობით, მძაფრი განცდებით აღბეჭდილი ადამიანური სახე, თუ მოვინდომებთ ამ მხატვრულ სახეს ანალოგია მოვუნახოთ თანამედროვე ლიტერატურაში, ჩვენს თვალწინ პირველ ყოვლისა ისევ კ. გამსახურდიას მიერ შექმნილი შორენას სახე წარმოდგება—„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენას“ გმირი ქალისა.

ტეტრალოგიის მთავარ პერსონაჟთა შორის ცოცხალი, ხორცშესხმული მხატვრული განსახიერებით გამოირჩევა მარიამ დედოფლის მეუღლეგვლელი სახე. ბაგრატ კურაპალატის ასული, გიორგი მეორის ღვიძლი და, იგი ბიზანტიის ორი კეისრის ცოლი იყო, ორივესთან განქორწინებული მთელს იმპერიაში გასთქმული თავისი იშვიათი სილამაზით, ჭკუითა და სათნოებით. მას დიდი გავლენა ქონდა ბიზანტიის სახელმწიფოს ცხოვრებაში, კეისრებისა და ქვეყნის მმართველი წრეების საქმიანობაში. საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა დედოფალი მარიამი საქართველოშიც. დავითს წრფელად უყვარდა თავისი მშვენიერი და კეთილი მამიდა, რომელიც თანაუგრძნობდა მეფისა და დედისიმედის სამიჯნურო ურთიერთობას და ცდილობდა, რომ ბედნიერად დამთავრებულიყო ჭაბუკი მეფის ეს მისწრაფება. მარიამის ცხოვრების ისტორია რომანში ცოცხალი გამოხატულებაა იმ ახლო ურთიერთკავშირისა, რომელიც არსებობდა საქართველოს მეფის ოჯახსა და ბიზანტიის კეისართა შორის და, მაშასადამე, ამ ორი ერთმორწმუნე სახელმწიფოს შორის. ხანდაზმულობის ასაკში მარიამმა კიდევ ერთხელ განიცადა მწვავე ტრფიალების გრძნობა. მას შეუყვარდა დავითის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი ნიანია ბაკურიანი, რომელიც ასეთივე მგზნებარე გრძნობით უპასუხებდა დედოფალს. მაგრამ ამ სატრფიალო ურთიერთობასაც არ ეწერა გამარჯვება. დავითის მსგავსად, მისმა საყვარელმა მეგობარმა ნიანიამაც საქართველოს კეთილდღეობას, თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობას, დიდი დავითის თანამებრძოლობას ანაცვალა საკუთარი პირადი ბედნიერება. თავის უკანასკნელ სამიჯნურო გატაცებაში დამარცხებულმა მარიამმა მონაზონობაში, მარტოობაში და განუკურნებელ მწუხარებაში დალია სული. ასე ულმობელად ახშობდა საშუალო-საუკუნოებრივი სუსხი ადამიანთა კეთილშობილურ ვნებებსა და გრძნობებს, რომლებიც უკვე იღვიძებ-

დნენ და მძლავრადაც იჩენდნენ თავს მახლობელი რენესანსის პირველი სხივების ცხოველმყოფელი ზეგავლენით. ეპოქის ამ დიდი ისტორიული კონფლიქტის დრამატიზმს განასახიერებს მარიამ დედოფლის ცხოვრების ისტორიაც, იმ ულამაზესი ქართველი ქალისა, რომლის ღვთიური გარეგნობაც საფუძვლად დაუდო გელათის მონასტრის მხატვარმა ღვთისმშობლის ხატს და რომლის პორტრეტიც, შესრულებული უცნობი მაღალნიჭიერი ოსტატის მიერ დღესაც ინახება ვატიკანის მუზეუმში.

მრავალი ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის, ცოცხალი და ხორცშესხმულად გამოძერწილი მხატვრული სახე ცხოვრობს და მოქმედებს „დავით აღმაშენებელში". ყოველ მათგანს თავისი საკუთარი რთული ცხოვრების ისტორია აქვს და ამიტომაც ყოველი მათგანი თავისებური შენაკადით ამდიდრებს ტეტრალოგიის მრავალწახნაგოვან კომპოზიციას. რომანის მოქმედ პირთა შორის ცოტა როდია მშრომელი ხალხის წარმომადგენლები. გუთნისდედა გაბრიელ ხორგაი და მისი შვილები და შვილიშვილები, მექათმე თეონა, რუსი მჭედელი ნიკალა, ნადიაკვნარი ხახუტაი, მოლაშქრენი, სასახლეთა მრავალრიცხოვანი სხვადასხვა რანგის მსახურნი და სხვ. უშუალოდ წარმოადგენენ ხალხს და მისი შრომისმოყვარეობას, კეთილშობილებას. სიმართლეს, სამშობლოსადმი ერთგულებას განასახიერებენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერსონაჟებს რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია არა აქვთ დაკისრებული რომანის სიუჟეტურ განვითარებაში. „დავით აღმაშენებელში" უმთავრესად და უპირატესად მეფისა და მასთან დაახლოებულ ადამიანთა, საერო, საეკლესიო და სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენელთა ცხოვრებაა მოთხრობილი და გამოხატული. ამ თვალსაზრისით საფუძველს მოკლებული როდი იყო ის პრეტენზიები, რომლებიც თავის დროზე გამოითქვა ამ ტეტრალოგიის მიმართ ქართულ (და არა მარტო ქართულ) ლიტერატურულ კრიტიკაში.

მთავარი გმირების პირადულ-ყოფითი ურთიერთობათა ამსახველი ფაბულური მოტივები ორგანულად არის ჩაქსოვილი ტეტრალოგიის სიუჟეტური ხაზის განვითარებაში, რომელსაც უპირველეს ყოვლისა დიდი ისტორიული მოვლენების წარმომსახველი პასაჟები ამოძრავებენ. რომანში ასახულია იმდროინდელი საქართველოს ისტორიული ცხოვრების ისეთი დიდმნიშვნელოვანი ეპიზოდები, როგორიც იყო დავითის მეფედ კურთხევა, რუისურბნისის საეკლესიო კრება, გელათის ტაძრის აგება, მუდმივი სამეფო ლაშქრის შექმნა და მისი გამოწრთობა, დავითის მიერ ძლევამოსილად გადახდილი ომები: ერწუსისა და დიდგორის ბრძოლები, სომხეთის ქალაქ ანისიდან თურქთა განდევნა, ლიპარიტ და რატი ერისთავთა წინააღმდეგობის დათრგუნვა, უცხოელ დამპყრობელთაგან თბილისის განთავისუფლება და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ტეტრალოგიის მეოთხე წიგნში აღწერილი დიდგორის ომი, — დავითის მიერ გადახდილი უდიდესი ომი, როცა ქართველმა ხალხმა გმირულად მოიგერია და უკუაქცია მაჰმადიანთა კოალიციის სამასათასიანი ლაშქარი, და განსაკუთრებით სელჯუკთა ხანგრძლივი ბატონობისაგან თბილისის განთავისუფლების სურათი — მხატვრული წარმოსახვის ცხოველმყოფელობის მხრივ ვერ დგას ტეტრალოგიის საუკეთესო და ყველაზე მკაფიო პასაჟების სიმაღლეზე.

რომანის მთელი მსვლელობა, დავითის ძლევამოსილი ომების მთელი ეპოპეა ფსიქოლოგიურად ამზადებს მკითხველს იმ დიდი სიხარულის და კმაყოფილებისათვის, რომელიც უნდა მოჰგვაროს მას საქართველოს დედა-ქალაქის განთავისუფლებამ და მისმა დაბრუნებამ სამშობლოსათვის. აკი ეს იყო დავითის უდიდესი ოცნება მისი მთელი ცხოვრების მანძილზე. ჯერ კიდევ ჭაბუკი

უფლისწული, ვიდრე სამეფო ტახტზე ავიდოდა, ეუბნებოდა დედას: „სანამ ტფილისი ჩვენი არ გახდება, მე ვერ მოვისვენებ, დედი. სამი სიცოცხლეც რომ გებოძა ჩემთვის, სამივეს ტფილისის ასაღებად დავლევდი, იცოდე“. დავითის ამ დიდი ოცნების განხორციელების მოლოდინი მკითხველს განუწყვეტლივ და განუშორებლად თან სდევს რომანის განვითარების მთელს მანძილზე. ხოლო თბილისის განთავისუფლების სურათი თავისი ესთეტიკური ღირსებით გარკვეულად ჩამოუვარდება ამ მოლოდინის ემოციურ დაძაბულობას. ეპოქის მსოფლიო-ისტორიული მოვლენების ყოვლისმომცველად ასახვის ამოცანას მწერალმა იმდენი ენერგია, დრო და ადგილი მოანდომა, რომ ამის გამო ზოგიერთმა უაღრესად მნიშვნელოვანმა ისტორიულმა მოვლენამ შესაფერად ცხოველმყოფელი და შთამბეჭდავი გამოხატულება ვერ ჰპოვა ტეტრალოგიაში. ეს გარემოება ალბათ იმითაც აიხსნება, რომ რაკი ეს დიდი მხატვრული ტილო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა, მწერლისათვის ძნელი იყო და შეუძლებელიც მისი სიუჟეტის ერთიანი, წინასწარ ზუსტად გამოანგარიშებული გეგმით განვითარება და მხატვრული ენერგიისა და საღებავების სწორი განაწილება რომანში წარმოსახული უხვი და მრავალფეროვანი ცხოვრებისეული მასალისათვის.

მაგრამ მხატვრული ნაწარმოების შესახებ ჩვენ უნდა ვმსჯელობდეთ არა იმის მიხედვით თუ რა არ არის მასში, არამედ იმის მიხედვით, რაც მიცემულია და მიღწეული ამ ქმნილებაში. „დავით აღმაშენებელში“ კი იმდენი რამ არის ჭეშმარიტი, მაღალი სიტყვიერი ხელოვნების ენით მოთხრობილი და წარუშლელად შთამბეჭდავი მხატვრული ძალით წარმოსახული, რომ მთელი ამ სახეობრივი სიმდიდრის უბრალო ჩამოთვლაც კი, სქემატური აღნუსხვაც, შეუძლებელი ხდება.

ტეტრალოგიის ფინალში ასახულია დავითის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, მისი კიდევ ერთი გაბრძოლება, მისი „უკანასკნელი ომი“, განუკურნებელი სენით შეპყრობილს, სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე მეფეს მოეჩვენება, რომ შავ ცხენზე მჯდომმა, შავი ჯაჭვით და შავი მუზარადით შეეურვილმა, მალემსრბოლმა მოახსენა მას, თითქოს ტაოს-კარს თურქთა ლაშქარი მოდგომოდეს:

„ტაოს-კარს მოადგნენო თურქნი?

კედლის კარადა გამოაღო ანაზდად, თორნი გამოიღო, ვეღარ ჩაიცვა იგი, რკინის პერანგს მისწვდა, ვერც იგი ზიდა, რკინას შეჩვეულ გოლიათურ სხეულს სამკლავენი და საბარკლულნი აღარ მოადგა, ახლა წაეპოტინა ომებში ნაცადს ხმალს ბაგრატეულს, ხმალი გაუვარდა ხელიდან, იატაკზე დაეცა და ბედითი ჟღრიალი მორთო... სულთმობრძავი ბორგავდა, დედისიმედსა და გვანცას ახსენებდა. ნაშუაღამემდის ბორგავდა, გააფთრებული იბრძოდა სიცოცხლისა და სიკვდილის უკანასკნელ სამანზე.

ნადირთა საჩიხეში დვრინავდა ბოკვერი ლომისა.

დემეტრე მეფე დარბაზიანში შემოვიდა, პირჯვარი გადაიწერა, სარეცელის წინ დაიჩოქა და მარჯვენაზე ემთხვია თავის სათაყვანებელ მამას.

ასე დაამარცხა ომებში უძლეველი დავით მეფე ყოველთა შემმუსვრელმა სიკვდილმა.

და ეს იყო უკანასკნელი ომი...“

არა მარტო ჩვენი თანამედროვენი საქართველოშიც და ჩვენი სამშობლოს საზღვრების მიღმაც, არამედ მომავალი თაობებიც წრფელი მღელვარებით წაიკითხავენ ამ წიგნს, როგორც ძველი საქართველოს დიდებისა და ძლიერების ღირსეულ მხატვრულ მატიანეს.

* * *

„ყველაფერი, რაც მე შემიქნია ჩვენი ერის სახელოვანი წარსულის სადიდებლად, განკუთვნილია ჩემი ხალხის დღევანდელი დღისა და მისი მომავლისათვის, რომლის მედაფედ და მეაბჯრედ

მომაქვს კიდევაც თავი“ — სწერს კ. გამსახურდია „დავით აღმაშენებლის“ ბოლოსიტყვაობაში.

და მართლაც, ისტორიული წარსულის თემებით გატაცებას სრულიადაც არ შეუზღუდავს მწერლის შთაგონება და არ გამოუთიშავს იგი ჩვენი ხალხის ცხოვრების ცოცხალი სინამდვილისაგან, მისი სადღეისო მისწრაფებათა და სასიცოცხლო ინტერესების სფეროსაგან. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს რომანი „ვაზის ყვავილობა“, რომელშიც მწერალი მღელვარედ და შთაგონებულად მოგვითხრობს ჩვენი დროების სოციალური სინამდვილის უმნიშვნელოვანესი პროცესების შესახებ.

ამ ნაწარმოებში მწერალმა კახეთის ერთი მთიანი სოფლის ბერმუხის ადამიანთა თავგადასავლის მაგალითზე ღრმა განზოგადებითი ძალით გვიჩვენა ქართველი გლეხკაცობის ცხოვრება სამამულო ომის წინა პერიოდში, როდესაც ჩვენი ქვეყანა დიდი წარმატებით იბრძოდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისათვის, დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, — როდესაც ჩვენმა ხალხმა განსაკუთრებულის სიმკვეთრით გამოავლინა თავისი ხასიათის სწორუპოვარი ძალა და მშვენება და იმ დაუვიწყარ დღეებში, როდესაც ომის ქარცეცხლიდან ძლევამოსილად გამოსული საბჭოთა ხალხი მშვიდობიან მშენებლობას უბრუნდებოდა. ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ისტორიის ეს მძაფრი და დაძაბული წლები აირჩია მწერალმა მხატვრული გამოსახვის საგნად, რათა უფრო სრულად და დამარწმუნებლად გამოეხატა ჩვენი ხალხის მებრძოლი და შემოქმედებითი ბუნება, ეჩვენებია ის ღრმა სიძნელენი და წინააღმდეგობანი, რომელთა ძლევამოსილად გადალახვის გზით მიიწევს წინ ჩვენი ქვეყანა თავისი დიადი საბოლოო იდეალისაკენ.

რომანში ცხოვლად არის წარმოსახული ურთულეს წინააღმდეგობებთან და თავის უბოროტეს მტრებთან უშიშრად და ძლევამოსილად შეჯახებული საბჭოთა ხალხის რაინდული სული. ამ დიადი შემართების ეპოპეა შეადგენს რომანის ძირითად შინაარსს და განსაზღვრავს მისი პერსონაჟების ხასიათსაც და ზედსაც, მის სიუჟეტურ კომპოზიციასაც, მის მთელ პოეტიკასაც.

ამ წიგნით კ. გამსახურდიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ თავისი იდეურ-შემოქმედებითი განვითარების გზაზე და გვიჩვენა, რომ ოცდაათიანი წლების შემდეგ განვლილ დიდ იდეურ ბრძოლებს, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ დიდ ისტორიულ ძვრებს ამაოდ არ ჩაუვლია მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია შევადაროთ „ვაზის ყვავილობა“ კ. გამსახურდიას მიერ ოცდაათიანი წლების დამდეგს დაწერილ რომანს „მთვარის მოტაცებას“.

თავის დროზე „მთვარის მოტაცება“ დიდი ინტერესით მიიღო ჩვენმა მკითხველმა, როგორც ჩვენი სინამდვილის მწვავე საკითხებზე პასუხისგამცემი წიგნი. მაგრამ, მაშინ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა, ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ბევრ რამეში ედავებოდა კიდეც მწერალს. დიდი მხატვრული ძალით და დამაჯერებლობით გვიხატავდა რა „მთვარის მოტაცებაში“ წარსულის ბნელი გადმონაშთების სასიკვდილო განწირულებას, მწერალი ერთგვარი თანაგრძნობით და სიბრალულით ეთხოვებოდა ამ წარმავალ სამყაროს. მეორეს მხრივ ამ მომაკვდავი წარსულისადმი დაპირისპირებული ახალი სამყარო არზაყან ზვამბაიას სახით, მწერლისათვის მაშინ არ აღმოჩნდა იმდენად ნაცნობი და ახლობელი, რომ იგი დაეხატა ისეთი სიმართლითა და სიღრმით, რომ ჩვენს ახალგაზრდობას ამ მხატვრულ სახეში თავისი თავი ეცნო და დაენახა.

და აი, მეოთხედი საუკუნის განვლის შემდეგ, მწერალი, გამოწრთობილი თავის დიდ შემოქმედებითს მუშაობაში სრულიად სხვაგვარი ხასიათის თემებზე, კვლავ დაუბრუნდა ჩვენი დროის უმთავრეს და ძირითად პროცესებს, კვლავ გაიხადა თავისი შთაგონების საგნად დი-

და ჭიდილი და ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს ეპოქაში მომაკვდავ ძველსა და მძლავრად აღმავალ ახალს შორის. ამ თემას მიუძღვნა მან თავისი ახალი, მრავალმხრივად მნიშვნელოვანი, რთული კომპოზიციის რომანი.

„ვაზის ყვავილობაში“ კ. გამსახურდია კვლავ შეეხო ჩვენი საბჭოთა სინამდვილისათვის უმთავრეს და ძირითად საკითხს — საკითხს ძველისა და ახლის ჭიდილისა, დახატა წარსულის ბნელი გადმონაშთების წინააღმდეგ ჩვენი ხალხის ძლევამოსილი ბრძოლის ცხოველი სურათები და გვიჩვენა, რომ როგორც ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა მწერლისათვის, მისთვისაც არ არსებობს ვიწროდ შემოფარგლული ისტორიული თემების სამყარო. თუ, ერთი მხრივ, იგი დიდი სიყვარულით, დიდი შემოქმედებითი გზნებით აღადგენს და გააცოცხლებს ჩვენს თვალწინ ჩვენი ხალხის გმირული ისტორიას, მეორე მხრივ, დიდი გატაცებით თვალწინ გადაგვიშლის ჩვენი დღევანდელობის ფართო და რთულ სურათს, წარმოგვისახავს ჩვენი ცხოვრების მოვლენებს, ჩვენი დროის ადამიანებს.

ბევრი რამ აქვთ საერთო „მთვარის მოტაცებას“ და „ვაზის ყვავილობას“ ორივე ამ თავის ნაწარმოებში მწერალმა ორი სამყარო შეაჯახა ერთმანეთს, გვიჩვენა სურათი დრომოჭმული ძველისა და ახალის ბრძოლისა ჩვენს სინამდვილეში. მაგრამ „ვაზის ყვავილობაში“ მწერალი უკვე მტკიცედ და გარკვეულად დგას ახლის პოზიციაზე, რომელსაც იგი არა მარტო სიყვარულით და თანაგრძნობით, არამედ ცოდნით და განცდით ხატავს. მისი გოდერძი, ნუნუ ციხისთავი, ვახტანგ კორინთელი, სუსქია და მთელი რიგი სხვა პერსონაჟები, რომლებიც ამ რომანში წარმოადგენენ ახალ სამყაროს, ჩვენს ახალ საზოგადოებრივ წყობილებას, თავისი აზრებით, საქმეებით და მაღალი მორალური თვისებებით თავდადებულად ემსახურებიან საბჭოთა სინამდვილის განმტკიცებას. სწორედ ამ ადამიანების მხარეზე დგას მწერალი და გვიხატავს მათ ისეთი ღრმა დრამატიზმით, ისეთი ტემპერამენტით და გზნებით, რომ აღვიგებს მკითხველის სიყვარულს ამ ადამიანებისადმი და ამ მოშობს მათდამი მიბაძვის მისწრაფებას. წიგნი ღრმად არის გამსჭვალული დიდი სიყვარულით კომუნიზმის შემქმნელი საბჭოთა ხალხისადმი. ეს სიყვარული შეადგენს ამ წიგნის პათოსს, მის ეროსს, მის ძირითად მორალს და ესთეტიკურ იდეალს. ეს არის საფუძველი ამ წიგნის იდეურ-აღმზრდელობითი, ესთეტიკური და შემეცნებითი ღირებულებისა.

რომანის დადებითი პერსონაჟები გამოთქვამენ და განასახიერებენ დიდ სიყვარულს მშობელი ქვეყნისადმი, ჩვენი დიდებული ბუნებისადმი, ჩვენი მიწა-წყლისადმი. ამ წიგნის ყოველ სტრიქონში ძგერს საბჭოთა პატრიოტის გული, იგრძნობა თანამედროვეობის სუნთქვა. წიგნი წარმოადგენს შემოქმედებითი შრომის მგზნებარე აპოლოგიას. მასში ასახულ მოვლენათა მთელი ლოგიკა მხატვრული დასაბუთებაა იმ აზრისა, რომ შრომა არის ჭეშმარიტი ადამიანობის, პატრიოტობის, სამშობლოს სიყვარულის, მაღალი ზნეობრივობის უდიდესი გამართლება, შრომა არის უპირველესი წყარო ადამიანური სრულყოფილი ბედნიერებისა.

„პირველთაგანვე იყო საქმე“ — ამგვარადაა დასათაურებული „ვაზის ყვავილობის“ ერთ-ერთი თავი და ეს აზრი ამოძრავებს მის სიუჟეტს, წიგნის პერსონაჟთა ურთიერთობის მთელს ატმოსფეროს. რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, პროფესორი ვახტანგ კორინთელი განუზომელი სიყვარულით შესცქერის მშრომელ ადამიანებს და ამბობს: „ამ მშრომელ ადამიანებს უთუოდ მშვიდი და ტკბილი ცხოვრება ექნებათ. მათი ცხოვრება კიდემდის აღვსილია ყოველდღიური გარჯითა და ზრუნვით... შრომა უდიდესი ფაქტორია, არა მარტო მატერიალური დოვლათის მომხვეჭელი, არამედ ერთგვარი „ჯათარზისი“ — გაწმენდა ადამიანის ზნეობისა. ისინი, ვინც შრომას განიცდიან, როგორც

სიმძიმილს, ვერასდროს მისწვდებიან ცხოვრების ამ დიდ საიდუმლოს".

„ვაზის ყვავილობის" დადებითი პერსონაჟები ზიარებული და დაუფლებული არიან „ცხოვრების ამ დიდ საიდუმლოს". ეს განსაზღვრავს მათი არსებობის მთელ აზრს და შინაარსს. წიგნის მთელი რიგი თავები შეიცავენ ხალხის შემოქმედებითი შრომის მომხიბვლელ სურათებს. ეს სურათები განასახიერებენ თავდადებას შემოქმედებით შრომაში, უმღერიან ჩვენი ხალხის შემოქმედებით ბუნებას, მის უძლეველობას თავის ამ დიად შრომითს ცხოვრებაში.

მაგრამ ეს დადებითი, ძირითადი და წამყვანი ტენდენცია საბჭოთა სინამდვილისა რომანში წარმოსახულია არა იზოლირებული და გამოცალკავებული სახით, არამედ ნაჩვენებია ბრძოლაში და შეჯახებებში დიდ სიძნელეებთან და წინააღმდეგობებთან.

მწერალი არ უშინდება მძაფრი საღებავებით დახატოს ჩვენს სინამდვილეში შემორჩენილი წარსულის ბნელი გადმონაშთები, რომლებიც ხშირად აბრკოლებენ ჩვენი ხალხის წინსვლას; არ გაურბის მამხილებლად დახატოს ამ გადმონაშთების მატარებელი მანკიერი ადამიანები, დაგვანახოს, თუ როგორი წინააღმდეგობების გადალახვის გზით მიდის წინ ჩვენი ქვეყანა.

მაგრამ თუ „მთვარის მოტაცებაში" მწერალი ამჟღავნებდა ერთგვარი სიბრალულის და სიმპათიის გრძნობას წარსულის გადმონაშთებისადმი, „ვაზის ყვავილობაში" ძველისა და დრომოჭმულის განმასახიერებელი ადამიანები: აბრია, კანკრე, ვარა, ცეროდენა, ქეთუა და სხვები დახატული არიან მძაფრად მამხილებელი საღებავებით, იმ დიდი სიძულვილისა და ზიზღის გრძნობით, რომლითაც ჩვენი ხალხი იბრძვის ყოველივე დახავსებულისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ. აქ უკვე ნატამალიც აღარ არის თანაგრძნობის, სიბრალულის და სიმპათიისა მანკიერი ადამიანებისადმი და მათი ბნელი საქმეებისადმი, რომლებიც თავისი უბადრუკობისა და უმწეობის მიუხედავად მაინც წინ ეღობებიან ჩვენი სამშობლოს წინსვლას, აფერხებენ და აბრკოლებენ ჩვენ ხალხის წარმატებებს.

„ვაზის ყვავილობა" იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა ლიტერატურა თავის განვითარების ახალ საფეხურზე ადის და მან უკვე უკან ჩამოიტოვა თავისი ისტორიის ის პერიოდი, როდესაც ჩვენს მწერლობაში გავრცელებული იყო ე. წ. „უკონფლიქტობის თეორია", — ცხოვრების ცალმხრივად და შელამაზებულად გამოხატვის ტენდენცია. ასეთი ტენდენცია შორს იყო სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების პრინციპებისა და ამოცანებისაგან. ამ „თეორიის" მიხედვით შექმნილი ნაწარმოები, ჯერ ერთი, ცხოვრების სიმართლეს ღალატობდა და ამიტომაც დამაჯერებლობის ძალას მოკლებული იყო, მასში არ შეიძლებოდა გამოხატულიყო დიდი დრამატიზმი ჩვენი ცხოვრების განვითარებისა. ასეთი მწერლობა ადუნებდა ჩვენს სიფხიზლეს, თვალს გვახუჭვინებდა ცხოვრების სიძნელეების წინაშე და ხალხის სულიერი შეიარაღებისა და გამოწრთობის ნაცვლად ჩვენი ძალების მოდუნებასა და იდეურ განიარაღებას უწყობდა ხელს.

„ვაზის ყვავილობა" ერთ-ერთი მძლავრი გამოვლინებაა საბჭოთა მწერლობის ახლანდელი მისწრაფებისა, რომ ჩვენი ცხოვრების სინამდვილე წარმოსახული იქნეს მისი რთული წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების გათვალისწინებით, ხოლო საბჭოთა ადამიანის გმირული ხასიათი ნაჩვენები იქნეს იმ ჭიდილსა და ბრძოლაში, რომელიც ჩვენი თანამედროვეობის ძირითად შინაარსს შეადგენს.

სწორედ ასეთ ადამიანებად გვევლინებიან გოდერძი ელანიძე, ნუნუ უჯრატული, ვახტანგ კორინთელი, სუსქია მინდელი და სხვა დადებითი გმირები ამ რომანისა. ისინი იოლად, უბრძოლველად, წინააღმდეგობის გარეშე როდი ცხოვრობენ და იმარჯვებენ. მათ მეტად რთული წინააღმდეგობები ეღობებათ

ცხოვრების გზაზე, დრამატიზმით აღსავსეა ყოველი მათგანის ცხოვრება, მრავალი ტანჯვა და განსაცდელი იგემეს მათ. სწორედ ამ წინააღმდეგობებთან ჭიდილში შეეძლოთ მათ გამოევლინებიათ და გამოავლინეს კიდეც თავისი მაღალი ადამიანური თვისებები, სპეტაკი ზნეობა, ქედუხრელობა და უშიშროება, ვაჟკაცობა და კეთილშობილება.

რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი გოდერძი ელანიძე რიგითი ახალგაზრდა გლეხია, საკოლმეურნეო სოფლის რიგითი ადამიანთა ტიპური სახე. იგი თავდადებულად ერთგულია ახალი ცხოვრებისა და მთელი არსებით ჩაბმული იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც გაჩაღებულია ბერმუხის კოლმეურნეობაში გველეთის უნაყოფო ველებზე ვაზის ზვრების გაშენებისათვის. ეს დიდი ბრძოლა, დიდი შრომითი აღფრთოვანება შეადგენს რომანის სიუჟეტის დასაყრდენს. მაგრამ აქ ბრძოლა მარტო ბუნების სტიქიის დათრგუნვისა და ვაზის გაშენებისათვის როდი სწარმოებს, აქ ბრძოლა ამასთანავე მიმდინარეობს ადამიანთა გარდაქმნისათვის და წარსულის ბნელი გადმონაშთების ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის. ამ ბრძოლაში არის ჩაბმული ეს ახალგაზრდა გლეხი. რაოდენად კეთილშობილი, გულისხმიერი, აქტიური და გაბედულია ეს ახალგაზრდა. როგორი უშიშარი და ქედუხრელია იგი, როგორი თანაბარი თავდადებით შრომობს იგი თავის მშობლიურ კოლმეურნეობაში, იბრძვის ბერმუხის ველებზე, ხოლო როცა ომის ქარიშხალი ამოვარდება, თავის სისხლსა და სიცოცხლეს არ ზოგავს სამშობლოსათვის, პირნათლად და დიდი სულიერი რაინდობით გადაიტანს იგი მის თავზე დატრიალებულ მრავალ მძიმე განსაცდელს და ბოლოს ბრძოლებში დაჭრილი და დასახიჩრებული, მაგრამ მაინც ცოცხალი და მაღალი პატრიოტული შეგნებით გამსჭვალული უბრუნდება მშობლიურ სოფელს.

გოდერძის შეჯახება წარსულის ბნელი გადმონაშთების მატარებელ ადამიანებთან — კანკრეებთან, აბრიებთან და სხვებთან, მისი თავდადებული ბრძოლა გველეთის ველებზე, შემდეგ მისი მძიმე ფრონტული ცხოვრება და ყველაზე განსაცდელიდან მისი გამარჯვებულად გამოსვლა, — სიმბოლურად განასახიერებს იმ დიდ გამარჯვებას, რომელიც მრავალი სისხლისა და ოფლის საფასურით მოიპოვა ჩვენმა სამშობლომ, როგორც სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ისე ფაშიზმის სისხლიანი ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი მშრომელი ხალხის, საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდობის ასევე ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის ტიპიური სახეა ნუნუ უჯირაულიც—გოდერძის ერთგული მეგობარი და მისი სატრფო. დიდ მომხიბვლელობით არის მოთხრობილი და დახატული რომანში ამ რიგითი ახალგაზრდა ქალის თავდადებული ერთგულება საკოლმეურნეო შრომისადმი, მისი გამოსვლა მიტინგზე სიტყვით, მისი გაბედულება, მისი სიყვარული გოდერძისადმი, მისი უმწიკვლო მორალური სახე. ვერც მძიმე ოჯახურმა პირობებმა, რომელშიც მას მოუხდა ცხოვრება, ვერც შვილის დაღუპვის საშიშროებამ, ვერც თავისი უზომოდ საყვარელი გოდერძის ხანგრძლივად უგზო-უკვლოდ დაკარგვამ ვერ გაბზარეს მისი მორალური სახე. ბევრი გააფთრებული იერიში მიიტანეს მასზე სოფლის ბნელმა ადამიანებმა, ბევრი სიმწარე და მწუხარება აგემა მას სამამულო ომის მძიმე წლებმა, მაგრამ ყოველივე ამ განსაცდელიდან ეს სამაგალითო საბჭოთა ქალი გამოვიდა მორალურად უმწიკვლო და გამარჯვებული.

ვერ ვიტყვით, რომ რომანის ყველა პერსონაჟი თანაბრად ცოცხალ, სისხლხორცით სავსე ადამიანურ სახეებად იყოს გამოკვეთილი. ზოგიერთი უაღრესად მნიშვნელოვანი იდეურ-ესთეტიკური ფუნქციის მატარებელი გმირიც კი დახატულია შედარებით ფერმკრთალად, უსიცოცხლოდ. ასეთია, მაგალითად, რაიკომის მდივნის ციხისთავის სახე, რომელიც რომანში მოქმედებს არა როგორც ცოცხალი ადამიანური ხასია-

თი, არამედ როგორც ავტორის სავსებით სწორი და მართებული წარმოდგენა რაიონის კარგ პარტიულ ხელმძღვანელზე, რომელიც უზომოდ ერთგულია თავისი მაღალი მოწოდებისა და თავს არ იზოგავს ხალხის საკეთილდღეოდ შრომასა და ბრძოლაში.

ბევრად უფრო ცოცხლად და კოლორიტულად არის დახატული სუსქია მინდელის და ნიკო მირიანაშვილის სახეები. არც ერთი თავისი დადებითი გმირი იოლი გზით არ მიყავს მწერალს. ყოველ მათგანს იგი ხატავს უმძიმეს წინააღმდეგობათა ვითარებაში.

დიდად საყურადღებო მხატვრული სახეა ვახტანგ კორინთელი, რომლის აზრებსა და გრძნობებში მწერალი ხშირად განახორციელებს თავის მსოფლმხედველობას, თავის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, თავის იდეურ პოზიციას. ეს უპარტიო ინტელიგენტი მშრომელი ხალხის წიაღიდანაა გამოსული; მას უგემნია ძველი, თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიული წყობილების უკულმართობანი, მაგრამ თავისი შრომით, თავდადებით გაუკაფავს გზა, უცხოეთში განათლება მიუღია, მრავალი შრომა დაუწერია და ახლა სამშობლოში დაბრუნებული პროფესორის წოდებით და დიდი მეცნიერული ავტორიტეტით, იგი ზიზღითაა გამსჭვალული დასავლეთის ბურჟუაზიული ცივილიზაციისადმი და თანამედროვე იმპერიალიზმის რეაქციული პოლიტიკისადმი. თავდადებული პატრიოტი, იგი დიდი აღტაცებით თავს დასტრიალებს მშობლიური ქვეყნის აღორძინებას, ბერმუხის ზეგანზე ვაზის გაშენებისათვის გაჩაღებულ ბრძოლას, შეჰხარის თავისი ხალხის ბედნიერებას, მწვავედ განიცდის სამშობლოს მძიმე დღეებს ომის ვითარებაში. ამასთანავე მას აქვს რთული პირადი ცხოვრება, რომელიც განუყოფელად დაკავშირებულია რომანში ასახული დიდი სახალხო მნიშვნელობის მოვლენათა განვითარებასთან.

„ვაზის ყვავილობის“ ერთ-ერთი უპირველესი ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ადამიანთა პირადი ცხოვრება და ბედი წარმოსახულია განუყოფელ ერთიანობაში ხალხის ცხოვრებასთან, სოციალურ სინამდვილესთან, ამ ადამიანთა საზოგადოებრივ პრაქტიკასთან. თელაველი მიწისმზომელის შვილის ვახტანგ კორინთელის ცხოვრება ბავშვობიდან დაკავშირებული იყო თავად ვაჩნაძის ოჯახთან. სიყმაწვილეში მას გატაცებით შეუყვარდა რევაზ ვაჩნაძის მშვენიერი ასული მედიკო. ეს უკანასკნელი მშობლებთან ერთად პარიზში გადასახლდა საცხოვრებლად და გაღატაკების საფრთხის წინაშე დამდგარი ოჯახის ძალდატანებით ცოლად გაჰყვა ფრანგ მემამულესა და კაპიტალისტს შარკუტიეს. უცხოეთში მეცნიერული მიზნებით მივლინებული კორინთელი შეხვდა მედიკოს. მათ შორის ახალის ძალით იფეთქა ადრინდელი სიყვარულის გრძნობამ. მედიკო გამოექცა ქმარს და კორინთელს გამოჰყვა სამშობლოში. მაგრამ საბჭოთა სინამდვილემ, საბჭოთა ხალხის საბრძოლო იდეალებთან დამოკიდებულებაში ღრმა განსხვავებამ, ჩვენი ცხოვრების განახლებულმა სოციალურმა ატმოსფერომ გათიშა ვახტანგ კორინთელი ვაჩნაძის ასულთან და მგზნებარე გრძნობით დააკავშირა იგი თელაველი პურისმცხობლის მინდელის ქალიშვილთან — სუსქიასთან, რომელიც ჩვენი სახალხო ინტელიგენციის საუცხოვო ტიპური სახეა. ხალხისადმი, სამშობლოსადმი წრფელი ერთგულება, ხალხის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი შრომა აკავშირებს ერთმანეთთან სუსქიასა და ვახტანგს. ამიტომ არის მათი სატრფიალო ურთიერთობა უჩრდილო და ჰარმონიული. და თუმცა ისინი იღუპებიან, მაგრამ ორივე მსხვერპლი ხდება ხალხისადმი თავდადებული სამსახურისა. ამიტომაც მათი სახეები მომხიბვლელი მორალური შარავანდედით შემოსილი რჩებიან მკითხველის ცნობიერებაში.

მაღალი სახალხო იდეალებისათვის ბრძოლასა და შრომაში დაუკავშირდნენ ერთმანეთს ნუნუ უჯრიანული და გოდერძი ელანიძე. მათ წრფელ სიყვარუ-

ლსა და ბედნიერებას მრავალი რთული წინააღმდეგობა გადაეღობა წინ. მაგრამ რომანის ფინალში ისინი პირნათლად და სპეტაკი მორალური სახით შეხვდნენ ერთმანეთს და ამ შეხვედრაში განსახიერდა იდეა მაღალი და ნათელი ადამიანური გრძნობების გამარჯვებისა ჩვენს საზოგადოებრივ სინამდვილეში. ასე ორგანიულად არის დაკავშირებული რომანში მოთხრობილი ყოველი პირადული ურთიერთობა საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებთან.

მწერალი ხშირად დიდ დრამატიზმს აღწევს ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი პირადი ბედის გამოხატვასას. იგი გვიჩვენებს, რომ ჩვენი დროის დადებითი გმირი ჩრდილში, სათბურში როდი იზრდება, — მისი ხასიათი იჭედება მძაფრ ბრძოლაში. ზოგი მათგანი იღუპება კიდევაც. ეს არის მძაფრი ბრძოლა, დიდი ეიდილი ჩვენი დროისა, რომელშიც იწოთობა და ყალიბდება თანამედროვეობის გმირის ხასიათის მაღალი თვისებანი, ჩვენი ხალხის სულიერი ძალა და აშვენება.

დიდია აგრეთვე „ვაზის ყვავილობის“ კრიტიკული პათოსი და მამხილებელი ძალა. ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვანი მხარეებისა და მანკიერი ადამიანის გამოხატვასას მწერალი არ ერიდება გვიჩვენოს წარსულის ამ უბადრუკი გადმონაშთების სერიოზული დამაბრკოლებელი და შემაფერხებელი მნიშვნელობა ჩვენი წინსვლისათვის. მწერალი, ამასთანავე, ხსნის მათს სოციალურ ფესვებს და გვიჩვენებს, თუ საიდან მოდიან ეს გადმონაშთები, რა ასაზრდოებს მათ მანკიერ ბნელ თვისებებს, რა სოციალური ფაქტორი, თუ ბიოგრაფიული პირობები იწვევენ მათს არსებობას და როგორ იღუპებიან ისინი ჩვენი დიდი თანამედროვეობის სიმართლესა და ძალასათან პირისპირ შეჯახებაში.

აი, მაგალითად, დეიდა ვარას გროტესკულად, და ამასთანავე საოცრად ცოცხლად დახატული სახე, თავისი გესლიანი ირონიით, ცხოველური ზიზღით ყველაფერი ახლისადმი, პროგრესულისადმი. ისტორიის მიერ დიდი ხნის წინათ და სამუდამოდ განადგურებული, ... ნაურული წოდების ეს ... შიერი იმდენად უბადრუკად და უმწეოდ გამოიყურება, რომ ერთის შეხედვით ვერც კი წარმოიდგენთ, თუ რა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია მას ჩვენი ძლევამოსილი წინსვლისათვის. მაგრამ აკი საბედისწეროდ იმოქმედა ამ გაცოფებულმა უბადრუკობამ ვახტანგ კორინთელის პირად ბედზე და დიდი როლი შეასრულა მისი ოჯახის დანგრევაში!

ამ ეხატვრული სახის მეშვეობით მწერალი გვაფრთხილებს, რომ არ შეიძლება უდარდელად და გულგრილად ვეპყრობოდეთ ასეთ ადამიანებს, მათ შეუძლიათ მეტად სერიოზული ზიანი მიაყენონ ჩვენს ადამიანებს, დამღუპველად იმოქმედონ მათს ბედზე და, მაშასადამე, მათს საქმეებზეც.

იგივე შეიძლება ითქვას აბრია უჯრიულის სახის შესახებაც. ეს განსახიერებაა კულაკობის უკანასკნელი ნაშთებისა. ის ბნელი, უმწეო, უმეცარი ადამიანია, მაგრამ რამდენი ბოროტება და უბედურება დაატრიალა მან რომანის დადებითი გმირების ცხოვრებაში. ან კიდევ გახულიგნებული შოფერი კანკრე, რომელმაც მრავალი ბოროტება ჩაიდინა და ბოლოს კინაღამ არ დაღუპა მთელი სოფელი. მწერალი გვიჩვენებს, თუ საიდან იბადებიან ეს ადამიანები, ეს ცეროფენები, შენიღბულნი და შემძვრალნი ჩვენს დაწესებულებებში, ეს ქეთუები და მარუები, კობერიძეები და სხვები, რომლებიც წამლავენ ახალი საბჭოთა სოფლის ჯანსაღ ატმოსფეროს, რომანში თვალნათლივ ვხედავთ — ამ მანკიერი ადამიანების მავნებელ მნიშვნელობას. ამ მხატვრულ სახეთა მეშვეობით მწერალი ზრდის ჩვენს რევოლუციურ სიფხიზლეს და განამტკიცებს მკითხველის შეგნებაში აზრსა და რწმენას, რომ საჭიროა ასეთ ადამიანებს ვჩხეოდეთ, ვიცნობდეთ და ვებრძოლდეთ მათ, ვიცავდეთ მათი მომშხამვლელი გავლენისაგან, ჩვენი საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროს, ჩვენი ხა-

ლხის ნათელ ყოფაცხოვრებას, ჩვენს საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ წყობილებას.

რომანის მთელი რიგი თავები დაწერილია ემოციური დაძაბულობით. მათში დახატულია ამაღელვებელი, გულისსიღრმემდე ჩამწვდომი, ღრმად დრამატიზირებული სურათები.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მხატვრულ საშუალებათა ის დიდი მრავალფეროვნება, რომელსაც შეიცავს ეს ნაწარმოები. მძლავრი დრამატიული ეღერის პასაჟებიდან, ავტორი გადადის ბროტესკზე, მძაფრ ირონიაზე, მღელვარე ლირიზმით გამსჭვალული სურათებიდან — კარიკატურულად დახატულ სახეებზე. ფართოა მწერლის მხატვრული დიაპაზონი. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოთ რომანის ის ფურცლები, რომლებზეც აღწერილია სუსქიას სიკვდილის სცენა, ვახტანგ კორინთელის უკანასკნელი დღე, გველეთის ველებთან ხალხის შებრძოლების სურათი, — ეს საუკეთესო სურათი მასობრივი შრომითი გმირობისა, ყამირის გატეხისა. იგივე უნდა ითქვას ჭეშმარიტი პოეზიით გამსჭვალულ პეიზაჟებზე, რომლებიც დიდი ფერწერითი ძალით არის დახატული და ემოციურად გაცოცხლებული. და ამათ გვერდით დეიდა ვარას, აბრიას, კანკრეს, ქეთუას და სხვათა ბროტესკული სახეები, ნიორთავას წისქვილის და ნუნუს ოჯახური გარემოცვის ზუსტი რეალისტური აღწერილობანი. მწერალი იყენებს მხატვრული მეტყველების სხვადასხვა საშუალებებს, რათა სინამდვილის მრავალმხრივი მასალა, ცხოვრების მდიდარი მრავალფეროვანება წარმოგვისახოს ადეკვატურ მხატვრულ ფორმებში და არა მარტო წარმოგვისახოს, გახსნას კიდეც ამ მოვლენათა აზრი, მათი ფესვები, მათი პერსპექტივა.

სამწუხაროდ, რომანის ყველა პასაჟი როდია თანაბარის მხატვრული ძალით და ოსტატობით დამუშავებული. გაცილებით მეტს მხატვრულ დამაჯერებლობას და ემოციურ ზემოქმედების ძალას აღწევს მწერალი რომანის იმ თავებში, რომლებშიც ქართული საკლასიკურნეი სოფლის შრომითი ცხოვრება. [illegible] სახული, ქართული ბუნების სურათები თუ ადამიანთა პირადი საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა ეპიზოდებია დახატული. გაცილებით უფრო მკრთალია და შთამბეჭდავობას მოკლებული რომანში ასახული ფრონტული ცხოვრების სურათები, ბატალური სცენები, საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილი საბჭოთა მებრძოლების აუტანელი ხვედრის და სისხლიანი ფაშისტური ტეროროისადმი მათი შეურიგებლობისა და ქედუხრელობის ეპიზოდები.

რით უნდა აიხსნას რომანის ცალკეული ნაწილებისათვის დამახასიათებელი ასეთი განსხვავებული დონე მხატვრული ხარისხისა, პროფესიული ოსტატობისა? ის ცხოვრებისეული მასალა, რომელიც კარგად არის ცნობილი მწერლისათვის, უშუალოდ განცდილი და ნაგრძნობია მის მიერ, ცხოველ გამოხატულებას პოულობს ნაწარმოებში, ცოცხალ და მეტყველ განსახიერებას, ხოლო სინამდვილის ის მოვლენები, რომელთა შესახებ ავტორს მხოლოდ გონებისმიერი წარმოდგენა აქვს, მოკლებულია მხატვრულ ხორცშესხმულობას.

ისიც უნდა ითქვას, რომ „ვაზის ყვავილობის“ ავტორი ზოგჯერ . შეგნებულად მიმართავს ისეთი პირობითობის ხერხს, რომელიც სცილდება მხატვრული სიმართლის საზღვრებს. ყოველთვის როდი ზრუნავს მწერალი რომანის ამა თუ იმ სიუჟეტური მოტივის მხატვრულად შემზადებისა და დასაბუთებისათვის, პერსონაჟთა მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივირებისათვის. მაგრამ ასეთი მხატვრული ნაკლოვანებანი და ხარვეზები რომანის მხოლოდ ცალკეულ პასაჟებში იჩენენ თავს. მთავარსა და ძირითადში კი „ვაზის ყვავილობა“ რეალისტური სიმართლით გამოხატავს ჩვენი ეპოქის დიდ გარდამქნელ და განმაახლებელ ძალას, ბერმუხაში, არაშენდა-გველეთის ზეგანზე გაჩაღებული გმირული შრომა და ბრძოლა განსახიე-

რებაა იმ დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრებისა, რომლითაც მოცულია ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლო თავისი სახელოვანი ისტორიის მთელს მანძილზე. შემთხვევით როდი დაუკავშირა მწერალმა ვაზის ზვრების გაშენებისათვის ბერმუხელ კოლმეურნეთა ბრძოლა სისხლიანი ჰიტლერიზმის წინააღმდეგ ჩვენი ხალხის ძლევამოსილი ომის ეპოპეას. ამით მწერალმა ჩვენი სამშობლოს უმაგალითო მთლიანობის, საბჭოთა ხალხის სწორუპოვარი ერთსულოვნების იდეა განასახიერა და თვალნათლივ გვიჩვენა, რომ კახეთის მთიანეთის ერთი პატარა სოფლის ცხოვრებაშიც ფეთქავს მთელი საქართველოს, მთელი საბჭოეთის მძლავრი და დაუცხრომელი მაჯისცემა.

დიდი დრამატიზმით, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ემოციური დაძაბულობით, მაღალი პოეტური შთაგონებით მოგვითხრო მწერალმა თავის გმირთა მღელვარე ცხოვრების ისტორია, წარმოგვისახა მათი ყოფა-ცხოვრების კოლორიტული სურათები, მათი მოქმედების სარბიელი — საქართველოს დიდებული ბუნების ფერადოვანი პანორამა.

„ვაზის ყვავილობა“ ქართული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახველი რომანია, მაგრამ მის გმირს მარტო ჩვენი გლეხობა როდი წარმოადგენს. მასში საკოლმეურნეო გლეხობის მოწინავე ადამიანების გვერდით ცხოვრობენ, აზროვნებენ და მოქმედებენ პროფესორები, ექიმები, აგრონომები, შოფრები, ტრაქტორისტები, ინჟინრები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები, ჯარისკაცები და ოფიცრები, — მრავალი სხვადასხვა პროფესიისა და მდგომარეობის ადამიანები, რომლებიც განუყოფლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების განუხრელი აღმავლობისათვის თავდადებულ შრომასა და ბრძოლაში. რომანი ჩვენი სამშობლოს უძლეველობის, ჩვენი ხალხის დიადი საბრძოლო საქმის გარდაუვალი გამარჯვების ურყევი რწმენით, ნათელი ოპტიმიზმით არის შთაგონებული. წიგნის ეს მასულდგმულებელი იდეა, მისი მორალი, მისი ფილოსოფია მკვეთრადაა გამოთქმული წიგნის დასკვნითს სტრიქონებში.

სოფლის თავზე ამაყად მდგარი ათასწლოვანი ბერმუხის ქვეშ ბრძოლის ველიდან გოდერძი ელანიძის ცოცხლად დაბრუნებისა და მისი განკურნების აღსანიშნავად მცირე სუფრაა გაშლილი. სოფლის უხუცესი პაპა მიქელას მოწვევით აქ შეკრებილან რომანის ის გმირები, რომელთაც ვაჟკაცურად გამოუვლიათ და გადაუტანიათ უდიდესი ომის ქარ-ცეცხლი. ბუნებრივია, რომ ისინი პირველ ყოვლისა ომში დაღუპულ გმირთა სახსენებელს სვამენ. ბოლოს გოდერძიმ ასწია თასი და სთქვა:

— ეს გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, მე კიდევ დამრჩა ორი თითი მარჯვენა ხელზე და თუ საჭირო იქნა, ავტომატის ჩახმახს ესეც ეყოფა“.

პაპა მიქელამ ორივე ხელით აიყვანა პატარა მიქელა და აჩვენა იგი ზეციურ მნათობს, თანაც ისე გახარებული იყო ბედნიერი მოხუცი, თითქოს საკუთარი თვალით ენახა მზე...

კვლავინდებურად საამოდ შრიალებდა ბერმუხა, შეუდრეკელი ბერმუხა, რომელიც მარად დარჩება ჩემს წარმოდგენაში, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსვრელი სულისა“.

ამ სიტყვებით ამთავრებს მწერალი „ვაზის ყვავილობას“. ამ წიგნით მან ჩვენი ხალხის ეს უკვდავი და შეუმუსვრელი სული გამოხატა და შთაგონებულად უმღერა მას.

* * *

რომ სრულად გავითვალისწინოთ ის დიდი და ძვირფასი წვლილი, რომლითაც კ. გამსახურდია ამდიდრებს თანამედროვე ქართული მწერლობისა და მთელი მრავალფეროვნული საბჭოთა ლიტერატურის საგანძურს, საჭიროა ზემოდგანხილულ მის მხატვრულ ნა-

წარმოებთა გარდა გავიხსენოთ დიდი გერმანელი პოეტის გოეთესადმი მიძღვნილი მისი ბიოგრაფიული რომანი და აგრეთვე მისი ნოველები: „ხოგაის მინდია“, „ამბავი ხუთასი ბოლნისელისა“, „დამსხვრეული ჩონგური“.

„გოეტეს ცხოვრების რომანი“ ბიოგრაფიული ჟანრის პირველი მხატვრული ნაწარმოები იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. თავის ვრცელს ნოველაში „ხოგაის მინდია“ კ. გამსახურდიამ ახლებურად გააცოცხლა და თავისებური მხატვრული ინტერპრეტაციით განასახიერა ის შესანიშნავი ქართული ლეგენდა, რომლის საფუძველზეც შექმნა ვაჟა ფშაველამ თავისი ეპიკური პოეზიის უჭკნობი შედევრი „გველის მჭამელი“.

თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მთელს მანძილზე კ. გამსახურდია არა მარტო რომანებითა და ნოველებით ახდენდა ზემოქმედებას მკითხველთა სულიერ ცხოვრებაზე, მათი შეგნების, ზნეობის, გემოვნების განვითარებაზე, არამედ მხატვრული ნარკვევებითაც („უკრაინის თემიდა“, „ნატახტარი“, „კოლხეთში“) და მრავალრიცხოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებითაც.

ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობისა და ლიტერატურული აზროვნების ისტორიკოსი ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის კ. გამსახურდიას უაღრესად საინტერესო წერილებსა და გამოკვლევებს ქართული, რუსული და ევროპული კლასიკური და თანამედროვე მწერლობისა და ხელოვნების საკითხებზე. იმის გასათვალისწინებლად, თუ რაოდენ ფართოა და მრავალმხრივი მწერლის გონებრივი ინტერესების სფერო, მისი ერუდიციისა და მხატვრული აზროვნების დიაპაზონი, საკმარისია აღინიშნოს, რომ მწერალმა საგანგებო გამოკვლევები და წერილები მიუძღვნა შოთა რუსთაველს, დანტე ალიგიერს, გოეთესა, ლეონარდო და ვინჩის, ლევ ტოლსტოის, გოგოლს, საბა სულხან ორბელიანსა, ვაჟა-ფშაველას, ბაირონს, ბალზაკს, ანატოლ ფრანსსა, ტომას მანს, ილია ჭავჭავაძესა, ივანე ჯავახიშვილს, ჰენრიკ იბსენსა, უოლტ უიტმანს, რილკეს, სტეფან გეორგეს, ავეტიკ ისაკიანსა, დერენიკ დემირჩიანს, ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს, პლატონ იოსელიანს და სიმონ ჯანაშიას, ნიკო ლორთქიფანიძეს, ალექსანდრე აბაშელს, შალვა დადიანს, კორნელი კეკელიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, სიმონ ჩიქოვანს, არტურ ლაისტს, გიორგი ნატროშვილს. ამას უნდა დაემატოს მწერლის პოლემიკური წერილები ქართული საბჭოთა თეატრისა და თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის საკითხებზე თანამედროვე რომანისა და მხატვრული თარგმანის პრობლემებზე. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ მსოფლიო კულტურის ისტორიისა და თანამედროვე მწერლობისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანეს საკითხთა რა დიდი რაოდენობა უნდა იყოს აღძრული და თავისებურად გაშუქებული მწერლის ნაშრომებში, რომელთაგანაც ზოგი ვრცელ მონოგრაფიას წარმოადგენს, ზოგი ლიტერატურულ პორტრეტს, ზოგი კი მწერლის დაკვირვებასა და შენიშვნებს.

ამ წერილებში გამოთქმული მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური შეხედულებანი შუქს ფენს აგრეთვე მწერლის მხატვრული შემოქმედების საკვანძო საკითხებსაც.

თავისი დაბადების 70 წლისთავის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა კ. გამსახურდიამ ამგვარად დაამთავრა:

„უნდა ვაღიარო, მე არც სიბერეს ვგრძნობ და არც დაღლას. ვაჟკაცურ სიტყვას ვაძლევ ჩვენს ხალხს, ჩვენს მთავრობას, კვლავინდებურად ვებრძოლო ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს“.

ხალხი ღრმა ინტერესით მოელის ამ ბრძოლისა და შემოქმედებითი ვაჟკაცობის ახალ შედეგებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ბაქანიძე

მიხეილ კოციუბინსკი

მიხეილ მიხეილის ძე კოციუბინსკი დაიბადა 1864 წლის 17 (5) სექტემბერს ქალაქ ვინიცაში წვრილი მოხელის ოჯახში. ვინიცაში და მის მახლობელ ადგილებში — ბარში, შარგოროდში და სტანისლავჩიკში გაატარა ბავშვობა და ყრმობა მომავალმა მწერალმა.

პატარა მიხეილი იზრდებოდა განათლებული, ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარული, კეთილი აზრისა და განწყობილების მქონე დედის გლიკერია მაქსიმეს ასულის გავლენის ქვეშ. დედამ აღუძრა მას დიდი ინტერესი ხალხური შემოქმედებისადმი, აღუძრა სიყვარული „ყოველივე კეთილისა და მშვენიერისადმი“.

მშობლიური ოჯახის „თბილი, გულითადი ურთიერთობის“ ატმოსფერომ პატარა ბავშვს სხვა ადამიანების მიმართ სულიერი სითბო და სიფაქიზე გამოუმუშავა. იგი ინტერესით აკვირდებოდა მის ირგვლივ მყოფ ადამიანებსა და გარემოს, მღელვარებით უსმენდა ბრმა კობზარების ნაღვლიან სიმღერებს, მოხუცი კუპრიანის „ფიქრებში“ ცოცხლდებოდა ხალხის დიადი ძალა, მტრების მიერ ხუნდებში ჩაჭედილი და თავისუფლების მოსაპოვებლად ბრძოლისათვის ემზადებოდა. გულში ბოღმაჩახვეული ხალხის რისხვა, მისი ოცნებანი და სურვილები, რომლებიც ასე ნათლად ისახებოდნენ კობზარების მელოდიებში მომავალი მწერლის პირველი მხატვრული სკოლა იყო. ხოლო თვით კუპრიანი, ყოფილი ყმა, ჯანყის თავი და კატორღელი, ხალხის ცოცხალი ისტორია იყო.

ოფიციალური განათლება პატარა მიხეილმა ჯერ ბარის დაწყებით სკოლაში, ხოლო შემდეგ შარგოროდის სასულიერო სკოლაში (ბურსაში) მიიღო. მომავალი მწერალი ადრევე დაინტერესდა ლიტერატურით, იგი გატაცებით კითხულობდა ყოველ წიგნს, რომლის ხელში ჩაგდებასაც მოახერხებდა. იმ ავტორებიდან, რომლებმაც „ღრმა შთაბეჭდილება“ მოახდინეს მწერალზე, კოციუბინსკი მარკო ვოვჩოკსა და ტარას შევჩენკოს ასახელებს. თავის ავტობიოგრაფიულ წერილებში იგი აღნიშნავს: „იმ ავტორთა შორის, რომელთაც ათობით ვკითხულობდი, ჩემზე ყველაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს მარკო ვოვჩოკმა, ხოლო შემდეგ შევჩენკომ[1]. მხატვრულმა, პოლიტიკურმა და მეცნიერულმა ლიტერატურამ დიდი გავლენა მოახდინეს მწერლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. როგორც თვითონ აღნიშნავს კოციუბინსკი „...ცხოვრების მეცამეტე წელს იგი ათეისტი გახდა, ხოლო მეთოთხმეტეს— სოციალისტი“[2].

სოციალური სამართლიანობის დასამყარებელი გზების ძიების პროცესში კოციუბინსკი ეცნობა ჯერ უტოპიური, ხოლო შემდეგ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს. 1882 წელს იგი უახლოვდება პოდოლიეში მოქმედ ნაროდოვოლცებს. კამენეც-პოდოლსკის სემინარიის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა, რომელიც ნ. გ. ჩერნიშევსკის იდეებით იყო გატაცებული, საიდუმლო შეკრებებზე კითხულობდა აკრძალულ

[1] მ. კოციუბინსკი, თხზ. ტ. 3, გვ. 10.
[2] იქვე, გვ. 11.

ლიტერატურას, მსჯელობდა რევოლუციონერ-დემოკრატთა ნაწარმოებებზე, მღეროდა რევოლუციურ სიმღერებს. ოცნებობდა სოციალურ სამართლიანობაზე, ხალხთა თავისუფლებასა და ბედნიერებაზე, თვითმპყრობელობის დამხობასა და დემოკრატიული წესების დამყარებაზე. მიხეილ კოციუბინსკი ამ ადამიანებს დაუახლოვდა და მათი მღელვარე სხდომების მონაწილე გახდა.

ნაროდოვოლცების მიერ ალექსანდრე II მკვლელობის წელი რეაქციამ პოგრომებით (დარბევით) აღნიშნა. ჩვიდმეტი წლის მიხეილი „თვითდაცვის წრის" ორგანიზაციაში იღებს მონაწილეობას. პოლიციამ დააპატიმრა წრის წევრები, მათ შორის კოციუბინსკი. „ჩვიდმეტი წლისას მე უკვე პოლიტიკური პროცესი მქონდა და მას შემდეგ დღევანდელ დღემდე ჟანდარმები არ მაკლებენ თავის თავაზიან მზრუნველობასო"[1], იგონებდა უკვე სახელგანთქმული მწერალი.

მწერლის ახალგაზრდობის წლები დაძაბული შრომისა და ამავე დროს მატერიალური ხელმოკლეობის წლებია. ლუკმა-პურს მიხეილი თავდაპირველად სტანისლავჩიკში, ვინიცასა და მის ახლო მდებარე სოფლებში რეპეტიტორობით შოულობდა. მაგრამ მისმა აქტიურმა მოღვაწეობამ, სიმართლის სიყვარულმა საფრთხე შეუქმნა არსებობის ამ საღსარსაც. პოლიციის დეპარტამენტი ეჭვის თვალით უყურებს ახალგაზრდა მასწავლებლის საქმიანობას. 1889 წელს „პოდოლის გუბერნიის პოლიტიკურ მიმოხილვაში" ჩნდება ჩანაწერი: „...პედაგოგიური მოღვაწეობა ისეთი პირებისა როგორიცაა მოხელის შვილი მიხეილ კოციუბინსკი... როდი შეიძლება საეჭვოდ მივიჩნიოთ"[2].

ცოდნისა და სიმართლისადმი სწრაფვამ მიიყვანა იგი ვინიცაში არსებულ

1 მ. კოციუბინსკი თხზ. ტ. 3, გვ. 11.

2. ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი მოსკოვში (ცსიამ), ს. 43, ნ. 23, გვ. 41.

თვითგანვითარების საიდუმლო წრეში, სადაც კითხულობდნენ და სწავლობდნენ ჩერნიშევსკისა და სხვათა აკრძალულ ნაწარმოებებს. გლებ უსპენსკის ნარკვევები, შჩედრინის სატირა, პანას მირნის მოთხრობები კოციუბინსკის იმ ისტორიულ პროცესებზე მიუთითებენ, რომელიც თანამედროვე ეპოქისათვის იყო დამახასიათებელი.

კოციუბინსკის რევოლუციური განწყობილება მოსვენებას არ აძლევდა ჟანდარმერიას. 1883 წელს კოციუბინსკების სახლში პოლიციამ ჩხრეკა მოაწყო, ხოლო 1886 წელს პოლიციის დეპარტამენტის განკარგულებით მიხეილ კოციუბინსკიზე დააწესეს საიდუმლო მეთვალყურეობა. მეფის ოხრანკამ შექმნა საგანგებო „საქმე მოხელის შვილზე მიხეილ მიხეილის ძე კოციუბინსკიზე"[1].

უბედურება ადრევე ეწვია კოციუბინსკების ოჯახს. ცხრამეტი წლის ასაკში მიხეილმა მამა დაკარგა, დედა დაბრმავდა და მთელი ოჯახი მისი შემყურე გახდა. ასეთი მძიმე ოჯახური მდგომარეობისა და პოლიციური სისტემატური დევნის მიუხედავად მიხეილ კოციუბინსკის არ გადაუხვევია ერთხელ არჩეული გზიდან. იგი „ყოველთვის იყო დიდი ოპტიმისტი" და „არასოდეს არ დაუკარგავს რწმენა ხალხისადმი, წყვდიადზე და ბოროტებაზე ყოველივე ნათელის გამარჯვებისადმი"[2].

ხალხისა და სიმართლის სიყვარულმა ააღებინა ხელში კალამი კოციუბინსკის. ვინიცაში წერს იგი თავის პირველ ნაწარმოებებს „ანდრეი სოლოვეიკო, ანუ სწავლა სინათლეა, ხოლო უსწავლელობა სიბნელე" (1884 წ.).

უკრაინის მომხიბლავი ბუნების ფონზე მკითხველის თვალწინ დაბეჩავებული ხალხის ტანჯული ცხოვრება გადაიშლება. „შორიდან სოფელი მხიარული ჩანს, — წერს ავტორი, — აი, სად არის სამოთხე", იფიქრებს გამვლელი, მაგრამ ვინ იცის, რომ მწვანით აბიბინე-

1 ვინიცის სახელმწიფო არქივი, ფ. 224, აღ. 2, ფურ. 18-19.

2 მ. კოციუბინსკი, თხზ. ტ. 3. გვ. 11.

ბულ ბალმინდვრებს უკან იფარება „მრავალი მწარე ცრემლი“ და უბედურება. „ყოველ ქოხში — საკუთარი ნაღველი, საკუთარი სიმწარეა“ — ასეთია ამ ნაწარმოების ლეიტმოტივი.

1890 წელს ლვოვის ჟურნალში „დზვინოკ“ პირველად ქვეყნდება მისი ლექსი „ჩვენი ქოხი“. ამავე წელს კოციუბინსკი ორი კვირით ლვოვს მიემგზავრება, იქ ეცნობა ივანე ფრანკოს და იწყებს გალიციის ჟურნალებში თანამშრომლობას.

1891 წელს კოციუბინსკიმ ვინიცის რეალურ სასწავლებელში ჩააბარა გამოცდა და მიიღო სახალხო მასწავლებლის წოდება. იმავე წელს იგი მიემგზავრება მასწავლებლად სოფელ ლოპატინციში. იქ მწერალი უახლოვდება გლეხობას, უსმენს კობზარებს, იწერს ხალხურ სიმღერებსა და ლეგენდებს და თავის მხრივ აცნობს გლეხებს „აკრძალულ ლიტერატურას“. ლოპატინციში დაწერა კოციუბინსკიმ მოთხრობები „ხარიტია“ და „ნაძვის ხე“.

მოთხრობაში „ჯვარდაუწერლად“ (1892 წ.) უფრო ძლიერ ჟღერს სოციალური პროტესტის მოტივი. ამ ნაწარმოებს ბევრი აქვს საერთო მარკო ვოვჩოკის მოთხრობასთან „ვაჭრის ქალიშვილი“ და კარპენკო-კარის დრამასთან „უნიჭო“.

90-იანი წლების დამდეგისათვის მიხეილ კოციუბინსკის შემოქმედებაში ძვრები შეინიშნება. მის ნაწარმოებებში ცოცხლდებიან გლებ უსპენსკისა და სალტიკოვ-შჩედრინის ტრადიციები. „ცეპოვიაზში“ მხილებულია გლეხობაში არსებული კლასობრივი ანტაგონიზმი. ამ მხრივ „ცეპოვიაზი“ მწერლის იდეური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.

მოთხრობით „ცეპოვიაზი“ მწერალმა გასწყვიტა კავშირი ხალხოსნურ ილუზიებთან და მონაწილეობა მიიღო მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო, მწერალი ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული მცდარი შეხედულებებისაგან, მას გლეხობა ჯერ კიდევ მიაჩნდა მთავარ რევოლუციურ ძალად. „ცეპოვიაზით“ კოციუბინსკიმ ერთგვარად დაასრულა ადრეული მოთხრობების ციკლი, რომლებიც ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგის პოდოლიელი გლეხობის ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების გაცნობა-შესწავლის საფუძველზე იყო შექმნილი.

1892 წელს პოლიციის მიერ მისი შეიწროვების შემდეგ მიხეილ კოციუბინსკი ოთხი წლის განმავლობაში მსახურობდა ჯერ ბესარაბიაში (ახლანდელი მოლდავეთი), ხოლო შემდეგ ყირიმის სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ახალმა ადგილმა, ახალმა პირობებმა და ხალხმა ბევრი რამ მისცა უკრაინელ მწერალს, რომელიც სამსახურებრივ მდგომარეობას ლიტერატურული ნაწარმოების შექმნისათვის იყენებდა. შრომით გადაღლილი მ. კოციუბინსკი ბრუნდებოდა დედის სახლში ვინიცაში და აქ ასხამდა ხორცს მოლდავეთის, თუ ყირიმის ველებსა ან ზღვის სანაპიროზე დაბადებულ იდეებს. იქ დაიწერა მოთხრობები ბესარაბიელი გლეხობის ცხოვრებიდან „ყველას საკეთილდღეოდ“ (1895 წ.), „პე-კოპტიორი“ (1896 წ.), „შავი მეფის ელჩი“ (1897 წ.) და სხვ. ვინიცაში პატარა სახლში დაიწერა აგრეთვე მწვავე პუბლიცისტური ზღაპარი „ხო“ (1894 წ.), რომელშიაც მკაცრად არის გაკრიტიკებული ლიბერალიზმი.

1897 წლის შემოდგომაზე კოციუბინსკი დასახლდა ჩერნიგოვში. აქ იგი სამსახურის დაწყებას ფიქრობდა, მაგრამ გუბერნატორმა როგორც „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო“ პირს ამის უფლება არ მისცა. მწერალი იძულებული გახდა ბედი ჟიტომირში ეცადა. ამ ქალაქში მან ერთხანს გაზეთ „ვოლინის“ ქრონიკის განყოფილების რედაქტორად იმუშავა.

მწერალს რევოლუციური შეხედულებების ჩამოყალიბებაში დაეხმარა მარქსის, ენგელსის და ლენინის ზოგი

ნაწარმოების გაცნობა. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან კოციუბინსკის წერილები გვიდასტურებენ, რომ იგი ამ დროისათვის უკვე იცნობდა მეცნიერული სოციალიზმის თეორიას. ბ. დ. გრინჩენკოსადმი მიწერილ ერთ-ერთ ბარათში (1896 წლის 19 მარტს) იგი ცხოველ ინტერესს იჩენს ლვოვში გამოცემული ბროშურისადმი, რომელშიაც განხილული იყო „გალიციაში გლეხთა უბედური ეკონომიური მდგომარეობის მიზეზები (მარქსის თეორიის საფუძველზე)“[1].

მწერლის შეხედულებათა შემდგომ ევოლუციას მარქსიზმისკენ ხელი შეუწყო გაზეთ „ვოლინში“ მუშაობამ. პერიოდული პრესის მიმომხილველის მოვალეობა აიძულებდა მწერალს ყოველდღიურად ეკითხა ათობით გაზეთი, რომელთაგანაც იგი თავისთვის საინტერესო მასალას კრებდა და მოხერხებულად იყენებდა რა ბურჟუაზიული პრესის ლეგალურ სამუალებებს ეპოქის მრავალ აქტუალურ საკითხზე შესანიშნავ ნარკვევებსა და მიმოხილვითი ხასიათის სტატიებს წერდა. კოციუბინსკი ილაშქრებდა ხალხში შემორჩენილი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, ამხელდა მეფის რუსეთში განათლებისა და კერძოდ სკოლის საქმის ჩამორჩენილობას, აკრიტიკებდა თვითმპყრობელურ სისტემას, ილაშქრებდა ნახევრად კოლონიალური მონობის წინააღმდეგ და იცავდა არა მარტო უკრაინელების, არამედ „რუსეთის სხვა გერების“ ინტერესებს, მუშათა და საერთოდ მშრომელი ხალხის ინტერესებს.

1898 წელს კოციუბინსკი დაბრუნდა ჩერნიგოვში და დაიწყო მუშაობა „ერობის“ საბჭოში. ამ თანამდებობაზე გაატარა მან თორმეტი წელი.

ჩერნიგოვში მწერლის ცხოვრების პირველივე წლებში ჟანდარმერიამ ასე შეაფასა მისი პოლიტიკური „არაკეთილსაიმედოვნება“: „მეგობრობა და ნაცნობობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ საეჭვო პიროვნებებთან. პიროვნება უთუდ მავნებელია თავისი მთავრობის საწინააღმდეგო შეხედულებებით, მოითხოვს გაძლიერებულ ზედამხედველობას“.[1] ჩერნიგოვის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი წერდა, რომ კოციუბინსკი „მიეკუთვნება იმ პირთა ჯგუფს, რომელიც როგორც ზნეობრივ ისე მატერიალურ დახმარებას უწევს ჩერნიგოვის რევოლუციური წრეების აქტიურ მოღვაწეებს“.[2]

კოციუბინსკის ხალხისნური ილუზიების გადალახვისა და მსხვრევის პროცესი თვით ცხოვრების გავლენით მიმდინარეობდა. ამ მსხვრევაში დიდი წვლილი მიუძღოდა მარქსისტულ ლიტერატურას. სწორედ მისი გავლენით მწერლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა ევოლუცია მარქსიზმისაკენ მიიმართებოდა.

კოციუბინსკის პირად ბიბლიოთეკაში ინახებოდა იმ „წიგნების კატალოგი“, რომლებიც კორესპონდენტებს უნდა დაგზავნოდა. სარეკომენდაციო სიაში შეტანილი იყო მარქსისა და ენგელსის შრომები — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“; ვ. ი. ლენინის შრომები — „სოფლის გლეხობისადმი“, „კადეტების გამარჯვება და მუშათა პარტიის ამოცანები“ და სხვ.

კოციუბინსკი დიდად იყო დაინტერესებული რუსული და უცხოური ლიტერატურითა და ხელოვნებით, ეცნობოდა გამოჩენილი მწერლების ნაწარმოებებს, ეესწრებოდა სპექტაკლებს. თავის მხრივ იგი არ იშურებდა ძალღონეს ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის. უკრაინელ ლიტერატორებთან—ბ. გრინჩენკოსა და ვლ. სამიილენკოსთან ერ-

[1] მ. კოციუბინსკი, თხზ. ტ. VIII, უკრაინის სახელმწიფო გამომცემლობა, 1930 წ. გვ. 75-76.

[1] ცსიამ, ფ. 3. დ., ს. 6378, ნ. V. გვ. 72.

[2] იქვე, ს. 999, გვ. 1.

თად ის იყო ავტორი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცი წლის თავზე გამოგზავნილი მისალმებისა.

ჩერნიგოვის მუსიკალურ-დრამატიული წრის სახელით მწერალი გამოჩენილ უკრაინელ კომპოზიტორ ნ. ვ. ლისენკოს მისი მოღვაწეობის ოცდათხუთმეტი წლის თავზე უგზავნის მილოცვას.

უკრაინელი მწერლის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა კვლავ იპყრობს ჟანდარმერიისა და გუბერნატორის ყურადღებას. პოლიციის დეპარტამენტში სასწრაფოდ იგზავნება საიდუმლო მოხსენებები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ საარქივო კომისიის სექციებში „...არის რაღაც საუბრები, კითხულობენ რეფერატებს, მაგრამ ყოველგვარი ზედამხედველობისა და კონტროლის გარეშე“, ხოლო რაც მთავარია „...ბიბლიოთეკა და საარქივო კომისია მათი ახლანდელი შემადგენლობით გაბდნენ დანაშაულებრივი მოღვაწეობის კერა...“[1] გუბერნატორმა ხვოსტოვმა მაინამ არ ძოისვენა, სანამ არ დაარბია კომისია, „გაწმინდა“ იგი „არასაიმედო“ პირებისაგან და თვითონ არ ჩაუდგა სათავეში მის მუშაობას.

1903 წლის სექტემბერში პოლტავაში გაიმართა ზეიმი უკრაინული ლიტერატურის ასი წლის და ი. პ. კოტლიარევსკის ძეგლის გახსნის გამო. მოწინავე ინტელიგენციამ კოციუბინსკი ამ დღესასწაულზე დელეგატად წარგზავნა. აქ შეხვდა იგი პირველად ლესია უკრაინკას, ვასილ სტეფანიკს, პანას მირნისა და ვ. გ. კოროლენკოს.

მწერალი თაყვანს სცემდა პანას მირნის შემოქმედებას, მიაჩნდა თავის მასწავლებლად და „ჩვენი ლიტერატურის ძალად და მშვენებად“. კოციუბინსკი დიდად აფასებდა სტეფანიკის, მარტოვიჩისა და კობილიანსკაიას ნიჭსა და არაერთგზის აღნიშნავდა, რომ მათ შემოქმედებას უკრაინული ლიტერატურისათვის უთუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ.

კოციუბინსკი დაინტერესებულ იბრძოდა უკრაინული ლიტერატურის მოწინავე, დემოკრატიული ძალების გასაერთიანებლად, რადგანაც მიაჩნდა, რომ ეს გაერთიანება, მხოლოდ სიკეთეს მოუტანდა უკრაინელ ხალხსა და ლიტერატურას. მწერალი აყალიბებს და ხელსაც უწყობს გამომცემლობებსა და გამოცემებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ლიტერატურაში დემოკრატიული ტენდენციებისა და რეალისტური მეთოდის განვითარებასა და განმტკიცებას. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ალმანახების „მუხის ფოთოლი“ (1903) და „ცხოვრების ნაკადიდან“ (1905) შექმნასა და რედაქტირებაში.

1899 წელს ლვოვში ვამოდის კოციუბინსკის მოთხრობების პირველი კრებული — „შაითანის ბადეში“, რუსული ჟურნალში „ჟიზნში“ ქვეყნდება მოთხრობის „ყველას საკეთილდღეოდ“ რუსული თარგმანი; იმავე წელს კიევში იბეჭდება მისი ნაწარმოებების კრებული — „მოთხრობები და სხვა“. 1900 წელს ლვოვში გამოდის მწერლის მოთხრობების მეორე კრებული — „ადამიანურად“, ხოლო 1903 წელს მესამე, სათაურით — „ორთა ბრძოლა“.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში ქალაქის ქუჩებსა, სოფლის გზაჯვარედინებზე თუ ბარიკადებზე სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებები ხდებოდა. ამ დროს მიხეილ კოციუბინსკი საერთო სახალხო საქმეს ვერ განუდგებოდა. რევოლუციამ აამაღლა მასში მოქალაქის გრძნობა-მოვალეობა. უკრაინელმა მწერალმა და მოღვაწემ თავისი პროტესტის ხმა შეუერთა ათასობით ადამიანის გულისწყრომას.

1905 წლის 9 იანვარს ჩერნიგოვის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის საერთო კრებაზე მიხეილ კოციუბინსკი გამოვიდა მოთხოვნით — გაუქმდეს ცენზურა ყველა მხატვრულ ნაწარმოებზე, რომელ ენაზეც არ უნდა იყოს იგი დაწერილი. მწერალი თავის გამოსვლა-

[1] ცსიამ, ფ. პ. დ. ს. 1840, გვ. 9ა.

ში ყურადღებას განსაკუთრებით ცარიზმის მიერ კოლონიალურ ჩაგვრაში მოქცეულ ხალხთა ლიტერატურაზე ამახვილებდა. „თუ რუსულ ბეჭდვით სიტყვას ცენზურა მათრახებით სცემს, მალოროსიულს მორიელებით სდევნის“ — ამბობდა იგი.

კოციუბინსკის გამოსვლას ენერგიულად დაუჭირეს მხარი ჩერნიგოველმა სოციალ-დემოკრატებმა ნ. ა. ჩერლიუნჩაკევიჩმა და სხვებმა.

1905 წლის გაზაფხულზე კოციუბინსკი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საზღვარგარეთ მიემგზავრება. 1905 წლის ოქტომბერში მწერალი აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩერნიგოვის სათემო საბჭოს მოსამსახურეთა გაფიცვაში, რომლის ორგანიზატორიც ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია იყო. ამ გაფიცვამ ისედაც შეშფოთებული ხელისუფლება სულ ააფორიაქა. დაიწყეს ჩხრეკა, დაკითხვები, დამუქრებანი. ერთ-ერთ ბარათში კოციუბინსკი იხსენებს, რომ „რამდენიმე დღის წინ კაზაკთა თოფების ლულების წინ მოგვიხდა დგომა, და ლოდინი, როდის დავეცემოდით დახოცილები“[1].

მწერალმა სწორად გაიგო 1905 წლის 17 ოქტომბრის მეფის მანიფესტი. „სიტყვები სხვაა და საქმენი სხვაო“ ასეთი შეფასება მისცა მან მეფის ტაქტიკას იმ დღეებში, კოციუბინსკიმ ამხილა მანიფესტის პროვოკაციული ხასიათი. „პიროვნების ჭეშმარიტი ხელშეუხებლობის“ უკვე იმდენი დამადასტურებელი საბუთი მოგვცეს, — წერდა იგი, — როდესაც მანიფესტის გამოცხადების დღეს ბავშვები ხიშტებზე წამოაგეს და ხმლებით აჩეხეს... რომ სრულიად უდანაშაულო ადამიანთა ახლანდელი დაპატიმრებანი მხოლოდ უკეთესად უკეთებენ ილუსტრირებას იმ... „თავისუფლებას“[2].

მწერალმა ადვილად შენიშნა და სხვასაც მიუთითა იმ ფაქტზე, რომ სწორედ მანიფესტის ტაბლიტა სიტყვების შემდეგ გააძლიერა შეფმა ხელისუფლებამ რეპრესიები, მშრომელი ხალხის დევნა, თავისუფალი აზრის გამოთქმის წინააღმდეგ ბრძოლა. „ჩვენთან ახლა ე. წ. „გაძლიერებული დაცვაა“, — აღნიშნავდა იგი, — ჩვენ თავმოყრის უფლებაც კი არა გვაქვს... შეუძლიათ ყოველი ჩვენთაგანის სასამართლოს გარეშე დაპატიმრება და 24 საათში გადასახლება... კალმის ერთი მოსმით შეუძლიათ ადგილის წართმევა, მათრახებით ან და ხმლებით დასახიჩრება.

ჩვენ ახლა კანონგარეშე ვართ“.[1]

კოციუბინსკის კარგად ესმოდა, რომ ასეთ ვითარებაში მყოფ ხალხს ერთადერთი გზა ჰქონდა — საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება. სხვა გზით თვითმპყრობელობის დამხობა და ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის დამყარება შეუძლებელი იყო. „ჩვენთან ყველგან ერთი აზრია გაბატონებული, — ატყობინებს იგი ვ. გ. გნატიუკს, — რომ, სანამ წყნარ და კულტურულ ცხოვრებას მივაღწევდეთ, მოხდება საერთო აჯანყება, რომელიც მთელ ძველ პოლიტიკურ წყობილებას წალეკავს... ნაციონალობის განურჩევლად ყველანი იკრებენ ძალას, რათა საერთო მტერი დაამხონ“.[2] ამავე აზრს მწერალი სხვაგანაც მტკიცედ იმეორებს. მოსკოვის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების წინ კოციუბინსკი წერდა ივანე ფრანკოს: „ჩვენთან ყველანი იმედებს მხოლოდ სამკვდრო-სასიცოცხლო შეჭიდებაზე ამყარებენ, რომელშიაც ან დავიღუპებით, ან და გავიმარჯვებთ. ბეც ოპტიმიზმს ადგილი არა აქვს. ახლა შეუძლებელია რაიმე შემოქმედებითი მუშაობა. ჩვენ... ვულკანზე ვცხოვრობთ, ანდა. უფრო უკეთესად ჩვენ თვითონ ვართ ის ვულკანი, რომლის ხახაც, ბრმა ხელისუფ-

1. მ. კოციუბინსკი, თხზ. ტ. 3, გვ. 185.
2 მ. კოციუბინსკი, უკრაინის სახელგამი, 1930 წ. ტ. VII, გვ. 219-220.

1 მ. კოციუბინსკი, თხზ. ტ. 3, გვ. 190.
2 იქვე, გვ 189.

ლებას ნაფოტებით უნდა ამოავსოს და ამგვარად შეაჩეროს ამოხეთქვა[1].

1905-1907 წლებში ჩერნიგოვში არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. როგორც კოციუბინსკის ბიოგრაფები ფიქრობენ მწერალი იცნობდა ამ ორგანიზაციის წევრებს ნ. ჩერდიუნჩაკევიჩსა და ს. სუვოროვს (ბორისოვს). ეს უკანასკნელი 1906 წელს ბოლშევიკების მხარეზე იყო. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის წევრებთან ასეთი პირადი კონტაქტი და ახლო ურთიერთობა უთუო გავლენას ახდენდა მწერლის მსოფლმხედველობასა და მის საზოგადოებრივ პოზიციებზე.

უნდა ვიფიქროთ. რომ ამიტომაც იყო მწერლის ლიტერატურული თუ საზოგადოებრივი რწმენა ხალხის ნათელ ძომავალზე ასე მტკიცე და ურყევი რეაქციის გამარჯვების შემდეგაც. სტოლიპინის რეაქციის მძვინვარების პერიოდში იგი ვაჟკაცური შემართებით ამხნევებდა ბრძოლით მოქანცულ მშრომელებს და ბოროტებზე სიკეთის გამარჯვების რწმენას უნერგავდა მათ. „იგი მოვა. ეს ახალი ცხოვრება — ამბობდა მწერალი, — მოვა ახალი სიკეთე, მხოლოდ უნდა დავამსხვრიოთ უსამართლობის სალი კლდე და სინათლისაკენ გავიჭრათ, ახალი ცხოვრებისაკენ საკუთარი ძვლებითაც რომ მოგვიხდეს გზის მოფენა“.[2] ასე ღრმად სჯეროდა კოციუბინსკის სიმართლის გამარჯვებისა.

ხალხთა ბრძოლის იდეას მიხეილ კოციუბინსკიმ ფართო ტილო მიუძღვნა. მოთხრობა „Fata morgana“, უკრაინული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები 1905-1907 წლების რევოლუციაზე. იგი რვა წლის განმავლობაში იწერებოდა.

მოთხრობაში აისახა რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი დროის უკრაინის ცხოვრების სინამდვილე. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე პერიოდი, რომელმაც ხალხისა და ქვეყნის შემდგომ ბედს გარკვეული გზა მიუჩინა.

მოთხრობის პირველი ნაწილი აგვისახავს უკრაინული სოფლისა და გლეხობის მდგომარეობასა და განწყობილებას რევოლუციის წინა პერიოდში. ავტორი კრიტიკული რეალიზმის მეთოდით მომარჯვებული კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოციალურ უსამართლობას ამხელს.

მწერალმა სიუჟეტის საფუძვლად რეალური სინამდვილე აიღო: ეკონომიურმა კრიზისმა გააჩანაგა სოფლის მეურნეობა. დაიწყო შიმშილი. გლეხი იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლი და სარჩო სხვაგან ეძებნა. მომრავლდნენ „ზარობიტჩანები“. სამუშაოს მაძიებელთა ლაშქარი გამწკრივდა სოფლის გზაზე.

ლუკმა პურის საძიებლად გამოსული ხალხი ექსპლოატატორი მემამულისათვის ნამდვილი განძი იყო. მუშახელის სიმრავლის გამო მემამულეებმა იხელთეს დრო და დასწიეს შრომის ანაზღაურების ფასი. გლეხები იძულებული იყვნენ მცირედით დაკმაყოფილებულიყვნენ, მაგრამ სამუშაოს პოვნაც ძნელი გახდა. ეს ფაქტიც ერთგვარად აისახა ნაწარმოებში. საშოვარზე წასული ერთ-ერთი მთავარი გმირი პროკოპი სახლში „დაბრუნდა. ხმა გავრცელდა მას ბედმა გაუღიმაო. ჯერ სამუშაოზე ვერ მოეწყო ხალხი საჭიროზე ბევრი გამოჩნდა, და ფასიც დაეცა, შემდეგ კახოვკაში ავად გახდა და ერთ თვეს იწვა, მერე თავრიისაკენ აიღო გეზი, ხოლო იქედან შავი ზღვის სანაპიროზეც კი მოხვდა. დაბრუნდა ტანზე შემოფლეთილი, ავადმყოფი და უფულოდ“.[1]

„Fata morgana“-ში ავტორმა გლეხთა განწყობილება აგვისახა. ყველა ოცნებობს ბედნიერ მომავალზე, მაგრამ ყველას თავისებურად წარმოუდგენია ხვალინდელი დღეც და ბედნიერებაც. ერთი (სოფლის პროლეტარი ანდრეი ვოლიკი) თავის იმედებს შაქრის ქარხ-

[1] იქვე, გვ. 122.

[2] იქვე, გვ. 48-49.

[1] იქვე, გვ. 29.

ნის აღდგენას უკავშირებს, მეორე (მისი მეუღლე მალანკა) მიწის დანაწილებაზე ოცნებობს და მათზე ამყარებს მთელ იმედებს, სხვა (დაქირავებული მუშა ხომა გუძი) მემამულეებზე შურისძიებასა, მათი კარმიდამოს გადაწვაზე ფიქრობს და ა. შ. ნაწარმოებში საერთო ის არის, რომ ყველა შფოთავს, ყველა ღელავს, ყველა რაღაცას მოლოდინშია. სოფლის გლეხობას მოსალოდნელი ცვლილების გრძნობა ახასიათებს. ეს იყო მოახლოებული რევოლუციის წინათგრძნობა.

მიხეილ კოციუბინსკიმ თავის მოთხრობაში შენიშნა სოფლად მუშა-აგიტატორების გამოჩენა, იგრძნო ახალგაზრდობის ახალი განწყობილებანი, არალეგალური პოლიტიკური ლიტერატურით მისი დაინტერესება, ასახა მოწინავე გლეხობაზე პროლეტარული რევოლუციური მოძრაობის გავლენა. ავტორს არც სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას შორის საბრძოლო კონტაქტის დამყარება გამორჩა მხედველობიდან.

ოდესიდან გამოსახლებული მუშა-სოციალისტი მარკო გუშჩა არის სოფლად ჩამოსული რევოლუციონერის ტიპი, რომელიც პირველად გამოჩნდა მიხეილ კოციუბინსკის შემოქმედებაში და საერთოდ უკრაინულ ლიტერატურაში.

„Fata morgana"-ს მეორე ნაწილზე მუშაობა მიხეილ კოციუბინსკიმ 1910 წლის მარტში დაამთავრა. თვით ცხოვრებამ დაადასტურა რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის როლზე ლენინის შეხედულებათა სისწორე. რევოლუციის შემდგომმა რეაქციამ ვერ გასტეხა ხალხის ნებისყოფა, ვერ შეარყია გამარჯვებისადმი მისი რწმენა. იწყებოდა რევოლუციური აღმავლობის წლები, საზოგადოება ახალი შეტევისათვის ემზადებოდა.

შვიდიოდე წლის ინტერვალი, რომელიც ნაწარმოების მეორე ნაწილის შექმნას აცილებს პირველ ნაწილს, ნაყოფიერი გამოდგა მწერლის მხატვრული ოსტატობის სრულყოფისა და იდეური გამოწრთობისათვის.

კოციუბინსკიმ მოთხრობის მეორე ნაწილში მიზნად დაისახა 1905 წლის რევოლუციაში გლეხთა მონაწილეობის სურათები გადმოეცა. ამის საშაულებას მას ცხოვრებისეული შთაბეჭდილებანი აძლევდნენ. მწერალმა თავისი თვალით იხილა პროლეტარიატისა და მისი პარტიის მეთაურობით წარმართული მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის სცენები, შეიგნო არსებული სოციალ-პოლიტიკური სისტემის რევოლუციური გზით დანერგვის გარდუვალობა, რეალურად გაიაზრა 1905 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა მნიშვნელობა.

მოთხრობაში დიდ ადგილს იკავებენ მასობრივი სცენები — გლეხთა თავყრილობანი, მღელვარება-გაფიცვები, მემამულეთა კარმიდამოს დარბევა თუ სხვა მომენტები, „ფართო პლანით" არის წარმოდგენილი მიტინგები, დემონსტრაციები, სოფლად რევოლუციური პროპაგანდა, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით ღატაკი გლეხების ორგანიზება და სხვა სცენები.

უკრაინულ ლიტერატურაში პირველად მიხეილ კოციუბინსკიმ გვიჩვენა სოფლად მასობრივი რევოლუციური მოძრაობა.

მწერლის ასეთ იდეურ ზრდას ხელი შეუწყო ახალ მხოლოდ და არა იმდენად ცხოვრების მაგალითებმა, არამედ ამ მაგალითების გააზრებისა და განზოგადების გენერალურმა ნიმუშებმა, ვ. ი. ლენინის ღრმა შინაარსიანმა ნაშრომებმა. მისი შრომები დაეხმარნენ მწერალს სოფლად მიმდინარე კლასობრივი ბრძოლების სწორად გაანალიზებაში, გაფიცვის, როგორც პროლეტარიატისათვის დამახასიათებელი ბრძოლის ფორმის, დანახვაში.

ნაწარმოების თვით დასათაურებაში „Fata morgana", რაც ნიშნავს მირაჟს, ზმანებას, ავტორს სურდა მკითხ-

1 იქვე, გვ. 29

ველისათვის დაენახვებია, რომ სიღარიბესა და დაბეჩავებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხს ოცნებად ჰქონდა ქცეული, უბრალო, ადამიანური და მაშასადამე მათთვის ბედნიერი ცხოვრების მოპოვება. მაგრამ, მშრომელი მალანკას ოცნება მიწის საკუთარ ნაკვეთზე, სოფლის პროლეტარი ანდრეისა ქარხნის ამუშავებაზე და მისით ოჯახის გამოკვებაზე, კაპიტალისტურ სინამდვილესთან შეჯახებისას ქრებოდა, როგორც „ზმანება". რევოლუციური აღმავლობის პერიოდში მალანკას მოახლოებული ეგონა ამ ოცნების განხორციელების ჟამი, როდესაც იგი როგორც „ზმანება" მოეჩვენა მას და როგორ დამწუხრდა იგი, როდესაც რევოლუციის დამარცხების შემდეგ „გაჰქრა როგორც მოჩვენება".

თვითმპყრობელური, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების პირობებში ამ ოცნების აღსრულება, რეალურად განხორციელება, შეუძლებელი იყო. საჭირო იყო ხალხის მთელი ენერგიის ამოქმედება, მისი გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა მობილიზაცია და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გალაშქრება, მონობის ციტადელის დამსხვრევა.

რევოლუციურ ლიტერატურის გავლენით მ. კოციუბინსკიმ თავის ნაწარმოებში სოფლისა და ქალაქის მშრომელების კავშირიც ასახა. მარკო გუშჩას კავშირი აქვს ქალაქის რევლუციონერ მუშებთან და რკინიგზელებთან. მათგან იღებს იგი არალეგალურ ლიტერატურასა და პროკლამაციებსაც. „საღგურზე ვიყავი, გაფიცვაა. უკვე მეორე დღეა მატარებელი არ დადის. მუშები შეიკრიბნენ და ბჭობენ... ჩვენც უნდა დავუძახოთ ხალხს".[1] მიტინგზე შეკრებილ გლეხობას მარკო მემამულეების წინააღმდეგ მოუწოდებს: „მიწა ჩვენია, ძველთაგანვე ყოველი მუჭა, ყოველი ვერშოკი ხომ მშრომელთა ოფლით მორწყული, მათი სისხლით არის გაპოხიერებული. ჩამოვართვათ მიწები, და მაშინ ყოველ მშრომელს თავისთვისა და ბავშვებისთვისაც საკმაო პური ექნება".[1]

მარკო გუშჩასა და საერთოდ სოფლად პროლეტარიატის როლის შეფასებასა და მხატვრულად ასახვაში მაქსიმ გორკის შემოქმედებითი გავლენა შეინიშნება. მარკო მოწინავე უკრაინული პროლეტარიატის წარმომადგენელია. გუშჩას უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლები რევოლუციურ საქმიანობაში გაფიიკა და პროკიპ კანძიუბა იყვნენ.

გაფიიკა უკრაინული სოფლის ის ახალი ადამიანია, რომელიც მუშათა გამათავისუფლებელი მოძრაობის გავლენით ყალიბდება. პროკიპ კანძიუბაში ავტორმა უკრაინელი გლეხობის საუკეთესო თვისებანი განასახიერა. იგი ისეთი ადამიანების წარმომადგენლად გამოიყვანა, რომლებიც რევოლუციურ ბრძოლებში შეგნებულად გაჰყვნენ მუშათა კლასს.

ნაწარმოების დადებითი გმირები ავტორს გამოყვანილი ჰყავს არა მარტო როგორც პირველი რუსული რევოლუციის მებრძოლები, არამედ როგორც მომავლის ადამიანები. ასეთი გმირების შექმნა მიხეილ კოციუბინსკისა და მთელი უკრაინული ლიტერატურის განვითარების ახალ ეტაპზე მეტყველებდა.

სტოლიპინის რეაქციის პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიულ-მემამულური წრის ბევრმა მწერალმა უარი სთქვა სინამდვილის რეალისტურ ასახვაზე და ლიბერალმა ხალხოსანმა მწერლებმა უკრაინის სოფლებში განზრახ არ დაინახეს მიმდინარე სოციალური ძვრები, მიხეილ კოციუბინსკიმ ღრმად ჩაიხედა ცხოვრებაში და რეალიზმზე და ხალხურობაზე დაყრდნობით სოციალური თუ პოლიტიკური სინამდვილის ღრმა ანალიზი მოგვცა. მისმა კალამმა ოსტატურად გამოძებნა გამოსახვის მხატვრული ფორმები და იმ დროინდელი ისტორიულ-ნაციონალური თუ სოციალური კოლორიტი წარმოგვიდგინა.

[1] მ. კოციუბინსკი, თხზ. ტ. 2, გვ. 73.

[1] იქვე, გვ. 42.

მიხეილ კოციუბინსკი მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატია. მწერლის ენა მოქნილი და მეტყველია. ყოველი პერსონაჟის მეტყველება, ჟესტი, მიმიკა მხატვრული სახის შინაარსს, მის სოციალურ მდგომარეობას შეესაბამება. გმირის სოციალურ და ფსიქოლოგიურ არსს გვიხასიათებს.

ნაწარმოებში მრავალფეროვანი პეიზაჟი ხშირად აქვს წარმოდგენილი ავტორს. მათი საშუალებითაც გადმოცემულია მოვლენის თუ გმირის ავტორისეული გაგება, ნაწარმოების იდეა. ასე მაგალითად, ნაღვლიანი, ამაღელვებელი შემოდგომის პეიზაჟის კლასიკური ნიმუშია პირველი ნაწილის დასასრული, რომლითაც ავტორს სოფლის ღარიბი გლეხობის გამოუვალი მდგომარეობის სიმბოლური სურათის შექმნა სურს. ასევე „შავი დუმილის „ამსახველი პეიზაჟით მთავრდება მოთხრობის მეორე ნაწილი. ამ შემთხვევაში მწერალი სტოლიპინის შავბნელი რეაქციის სიმბოლიკას გვაძლევს. ხალხთა აჯანყების, მღელვარების ასახვის დროს მ. კოციუბინსკი წითელ ფერებს უხვად იყენებს და სხვ.

გმირთა აზრებისა და განცდების გადმოსაცემად ავტორი დიდი ოსტატობით იყენებს შინაგან მონოლოგს (ასეთია მაგალითად, მალანკას მონოლოგი). მწერლის მიერ ნაწარმოებში გამოყენებული ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები ყურადღებას იპყრობენ თავისი ორიგინალურობითა და სიახლით.

1910 წლის 24 აგვისტოს ცენზორმა შჩეგლოვმა პეტერბურგს შემდეგი შინაარსის მოხსენება გაგზავნა: „განსახილველი მოთხრობა (2-ე ნაწილი) გვიხატავს გლეხთა არეულობას 1905 წელს უკრაინულ სოფელში. მღელვარების წარუმატებლობა გლეხთა შორის სოლიდარობის უქონლობითა და დაურაზმავობით არის ახსნილი... მემამულეთაგან მიწის წართმევის საშუალებად მითითებულია არა მხოლოდ ცეცხლის წაკიდება, არამედ მკვლელობაც (461 გვ.). დახატულია პერსპექტივა სოციალისტური [illegible] „სადაც მდიდრები და [illegible] ნებიან“...

მოთხრობა გლეხთა მასებს აღაგზნებს რუსეთში არსებული საზოგადოებრივი წყობილების დასამხობად. მე მიმაჩნია, რომ იგი... უნდა აიკრძალოს“.[1]

მეფის ცენზორმა სწორად შეაფასა ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობა. რევოლუციური მოძრაობის ეპოპეის შექმნით მიხეილ კოციუბინსკი თავადაც აქტიურად მონაწილეობდა სოციალ-დემოკრატთა ბრძოლაში თვითმპყრობელური სისტემის წინააღმდეგ.

1905 წლის რევოლუციის შემდგომ გამეფებული რეაქციის პერიოდში მწერალი ბრძოლის ახალ ფორმებს ეძიებს. მან იცის, რომ „შავი სიჩუმის“ დროს დაპატიმრებებითა და გადასახლებებით, მასობრივი დარბევებითა და აწიოკებით დამფრთხალ ბურჟუაზიულ-მემამულური ინტელიგენციის ნაწილში გაძლიერდა დაცემულობისა და კაპიტულანტობის განწყობილებანი. „საზოგადოება დამფრთხალია, დაშინებულია, დაღლილია. ზის გატეხილი ვარცლის წინ და აპათიურად, უიმედოდ შესცქერის მის წინ აღმართულ კედელს“.[2] ასე ახასიათებდა კოციუბინსკი შავრაზმელთა პარპაშის გავლენას საზოგადოებრიობის ზოგ ფენაზე.

რეაქციამ თავისი კვალი გაავლო ლიტერატურასაც. კვლავ ამოტივტივდნენ ბურჟუაზიული ბანაკის მწერლები, რომელთა შემოქმედებაშიაც გაბატონებული იყო ამორალიზმი, მისტიკური განწყობილებანი და სხვ. ნაციონალისტური შინაარსის ჟურნალები კოციუბინსკისათვის უცხონი იყვნენ. იგი აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პრესის ორგანოებს „გრომადსკაია დუმას“. „რიდნი კრაი“, „ბერშენ“ და სხვ. და წერდა „ჩვენი გე-

---

1 უკრაინის სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 295, ს. 216, ფურ. 31

2. კოციუბინსკი, ტ. 3, გვ. 209.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვნებით — ყველაფერი ეს უფერული, უინტერესო, შეხედულებათა ფართო ჰორიზონტებს მოკლებულია... ცხედრებს გვანან".

უკრაინელი ნაციონალისტები არაერთგზის ცდილობდნენ ჩაებათ მიხეილ კოციუბინსკი ნაციონალურ გაზეთ „რადას" რედკოლეგიის მუშაობაში, სთავაზობდნენ მაღალ ხელფასსა და „კარგ" პირობებს. მწერალმა აღშფოთებით უარყო მათი წინადადება და კვლავაც განაგრძო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტების მხილება.

მიხეილ კოციუბინსკი მკვეთრად ემიჯნებოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ უკრაინის დეკადენტ მწერალთა დაჯგუფებებს. ამხელდა მათი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ანტიხალხურ ხასიათს და თავის ყურადღებას ჭეშმარიტად ხალხთა ბედნიერებისათვის მებრძოლ ადამიანებს მიაპყრობდა. უკრაინელი და რუსი სახალხო მწერლები კოციუბინსკის აღტაცებას იწვევდნენ. „გიხარია. — წერდა იგი გნატიუკს, — როდესაც კითხულობ სტეფანიკს, კობილიანსკაიას, მარტოვიჩს"[1]. განცვიფრებული ვარ „ნათელი პიროვნების" ივანე ფრანკოს „გონებითა და ნიჭით"[2].

ვ. კოროლენკოს ნაწარმოებებს იგი „საოცრად გასაგებსა და დიადი მხატვრის მიერ საოცრად მართლად ასახულ ცხოვრების წიგნებად"[3] თვლიდა.

მიხეილ კოციუბინსკის ჯერ კიდევ 80--90-იან წლებში დაწერილ ბარათებში ჩვენ ვხვდებით გამოჩენილი რუსი მწერლების, განსაკუთრებით კი გლებ უსპენსკის აღფრთოვანებულ შეფასებას. სალტიკოვ-შჩედრინს მწერალი დიდ პატივს სცემდა და მისი შემოქმედების სატირულ სახეებსა და გამოთქმებს ხშირად იყენებდა ხოლმე. რუსული ლიტერატურა მას ყოველთვის მიაჩნდა ხალხის სამსახურის დიად მაგალითად და საერთოდ უკრაინული ლიტერატურის მძლე განვითარება მას რუსულ ლიტერატურასთან შემოქმედებითი კავშირის გარეშე შეუძლებლადაც კი მიაჩნდა.

სრულიად განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი იყო მაქსიმ გორკისადმი მწერლის სიმპათიები. 1903 წელს მან თავისი მოთხრობების კრებული გორკის, ჩეხოვისა და კოროლენკოს გაუგზავნა.

მაქსიმ გორკისა და მიხეილ კოციუბინსკის შემოქმედებაში საერთო იდეურ-თემატურმა პოზიციებმა უკრაინელ მწერალს გაუღვივეს რევოლუციური საზოგადოებრიობის „აზრთა მეუფის" ნახვის სურვილი. 1909 წლის გაზაფხულზე ძლივს-ძლივობით მოგროვილი თანხით ავადმყოფი კოციუბინსკი იტალიაში კუნძულ კაპრისაკენ გაემგზავრა. პოლიტიკური ემიგრანტი მაქსიმ გორკი იმჟამად იქ ცხოვრობდა.

1909 წლის 2 ივნისს კუნძულ კაპრიზე ერთმანეთს შეხვდნენ ისინი. კოციუბინსკი შემდეგში ასე იგონებდა ამ შეხვედრას: „მე ხელგაშლილი მიმიღეს. იგი მე მიცნობს ლიტერატურის მეშვეობით, და თურმე, მაფასებს".[1] ხოლო გორკის ოჯახის ერთ-ერთი წევრი ი. ა. ქელიაბუჟსკი შენიშნავდა: „როგორც კი მიხეილ მიხეილის ძემ სთქვა, თუ ვინ იყო იგი, გორკი სწრაფად მივიდა მასთან, გაიღიმა და, მხურვალედ, დიდხანს ართმევდა ხელს, თან ამბობდა: „რა კარგია! რა შესანიშნავია!" შემდეგ უეცრად უფრო მიუახლოვდა და მიხეილ მიხეილის ძეს მოეხვია. აღელვებულმა კოციუბინსკიმ გაიღიმა, და უცბად გახდა გასაგები, რომ თუმცა ისინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, ორივეს უყვართ ერთიმეორე და ღრმა პატივს სცემენ ურთიერთს!"[2].

კოციუბინსკისა და გორკის შორის მალე დამყარდა მეგობრული და შემოქმედებითი თანამშრომლობა. „ჩვენ დავმეგობრდით უცხო მხარეში, —

კოციუბინსკი, თხზ. ტ. 3, გვ. 176.

2. იქვე, გვ. 187.

3. იქვე, გვ. 112.

1 მ. კოციუბინსკი, წერილები ო. ი. ალპაქსინისადმი, კიევი უკრ. მეცნ. აკადემია 1938 წ. გვ. 111.

2 „ლიტერატურნაია გაზეტა", 1946. 22 აგვისტო.

წერდა იგი, ლ. ა. ალპაქსინას, — ბევრი საერთო ინტერესი გვაქვს, ბევრს ვსაუბრობთ ჩვენთვის ახლობელ ლიტერატურულ თემებზე"[1].

მეგობრებისა და ნათესავებისადმი კაპრიდან გამოგზავნილი სხვა მრავალ წერილში უკრაინელი მწერალი მადლიერების გრძნობით იგონებს იმ გულითად შეხვედრას, იმ სითბოს, რომელიც მან მაქსიმ გორკის სახლში იგრძნო.

მაქსიმ გორკიც ასეთივე სიხარულს განიცდიდა კოციუბინსკისთან შეხვედრის გამო. „ჩვენი ურთიერთობა, — იგონებდა მ. გორკი, — გაცნობის პირველივე დღეებიდან უაღრესად მეგობრული და მტკიცე გახდა. ერთმანეთს ვუკითხავდით ჩვენს ნამუშევრებს (შავად დაწერილ ნაწარმოებებს, გადაუთეთრებელ ნაწარმოებებს), და ორივენი ძალზე გულწრფელად ვეუბნებოდით ერთიმეორეს, თუ თითოეული ჩვენგანი რას ფიქრობდა მეორის ნამუშევარზე. თუ ვიტყოდით „გავლენაზე", იგი, ალბათ, ორმხრივი იყო"[2].

ამ ორი მწერლის მეგობრობა არ იყო შემთხვევითი მოვლენა. იდეური ვზების ძიებამ უკრაინელი მწერალი მიიყვანა გორკისთან, რომელმაც ჯერ კიდევ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში უდიდესი მხატვრული ძალით განასახიერა მშრომელი ხალხის რევოლუციური მისწრაფებანი. სწორედ გორკის ცხოვრებასა და შემოქმედებაში იპოვა კოციუბინსკიმ თავის შეხედულებათა და სწრაფვათა განხორციელება. პროლეტარიატის დიდი მწერალი კოციუბინსკის მეგობარი და მასწავლებელი ხდება, მისი შემოქმედება კი უკრაინელი მწერლის ნაწარმოებთა მხატვრულობის ეტალონი (კრიტერიუმი). გორკის ინიციატივით უკრაინელი მწერლის ნაწარმოებები იბეჭდებოდა გამომცემლობა „ზნამიაში", 1911 წლისათვის ამ გამომცემლობაში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა კოციუბინსკის ... ორი ტომი. ბოლშევიკურმა გაზეთმა „ზვეზდამ" მაღალი შეფასება მისცა ამ ნაწარმოებებს; პირველი ტომის გამოცემას ასევე მიესალმა მაქსიმ გორკიც: „თქვენი წიგნი დიდი სიამოვნებით, სულიერი კმაყოფილებით წავიკითხე"[1]. ატყობინებდა იგი ავტორს.

მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი და ჭეშმარიტი მოქალაქე მიხეილ კოციუბინსკი უკრაინული ლიტერატურის წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას გრძნობდა. იგი ბეჯითად ადევნებდა თვალს ახალგაზრდა ლიტერატორთა შემოქმედებით მოღვაწეობასა და ზრდას, ზრუნავდა მათზე და ხალხის სამსახურისათვის აწრთობდა მათ. მწერალმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ახალგაზრდა ლიტერატორები და ჯერ „შაბათობებზე", ხოლო შემდეგ „ორშაბათობებზე" ესაუბრებოდა მათ ლიტერატურისა და ცხოვრების საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე. ამ „შაბათობებს" ესწრებოდა მაშინ დამწყები პოეტი პავლო ტიჩინა, რომელშიაც კოციუბინსკიმ ნიჭიერი შემოქმედი დაინახა და მზრუნველი ხელით დააყენა კიდეც შემოქმედების სწორ გზაზე.

1912 წლისათვის კოციუბინსკი ავადმყოფობამ ლოგინად ჩააგდო. 1913 წლის 25 აპრილს კი დიდი მწერალი გარდაიცვალა.

უკრაინელ ხალხთან ერთად რუსეთის სხვა ხალხებმაც მძიმედ განიცადეს ეს დანაკარგი. გაზეთებმა დაბეჭდეს ნეკროლოგები, რომლებშიაც უკრაინელ მწერლისადმი თავიანთი ხალხის ღრმა სიმპათიები გამოხატეს. მაქსიმ გორკიმ კაპრიდან გამოგზავნა დეპეშა.

კოციუბინსკის საფლავზე მრავალი წითელლენტიანი გვირგვინი იდო. ერთ მათგანზე მ. გორკის დეპეშიდან ამოღებული სიტყვები იყო წარწერილი: „ადამიანი მოკვდავია, ხალხი უკვდავი".

---

1 მ. კოციუბინსკი, წერილები ო. ი. ალპაქსინისადმი. კიევი, 1938 წ. გვ. 115.

2 „ლიტერატურნაია გაზეტა", 1934 წ.

1 მ. კოციუბინსკი. თხზ. ტ. 3, გვ. 350.

ბიბლიოთეკა

იწერეგოდა სისხლით

ამ ბოლო წლებში საბჭოთა კავშირში დიდძალი მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოები დაიწერა სამამულო ომის თემაზე. თავიანთ მემუარებს აქვეყნებდნენ სახელმოხვეჭილი სარდლები და საბჭოთა კავშირის განთქმული გმირები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უსახელო გმირთა მოგონებებიც, რომლებშიც გადმოცემულია ჰიტლერელთა ხელში ტყვედ მოხვედრილთა ბედი, მათი შეუდრეკელი ბუნება და უჩინარი, მაგრამ თავდადებული ბრძოლა თავისუფლებისათვის. მაიდანეკისა და ბუხენვალდის, ოსვენციმისა და დახაუს, მაუტჰაუზენისა და ლიუბლინის, რავენსბრუკისა და შტუტჰოფის სიკვდილის ბანაკში გამომწყვდეულ და იღბლად გადარჩენილ ადამიანებს კი აქვთ მოსაგონარი და გასახსენებელი.

ბევრი ქართველი მწერალი მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, ბევრმა იწვნია ცივი სანგრები და დენთის მწვავე ბოლი. პირველ რიგში, სწორედ მათ ევალებათ ხელი მოჰკიდონ ამ თემის დამუშავებას ქართულ პროზაში. ომგადახდილ მწერალთა მემუარული წიგნები არა მარტო ფაქტობრივ-ისტორიული მასალა იქნება, არამედ მხატვრული პროზის ნიმუში, რომელსაც ინტერესით გაეცნობა ჩვენი მკითხველი. ამ მხრივ საყურადღებოა გიორგი ქავთარაძის „ჯარისკაცის ჩანაწერები". „ჯარისკაცის ჩანაწერები" სცილდება მემუარული ლიტერატურის ფარგლებს. ავტორს თავისუფლად შეეძლო რომანი ეწოდებინა მისთვის. ტყვედყოფილი ავტორის თავგადასავალის სიუჟეტური ხაზის განვითარება, პერსონაჟების გამოკვეთილობა, ოსტატურად დაწერილი ცალკეული პასაჟები, ლირიკული გადახვევები ნამდვილად რომანს უთანაბრებს „ჯარისკაცის ჩანაწერებს".

აქ, მართლაც, მთელი გალერეაა სხვადასხვა ხასიათისა და ტიპებისა. ვის არ შეხვდება კაცი დროებით ოკუპირებულ ტერიტორიასა თუ საკონცენტრაციო ბანაკებში, ფაშისტური გერმანიის ზურგსა თუ სარეპატრიაციო ჯგუფებში. „ჯარისკაცის ჩანაწერებში" თითქმის რვა ათეულამდე სხვადასხვა მნიშვნელობის პერსონაჟია, რეალურად არსებული ადამიანები, თავიანთი ნამდვილი ბიოგრაფიებითა და ინდივიდუალური თავისებურებებით. რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირი მხატვრული სიძლიერით არ არის დახატული. ავტორი უფრო მკვეთრად, უფრო გამომსახველად იმ პერსონაჟებს ეხება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ თხრობისათვის. მაგრამ მეორე-მესამე ხარისხოვან გმირებისათვისაც კოლორიტული შტრიხებია გამონახული.

ავტორი დიდი სიყვარულით იხსენიებს თავის თანამებრძოლებს — ტყვედყოფილ საბჭოთა ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, თავისი სულიერი და ფიზიკური ტრაგედიის თანაზიართ, რომლებიც უსაშინელეს წუთებშიაც არ ჰკარგავენ სიმტკიცესა და მომავლის იმედს. სხვადასხვა ეროვნების, ასაკის, განათლების, სარწმუნოების, მისწრაფებების ადამიანებს ადუღაბებთ სამშობლოს მხურვალე სიყვარული, მტრის დაუოკებელი სიძულვილი და გამარჯვების რწმენა. კაცთმოძულე ნაცისტებთან ტყვეობის უმძიმეს ჭაპანს ეწევიან, მხნეობას არ კარგავენ და თავისუფლებისათვის იღწვიან ქართველები: ანთიძე და ბურჯანაძე, ვარდანიძე და ლალუაშვილი, ნიკურაძე და ნუცუბიძე... უკრაინელები: ცარენკო და გრიცენკო... სომხები: არუთინიანი და გუკასიანი, ბაგრამიანი და აბალიანი... რუსი ბალიკირევი და თურქმენი კაკაბაი, უზბეკი გაიბოვი და ვინ იცის, კიდევ რამდენის სახელი და გვარი დღეს ავტორს აღარ ახსოვს და მხოლოდ ასე იხსენიებს: „ლენინგრადელი ოფიცერი", „გურული ბიჭი", „ახალგაზრდა რუსი", „ებრაელი ექიმი", „ტყვე თათარი", „ყირიმელი რუსი", „მეწაღე რუსი" და სხვ. მაგრამ ესენიც რელიეფურად და დასამახსოვრებლად არიან გამოკვეთილნი. მკითხველს განა დაავიწყდება ახალგაზრდა რუსი ჯარისკაცი, რომელმაც ოქროსსაფასური წყალი თავისი მათარიდან გადაუსხა ავტორს, ანდა წყურვილისაგან გაგიჟებული გურული ბიჭი, კამეჩივით რომ ჩაწვება მდინარეში; ან ლამაზი ებრაელი ექიმი—ქალი, რომელიც ხან ჰოვანესიანის, ხან რიზა-ზადეს გვარით ემალება ნაცისტებს და ფარვანასავით დასტრიალებს ტყვეობაში შეძენილ პირმშოს; ან კიდევ რუსი „მეწაღე", რომელიც ვეღარ მოითმენს, როიალს მიუჯდება და ბრწყინვალე პიანისტი აღმოჩნდება...

„ჯარისკაცის ჩანაწერებში" არა ნაკლები სიძლიერითაა გამოაშკარავებული ფაშისტი ჯალათების „მოღვაწეობა". აი, სერჟანტი ადოლფი, რომელსაც „ადამიანის მოკვლა შირდა, ჰკლავდა და ვერ ძღებოდა", მას „კაცის მოკვლა იმდენ ხანს ჰყოფნიდა, რამდენ ხანსაც პ.

გიორგი ქავთარაძე, „ჯარისკაცის ჩანაწერები", 1963 წ. „ნაკადული".

პიროსის მწეველს ჰყოფნის ერთი ცალი პაპიროსის მოწევა“... ბანაკის უფროსი ესესელი რიპარდ ჰაინერი — „წერა-კითხვის უცოდინარი, ყოფილი მოკრივე“, ლოთი და გარყვნილი, პირუტყვი და ჯალათი... გამყოლი ეფრეიტორი თავისი განუყრელი მგელ-ძაღლათი, რომელიც „პატრონზე სიმპათიური იყო...“ პირწავარდნილი სპეკულანტი და ადამიანთა მოძულე ლაჩარი ცალმეისტერი.. მაგრამ ომგადახდილი და ტყვედნამყოფი მწერალი არ წავიდა იოლი გზით. მართალია, „გოეთესა და შილერის, ბეთჰოვენისა და ჰეგელის ერმა წარმოშვა ამ ჯოჯოხეთის დამაარსებელნი“, მაგრამ ამავე ერს ჰყავდა ღირსეული შვილებიც. მათ არ მოსწონდათ, სძულდათ ნაცისტები. ისინი ხშირად უდიდეს რისკზე მიდიოდნენ და ყოველნაირად ეხმარებოდნენ ტყვეებს, ზოგი შეგნებულად, ზოგიც შეუგნებლად (ახსენდებოდათ ფრონტზე მყოფი შვილები და ქმრები, მამები და ძმები). მათ რიცხვშია სამხედრო სკოლის უფროსი ობერლეიტენანტი, რომელიც გულღიად ეუბნება ტყვეს: „სადღაა გერმანია, გერმანია აღარ არსებობს, ამჟამად არამზადები მართავენ გერმანიას“, და რომელსაც შემდეგ ჰიტლერელებმა საკონცენტრაციო ბანაკში უკრეს თავი, კომუნისტობა დასწამეს.. მათ რიცხვშია გერმანელი გუშაგი, კონსერვატორიის ყოფილი სტუდენტი, გატაცებით რომ უსტვენს მთვარიან ღამით და ბადრაგად ტყვესთან მიმავალი თვითონ ჰგავს ტყვეს... მათ რიცხვშია კომპოზიტორი შტოლი, მისი ქალიშვილი შარლოტა — ტყვეების კეთილი ანგელოზი, მხატვარი კარლ შმიდტი, სოფლელი გლეხი და სხვ.

მოწინააღმდეგეთა ბანაკში არიან მესამე კატეგორიის ადამიანებიც, რომ იტყვიან — „არც აქეთ, არც იქით...“ ისინი ემსახურებიან ფაშიზმს, მაგრამ დარწმუნებული არიან გარდაუვალ მარცხში, შიშს განიცდიან და ყველაფერს გულგრილად უყურებენ. ასეთებია: კომენდანტი მაქსი, კლარნეტისტი ფელდფებელი, გერმანელი ველოსიპედისტი, ყასაბი ფელდფებელი... მათი მრწამსი ნათლადაა გამოთქმული ამ სიტყვებში: „რა კარგი იქნებოდა, ახლა რომ მე ჩემს ოჯახში ვიყო, თქვენ კი თქვენს ოჯახებში“.

როგორც ყოველი მემუარული ჟანრის ნაწარმოებში, აქაც ავტორისეული „მეა“ წინა პლანზე წამოწეული, თავისი მწუხარებითა და სიხარულით, გაჭირვებითა და დალხინებით, ოცნებითა და მიზნებით, სამშობლოს სიყვარულითა და მოგონებებით... ავტორისეული „მეს“ სახით მკითხველის თვალწინ ცოცხლდება შტკიცე ნებისყოფის, სპეტაკი ბუნების, პოეტური სულის, გამტანი ქართველი ვაჟკაცი, რომელმაც წლები გაატარა ფაშისტურ ჯოჯოხეთში ნომრით 157759.

„ჯარისკაცის ჩანაწერებში“ არის ოსტატობით შესრულებული რამდენიმე ეპიზოდი, რომლებიც დიდხანს გაჰყვება მკითხველის გონებას: უკრაინელი მშრომელების დამოკიდებულება ტყვეებისადმი, გერმანელი სერჟანტის ფაღრეულოვი ორთაბრძოლა ქართველ ტყვესთან, ჭაბუკი მახათაძის სიკვდილი, ტყვე თათარის კისერზე შემოხვეული ორდენიანი ყელსახვევი, ძმები ჟორჟოლიანების საბედისწერო შემთხვევა, ბაგრამიანის გულშიჩამწვდომი სიმღერა, გერმანელ გლეხთან ვახშმობა ბაღში, ფაშიზმით მოწამლული ბავშვების მიერ პაპიროსის ნამწვავების ფეხით გასრესა და სხვ. მკითხველს აუცილებლად ჩარჩება ხსოვნაში ტყვეთა მიერ წყურვილის განცდა, მარილის სიყვარული და პაპიროსის სურვილი... ახლა კი მწერლის „სამუშაო ოთახი სავსეა თამბაქოს ბოლით“, იგი „ვერ იტანს დაბნეულ მარილს“ და „ბავშვივით ეთამაშება მოჩხრიალე წყალს“. უკან დარჩა ნაცისტების ტყვეობაში გატარებული მძიმე წლები. უკან დარჩა ცოფიანი ჰიტლერის უკულმა ხსენება — „ფლოდა რელტიპ“ და საიდუმლო პაროლი „ეცნლოს“ — „სოლნცე“... უკან დარჩა სტარობელსკისა და გლუბოკას, ბელაიაცერკოვისა და სლავუტის, ბელიფელდისა და ციპენგაინის, ვაილბურგისა და მაინის ფრანკფურტის ტყვეთა ბანაკები. დაიწერა უკანასკნელი ბარათები გერმანელი მეგობრებისადმი: „წუთისოფელი ასეა, ღამე დღეს უთენებია, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“.

გ. ქავთარაძის წიგნში ხშირია სიმბოლურად გააზრებული სახეები: გათხრილი სამარის მოჩვენება შტოლის ყვავილნარში ბარით მუშაობისას, სასაფლაოზე ნაყუმბარევი ორმოს პირას ამოსული ლურჯთვალა ყვავილი, ქათმების სკორეთი წაბილწული ბერლინური მისამართი იმერეთის სოფელში და ა. შ. „ჯარისკაცის ჩანაწერებში“ არც ისე იშვიათია თვალმახვილად შემჩნეული ყოფითი დეტალები, ლამაზი შედარებები: „დაუბერავდა ქარი აკარდნილ ალსა და კვამლის ღრუბლებზე ალისფერ ატლასს აფენდა“; „თოვლივით თეთრი უკრაინული სახლები შავ ღამეს ღილებივით დაებნა გულზე“; „მაგრამ სიბნელეს ყუმბარების გადაქროლვა წამდაუწუმ უხელდა თვალს“; „გაცივებული ტყვია ჩემს ქუდში მკვდარ ხოჭოსავით ეგდო“; „ყინვა მშიერი მგელივით მოგვახტა და ჭამა დაგვიწყო“; „დანგრეული კრეშჩატიკი ჭრილობასავით აჩნდა ქალაქს“; „ფარაჯა... დაჭრილ ჯარისკაცივით დაეცა შუა გზაზე“; „ალაგ-ალაგ დაკარგული მანდილებივით ეგდო თოვლის ნაგლეჯები“ და სხვა.

მარჯვედ ჩართული ლექსთა ნაწყვეტები, აქაიქ გამოყენებული მსუბუქი ჰუმორი და ლირიკული კადახვევები მეტ სიცოცხლესა და სითბოს მატებენ ამ კარგ ნაწარმოებს.

ალ. სანადირაძე

სულხან საბა ორბელიანის III ტომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულხან ორბელიანი ორმოცი წლისა იყო, როცა გარეჯის მონასტრის კარი შეაღო და საბას სახელით ბერად აღიკვეცა.

გამოჩენილი მეცნიერის, მწერლის და სახელმწიფო მოღვაწის ბერად აღკვეცის მიზეზი XVIII საუკუნის მიწურულში ქართლის სამეფოში გაჩაღებული ძმათა მკვლელი, ქვეყნის მაოხრებელი ბრძოლები იყო. სახელოვანი გიორგი მეთერთმეტის ირანში იძულებითი წასვლის შემდეგ, რომელსაც სულხანი მხარში ედგა და მის ჩანაფიქრთა განხორციელებისათვის იღვწოდა, ორბელიანისათვის ყველა გზა (პატიოსნური გზა!) მოჭრილი აღმოჩნდა: ერეკლე პირველის (ნაზარალიხანის) პოლიტიკას — სპარსელთა წინაშე უსიტყვოდ ქედის მოხრას — ის ვერ შეურიგდა, შინაურ და გარეშე მტერთა წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება კი იმ მძიმე წლებში შეუძლებელი შეიქმნა; ამიტომ საჭირო გახდა „მუხთალი წუთისოფლისაგან“ დროებით თავის განრიდება, სულიერი ძალების მოკრება და ხელსაყრელ მომენტში აღორძინებისათვის ბრძოლის განახლება.

დავით გარეჯის სავანეს შეაფარა ს. ორბელიანმა თავი. მაგრამ იყო თუ არა მისთვის მონასტერი მართლაც „სავანე“, ისეთი ადგილი, სადაც ბრძენი ქართველი „სოფლის ამაოებით“ დამაშვრალი, ყველაფერზე ხელს აიღებდა და მარტო ლოცვებით ეზიარებოდა უზენაესს? საბედნიეროდ, არა!

ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც გულდასმით გაეცნობა სულხან საბა ორბელიანის თხზულებათა მესამე ტომს.

ფართო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“, „ქართული ლექსიკონი“, „მოგზაურობა ევროპაში“, „ქილილა და დამანას“ გაჩალხვის ისტორია, მაგრამ „სწავლანის“ შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობდა. ამით იმის თქმა კი არ გვსურს, თითქოს, ძეგლი სრულიად უცნობი იყო ჩვენს ლიტერატურაში. მას თავის დროზე შეეხნენ პ. კარბელაშვილი, მ. ჯანაშვილი, გ. ლეონიძე, ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ი. ლოლაშვილი, ლ. მენაბდე, ნ. კანდელაკი, სიმონ სხირტლაძე და სხვ. დასახელებული მკვლევარები ამ ძეგლს სხვადასხვა თვალსაზრისით განიხილავდნენ და ერთხმად აღიარებდნენ მის დიდ ღირსებას.

რას წარმოადგენს „სწავლანი“? ესაა კრებული ქადაგებათა, რომლებიც დავით გარეჯის მონასტერში სხვადასხვა დროს დაუწერია და წარმოუთქვამს ს. ორბელიანს მსმენელთა წინაშე. . შთამომავლობისათვის მის შენახვას ჩვენ უნდა კუმადლოდეთ სულხანის ძმას ზოსიმეს, რომელსაც თხზულება მთლიანად გადაუწერია 1729 წელს მოსკოვში (იგი ვახტანგ მეექვსის ამალას გაჰყვა რუსეთში).

კრებულში სულ 46 ქადაგებაა, რომლებიც ადამიანის სულის განსპეტაკებას და მაღალი მორალური თვისებებით აღზრდას ისახავს მიზნად. ბევრგან არის მოთქმა და ღაღადისი ქრისტიანული სულისა და მრწამსის დაცვის საჭიროების შესახებ, წუხილი ამქვეყნიური ცხოვრების ამაოებასა და წარმავლობაზე, ფოწოდება მარადიული საიქიო ცხოვრების მოსაპოვებლად, ჩვენება სააქაო დიდების არარაობისა.

ამ ქადაგებებში მარტო ეს რომ იყოს, „სწავლანი“ ჩვენთვის ნაკლები ღირებულებისა იქნებოდა. საბედნიეროდ ეს ასე არაა, და ამიტომაც, ყველა მკვლევარი ერთხმად აღნიშნავს, რომ ქადაგებები პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, ეროვნული თავისუფლების მოპოვებისა და სოციალური ურთიერთობის მოწესრიგების შესანიშნავ იდეებს შეიცავს.

ამდენად ს. ორბელიანი არაა ისეთი მოღვაწე, რომელიც მარტო „სულზე“ ზრუნავს, რომელიც სრულიად უარყოფს სააქაო ცხოვრებას, ადამიანს ყოველივე ადამიანურზე ხელის აღებას უქადაგებს და ეს მიაჩნია „სამოთხეში“ მოხვედრის გზად.

მის ქადაგებებს უმთავრესად სხვა დანიშნულება და მიზანი ჰქონდა: ქრისტიანობის შენარჩუნების ქადაგებით — ქართველობის შენარჩუნება, მორალური სისპეტაკის დაცვით — ჩვენი ხალხის სულიერი გადაგვარებისაგან გადარჩენა.

ამიტომაც „სწავლანის“ გაცნობის შემდეგ თვალწინ წარმოგიდგება მორწმუნე ქართველი კაცი, რომელიც თავის წინაპრებივით ცდილობდა ერთმანეთისათვის შეეგუებინა სააქაო ცხოვრება ყველა თავისი სიამტკბილობით და ვაებით საიქიო ცხოვრებაზე ზრუნვასთან.

ეს ასე იყო ნორმალურ პირობებში. მაგრამ როცა წონასწორობა ირღვეოდა და ქართველების სააქაო ცხოვრება ჩვენთვის უცხო მაჰმადიანური მიდრეკილებებით და ზნე-ჩვეულებებით იწყებდა გარყვნას, მაშინ ქართველს განსაკუთრებით შთააგონებდნენ ეზრუნა სულზე, ეფიქრა საიქიო ცხოვრებაზე, ქრისტიანულ მრწამსზე, რადგან, ბოლოს და ბოლოს სულზე ზრუნვა ქართველისათვის სხვა არაფერი იყო, თუ არა ქრისტიანად დარჩენა, ქრისტიანად დარჩენა კი — ქართველად დარჩენას, საქართველოსათვის თავდადებულ მამულიშვილად დარჩენას ნიშნავდა.

სულხან საბა ორბელიანი, III ტ., გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონები დაურთო ივანე ლოლაშვილმა, რედ. აკად. კ. კეკელიძე, საბჭოთა საქართველო, 1963.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქრისტიანობას ჰქონდა საკუთრივ ქართული გაგება, რაც საკმაოდ კარგად ჩანს ქართულ მწერლობაში. ეს უწინარეს ყოვლისა გამოიხატება: 1. ქრისტიანი ქართველის განდეგილობისადმი, ასკეტიზმისადმი უარყოფით დამოკიდებულებაში. 2. სააქაო და საიქიო ცხოვრებაზე ზრუნვის ისე შეხამებაში, რომ უპირატესობა ფაქტიურად ყოველთვის სააქაო ცხოვრებას ეძლეოდა. 3. ქართველ საერო და სასულიერო პირთა ქადაგებებში, რომლებიც მსმენელთ „მარადიულ“ ცხოვრებას მოაგონებენ, ყოველთვის ხაზგასმულია, რომ ადამიანებს ამქვეყნიური, სააქაო ბედნიერება არ ეკრძალვით, პირიქით, ამისაკენ მოუწოდებენ კიდეც.

როცა სოფლისა და სიმდიდრის ამაოებაზე მიუთითებდა, საბა ებრძოდა მერყეულ და გადაგვარებულ ქართველებს, რომლებიც სხვადასხვა მოსაზრებით რჯულს იცვლიდნენ და ამით ქართველობას კარგავდნენ.

„თქვენ, ქრისტიანნო... წახვალთ მცირედისა ნიჭისათვის (სიმდიდრისათვის —მ. კ.), გინა მეზობელთა შურისათვის ნებსით თვისით დაუტევებთ სჯულსა ქრისტესსა. ვის დაუტოვებთ და სადა წარხვალთ!“ (გვ. 176).

ეი ეს კითხვა ძალიან მწვავედ დააყენა სულხანმა ქართველთა წინაშე და ბევრი ჩააფიქრა, სინდისის ქენჯნა აგრძნობინა.

სხვა მხრივ ს. ორბელიანი, როგორც აღვნიშნეთ, ის ქართველია, რომელიც ქრისტიანობის დაცვისაკენ (და ამით ქართველობის შენარჩუნებისაკენ) მოუწოდებს თანამემამულეებს და სააქაო ცხოვრებასაც არ უკრძალავს.

ამის ბრწყინვალე დადასტურებაა „სწავლა მიცვალებისათვის ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისა და მარადის ქალწულის მარიამისი“ (გვ. 191).

მარიამის სახე სულხანს საშუალებას აძლევს გაგვიმეღავნოს, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი ამ ქვეყნად. მარიამის „ნებისყოფის“ (ე. ი. მისი მისწრაფების, ნების) განხორციელებისათვის უნდა ვიღწოდეთ. როგორ ესმის სულხანს ეს „ნებისყოფა“?

ესაა „კეთილის ყოფა და ყოველივე სათნოება და ქველის მოქმედება“. ს. ორბელიანი აფრთხილებს მსმენელს: „ნუ ჰგონებთ: გეტყოდე ძნიადსა რასამე, ანუ სოფლისა ამის დატევებასა“, ე. ი. მისი აზრით, კეთილის ყოფა შეიძლება, სათნოების თესვა შეიძლება, ქველის (მოწყალების,სიკეთის—მ. კ.) მოქმედება შეიძლება ისე, რომ ამისათვის სრულ ‹დაც არაა საჭირო ამ სოფლის „დატევება“ (უარყოფა).

შესანიშნავია ის შეგონებანი, რომლებითაც სულხანი მიმართავს ადამიანს: „არა გეტყვი არა-სმასა, არა-ჭამასა, ანუ შიმშილითა მოყმობასა, არამედ გეტყვი ლხინსა არა-ბრალოვანსა, ჭამასა უნაყოვნოსა და სმასა დაუთრობელსა... ნუ ჰგონებთ თუ გეტყოდეთ არა-ჭაცმასა, არცა დახურვასა, არა კეთილთა შემოსვასა, გინა შიშველობითა ვლასა უპატიოსნოდ, გეტყვი ჩაცმასა უცოდველად, დახურვასა არავალითა, მოკაზმვასა არა-ნატაცებითა, შემოსვასა არა-ქვრივთა და ობოლთა ნაძარცვითა. სამკაულთა შესხმასა არა ანგარებითა, არამედ ყოველითა სამართლითა...

არა გეტყვი თვალთა და მარგალიტთა უქონლობასა, არცადა ვერცხლთა განგდებასა, არამედ რათა იცნა საქმენი მისნი და არა დაამონნეთ ცხოველნი თვალნი მკვდარსა მას, სულიერნი—უსულოსა მას. და იგინი იყოს სახმარად თქვენდა და თქვენ არა მსახურ მათდა...

არა გეტყვი ნათესავთა თქვენთა მეგობართა მოძულებასა და მათსა არა-სიყვარულსა, არამედ გეტყვი სიყვარულსა სულიერსა და სიყვარულსა სიწმინდისა და სიმართლისასა...

გესმისთა, არავის დაგიშალე სოფლისა ამის სიყვარული?

ხედავთა, არავინ განგაყენე საწუთოისა ამის დიდებისაგან?“ (გვ. 194-195).

ეს არაა წუთისოფლის გინება, ცხოვრებისაგან განდგომის ქადაგება. პირიქით, იგი ადამიანებს მოუწოდებს იცხოვრონ ამ ქვეყანაზე, დატკბნენ მისი სიკეთით, მაგრამ იცხოვრონ ადამიანურად, ზომიერების დაცვით, იმის შეგნებით, რომ მას სააქაოში შეუძლია „კეთილის ყოფა და ყოველივე სათნოება და ქველის მოქმედება“.

ქრისტიანობა, უმრავლეს ქართველ მორწმუნეთა გაგებით, ადამიანს ინერტულობის, უმოქმედობის და ღმერთის ნებაზე ფატალურად მინდობისაკენ არ მოუწოდებდა. მათი აზრით, მიზნის მიღწევა ღმერთის ნებასა და თვით ადამიანის მოქმედებაზე იყო დამოკიდებული. ასე სჯეროდათ ჩვენს წინაპრებს, ასე სჯეროდა ს. ორბელიანსაც. მისი თითოეული ქადაგება ადამიანის სულიერი აღორძინებისაკენ, მორალური მანკიერებისაგან განთავისუფლებისაკენ მოწოდებაა.

ამას განსაკუთრებით მოითხოვდა მაშინდელი ვითარება, რადგან მუსლიმანური სამყაროს მძაფრი შემოტევის წლებში, როცა წარჩინებულნიც და მდაბიონიც ირყეოდნენ და სიმდიდრის მოხვეჭის მიზნით ქვეყნის ღალატიც არაფრად მიაჩნდათ, ვერც ერთი შეგნებული მამულიშვილი გულგრილად ვერ დარჩებოდა და ყოველი საშუალება უნდა ეხმარა ხალხის სულიერი ძალების განსამტკიცებლად.

ქართლში „ორმეფობის“ (ნაზარალიხანისა და გიორგი მეთერთმეტის ბრძოლის) დასრულების შემდეგ ს. ორბელიანისათვის ასეთ საშუალებას მხოლოდ სწავლანი, ქადაგებანი წარმოადგენდა. ეს ქადაგებები დიდი მწერლისა და ჰუმანისტის ხელში ისეთ იარაღად გადაიქცა, რომე-

ლიც ქართველი კაცის დაწყლულებულ სულსა და გულს მალამოსავით ეცხებოდა.

აი, ამის ერთი მაგალითი. როცა უცხო ხალხის ზნე-ჩვეულებებს მცირე ხალხს ძალით თავს ახვევენ, შევიწროებულთა ფსიქიკას მოძალადე ერის ფსიქიკას უმორჩილებენ, როცა ხალხის ინდივიდუალური სახე, საუკეთესო თვისებები იკარგება, ეს უბედურების მომასწავებელია. ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის სასიცოცხლო ძალები გადაგვარებას განიცდის, მომავლის რწმენას ჰკარგავს, მისი ახალგაზრდობა მხოლოდ სანახაობითა და სხვადასხვა გასართობით ტკბება, „მემთვრალეობს“ და ეს მიაჩნია ნამდვილ ცხოვრებად.

სწორედ ასეთი ვითარება შეიქმნა ნაზარალიხანის მეფობის წლებში, რაც ირანისა და საქართველოს „მეგობრული“ ურთიერთობის ლოგიკური შედეგი იყო.

ს. ორბელიანმა თავისი ორი ქადაგება მეშთვრალეობის წინააღმდეგ მიმართა, არა მარტო იმიტომ, რომ მეთვრალეობა საერთოდ ცუდია, კაცს ადამიანურ სახეს უკარგავს, არამედ იმიტომაც, რომ მას შეუძლია ძალიან დიდი დანაშაულის მიზეზი გახდეს. ამიტომაც ქადაგებს: „საყვარელნო, განეკრძალენით ზედასა-ზედა ღვინის სმასა და მარადის სიმთვრალესა, ვინაითგან მთვრალობა არს თავი ყოვლისა ცოდვისა და შესაძლებელი უსჯულოებასა ზედა უსჯულოებისა“.

აქ ყურადღება სწორედ „უსჯულოების“ წინააღმდეგაა გამახვილებული, რაც იმ დროს დიდ საშიშროებას წარმოადგენდა. მაგრამ ს. ორბელიანმა იცის, რომ სტუმართმოყვარეობის გარეშე ქართველი კაცის ცხოვრება წარმოუდგენელია. ამიტომ თანამემამულეებს ასეთ რჩევას აძლევს: „სტუმარნი ისტუმრენით სიხარულითა, სვით ღვინო ზომიერად და ჭამეთ ტაბლა კეთილად, მოყვასნი შეიყვარენით უცოდველად და კეთილსა უყოფდეთ და ნუ ბოროტსა. „ყვარელნო, ისწავლეთ ზომიერი ჭამა-დალევა“.

ს. ორბელიანი ამ ზომიერების გრძნობის დანერგვას სხვა საკითხებშიც ცდილობს.

ავიღოთ თუნდაც გლოვა. სულხანი წინააღმდეგია თეატრალიზებული, საზღვარდაუდებელი გლოვისა, რადგან რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მწუხარება, მან ცოცხალი ადამიანი უმოქმედო არსებად არ უნდა გადააქციოს, მოთქმას და ვაებას დროზე უნდა მიეცეს დასასრული. ადამიანის ცხოვრებაში სიკვდილსა და უბედურებას თავისი უნდა მიეზღოს, სიცოცხლესა და ბედნიერებას — თავისი.

ამიტომ იგი ქართველ ხალხს მიმართავს: „ღმერთი გიბრძანებსთ, რათა არა ბოროტად (საზღვარდაუდებლად. — მ. კ.) სტიროდეთ მკვდართა თქვენთა“.

აქაც ზომიერების გვიქადაგებს ბრძენი, გვაფრთხილებს, რომ „გარდარეული“ არაფერი არ ვარგა.

ადამიანის კიდევ სხვა მრავალ თვისებას ეხება ს. ორბელიანი „სწავლანში“ და უბრწყინვალესი ქართულით ცდილობს დანერგოს მსმენელთა გულში სიკეთე და სათნოება, სამშობლოსადმი ერთგულების სპეტაკი გრძნობა. ამაოდ როდი მოუწოდებდა იგი თანამემამულეებს: „განიღვიძეთ ძილისაგან მძიმისა!“ ეს იყო გულიდან არა შემთხვევით ამოხეთქილი სიტყვები, არამედ ჭეშმარიტი მაჩვენებელი იმისა, რომ გაღვიძებული ქართველი კაცის გულში არის და მუდამ იქნება სიცოცხლის, ადამიანის, მშობელი ხალხისადმი სიყვარულის ზღვა, რომელსაც ვერავითარი ქამთა სიავე, რა დროსაც არ უნდა დაატყდეს თავს, ვერ დაშრეტს.

მიხეილ კეკელიძე

საინტერესო მოგონებები

ქართულ მემუარულ ლიტერატურას შეემატა ნიჭიერად დაწერილი წიგნი „რაც ვნახე და განვიცადე“, რომელიც ჩვენი გამოჩენილი რეჟისორისა და მსახიობის პავლე ფრანგიშვილის კალამს ეკუთვნის.

ძნელია ადამიანმა გადაჭარბებით შეაფასოს მემუარული ლიტერატურის როლი ერის ცხოვრებაში. ყოველი ახალი თაობისათვის მუდამ ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონია და დღესაც აქვს წინა თაობის ცხოვრების ცოდნას. მამა-პაპათაგან განვლილი გზა სარკეა, რომელიც ახალგაზრდას უადვილებს ავისა და კარგის გარჩევას, ახალი ცხოვრების შენებას, წინსვლასა და გამარჯვებას.

პ. ფრანგიშვილის წიგნი დაწერილია კარგი ქართულით, ინტერესით იკითხება. განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე წიგნის ის ნაწილი, სადაც აღწერილია ავტორის ბავშვობის წლები და დედ-მამის ოჯახი. მომავალი გამოჩენილი რეჟისორი დაიბადა და იზრდებოდა თბილისში, კუკიის მუშათა უბანში. მისი მამა იაკობი კალატოზი იყო, ხოლო დედა ეფემია — მკერავი. მამის გარდაცვალების შემდეგ დედა იძულებული გახდა მრეცხაობისათვის მიეყო ხელი, რათა როგორმე გამოეზარდა წვრილი შვილები. ავტორი დიდი სიყვარულით გვიხატავს დედის სახეს, ის ნამდვილი ქართველი ქალის, მშრომელი, მხნე და პატიოსანი დედაკაცის განსახიერებაა.

პავლე ფრანგიშვილი, რაც ვნახე და განვიცადე. 1963 წ. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“.

სარეცენზიო წიგნის მთავარი ღირსება, ჩვენი აზრით, ის არის, რომ მასში დიდი დამაჯერებლობით არის ნაჩვენები ის უაღრესად მჭიდრო ურთიერთობა და კავშირი, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, ახალი პროფესიული ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებსა და, მეორე მხრივ, ხალხურ თეატრალურ კოლექტივებს შორის. ქართული პროფესიული თეატრი ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში უშუალოდ ხალხთან იყო დაკავშირებული, ხალხს ემსახურებოდა და ხალხიდანვე იკრებდა ძალას, სახალხო თეატრებისა და მუშათა წრეებისაგან იძენდა ახალ კადრებს. თვით პ. ფრანგიშვილის ცხოვრების გზა ამ აზრის საუცხოო ილუსტრაციაა.

მოგონებების ავტორი ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართული თეატრის ისეთი პირველხარისხოვანი ვარსკვლავების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, როგორიც იყვნენ: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ვალერიან გუნია, ნატო გაბუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, გიორგი არადელი-იშხნელი და სხვები. მართალია, ამ გამოჩენილ მოღვაწეთა ბიოგრაფია ცოტად თუ ბევრად შესწავლილია, მაგრამ პ. ფრანგიშვილის მოგონებები ახალი შტრიხებით, ახალი საინტერესო დეტალებით ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას მათზე, როგორც სცენის ოსტატებზე და როგორც ადამიანებზეც.

ავტორი დაწვრილებით და დიდი სიყვარულით აღწერს ვალერიან გუნიას, ლადო მესხიშვილის და ვასო აბაშიძის დაუღალავ შრომას ქართული სცენის ახალგაზრდა ოსტატების მოსამზადებლად.

მაგრამ მოგონებების ავტორი სიყვარულით იგონებს არა მარტო ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებს, არამედ „უჩინარ“ მუშაკებსაც, რომლებსაც დიდი ამაგი მიუძღვით ქართული თეატრის აღორძინების საქმეში.

პ. ფრანგიშვილის მოგონებები იმითაც არის საინტერესო, რომ აქ ვხედავთ ქართული თეატრის ახალ მაყურებელს — უბრალო მშრომელ ადამიანს, რომელიც სულგანაბული უსმენს თავის საყვარელ მსახიობს, კარგად ერკვევა პიესის შინაარსში და ამჟღავნებს გაზრდილ საზოგადოებრივ ალღოს, შეგნებას, დისციპლინას. ამ მხრივ ფრიად დამახასიათებელია ავტორის მიერ მოთხრობილი შემდეგი შემთხვევა: 1914 წელს თეატრი ვ. გუნიას მეთაურობით საგასტროლოდ იმყოფება ქ. ფოთში. იდგმება დ. ერისთავის „სამშობლო“. დარბაზი გაჭედილია ხალხით. პირველი მოქმედება არც კი იყო დასრულებული, რომ თბილისიდან მოდის სამწუხარო დეპეშა, რომ გარდაიცვალა ქართული თეატრის გამოჩენილი მსახიობი კოტე მესხი. საჭიროა დასი სასწრაფოდ დაბრუნდეს დედაქალაქში. ვ. გუნიას წინადადებით გადაწყდა, წარმოდგენა გადაედოთ, მაყურებლის წინაშე კი ბოდიში მოეხადათ, და ბილეთის ფული უკანვე დაებრუნებინა. ეს ფარდა, რეჟისორი ვ. შალიკაშვილი გადის ფარდის წინ და მოკლე სიტყვით აუწყებს დამსწრეთ მომხდარ უბედურებას. და, აი, აქ გაჩნდა მაყურებლის მაღალი შეგნებულობა, მისი დიდი პატივისცემა თეატრისა და მსახიობისადმი: მთელი დარბაზი ფეხზე დგება და წუთიერი დუმილით პატივს სცემს გარდაცვლილის ხსოვნას, შემდეგ კი ხალხი უხმოდ იშლება და არც ერთი მათგანი არ მიდის სალარასთან, რომ ბილეთის ფული უკან დაიბრუნოს. ეს და ამის მსგავსი ფაქტები დემოკრატიული ქართული თეატრის დიდი მორალური გამარჯვებაა და ზნეობრივი სისპეტაკის მაჩვენებელია.

აღსანიშნავია, რომ პ. ფრანგიშვილი თავის მოგონებებში ეხება არა მარტო საკუთრივ თეატრის მოღვაწეებს, არამედ ქართული კულტურის მრავალ სხვა წარმომადგენელსაც. დიდ ინტერესს იწვევს, კერძოდ, ავტორის ცნობები ლიტერატურისა და ხელოვნების ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებზე, როგორიც არიან: ნიკო ფიროსმანი, დავით კლდიაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ნიკო სულხანიშვილი, სანდრო კვესაძე, ია ეკალაძე, იოსებ გრიშაშვილი და სხვები.

განსაკუთრებით საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია მოგონებების ის ნაწილი, სადაც ავტორი მოგვითხრობს მისი მამის იაკობისა და დიდი ილია ჭავჭავაძის ურთიერთობაზე. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე დასაბუთებულია, რომ ი. ჭავჭავაძე ახლოს იდგა თბილისის მუშა-ხელოსნებთან, რომლებსაც ილია თავიანთ ხელმძღვანელად და მასწავლებლად მიაჩნდათ. სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი ცნობები ამ აზრს სავსებით ადასტურებს.

ვფიქრობთ, ის მდიდარი ისტორიული მასალა, რომელიც ამ წიგნში ესოდენ მიმზიდველად არის გადმოცემული, ბევრს ახალს ეტყვის არა მარტო ფართო მკითხველ საზოგადოებას, არამედ მეცნიერ-მკვლევარებსაც.

ქართველ ისტორიკოსებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ შეუქმნიათ სერიოზული ნაშრომები, რომლებშიც სათანადოდ იქნებოდა დაფასებული ჩვენი დემოკრატიული ინტელიგენციის ამ დიდი და მრავალრიცხოვანი ფენის როლი, რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდელ ხანაში ხალხის ინტერესებს იცავდა და მისი განათლების, ეროვნულ თვითშეგნების ამაღლების საქმეს ემსახურებოდა. ამ ხარვეზის ამოსავსებად საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა და დიდძალი ფაქტიური მასალის მომზადება.

პ. ფრანგიშვილის ნაშრომი უდავოდ ხელს შეუწყობს ამ დიდი ამოცანის გადაჭრასაც.

პ. რატიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი წიგნები

„საბჭოთა საქართველო“

ლ. ნ. ტოლსტოი — ომი და მშვიდობა. ტომი IV, თარგმ. არისტო ჭუმბაძისა. რედ. ც. ბუაჩიძე გვ. 357, ფასი 78 კაპ.

ნიკა აგიაშვილი — ჭაბუკები დარჩნენ მარად. რედ. შ. ფორჩხიძე, გვ. 190, ფასი 68 კაპ.

გიორგი შატბერაშვილი — ჭაშნიკი. რედ. ნ. ჟღენტი, გვ. 389, ფასი 98 კაპ.

ვ. კიკნაძე — ცრემლიანი სიცილი, რედ. შ. ფორჩხიძე, გვ. 84, ფასი 32 კაპ.

მერი საჯაია — ნიკო ნიკოლაძე — ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი. საზოგადოებრივი რედ. დ. გამეზარდაშვილი, რედ. ქ. თავაძე. გვ. 152, ფასი 52 კაპ.

გურამ გვერდწითელი — კრიტიკული წერილები. რედ. შ. ფორჩხიძე, გვ. 136, ფასი 42 კაპ.

ალ. სამსონია — ზღვა, მზე და სიყვარული. რედ. ქ. თავაძე, გვ. 152, ფასი 31 კაპ.

ზურაბ ლორთქიფანიძე — ლურჯი ექსპრესი. რედ. შ. ფორჩხიძე, გვ. 70, ფასი 19 კაპ.

იაკობ ბალახაშვილი — ახალი ფურცლები ლერმონტოვის ცხოვრებისა. რედ. ვ. ჯავახაძე, გვ. 136, ფასი 26 კაპ.

ვუმლერით სამშობლოს — ლექსები. რედ. კ. ბობოხიძე, გვ. 106, ფასი 30 კაპ.

ჯონ ბრეინი — გზა მაღალი საზოგადოებისაკენ. ინგლისურიდან თარგმნეს ციალა თოფურიძემ და ნოდარ ბადრიაშვილმა. რედ. ლ. ელიოზიშვილი, გვ. 293, ფასი 97 კაპ.

პოლ ბურჟე — ცოდვა სიყვარულისა. თარგმანი გრ. ყიფშიძისა. რედ. ე. გოგოლაშვილი. გვ. 290, ფასი 98 კაპ.

„ნაკადული“

შიბეილ შოლოხოვი — გზა—სავალი. თარგმნა არისტო ჭუმბაძემ. რედ. ნ. ლორთქიფანიძე, გვ. 118, ფასი 18 კაპ.

ოლეს გონჩარი — მზესუმზირა. თარგმანი მარიამ გორგაძისა. რედ. მ. ამაშუკელი გვ. 136, ფასი 30 კაპ.

სიმა სოლოვიოვი — ეს წიგნი შენზეა დაწერილი. თარგმანი დენეზა ზუმბაძისა, რედ. გ. მსხილაძე, გვ. 92, ფასი 12 კაპ.

დავით ბაქრაძე — გმირთა სისხლით. რედ. ლ. გეგელია. გვ. 484, ფასი 90 კაპ.

რაფაელო ჯიოვანოლი—სპარტაკი. თარგმ. ნინო ყიფიანისა,, რედ. ლ. გეგელია, გვ. 544, ფასი 1 მან. 11 კაპ.

რევაზ ინანიშვილი — ბიბო. რედ. ლ. ქადაგიშვილი. გვ. 72, ფასი 13 კაპ.

ალექსი ჯონუა—პაატა და მისი ცხენი. რედ ჯ. ნიქაბაძე, გვ. 46, ფასი 9 კაპ.

სომეხ პოეტთა საბავშვო ლექსები — დედის თვალი. რედ. გ. კაჭახიძე, გვ. 62, ფასი 12 კაპ.

უქნარა — ქართული ხალხური ზღაპარი. რედ. ლ. ქადაგიშვილი, გვ. 10, ფასი 27 კაპ.

ცეროდენა ხარები — ტექსტი დაწერილია იშტვან კორმოშის მიერ. თარგმ. მაყვალა მრევლიშვილისა. რედ. ლ. ქადაგიშვილი, გვ. 18, ფასი 48 კაპ.

ავტორი-მხატვარი გუგა მიქაძე — ვისწავლოთ ხატვა, რედ. ლ. ჭიჭინაძე, გვ. 16, ფასი 20 კაპ.

ნოდარ წულეისკირი — თეთრი მთა. რედ. ო. ჭელიძე, გვ. 182, ფასი 20 კაპ.

გიორგი კეპეღმაძე — ცისფერყდიანი რვეული. რედ. ნ. ჩირაძე, გვ. 78, ფასი 12 კაპ.

თამარ გომართელი — როცა თოჯინა ლაპარაკობს. რედ. ო. ეგაძე, გვ. 130, ფასი 26 კაპ.

კ. ფალავა—ნიზამი. რედ. ც. ცერცვაძე, გვ. 148, ფასი 28 კაპ.

ისინდი — სპორტული ალმანახი. რედ. ი. უგულავა, გვ. 244, ფასი 83 კაპ.

0 /263

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“